114
1982/3

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ISSN 0132—599 X

# მნათობი

4 1982

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ვ. ი. ლენინი

ეროვნული ბიბლიოთეკა


# მნათობი

ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 58-ე — № 4 — აპრილი, 1982 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო


## შინაარსი


ჟან ბრიერი — მისალმება ლენინს; რაულ გონსალეს ტუნიონი — მოსკოვური სიმღერა. ლექსები. თარგმნა თეიმურაზ ჯანგულაშვილმა . . . 3
დავით მჭედლური — ლექსები . . . 6
ოთარ ჩხეიძე — ორი ეტიუდი . . . 9
ზურაბ კუხიანიძე — ლექსები . . . 20
ტაგუ მეგურიშვილი — ლექსები . . . 23
ალუდა არაბული — ფიქრები ბზებზე. ლექსები . . . 25
გოდერძი ჩოხელი — მოთხრობები . . . 29
ლეილა მესხი — დუმილი. რომანი . . . 36
ალექსანდრე ბეგაშვილი — ლექსები . . . 69
ელიზბარ მაისურაძე — ბარიურაჟი. რომანი. დასასრული . . . 72
სერგეი ბარუზდინი — ლექსები. თარგმნა ელდარ კერძევაძემ . . . 111

### სსრკ — 60 წელი

სიმონ არველაძე — განხორციელებული ოცნების ქვეყანა . . . 113

### გეორგიევსკის ტრაქტატი

ველერიან გაბაშვილი — ჩრდილოეთის გზა . . . 119

### კრიტიკა და პუბლიცისტიკა

გურამ გვერდწითელი — დიდი გზის ერთი მონაკვეთი . . . 126
ივანე ლოლაშვილი — XI საუკუნის უცნობი პოეტური თხზულებანი . . . 155

### პუბლიკაცია

დიმიტრი ბაქრაძე — სურათები საქართველოს ცხოვრებიდან. დასასრული . . . 161

### წიგნების მიმოხილვა

აპოლონ ცანავა — არამხუტუს შემართება . . . 175


საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი გიორგი ნატროშვილი

სარედაქციო კოლეგია:

გრ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, რ. ამაშუკელი (მთ. რედ. მოადგილე), ხ. ბერულავა, ო. ბიბინეიშვილი, ა. გომიაშვილი, კ. კალაძე, მ. ლებანიძე, ლ. მრელაშვილი, ა. სულაკაური, ა. ქუთათელი, ნ. წულეისკირი, ვ. წულუკიძე, ო. ჭილაძე, გ. ხარანაული, რ. ჯაფარიძე, გ. ჯიბლაძე.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, № 12.

ტელეფონები: რედაქტორის — 93-55-11 მთ. რედ. მოადგილის — 93-55-18, განყოფილებების — 93-55-15, 93-55-17, 93-55-20.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა, 1981.

გადაეცა ასაწყობად 23. 03. 82 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 26. IV 82 წ., ანაწყობის ზომა $7^1/_4 \times 12$, ქაღალდის ფორმატი $70 \times 108^1/_{16}$, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 11. პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 15,5. სააღრ-საგამომცემლო თაბახი 16,58.

უე 01234. ტირაჟი 26.950. შეკვ. 754. საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

ეროვნული ბიბლიოთეკა

17471

ჟან ბრიერი
ჰაიტი

# მისალმება ლენინს

ზღაპრული ქალაქი, მოსკოვი, გამჭვირვალე წვიმაში
როგორც ნახშირით დახატული სურათი,
როგორც ტოლსტოის დროინდელი ლითოგრაფია,
მოსკოვი, დაყოვნებული ზაფხულის ფოთოლთა ფოშფოშში ცისფრად მზირალი,
მოსკოვი, გარიჟრაჟზე ერთიანად ვარდისფერი, საღამოს ნისლში
არარეალური, როგორც მირაჟი.
(ხოლო დღისით ორი აბურძგვნილი ჩიტი
ჰკენკავს ზაფხულის სიცხის მარცვლებს ფანჯრის რაფიდან),
მოსკოვი, შემოდგომის ოქროს მაქმანები
და მოედანზე ჩაფიქრებული პუშკინი,
ხეივნებისა და პროსპექტების გასწვრივ ალვების უმოძრაო ხანძარი,
მოსკოვი, ოქრო, პორფირი, სანგინი, სეპია,
სივრცე ვეება, ქვა ნირუცვლელი,
მარმარილო, ბრინჯაო, გოლიათური სიმაღლის ბაზალტი...
მოსკოვი, მოწკრიალე სიმღერები, რომლებიც ქცეულან წითელ დროშებად
და ხმა მუშისა, მანქანების გუგუნის თანხლებით
ყველა სასახლის, მონასტრის; ტაძრის სიმაღლეს რომ ასცილებია,
მოსკოვი, ფრესკა დიდებული, რომლის სალებავებიც ცოცხალი მოწმეა
სახალხო გმირობისა, ვაჟკაცობისა და ოცნების საუკუნისა.
მოსკოვო, მე შენთან მოვდივარ შორეულ მხრიდან
ჩემი დაფლეთილი დროშით,
ჩემი გაწამებული სამშობლოს
ტკივილებით, უმძიმესი ნაღველით.
მოვედი ორი კონტინენტის გამოვლით,
განდევნილობის წყვდიადის გამოვლით;
და მტკივა ფესვები, რომელიც ამოგლიჯეს
მშობლიური ჰაიტური მიწიდან.
მოსკოვო, მე შენთან მოვდივარ როგორც ჩემი ცხოვრების ყველაზე
მთავარ ნავსაყუდელთან,
მოვდივარ პარტიული ბილეთისა და სავიზიტო ბარათის გარეშე,
მოვდივარ რათა ვესაუბრო ლენინს,

კ. მარქსის სახ. საქ. სსრ
სახელმწიფო რესპუბლიკ.
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რათა შევხვდე ხმას,
ცოცხალ ადამიანურ ღიმილს,
ოპტატა, რომელიც აქანდაკებს
მომავალი სამყაროს სახეს.
მინდა მოვისმინო ისტორიის მძლავრი ნაბიჯების ხმა,
და იმის გზაზე დავინახო კაცი, ქცეული
გარდასულ დროთა მაგნიტურ ველად —
გმირობის უბრალო სამოსელში გამოწყობილი.
კაცის სიმაღლის მისი ფიგურა
ვნახე მოსკოვში, ტაშკენტში ვნახე —
სიტყვით მიმართავდა ადამიანებს.
მე ვნახე იგი, მარმარილოსაგან გამოკვეთილი,
მუზეუმების დარბაზებში და მოედნებზე,
და ღამით მოსკოვ-მდინარის პირზე,
და ლენინგრადში, მხრებზე თოვლი რომ დასდებოდა,
და უფრო ადრე მე ის კაცი ეკრანზე ვნახე.
მაგრამ ლენინი ყველაზე ახლოს
ვნახე მუშათა კვარტალში, უბრალო მუშურ ოჯახში.
იმ ბინაში ამაოდ დაუწყებთ ძებნას
კილარიბის ობს, სასოწარკვეთის აბლაბუდას.
წიგნები... რეპროდუქციაზე – მუშათა მსვლელობას ერეკებიან მეფის მოხელენი.
ყველა ეს ნივთი შეიძლება ჰქონოდა ვლადიმერ ლენინსაც.
ირგვლივ ყველაფერი ღაღადებდა სიცოცხლეზე
და ყოველივე ეს დრომ მოიპოვა არა ქიმიური მანქანებით,
არამედ თვით სიცოცხლითა და სიყვარულით.
ამ სადა საცხოვრებელში, მუშათა უბანში
ყველაფერი სუნთქავდა სიწმინდითა და სიმართლით,
როგორც დათოვლილი ზვინი რაზლივში.
აქ იყო მწვანე უზბეკური ჩაი
და მოაკოვური შავი პური,
და ქერათმიანი ქალიშვილი ჩამოქნილი ტანით,
და მოხუცი ქალი, რომელმაც თითქოს აქ
შემოაბიჯა გორკის რომანიდან „დედა“.
და მისმა მუშურმა ხელებმა გამომიწოდეს
ცხოვრების ანბანი, ატუმარმოყვარეობის მარილი, ძმობის ნათელი —
ხელები უბრალო, როგორც მისი ბებრული თვალების
უეშმაკო, ბავშვური მზერა,
ხელები, ამღერებული, როგორც მსოფლიოს სიჭაბუკე.

არა მგონია, რომ ლენინი თუნდაც ერთ სიტყვას დაამატებდა,
იმას, რაც მე იმ ქალმა მითხრა,
და მე ვამბობ:
„ლენინ, მე თქვენ დამეხმარეთ
შემექმნა ჩემი იდეალების კოლექტიური მეურნეობა,
გამეზარდა ჩემი აზრების ყანა,
ამემეტყველებინა ჩემი პოემების ღრმა რიტმები.
ლენინ, კვლავაც დამეხმარე მე, მეც და ჩემს თანამოძმეებსაც,
რომლებიც მე მარგუნა ისტორიამ და ბედმა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი მოგანგაშე სისხლით გამოვიხსნათ
მიწა მშობლიური,
და შევქმნათ სიმღერა, რომელიც ჩვენ აგვამაღლებს
და ვიპოვოთ გზა, რომელიც წაგვიყვანს თავისუფლებისაკენ".

მე თქვენ მოგესალმებით, ამხანაგო ლენინ!

რაულ გონსალეს ტუნიონი
არგენტინა

## მოსკოვური სიმღერა

მე მრავალი რიტმი ვცადე, მე ვიმღერე მრავალ ხმაზე,
ქვეყნებიც დავიარე, ცის გუმბათიც შემოვხაზე.
დაუმცხრალი ჩემი გულიც და სიცოცხლეც სავსე არის
იმედების მზიან სხივით, შემართების გრიგალ-ქარით.
ვწერ მოთხრობებს, წერილებსაც... შევცოდე და დრამაც ვწერე,
მაგრამ ქვეყნად უსიმღეროდ ყოფნას ვერვინ დამაჯერებს.
სადაც თვალი მივაწვდინე, ყველგან შენ ხარ, პოეზიავ,
სულის ცხელი ყვავილები მხოლოდ ლექსის რტოებზეა.
მე ცხოვრებას მივდევ მხარში, ჩემი ხმაც ჟღერს ბრძოლის ხმაში,
მტერს ებრძოდა ჩემი ლექსი ესპანეთშიც, კორეაშიც.
კვლავ საბრძოლო მოწოდება მინთებს გულს და მიწვავს ბაგეს,
არგენტინის შვილი ვარ და დედამიწის მოქალაქე.
მე მხოლოდ ის ლექსი მიყვარს, ხალხს რომ გულში ჩაენთება,
მხარშიაც რომ დაუდგება, ბრძოლაშიც რომ გაუძლვება.
მე ვყოფილვარ იმ ქვეყნებში, სადაც ხალხმა გაითენა,
შევხებივარ ლურჯ ცას ხელით, მისმენია მზის სიმღერა.
ლექსშიც, რევოლუციაშიც, ჩამდგარს წითელ დროშებს შორის
მჯერა. ხალხი მეც მიწოდებს: „ამხანაგი ტუნიონი".
მე მოსკოვში ვთქვი სიმღერა, დილის მზით რომ გაიფერა.
არყის ხეთა ნაზ ჩურჩულში ფრთა გაშალა იმ სიმღერამ.
იქ არტელში ლამპრად მომცეს კონა ჭვავის თავთავების,
სიზმრები რომ გაუნათოს მშიერ ბავშვებს, ხალხმა შვებით
რომ ისუნთქოს. მშვიდობაა ჩემი დროშა საფიცარი,
მისით ვივლი ცეცხლშიც, ქარშიც, მისთვის რეკავს ლექსის ზარიც.
დე, ქვიშაზე ვწერდე, მაინც ვერ წალეკავს ჩემს ლექსს წყალი —
იმ სიმღერის ჰანგში ისმის მომავლის ხმა დაუმცხრალი.

თარგმნა თეიმურაზ ჯანგულაშვილმა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დავით მჭედლური

## გაზაფხული

მოვიდა ქარი,
მოვიდა ლელმა,
მოვიდა უცხო ათასი ჩიტი,
ყინულის დევი დახანჯლეს მთებმა,
იმისი სისხლი ღვარებად მიდის.

კარისპირებში დაწვეს ნამკვდრევი,
ხსოვნა,
ძონძები
და ნაკვალევი,
და მთები დაჩნდნენ, როგორც აფთრები,
გადაფოთლილი თოვლის ხალებით.

ვართ გაზაფხულით გალუმპულები
იმის წვიმაში,
იმის ბალახში,
ყრია მფეთქავი ჩვენი გულები
და გვიხარია, რადგან გადავრჩით.

მივეკარენით მიწის სამოსელს,
იმის მტვერს თავზე ვიყრით სიამით
და სიმწვანისკენ ყიჟინით გარბის
ტყე სიხარულით თვალცრემლიანი.

## ახალწლის თოვლი

თოვლი მოვიდა,
თოვლი მოვიდა,
მოლელავს კალთა მისი ფერადი,
შენც უცაბედად გახსნილი ციდან
ასე მოჰქროდი და მოლელავდი.

ასე გეჩვენა,
ასე გეზმანა,
ასე იხილე წარმოქმნა ხმელის,
დღეს ყველაფერი თოვლმა შესცვალა
და კიდევ — წელმა შესცვალა წელი.

ისევ მოვკვდები,
ისევ ვიცოცხლებ.
ისევ ვიქნები შენი მიჯნური,
ისევ დაწვება ტირიფის ტოტზე,
საღამოს თოვლი, ვით მოხიბლული.

და მოვა თოვლის დღესასწაული,
ღამენათევი მოვლენ ლოუბლები,
და სიხარულით იტირებს თოვლი
და მის ცრემლებში გავილუმპები.

შენთვის მოვკვდები,
შენთვის ვიცოცხლებ,
ვიქნები შენი მწველი მიჯნური,
შენთვის დაწყება ტირიფის ტოტზე,
საღამოს თოვლი, ვით მოხიბლული.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## მ ც ხ ე თ ა

მე ვიგონებ ამ დარიან
გაზაფხულზე ისევ მცხეთას,
მოგონება აფთარია
და გალიის რკინებს კვნეტავს.

ისევ მოსჩქეფს მისი სული,
ისევ ბორგავს, ისევ წვეთავს,
ვინც ჩასჭედა ქვაში გრძნობა,
ასტყორცნა და აამცხეთა.

მე მივდივარ ახლა მცხეთას
მცხეთა უნდა ავიჩემო,
უნდა დავდგე სადმე ჯვართან,
ან ზედაზნის ცოტა ქვემოთ.

მცხეთა მოჩანს ვით ხომალდი
და ხომალდზე მე ვარ მზირად,
ასჯერ ქარმა ავბედითმა
ის ხომალდი ჩამიძირა.

მაინც მომყავს აფრაგაშლით,
რადგან მისი სული წვეთავს,
ვინც ჩააჭედა ქვაში გრძნობა
ასტყორცნა და აამცხეთა.

## ხ ვ ა ლ...

იტირებს თოვლი, იქნება თოვლის
დღესასწაულის ბოლო აკორდი,
მე ძველებურად აავსე ვარ ყოვლით
და უკანასკნელ დღეს მომაგონდი.

თოვლის სიმღერა ისე გამშვიდებს
როგორც ალერსი ნაცნობი ხელის,
სხვას რას გპირდება უფრო საკვირველს
დამდგარი უკვე ახალი წელი.

იტირებს თოვლი, იქნება მალე
დღეასწაულის ბოლო აკორდი,
წავაწყდი მარტის ცრემლიან თვალებს
და უცაბედად შენ მომაგონდი.

* * *

ვიგონებ_ღრუბლის მეწამულ ჯოგებს
გადავლილ წვიმას,
დამაშვრალ ჭალას,
მე წუხელ სველი ბალახი ვლოკე —
ეგების წვიმა მოვიდეს ხვალაც.
ღრუბელი მწველი...
მეწამულ ღრუბელს
სიცოცხლესავით ვხარჯავდი უქმად.
ვიდრე გაიხსნა მკათათვის უბე
და მეწამულმა წამლეკა შუქმა.

* * *

ჯერ ისევ სძინავთ, ჯერ ისევ სძინავთ,
ჯერ ისევ სიზმრის ღელავს ხავერდი:
მე კი გავაულვარ სიზმრების წრიდან,
და ახლა ვნანობ: — რატომ გავედი!
მინდა დავბრუნდე, მინდა დავიქვა
სიზმრის ერთგული, ზეცის ერთგული,
მაგრამ სიზმარი გაქრა, გაფრინდა,
და მოწყენილი დგას სამერცხლური.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თოვლი მენატრებოდა

თოვლი მენატრებოდა,
თოვლის ბარხანები,
შენს დარაჯად ვდგებოდი,
იარაღს ვაჩქამებდი.

თოვლი მენატრებოდა,
თოვლი ალერსიანი,
აქ კი მარტის საახლე
იქცეოდა ზრიალით.

მიდიოდა მდინარე
ამღვრეული თოვლით
და შენ შუქმომცინარე
ჰგავდი გამოგონილს.

თოვლი მენატრებოდა
თოვლის ბარხანები,
შენს დარაჯად ვდგებოდი
იარაღს ვაჩქამებდი.

## ისევ ღამდება, თენდება

ისევ ღამდება, თენდება,
ღამეთა ნისლი ქრება,
შორი სანთური ენთება,
ვიღაც ხომალდებს ხვდება.

მიწა ეძლევა განცხრომას,
თოვლის სამოსელს იხამს,
მე კი ვიგონებ ისევ იმ
შენს უკანასკნელ რიახვას.

შენს გამოგონილ გაწყრომას
და თაფარავნის ტალღას,
სანთლის უეცარ გაქრობას
და საყვარელთან გაყრას.

ის აბეზარი ბებერი
ისევ ავ ჭორებს არხევს,
მე კი, ვით მიჯნურს შეჰფერის,
ისევ მივაპობ ტალღებს.

ეს ჩემი მოვის პერანგი
წყალს სისხლიაფერად ღებავს,
ასჯერ გამოვედ, გეძებე,
სანთელი არა მხვდება.

გული ტალღებმა გაფატრეს
მოსახდენელი ხდება,
ზღვაში აუქდება ვეშაპი
ხმელზე ყორანი ძლება...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოთარ ჩხეიძე

# ორი ეტიუდი

## წილმეტი ძეგლები

ისხდნენ ეზოში თუთის ქვეშა, თუთისთვისა არა, თუთა უკვე მოლეულიყო, — შეჰფარებოდნენ ჩრდილსა თუთისა, მასპინძელი და სამი სტუმარი: ერთი რეჟისორი, ერთი დრამატურგი, დოცენტი ერთიცა; დოცენტი სტუმარი გახლდა დრამატურგისა, დრამატურგი რეჟისორის სტუმარი გახლდათ, რეჟისორს ეპოვნა მართალი მასპინძელი, გულღია და გულქართლი კაცი; გაგახსენდება, ნათქვამი როა სტუმარს სტუმარი სძულდა და მასპინძელს ორთავენიო, ამ შემთხვევაში, სამთავენიო, გაგახსენდება რაღა თქმა უნდა, ოღონდ აქ მაინც არ გაგიმართლებს: თუ არ უყვარდათ, არცა სიულდათ სტუმრებს ერთმანეთი, არც მასპინძელი ეძულებოდათ, დამერწმუნები; და მასპინძელსაც არ სძულდა თავისი სტუმრები, თუ არც უყვარდა, ნუ გავამტყუნებთ, — ისაა შეხვდა, ისაა მიიწვია, მერე სუფრა გაიშლებოდა, მერე დალევდნენ, მერე შეთვისდებოდნენ, სული სულს იგრძნობდა, მერე იმღერებდნენ, მერე გადაჰკოცნიდნენ, მერე იქნებოდა, რაც იქნებოდა.

მანამდე ისხდნენ, ისხდნენ და საუბრობდნენ, ფრთხილადა საუბრობდნენ, ხვერავდნენ ერთმანეთსა, როგორ მოევლოთ თუ საით მოევლოთ, გადაეშალათ გული თუ არა ერთმანეთისთვისა, ან თუ წარბიც არ შეეტეხათ, — ზომავდნენ, წონიდნენ ყოველ სიტყვასა, მახვილსა ყოველსა, სახისა თუ ხელის რხევასა; მთავარი მათ შორის რეჟისორი ეგონა მასპინძელსა, რეჟისორს მიმართავდა პირველყოვლისა, რეჟისორი დრამატურგს მიმართავდა, მერე განიყოფოდა მასპინძელი ამ ორთა შუა, დოცენტი რჩებოდა ჩრდილში, — ჩრდილში ჰო ისხდნენ, ორმაგ ჩრდილში რჩებოდა მეთქი, არცთუ ინაღვლებდა, იყო თავისთვის არხეინად; ოღონდ თუ მაინც თავიდან მოვყვები, თვიდათავი დრამატურგი გამოდიოდა: ეს ის ჩამობრძანდა თბილისიდანა, ეს იმან მოიკითხა თავისი პიესის ბედი გ.-ს თეატრში, მოიკითხა თუ ვერც მოიკითხა. მთავარ რეჟისორს რახან გაესწრო, — თბილისს გაესწრო, — გზაში ასცდენოდნენ ერთიმეორესა, ეს იმან ჩამოუშვა ცხვირი, ცხვირიც ჩამოუშვა და ყურებიც ჩამოჰყარა, რო არ იცოდა რა ელონა, ან ასე უცებ როგორ გაბრუნებულიყო, ანთუ როდისღა ჩამოეკითხა: ეს ამან გაუგო, რეჟისორმა. მთავარი რეჟისორი რო წაბრძანებულიყო, ეს შეჰხვდა და ამან გაუგო, მიუხვდა ისე, თვალებშიც რო არ ჩაუხედავს, მიუხვდა და გავარდ-გამოვარდა იქავე

თეატრში, ჯერა რა თქმა უნდა, სალაროდან დირექტორ-განმკარგულებლისაკენა, ადმინისტრატორიდან ბუღალტრისაკენა, ირბინა, იწრიალა, ხელთ ვერ მოიგდო მართალია ბევრი ვერაფერი, თუ სულაც ვერაფერი, ოლონდ ია მაინც გამოარკვია, სად თუ რა ჰქონდა თეატრს გასარკვევი, დრამატურგს ეახლა იმედიანადა, შესთავაზა იმედიანადა: სოფლად გავიდეთ ცოტა ხანაო, ცოტა თვალს წყალი დავალევინოთო, ჩამობრძანდება მანამდისა მთავარი რეჟისორი, ანუ იქაც ამოგვაკითხავსო, — ეახლა ასე იმედიანადა, იხანა ასე გააჭირიდანა: ასე გამობრძანდნენ თეატრიდანა, ასე მხნედა და იმედიანადა, გამობრძანდნენ და დოცენტსაც გადაეყარნენ. იქვე, სულ იქვე, თითქოს რეჟისორს დაებარებინოს, ანთუ დრამატურგს დაებარებინოა, ანთუ განგებას გამოეგზავნოს, სულ ერთია რაღა თქმა უნდა, — საქმე ისაა, რო გადაეყარნენ: იაიც სათქმელია, შორით რო იცნობდა დრამატურგი ი დოცენტსა, შორით შორითა, სალამითაც რო არ შეაწუხებდა, არც ესა, არც ისა, იქა, თბილისში, ხოლო იმას იქით უცხვირპიროდ ჰო არ ჩაუვლიდნენ ერთიმეორესა, — როგორ იქნებოდა?!. არ ჩაუვლიდნენ და არც ჩაუარეს, ხელი მხურვალედ ჩამოართვეს ერთიმეორესა, წაიწიეს და ლამის გადაჰკოცნეა, ლამისა ცხადია: მერე რეჟისორი გააცნო დრამატურგმა. მერე რეჟისორმა ისიც მიიწვია. წავიდეთ თვალს წყალი დავალევინოთო და აჰყვა იაიცა, მაშინვე აჰყვა, გამეორება რო არ დასჭირებია, რადგან ისიც რო საამისოდ გამოსულიყო, ცოტა დალლილი, ცოტა მოშივნული ლექციების შემდეგა, თბილისიდან რო გამოეგზავნა ცოდნის გამავრცელებელ საზოგადოებასა: ასე შეიყარეს თავი, ასე გამოდიოდა დრამატურგი თავიდათავი, — ბოლოს მიხვდებოდა რო მასპინძელიცა, ანთუ დროზევე რო მიხვდებოდა, რო მიმართავდა უფრო იმასა, ანთუ ისიცვე არ მოეშვებოდა: აღმოეჩინა უცნობი ენა თუ დიალექტი, ყოვლად უცნობი, ასე უეცრადა, მოულოდნელადა, იმას იკვლევდა და იმასაც იკითხავდა, ვინ უწყის თუ მეათასედა: ნუთუ ბატონი შანიძე არ ჩამობრძანებულა აქა, ანთუ ძიძიგური მაინც არასაიდან მოხვედრილა აქაო, — იკითხავდა და იკითხავდა და ტაშს შემოჰკრავდა, რაა გავაოცებო: ;

ოლონდ მანამდე:

ჰო უნდა გადაჰყროდნენ მასპინძელსაცა?...

ამას არც იცნობდნენ, არც იცოდნენ თუ არსებობდა ასეთი კაცი, ელოდნენ მაინცა, ბინდში, ბურუსში რო ამოვიდოდა, ასე ელოდნენ, ამოვიდოდა და გამოიკვეთებოდა:

ამოვიდა და გამოიკვეთა:

ჯერ მეურნეობის დირექტორი იკითხეს ცხადია, იკითხა რეჟისორმა, ესენი ახლდნენ უტყვ მოწმეებადა:

რეჟისორს უნდა გამოერკვია, — ფული ჩაერიცხა რო მეურნეობასა თეატრისათვისა, როდისაქეთია რო ჩაერიცხა, როდის გაემართა სპექტაკლი თეატრსა, ან სად გაემართა სპექტაკლი, იქვე თეატრში თუ აქა ხლებოდა, — აი თუ რა უნდა გამოერკვია:

გამოერკვია ეა დირექტორ-განმკარგულებელსაცა, თეატრისა რაღა თქმა უნდა, ადმინისტრატორსაცა. სხვასაცა და სხვათაცა, ცალცალკეცა და ერთადაცა, ტელეფონითაცა და ჩამობრძანებითაცა, დაუზარებლად ჩამობრძანებითა. გამოერკვიათ და პასუხიც მიეღოთ, იგივე პასუხი, რაც ამასაც შეაგება დირექტორმა მეურნეობისა:

თეატრი ჩვენი ზეიმიაო, ასე შეეგება დირექტორი, კართანვე შეეგება, კაბინეტიაა, ხალხით სავსე კაბინეტისა, ხალხიც რო წამოდგა, თავი რო დაუკრა მოსულთა, მოწიწებით დაუკრა თავი; დიახ, ჩვენი ზეიმიაო, სიამაყეა ჩვენი ჩვენი თეატრიო: თეატრთან შეხვედრა ყოველთვის გვახარებს, სადაც უნდა იყოს, თუნდ იქა, თქვენთან, თუნდ აქა, ჩვენთანაო: თქვენვე აირჩიეთ, თქვენვე გვიბრძანეთ, გნებავთ, გეახლებით, გნებავთ, ჩამობრძანდით, ერთი სიხარული იქნება ჩვენთვისაო: ოლონდ ესაა, მოცლა არა გვაქვს, თავის მოსაფხანად არა გვცალია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნო; ყველა-ყველა და ამ მატლმა შეგვჭამა, რაც რო ქვეყნად საწამლავია, ყველა შევასხით და შიგ ვაბანავეთ, მაინც საშველი არ დაადგაო; აი ახლაც ამიტომ შევყრილვართ, უნდა შევესიოთ ერთხელ კიდევაო, ომია, ომი, ომივით უნდა შევესიოთო; ნეტავი აქამდე გვენახა ეგ სპექტაკლი, მაგ ერთ საქმეს მაინც მოვიშორებდითო; ან იცი რა გითხრათ,, ვითომც გვინახავს და მოგვიშორებია, ასე ჩათვალეთო: თუმცა არაო, არაო, ზეიმია ჩვენთვისა ჩვენი თეატრი, სიამაყეა ჩვენთვის ჩვენი თეატრი, მაგრამ თავზევით ძალა აღარა გვაქვსო: თქვენ იცით, თქვენ იცით, როგორც გენებოთ. გნებავთ, ჩამობრძანდით, გნებავთ, გეახლებით, მაინც ჩავლილი გვირჩევნიაო, — იყოს რა მოხდა, რამდენი გვინახავს და აღარ გვახსოვსო; ასე შეეგება და ასე შეაგება, — ეს მასპინძელიც იქავე აღმოჩნდა, გვერდში ამოუდგა საიდანღაცა, — აგერ გაჰყევით და ისაუბრეთო, მეც გეახლებით, მოვიცლი და გეახლებითო: ვერ მოიცალა რაღა თქმა უნდა და არც მოიცლიდა ასე უშარო. უდავიდარაბო ატუმრებისათვისა: ეგეც გასწვდებოდა, ეს მასპინძელი, რო ებარა ხელობა ისეთი, ცოტა გარჯა რო სჭირდებოდა, ცოტა გამორჩენა მაინც რო ჰქონდა, დრო ბევრი გააჩნდა და ფლანგავდა დროსა უშურველადა, ანიშნებდნენ და ფლანგავდა დროსა;

ეს მანამდეო:

ოღონდ მოიცა: რადგან სათქმელი აქ ისიცაა, წინასწარ სათქმელი რაღა თქმ უნდა, ხან დიასახლისიც რო არ დაჰხვდებოდა შინა; არ დაჰხვდებოდა და მაშინ მეზობლებს გადაიძახებდა. მოდით, მომხედეთ, ვინმემ მომხედეთო: ხანთუ მოჰხედავდნენ, ხან ვერც მოიცლიდნენ, ეწვალებოდა მაშინ თვითონვე, ჯახირობდა, ფაციფუცობდა სასეიროდა და სასაცილოდა, სამზადისი რო არ ეხერხებოდა, სუფრის გაძღოლა რო ეხერხებოდა, რო ვერ დამჯდარიყო და ვერ გასძღოლოდა; ესაა სათქმელი, ეს შიში რო ახლდა ყოველთვისა, სხვაფრივ უშიშარსა და შეუპოვარსა, ახლდა და მიუხტოდა წინა, ეს რო სტუმრებს მიუძღვებოდა, სახელდახელო სტუმრებსა ცხადია: ხან თადარიგსაც დაიჭერდა, გზად თუ ვინმე გადაეყრებოდა, ვთქვათ, ბიბლიოთეკარი, ვთქვათ თუ ექთანი, ვთქვათ თუ წრეების ხელმძღვანელები კულტსახლისაი, აღარ გაუშვებდა, გახიდავდა ხელებაა, წამოხვეტავდა, წამოირეკავდა, მაშინ დიასახლისიც დაუხვდებოდა შინა: ზედმეტი მაინც არ იქნებოდა, — ბევრი ხელის ჰირიმეო. ეთქვათ და კარგი ნათქვამიც გახლდა: იმჯერად მაინც ყველაფერს გადარჩა, დიასახლისი შეიპყრო შუკაში. — მეუღლეო თავისი რაღა თქმა უნდა. — თვალი აძგერა და თვალით გააჩერა: იმას წარბიც არ შეუხრია, თვალი შეავლო სტუმრებსა ისე, ვითომ და აქ არაფერიაო, ხოლო მეუღლეს ცოტა შეევედრა:

— ჯიოლწიოდა წიახწილა წინუ წიმიწიმაწიბრუწინებ. წიოლწიონდ!... წიოლწიონდ!.. წინაწიხე წივიწინმე... წიმე წიმაწილე წიმოწივალ.

ასე უთხრა და სწორედ ეს იყო, დრამატურგმა რო აღმოაჩინა, თორემ ის რაო, — ვედრება რაო, — ვედრებამ არ გაჭრა რაღა თქმა უნდა. გამოიყოლა მასპინძელმა დიასახლისი, ამათ რო გააცნო, „აი ჩემი ქალბატონიო“, გამოიყოლა მოფერებითა და თავი უბუცა სამზარეულოში, არც აქეთაო და არც იქითაო, სამზარეულოში უბუცა თავი: ემანდ არ გეგონოს, ვითომ ხელი ჰკრაო, სიტყვა ჰკრა ხელზე უფრო უარესიო: და დადგა სუნი სამზარეულოსი, დადგა, დატრიალდა თუთის ქვეშაცა: მალე მოჰყვებოდა თუ რაც მოჰყვებოდა, დრამატურგს მანამდე უნდა გაერკვია, რა ახალ ენას რო წასწყდომოდა ან რა დიალექტს რო წასწყდომოდა ან ადვილად თუ შეისწავლებოდა:

მე გამიძნელდაო, მასპინძელი მოახსენებდა, ახლაც ასეაო. გაგებით ვიგებ, პასუხი ძლივს მომიხერხდებაო, ანთუ გავიგებ, ოღონდ როდი გავუგონებო: მაშინ ვერ ვიგებდი, ვუგონებდი მაინცა, მაპროწიალებდა თავის ნებაზედა, ისე წიკწიკებდა, ისე წიწინებდა: გადმომიდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გებოდა და ქუქუნებდა, ქუქუნებდა და წივწივებდა: „წიგეწინაწიცვაწილე!.. წიშეწიმოწიგეწივლე!... წიდაწიგეწინაწიყე!.. წიდაწიგეწილიწიე!..“ წივწივებდა და ბასს დააწევდნენ დობილებიცა, შემოგვერტყმოდნენ, შემოგვეხვეოდნენ, გაგვიყვანდნენ, მიგვატოვებდნენ ბაღში თუ სადმე, მოლუკლუკე რუებთან სადმე, მოგვჭიკჭიკებდნენ ანთუ შორიდანა, ანთუ აღარც მოგვჭიკჭიკებდნენ, აღარც გვაკრთობდა სიმარტოვეცა, ყოველი ბუღულიც ქოხი გვეგონა, ქოხი ჩვენი, ჩვენი. საკუთარი: თიბათვე იდგა, ჭახჭახებდა ცაზე ვარაკვლავები, გვერცხვინებოდა ვარსკვლავებისაცა, ბულულებში შევრგავდით თავაა. თივის ბულულებში, ბაღებში ცხადია, შევრგავდით და შევიმალებოდით: ბულბულები დაგვგალობდნენ, დობილები აღარც გვინდოდა, ეს წიკწიკიც აღარ გვინდოდა: „წიგეწინაწიცვაწილე!.. წიშეწიმოწიგეწივლე!.. წიდაწიგეწინაწიყე!.. წიდაწიგეწილიწიე!..“ არაფერი აღარ გვინდოდა, აღარავინ აღარ გვინდოდა, ალვაილიყავით ერთმანეთითა: და ამიტომაც ადვილად გავბედეთ, ადვილად წარვსდექით დედაჩემის წინაშე და მოვახსენეთ ადვილადაცა, როგორც მასწავლა რო ბულულებში: „წიჩვენ წიუწიკვე წიცოწილქმაწირი წივართ“, – მოვახსენეთ და რო ვერ გაიგო სიტყვები ვერა, მიხვდა მაინცა მისახვედრელსა, რო გაგვხლართოდა თმებში ბალახი, გამხმარი ბალახი რაღა თქმა უნდა, — თიბათვე იდგა-მეთქი, ბულბულობა იდგა, ბულულები იდგა, შეყვითლებული ბულულები მწვანე ბაღებში; შიგადაშიგ რო მბალი ლუოდა, დაბრაწული მბალი, ქართული მბალი: ეგეც რო გაწყვა, მომენატრება ხოლმე!.. თუმცა ეს რაო, რა მაგია პასუხია?! პასუხი ისაა, რო დამაგდო და ქალაქს რო გავარდა დედაჩემი, ქალაქიდან რო მამამ მაუწყა, აქ ჩამობრძანდი და მარტო ჩამობრძანდი, ორივე ერთად არ დამენახოთო, აბა! ახლა აქაურ ამბავს თუ იკითხავთ, — აქ ამან იწივლა, ამანა, აი ამ ჩემმა დედოფალმა, როგორ თუ ქალაქს არ წამიყვანო, ქალაქი მინდოდა და იმიტომ აგეკიდე, თორემ აქ ცოტ[illegible] უკეთესი, გამოვიკრავდი ბოხჩაშიო, რომელსაც რო ვინებებდიო, აბა!... იწივლა და იწივლა... ეწივლა რა!.. აიღეს ხელი ჩემმა მშობლებმა, გავუცრუე ყველა იმედი და აიღეს ხელი: ცეკვას მასწავლიდნენ, მუსიკას მასწავლიდნენ, ანთუ როგორც რო ამბობენ ხოლმე, ცეკვაზე დავყავდით, მუსიკაზე დავყავდით, ინგლისურზე დავყავდით, ტანვარჯიშზე დავყავდით, ცურვაზე დავყავდით, გამომრჩა რამე?... ხატვაზეც დავყავდით, ხატვაზედაცა! ეგება კიდევ რაიმე გამომრჩა, რაც უნდა იყოს, ნიჭი არ მეყო არაფრისათვისა, თავი ვერსად გამოვიჩინე, ამასობაში სკოლააც ჩამოვრჩი და დამახვიეს რეპეტიტორები, ასპირანტურაში მაინც დავტოვოთ, რახან არაფერში არ ივარგაო, – დამახვიეს და დამახვიეა; ასე დაგეგმეა ახალი იმედი, ახალი ოცნება ამოიჭრეს ასე, ჯერ სკოლაც რო არ დამემთავრებინა, და აი დავუმხე ეს ოცნებაცა, დავუმხე და აიღეს ხელი, ამაა ეწივლა რამდენიც უნდოდა ეწივლა რა!.. ამას მარტო დიდედა ჰყავდა, დაგვიგურგურა ამის დიდედამა, კიდევ კარგი, რო დაგვიგურგულა თორემ აბა რა გვეშველებოდა, ბულულები რო გაზიდეს ბაღებიდანა, ნეტავი რა გვეშველებოდა, იმასაც რო თავი გამოედო, .რა დროს თქვენი ცოლქმრობააო?! ისე ამანაც უკლო წივილსა, ფარხმალი დაჰყარა: „წიესწია წიყოწიფიწილა წიჩეწიმი წიბეწიდი“, – თქვა და დაჰყარა, დაემორჩილა ბედისწერასაო; მე ასე გამიიძნელდა, სხვამ ეგებ ისწავლოს უფრო ადვილადაო, გაამხნევა მასპინძელმა დრამატურგიცა, რეჟისორიცა, დოცენტიცა, ჰაერიც მოყნოსა გამომცდელადა, ამითიც გაამხნევა, მალე აუფრა გაიშლებაო:

დიასახლისმაც გამოიხედა:

— წიმანდ წიგაწივშაწილო წითუ წიშინ წიგაწივშაწილო?..

აქ გვირჩევნიაო, ბრძანა მასპინძელმა და მაინც იკითხა, თქვენ რას იტყვითო;

რახან აგრეა, აქ გვირჩევნიანო, დასტურის სტუმრებმაცა და სუფრაც გაიშა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლა იქავე, თუთის ქვეშა, რო შრიალებდა ტოტი თუთისა, შრიალებდა და განაგრილებდა, ამოსაცნობი არა იყო რა, — შრიალებდა და განაგრილებდა, — ეს ის არ გახლდა, ტოტი ვერხვისა, რაზე, ვინ უწყისო, რო ვერ გაეგოთ:

სუფრაც გაიშალა და მოიბოდიშა დიასახლისმა:

— ცოტახანს დაგტოვებთ, ვიცი, მაპატიებთ, მალე გეახლებით!.. — მოიბოდიშა ასე სუფთადა, სუფთა ქართულითა, და გაიკვირვა დოცენტმა, არ უხუმრია, მართლა გაიკვირვა:

— ეს რა კარგი ქართული გცოდნიათ!..

— ო, რასა ბრძანებთ ბატონო ჩემო!.. ისე ვიცოდით გოგოობისასა... ბიჭები თავს იმტვრევდნენ... ვერთობოდით... ახლაც ზოგჯერ მოხდება ხოლმე... მაპატიეთ!.. მალე გეახლებით!..

— ცოტა მოგვითმინეთ, — შესძახა დრამატურგმა, — რახან ასეა, კადლეგრძელოთ დიასახლისი, — წამოდგა ფეხზე, აჰყვნენ სხვებიცა, ანუ დოცენტი, ანუ რეჟისორი, მასპინძელი არ წამომდგარა:

— დავბრუნდებით მეთქი, — ეუარა დიასახლისი, — მოვუსწრებ ჩემს სადლეგრძელოსა, სუფრასაც კიდევ რაღაც აკლია, იმასაც მოგისწრებთ, თქვენ შეექეცით, მიირთვით, შეგერგოთ: იმდენი სუფრა იშლება აქა, მადლეგრძელებენ ისე და იმდენსა, რო მისხითმისხსაც ეყოფა ჩემსასა, ისინი ცალკე რო არც ადლეგრძელონ: სადლეგრძელოთია თუ როგორც თუ რა არის. ჯანზედაცა ვართ, გავმრავლებულვართ კიდევაცა, დაგვხვევია შვილიშვილები, ერთსაც არ წუთიწუთს ველით. სწორედ იქაა, რო მივეშურები... თქვენც გაგამრავლოთ!.. — დალოცა ასე დიასახლისმა, დაასწრო ასე დიასახლისმა. აჩქარდა ასე დიასახლისი, და რო წავიდა, წაიტრაბახა დოცენტმა, ანთუ იხუმრა:

— აქეთ რა გითხრათ, ჯერ ოჯახსაც არ მოვკიდებივარ. მაგრამ იქითა, იქით რო ვიყა... — თვალი და ხელი გაუსწორა სადღაც შორეთსა. — კარგახანს ვიყა და ჩამოვარიგე იმდენი შვილი, შვილიშვილებიც მოჰყვებოდა ალბათ იმდენი, თმაცა არ მექნება ალბათ იმდენი...

გამიგონია ეგეთებიცაო, შენიშნა მასპინძელმა:

— მე ცოლიც ერთი მყავს და შვილიც ერთი, — ეს დრამატურგმა გამოიდო თავი, — მე ამათზე წესიერი კაცი ვარ, ოღონდ ესაა, გამრავლებისა რა მოგახსენოთ, შვილი რაა იტყვის, იმაზეა დამოკიდებული;

გამიგონია ეგეთებიცაო, შენიშნა ისევ მასპინძელმა, პური გატეხა და ჭიქა ასწია, ღმერთი ვახსენოთო, ყველაა თავის გზით გაუმარჯოსო, სიტყვა არავის არას უშველისო, ასწია და გაჰყვა, გაჰყვა და გავიდა... აღარ მოვყვები თუ როგორ გავიდა. ისე თუ სუფრა როგორი რა არის, ეს ჩვენი სუფრაი, ეს დალოცვილი, მართლაც რო სუფრაი და და მართლაც რო დალოცვილი, რო ჰგავს ერთმანეთსა და არც რო არა ჰგავს, ჰგავს და კიდევაც განსხვავებულა, საგრძნობლადაც განსხვავებულა, როგორც რო კაცნი, როგორც რო ფოთოლნი, ბალახი ერთგვარი, ყვავილნი ერთგვარნი, ჰგვანან და არც ჰგვანან და მაინც განსხვავებულან, ოღონდ მაინც აღარ მოვყვები, რადგან საგულისხმო აქ მხოლოდ ისაა, რო მოათავეს წესი ყოველი, რო აიშალნენ წაასვლელადა, დრამატურგს მაინც არ დაავიწყდა ენათმეცნიერნი, შევატყობინებ უათუოდაო:

დრამატურგა რო არ დაავიწყდა, ჩაერია დოცენტიცა: აქ არა კმარა ერთი დარგის სპეციალისტი, უნდა ბევრნი გაერთიანდნენ, კომპლექსური შესწავლა უნდაო:

— მობრძანდნენ ბატონო, მობრძანდით ბატონო, — მასპინძელი არ დაბნეულა, — ე ღვინო გვეყოფა. სხვა მეტი რაღაო, ყველი, პური და კეთილი გულით, გულიც გვეყოფა. პურსაც და ყველსაც როგორმე ვიშოვნით:

კიდევ შეყოვნდნენ, კიდევ იმსჯელეს, მთავარმა რეჟისორმაც ჩამოუსწროთ ამაობაში და განახლდა სუფრაი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნიშნობა

ზურაბ, შენ დიდი გულისტკივილით მომითხრე ეს ამბავი. მეც გული მეტკინა. შენ ისიცა თქვი, სასჯელი ჯერაც არ მოუხდიათ. მე ვითომც გამოვუშვი ამ ჩემი მოთხრობისათვისა, მაინცა სჯობიან, რო ასე დამთავრდეს, — ჰა, შენ რას იტყვი?...

ეს რაღაც უცნაური ნიშნობა გამოდგა, არც ვიცი თუ საიდან დავიწყო, — ეგება მაინც ამგვარადა სჯობდეს:

დედა წიოკობდა,
არ დამანახოთ თვალითაო,
შინა წიოკობდა.

მამა და ბიძები ჭიშკარს მისდგომოდნენ, რკინის ჭიშკარსა, ხელები გაეჩარათ ლიობებში ჭიშკრისა, ხვეულთა შორისა, გაეჩარათ და აქნევდნენ, მუშტავდნენ და ფარჩხავდნენ თითებსა.

იქიდანაცა ფარჩხავდნენ და მუშტავდნენ თითებსა, იქიდანაც გადმოეყარათ მკლავები ახალგაზრდებსა, ტალიკ-ტალიკ ბიჭებს გადმოეყარათ მკლავები, იმხელა მკლავები და იმა ძალისანაი, რო შემოამტვრევდნენ ჭიშკარს ადვილადა, რო დაიქუხებდნენ კიდევაცა ისე, მართლა ქუხილი რო გეგონებოდა, მაგრამ არაო, ლაპარაკობდნენ ხმადაბლისადა, რიგრიგისადა ლაპარაკობდნენ, აშოშმინებდნენ, ამშვიდებდნენ მამა-ბიძათა, და თუ ისინი შეარყევდნენ ჭიშკარსა მაინცა, ესენი მყისვე გააქვავებდნენ, რკინის მკლავებით გააქვავებდნენ, ჩაიცინებდნენ და დაატანებდნენ, აბა, ეგეები არ იყოსო.

თვალს აარიდებდნენ მამა-ბიძანი;
დედა წიოკობდა,
არ დამანახოთო:

ხოლო ის ისე აყუდებულიყო იქითა, ლობეზედა, მეზობლის ლობეზედა, დაინახავებოდა უსათუოდა ფანჯრიდანაცა, კარიდანაცა, აივნიდანაცა, დაინახვებოდა სასიძო ბიჭი, ქუდი რო თვალებზე ჩამოეფხატა, რო წამოეაეცა ქურთუკის საყელო, ხელები გულზე რო დაეკრიფა, და რო დაჰყურებდა თუ როგორა შრიალებდა ფოთოლი, ყვითელი, წითელი, ჭრელი, ნაირფერი ფოთოლი, — სასიძო ბიჭი, დასანიშნავად რო მოსულიყო, ძმაბიჭები რო მოეყვანა, რო მისდგომოდნენ ძმაბიჭები ჩაკეტილ ჭიშკარსა, და რო შიგნიდან გადალობილიყვნენ მეციხოვნენი, მართლაც თითქოს და მეციხოვნენი, გადალობილიყვნენ, ჩასაფრებულიყვნენ, ვაითუ ჭიშკარმა რო ვერ გაუძლოსო;

აი აგეთი ნიშნობა გამოდგა:
გადაიდო და ასე მოექცა:
; ხუთი წლის წინათ უნდა შემდგარიყო, — ხუთი წლის წინათა!..

ჟამსა გაზაფხულისა, კვირტები რო აფეთქებულიყო, — აზიდულიყო და ფეთქავდა, სკდებოდა, ზოგი იაეცა, რო ამოვარდებოდა ბუდიანადა, ამოვარდებოდა და გაიელვებდა იისფერ ბურუსში საღამოისა, წყნარი, მშვიდი საღამოისა, ისეთი მშვიდისა, ადამიანებიც რო ერიდებოდნენ, არ შევაწუხოთო, — მიმოდიოდნენ ფეხაკრეფითა, ლაპარაკობდნენ ჩურჩულითა, ანთუ არცთუ ლაპარაკობდნენ, ამოიტყოდნენ აუცილებელსა, სამზადისა რო უნდოდა, სამზადისსა ნიშნობისათვის, წუთი-წუთზე სასიძოს ელოდნენ და ელავდა კვირტები იისფერ ბურუსში საღამოისა, თითქოს და რაო, თავისებური ფეიერვერკია, უნაზესი ფეიერვერკია, პრელუდია უტკბილესი ცხოვრებისაო; წუთიწუთზე რო სასიძოს ელოდნენ და გრძელდებოდა წუთი იგი, გრძელდებოდა და გრძელდებოდა. — დილამდე გაგრძელდა და დილამდე ფეთქავდა, ელავდა კვირტები დილამდისა დაუცხრომლადა და დაუქანცავადა, მხოლოდ ესაა, რო ლოდინი დაილია, დაცხრა, დაიქანცა, მანამდე დაიქანცა, დილამდისა, და ისე დაიქანცა, რო იქვე მიავიწყდათ მშვენიერება იმა ღამისა, მომლოდინეთა რაღა თქმა უნდა, პატარძლიაანთა რაღა თქმა უნდა, მიავიწყდათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშვენიერება და სიავე შერჩათ, სიმწარე შერჩათ აგერ აქამდისა, მამა-ბიძანი რო ჭიშკარს მიწყდომოდნენ და დედა შინიდან რო გამოჰკიოდა, — აგერ აქამდისა;

აი ასეთი ნიშნობა გამოდგა;

წადითო, ამბობდნენ მამა-ბიძანი, ჰო გესმით, დედა რა დღეშიაო;

წავალთო, მიუგებდნენ ჭიშკარს მომდგარნი, გვესმის და წავალთო, ოღონდ გოგომ დაგვითხოვოსო;

ისე არაო, ნწ, არაო, იქით სასიძოც ისე უაროდა, არც ხელებს რო არ ჩამოუშვებდა, არც ქუდს უკან რო არ გადაიგდებდა, არც თვალს რო არ მოაცილებდა აშრიალებულ ჭრელ-ჭრულ ფოთოლსაა, რო ჩამოცვენილიყო და რო ცვიოდა, ცვიოდა და ცვიოდა, ისევა, და ისევა მთელს სოფელს რო ათოვდა ეგრევე ჭრელ-ჭრულადა, ათოვდა და ათოვდა, ახალ ნართვილარზე როგორც რო იცის; მხრებზედაც დასდებოდა ფოთოლი სასიძოსა, ძმაბიჭებსაც ეყარა ფოთოლი, მამა-ბიძასაც ფოთოლი ეყარა, ნაბდის ქუდებსაც აჰკროდა ფოთოლი, გულზედაც აჰკროდათ. თითქოს გერბია თუ რამ ნიშანია ციხესიმაგრის დამცველებისაო;

კიდევაც იცავდნენ თავგამოდებითა: მკლავები გაეყოთ, ვეება მკლავები, უქნევდნენ, წადითო, თორემაო... ემუქრებოდნენ;

არცთუ მომხდურნი შეუშინდებოდნენ არც მოუხტებოდნენ, რო შინებოდათ, ეს ჰო ცხადია და რაღა თქმა უნდა, ოღონდ ეტყობა, იმედიცა ჰქონდათ, გოგო გადმოდგეაო, რო დაეყინათ;

გოგო არა ჩანდა,

იმედი მატულობდა, —

ჰო უცნაურია?... უცნაურია!... მაინც იმატებდა იმედი მომხდურთა. ბიჭიც უფრო ჩაჰკიდებდა თავსა, სასიძო ბიჭი, იმედი დაჰქნევდა, დაზიდავდა იმედი:

სიტყვა სიტყვააო, ამტკიცებდნენ მომხდურნი, სიტყვა მოგვიცია და ჩვენს სიტყვას არ გავტეხთო;

სიტყვაც გატეხეთ და უპატიურობაც მოგვაყენეთო;

ვაი, ჩვენს თავსაო, მართლაც რო თავში შემოიკრავდნენ მომხდურნი, ეგ ვითა გვკადრეთო, ნიშნობა გვითქვამს და აგერა მოვსულვართ, გველოდით და გეახელითო:

ეგ როდის იყოო, ჰეჰეი, როდისაო, უკვირდათ დამხვდურთა:

როცა რო იყო, სიტყვა სიტყვააო:

სიტყვასაც თავისი მანძილი აქვსო, იმ ღამეს რო მოსულიყავით, თუნდ გათენებისაა მოსულიყავით, თუნდ მეორე დღესა, ჰა და ჰა, კიდევ მესამე დღესაო...

ვინ გამოგიშვაო, თავში ხელს ირტყამდნენ მომხდურნი ისევა:

ჰოდა, თქვენს თავს დააბრალეთო:

ფათერაკსაო: ფათერაკიც ჰო გაგონილაო:

გაგონილაო, — გაგონილიყო და ვერ ახირდებოდნენ მამა-ბიძანი, ფარ-ხმალსაც დაჰყრიდნენ. შესაძლო არის, მაგრამ დედა ისევა წიოდა, ეგება რო თმასაც იბდღვნიდა, — და რო ვერ დაჰყრიდნენ ფარ-ხმალსაა ცხადია, ჭიშკარსაც ვერ გამოეცლებოდნენ:

წიოდა ისე, ისე გაჰკიოდა, უბანი უკვე კარს მოსდგომოდათ, კარს მოადგებოდათ მალე მთლად სოფელი, ვეება სოფელი, ქალიან-კაციანადა, ძაღლიან-კატიანადა:

მოადგომოდა:

გამოვიდესო, ბურდღუნებდა ბიჭი, იაევ ისე თავჩაქინდრული თუ დაზიდული ბეჭებიანადა, თვითონ თუნდაც ნურაფერს იტყვის, მე ვიტყვი და გაგეცლებითო:

მეტი რა გინდათო, იხევდა მომხდური:

გოგო არა ჩანდა, მაინც არა ჩანდა:

ამდენიც აღარა მცალიანო, გაბრაზდებოდა ბიჭი თანდათანა, კაცი მყავს მოსაკლავი, მეჩქარებაო:

ეჰეი, რას ამბობო, შეიცხადებდნენ მამა-ბიძანი, აჩქარდებოდნენ, გაფოთდებოდნენ, აად რა შევუდგათ კიდევა ჭიშკარსაა, შეუვალად როგორ ვაქციოთო:

რასაც რო ვამბობ, ეგ მე ვიციო, არად ჩაუგდებდა ბიჭი, თქვენ გოგო დამანახვეთ, ერთ სიტყვას ვეტყვიო:

ეროვნული

გოგო არა ჩანდა, არა და არა ჩანდა, არა და ბიჭს უნდოდა ეთქვა, რო არა ტყუოდა, არაფერში არა ტყუოდა, მართალი იყო, ალალი იყო, შებღალულიყო და აღარ იცოდა, როგორ მოერეცხა ეს ბღალი, ეს ბიწი, როგორ რო ისეთად გამოჩენილიყო, როგორიც გახლდათ; ხუთი წელიწადი ციხე რო ხეხა, ტყუილა ხეხა, იმ ღამის მერე ხეხა და ხეხა, სწორედ იმ ღამისა, — აი გამოუშვეს და მოვიდა კიდეცა; მეტი არც შეეძლო, ცხრაკლიტური ვერ გამოანგრია, წიქარა არა ჰყავდა, არც სარკე ჰქონდა კუდიანისა, ამირანიც არ იყო, არ იყო ცხადია ოღონდ ბაყბაყდევა მაინც რო მოჰკლავა, ეს უნდა ეთქვა, ესეც ცხადია, ოღონდ უფრო ის უნდა ეთქვა, პირი რო არ გაუტეხია, სიტყვა რო არ გაუტეხია, რო მოდიოდა, მოდიოდა, აქ მოდიოდა, გადაუდგნენ და გზა გაუმრუდეს, — ეს უნდა ეთქვა და ეს უნდა ეთხოვა, შენ მაინც ნურაფერს დამაბრალებო. ის ეყოფოდა, რაც დააბრალეს, რისთვისაც რო ხეხა, ის ეყოფოდა; ქურდობა დააბრალეს... ქურდობა დააბრალეს ცამოწმენდილზე, ნიშნობისად მიმავალ გზაზე, როცა ცა ქუდად რო არ მიაჩნდა, დედამიწა რო ქალამნადა, — ეგრე მიჰქროდა, ანუ მოჰქროდა, მოაქროლებდა ახალ მანქანასა, ახლათ-ახალსა, კაკაოსფერ 24-საა; მოაქროლებდა, მოაგელვებდა, ჯერ რო მართლაც რო აწყვეტილი, მერე მოეშვა იაე უეცრადა, უცნაურადა, როგორღაც ისე, თუ რო რაღაცით არ შევთამამდი, იქ ისე ვერ გამოვცხადდებიო; ასეცა ხდება ასეთ წუთებში, ასეცა ხდება და ახვაგვარადაც, ოღონდ აქ მაინც ასე რო მოხდა, ეს იქცა სწორედ ფათერაკადა, ან ფათერაკი საღლაც დაიწყო, აქ გაიხლართა და გაიკვანძა; ანთუ რაც მოხდა, აქ წარიმართა მაინც ამგვარადა: მანქანა შეაგდო ინტურისტის ეზოში და იქიდანვე კაფეში გაჩნდა: რახან რო ჩქარობდა, დარბაზისკენ არც მიუხედავა, იქვე ბუფეტთან ენისელი გაახსნევინა და, რახან ჩქარობდა, დალევაც ვერ მოასწრო, თავა რო წაადგნენ, წამობრიანდითო; წამობრ[illegible] ნი რო გახლდნენ, ერთი ჰო სასიძო და ორიცა მაყარი, — ის ორიც ჭიშკარს მიჰყუდებოდა, ის ორი უფრო გულდაგულ ითხოვდა, გამოიხედოს ერთი გოგომაო, — წამობრიანდითო ერთის სიტყვითა; იმღამეს ბინა რო გაეტეხათ, რო ვერ მიეგნოთ გამტეხთათვისა, რო ვერც ვერავისთვის ეჭვი შეებედათ, ამათზე იეჭვეს და შეჰბედეს ამათა; ამათ გაიოცეს რაღა თქმა უნდა, იმათ არაო, არ დაუჯერეს, კითხვები დააყარეს სეტყვასავითა, და, რო ვერ აუვიდნენ იმდენ კითხვასა, რო დაიბნენ, რო გასავათდნენ, იმის პასუხი სულ ველარ იპოვეს, თუ რო მართლაც ეშურებოდნენ, რადა ჩქმალავდნენ მანქანას ეზოში, რად არ დააგდეს ქუჩაშივეო, —ვერა, ვერ იპოვეს, დაიბნენ ასე. კიდევ უფროც დაიბნეოდნენ, აჰკიდებდნენ იმ ქურდობასა, ზედ აჰკიდებდნენ სხვასა და სხვათაცა, იმ ხანებში თუ რაც მომხდარიყო, ადამისყმობას თუ რაც მომხდარიყო, მაგრამ მათ ბედად, ისინი იპოვნეს, იმღამინდელი დამნაშავები, იცნეს, გამოტყდნენ, აღიარეს იგი სხვანიცა; ოღონდ ესენი მაინც არ გაუშვეს, ეს ბეჭდები რიღასიაო, ვიღასიაო, საიდან არისო; აუხსნეს ცხადია; ვინ დაუჯერა:!. არც დაუჯერებდნენ რაღა თქმა უნდა, როცა ამდენი სიცრუე რო იყო, მართალი რო ვერავის ეთქვა, რო ვერც ეთქვა და არც რო სჯეროდათ, გარეთაც არა, ქუჩაშიც არა, არც რო მოედანზე და ლამის შინაც არა სჯეროდათ, მით უფრო იქა, გამოძიებაში, ყველა საეჭვო რო გამხდარიყო, ყველა და ყველაფერი, თვით ისინიცა, გამომძიებელნი, – არ დაუჯერებდნენ რაღა თქმა უნდა, საეჭვონი რო საეჭვოთა, ალალმართალთაც არ დაუჯერებდნენ; თუმცა აიხირეს, თუმცა გაჯიქდნენ, აქ მაინც რო არ დაბნეულან, გამოვარკვევთო, დაჰპირდნენ ცხადია, და გამოარკვიეს: ერთი ამათგანი, მაყართაგან ერთი, რო უკვე მჯდარიყო „სპეკულიანტობის“ მუხლითა, „ავტომანქანებით სპეკულიანტობის“ მუხლითა, გამწვავებული და გაცხოველებული მუხლითა... გამოარკვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს... და კრიალებდა „24“ თვალისმომჭრელადა, ბზინავდა, კრიალებდა გაზაფხულის მზეზედა, კრიალებდა გაზაფხულის მთვარეზედაცა, კრიალებდა და კრიალებდა იისფერ ბურუსში, — თუმცა არაო, ჰო არ იცის ქალაქებმა იისფერი ბურუსი, — არ იცის, არ იცის, — რაც იცის, კრიალებდა. იმაში კრიალებდა, თვალისამომჭრელადა, მთავარიც ესაა, თვალისმომჭრელადა, და თვალიც მოსჭრა, განა თუ ერთსა, განა თუ ორსა, — რამდენიმესა; გამოიჩარხა ბრალდება ამათი და „საქმე“ შედგა; „საქმე“ შედგა და „საქმე“ დაემატა, დაემატა და დაემატა, ერთი გამომძიებელი დაიტანა ქვეშა, ერთიც მოსამართლე დაიტანა ქვეშა, ერთიც პროკურორი დაიტანა ქვეშა, ერთიც კონტროლიდან დაიტანა ქვეშა, ერთიცა. — აი უნდა მოვკლაო, — ეს უკვე ინსტიტუტის თანამშრომელი გახლდა: საიდან სადაო. მოგახსენებ რაღა თქმა უნდა, ჯერ ოღონდ ესაა თუ როგორ იზარდა, რა დაემატა და ვინ დაიტანა, ვინა და ვინა და მოკვლით ვის ემუქრებოდა; ჯერ ოღონდ ესაა, და გაჰკიოდა დედაი საპატარძლოსი, გაჰკიოდა ასიდედრო, მომაშორეთო, გაჰკიოდა და ბიჭი ფეხს რო არ მოიცვლიდა. მოჰხრიდნენ ნებსა მამა-ბიძანი, ერთად მოჰხრიდნენ და ერთად აუქნევდნენ. წადიო. ჰო გეამისო: მეამისო. ოღონდ უნდა ვუთხრაო. უნდა ვუთხრაო და უნდა ეთქვა, რო არ უშველა რო არაფერმა, ანუ არ უშველათ, რახან მანქანა რო იაე კრიალებდა, რო ახალი იყო, ისე ახალი. ის იყო, რო აეძრო ჭდეი. რახან რო თვალსაა სჭრიდა და გამომძიებელს რო მოსჭრა თვალი, — აღარაფერმა აღარ უშველა: რაა იზამ, კრიალებდა ისე, რას იზამ. მოსჭრა თვალი; აქ აღარაა განმგეპელი ადამიანი, საგანია და თვალია მხოლოდა. თვალია, თვალი, — თვალი სჭამს და თვალი ჰყლაპავსო, რაა იზამ აბაო: ამას ხუთი წელი აჰკიდეს, იმ ორთაცა ცხადია, მანქანა დარჩა გამომძიებელსა. ოღონდ ისე ადვილად არ დარჩა და აღარც შერჩა. რადგან იმ გაზაფხულსაა და იმ ზაფხულსაცა, იმ შემოდგომასაცა, სცრიდა იაე ალმაცერადა. სხვამსაც რო აჭრიდა თვალსაა „24“. ის კაკაოსფერი „24“ ისე მოტანილი, ისე მოგდებული, ხელიდან გაშვება რო არ შეეძლებოდა: არც რო უნდოდა რო გაეშვა მოსამართლესა. ანთუ ბედმა თუ იმას შისთარჯა, — იდავეს მშობლებმა. აჰყვა იაიცა, დაიოლვა განაჩენი. ხელახლა იძიეს, გამომძიებელი მისცეს პასუხისგებაში. ამათ იგივე ხუთ-ხუთი აჰკიდეს. მანქანა დარჩა მოსამართლესა: ასე სჭრიდა და გადავიდა ხელიდან ხელში. გადავიდა და გადავიდა: ისევ რო დაარღვიეს და ისევ რო გაარჩიეს, ამათ დაუტოვეს ისევ ხუთ-ხუთი. მოსამართლე მისცეს პასუხისგებაში და მანქანა პროკურორს დარჩა; ანთუ რო უნდა დარჩენოდა. გაცხარდა მაშინა იმ პატარა ქალაქში დიდი სიტყვა ვისაც რო ეკუთვნოდა, — რა ბედისწერამ აგიტანათო. — გაცხარდა და ბრძანა, მანქანა ინსტიტუტს გადაეცითო; რაღაა იზამდნენ. — გადაეცითო: გადაეცითო და რო გადაასცეს. მერე იქ ატყდა ორომტრიალი. „24“ რო ჯერ არ გამოეყოთ ინსტიტუტისათვისა, რო მოსწყენოდათ „მოსკვიჩები“. „ჟიგულებიც“ რო მოსწყენოდათ. „ზაპოროჟეცებიცა“ რაღა თქმა უნდა. მოსწყენოდათ და მოჰბეზრებოდათ. რა ატყდამეთქი ორომტრიალი. შეხლა-შემოხლა. მიწევ-მოწევა. დავა და კამათი გაცხარებული ყოველ კრებასა თუ ყოველ თათბირზედა. სულ სხვაა რო ამბობდნენ. სულ სხვასა და საზოგადოსა. საჭიროსა და აუცილებელსა ინსტიტუტისათვის. ქალაქისათვისა. ქვეყნისათვისა, ერისათვისა. ოღონდ მხოლოდ რო ის იგულისხმებოდა: „24“ მე მეკუთვნისო: შენ არა, — მეო: არცერთსა, — მეო: არა, — მეო: მეო... მეო... მეო... შთამომავლობა რაა იტყვისო. დაუფიქრდით თუ რას იტყვისო: როგორც რო იყო. ერთს დარჩა ბოლოსა. — ერთი იყო და ერთს დარჩებოდა. — და აი სწორედ ის უნდა მოვკლაო... ამის თქმა უნდოდა: ვეტყვი და წავალო. ისე არაო, ნწ, არაო, თუნდაც აქვე რო ჩამოვშეშდე, ვიდგები, დაე, ჩამოვშეშდეო; გამოჰკიოდა ამაოდა დედაი შინიდანა.



კ. მარქსის სახ. საქ. სსრ
სახელმწიფო რესპუბ...

ოთარ ჩხეიძე
ბიბლიოთეკა

ბუხუნებდა მამაი ამაოდა ჭიშკართანა, ბუხუნებდნენო თუ ბურდღუნებდნენ ბიძებიცა ამაოდა, ამაოდ გაეჩარათ ვეება მკლავები ღრეჩოებსა თუ ხვეულებში ჭიშკრისა, ამაოდა რაღა თქმა უნდა, იქიდანაც რო გადმოეყარათ ბიჭებსა უფრო ღონიერი მკლავები, რო არ გარჯიდენ ღონისადა, რო გაუხახუნებდნენ დაყვავებითა, მიფერებისად რო გაუხახუნებდნენ, დაცხრებოდნენ მამა-ბიძანი, ანთუ ბიძანი უფრო დაცხრებოდნენ, — გარეგნულად არა ცხადია, — და აიჩეჩავდნენ მხრებსა ისე, ვითომ ჩვენ რაო, ჩვენ სხვა რა ვიღონოთ, დედაკაცი რო იაე გაჰკივისო: გააჩუმეთო; რა გააჩუმებსო: მაშინ გოგო გამოვიდესო: არ გამოუშვებს, თორემ აქამდეც გამოვიდოდაო: ეგრეთი რა არისო: არ გაგიგონიათ, დედაკაცმა თუ გაიწიაო... ეგრეთი არიაო: მაშინ ჩვენ შევგიშვით, ვეტყვით, ავუხსნით და გამოვბრუნდებითო: ცხვირი არავის შემოაყოფინოთო, ზრიალებდა ფანჯრები, თორემ ცეცხლს მივცემ აქაობასაო: აბა რა ვქნათო: და იდგა ჭიშკარი, რკინის ჭიშკარი, ცივი ჭიშკარი, ცივი ხვეულებითა, ცივი ჩუქურთმებითა, ცივი დღე რო იყო, წუხანდელი რთვილის შემდგომა, რო დიოდა ფოთოლი, რო თოვდა ყვითლადა, ჭრელ-ჭრელადა და უფრო ყვითლადა, რო ასინებდა, რაღაცაი, — ქარი როდი რო, — სად იყო ქარი!..

და თოვდა, თოვდა, ყვითლადა, ჭრელჭრულადა: და რო თოვდა, და რო შეფოთლილიყვნენ, დასცვიოდათ და იფოთლებოდნენ იაევა და ისევა საიძოცა, ბიჭებიცა, მამა-ბიძანიცა: ოღონდ ბიძანი იაე აღარ იფოთლებოდნენ, რო ირყეოდნენ, ტოკავდნენ, იხრებოდნენ აქეთიქითა, რო მობეზრებოდათ ის ავი კივილი თუ გადმოძახილი, მობეზრებოდათ და იხრებოდნენ სასიძოსკენაო თუ იმისკენაო, — ალბათ უფრო სასიძოსკენაო, იმის ლალატი რო გაებედათ: ვერ გაებედათ რაღა თქმა უნდა, ოღონდ მაინც რო შეჰყურებდნენ, შეჰყურებდნენ იმა თვალითა, ეგება ამასაც რამე შეეტყოსო, რამეს მიგიხვდეს და ყაბულს დაგყვესო: ბიჭი მაინც ფეხს არ იცვლიდა, არც ეს ბიჭები, — ერთი ჩვენ ვიყოთო, თვალებში ეს ეწერებოდა, ბიძებსა ცხადია, ერთი ჩვენ ვიყოთო ამათ ადგილასო: აადაც რო იყვნენ, არც ესენი იცვლიდნენ ფეხსა: დაალევიეს რო სიგარეტები ბიჭებმა, რო მისთავაზეს, რო ჩამოართვეა და რო მოსწიეს, ამათაცა, ამოქაჩეა, ამოხაპეს რო ერთი ამოთქმითა, ერთი ამოთქმითაც რო ამოაბოლეს თითქოს დარდი ამოიტანეა, ამოიცალნენ ბოღმისაგანაო, ამოიცალნენ ერთბაშადაო, ანთუ თითქოსაო, ანთუ მართლაცაო, მაინც სულერთია, ფეხს არ იცვლიდნენ: მაინც ზავსა ჰგავდა, ეს აქა, ფრონტზე, თუ ციხედ ითქვა, — ციხის ბურჯებთანა, ხოლო იქ, ციხეში, რაღაც დავასა თუ თათბირს რაღაცასა, ბოლო არ უჩანდა: დროდადრო ისევ ამოვარდებოდა, არ დამენახოს თვალითაო; ამოვარდებოდა და გადაივლიდა, გადაჰყვებოდა ფოთოლთა ცვენასა: და ადიოდა ბოლი ჭიშკარსა, და მოსდგომოდნენ იქიდანა, და მისდგომოდა აქედანა; როდემდის ვიდგეთო, ბუხუნებდნენ ბიძები ერთადა, ბუხუნებდნენ საყვედურისადა,; ოღონდ თუ ვისდამი საყვედურისადა, ვერ მიუხვდებოდი, — ბიჭებისაო თუ ამათიო, ძმისა და რძალისაო; როდემდისაც ვიდგებითო, ბიჭებიც მიუგებდნენ, ოღონდ ისეთი ბუხუნით ვერა, ჯერ ხმა იაე არ დამდორებოდათ:

და იდგნენ, ელოდნენ სიტყვადალეულნი, ქინდალეულნი, ლამის რო უნდა შეჰბმოდნენ ერთმანეთსა, იდგნენ და ელოდნენ სულ სხვა ბრძანებასა, — დაიშალეთო, ამას ელოდნენ: თუმცა ბრძანება არ გამოუციათ, ეს არაფერი, გოგო გამოიჭრა აივანზედა, ეს იყო, რაც იყო: გამოიჭრა და გამოჰყვა ხელი, როგორღაც დიდი თუ გაფიჩხული ხელი, ჩაეჭიდა ქურთუკის საყელოში, ამან გადიგდო მხრები, მკლავები, შეატოვა ქურთუკი ხელსა, შეატოვა და გადაირბინა ყვითელი თუ ჭრელ-ჭრელი ფოთოლი, აივანი რო ალესილიყო, გადაირბინა თუ გადააფრინდა კიბესაცა, შეფოთლილსა იმგვარივედა, გადააფრინდა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიეჭრა ალაყაფსა, მიეჭრა და ზედ აეტოტა, თითქოს ცხაურია საპატიმროსი, იქიდან ის მოვა, პატიმარი იგი, იქიდან ის აეტოტება და მივაწვდენთ სითბოსა ერთიმეორესა, როგორმე მივაწვდენთო;

აეტოტებაო და აეტოტა რაღა თქმა უნდა, ჩამოეკიდა ეს რო აქედანა, ის იქიდან ჩამოეკიდა;

— არა ვტყუივარ, იცოდე, რო არა ვტყუივარ, არც შენთანა და არც არავისთანა!.. — შესძახა ბიჭმა და ისე შესძახა, რაღაც რო იგრძნო, რაღაც უცნაური, არასოდეს რო არ დამართოდა: თვალებში ცრემლი ჩამტბორებოდა;

— ვიცი...

— ეს უნდა მეთქვა, — დახუჭა თვალები ბიჭმა და ცრემლი მოიწურა, ია ერთი მოიწურა და მორჩა, აღარ მოუვიდოდა ცრემლი;

— ისედაცა მჯეროდა...

— ჰა?!. — აფოფინდა ბიჭი;

— ისედაცა მჯეროდამეთქი...

— მაშ ახლა წავალ...

— რაღად წახვალ?!..

— რო უნდა მოვკლა.

— რად უნდა მოჰკლა?!

— არ უნდა მოჰკლა!.. — გაჰყარა ხელები მაშინვე გოგომა, მოეჭიდა ბიჭის მკლავებსა:

— უნდა მოვკლა!..

— რად უნდა მოკლა?!

— იმისი ბრალია!.. ამ დავიდარაბას არ შევეყრებოდი... პირველ წელიწადსაც რო იმან ჩამჭრა, ვერ რო შევბედეთ, ჩამჭრიდა ცხადია; მეორე წელსაც იმანვე ჩამჭრა, რო ეცოტავა, ჩამჭრიდა ცხადია: მესამე წელს რო წინასწარ მოვურიგდით, სხვამ მეტი ჩაუდო და მე პირი მიქცია, ჩამჭრა ისევა რაღა თქმა უნდა... გარეთ რო დავრჩი და ფულიც რო შემრჩა, მანქანა ვიყიდე, ჯავრს რო არ მოვეკალი... ეს იყო... ასე იყო... ახლა ის დაჰქრის ჩემი მანქანითა, მაინც ის დაჰქრის!.. არ მოვკლა მაშა!... — აუხსნა ბიჭმა; ასე აუხსნა და დაუმტკიცა;

— არა!.. — შეევედრა გოგონი, უფრო მოეჭიდა ბიჭსა, მიეგლისა უფრო ცხაურსარ, თითქოს აი და რკინას [illegible]

— მაშ რა ვქნა?!. — აიწურა ბიჭი. აიწურა და თვალები დააცეცა. მამა-ბიძებსაცა და თან მოყოლილ ბიჭებსაც დააცეცა, ფოთოლსაც დააცეცა. ისე უცნაურად აშრიალებულ ფოთოლსა. ქარი რო არ იყო, სიოც რო არ იყო. ოღონდ ისე ჭრელი რო იყო, რო არ ემჩნეოდა იდო თუ შრიალებდა: თოვდა. თოვდა. თოვდა ფოთოლი, შრიალი ალბათ ესეც თუ იყო, ქარი რად უნდოდა:

— ჰა?!. — იკითხა გოგომა. ისე იკითხა, მოკვლა აღარც გაახსენდესო. აცმუკდა და ისე იკითხა:

— ისე გავიტანჯე!.. — აჩქროლდა ბიჭი, მოუთათუნა ხელები გოგოსა. მოუთათუნა და დაირცხვინა, თუმცა ჩაახველეს და შებრუნდნენ ბიძიები. ბიჭებიც შებრუნდნენ. მამაცა ცხადია. ოღონდ მამა ცოტა კრთომითა. — თანჯრიდან ჰო არ გადმოგვცქეროისო...

— ცხოვრება ტანჯვისაა... — ბიძიები აბუხუნდნენ:

— მერე და რადაო?!. — იკითხა ბიჭმა:

— რადაო, მერე?!. — ბიჭებმაც იკითხეს:

— ცხოვრება ტანჯვისაა... — დაიბუხუნეს ბიძიებმა ისევა. ისევ ისე და ისევ იგივეი. რადგან მეტი რო არც იმათ იცოდნენ და არც რო მეტის ცოდნა არ უნდოდათ:

და რო აღარც იქ დგომა უნდოდათ. აქამდისაც რო ტყუილად იდგნენ. ეცნენ ჭიშკარსა და გაალეს ჭიშკარი. გაალეს, გაჰხსნეს, გააფარღალალეს:

და შედგაფუნდნენ ბიჭები ეზოში. ბიჭი და გოგო გაუძღნენ წინა. გაუძღვნენ ხელიხელ ჩაკიდებულნი.

ფოთოლი ცვივოდა. ნაირფერადა ცვიოდა ფოთოლი.. მაშინა სკდებოდა. მაშინა ფეთქავდა. ელავდა კვირტი იისფერ ბურუსში გაზაფხულის საღამოისა, — მერე და რაო: აფეთქდებოდა კვირტები ისევა. ფოთოლიც ისევ ჩამოცვიოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზურაბ კუხიანიძე

## ბოშა ქალი

ვარსკვლავიდან ჩამოტანილ
ყრუანტელის მთესველს ჰგავდა
ომის წლების ბოშა ქალი,
ომის წლების ეამერალდა.

მიტომ ახლდა უცხო ეშხი,
რომ ამქვეყნად ეფოფინა;
მისი კაბის ნაოჭებში
ჭრელ-ჭრელ ჰეპლებს ედოთ ბინა.

მოჩურჩულე ჩვენს ქუჩაზე
ჩაივლიდა ჩანჩქერივით;
მისი ხმა და სილამაზე
ხსოვნაში მაქვს ჩარჩენილი.

ხან წყუროდა,
ხან შიოდა,
იყო ჯიბეცარიელი,
მაგრამ ეშხით გაჰკიოდა:
მარჩიელი!
მარჩიელი!

კალი წარბის თამაშით და
ალევდიანი სტვენით, ცქვიტად
ჭიშკრის მერხზე კარტს გაშლიდა
ფაოშავანგის კუდივით.

მიბნედილი მზერა ჰქონდა,
თითქოს იყო ბანგნაავამი;
მჩხიბაობდა,
მკითხაობდა,
სათქმელს ცრიდა ნანასავით.

სიყვარულზე —
რაც გაფრინდა
ცაში ღრუბლებს ბარდებაო,
ეს ბიჭუნა ქარაფინდა
დიდი კაცი გახდებაო.

გატყობ,
გულში გიდევს დარდი,
წამწამებიც გეხრებაო;
ქალიშვილო,
სვალ-ზეგ კარგი
ბედ-იღბალი შეგხვდებაო.

შიგადაშიგ იყო ყბედი,
გაურევდა —
ჩემო დაო,
დადე ფული,
შენი ბედი
კარტში უფრო ამოვაო.

ვილაც ჩაიბუზღუნებდა —
ნეტავ, რა გვეკარტებაო.
ის —
მოხუცზე, —
თვალში ხედვა
მალე მოგემატებაო.

თუმცა კოტა გაქვთ სიმინდი,
ოჯახს ნუ ეფიქრებაო,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უეჭველად წლეულს დიდი
მოსავალი იქნებაო.

სიმდიდრეზე,
ოცნებებზე —
მკრთალ ნისლივით ქრებიანო;
ომში წასულ ქმარ-შვილებზე —
მალე დაბრუნდებიანო.

აუვსებდნენ კაბის კალთას,
გულს მოგვფინე სიამეო,
შენს პირს თაფლი,
თუ გაქვს ხათრი,
ხვალაც ჩამოიარეო.

და წყნარ ქუჩას ამხნევებდა
ესმერალდას ნაშიერი:
მარჩიელი!
მარჩიელი!
აბა კაი მარჩიელი!

მისძახოდა მთელი ქუჩა —
ციგნის ქალო იხარეო:
ხვალაც ჩამოგვიარეო,
ჴვალაც ჩამოგვიარეო.

მიდიოდა და პეპლები
თან მისდევდნენ ბოშა ევას,
თბილი კაბის ნაოჭებში
გრილი ღამის გასათევად.

## *სახლიკაცები*

დიდი ხანია ფიქრი მაწვალებს —
თქვენზე რაიმე მეთქვა, მემღერა:
სახლიკაცებო,
თქვენ გენაცვალეთ.
ჩვენ ერთი გვყავდა ქვეყნად პეპერა.

ღვინო არ ჰქონდა წყალგარეული,
მტერს არ ხვდებოდა როგორც ჯაბანი:
ამრავლა ჩვენი საგვარეულო
დაუოკებელ სისხლის ჩქაფანით.

ვით ქვეყნის ერთგულს ეკადრებოდა,
იშრომა,
უხვი იყო მზესავით,
რომ საქართველოს შემატებოდა
გუთნისდედა და ხანჯლის მლესავი.

მიმოიფანტნენ შვილთაშვილები,
არმოშიშარნი გზაზე დაცემის...

შეგვრჩა, ვით ეშხი ყრმობის დილებია,
თბილი სახელი — სახლიკაცები.

საუკუნეებს ფარავს ბურანი,
შეუწყალებლად წლები მიდიან...
მაგრამ გულებში გაუხუნარი
ერთი კერიის ცეცხლი გვინთია.

არ გაგვეგონოს შუღლი და შური,
ერთი ჰაერით ვსუნთქავთ,
ვარსებობთ...
ვით წყლის წვეთები მთიდან ნაჟური —
ერთი კლდისა ვართ, სახლიკაცები.

მაგრამ გვახსოვდეს —
კლდეს თავს ახლიან
მსურველნი მისი დაბარბაცების...
დღეს საქართველო კლდის სასახლეა
და ჩვენ ვართ მისი კარისკაცები.

* * *

აღარ მოდიხარ,
გახდა ლოდინი
მძიმე და მაინც მჯერა იმედის...

აღარ მოდიხარ,
ტუჩგაფოთლილი,
ნეტავ თვალებით, მოკიმციმეთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფარდებს დავუშვებ,
რომ ჩემს დარაბში
მარტო ვიყო და
ჩემთვის ვიმხედრო;

ფარდებს დავუშვებ,
ჩემს ფანჯარაში,
შენს მეტმა არვინ შემოიხედოს.

## კიდევ კარგი...

ფეხს როდესაც ავიდგამთ, —
დედამიწა ირწევა;
როცა გზა და ბილიკი
შორით გველაციცება,
ქვეყნად კაცის ცხოვრება
სწორედ მაშინ იწყება.

პეპლებს დავსდევთ მინდორში,
თუ სალამქროდ გავდივართ,
ვიცინით თუ ვქვითინებთ,
მოვიწყენთ თუ ვანთივართ,
თუ მტკიცე გვაქვს ნაბიჯი,
მაინც დარდიმანდი ვართ.

მგლის მუხლი თუ გვაბია,
ჯიხვებს გამოვენთებით,
თოვლს და ნამქერს გავარღვევთ,
ვაკედ გვიჩანს ქედები;
სიარულით ვკაცდებით,
სიარულით ვბერდებით.

ჩვენო ტანაშოლტილო,
ლონიერო ხეებო,
ძელქვებო და მუხებო,
ცაცხვებო და თელებო,
ბევრჯერ ნაჯახდაკრულო,
ბევრჯერ ნადღეგრძელებო:

მზის პირველი სხივები
გიხარიათ ჩიტივით,
გატკბობთ შაშვის გალობა,
ტოტზე ხტომა თრითინის;
და კაცივით გჩვევიათ
ჩურჩული და ქვითინი.

თქვენაც იცით ტრფიალი,
ალერსი და ლაციცი,
დარში ლალობთ, ავდარში
თქვენც კაცივით ხმას იცვლით,
მაგრამ, ჩემო კარგებო,
სიარული არ იცით.

თქვენი ნედლი ფესვები
მიწის ძარღვებს ერთვიან,
თქვენი მწვანე ფოთლები
ცის სილურჯეს ეტრფიან;
თქვენი ფეხის გადადგმა
და სიკვდილი ერთია.

ყინვას უძლებთ, გვალვაში
არ ხმებით და არ იწვით,
აზანზარებს თქვენს ტოტებს
მობერილი ქარი ცით...
კიდევ კარგი, ხეებო,
სიარული არ იცით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტაგუ მეზურნიშვილი

## სულ სხვა ვარსკვლავზე

ნათობს ნათელი, ნათობს ნათელი
ხუთიათასი წლის წინანდელი.

გრწყინავს მირიად დღეში, ღამეში
შუმერის მუზა და გილგამეში.

რად არ გახევდი, რად არ გაქვავდი
ხელო,
დამქცევო შუმერ-აქადის.

აგერ აქამდი, აგერ აქამდი
სტკივა სიკვდილის ნაბრჭყალ-ნაქარდი...

კაცობრიობის პირველ ბავშვების
შუქს პეპლებივით ვეთამაშებით.

ბევრის ჩავიდა. კიდევ რამდენის
მზე ჩავა, სისხლის ცრემლდანადენი?!

— შენ, შენ რა გელის, ჩემო მამულო,
შიშისფეთებავ მარადჟამულო?!

— მე?
სიცოცხლეზე ჯვარდაწერილი
სულ სხვა ვარსკვლავზე ვარ გაჩენილი.

## გულის გულის გულამდე

ნოდარ დუმბაძეს

ძნელი საპოვნელია
(არ არი დასამალი),
კარგი დასტაქარი და
უებარი წამალი.
მკითხე შეჭირვებულმა
(გაქვს მისჯილი ჭირთმენა):
წამალი ან ექიმი
სნეულს ხომ არ სჭირდება!
ის არ ხდება პირველად,
მეორედ ან მესამედ,
სხვას რომ შველი.
თუნდ იყო
ავადმყოფი მკვნესარე.
მხოლოდ სიყვარულია
მზისგულა და მზისთვალა,
ტყუილია წამალი
ზრუნვა ნუგეშიათანა!
გულის ამჩვილებელი,
თბილი და ლმობიერი,
ყურადღება

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სალბუნი
არის სალმობიერის.
ვინ არ იცის,
რომ არის
ძველთაძველი, ბებერი,
სიტყვა —
ადამიანის
მკვლელიც.
მაცოცხლებელიც.
შვილთა მისთა სატკივარს
ასე რომ აყურადებ,
საქართველოს უყვარხარ
გულის გულის გულამდე.

* * *

ანაზდად
საკენკს რომ იპოვის ეზოში კრუხი
და უხმობს წიწილებს:
ჩემთან მოდით, არიქა ჩქარა,
ასე მოვუხმობ ჩემს მოძმეებს,
რომ ვუწილადო სიხარულის ოქროს
ნატეხი...
მე ეს ბაჯაღლო გზისპირ ვიპოვნე:
ალმოდებული სახლიდან ვილაც
უცნობმა კაცმა
გამოიტაცა სამი წლის ბიჭი, —
ლურჯი პერანგი ჭიპამდე რომ
წვდებოდა ძლივსლა,
დაწყნარდა ხალხი მოვიშვიშე და
დაშოშმინდა,
ხოლო უცნობმა, ვითომცდა აქ
არაფერიო,
ჩამოიფერთხა ნაჩინჩხლები და გზა
განაგრძო.
ლოცვა-კურთხევის ზურგის ქარი
მიაცილებდა.

## საუბარი ჩემს წიგნთან—„თანდათან“

ასევ მომინდა გაგესაუბრო
სახლიდან წასულს ზლაზნით თუ
ფრენით.
რა გაგატანო?
ჩემი საწუთროს,
თუ საქართველოს ბედ-იღბლის ფერი.

რით ხარ მდიდარი?!
ან რით — ღარიბი?!
რაც მოგეც,
ღირდა მისი მოცემა?!
ანდა მკითხველის შუბლის ღარები
რას გამცნობს?!
წყენას თუ გაოცებას?!

ვის, ვის ესობი ეკლად და ლახვრად —
მტერს თუ მოყვარეს მშობელი მიწის?!
მაინც სადა ხარ?!
ღრმა ზურგში დგახარ,
თუ წინა ხაზზე გმირულად იბრძვი?!

იქნებ კარიკარ დახვალ სიმღერით
და იღიმები კანშემომცვდარი?!
იქნებ შორიდან მშობელს მიბღვერი,
რომ თაროებზე წევხარ მომცდარი?!

ეგებ ვერ წამლობ მოძმის ჭრილობას?!
იქნებ ქვა-კირად ველარ ქვა-კირობ?!
იქნებ გრცხვენია ჩემი შვილობა
და ჩემს მამობას იქნებ თაკილობ?!

იქნებ სულ ჩემი ხარ ალი-კვალი,
სიცილ-ტირილით მისდევ გზა-შარას?!
რაც მქონდა მოგეც და ის იკმარე,
მიუჩვეველო ლაგამ-ავშარას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალუდა არაბული

# ფიქრები გზებზე

## ფანდურის გზაზე

მძიმედ ეწევა ურემს კამეჩი,
ყრია ფოთოლი მიმოფანტული...
და შემოდგომის კურუმ ღამეში
მოწყურებული მღერის ფანდური...

მაღალი, უხვი და გალანტური, —
ყელმოღერილი და მოხატული,
თუ სილამაზეა უნდა დასტური, —
ისევ და ისევ მღერის ფანდური...

შეუხედავი და უნახველი,
უსიყვარულო და უმადური, —
სულის გამრყვნელი, გულის დამღლელი.
ჯერ არ გათლილა ქვეყნად ფანდური.

გაურანდავი და გარანდული,
ძმაკაცური და დარდიმანდული,
ლაღი, ზრდილი და ელეგანტური, —
უპირველესი იყო ფანდური.

ქართლის ველებზე შუქია ზვინები, —
ქართლის ზეცაში მზე გაბადრული,
ფანდურისაა ეს გვირგვინები, —
გამორჩეული გალობს ფანდური...

ქართლის გზებზე და ქართლის ყანებში
„ოროველა“ და სჭექდა „ნადური“,
და ხარს კოცნიდა ღმერთი თვალებში,
იმ ღმერთს კოცნიდა სულში ფანდური...

## ბალახის გზაზე

გაფრენილია წლები ტიალი, —
მოთიბულია ბალახი თივად...
გათეთრებულა ლამაზი ქალი —
და ახლა მგზავრებს უყურებს ცივად.

უცხოა არე, ტყე და კორდები,
და უცნობია — ნაცნობი მხარე...
ყოველთვის როცა თქვენ
მაგონდებით, —
ბადრი ამოდის ლამაზად მთვარე.

წყარო მღერის და მზე იკოცნება.
გადაეხვევა ფოთოლი ფოთოლს...
ქვეყანა ლურჯად შეიმოსება, —
დასწვიმს წვიმები და თოვლი
მოთოვს...

ბალახი ისევ მოითიბება,
ისევ ივლიან გზებზე მგზავრები...
თქვენ მაგონდებით: — ცა იღიმება,
ქრიან ნიმფები და სიზმრები...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოთიბულია ბალახი თივად, —
თმაშევერცხლილა ლამაზი ქალი...

მიმოივლიან დღეები ცივად,
და აკივლდება კორდებზე ქარი...

## ლანდების გზაზე

მთებს მისდევს ნისლის კოტორი, —
ელვა კრთის — ღრუბლის მრისველი...
აწყურთან მეფის კორდონი, —
და ხვთისმშობელი თისელის...

ხარშავენ დევთა ქვაბები
ნისლების ოხშივარებსა, —
თორის მთებს გადმოვადგები —
მიუვალ ჩემსა მთვარესა...

რაა გეუბნება თამარის
თვალი მწველი და გრემანი?...
მთავარი, — რაა მთავარი?!
აყვავებულა ტყემალი...

აწყურის ციხის ქონგური
შექნილა ნაქონგურიო...

ბევრი გყოლია ორგული...
ვითაც გიკვდება გულიო...

მთებს მისდევს ნისლის კოტორი, —
ელვა ღრუბლების მრისველი...
აწყურთან ყრია ფოთოლი, —
სტირს ხვთისმშობელი თისელის...

ხარშავენ დევთა ქვაბები
ნისლების ოხშივარებსა,

თორის მთებს გადმოვადგები, —
მივუვალ ჩემსა მთვარესა...
ჯერ ტუჩებს გადავუკოცნი,
მერე თმებსა და თვალებსა...

## სისხლის გზაზე

ჯანდაბას, — ქარმა იქროლოს თუ
ქრის,
დამრჩეს, ჯანდაბას, თვალები
ოხრად, —
გაღმა დიაცი აძოვებს თურქის,
ქართულ მიწაზე თურქისას
ძროხას...

დიაცს აცვია სამოსი, — წითლად...
წითლად ამ მიწას მე სისხლით
ვრწყავდი...
ახლა ისე ვარ, მართალი გითხრა,
თითქოს ამჩეხეს ყასაბის წალდით...

და წაეკიდა ჯაყელს ჯაყელი, —
შალიკაშვილი შეება ჯაყელს...
მოასხეს თურქის ბრბო და ასკერი —
და საქართველოს ბურჯები ნაყეს...

გასცეს სამშობლო ხალათზე ფაშის,
გაყიდეს რჯული და მოლა დასვეს...
თითქოს დილეგში დამაბეს მაშინ, —
და თურქის თვალწინ დღეს ძელზე
გამსვეს...

ასე ვარ ახლა, — არც მეტი ამის
და არც ნაკლები არ მეთქმის ყოფნა...
აგერ, რომ გაღმა სოფელი ჰყვავის,
უწინ ქართველის ითქმოდა სოფლად...

ახლა იქ თურქი აძოვებს ძროხას, —
დიაცს თურქისას აცვია წითლად...
დამკლა, არც წვეთი გამივა სისხლის,
ახლა ისე ვარ, მართალი გითხრა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თოვლის გზაზე

იყო, მახსოვდა: — უცხო ხედები,
დღე მიდიოდა და დღეს მიჰქონდა...
და მშობლიური რჩებოდნენ მთები, —
მატარებელი ჩქარი — მიჰქროდა...

ცა დაბინდული ნაზი ბინდებით,
თოვდა ლამაზად, თოვდა, მახსოვდა.
დამარცხებისთვის — ნუ შეშინდები...
ნუ შეშინდები... სინდისი გთხოვდა.

გზა იყო თეთრი, უბიწოდ თეთრი, —
უსაზღვროება იყო საზღვარი...

რარიგ გიყვარდა სევდა ჰამლეტის
და ოფელიას წამოსასხამი...

დღე მიდიოდა და დღეს მიჰქონდა
თოვლი და ზეცის ნაზი ბინდები...
გამარჯვებისთვის — შენ არ
ფიქრობდი...
დამარცხებისთვის — რად შეშინდები..

ველებს ეფინა მოალერსე მზე...
ქროდა გრიგალი, ქროდა, მახსოვდა: —
თოვდა ველებზე, თოვდა რელსებზე,—
და მერე რარიგ ლამაზად თოვდა...

## ნისლების გზაზე

ძაუჭიყაუს რუხი ნისლები
ისევ პირისპირ წვანან ტრამალის...
ცას გორგასალის კვეთენ ისრები, —
გადადრეკილა მზის ნატამალი...

გამართულია თითქოს ალლუმი: —
მოაგელვებენ ხმლებს ხაზარები...
მერე ამოდის მზე ყივჩაღური,
იწვის კოცონი და ხანძარები...

გაგიკვირდება ცა საფირონის,
ალმოდებული თერგზე ყორღანი...

მზის ალებიდან წვეთავს მირონი, —
მთვარის ალებში გრგვინავს ორღანი.

ქარი მოარღვევს სახოხბე ჭალებს.
ეხლება, ლასტავს ბალახს ბალახი.
გულები უხურთ ოსებს ქალებს,
დაყრილან მთები და იალალი.

არაგვის წყალი მოგწყურებია
და გრიგალები მთებზე მიხლილი...
ზეცას გუგუნი მოჰყურებია...
და გორგასალის ცხენის ჭიხვინი...

## კაფიის გზაზე

ალმა შევტოპეთ არაგვი, —
შევრიეთ ტყუილ-მართალი...
გამოვიარეთ ქალაქით:
ანანური და ჭართალი.

ანანური და ჭართალი —
მზედამზე გადანაყარი...

ქალო, გიხდება ფართალი, —
ცოდოა შენი მაყარი...

ცოდოა შენი მაყარი, —
შენი თვალების ბრიალი...
გამოჩნდა გუდამაყარი...
გზა დაილია ტიალი...

## მთვარის გზაზე

ნიკოფსით დარუბანდამდე
მიმოიმღერდა მთვარეო: —
ვეფხვის და მოყმის გამზრდელო, —
შე მგლის ლეკვების მხარეო...

ვაშა ლამაზო დღეებო,
მზეო, ცერებზე მდგარო...
დავითფეროულის ჯლრეებო,
ვოჟა ჯურლაის ფარო...

ცახეგოჯის და კლისურის,
არტანუჯის და თორის
ცავ, გულზე გულით მისულო,
ლორზე დაბდლვნილო ტორით...

მთა — თრიალეთის ქარებო,
ქარით ნატუსო მთებო,
ვაშა, ალგეთის ქალებო,
თქვე ბეწვაშლილო მგლებო!..

კავკასიონზე შემდგარი
რა ლამაზი ხარ, მზეო...
ქარი ქრის დაუდეგარი,
ქარზე ნაწოლო დღეო...

შე ვეფხვის ძუძუ ნაწოვო,
ვეფხვის ტოტებზე მდგარო...
ლომის სიზმრებში ნაწოლო, —
ლომის სიკვდილით მკვდარო...

ნიკოფსით დარუბანდამდე
მიმონავალა მთვარე:
სულ საქართველო ყოფილა,
ულამაზესი მხარე...

ვაშა, შენ სისხლო დაღვრილო,
სისხლით ნაპოხო მთებო,
ალგეთზე როტოდ აყრილო
გაუწურთნელო მგლებო...

ვაშა, რუსთველის შაირო,
ვაჟას შაირო, ვაშა!..
ნაფერო, ნაირნაირო,
მერე ნაფრენო — რაშად!...

წყალო, დაყარე ქვიშანი, —
სულო, ჩაიცვი თორნი...
დგას საქართველოს ნიშანი, —
ალგეთს ლეკვები — ორნი...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გოდერძი ჩოხელი

# მოთხრობები

## ალმართი

თორღვა თამნიაური ბალღობიდანვე გამოირჩეოდა დანარჩენი თანასოფლელებისაგან. როგორც კი ენა ამოიდგა და ლაპარაკი ისწავლა, იქიდან მოყოლებული ყველაფერზე ყურადღებას ამახვილებდა.

— აი ის ქვა ვინ მოიტანა? — კითხულობდა თორღვა.

— პაპაშენმა, — ეტყოდნენ თორღვას.

— როდის მოიტანა?

— წინათ.

— საიდან მოიტანა?

— ბუსარჭილიდან.

— რატომ მოიტანა?

— სჭირდებოდა და იმიტომ.

— რაში სჭირდებოდა?

— სახლისთვის.

— სახლი რად უნდოდა?

მანამდე კითხულობდა თორღვა, მანამ არ გაუბრაზდებოდნენ, ან თავს აარიდებდნენ იმის გაუთავებელ შეკითხვებს.

ყველაფრის გაგება უნდოდა თორღვას, აქედან იქამდე — შორეულ წარსულამდე კითხულობდა, რატომ და რისთვისაო. თუ მოწმენდილ ცაზე მთვარე ამოვიდოდა, მთელი ღამე შეეძლო განუწყვეტლივ ეოცნება იმაზე, თუ საიდან მოვიდა მთვარე, რატომ მოვიდა, ან სად წავა...

თავდაპირველად აკმაყოფილებდა მშობლებისა და თანასოფლელების პასუხი. სჯეროდა, როცა დედა შეკითხვაზე ასეთ პასუხს აძლევდა:

— მთვარეს რა ახატია?

— ხელია, — ეტყოდა დედა.

— ვისი ხელია?

— მთვარეს თავის დედა გაუბრაზებია და დედამისს ცომიანი ხელი დაურტყამს. იმის მერე აქვს ეგ ლაქა.

თორღვას სჯეროდა. ისიც სჯეროდა, როცა მამა ეტყოდა მთვარეს კაცი და ძაღლი ახატიაო.

— რაისთვის? — კითხულობდა თორღვა.

— იმისთვის რომ ჰყარაულობენ, მთვარე არავინ მოიტაცოს.

თორღვას ისიც სჯეროდა, როცა მეზობელი ეტყოდა:

— მთვარეს ძროხა ახატია, ძროხას ქალი აწველის.

— რატომ სწველის?

— იმიტომ რომ მთვარეს აჭამოს, როცა მოშივდება.

ასე ივსებოდა ბალღობიდან თორღვას სამყარო. ერთ დღეს თორღვამ იკითხა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვინ გააჩინა ადამიანი?

— ღმერთმა. — უთხრეს თორღვაას.

— სად არის ღმერთი?

— ცაში.

— როგორ გააჩინა ადამიანი?..

— რატომ?..

— რისთვის?..

— ოდის?..

და აღარ დაარულდა თორღვას კითხვები. ვეღარ დააკმაყოფილეს მისი ცნობისმოყვარეობა. მერე თავის თავში დაიწყო პასუხის ძებნა და გულჩათხრობილი გახდა. იშვიათად თუღა იკითხავდა რამეს.

გუდამაყარში ახლაც ალავენ ხატში პირველა ხბოებს.

— რისთვის? — იკითხა თორღვამ.

— იმიტომ, რომ დანარჩენები გაზარდოს ღმერთმა, — უთხრა მამამ.

— ვინ მოიგონა პირველა ხბოების დაკვლა?

— აბრამმა.

— რატომ?

— მანამდე ბალღებს კლავდნენ.

— რატომ?

— ღმერთი აძლევს ადამიანს სიკოცხლეს და ადამიანებისაგანაც მოითხოვს გულუხვობას. არ უნდა დაგენანოს იმისთვის არაფერი, თუნდ შვილი.

— რაში სჭირდება.

— ადამიანს სცდის რწმენაში.

თორღვას აღარაფერი უთქვამს. თავმოჭრილ ხბოს დააშტერდა და მერე იქაურობას გაეცალა უხმოდ.

* * *

თორღვაასთან სიყვარულმა გაშალა თავისი ჭრელი ხალიჩა. თექვსმეტი წლისა არხოტელი მზექალი ჩაუვარდა გულში. ახოობას ნახა ხატში და იმის მერე აღარ მოასვენა ჩალისფერ თმებზე ფიქრმა.

აღარ მოეკიდა იმ ღამეს ძილი. ადგა, გარეთ გამოვიდა. სახლთან ცხენმა დაიფრუტუნა. ახსნა თორღვამ ცხენი და მოახტა უბელოს.

მთვარიანი ღამე იყო. ლორღიან გზაზე ძგრიალი გაუდიოდა ნალებს. შეუსვენებლივ გადაიარა ქვენამთა და ჯუთიდან გადავიდა არხოტში. მზექალის სოფლის თავს შეაჩერა ცხენი და არ ჩამომხდარა, იდგა და სოფელს ჩაჰყურებდა. მთვარის შუქზე გრძლად ეფინა ფერდობს კოშკების ლანდები.

კარგა ხანს იდგა ასე, მერე მოაბრუნა ცხენი და გათენებამდე თავის სოფელში იყო. ცხენი იქვე დააბა და დაწვა.

იმ დღის მერე ყოველ ღამ მიდიოდა არხოტში. სოფლის თავს შეაყენებდა ცხენს და იდგა უხმოდ. მერე ისევ უკან ბრუნდებოდა.

მერე მამა მოუკვდა და ოჯახი მას დააწვა შესანახად.

ახლა უკვე აღარ მიდიოდა არხოტში.

მთლად ჩაიხვია გული.

ერთი წლის მერე მთვარიან ღამეს, გიჟივით გამოვარდა სახლიდან, ცხენს მოახტა და არხოტისაკენ გააჭენა.

ისევ სოფლის თავს შეაყენა ცხენი. ჩამოხტა, აღვირი უზანგზე გამოაბა და საძოვარზე მიუშვა ცხენი. თვითონ სოფელში ჩავიდა. უხმაუროდ გაიარა ორღობეები და მზექალის სახლთან შედგა. მსუბუქად აიარა ქვის კიბე და ჭერხოში შევიდა.

მთვარის შუქზე კარგად ჩანდნენ აქაიქ მიწოლილი ხევსურები. თორღვა იმათ შორის ლანდივით დადიოდა. მერე უცებ ადგილზე გაქვავდა: მისკენ თმებგაშლილი მზექალი წამოვიდა ზემოთავიდან. ქალიშვილი თორღვაასთან მივიდა, შეხედა და მერე წინ გამოუძღვა ფეხაკრეფით.

თორღვამ, გასასვლელში რომ მივიდა, მძინარე ხევსურებს მოხედა და გარეთ გავიდა.

მზექალი ისევ წინ მიდიოდა. ავიდა და თორღვას ცხენთან გაჩერდა. მანამ ცხენზე შესხდებოდნენ, მანამდე ერთხელ კიდევ შეხედეს თვალებში ერთიმეორეს და მერე ლურჯას მიანდვეს ღამე და გზა.

გამთენიისას მივიდნენ ათნოხში.

ერთმანეთს ეყრებოდა დღე-ღამე. სულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვანაირი დღე ჩამოდგა. თორღვას წუთისოფელში, იმ დილით მზეც სხვანაირი სიხალისით ამოვიდა. ხმაურით ამოდიოდა. ახლაღა შეამჩნია თორღვამ, რომ მზის ამოსვლის სიჩუმეში, სამყაროს დიდი ხმაურია ჩაგუბებული. ყურს თუ მიუგდებ, გაიგონებ ამ ხმაურს; ოღონდ ყოველთვის არა. უსაზღვროდ ბედნიერნი, ან უსაზღვროდ მწუხარე უნდა იყო.

თორღვა ბედნიერი იყო. რატომღაც გაიფიქრა, რომ დღეს, მხოლოდ მისთვის ამოდიოდა ეს მზე და იმიტომ ხმაურობდა ასე.

მზექალს მარჯვენა ბეჭზე მთვარე ჰქონდა გამოსახული. რომ გაიხდიდა, ღამე ისე ანათებდა, ოთახში მკრთალი სინათლე დგებოდა. ჩამოიშლიდა ხოლმე ჩალისფერ თმებს და რაღაც ღვთიური შუქით გაბრწყინებული კეთილად უღიმოდა თორღვას.

— არავის უთხრა, რომ ნაწილი მაქვს, — გააფრთხილა მზექალმა.

თორღვას გაგონილი ჰქონდა, რომ ადამიანებს დაჰყვება ხოლმე რაიმე ასეთი ნაწილი, ზოგს მთვარე, ზოგს მზე, ვარსკვლავი ან ჯვარი, იცოდა, რომ პატრონები საიდუმლოდ ინახავენ ამას. ასეთ ადამიანებს ნაწილიანები ჰქვიათ და როცა კვდებიან, გვერდები ეტანებიან, რომ ნაწილი მოსტაცონ. ასეთ ადამიანს ნეკა თითზე უკბენს ხოლმე სიკვდილის მერე ახლობელი, რომ ის ნაწილი მათ გვარში ვინმეზე გადავიდეს შემდეგში.

თორღვამ იცოდა ყველაფერი და ჩუმად იყო, არაფერს ეკითხებოდა ცოლს.

პირველი ბიჭი ეყოლათ. იმ დღეს ხმაურით ამოვიდა მზე, მამუკაი დაარქვეს.

ზუსტად ერთი წლის თავზე გარდაიცვალა მამუკაი.

იმის მერე კიდევ ეყოლათ ბიჭი და ისაც ზუსტად ერთი წლის თავზე გამოეცალათ ხელიდან.

მერე მესამე... სამჯერვე ისე მოეჩვენა თორღვას, რომ მზე იმსხვრეოდა ცაზე.

მეოთხე კიდევ ბიჭი ეყოლა და ბალათერაი დაარქვა. უცნაური შიში ჰქონდა მზექალს და თორღვას თვალებში ჩამდგარი, ზრდიდნენ ბალათერას და წინასწარ სევდას ჰგვრიდა ის დღე, როცა ბალათერას ერთი წელი შეუსრულდებოდა.

სადღა არ დადიოდნენ ექიმებთან. ვერავინ გაიგო, რატომ უკვდებოდათ შვილები.

ბალათერა რომ ექვსი თვისა შესრულდა, თორღვაი შიშმა აიტანა. აღარ სცილდებოდა ბალღს. ისე შეუყვარდა, ერთი წუთიც ვერ სძლებდა უიმისოდ.

მერე უკანასკნელ ღონეს მიმართა და მკითხავთან წავიდა. მკითხავი გუდამაყრის დასაწყისში ცხოვრობს, მოხუცი ქალია, გველის დას ეძახიან. თავზე ყოველთვის თეთრი აბრეშუმის ფოჩებიანი ჩიქილა ახურავს.

— ძველი წესი უნდა აასრულო, — უთხრა მკითხავმა თორღვას.

— რა ძველი წესი?

— ღმერთი შენგან მსხვერპლის შეწირვას თხოულობს. პირველი ბალღი უნდა დაგეკლა და დანარჩენები აღარ დაგეხოცებოდნენ. ახლა რაც გყავს, ის უნდა დაკლა ერთი წლის თავზე, თუ გინდა მომდევნო გადაგირჩეს ცოცხალი.

თორღვა გამტკნარებული წამოვიდა სახლში. იმის მერე დაიწყო მისი წამება. გრძნობდა, როგორ ემსხვრეოდა სული:

— მოკალი... გადაარჩინე... მოკალი.... გადაარჩინე... — იმეორებდა ვიღაც უჩინარი თორღვას არსებაში.

იმის მერე უფრო შეუყვარდა ბალღი და გვერდიდან აღარ სცილდებოდა. მზექალსაც გაანდო თავისი ტანჯვა. არც ის იტანჯებოდა თორღვაზე ნაკლებად. ეცოდებოდა ბალათერაი, თან შვილი... და ერთ დღეს თვითონვე გაუცხადა თორღვას:

— იქნებ შემდეგი მაინც მართლა გაგვეზარდოს...

თორღვამ კინაღამ დაახრჩო ამის თქმაზე. მერე შეენანა მზექალი. მიხვდა. ქალს ამის თქმა ყველაზე მეტად უჭი-

რდა. ადგა და გარეთ გამოვიდა. ზემოთ მთაზე სალოცავი ნიში იყო. ამ ნიშს შეჰყურებდა თორღვაი. მერე გვიან შებრუნდა სახლში. ბალღს მშვიდად ეძინა აკვანში.

* * *

გათენდა. არც გაუგია თორღვას მზის ამოსვლა. ის ბალღს დაჰყურებდა წუხელს აქეთ. წელიწადი სრულდებოდა დღეს.

— მსხვერპლს როცა სწირავდნენ, დედები არ ესწრებოდნენ, — თქვა თორღვამ მზექალის გასაგონად.

მზექალმა თბილად შეუხვია პატარა ბალათერაი.

სანთელი ჩამოახვია თორღვამ. ხანჯალი გალესა. მერე რამდენიმე მეზობელი მოვიდა. ისინი ჩუმად დადგნენ შემოსასვლელ კართან.

თორღვამ ბალღი აიყვანა და აღმართს აუყვა. უკან რამდენიმე კაცი მიჰყვებოდა ჩუმად. დროდადრო ერთმანეთს რაღაცას წაუჩურჩულებდნენ, ან ჩაახველებდნენ რაღაცის ნიშნად.

დაცხა. მზემ თანდათან ამოიწია ცაზე.

აღმა მიმავალი გზა თანდათან ძნელი სასიარულო სავალი გახდა. თორღვას უნდოდა უსაშველოდ გაგრძელებულიყო ეს გზა. ბალღს საწოვარი ჩაუდო პირში, რომ არ ეტირა.

როგორც იყო მიაღწიეს მთის წვერს და ნიშთან მუხლი მოიყარეს.

თორღვამ ბალღი სიპის სარეცელზე დააწვინა და გამოხსნა სახვევებიდან. კაცები გახევებულნი იდგნენ და ქუდმოხდილნი უყურებდნენ. ბალღი საწოვარით იტყუებდა თავს. თორღვამ მთლად გააშიშვლა. მზე ხარბად დაეწაფა ჩვილის თეთრ ახეულს.

თორღვამ სანთლები აანთო. კაცები ადგილზე აკანკალდნენ. თორღვამ მათ შეხედა. კარგა ხანს უყურა, იმათ მზერა აარიდეს.

— წადით! — დაითხოვა ისინი თორღვამ. კაცები ჩურჩულით და ხველებხველებით დაუყვნენ დაღმართს.

ყველაზე მეტად ხანჯლის ამოღება გაუჭირდა ქარქაშიდან.

იქვე დამარხა და ჩამოჯდა. მზე ჩადიოდა. თორღვას ბოლმა გაეჩხირა ყელში და კინაღამ დაიხრჩო. მოეჩვენა, რომ ველარც მზე ჩაეტია ჩასავალში და გაიჭედა, ხრიალი დაიწყო სამყარომ, კინაღამ დაიხრჩო ისიც...

გვიან ღამით დაბრუნდა მთიდან.

ნინოს რომ ერთი წელი შეუსრულდა, მთელი სოფელი თორღვაის სახლთან მოგროვდა. თორღვაი და მზექალი გამტკნარებულები ისხდნენ აკვანთან.

გოგონას მშვიდად ეძინა.

— გადავრჩით — თქვა ერთხელ მზექალმა. მაშინ უკვე თორმეტი წლისა ხდებოდა ნინო. მასაც დედასავით მთვარე ეხატა მარჯვენა ბეჭზე. თმებიც ჩალისფერი ჰქონდა.

თორღვაის სიცოცხლეს იმედი დაუბრუნდა. მის გარშემო თავიანთი სახე დაიბრუნეს საგნებმა. ახმაურდა სამყარო. ის, რაც აქამდე არარაობის ნიღაბს ატარებდა, ყოფიერების ბეჭდით დაიბეჭდა თორღვაის მზერაში. მზე ყოველდღე ხმაურით ამოდიოდა და დაკარგულ სიხარულს ნაწილ-ნაწილ უბრუნებდა თორღვას. ეს გაგრძელდა მანამდე, სანამ ერთ დღეს მთიდან დაბრუნებულმა ნინომ პირდაპირ არ ჰკითხა მამას:

— მამავ, იმ მთაზე, ნიშთან, ვისი საფლავია?

თორღვას ხმა არ ამოუღია. გაშრა.

— რატომ მოკალი? — იკითხა ისევ ნინომ.

თორღვაი ერთიანად აკანკალდა.

— იმიტომ, რომ მე გავზრდილიყავი? ტყუილია... ტყუილია... — ორჯერ გაიმეორა ნინომ.

იმ დღის მერე ყოველდღე მიდიოდა ხოლმე ნინო მთის წვერზე. თორღვას მეტი აღარ შეეძლო.

კვირა დღეს თოფის ხმამ დაიარა მთელი ხეობა. მერე ყველაფერი ჩაწყნარდა. თორღვაი იმ დღეს სახლში არ იყო. შუადღისას მობრუნდა სოფელში. კაციშვილს ვერ მოჰკრა თვალი. გა-

იხედა: მთაზე შავად მიდიოდა ხალხი. მიდიოდნენ კი არა, მირბოდნენ.

სახლის კართან მზექალის თავსაფარი ეგდო...

მუხლები მოეკვეთა. თვალებში დედამიწა დაუტრიალდა...

მერე ალმართს აუყვა ალმა. ცხელოდა. ის ველარაფერს ველარ გრძნობდა. იმის გარშემო ისევ არარაობის ნილბები აიფარეს საგნებმა.

თანდათან ეკვეთებოდა მუხლები. ის გახსენდა, ბალღი რომ მოჰყავდა ამ ალმართზე ხელში აყვანილი. ახლაც საოცრად გრძელი მოეჩვენა ეს ალმართი და ინატრა ნეტავი უსასრულოდ გაგრძელდეს, ის მთის წვერი, ცაში აიწიოს და იქამდე ველარავინ აალწიოსო. მუხლები აუკანკალდა და მტვერში პირქვე ჩაემხო.

გონობაზე რომ მოვიდა, თავი არ აუწევია, ისე მიხვდა, რომ იმის გარშემო ხალხი იდგა უხმოდ. ისიც იგრძნო, რომ მის გვერდით საოცრად ძვირფასი არსება ესვენა.

არ აუწევია თავი. ისე მიხვდა, რომ უხმოდ წავიდა ხალხი ქვევით და „ისიც“ წაიღეს. მის წინ ბალახებს ცვარი ეკიდა და მზის სხივებზე ელვარებდა. „აქამდე როგორ ვერ გაუშვრია მზეს“ — გაუკვირდა თორღვას და საკუთარი თავი იმ წამში შეათვალიერა [illegible] ცვარში მრგვლად ჩანდა თორღვა[illegible]ვი. შორიდან მზექალის ჩუმი ქვითინი ჩაესმა თორღვას ყურში და წამოიწია.

ხალხი შავად მიდიოდა ქვემოთ.

აღარ იცოდა, საით წასულიყო. მის სულში ვილაცეები აუჯანყდნენ ერთიმეორეს. ერთი ქვემოთ, ხალხისკენ ეწეოდა თორღვაის არსებობას, მეორე ზემოთ, მთის წვერისაკენ.

„წადი, წაჰყევ ხალხს“ — აქეზებდა ერთი.

„რა გინდა იქ, არარაობის მეტს ველარაფერს ნახავ“ — ეუბნებოდა მეორე ხმა.

„წადი, გააგრძელე შენი დარჩენილი წუთისოფელი...“

„მთაზე ადი და შენც იქ დაასრულე ყველაფერი, სადაც ნინომ დაასრულა...“

„წადი ქვემოთ...“

„მთაზე მეთქი...“

„წადი...“

„არ წახვიდე...“

ხან ზემოთ გადადგა ნაბიჯი, ხან ქვემოთ, მზე საშინელი ხრიალით ჩადიოდა ჩასავალში...

ლასლასით აედევნა სოფლისაკენ მიმავალ ხალხს თორღვაი. სხეული ეკვეთებოდა, მაგრამ სული მაინც სოფლისაკენ მიითრევდა.

## დაკარგული სიყვარულის დასაბრუნებლად

ყოველთვის, როცა სიტყვა შეყვარებულებზე ჩამოვარდება, მაშინვე ბექა გამახსენდება ხოლმე და მეშინია...

არ ვიცი კი რისა მეშინია — სიკვდილისა, თუ სიყვარულის...

— არა! არა! სიკვდილისა ნამდვილად არ მეშინია, ალბათ სიყვარულისა მეშინია, თუმცა რას გაიგებ: იქნებ სიყვარულისა იმიტომ მეშინია, რომ შეიძლება სიკვდილს დაატარებდეს თან...

ოთახში ორნი იყვნენ. ფანჯრიდან მთვარის შუქი შემოდიოდა და მკრთალად ანათებდა კედლებს. ოთახი იყო ძველებური, შემურული ჭერით და კედელზე გადაკრული ფარდაგებით. ერთ კუთხეში ფარი, ხმალი, ხანჯალი, სამკლავე და ჯაჭვის პერანგი ეკიდა ერთიმეორის მიყოლებით. კიდევ ეკიდა სხვადასხვა იარაღები.

მთვარე ხან ძლიერად გამოაშუქებდა, ხან ფერმკრთალდებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთახში ორნი იყვნენ და ლაპარაკობდნენ. უფრო სწორად, ერთი ლაპარაკობდა, მეორე კი ყურს უგდებდა.

— ის, ქერათმიანი ჩემი მეუღლე იყო. მერე იმასთან დაიწყო სიარული.

— ვისთან, მაღალი, გამხდარი რომ არის?

— ჰო, სათვალიანი რომ არის, იმასთან. იმ ბიჭს ვაჟა ჰქვია, ჩემი ბავშვობის მეგობარია. რას წარმოვიდგენდი! იმ გოგოს, ჩემს ყოფილ ცოლს ირინე ჰქვია. ერთი თვის უკან ირინემ გამომიცხადა, რომ ვაჟას მიჰყვება ცოლად.

— მერე?!

— არაფერი. ჯერ ხელი არ მოუწერიათ.

— შენ არაფერი უთხარი?!

— მე, მე არაფერი. არც კი ვიცი რა უნდა ვუთხრა. იაე კი, მართლა მიმიიმს. აი ახლა, ამ წუთშიც მიყვარს.

ორივენი ჩუმად არიან.

ბექა ადგა და ასპილენძის კოდიდან თასით ავიანი ლუდი ამოიღო. ჯერ სტუმარს დაალევინა, მერე თვითონ დალია. ესიამოვნა ცივი ლუდი, ფანჯრიდან გარეთ გადაიხედა. სოფლის განაპირას, სათიბებში დადგმული კარვები გამოჩნდა.

— სულ რამდენი ხართ? — შემობრუნდა ბექა.

— თვრამეტი ვართ.

— არხოტში ჯუთიდან გირჩევნიათ გადასვლა, — თქვა ბექამ და ისევ დაწვა.

კარგა ხანს ჩუმად იყვნენ. მერე ბექამ იკითხა:

— გიყვარს?

— ახლა უფრო მეტად, — თქვა სტუმარმა.

— ბავშვი არა გყავთ?

— ორი წლის გოგო გვყავს, იამზეს ვეძახით. ძალიან ჰგავს დედას. შეიძლება არც გავშორდეთ.

— რა?!

— შეიძლება არ გავშორდეთ-მეთქი.

ორივე გაჩუმდა. მთვარემ უფრო ძლიერად გამოანათა.

ბექა იწვა და თავის [illegible] ცაა ებრიოდა. არასოდეს არ უყვარდა თავის თავზე ლაპარაკი. ახლა კი თავისთავად გადმოხეთქა დაგროვილმა სიყვარულმა ბექას შეუვალი სამყაროდან და ერთხელ კიდევ დალია ცივი ლუდი.

— აუჰ! კარგია, — თქვა სტუმარმა.

ბექამ ფანჯრიდან კარვებს გადახედა და რატომღაც გაიფიქრა: „ახლა ამის ცოლი იმასთან ათენებს კარავში. ამას კი უფრო მეტად უყვარს". ბექას სტუმარი შეებრალა და ახვა დროს რომ სიტყვას ვერ ამოაღებინებდი სიყვარულზე, ახლა მოუნდა ეთქვა ვილაციისათვის და შუაღამისას, გუდამაყარში განთქმული დეკანოზის შვილიშვილი, ბექა ჩოხელი, თავის სტუმარს დაკარგულ სიყვარულზე უყვება:

— ნინო ერქვა. ჰო, კი არ ერქვა, ახლაც ჰქვია.

ერთ მერხზე ვისხედით. ჩვენს კლასში მარტო ის ერთი გოგო იყო. კლასში სულ რვანი ვიყავით და როცა ფეხბურთს ვთამაშობდით, ხან ჩემს მხარეზე იყო და ხან იმის მხარეზე. ნინოს ყოველთვის კარში ვაყენებდით. იმას გურამი ჰქვია. მეხუთე კლასში ორივეს შეგვიყვარდა. ნინომაც გაიგო და ამის მერე ყოველთვის ჩემს მხარეზე დგებოდა კარში. მეექვსე კლასში უარი გამოგვიცხადა ფეხბურთის თამაშზე და დავრჩით შვიდნი.

ჩემს ცხოვრებაში არ ყოფილა დღე, რომ ნინო არ იდგეს იმ დღის ან დილაში, ან საღამოში, და მიყურებს. აი ახლაც მიყურებს, ვიცი რომ მიყურებს. თუმცა, არა, ნინოს მე ვუყვარდი. ერთად დავდიოდით ტყის ნიორაზე, ქორწილებში, ხატში, ხან სიზმრებს მიყვებოდა. სიზმრები იცოდა ლამაზი, მეუბნებოდა — ცა ეკრანია და ზედ ჩემი სიზმრები ერთმანეთს არ აცდიან ჩემს გართობასაო. შუაღამისას გვიმგზავრია ერთად. კაზე გავსილი მთვარე იყო. მე მიხაროდა, რომ შეიძლებოდა რამე საფრთხეს გადავეყროდით და მე შემეძლებოდა ნინოს დაცვა. იმასაც უხაროდა და

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იცი რა, უცებ გაყვა იმას ცოლად... ისეთი გულცივი გახდა, ხმა აღარ გამცა. გესმის, თითქოს არც კი მცნობდა. მე კი, როგორც შენ ამბობ, ახლა უფრო მიყვარს. ვწევარ ხოლმე აი ამ ტახტზე და ვოცნებობ. ისეთივე ნინო მყავს ოცნებაში, ქერათმიანი, ოდნავ სუსტი. ცაზე დიდი მთვარეა და ჩვენ მთიდან მოვდივართ. მე მიხარია, რომ ნინოს დაცვა შემიძლია. იმასაც უხარია და სიზმარს მიყვება. სადღაც მგლები ყმუიან. მე პაპაჩემის ნაქონი ხანჯალი მაქვს თან. აი ის, კედელზე რომ კიდია. რატომ მილაპარაკა, არ ვიცი. იმას კი ვერავინ დამაჯერებს, რომ არ ვუყვარდი, თუმცა შენს გარდა, ასე გულახდილად არავისთან მილაპარაკია ამის შესახებ და იცი...

ბექა უცებ შეკრთა.

მისი სტუმარი გულიანად ხვრინავდა...

* * *

სასამართლოს უამრავი ხალხი ესწრებოდა. გამოძიება დიდხანს არ გაგრძელებულა.

ბექა იჯდა და არავის არ უყურებდა. როცა მოსამართლემ ჰკითხა, თუ რა მიზეზით მოკლა სტუმარი, მან ასე განაცხადა:

— არ ვიცი...

როცა მოსამართლემ განაჩენი გამოიტანა, ბექას ძარღვიც კი არ შესტოკებია სახეზე. ის იმ დროს ქმრის გვერდით მჯდარ ნინოს თვალებს წააწყდა და იმ წუთში ვერცკი მიხვდა, თუ რას ნიშნავდა სიტყვა — დახვრეტა!

როცა სადმე სიყვარულზე საუბარს მოვკრავ ყურს, მაშინვე ბექა მახსენდება და რატომღაც მეშინია, რომ როცა დასახვრეტად მიჰყავდათ, მაშინაც კი დაკარგული სიყვარულის დაბრუნებაზე ფიქრობდა...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლილი მეხი

# დუმილი

## რომანი

1

ცალ ფეხზე ჩამუხლული ლევანა სათითაოდ სინჯავდა სახარდნე ჭიგოებს, ხელში ატრიალებდა, ამოწმებდა. ამ წელიწადს გაუძლებსო, — დაასკვნა ბოლოს და გუდურების შეკვრას შეუდგა. მის გაოფლილ ქედს, მზითა და ქარით დაშაშრულ ხელებს გულგარეთ და უსიამოდ შესცქეროდა ბიჭი; ახლა ამ ტვირთს ამკიდებსო, — ეს კი არ ადარდებდა, უფრო ის უსიამო წინათგრძნობა აწუხებდა, მამასთან გარდუვალ შეხლა-შემოხლაზე რომ მიანიშნებდა..

უხმოდ, უსიტყვოდ ირჯებოდა ლევანა; ხელიც წააშველა, სინედლისაგან გაჟიჟინებული ეკლის ხარდნების შეკრა მხარზე აუდო შვილს.

ემძიმა ბიჭს, მაგრამ არ გააცხადა.

თავად ლევანა ფრთხილი ნაბიჯით ჩაჰყვა დაღმართს. მიდიოდა მაღალი, ყავარივით ხმელ-ხმელი, იარღვებად ქცეული კაცი. უკან გელა მიჰყვებოდა, თხუთმეტ-თექვსმეტი წლის, ახლადწვერულვაშშებმბლული, ხიონჭა ბიჭი, — მხარი რომ ჩაუჭეჭკა, წელში გაღუნა და გააუცროვავა ნედლი ხის სიმძიმემ. ამ ტვირთს ძლივს გაუძლებდა კაცი, ოფლსაც — ღვარღვარით რომ ჩამოსდიოდა პირისახეზე ხეშეშა თმის ბუჩქსაც — თვალებში რომ ჩამოსწეწოდა და მზერას უშლიდა, მაგრამ ის იყო გაივაკეს და ლელის პირს მიადგნენ, რომ ბიჭმა ქვას წამოჰკრა ფეხი და ისედაც მორღვეული გუდურა ზედ მხრებზე გადაემხო. ერთი-ორი ჭიგო წყალში ჩაუვარდა. დანარჩენი მხარზე შერჩა...

სწორედ ამ დროს მოიხედა უკან ლევანამ, ბიჭი რომ ამ ყოფაში დაინახა. გაბრაზდა — ყველაზე მეტად შვილის უგერგილობამ. მისმა უნიათო გამოხედვამ გააცეცხლა და გადარია კაცი. მერე ბიჭის დამფრთხალ, შეშინებულ მზერას წაატანა თვალი და ნერვებმა საბოლოოდ უმტყუნა... ეცა, ჯერ წალდის ტარი შემოჰკრა, მერე მკლავში ჩაავლო ხელი, და წყლიდან ამოათრია, ფეხქვეშ გაიგდო... სიმწრისაგან ზმუოდა ბიჭი, ფაფხურობდა, წვალობდა, ვერ იქნა და თავი ვერ გაინთავისუფლა, მერე ნახევრად გაბრუებულმა, ხერხს მიმართა. ერთიანად მოიჩვარა და წახდა. სწორედ ამ დროს...

— რას შვები, რაა? მამა! მამა! — გოგოს მოულოდნელმა წივილმა იქაურობა შესძრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ცოდვაა... ცოდვა... — გულამოსკვნილი ტიროდა იგი და სულ ერთიანად ძანძალებდა.

შედგა კაცი. სული მოითქვა, გონი დაიბრუნა. ჯერ ფეხებთან გართხმულ ბიჭის მოლურჯულ სხეულს დააცქერდა, მერე თვალებადქცეულ თოთხმეტი წლის გოგოს გახედა, და ნაძალადევად გაუღიმა, ამით თითქოს დაამშვიდა, დააწყნარა პატარა ქალი.

წუთით ჩამომდგარმა დუმილმა ბიჭი გამოაფხიზლა, დრო იხელთა, ერთბაშად წამოვარდა, ღელეს გადაევლო და ბრეკზე ავარდა.

— რას მერჩი, რას?! — გაავებით იყვირა იქიდან. იგი ახლა ღობეზე შემხტარ პატარა ყვინჩილას ჰგავდა, ქვეყნის გასაღვიძებლად პირველი ყიყლიყო რომ ამოუშვა ყელიდან.

ლევანა ხმას არ იღებდა. წუთისწინა მღელვარებაა პირისახე მოელრიცა მისთვის.

— რა დაგიშავე, რა?! — უფრო შორს გაიწია ბიჭი.

— ჩამოდი ძირს თორემ, მე ვიცი შენი წამალი! — რისხვით ასძახა კაცმა ბრეკზე გაყინჩულ ბიჭს.

— მამა!.. მამა!.. გელა, ბიჭო!

თვალცრემლიანი გოგო ჯერ მამას აწყნარებდა, მერე ძმას, — თანდათან უკან რომ იხევდა და საცა იყო, გასაქცევად შეკრავდა კამარას.

— არ ჩამოვალ, არც სახლში მოვალ!.. — ბიჭი ნათქვამს ჩახვდა, მერე თითქოს გამოსავალი იპოვა, დაბეჯითებით გაუმეორა. — არასდროს არ მოვალ!

ძმის აიჯიუტებამ გული მოუკლა ანიკოს, ტირილს უმატა, როცა თხოვნა-მუდარით ვერაფერი გააწყო, სოფლისაკენ პირი იბრუნა.

— დედა! დედა! — ძახილით მოუხმო მშველელს.

* * *

მოსაღამოვდა. ქმარი ხომ არ ჩანდა და არა, ეს ბიჭი მაინც სად დაიკარგაო, — დარდობდა ქალი. ლევანა ძნელად რომ გამოილევდა საქმეს, იცოდა ელომ, ბიჭი ალბათ თავისთან შეირჩინაო. დაიმშვიდა და ჭიშკარზე მომდგარ აბლავლებულ პირუტყვს მიაშურა. მერე გოგო მარტოდმარტო, სლუკუნით რომ შემოვიდა ეზოში, ენა ძლივს მოიბრუნა ქალმა.

— სად არიან?!

— გალახა.

— რა ღმერთი გაუწყრა!

— რა ვიცი. — წუთით იყუჩა გოგომ, მერე ნაწყვეტ-ნაწყვეტად, ბორძიკით განაგრძო: — ასე თქვა, არ მოვალო, არასდროს არ დავბრუნდებიო!

— ვინ?

— გელამ!

გული დაეწურა დედას. უსიამო ამბავმა სუნთქვა შეუკრა. მერე ცოტა ძალა რომ მიეცა, აივანზე გადმოდგა, რიკულის სვეტს აეკრა და შორს, ქალის ბოლოს გაუშტერა მზერა. არავინ ჩანდა.

სახლი სოფლის ბოლოს, ამაღლებულ გორაზე იდგა. აწლოვან ჭადარს გაევსო ეზო... მწვანე, ხასხასა ბალახი რბილად, ნარნარად ირხეოდა.

ერთხანს უაზროდ იბორიალა ქალმა შემოდგომის სუნთქვით გალუმპულ სახლში, მერე ეზო გადაჭრა და ჭიშკართან შედგა. არა! იგი აქ უნდა დახვედროდა ქმარს, აქ! როგორც ჩრდილი კედლებისა, როგორც ნალვერდალი კერიისა.

შორს, სიბნელისა და სინათლის ჰასაყარზე ვიღაც მოაბიჯებდა, ქმარს მიამსგავსა იგი ქალმა.

მგონი მარტო მოდის, ეს ცოდვილი შვილიო, გულში შეიცხადა ელომ. ფეხისწვერებზე აიმართა და...

— გელა! — გასძახა შვილს.

— რა გაყვირებს?! — უსიამოდ შემოსძახა კაცმა.

— ბავშვი სადაა?!

— ბავშვია ხომ?!.. მოვა, არ დაიკარგება. — გვერდით ჩაუარა ლევანამ. ერთხანს სამზადისის წინ ისმოდა მისი ნაბიჯები, ორი კაცისათვის გამზადებული გუდურა თავად წამოელო, ხვნეშოდა და სახელოთი იწმენდდა სიმწრის ოფლს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტის მოთმენა ველარ შეძლო ელომ, ერთბაშად იბრუნა პირი, ჭიშკარი გაიკეტა და თავდაღმართში დაეშვა. კარგა ხანს ჭალა-ჭალა ირბინა, მერე ღელის პირს მისდია...

— გელაა! გელაა! — წამდაუწუმ უხმობდა დედა.

გაუთავებელმა ძახილმა და ალმა-ცდაღმა ხეტიალმა ძალა გამოაცალა ქალს. შედგა, ერთხანს უაზროდ შესცქეროდა ჩაბნელებულ სივრცეს. მერე დაღლილობამ თავისი გაიტანა, არაქათგამოცლილი ძლივ-ძლიობით შებრუნდა შინისაკენ ელო.

გზადაგზა თავს იმშვიდებდა: ბიჭის შინიდან გაქცევა და მამის თვალთაგან მიფარება პირველი შემთხვევა როდი იყო — მცირე წყენა და მორჩა... — საღამე ბუჩქებში შეყუჟულ ბიჭს წვალებით გაჰყავდა წუთები, მოგვიანებით ჩაიძინებდა ლევანა და ღრიჭოდ დატოვებულ კარში, კურდღელივით ყურდაცქვეტილი და დამფრთხალი ბიჭი შემოყოფდა თავს. — დია... მშია! — უჩურჩულებდა დედას და ელოც იქვე დახვდებოდა ჯამით ხელში...

ახლა კი, გულგამოცლილი ქალი გარეგარე უვლის სახლ-კარს. ჯერ უმცროსი გოგოს — ანიკოს წიწკინა ხმა ესმის (ლექსს ზეპირობს), მერე უფროსი ქალიშვილის — ფაცოს ნაბიჯები. ჭიშკარი შემოაღო, ოდნავ დამფრთხალი შემოვიდა ეზოში. სამზადისაკენ დაიძრა.

„— სად იყო? — გაუელვა ელოს,— ამ ბოლო დროს სულ იგვიანებს. მზერას მიმალავს... რა მოუვიდა ამ გოგოს?“

მაგრამ ახლა, უფროსი ქალიშვილისთვის არ ეცალა ელოს. გრძლად, ხანგრძლივად ახველებდა ლევანა. ბოლოს ყველანი ჩაწყნარდნენ და ღამის უბეში შეყუჟულ დედას ეჩვენება, ისეთი სიწყნარე ისადგურებს ირგვლივ, ისე მდუმარე და უტყვი ხდება ყველაფერი, თითქოს ცივ, ღრმა ჭაში ჩაიძირა ქვეყნიერებაო.

ამ დროს ანიკო აჩურჩულდა:

— ამდენ ხანს სად იყავი, შვილო?

— სუუ... სად ვიქნებოდი, დედა სადაა?

— გელას ეძებს...

— გელას? რა დაემართა?

— გაიქცა.

— სად გაიქცა?

— არ ვიცი. ასე თქვა, არასოდეს არ მოვალო, არ დავბრუნდებიო...

— კარგი ერთი! შენც ყველაფრის გჯერა. გაიხედე, მგონი ვილაც მოვიდა.

— მეშინია...

ელო უცხო თვალით შესჩერებოდა საკუთარ ოჯახს, სახლ-კარს. არ გაუგია, რამდენ ხანს იდგა ასე გარინდებული, გულატირებული; გრძნობდა, ყველაფერი იყო ამ ქვეყნად — სახლი, კარი, ეზო, ქმარი და ქალიშვილები, მაგრამ მთავარი მაინც ბიჭი იყო... და ახლაც, ეზოს ბოლოს, ფიჩხი რომ გატყდა და ვილაცა ღობეზე გადმოხტა, მასზე ადრე ვინ მიხვდებოდა, ვინც იყო... გელა!

— გენაცვალოს დედა, — ჩაიჩურჩულა ქალმა, სახლს ოდნავ მოშორდა, ბიჭის გამოჩენას დაელოდა.

ბნელს შეყუდრებული დედა დუმილით თავისკენ უხმობდა შვილს...

* * *

გარბოდა გელა, ჯერ თავდაღმართში, მერე გზაშარაზე. წამით რომ შეგეჩერებინათ და გეკითხათ — სად მიდიხარ, რომელ მხარეს აგილია გეზიო, — ვერ გეტყოდათ. ფეხებს მიენდო, და გარბოდა საითლაც.

— გელა! — მოაღევდა ხმა.

— მიხვდა, ამდენხანს თუ ითმენდა, ამ ერთადერთი ხმისათვის ითმენდა. — ფეხდაფეხ რომ მიჰყვება ახლა, თუ გარბის, იმიტომ — რომ მას გაექცეს...

— გელა! — ისმოდა შორიდან.

ამ ხმამ იყო, პალოზე გამობმულ ხბოსავით რომ შეაჩერა წამით და საკუთარ გულში ჩაახედა: სადღა იყო სოფელი— თავისი ველ-მინდვრებით, ნახნავ-ნათე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სებით, ნაცნობ-მეგობრებითა და თანატოლებით, იგი გამქრალიყო. წინ კი, ველური ლელვის ხშირ ფოთლებში ჩაკარგული, ძველი, მიტოვებული ხიდილა ჩანდა ძლივძლივობით.

მიუახლოვდა გელა, ტოტები გადასწია, ფეხის შედგმა ვერ გაბედა. სიძველისაგან ყანყალებდა ხიდი.

მდინარის გაღმა — გაშლილი ჭალები, კოლმეურნეობის სათესი ველ-მინდვრები ბნელსა და ცის კიდურა უერთდებოდა. ერთხანს წყლის ჩხრიალს უსმენდა, მერე ბალახებში გაწვა და გაისუსა.

მოგვიანებით, ფრინველებმა რომ მიიძინეს და სქელი ბინდი ჩამოწვა ხევში, მიხვდა, მთელი ამ ხნის განმავლობაში, იმ მთავარსა და აუცილებელზე ფიქრობდა, და რაკი გადაწყვეტილება მიიღო, უკვე აღარაფერი აშინებდა. წამოდგა, ანგარიშმიუცემლად ჩამოიფერთხა ტანსაცმელი და სახლისაკენ იბრუნა პირი.

* * *

ძველი კამოდის უჯრები რომ ღია დახვდებოდა, ეს თავიდან კარგად იცოდა გელამ. ჯერ ერთი უჯრა გამოწია, მერე მეორე...

ხელი როგორც ფრთხილად, უხმაუროდ ჩააპარა, ისევე უხმაუროდ ამოაცურა, არც დაუხედავა, რამდენი ამოიღო, ფული ჯიბეში ჩაიდო.

ერთიანად აკანკალებული ბიჭი ფეხაკრეფით გავიდა ოთახიდან. რამდენად ცდილობდა უხმაუროდ, შეუმჩნევლად გაძურწულიყო, პაპაეული ხის ძველი სახლის იატაკი. მცირედ ჩქამს ისედაც ორმაგად გამოსცემდა და ახლა, თითქოს ბიჭის ნაბიჯებს ვერ უძლებსო, ყრუდ კვნესოდა.

ახალი შარვალ-ხალათიც გამოიყოლა. რიკულს გასდია, მყუდრო კუთხე შეარჩია და ისკუპა. შუა ეზო გადაირბინა და როცა ჭიშკარს მიუახლოვდა, წამით შეყოვნდა, მოიხედა. „ყველანი შინ არიან, — გაიფიქრა, — ჩემი დარდი კი არავის აწუხებს“.

წყრომით მოაღო ჭიშკარი, გაიჩხაკუნა საკეტმა. ამ ხმაურზე თუ იყო, სახლის კედელთან ლანდი შეინძრა. მიხვდა გელა, მხოლოდ ის ერთადერთი დასდევდა ფეხდაფეხ, ის ერთადერთი ეძებდა და ეძახდა. წუთის წინ რომ დანაშაული ჩაიდინა, მარტო არ ჩაუდენია, მონაწილეც ჰყოლია. ოფლით შუბლგადანამულმა ბიჭმა ერთხელ კიდევ მოხედა სამზადის წინ აბრჭყინებულ ნათურას, საღლაც სიბნელეში მიმალულ დედის ლანდსაც მიადევნა დამფრთხალი მზერა და იგრძნო, ამ ეზო-კარში მყოფნი, ყველანი მის ნაბიჯს აყურადებდნენ — დებიც — ფაცო და ანიკო, კარის უკან მიმალულნი, მიჩუმებულნი, გულისკანკალით ელოდნენ იმის დაბრუნებას; თუ ადუმდნენ, იმიტომ, რომ კიდევ უფრო არ გაანაწყენონ მამა.

გამოერკვა. მიმოიხედა.

— დია!.. — მოუხმო თავისკენ.

— დედა! — აუწია ხმას.

არავინ უპასუხა.

— დედა, მივდივარ...

ხმა ვერ დაძრა ქალმა. ველარც ნაბიჯი წადგა წინ. მღელვარება აუნთქავს უხშობდა. ჩრდილად აკვროდა სახლის კედელს. იყო და არც იყო ამ ქვეყნად. მერე ბიჭი ჭიშკარს რომ გაცდა და აჩქარებული ნაბიჯით გზაშარაა გაედევნა, ერთბაშად მოწყდა ქალი ადგილს.

* * *

ეზოდან გავიდა ბიჭი თუ არა, დედაც თან მიჰყვა. უმთვარო ღამე იყო, კუნაპეტი. წინ მიმავალი შვილის ნაბიჯები გარკვევით ესმოდა ელოს. შედგებოდა გელა, შედგებოდა ელოც. გააგრძელებდა გზას შვილი, გაჰყვებოდა დედაც. მიდიოდნენ შორიშორ, უბრად და ფეხშეწყობილად. ერთიც რომ აჰყოლოდა ქალს. უმალ პირს იბრუნებდა ბიჭი. მივარდებოდა. ციმციმ აიტაცებდა ხელში. დაბრუნდიო! — ეტყოდა დედა, — დაბრუნდებოდა ისიც. წადიო! —წავიდოდა. მაგრამ შვილზე ლანდივით ადევნებულ დედას ერთხელაც არ უფიქრია, უკან მოეხმო იგი.

ხომ გარბოდა ბიჭი. ხომ ტოვებდა ბუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეა, თავად რად მისდევდა უკან გულაკანკალებული, რად არ ეძახდა? ტუქსავდა? სწყევლიდა? რად?!

„არ გაეძლება მამა-შვილს ერთად... არა! მასზე უკეთესად ვინ იცის შვილის გასაჭირი. ცოდოა ჟამი მამის ხელში... ცოდო... გაიგეთ!“ ვერ გაერკვია ელოს თავს იმართლებდა, თუ იმტყუნებდა.

შვილის ოჯახიდან წასვლა რომელ დედას უნდა, რომელს!“

მაშ თავად რად ვიმეტებ შვილს, რად?! — ხელახლა ეკითხებოდა საკუთარ თავს...“

საოცარია, თითქოს უხილავი განგება ჩაერია მის ბედ-იღბალში. შვილის უკან მობრუნება არ შეუძლია, როგორც დალეწული ერთადერთი ძმის, ნოშრევანის გაცოცხლება, როგორც ქმრის ხელახალი შეყვარება. ყველაფერი ცვდება, ყველაფერი ხუნდება ამ ქვეყნად. მხოლოდ დედაშვილობა რჩება მწვანე და გაუხუნარი და ამიტომაცაა ლანდად ქცეული ქალი გამალებით რომ მისდევს წინ წასულ ბიჭს.

— რომელი ხარ? — იკითხეს შორს.

„გოგიას ბინაზე რა უნდა გელაა?!“ — გაუელვა ქალს, ახლოს მივიდა. მიაყურა.

გოგია მათემატიკის მასწავლებელია, ლევანასავით ლჯუ და უხაიათო. „ლაპარაკი ისმის“ — გაიფიქრა, ვერცერთ სიტყვას ვერ წაჰკრა ყური.

გოგია მეათეკლასელებთან მეგობრობს. ჩხირკედელობას ასწავლის ბიჭებს, ცხრაჯერ დაშალეს მოტოციკლეტი, ცხრაჯერ ააწყვეს.

გოგია გელას აქებს, „მათემატიკურ ნიჭს ვამჩნევო“, ამბობს. „ვამჩნევო“. თორემ ნამდვილად აქვსო, ამ სიტყვას როდი იმეტებს. ამიტომ არის, რომ უტვინოს, უვარგისს, ყოველ საქმეში გამოუსადეგარს ეძახის ლევანა შვილს. ერთხელ მაინც შეექო ბიჭი, ერთხელ მაინც რომ ეთქვა ენაჩასაწყვეტ გოგიას, — „ნიჭიერია შენი შვილი, დიდი მომავალი ელის. სასახელო კაცი გამოვაო“... არა, არ გაიმეტა საქებარი სიტყვა. ახლა რომ ეთათბირება და [illegible] დალმა უშლის ხელებს. ნეტავ რა შემწეობა უნდა გაუჩინოს?

— ჰოო... მიმართვაა საჭირო... ეგ არაფერი. მე ჩამოგიტან... — გოგიას ხმა ჩაესმა ელოს.

— ბესო იკითხე, ლამბაშიძე. თუ ვერ ნახო, დაელოდე. სხვას არავის გაეკარო, გესმის, ბიჭო! აბა, შენ იცი, — გოგიამ კარი შეიხურა.

მხოლოდ ახლა მიხვდა ელო ვინ დაარიგა მისი შვილი, ვინ შეურჩია გზასავალი.

ერთი თვეა, იძახდა ბიჭი: ქალაქში წავალ, პროფსასწავლებელში ვისწავლი, სტიპენდიაც მექნება და თავშესაფარიცო. ისე ხშირ-ხშირად უმეორებდა დედას, თითქოს წინასწარ აჩვევდა და ამზადებდა ამ დღისათვის. შვილი ვერ შემელევაო, ფიქრობდა ელო. ახლა რა გამოვიდა, გოგიას სიტყვას მეტი ძალა ჰქონია თურმე.

მიიხედა, განათებულ ფანჯარასთან დაბალი, მხრებში ჩამძვრალი კაცი დაინახა. იგრძნო, უდროო სტუმარი სადარდელი გაეჩინა მასპინძლისათვის. გელას გზას გაჰყურებდა გოგია.

მეტი აღარ მოუხედავს ელოს. უნდა ეჩქარა, შვილს დასწეოდა.

კოლმეურნეობის კანტორის ეზო ხელისგულივით მოჩანდა. შუქი ჩახჩახებდა. ფიცხელი მუშაობა გაეჩაღებინათ. მარცვლით სავსე ტომრებს აწყობდნენ მანქანაზე; ძრავის თუხთუხი, გლეხების ყაყანი ერთმანეთში ირეოდა. გელაც მათთან მისულიყო.

აული ჩაითქვა ელომ. თავსაფრით მოიფუთნა პირისახე.

კოლმეურნეობის კანტორის წინ, სკოლასა და მაღაზიას შუა, კულტურის სასახლის დაუმთავრებელი შენობა იდგა (ეს მერამდენე წელია აშენებენ!). იქვე, ნახევრად ამოყვანილი კედლებისა და ხარაჩოების ახლოს, ერთმანეთში შეხორხლილი საშენი მასალა, კირი და ცემენტი ეყარა. აქ მუშაობდა ლევანა დურგლად: უკეთესი ხელოსანი სად იშოვებოდი, მაგრამ ვინ იცის, მერამდენედ გაე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქცა ისიდორე თავმჯდომარეს. ისიდორე მშენებლობის დროულად დამთავრებას მოითხოვდა, ლევანა — მუშახელსა და საშენ მასალას.

ხედავდა ელო სად იდგა გელა, ვის ელაპარაკებოდა: ისიც დაინახა, როგორ შეიგდო ბეჭზე მძიმე ტომარა და მანქანასთან მიიტანა. ერთხელ, მეორედ. დაიტვირთა მანქანა, დაიტვირთა და... შაქარო შოფერიც მიუჯდა საჭეს. სანამ მანქანას ეზოდან გამოიყვანდა, ისიდორე კალთვეხაც გამოჩნდა — ეს მეორე ისიდორე იყო. საბუთებით ავსე საქაღალდე იღლიაში ამოეჩარა, კაბინის კარი გამოაღო და ჩაჯდა.

ისიდორე ცალფეხა კოლმეურნეობის მეკუჭნავე იყო და სოფლის დოვლათის მიღება-გაცემის საქმე მის კისერზე გადადიოდა.

აიძრა მანქანა, როცა შარაზე გამორიხინდა და ტომრებს ზემოთ ბიჭია ფეხები დალანდა ქალმა, სუნთქვა შეეკრა. დაიკვნესა. გულდამდუღრულმა ისე მიიხედ-მოიხედა, თითქოს მშველელს ეძებდა და ვერსად ეპოვა. ასიოდე მეტრი გაიარა და შედგა მანქანა. გაექანა ქალი. მხოლოდ ახლა მიხვდა თავის შეცდომას. ახლავე უნდა დააბრუნოს ბიჭი! უნდა იჩქაროს!

ის იყო მანქანას მიუახლოვდა, რომ..

— ჩამოდი ძირს, არ გეამის, ბიჭო! — ისიდორეს ხმა იცნო ელომ.

„ღმერთო! შენ გაახარე ისიდორეს ოჯახი, ღმერთო...“

ტომრებიდან ძლივ-ძლიობით გადმობობღდა გელა. ჩამოხტა. წამი და მოიხედავს შვილი. შეამჩნევს, ოღონდ მიუსწროს, ოღონდ...

ღია ფანჯარაში შაქრო-შოფერს გადმოეყო თავი, ღიღინებდა. კარი შეუღეს ბიჭს. გვერდში მოიკვეს და მანქანაც აიძრა.

II

ომიდან დაბრუნებულ ლევანას პირველივე შემხვედრმა უმცროსი ძმის ცოლის — ელენეს გათხოვების ამბავი მიახარა — ბუდე მეზობელ სოფელში გაიჩინაო. გული მოუ[illegible] დიდხანს იწუხა. ეგონა, ვეღარც გაპარტახებულ ოჯახს წამოაყენებდა ფეხზე და ვეღარც თბილი კერიის მადლს ეღირსებოდა...

იმ ღამეს სასაფლაოზე ჩაეძინა ლევანას, — მშობლების სამარესთან ახლო წაწვდომოდა ძილის უკმური. გამთენიისას ახლადგამოღვიძებულ კაცს ქალის მოთქმა ჩაესმა, მზედაუხედავ ნისლივით რომ ეფინებოდა არე-მარეს. წამოდგა, მოიძია მოტირალი — ეკლესიის ბოლოს ნოშრევანა ავანიძის ოჯახი ცხოვრობდა, და დაატიროდა ძმას: „ვაი, შენს მიტოვებულ ოჯახსო“. „ვაი, შენს უბედურ დაიო“. „კაცის ხელი აკლია აქაურობასო“, „მიჭირსო, მიიხელდებაო“... (საკუთარ ბედ-იღბალსაც მოთქვამდა ქალი)...

„ნოშრევანას ამბავს გავიგებ. სად და როდის დაიღუპაო“. — გაიფიქრა ლევანამ და ჭიშკარს მიადგა.

...ნოშრევანა მისი ტოლი იყო. ერთად დადიოდნენ ჯარიანობაში. ერთად აცილებდნენ ქალიშვილებს. ერთად... რამდენი რამე უკეთებიათ ერთად! ახლა კი ლევანა აგერაა, ნოშრევანა კი... მზერა ჩაებინდა. ცრემლი მოერია ლევანას.

ელოს წარბი არ გაუხსნია. ისე მიიღო სტუმარი, ბოთლით არაყი და ხურმის ჩირი გამოუტანა. სასმელს ტუჩი არ დააკარა ლევანამ. მადლობა გადაუხადა ქალს და ეზოდან უხმოდ გამოვიდა.

დაღმართი რომ ჩაათავა, თხმელის ბუჩქებთან შედგა. ვერ იქნა და ქალის სახე ვერ გაიხსენა, თითქოს თეთრი, რძისფერი ნისლი ფარავდა მის პირისახეს, თმას, თვალებს. მხოლოდ მისი ხმა ჩაესმოდა. მწუხარე და სევდიანი ხმა, სხვა დანარჩენი გამქრალიყო.

ერთბაშად უკან მიბრუნება გადაწყვიტა. შებრუნდა კიდეც. ისე სწრაფად მოიგუნება. თითქოს ეშინოდა, თუ ახლავე არ მიუსწრებდა, ყველაფერი გაქრებოდა, — ნოშრევანას ეზო-კარიც, მისი მოტირალი დაც. — დილაუთენია-

ზე უპატრონობაა და ობლობას რომ შესჩიოდა სოფელ-ქვეყანას.

ნელ-ნელა აალილა ყორეს მზერა. ეზოში არ ჩანდა ქალი. უკან გამობრუნება არც უფიქრია, იქვე დარჩა. მზისყური ეამა. თბილ ქვებს ძალუმად მიეკრა. რაც ომიდან დაბრუნდა, ბერიკაცივით მუდამ სითბო ენატრებოდა.

ავლავ ეზოსკენ გადააპარა თვალი. ხუთიოდე ნაბიჯზე, მსხლის ტოტებქვეშ ჩამჯდარიყო ქალი. ყვითელ-ყვითელი ჭუჭულები შემოსეოდნენ ირგვლივ. წიოდნენ, ხელისგულს უკენკავდნენ.

მორჩილი და თვინიერი ეჩვენა ქალი. ხელახლა გახედა ლევანმა. თავი აეწია ელოს და პირდაპირ კაცისაკენ იყურებოდა, თითქოს ეუბნებოდა კიდეც, ვიცოდი, რომ დაბრუნდებოდიო. ლევანსა ხმა აღარ გაუღია, თავი ჩახარა და სახლისაკენ გამობრუნდა.

ავირის თავზე, ძველი ადათ-წესის მიხედვით, სოფლის ავან-ჩავანი, სამეფო სიტყვა-პასუხის პატრონი, პილასი სვანიძის ქალი მიუგზავნა მაშვლად. ქორწილი ღარიბული და უხმაურო გადაიხადეს. ცოტა წაუმღერეს, ცოტა წაუცეკვეს; ღვინოც ზომაზე ავეს, ჯერაც საძაგაუხდელ სოფელს უჭირდა დოლ-დაგა-დუგისა და სიცილ-კისკისის ატანა. მალე დაიშალნენ.

უენო და გამგონე ცოლი გამოდგა ელო...

* * *

ახლა კი ელავდა და ნაპერწკლებს ჰყრიდა. ასე გაკეცხლებული არასდროს ენახათ... „დაანახავად ვერ გიტანო, — ეუბნებოდა ქმარს, — გამეცალეო, შენი სახე არ დამანახოო". ბიჭს არ ახსენებდა, თითქოს მის გამო არ ამტყდარიყო ეს ვაი-უშველებელი და ალიაქოთი.

წლობით ნაგროვებმა ბოღმამ, ნაშენმა ჭიომა, ერთად იჩინა თავი, უკანდახევა აღარ შეეძლო ელოს, სათქმელი ბოლომდე უნდა ეთქვა.

ჩემი ქალობის ფასი და მადლი არასდროს იცოდიო, სიცოცხლე ჩამაშხამეო, — არ იქნა და არ შელგა... შემართულ ჩახმახად იქცა...

სდუმდა ლევანა, ცარიელ მაგიდაა თავდახრილი უჯდა... რატომღაც ცოლის შეჩერებაც არ უცდია, თორემ ხმა რომ ამოეღო, მაგიდაზე ერთხელ რომ დაეკრა ხელი, ცოლ-შვილი კი არა, უკან — სათხებოში ციკნები გაკმიდავდნენ ხმას, მაგრამ თავდახრილი ლევანა საფიქრალს აჰყოლოდა...

...ქალი რომ შემოვარდა ოთახში, ხეირიანად ვერც გაარკვია ლევანმა, რომელ ქარ-ბორბალას გადაევლო მის თავზე, მერე ცოლის სიტყვებში სიმართლის ძაფს დაუწყო ძებნა და მიაგნო კიდეც... ბიჭი გაიქცაო, ემწარა. ნუთუ ამოდენა სოფელში, ამდენ მოყვრებსა და ნათესავებში, კაცი არ გამოჩნდა; მამაზე აღრენილი ბიჭი უკან დაებრუნებინა?! ერთი სახრე ეჩვენებინათ და მორჩა! თავისით მოაგნებდა ჭიშკარს, მაგრამ არა! არავინ ინდომა... პირიქით, ხელი შეუწყვეს, დააიმედეს და გზა გაუმართეს, ახლა კი...

სდუმდა ლევანა და დუმილით გაჰყავდა უთავბოლო წუთები.

გათენებისას, წისქვილის ხვიმირა რომ ჩამოცლის საფქვავს, მისმა გონებამ ისე ჩამოფერთხა ძველი და ახალი ცოდვა და მადლი, ძნელად დასავიწყი და ძნელად გასამხელი.

რაკი პირისპირ აღმოჩნდა საკუთარი კაცობისა და სინდის-ნამუსის წინაშე, თავადვე უნდა აგოს პასუხი, თვითონვე უნდა შეიცნოს საკუთარი დანაშაული და ისე მოიქცეს, როგორც გული და გონება უკარნახებს...

* * *

მშობლების შეხლა-შემოხლა ყველაზე მეტად ანიკოს აფორიაქებდა. წუხდა და წრიალებდა გოგო. მუხლებზე გადაშლილ წიგნს უაზროდ ჩასჩერებოდა.

ფერგაცრეცილი, თვალებადქცეული გოგო თოთხმეტი წლის იყო, მაგრამ ნაკლების გეგონებოდათ. მალიძალ გახედავდა უფროს დას — ფაცოს, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის მშვიდი, უწყინარი პირისახე აფორიაქებულ გულისცემას უნელებდა.

რვა კლასი წვალებითა და ჯიჯლინ-ჯიჯლინით დაამთავრა ფაცომ. მერე გალმა სოფელში მკერავს მიაბარეს, ლომსიანიძის ქვრივს. ოსტატს ხელობას უქებდნენ, მაგრამ შეგირდმა არ ივარგა. გასკდა ქვრივი გულზე, შემოთვალა: „სანამ გამოვაგდებდე, წაიყვანეთო"...

ზის ახლა კერასთან ფაცო, რვა კლასის დამთავრების მოწმობა სამზითვო საბნებთან ერთად შეუნახა ელომ. „პატიოსან ქალს, ადრე თუ გვიან, უეჭველად მოაკითხავს ბედის გამგებელიო", — ფიქრობდა დედა.

ოღონდ, ის იყო გამოჩნდებოდა ვინმე, სასიძოდ შეღერებული ყმაწვილი-კაცი, თვალს დაადგამდა ფაცოს, შეიქნებოდა მაჭანკლობა, დატრიალდებოდნენ მეზობლები და საქმე ნიშნობაზე რომ მიდგებოდა, სასტიკ უარს ეტყოდა გოგო. „არ მინდა არ გავყვებიო". რატომ, რა მიზეზით, ამას კი არ ამხელდა.

ამ ბოლო დროს კიდევ ერთი უცნაურობა დასჩემდა ფაცოს — ხან ერთი მეზობლისას შეიგვიანებდა, ხან მეორისას... ჩაის პლანტაციებიდან შინისაკენ დაბრუნებული გოგონები რა ხანია ხმაურით ჩაივლიდნენ შუკას, ის კი არადა არ ჩანდა...

ამიტომაც იყო, შიშ-ფეთებით ჩასაფრებოდა ელო ქალიშვილის ყოველ ნაბიჯს, ღიმილს, მისვლა-მოსვლას. არ ენდობოდა, არ ეიმედებოდა...

ახალგაზრდობის თავშესაყარში, კინო-წარმოდგენებზე არ უშვებდა დედა, არც ფაცო უწევდა წინააღმდეგობას. დაუშლიდა? — არ წავიდოდა. გაკიცხავდა? — დაეთანხმებოდა, თითქოს დედის აზრი იყო მთავარი, ვითომ საკუთარი არაფერი გააჩნდა, — არც ფიქრი, არც ოცნება.

* * *

რაკი ერთხელ ამოიდგა ელომ ენა, სათქმელის ბოლომდე გაცხადება გადაწყვიტა, ალაო დაინდო კაცი, მიდგა და მიდგა. „არასდროს არ გიყვარდიო, უთხრა, — დღე და ღამ იმის საფლავს მისტიროდიო"... „იმისიო..." შანთივით დაუტრიალა სიტყვა გულში, გაათავა კაცი! ალალბედზე წამოსროლილმა სიტყვამ იმ მთავარსა და ძნელად შესაცნობს მიახვედრა ლევანა, სწორედ იმას, ამდენხანს გულში რომ ატარებდა და არავის უმხელდა. მიხვდა მისი ცხოვრება იმაზე ადრე დამთავრდა, ვიდრე მას ეგონა... უფრო ადრე.

მერე აიშვა ფიქრმა თავი, მიჰყვა და მიჰყვა. თანდათან წარსულში გადასახლდა ლევანა.

...ამბერკი მებუკეა ორი ქალიშვილი ჰყავდა. მისი უფროსი გოგო ანგელინა არ იქნა და არ მოეშვა ლევანას. როგორ არ უტრიალა, საიდან არ შემოუარა... დიახ, ბატონო, ხშირად სტუმრობდა მებუკეების ოჯახს, გაშლილ სუფრასაც თამადობდა, ერთი-ორჯერ წელზეც შემოხვია ხელი ათქვირებულ გოგოს, მაგრამ წრფელი, ნამდვილი სიყვარულით ვერ შეიყვარა, გული არ მიუწევდა მისკენ.

ამბერკი რაიონში პროვიზორად მუშაობდა. დილიდან საღამომდე აფთიაქში ტრიალებდა. ცოლიც ეხმარებოდა, ჭრელთვალა. ცხვირპაჭუა დარია. საპროვიზორო კურსებზე სწავლისას, ხარკოვში, რომ გაიცნო და თან ჩამოიყვანა.

ოჯახი მოსავლელად უფროს ქალიშვილს ებარა. დედასავით წითური. მეორდსავე გოგო იყო ანგელინა. ატმისფრად ულვივოდა პირისკანი. ლევანას დანახვაზე ცეცხლი აუპრიალდებოდა თვალებში, მუდამ უმცროს დას იფიცებდა — ლილის, ბუნებით ნაზსა და მოკრძალებულს, დის მეგობრებთან გამოჩენას რომ გაურბოდა.

არადა, ხომ მხიარულობდა ლევანა, ბაახრობდა, გიჟმაჟობდა. მაინც გამუდმებით ეჩვენებოდა, რომ გამომწვევად უჭვრეტდნენ, მის ყოველ ნაბიჯს, უდარდელ სიცილს, თამადობას. მოუწყენელ სიტყვა-პასუხს. — იმახსოვრებდნენ. ვერ იქნა და ვერ მოიცილა უხი-

ეროვნული

ლავი მზერა; ამიტომ იყო ანგელინას მოძალადებულმა სიყვარულმა თავი შეაწყინა, რამდენადაც მეტს ელაციცებოდა ქალი, იმდენად გაურბოდა, თავს იკავებდა. თუმცა მის ჭიშკართან ღამის მთეველი არასოდეს ყოფილა. „ჭყინტი ყიმინდი და კვახი შემოვიდაო“, — თვითონ მოაკითხავდა ანგელინა, ერთ-ორ თანატოლ ქალიშვილს გამოიყოლებდა, მიიპატიჟებდა, ამხანაგებიც წამოიყვანეო — შესთავაზებდა ახალგაზრდა კაცს. აქეთ ბიჭები არ ასვენებდნენ ლევანას: „წავიდეთ, რა გენაღვლებაო“. მიდიოდა და ფეხები უკან რჩებოდა, ცუდს უგრძნობდა გული, რაღაც ხათაბალას გადავეყრებიო.

აგვისტოს ცხელი დღე იყო. თვითონ ბიჭებმა მოიგუნებეს ლევანასა და ანგელინას პირისპირ შეყრა, ჯერ ვაშლი აიყოლიეს, მერე ქალს მიადგნენ. შეიქნა სიცილ-კისკისი, ნარდის თამაში. სიცხე ატანდა ბებერი მსხლის ძირში. ვიღაცას წყალი მოუნდა, სიცხეაო... მას ჯერ ჭიქით შეასხეს, მერე სავსე ვედრო გადაუშვეს მხრებზე... ატყდა წივილკივილი, ჭიდან წყლის ამოღებას ვერ ასწრებდნენ, ერთიანად გაწუწულნი, გახალისებულნი.

ლევანასაც გადაავლეს ერთი ვედრო წყალი. მივარდა ჭას, აავსო ვედრო, დაედევნა. ერთმანეთში აერია ანგელინას დობილები. ერთი კარს უკან მიიმალა, მეორე სამზადში შევარდა, ლევანამ თვალი მოჰკრა — ფარდის უკან ლურჯკაბიანი გოგო მიიმალა. მოაპირქვავა ვედრო... იკივლა გოგომ. ერთიანად გაწუწული ქალი საცოდავად ატირდა. გაშრა ლევანა, მივარდა. თავი აუწია... ღმერთო! ქლიავისფერი დიდი, ფართო თვალები მუქის სისხო ცრემლებით ჰქონდა სავსე... ტუჩები უთრთოდა... ეს გოგო თითქოს ციდან ჩამოვარდა და ახლა პირველად ნახა.

იგი ანგელინას უმცროსი და თექვსმეტი წლის, ლილი იყო.

საოკარი რაღაც დაემართა ლევანას; ვერაფერი უთხრა ქალიშვილს, ვერც დაამშვიდა, ველარც მიუალერსა, უკან დაიხია და ასე უსიტ[illegible]ლა იქაურობას.

ის დღე იყო და ის, ქალიშვილის თვალები ვერ ამოიგდო გულიდან. თითქოს მოაჯადოვა, თილისმის ძაფით შეკრა იმ ერთმა წუთმა. სულ მასზე ფიქრობდა, სულ მას მიელტვოდა. არადა, პირისპირ შეყრა, ასე ჯიქურ მიჭრა ვერ გაებედა. სხვას რომ თავი დავანებოთ, ანგელინა წაატანდა მზერას, გამოეგებებოდა, საყვედურებით აავსებდა, „რად დაიკარგეო, რად არ ჩანხარო“.

მერე ომი დაიწყო. ცეცხლმა და სისხლმა წალეკა ქვეყანა. მოცდის დრო იყო?! მტერი წინ წინ მოიწევდა. თავად მიაკითხა კომისარიატს, წამიყვანეთო, თხოვა, ვინ ეტყოდა უარს?!

დღე-დღეზე ელოდა გამოძახებას.

ნოშრევანა სვანიძეს მიაკითხა იმ ღამით, თავისი გასაჭირი უამბო: „მიყვარსო ის გოგო... თუ არ ვნახე, ისე, ფრონტზე ვერ წავალო“. მთვარიანი ღამე იყო, კიბეზე ისხდნენ ბიჭები... (ლია ფანჯარასთან იწვა ელო), სიტყვა-სიტყვით ისმინა მათი საუბარი. უმალ დაეთანხმა ნოშრევანა. „ნუ გეშინია, აგერ არ ვარო... უეჭველად შეგახვედრებო...“

იმედი დიდი ძალა ჰქონდა.

სიტყვის კაცი გამოდგა ნოშრევანა, ორ დღეს უტრიალა ამბერკი მებუკის ოჯახს. ხან ვენახებიდან, ხან სიმინდებიდან, უთვალთვალა. როგორც იყო, დაუდგა შესაფერისი დრო, სამზადის წინ ნიორს არჩევდა ლილი. მიატოვა ვაჟმა სათვალთვალო, და წაადგა თავზე. ნოშრევანა რომ დაინახა, ისიც ლობეზე გადმომხტარი, შეკრთა ლილი. მაგრამ არ შეიმჩნია. სკამი მიაწოდა, „დაბრძანდიო“, — შესთავაზა. თვითონ საქმე განაგრძო.

— „დასაჯდომად არ მცალიაო, — თავპატიჟი გაიდგა ბიჭმა, — შენთან გამომგზავნესო“, — გადაუჩურჩულა.

— ჩემთან? ვინ?!... — ენა დაება, შებორძიკდა გოგო.

— ვინ და... ლევანამ. ომში მიდის...

ფერმკრთალ ღაწვებზე ალმური წაეკიდა გოგოს. თავი დახარა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ლევანამ?!

— ჰო, სად განახოს?! — ხელახლა ჩასჩურჩულა ბიჭმა.

— რა ვიცი! — უმწეოდ ჩაილაპარაკა გოგომ. — მე... მე...

რატომღაც მეტი დაყოვნება ვეღარ შეძლო ნოშრევანმ, საცა იყო, გოვო თავა აწევდა და ფართო, ცრემლიან თვალებს შეანათებდა... მოეჩვენა, ის ცრემლები მასაც ეკუთვნოდა, სახკალიოდ, ომის გზაზე გამზადებულ ყმაწვილკაცს.

უსიტყვოდ გაეცალა. ერთხანს სოფლის ბოლოს, ხევში იწვა ნოშრევანა. რას ფიქრობდა, ვინ იცის. ის კი იყო, გული ეწვოდა და ეწეწაებოდა.

მზის ჩასვლის წინ, მოკლეზე მოჭრა, ლევანას სახლისკენ მიმავალ აღმართს სირბილით აჰყვა.

— ლევანა! — გასძახა. დაუსტვინა კიდეც.

მეგობარს ღიმილით შეეგება ნოშრევანა. სამახარებლო მოითხოვა...

გიამენო — ანიშნა ლევანამ. ნელნელა შეჰყვა ნოშრევანა, თანდათან აუწია ხმას, არაფერი დაუფარავს, სულ მარცვალ-მარცვალ უამბო, სად ნახა და რა უთხრა გოგომ.

გულისყურით უსმენდა ლევანა, ისე იყო გატრუნული, იფიქრებდი, ერთი ღრმად რომ ამოისუნთქოს, გულსაც თან ამოაყოლებსო.

— გამოვალო, უეჭველად გამოვალო, — დაამთავრა ნოშრევანამ...

* * *

დალამებამდე ილივს მიიტანა სული ლევანამ. მერე ამბერკი მებუქის უკანა ეზოს კრძალვით მიუხალოვდა.

არა, ნოშრევანას ნამდვილად არ უთქვამს, დაუსტვინე და გამოვაო... ყველაფერი უამბო, მაგრამ მთავარი — სად უნდა შეხვედროდა გოგოს, ვერ უთხრა. რამდენჯერაც ჩაეძია ლევანა, იმდენჯერ აიცილა. გაყრის წინ მკლავი დაუჭირა ნოშრევანას — „აღ მივიდე, ბიჭო!“, „საბძლის უკანო“... ჰაი-ჰარად მიუგო ნოშრევანამ და გაეცალა.

იცდის ლევანა, რა ხანია [illegible] მთვარემ ფეხი მოიკიდა, განათდა ცა და ქვეყანა. მყუდრო, მშვიდი ძილით ეძინა სოფელს, ამბერკის ოჯახს.

გულმა არ მოუთმინა და დაუსტვინა... ერთხელ, მეორედ...

„ეს ერთი ღამე და...“ აზრის დამთავრება ვერ მოასწრო ლევანამ, ბილიკზე ქალი გამოჩნდა, — თეთრსამოსიანი, თმაგაშლილი.

ისე ნატიფი ჩანდა, ისე მსუბუქად მოდიოდა, თითქოს საღამოს ნიავს ამოჰყვა და თან მოაქვსო. სულ ახლოს მოვიდა ქალი... იგრძნო ლევანამ, ბევრი რამ ახლდა ამ ღამეს, საამო და ძნელად დასავიწყი, მაგრამ ყველაზე ძლიერი იმის შეგრძნება იყო, რომ მის ცხოვრებაშიც გაერია საოცარი წუთი... ამ წუთმა სული გაუსუფთავა და გაუწმინდა, ამის შემდეგ კიდევაც რომ მომკვდარიყო, გულნაკლული არ ჩავიდოდა სამარეში.

არადა, საოცარი ღამე იყო — მთვარით, ნიავით, მოწნავე ჩრდილებით სავსე. რამდენადაც სული მიადიოდა ვაჟს ქალის საალერსოდ, მკერდში ჩასაკრავად, იმდენად თავს იკავებდა, ვნებას იმორჩილებდა. უცნაური ლტოლვა-სურვილით ავსებოდა სხეული... მერე, სულ ახლოს, ახლოს რომ მოვიდა ქალი, როგორც სიზმრისეული, მოჩვენება, გატრუნა ვაჟი, თვალები დახუჭა, წამიც და...

როგორც გრილი ნიავის შეხება, ალერსი, ისე იგრძნო ქალის თითები ჯერ შუბლზე, მერე ყელსა და თვალებზე. ქალის სიახლოვეს, მის მთრთოლვარე სხეულს როგორც უსაზღვრო ბედნიერებას, ისე ისრუტავდა ვაჟი.

— ლილი! — უთხრა ჩუმათ. მის ხმაში სიხარულიც იყო და აღფრთოვანებაც, დაუჯერებლობაც. ხელი შეახო... ქალი წინააღმდეგობას არ უწევდა, ოღონდ ერთიანად ცახცახებდა. მერე მკერდში რომ ჩაიკრა ვაჟმა, „მიყვარხარო“ — უთხრა ქალმა. ეგ იყო და ეგ...

ეროვნული

ახალ გათენებულზე მზე რომ გადმოადგა სერს...

— ლილი! — მოისმა ძახილი.

— Доченька!

— წადი! — უთხრა ლევანამ. ლამის მკერდიდან მოიგლიჯა. შეეცადა არ დაენახა ქალის ცრემლიანი თვალები, ჩანისლული მზერა. მიხვდა, რაღაც — თავის სულისა და ხორცის ნაწილი გატანა მას... უაგზლა... უწილადა.

III

იმ ღამეს ელომ გული დაუშანთა კაცს. „უგულო ხარო, უსიყვარულო და უადამიანოო", — ხომ უთხრა, ამასაც არ დააჯერა, მერე შვილი უხსენა — გელა, გულზე მოგლეჯილი და შორს მოსროლილი. შვილს ძმისწული ამოუყენა გვერდით: „რას ერჩიო, რატომ არ ნახულობო, ერთადერთსო, საცოდავსო, სხვის კარზე მიგდებულსო".

...განაწამები, სიკვდილგამოვლილი დაბრუნდა ლევანა ორმოცდაშვიდში. მეზობლებმა უპირველესად რძლის გათხოვების ამბავი ამცნეს, როგორც სამახარებლო, ისე შეაგებეს. „წერილი რომ მიიწერე, მოვდივარო, იმ ღამით წავიდაო... ბავშვიც თან წაიყვანაო"...

არც რძალი, არც ძმიშვილი არ მოუკითხავს. ძმის გარდაცვალების ცნობა მოიღებნა მხოლოდ — ორმოცდასამში, ბელორუსიაში გმირულად დაიღუპაო, ეწერა ფურცელზე. ეს იყო და ეს... ხმა არ ამოუღია ლევანას, ერთი კუდი სიტყვა არ დასცდენია რძლის საძაგლოდ. სოფელმა იფიქრა, შეუნდო რძალს გაქცევაო: ოთხი წელი იგლოვა ქმარი, შვილიც ზარდა, კერაც თბილი დაახვედრა, მეტი რაღა ექნა.

კაცი ბედ-იღბლისას რას გაიგებ, რა იცი, რა დროს შეგირჩევს და სად გამოგინააკვავს მოულოდნელი შეხვედრის უსიამო წუთს...

შარშან, შემოდგომაზე, ბაზრობიდან რომ ბრუნდებოდა ლევანა, გზაში გორელი მეურმე დაემგზავრა. ლოყალაყლაქა, ულვაშა კაცი. ნასვამი ჩანდა, ხუმრობდა. ურმის კოფოზე შემოკუპებულ ჭრელთავსაფრიან დედაბ[illegible]დარებოდა. არ იქნა და სახე არ აჩვენა ქალმა ლევანას. უგუნებოდ იჯდა. არ მოეშვა ქმარი, რა არ უთხრა, რით არ გაამწარა, ზომაზე მეტი ნაყლურწი ჩანდა. მერე ლევანას გადაეკიდა. ოჯახში მესტუმრეო, მასპინძლობა ჩემზე იყოსო, პირუტყვით და წვრილფეხით იწონებდა თავს. „შვილები არ გყავსო?!" — ჩაეკითხა ლევანა. „არაო, ერთი ბიჭი მომიყვანა ჩემმა ქალმა და ისიც ბლუ არისო", სიტყვა არ დაამთავრებინა ქალმა, რისხვით შემართა სახრე, ჯერ ალაქლაქებულ კაცს მოულირა, მერე მოზოზინე ხარებს გადაჰკრა და გადაჰკრა.

იცნო ლევანამ, ელენე იყო, მისი რძალყოფილი.

იმ დღის შემდეგ არსად შეყრია... არც მისი ამბავი უკითხავს, აღარც ძმისწულის ასავალ-დასავალი გაუგია, მაგრამ ჩიქვანების სახლში, გერის ლუკმა, დამადლებული და მწარე რომ იქნებოდა, ამას თქმა არ უნდოდა. ამიტომ იყო, წყენა მოთმინებასავით გამოიზოგა ლევანამ, მერე ცოლმა წამოიძახა—„ობოლი ძმიშვილი სხვის ანაბარა გყავს მიგდებულიო" და აივსო მოთმინების ფიალა. [illegible] ისიც დაემატა, ანიკო გაერიდა მამას, „გელა რატომ გააგდეო" ყოველდღე ესაყვედურებოდა.

არადა, პატარა გოგო ქვეყანას ერჩია ლევანას...

იმ ღამეს ელომ ლოგინი რომ აშალა და ცოლ-ქმრის საწოლი დააცალცალკავა, ავად ენიშნა კაცს. ცოლთან გამორიშორებას იმდენად არ დარდობდა, რამდენადაც პატარა გოგო გაედევნებოდა დედას და მერე რაღა ექნა.

ასეც მოხდა. ნაბოლარა ანიკო განუდგა და გაებუტა მამას.

მიხვდა ლევანა, ზარი შემოკრეს, წასვლის დრომ მოაღწია. როგორც ყველა ადამიანი, ისიც ამ წუთისოფლის მგზავრი იყო. ბავშვობა და ყრმობა, სიჭაბუკე თუ სიყვარული სადღაც წარსულს დარჩა... მერე კაცობისა და სიმწრის წლები წამოვიდა. ომი. ტყვეობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასე მიჰყვა დღეები — დღეებს, მერე გაპარტახებული ოჯახის აღდგენა, ცოლშვილი... და რომ ეგონა, ცოტა ხანს თავს აწევდა და მიიხედ-მოიხედავდა, უკვე გვიან იყო, — ამ სახლში მისი ადგილი აღარ მოიძებნებოდა.

ბევრი ლათაიები არ დაუწყია. საკუთარ გულში ჩაიკეტა და ჩაიხუტა, საქმეც არ გამოილია: ქარიაგან გატეხილი კრამიტი გამოცვალა, სათხებო გადალობა, ჭიშკარს ბოძი გამოუცვალა, ზამთრისათვის შეშა მოიმარაგა.

ღამით, როცა ცოლშვილს ღრმა ძილში დაიგულებდა, ფარატინა ფურცელზე ანგარიშობდა თუ ვინმესგან რაიმე ევალა ან ესესხა. როცა ეს საქმეც მოილია, ისეთი გრძნობა გაუჩნდა, თითქოს ტანჯვია გრძელ და უსასრულო გზაზე შემდგარიყო, საიდანაც უკან დაბრუნებელი ყველა ბილიკი ხელის ერთი დაკვრით მოეჭრათ.

მაშ ასე, ოჯახიდან წასვლა გადაწყვიტა ლევანმა. ერთბაშად, ერთი მოფიქრებით.

ეგებ შემედაოს მკითხველი, არც დამიჯეროს. ასე არ ირღვევა ოჯახიო, მეტყვის. წლობით ნალოლიავებ, მამა-პაპურ სახლ-კარს აგრე რიგად არ ტოვებენო, უაზროდ და უსაგნოდ ეზოდან არ გადადიანო, მითუმეტეს ხანშიშესული, ნატანჯი და ნაგვემი კაცი. შეიძლება. ვერაფერს გეტყვით... მაგრამ, ვინც ლევანას იცნობდა, არ შეიძლება არ დამერწმუნოს. ხომ არიან თვითრჯულა, თავისთავის უბედური ადამიანები, ერთს იტყვიან და მორჩა, მათი სიტყვა კანონია... ეგებ დაიღუპოს, გაუბედურდეს. ნათქვამს კი არა, და არ გადავლენ. დიახ. სწორედ ასეთი იყო ლევანა.

ჰოდა, ასე აიღერდა კაცი. „ცოლშვილს უჩემობა უნდა ვაგრძნობინოო“; „უნდა ვანანოო“. გესმით?! ამ ერთმა სიტყვამ გაამხილა მისი ხვაშიადი.

ხომ ხდება ხოლმე, შვილებზე შემწყრალი მოხუცი მშობელი, ქუჩაში გამოვა და მათ შეაარცხვენად. სამათხოვროდ გაიშვერს ხელს... ასე მოიქცა ლევანა. განზე გადგომით, ოჯახიდან წასვლით, ბრძოლა გამოუცხადა ყველას და ყველაფერს.

* * *

ნადირობაზე თავგადაკლული, თოფიარაღსა და ჯიშიან მეძებრებზე შეყვარებული კაცი არასდროს ყოფილა ლევანა, წლიდან წლამდე ორლულიანი სანადირო თოფი თავდაყირა ეკიდა კედელზე. იშვიათად თუ წამოუვლიდა ნადირობის, ალმა-დალმა ხეტიალის ჟინი. დურგალი კაცი იყო და ხის გათლა-გაშალაშინება მეტ სიამეს ჰგვრიდა, ვიდრე კურდღლის საძებნელად სირბილი.

ამ ბოლო დღეებში კი, რაც ძნელად გასამხელი საფიქრალი გაიჩინა, უპირველესად თოფი მოინახულა, ტყვია-წამალი მოიმარაგა. მერე კი, მცირე საგზალი გამოიკრა და არავისთვის რომ არაფერი გაუმხელია, ისე, ჰაიდა, — მთებისკენ აიღო გეზი.

ამ სოფელს კარგად იცნობდა. ჩიქვანები გაღმა ფერდზე ცხოვრობდნენ.

რძალყოფილის ქმარიც ჩიქვანი იყო, მუდამ ქეიფისა და პურ-მარილის მაყუბარი კაცი.

უკვირდა ლევანას ნარძლევის ამბავი, რა ეშმაკი შეუჯდა და სად გადაეყარა ამ უდარდელ, თავქეიფა კუჭუჭიასო. მაგრამ ჩაძიებით არ ჩაძიებია ამ ამბის ასავალ-დასავალს. ის თავისთვის, მე — ჩემთვისო, — გადაწყვიტა და მორჩა!

ხევიდან ამოვიდა და ორღობეს გაჰყვა...

ერთგან, ოდა-სახლს აშენებდნენ. ათი-თორმეტი კაცი შესეოდა. მხარზე თოფგადაკიდებულსა და რეზინისჩექმებიან, უძაღლო მონადირეს ყურადღებით მოხედეს მშენებლებმა.

იქვე, სამზადის წინ, სახელდახელოდ გამართულ შუაცეცხლზე, წითელთავსაფრიანი ქალი ღომს ზელავდა. ქალმა თავსაფრის ყური შუბლზე გადაიწია და ორღობეში მიმავალ უცხო კაცს ცერად გახედა. ლევანა ხეირიანად არ ჩასცილებია იქაურობას, რომ...

— ლევან ბატონო! — ჩაესმა ხმა.

ხის კიბეზე. შუა ხნის კაცი ჩამოდიოდა, თბილად უღიმოდა. მეჩხერ თმაში ჭაღარა მოიალებოდა. ლევანმა შეათვალიერა ნაოჭებით დაღარული, მზემოკიდებული მისი პირისახე და იცნო.

ოთხი წლის უკან ერთად მუშაობდნენ სკოლის მშენებლობაზე, მას შემდეგ აოსად არ უნახავს. ხის ოსტატი იყო — ლევარსი. გვარი ვერ გაიხსენა. მაგრამ ჩიქვანი რომ არ იყო, ნამდვილად იცის...

შეიპატიჟა მასპინძელმა, კაკლის ჩრდილში ჩამოსხდნენ.

— სახლი წამოვიწყე... — ულვაშებზე გადაისვა კოჟრიანი ხელისგული ლევარსიმ, — მთელი აიკოცხლე სხვის გასახარად ვიშრომე, მერე ქალი შემიჩნდა. ხომ იცი მაგათი ამბავი. ჰოდა, მოდი, დახედე კაცურად... ნაოსტატალი შემიმოწმე.

სამზადს უკან ქათამი აკრიახდა... აჩქარება და გზად გაჭრა უხერხული ყო უკვე.

გრძელ სკამზე დასვეს და გრძელი ამბავი წამოუწყეს. დრო და დრო კოჭის თავს გაჭვრეტდა ლევანა; არც უქო და არც დაუწუნა. რაკი სდუმს, ჩანს მოსწონსო — გაიფიქრა ლევარსიმ.

წითელთავსაფარწაკრული, ლევარსის კაფანდარა დედაკაცი წამდაუწუმ დახედავდა სუფრას; ხან ყველს შეამატებდა, ხანაც კომბოსტოს მწნილს, ჭარხლის ფერი რომ გადასდებოდა და წითლად ღუოდა.

მეზობლებიდან ორიოდე კაცი შემორჩა სუფრას და იმათაც წასვლაზე ჰქონდათ თვალი... ლევანას ცარიელი ჭიქა ეჭირა ხელში, არც ავსებინებდა დოქმომარჯვებულ ლევარსის, არც დგებოდა და წასვლას ეპირებოდა. რაც ამ ეზოკარმიდამოში ჩამოალაჯა, მის მერე ფიქრობს და ვერაფრით ვერ მიმხვდარა. მაშინ სკოლის მშენებლობაზე მუშაობის დროს, ლევარსიმ იცოდა თუ არა მისი რთალყოფილის ამბავი; ეგებ იცოდა და ახლა, თოფმომარჯვებული ატუშარი იმიტომ მიიწვია შინ, ფათერაკი ასცდინა მეზობელსა და მოკეთეს. არა, საშიში და საფათერაკო რა იყო, ოთხი წლის წინ საჩხუბარ და სადავიდარაბო საქმეს, ახლა ვინ ოხერი დაუწყებდა ძიებას, რაღა დროის იყო, მაგრამ...

თანდათან რომ იძალა ბინდმა, ცოლს გასძახა ლევარსიმ: — ხარები მორეკეს?

— არა...

— რატომ?

— ჯერ გამოწირავს თენგოია ბლუ...

შეკბა ლევარსი. გეზად მოხედა სტუმარს.

ცარიელ ჭიქას ჩაცქეროდა ლევანა. მის ობოლ ძმისწულს ეს დედაკაცი „ბლუს“ ეძახდა.

თავჩაღუნული იჯდა ლევანა. ნამეტანი ბევრი დაუგროვდა სათქმელი. ამ ულმერთო ქვეყანაზე, კაცი არ იყო, გულზე მოწოლილი დარდ-ნაღველი ვისთვისმე ეამბნა, ცოტათი მაინც მოეოქვა სული.

ქვემოთ, წიფლნარის ფერდზე, ვილაცას ცეცხლი დაენთო და დამწვარი ნეშოს სუნი მოჰქონდა ნიავს.

წამოდგა.

აღმართის აღარ შეჰყოლია. გზის ბოლოს ორი მოსახლე მოჩანდა და ერთერთში კუჭუჭი ჩიქვანი ცხოვრობდა. იქამდე მიღწევა არაფრით არ შეეძლო. თავქვე დაეშვა.

ღელის პირს ნახირი შეესეოდა. ნიშაუშობლები და ჯიქანგავსებული ძროხები დახარბებით სვამდნენ წყალს.

გასასვლელი გზა არ იყო. შედგა. ერთხანს პირუტყვს უცქირა. ბირკა-ბირკა მოდებოდათ კუდსა და ფეხებზე.

— მიდი, ჰა! — ააქნია მწყემსმა ბიჭმა სახრე — მიდი, შე ამგლე!

ყურადღებით შეათვალიერა ბიჭი, ბეჭფართო და ტანდაბალი იყო მწყემსი. მუხლებზე გაცრეცილი შარვალი და გულმოღეღილი ხალათი ეცვა, ოციოცდაერთი წლისა თუ იქნებოდა.

კარგად დაუკვირდა ლევანა. ვიღაცას მიამსგავსა. ვის, გაუჭირდა მიხვედრა. უფრო ახლოს მივიდა, ხათრიანი, უკანდახეული კაცის მზერა ჰქონდა ყმაწვილს და სწორედ ეს ხათრიანობა არ მოეწონა ყველაზე მეტად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვისი ხარ, ბიჭო! — ჰკითხა ჯიქურ.

არ უპასუხა.

— მუნჯი ხარ?

— არა...

— რა გვარი ხარ?

ახალგაზრდას თოფზე მიყინოდა სწორა, არ იძვროდა.

— რა ქვია მამაშენს?

კვლავ დუმდა.

— გვარი არ გაქვს, შე...

და, მეტი აღარ ახსოვს ლევანას... არც ია იცის რა დაემართა, თითქოს ფეხქვეშ მიწა გამოაცალესო, უცებ თვალთ დაუბნელდა. ღამის ნესტი რომ დაიდო მიწამ, ნახევრად ვრძნობადაკარგული კაცი თანდათან გონს მოეგო. ერთხანს ცას უცქირა, შავი ნაბადი რომ მოესხა, მერე მიიხედ-მოიხედა, ვერა და ვერ მოისაზრა, სად იყო, რომელ კუთხე-სამყოფელში. თქორავდა. წამოდგომა დააპირა, ვერ შეძლო.

— ვაი, შენ და ღვთის რისხვაო... — შეუკურთხა საკუთარ თავს.

„ადაცაა ბედი შენი, იქ მიგიყვანს ფეხი შენიო", გასდია ფიქრს. რა უნდოდა, რას მოწანწალებდა. რაღა დროის მისი ალმა-დალმა ხეტიალია... ყველა ავგულა და დაუდგრომელ კაცს ემართება ასე. ეგდოს ახლა წკვარამში მარტოდ-მარტო. რატომღაც აღარც წამოდგომის თავი აქვს და აღარც შეხმიანების. დაძახება კიდეც რომ შეძლოს, ვინ გააგონებ...

· უცებ ქვა დაგორდა. ფაცხაფუცხით ჩაენარცხა ღელის პირა, მერე შეუქმა ავსვეთა სივრცე. ნაბიჯების ხმა მოისმა. კარგად ვერ გაარჩია რამდენი იყვნენ, ორნი, ოთხნი, ისევ დაკარგა აზრი.

— რატომ, შვილო! რა დაემართა? — არ ცხრებოდა ქალი.

— აბა რა ვიცი! — ლამის აზლუქუნებულიყო ბიჭი.

— სად იყო? სად?

— აქეთ. თვითონ წაიქცა. თვითონ... გადმოაბრუნეს. სახე გაუნათეს.

— ვაი! — ჩაიკვნესა ქალმა.

— რა იყო, დედა?!

— არაფერი... მომეხმარე ... ძლივობით ამოილუღლუღა ქალმა — წავიყვანოთ...

გაჭირვებით, წვალებით დაითრიეს ადგილიდან. ახალგაზრდამ მკლავები შემოჰხვია ლევანას, ააწია. ბორძიკით შეუყვნენ ოღრო-ჩოღრო გზას. როგორც იყო მიადგნენ ჭიშკარს, ეზოში შევიდნენ.

გონზე რომ მოვიდა ლევანა, უკვე დილა იყო და მზის ნათელი ადგა ფანჯრებს. ტკივილს არ გრძნობდა, მხოლოდ თავი უბრუოდა.

სკამზე ქათქათა პირსახოცი და წყლიანი სურა შეამჩნია. ერთხანს ვერ გაარკვია სად იყო, ან როდის მოიყვანეს, ვის ეკუთვნოდა ეს ოდა-სახლი, ჭრელი ფარდაგები. თითქოს უხილავი არსება მოპარვოდა მშინარეს და გონების ყოველი კუნჭული წარსულისაგან იყო განთავისუფლებია — გაესუფთავებინა, რომ აღარაფერი ახსოვდა...

ქვედა სართულში ვიღაც ხმაურობდა, მბრძანებლობდა. ვერ გაარკვევდა, ჩხუბობდა თუ თავს ირთობდა. ლევანას მისთვის ყურადღება არ მიუქცევია, იგი ახლა მაღლა, ცაში დაფრინავდა და ქვევით, ადამიანთა სამყოფელთან არაფერი ესაქმებოდა.

შეინძრა ლევანა, საწოლი გააჭრიჭინა, ამით თითქოს ანიშნა, თუ მოდიხართ, მოდით, აღარ მძინავსო.

ნაბიჯების ხმა შემოესმა. კიბეზე ვიღაც მაუბუქად ამოდიოდა. ღრიჭოდ დარჩენილ კარში, თეთრცახოციანმა ქალმა შემოყო თავი. შემოყო და თითქოს საგნები თავის ადგილას დალაგდნენ, ყველაფერმა თავ-თავისი ადგილი დაიჭირა, ლევანამ რძალყოფილი იცნო. თვალები დახუჭა და ფიქრია თავს გაედევნა: „ააასს თავისი უქნია. მოტეხილა ელენეო..."

უცებ სასწაული მოხდა—წლების წინათ ჩავლილი, შორეული ამბები გუშინ მომხდარივით აუტივტივდა თვალწინ, — ცოცხალი ძმის მხიარული, ბედნიერებისაგან გაბადრული პირისახე გაიხსენა: „ოლინკა ნაფეტვარიძის ოჯახში გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გო მოსულა სტუმრად, ჩემი გული იქ დარჩით..." — იძახდა, ხუმრობდა: „ღუ მომკლავა, ის მომკლავა, სხვა რას დამაკლებსო". დღეში ათჯერ ჩაუვლიდა ოლინკას ჭიშკარს,—მღეროდა. უსტვენდა. ბედნიერი იყო იმ ზაფხულს.

ახლა რატომღაც, ძმისთვის მინიჭებული იმ მხიარული, ბედნიერი წუთებისათვის ემადლიერებოდა ელენეს. სხვა ყველაფერი გამქრალიყო — წყენაც, დარდიც...

საწოლთან მივიდა ელენე. დააცქერდა სტუმარს. კარგა ხანს უყურა უხმოდ, უსიტყვოდ. ჩანდა, რომ ღელავდა. თვალი გაახილა ლევანმა.

— როგორ ბრძანდებით, ბატონო?— ჰკითხა თავდახრით.

ერთხანს უსიტყვოდ უცქირა ლევანმა. მერე მზერა იქვე შორიახლო მდგარ თენგოს დაადგა.

ოცი-ოცდაერთი წლის ყმაწვილკაცს. გულუბრყვილო და ალალი გამოხედვა ჰქონდა. ღიმილით შესცქეროდა, ჩანს უკვე იცოდა ლოგინში გასუდრული, სახეგამეხებული კაცის ვინაობა, მაგრამ იმდენად დიდი იყო ბიძიასთან პირისპირ შეყრის სურვილი, რომ სტუმრის მოღუშული მზერა ველარ ანელებდა სიხარულის იმ ცეცხლს, რასაც იგი როგორც წრფელ ალამს ან შუბლზე უბიწო ამბორს, ისე აგებებდა უფროსს.

— ორიოდე ლუკმა მიირთვით, ბატონო! — შესთხოვა ქალმა, თითქოს ეს უფილიყოს ამ წუთისათვის მთავარი. არ იუარა ლევანმა, წამოდგა: ბორძიკბორძიკით გაიარა ოთახი, ერთ მხარეს ელენე ამოუდგა, მეორე მხარეს — თენგო. როცა შებორძიკდა, ძმისწულს წაავლო მკლავზე ხელი. თითქოს საულე მოზვერი იყო და გამძლეობას უსინჯავდა.

აივანზე გავიდნენ. გრილი, მაცოცხლებელი ნიავი უბეროდა.

ერბოგაჟღენთილი ხაჭაპურები მოართვა ელენემ...

მერე, შუადღის მზემ რომ იძალა. „წავალთ აწი" — თქვა ლევანმა. შიშით შეაცქეროდა ელენე. კითხვა ვერ შეკადრა სტუმარს. რას ნიშნავდა „წავალთ"? მეორეს ვის გულისხმობდა? გუმანით ხვდებოდა ქალი. ასე უდროო დროს, ამოდენა გზაზე სახეტიალოდ და გასართობად არ წამოვიდოდა ლევანა. არც ნადირობის დრო იყო ახლა.

წუხელ შეშინებულმა ღელის პირს, კბოდეზე მიავენებული, გულშეწუხებული კაცი რომ დაინახა და ლევანა შეიცნო, კინაღამ წაიქცა ქალი. ყველაფერს იფიქრებდა, იაზრებდა, მაგრამ ლევანა თუ თავისი ფეხით ეატუმრებოდა, არ ეგონა. რაღაც სასიკეთო არაა მის თავზე, გაიფიქრა მაშინ ქალმა.

მერე, შუადღით, გემოზე დანაყრებულმა სტუმარმა, წასასვლელად მზადება რომ იწყო და შვილზე მიუთითა, ესეც მიმყავსო, შეცბა ქალი.

ერთი გუნებით შეეწინააღმდეგა „ვერ დავთმობ შვილსო, უმაგისოდ რა გამაძლებინებსო, კოდვა ვარ, ლევან ბატონო", ატირდა კიდეც. არ აცალა კაცმა — „მოდიხარ, ბიჭო?!" — გულუბრყვილო, ალალმართალ სახეზე დაბნეულობა აღბეჭდოდა თენგოს, ჯერ დედას მიაჩერდა, საოცრად დაპატარავებულსა და მხრებჩამოყრილს, მერე ამ გოროზ კაცს, გამჭოლი მზერა რომ ჰქონდა და ამ მზერით თრგუნავდა.

კვლავაც დაეშურა სტუმარი ვზას, „დროა, ავიძრათო". გახედა ძმისწულს. კვლავ დააპირა დედამ გადაფარებოდა შვილს, რომ ცოტა მკაცრად, მაგრამ გაოცებით უთხრა ლევანმა:

— ჩემს სოფელში, ჩემს სისხლსა და ხორცს, ვერავინ აკადრებს „თენგოიძლუს"...

მორჩა. ენა ვერ დაძრა დედამ. მასზე უკეთ ვის უნდა სცოდნოდა შვილის გასაჭირი. მამინაცვალმა თუ ვიღაც სხვებმა, რაღაც ჩაკლეს ბიჭში. გამუდმებულმა ქირდვამ, დაცინვამ, დამფრთხალი და მერყევი გახადა იგი.

საგზალი შეამზადა, თბილი სამოსი, საცვლები ჩაუწყო შვილს.

მოგვიანებით. სოფელს რომ გასცდნენ და დაღმართში დაეშვნენ, მთის ბრეკზე შემდგარი ქალი გაოცებით ხე-

დავდა, როგორც ქურანა კვიცი, ისე გაიგდო წინ ბიძამ ძმისწული, თავად უკან მიჰყვა, მხარზე თოფგადაგდებული.

შესცქეროდა ქალი და ერთ უსიამო გრძნობას გაეთანგა მისი გული: დიდი ხნის წინათაც ასე მიდიოდნენ ძმები, სისხლისა და ტანჯვის შესახვედრად, ორიდან ერთი დაბრუნდა. ახლაც ორნი მიაბიჯებენ ცხოვრების საცალფეხო ბილიკზე გასასვლელად. რომელ მათგანს წაუბორძიკდება ფეხი, ამაზე მხოლოდ განგებას შეეძლო პასუხის გაცემა, განგებას!

დედა კი სდუმდა...

IV

ღამით, დაღლილ-დაქანცული ლევანა ჭიშკარს რომ მიადგა, ძალიანაც კარგად გაიგო ელომ, მაგრამ რაკი კაცმა არ ინდომა მისი შეღვიძება, არც თავად შეიძლებია. ეზოში მიდი-მოდიოდნენ. ლევანა ხმიანობდა, უცნობი სდუმდა, არც „ჰოს“ ამბობდა და არც „არას...“

არც ის გაუგია ელოს, როდის მოინება ლევანამ სტუმრის მოსვენება.

გათენებისას, უცნაურმა ღრჭიალმა და გაუთავებელმა კაკუნმა გამოაღვიძა ქალი. მუხის ხისაგან ნაშენი, ძველი, მამაპაპური სასიმინდე ნახევრად დაერღვიათ, დაკრილული ფიცრები ცალკე ერთ კუთხეში მიეწყოთ, ვარგისი — მეორეში.

მეზობლებიდან ორნი ეხმარებოდნენ. ანთიმოზა ეფრემიძე და მისი უფროსი ვაჟი თავაულებლივ მუშაობდნენ.

არა, იმლამინდელი ალიაქოთიც შემდეგ, გუნება რომ იცვალა ქმარმა და ალრენილი დადიოდა, კარგადაც იგრძნო ელომ, მაგრამ რა გადაეწყვიტა, რის გაკეთება სურდა ლევანას, ვერ მიხვდა. გარე-გარე რომ იწყო წანწალი და ოჯახის საქმეზეც გული აიყარა, დიდი მნიშვნელობა არც ამისთვის მიუცია ელოს, მიჩვეული იყო ქმრის ხუშტურებს, მაგრამ თოფი რომ გადაიკიდა და სანადიროდ თუ სახეტიალოდ გაემზადა, ჩაეცინა ქალს: „კაცი ბერდებოდეს და შტერდებოდესო, ასეა მისი საქმ[illegible] დღე არ გამოჩენილა და ახლა [illegible]ნებით, უცხო სტუმართან ერთად რომ ჩამოეხეტა ეზოში, თვალის პირველსავე დატანებაზე მიხვდა ელო, ვინც უნდა ყოფილიყო ის ბიჭი. სხვა მის ადგილას ქვეყანას შეყრიდა, საკუთარი შვილი ქუჩას გაუძახე, სხვისი აქ მომითრიეო. მაგრამ არა, სიკეთის, ქალური ქალობის სხვა მადლი ეცხო ელოს.

ცოტაც და ჭრიალა ურმები მოადგნენ ჭიშკარს. ფიცრების გადაზიდვა იწყეს...

წუხდა ქალი, კაცი რომ მიდიოდა და ტოვებდა ოჯახს, მაგრამ ასე უსიტყვოდ, უდავიდარაბოდ ფუძის მოშლა ჯერ არ სმენოდა ქალს. „ყველა უცნაურობა ჩემს თავზე როგორ უნდა მოხდესო“,— გაიფიქრა, მაგრამ არ ამხელდა, რადგან იცოდა, ლევანას მსგავსი, უცნაური, ახირებული კაცები ძნელად რომ შეისმენდნენ რამეს.

გაჰყვა და გამოჰყვა ანიკო ურმებს. დღის ბოლოს, ამბავი მოიტანა, სოფლის ბოლოს, ორი ღელის შესაყართან, ენუქი ლორთქიფანიძის ნასახლარი აურჩევია სამოსახლოდო.

ამ საქმეში ისიდორე „თავმჯდომარეც“ ურევია და ისიდორე „ცალფეხაც“. ორი ისიდორე მართავდა სოფელს. რამდენად მეტს ფიქრობდა ელო და კვალდაკვალ მისდევდა აწეწილ ფიქრებს, მით უფრო უჭირდა სიმართლის გარკვევა სად იწყებოდა და სად მთავრდებოდა წუთისოფლის სიავე, რას უქადდა იგი მომავალში.

მთელი ეს დღეები გარეთ არ გამოსულა ქალი, არც ქმარს შეყრია პირისპირ. გაურბოდნენ ერთმანეთს. ანიკო შუამავლობდა, იგი ეზიდებოდა სადილს სტუმრებთან.

ოცი წლის უნახავი ძმისწულის ჩამოყვანა, ახალი ცხოვრების ფერხულში ჩაბმა, ახალი გზის დასაწყისი იყო. შეძლებდა კი ლევანა ამ გზის ბოლომდე გავლას?! ჰქონდა კი ამის უნარი?! არ იცის. სამაგიეროდ ახსენდება, სანამ გული გაიქცეოდა, ყოველ ცისმარე ერთ შეგონებას უმეორებდა ქალს ქმარი—

ეროვნული ბიბლიოთეკა

„დედის კალთას ამოფარებული ვაჟი, სუსტი და უძალო იზრდებაო...“ როცა ბიჭი გაიქცა, თავად ხომ არ დადევნებია, ცოლსაც აუკრძალა ქუჩა-ქუჩა წანწალი და შვილის კვალში დევნა. „ოჯახს მიხედეო! — აუხირდა, წყალში უსუსური იხრჩობა, ძლიერი გაცურავს და გავაო“. „წყალში ძლიერიც იხრჩობაო“, — შეპასუხება უნდოდა ქალს, თქმა ვერ გაბედა.

მერე დღეები დღეებს გადაება, გარბოდა და გამორბოდა ანიკო. აქაური ამბავი იქ მიქონდა, იქაური — აქ. ბალავერი ჩაყარესო, კედლები ამოიყვანესო, სახლი დახურესო, —შემოკაკანდებოდა ეზოში. ერთხელ ამბავი მოიტანა — „მამაჩემი და თენგო ჭერლი დღე სვამდნენო, მეზობლებიც იყვნენო, თენგოს ღვინოს აძალებდნენო. მერე თენგო დათვრა და ტირილი დაიწყოო..“ გული აეწვა ელოს. უხმოდ გადაყლაპა ცრემლი, ამის შემდეგ თენგოს სიმთვრალე არ წამოცდენია ანიკოს. გამოსცადესო — დაასკვნა ქალმა. მერე — „ეზო ქაცვით შემორაგვესო, ვაშლის ხეები დარგესო, მიწა გადააბრუნეს და ვაზი ჩაყარესო...“

გაწამდა და გაწვალდა ანიკო. გულგაყოფილი დადიოდა. სოფლის ერთ თავში დედა ცხოვრობდა, მეორეში — მამა. აქეთ სკოლა, იქით მაღაზია. გარბოდა და გამორბოდა, თითქოს მისწრებაზე იყო. გაკვეთილების დამთავრების შემდეგ, სანამ თანატოლები გზა-გზა ლახტსა და კენჭობანას მოილევდნენ, მერე შინ მისვლას და გემოზე დანაყრებას, ორი გზობა გარბენ-გამორბენა უნდა მოესწრო. ჯერ მამა უნდა ენახა, მერე დედისკენ ებრუნა პირი.

— ეე! ანიკო მოვიდა! — ყიჟინას ატეხდა თენგო. შეეგებებოდა, ჩანთას ჩამოართმევდა, თმაში დაქაჩავდა. ეს იყო მისი სიხარულის და აღფრთოვანების გამომხატველი უტყუარი ნიშანი. ჩაელიმებოდა ლევანსაც. მხარს აუბამდა ძმისწულს. სიყვარულით შეაცქეროდა გოგოს.

მუდამ ენატიკტიკა, მერცხლის ბარტყივით აჭიკჭიკებული გოგონა თანდათან გულჩათხრობილი და სიტყვაძუნწი გახდა. ესიზმრებოდა, რომ შუა ხიდზე იდგა, ერთ მხარეს დედა უხმობდა, მეორე მხარეს — მამა. ელვიძებოდა და ტირილს იწყებდა, რამდენსაც გაუწევდა დედა ხელს, იმდენს აუკრავდა.

რა უნდა ექნა ელოს, რით ემართლებინა თავი, რა გზა მოენახა შვილთან მისასვლელი? განა არ იცოდა საიდანაც მოდიოდა ასე დაღლილ-დაქანცული?! რამოდენა ჯაფა ადგა მის გალეულ მუხლებს?! მამისკენ მიუწევდა გოგონას გული, სულ ლევანას ახსენებდა, სულ მისი ამბავი ეკერა პირზე. თენგოს აქებდა.

ამ ბოლო დროს ფაცო გაიჩინა გულის შესაიდუმლედ ანიკომ. გამოჩნდებოდა დედა და გაიტრუნებოდა გოგო. სახეც ისე უდანაშაულო და ალალმართალი გაუხდებოდა, თითქოს ყოველივე ის, რაც მიხურულ კარს იქეთ გაიგონა ქალმა, მის მოსასმენად არ იყო ნათქვამი.

სწორედ ეს გულუბრყვილო თვალთმაქცობა აღიზიანებდა ყველაზე მეტად ელოს.

* * *

ასე იცის ბედის გამჩენმა, საუბედუროდ და სავაგლახოდ ერთხელ თუ მოგადგა კარს, მოირჩა, აღარ მოგეშვება, ერთ სიმწარეს მეორე მოყვება, მეორეს — მესამე და...

რამდენ საწყენზე დაეხუჭა ელოს თვალი, რამდენი ტკივილი მოეთმინა და მოებოდიშა, გაძლება არ უნდოდა?!

გელას გზა-კვალს გოგია მასწავლებელი რომ გაედევნა და შინ მშვიდობიანი პასუხი დააბრუნა, ოდნავ ჩაყუჩდა ქალი, იფიქრა, გოგია არაფეროში შეცდებაო, ამ საქმესაც გულგარეთ არ მოეკიდებაო, მაგრამ ვაჟის გაქცევა-გადაკარგვას მაინც გაუმხელლელად მიატიროდა დედა. ვერ წყნარდებოდა, ვერ ისვენებდა.

მერე იყო და ქმრის წასვლამ, ეზოდან უხმოდ გადასვლამ, საბოლოოდ დაასამარა მისი ქალობა, გავიდა მეტი დრო და თურმე ამასაც არ აჯერებდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

წუთისოფელი. ახალ სადარდოს, ფათერაკს და თავსატეხს უმზადებდა.

უფროსი ქალიშვილის, ფაცოს, ჯაგვიანებით შინ შემოპარვა, კარგა არას ნიშნავდა. გოგოს კრთომა-ცახცახი სულაც უწრიალებდა ელოს, მისახვედრი ვერ ხვდებოდა... იმიტომ კი არა, რომ გოგომ მიჩქმალა, დედას დაუმალა სათქმელი. თავად დღეები აეწყო გაურკვეველი და გაუაზრებელი. რაკი ქალ-ვაჟის პირველი შეხვედრა, შეყრა-შეპირისპირება, ბედით თუ უბედობით დაინავსა, ჩაიმალა, დანარჩენ დღეებსაც, ნამალავ შეხვედრებს გაცხადება არ ეწერა. ასე დარჩა ბოლომდე.

...მაშინ იყო და, ჯერ კიდევ აპრილის თვეში კოლმეურნეობის საერთო კრებაზე, იაიდორე თავმჯდომარემ, ხალხს უსაყვედურა, საცაა ჩაის კრეფა დაიწყება, გზის მშენებლობას კი არ დააყენეთ საშველით, თითო-ოროლა კაცის გამოსვლა რაღა ბედენაა, ჯობს სოფელმა გამოსადენი ოფლი გამოიდინოს, რომ პლანტაციებთან მისასვლელი გზა ერთხელ და სამუდამოდ, საშვილიშვილოდ შევაკეთოთო.

კვირის თავზე რამდენიმე კაცი გამოვიდა სამუშაოდ, ხრეშსა და სილას ეზიდებოდნენ, ხეებს ჭრიდნენ, ფესვებს ძირკვავდნენ. საღამოს მოწვიმა და... მთელი კვირა არ ჩაითქვა სული!

წვიმამ და ტალახმა შეაყოვნა ხალხი, მერე ყველას საკუთარი საქმე და საწუხარი გამოუჩნდა. გზის გაჭრა და დატალახებული ადგილების ქვალორღით ამოვსება, არავის უფიქრია. ამასობაში ჩაი მომძლავრდა, ქალები პლანტაციებში გავიდნენ.

გაიტანჯნენ შოფრები. ტალახში ეფლობოდა მანქანები.

იმ დღეს, ჩაის მკრეფავი გოგოები აჩურჩულდნენ ნაძვნარში, დაბლა, გზისპირას, პატიმრების ჯგუფი მოიყვანესო, თოფიანი მცველები ადგათო თავზე. ნახვას დაეშურნენ გოგონები. ღელე კადაჭრეს, ფერდს რომ შეუყვნენ, სახუმაროდ და სალაზღანდაროდ აღერღილი გოგოები უმალ ჩაყუჩდნენ. ათი-თხუთმეტი კაცი, გამომშრალ-გამო[illegible] ხეებით, მიწას ხრეშს აყრიდა, ქვებს ეზიდებოდნენ.

ხეირიანად არ მიახლოებულან, წარბშეკრულმა ჯარისკაცმა თოფი აუქნია, წადითო, ანიშნა. გაშეშდნენ გოგოები. ნელ-ნელა დაიხიეს უკან, გამოიქცნენ.

მეორე დღეს, დედის ნამალავად სამაისო მსხლები დაკრიფა ფაცომ, კალათში მიმალა, თავსაფარი წააფარა. ახვებსაც შეძვრომოდათ გული, ცხელი მჭადი და რძიანი სულგუნი გამოიყოლეს.

შიში კლავდათ გოგოებს, ჯარისკაცი თოფს გვესვრისო. მიახლოება ვერ გაბედეს. ერთი მაღალ-მაღალი, ფართოთვალება კაცი წამოვიდა მათკენ. მიეახლა გოგოებს. წინ გაუჩერდა ფაცოს. აწრიალდა გოგო, აწრაფ-აწრაფად ამოჰქონდა კალათიდან მსხალი. ხელებში ატენიდა უცნობს...

თავად არ ივრობდა კაცი, არც მადლობას ამბობდა, არც უკან იხევდა, თითქოს ასე გაშეშებული დგომა ებრძანებინა ვინმეს.

— ეი, კახელო! — შემოსძახეს პატიმრებმა და გამოარკვიეს ვაჟი.

ის იყო და ის, იმ კაცის მზერა ვერც მოიცილა გოგომ, სადაც წავიდა, თან გაჰყვა. ღამით, კედლიდან გადმოდიოდა და გათენებამდე სასთუმალთან [illegible]და.

ეგებ მისმა ბედმა გაუჭრა, სხვა პატიმრებისაგან განსხვავებით, მარტო იმ შავულვაშა ჭეელს ჰქონდა ქალებთან მიახლოების უფლება, მარტო მას შეეძლო ჩაის მკრეფავ ქალებთან ბაასი, საერთო ენის გამონახვა. მაინც რა ნდობა ჰქონდა ასეთი... აღარ უშლიდნენ მცველები და აღარც ფეხდაფეხ მოსდევდნენ. მერე ერთიორჯერ მაღაზიის წინ შეეფეთა ფაცოს, სიგარეტებით დატვირთული ბრუნდებოდა უკან.

ოღონდ ეს იყო, იმ პირველი შეყრა-შეპირისპირების შემდეგ, ღამის [illegible]ლზე შემდგარიყო ვაჟი. ყველგან ფაცოს ეძებდა, ყველგან მას მიელტვოდა... ამას გუმანით გრძნობდა გოგო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწორედ ამ ყრუ, გაუმხელელი გრძნობისათვის ემადლიერებოდა ვაჟა.

ბედი იყო ალბათ... ღელის იქით, ბუჩქნარში, მარტოდ-მარტო შემოხეტებული მაღალი კაცი, მუხლამდე წყალში ჩამდგარ, ოდნავ შეშინებული გოგოს წინაშე ისე მოულოდნელად გამოცხადდა, თითქოს სიზმრიდან მოსულიყოს.

დიდ სიხარულს, სითამამეს და ჟინს-კეს არ იყო ფაცო ჩვეული, არც ამ უილბლო კაცის ბედი შეშურებია ვინმეს. მსგავსმა მსგავსი იპოვაო და... იმ დღის შემდეგ კიდევ უფრო ჩაიხურა ღელისთვის ქალიშვილის გული.

* * *

დეკემბრის ცივი ღამეები რომ დაიწყო, „ბეჭის ფრთა მტკივაო", გაამხილა ელომ, „გავცივდიო. სანთლის არაყით დაუზილა ფაცომ, არაფერმა უშველა. მერე ბეჭის ტკივილს, ფილტვები და გული აჰყვა, ავადმყოფობა მოეძალა ქალს და მოსვენება არ მისცა. ერთხანს არ აცხადებდა, გამივლისო — იმედოვნებდა, მერე ღამ-ღამობით სიცხეები რომ დაეწყო და ოფლში ცურავდა, კარგი არაფერი მჭირსო, — გაიფიქრა, მაგრამ არ გაამხილა. საქალო და საკაცო საქმე ფაცოს დააწვა მხრებზე. ვერ აუდიოდა... ყველაფერს რომ თავი დავანებოთ თავად გოგო იყო დაბნეული და აზრდაფანტული. აქეთ ქალიშვილის უგუნებობა აფორიაქებდა ელოს, იქით — უპატრონოდ მიტოვებული ბიჭის უნახაობა. ამას საკუთარი ავადმყოფობა ერთვოდა და დარდით ტვინარეულ ქალს, საით წასულიყო, რომლისათვის ეშველა. ვერ გაერკვია. მერე თანდათან რომ მოეშალა ავადმყოფობა, ფიქრი შეუჩნდა, ხანდახან მოთოვს და ქარბუქი ამოქოლავს გზებს, ქალაქში უნდა წავიდე და ვაჟა ვნახოო... ექიმსაც ვეჩვენებიო.

მეზობლები მოქონდათ გელაა ამბავი ერთი ავტობუსში ენახა, მეორეს — ბესო ლამბაშიძის ოჯახში. პროფსასწავლებელში ჩარიცხეს, ბეჯითად სწავლობსო, შემოთვალა ბესომ.

მაგრამ ახლა, ზამთრია ამ კუნაპეტ ღამეს, ტკივილი რომ გა[illegible] ულს, ბიჭი უნდა ვნახოო, დაჟინებით იმეორებდა დედა.

სანამ ქალაქისკენ გასწევდა, ერთი კვირით ადრე, ძველ ნასახლარს მიაკითხა ელომ, რაც გათხოვდა და ქმრის ოჯახში დაიდო ბინა, აქეთ აღარ უქნია პირი. არადა, რაც ავადმყოფობა მიეძალა, მის შემდეგ სულ იქეთ მიილტვის, ბავშვობისა და ყრმობის ნასახლარისკენ. ჰოდა, შეუყვა ფერდობს. წითელ-ყვითელი ხალათები გაეფინათ გასაშრობად ეზოში. ნოშრევანას ცოლშვილისთვის განკუთვნილ ოდა-სახლში ამჟამად ლეჩხუმელი კუხალეიშვილი ცხოვრობდა. მაშინ მოსალაპარაკებლად მოსულ კუხალეიშვილს, ცოლიც ახლდა თან. ქალი ორსულად იყო. „შვილი რომ გამიჩნდება — ალაოლალდა მუშტარი, — თქვენი ნათლული იქნება — შეღიმოდა ქალს. ბიჭი თუ იქნეს, ნოშრევანი დაარქვიო" შეიპირა ელომ. უმალ თანხმობა მიიღო და იმ უცაბედი თანხმობისათვის იყო, ფულზე აღარ უვაჭრიათ გამყიდველსა და მყიდველს, რაც შეძლებაც ჰქონდათ, იმ ფასში მორიგდნენ.

ახლა თვალებბრიალა ყმაწვილკაცის სანახავად არ მოსულა ელო... სადღა იყო ის... მამაპაპეულ ოდა-სახლის ნახვის სურვილი მოეძალა და ვერაფერი მოუხერხა. არადა, ბავშვების ყიჟინა აზრიალებდა სახლს, გარბოდნენ და გამორბოდნენ თურაშაულის ვაშლივით სახე ალვივებული გოგო-ბიჭები. კუხალეიშვილს თორმეტი შვილი ჰყავდა. ელომ თამამად შეალო ჭიშკარი. გაუხტნენ და გამოუხტნენ კვიცივით მარმაშა ბიჭები.. ძმის მოსახელე, პატარა ნოშრევანა ვერ ნახა, რაც ჩამოვიდა, სახლში ვერ ვაჩერებო, — სიამის სხივი უციმციმებდა დედას თვალებში.

მასპინძელთან ერთად კარგა ხანს იჯდა ელო ოდა-სახლში, ოდნავ ნირშეცვლილი თუ შესხვაფერებული ეჩვენა იქაურობა, მაგრამ ფანჯრის ჩარჩოები თუ ოდნავ შეჭვარტლული ძველი, მამაპაპური ბუხარი იმდენ სითბოსა და მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გონებებს აღვივებდნენ, სიამით ჩატკბა ქალი.

წამოსვლის წინ, წითელლოყა ვაშლებით გაუვსო ხელჩანთა დიასახლისმა — ლეჩხუმურიაო.

ჩუმად, ფეხაკრეფით დაბრუნდა ელო. კულასთან წასაღებად გამომზადებულ ჩანთაში მიმალა ლოყაწითელი ვაშლები.

მესამე დღეს მშობლების საფლავი მოინახულა, არ უტირია, უსიტყვოდ იჯდა ცივ ქვაზე. აძიგძიგებული დაბრუნდა შინ. იმდღიდან დაწყებული ერთი კვირა ლოგინი ზილა. კვირის თავზე, შუადამისას გამოეღვიძა, ცხელი რძე მოინატრა. აწრიალდა ფაცო, წამოადუღა, ცხლად ასვა. თვითონაც იქვე ჩაუცუცქდა, წამდაუწუმ მთქნარებით ყბებს ინგრევდა. მისმა საცოდაობამ შეაწუხა ელო, წადი დაიძინეო, — მოიცილა.

ცივი მჭადის ნატეხები ჩაფშვნა რძიან ჯამში. თბილმა, ნოყიერმა საჭმელმა ძალა შემატა... რაღა გააჩერებდა საწოლში! „თავისახლი ხომ ვინახულეო!“ — ჰკითხა საკუთარ თავს. „მშობლების საფლავიო?“ — ისიც. სანამ ქალაქისკენ პირს იზამდეს, ერთი ადგილსამყოფელი აქვს სანახავი და მორჩა, თავისუფალი იქნება.

იქვე ახლოს, სკამზე დაწყობილ ტანსაცმელს გადმოწვდა, ლოგინში შეიტანა. შეიმოსა, შეიფუთნა. ჯოხიც მოიმარჯვა. კარი გამოაღო და ლანდსაყოლელივით გამოიპარა. მთვარე არ ჩანდა. ქარსა და სიცივეს ცა გაესარკა. ნათელი ადგა ორღობეს. ტუსტუსით გარბოდა. ნახევარი გზა რომ გაიარა და ძაღლების ყეფა-წკმუტუნმა ორღობე აიკლო, ცოტა შეისვენა და სული მოითქვა. ისევ ისე ძველებურად, ჩხვლეტდა მარცხენა ფერდი, იმდენად ტკივილს არ გრძნობდა, რამდენადაც მჭვალი აწუხებდა და სუნთქვას უხშობდა.

გზადაგზა ჩურჩულებდა — „დალოცვილია ღამე, არსად კაცის ჭაჭანება არ ჩანს, ვერავინ მხედავსო“.

მერე, სოფელს რომ გასცდა და ტრიალ მინდორზე ახალმოსახლის ეზო-კუთხე შეამჩნია, რატომღაც მუხ[illegible]ყუნა. ვერ გაიგო. თავად გამოელია თვალში სინათლე თუ ცა მოიქუფრა. ჩამობნელდა.

წკნელით შემოღობილ ეზოს რომ მიადგა და ახალ მოსახლის სახლ-კარს გახედა, გაუძნელდა კედლებისა და კარფანჯრების გარჩევა, ქარი სიაინებდა ლაფაროში... მიუსაფარობა იგრძნობოდა. წამით მოეჩვენა, რამდენიც არ უნდა ეხეტიალა, ეძახა, ვერავის იპოვიდა. არამარტო ქმარი, ყველა და ყველაფერი გამქრალიყო ამ ქვეყნიდან. შორს, უკუნში, ანათებდა შუქი. ძნელი იყო იქამდე მიღწევა. ეს იყო გონების ბოლო განათება, შემდეგ რა მოხდა, არ ახსოვს, ყველაფერი სიბნელემ შთანთქა.

გონს რომ მოვიდა, გოგია მასწავლებლის ცოლს, ვერიკოს ჰყავდა გულში ჩაკრული. გოგიაც იქვე იჯდა, ლოპის ძირში, თუთუნის ბოლით სახე გაბურული...

მალავი მალავში გაუყარეს, და აი, ნახევრად მკერდზე მიავენებული უკან დააბრუნეს.

„გვიანობამდე კეცხლს ვუჯექით მე და გოგიაო, — ალაპარაკდა გზაში ვერიკო (მკერდში იკრავდა ელოს, თბილი, ლუნღულა შალით ათბობდა). სიმინდს ვფშვნიდით, დილა უთენია წისქვილში ვაპირებდით წასვლასო. საქმეზე გამოსულა გოგია, დაფეთებული შემოვარდნილა უკან. „ქალი მიდის მაოზე. ელო უნდა იყოსო“. „რას ამბობ, ელო ერთი კვირაა სიცხიანი წევს-თქო“. „არა, ელო იყოო“ — დაიჩემა გოგიამ. „რაღაც ფარსაგი არაა მის თავსო“, წამოვარდნილა ვერიკო. კვალში მიჰყოლია ელოს. მერე გოგია დადევნებია ცოლს.

ჩაეცინა ელოს. აკი თავს აჯერებდა: ღამეა და მარტო ვარო. ვერავინ მხედავსო, არც არავინ მითვალთვალებსო...

* * *

შობის წინა ღამეები სულ სიზმრებში გაატარა ელომ. რაც კი რამ ჰქონდა სადარდო სულ ერთიანად წამოუპირქვდა თვალწინ. ბოლოს გელა გამოეცხა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და. შეცვლილი ეჩვენა შვილი... ახოვანი და ბეჭფართო ჩანდა. „რაღაც უბედურობაა ჩემა თავსო“ — გაიფიქრა სიზმარში შვილის ასე გალამაზება თუ გადასხვაფერება არ ეამა.

დილით, ცა რომ გალილისფერდა და აღმოსავლეთი მზის სხივებმა გააბრწყინეს, წამოდგა ელო, ჯერაც არ ეყივლა მამალს. შვილები არ შეუღვიძებია, დასაბარებელი რაც კი რამ ჰქონდა, ძილის წინ მოათავა, ჭკუა და გონება მოჰკითხა შვილებს: მტერს ნუ გამიხარებთო, — დაუბარა, — ნურც მოყვარესთან შერცხვებითო. „ხშირად ცუდათა ვხდები, წავალ ექიმს გავესინჯები, თუ საჭირო იქნება, საავადმყოფოში დავწვები, თუ დამაგვიანდეს, ნუ იდარდებთ, ოჯახს მიმიხედეთო“... „საავადმყოფოში პატრონი არ გინდათ?“, — აწუწუნდა ფაცო. შეუწყრა ქალი — „გელა იქ არ არისო...“ ამით არამარტო ჩააჩუმა გოგო, დაამედა კიდეც.

სიცივე იყო, ძვალ-რბილში ატანდა სუსხი. კარგა მანძილზე რომ ჩასცილდა სახლს, იგრძნო, ვიღაც მოჰყვებოდა. შეჩერდებოდა თვითონ, ისიც სიკვდა ნაბიჯს, წავიდოდა და — გასდევდა. „ვინ ჯანდაბაა“ — მოიხედა. ძაღლი აღმოჩნდა, ანიკოს ცუგო. სუნსულით მიადევდა. გაეღიმა ელოს. გარს უვლიდა ძაღლი, ყნოსავდა. დიდი ანია უნახავივით ელერსებოდა, თუ ეშმაკობდა ბოდა პატრონს.

არ გაუგია, როდის ჩამოსცილდა ძაღლი. ქარი ქროდა, სიცივე ძვალ-რბილში ატანდა.

არ იქნა და არ გამოჩნდა ავტობუსი. კარგა ხანს მოუწია, გზისპირას, ყინვისაგან დათვილული ნაძვის ქვეშ დგომამ.

ორშაბათი დღე იყო. ძნელად თუ მიატოვებდა ვინმე თბილ კერას. საბაზრო თუ სამოციქულო საქმეს კვირა დღისათვის მოილევდა კაცი. ამიტომ შერჩა ელო ასე განდეგილივით გზასა და სუსხს.

ადამიანს ყველაზე მეტად იმედი აცოცხლებს, ხვალის იმედი, რწმენისა და სიხარულის იმედი. იმედი ნუ მოგვიშალოსო, დალოცავს ერთი კაცი მეორეს. ამ გამთოშავ სიცივეში, თავშალში გამოკოჭილ ქალს, რისი იმედი ექნებოდა. თუ არა, გელას იმ ორად-ორი ბარათისა, ახლაც რომ უბეში უდევს და გამუდმებული თრევისაგან ასე გაიცრიცა. წერილების არსებობა არავის გაუგია, არც ფაცოს და არც ანიკოს, იგი დედის სიხარული და გაუმხელელი დარდი იყო. მაინც რატომ მალავდა, თვითონაც არ იცოდა. არადა, ეჩვენებოდა, თუ გაამხელდებდა და ხელიდან გაიცლიდა, მაშინ ბარათი დაკარგავდა იმ სასწაულმოქმედ ძალას, რასაც ლონემიხდილი დედის ხელახლა გაცოცხლება და ფეხზე დაყენება შეეძლო.

ბიჭი წერილს გოგია მასწავლებელს უგზავნიდა. შიგ დედის ბარათსაც დებდა. მასწავლებლის წერილი ვრცელი შინაარსის იყო, დედის — ძუნწი და შორიდებული.

სიცივისაგან აწუოული ქალი, თავის გულში, სტრიქონ-სტრიქონ მიჰყვებოდა შვილის მონაწერს: „ჩემო საყვარელო დედა!“... ეფერებოდა ქალაქში გაქცეული ვაჟი, და ძანდათან ნელდებოდა სუსხიანი ქარის ქროლვა, მუხლისთავებში თბილი სისხლი იწყებდა ჩაჩუნს. გულისაგერა მშვიდდებოდა.

მერე ელირსა და, სად იყო და სად არა, ნაცრისფერი, დიდი ავტობუსი გამოჩნდა.

V

ერთხანს სოფლის ოლრო-ჩოლრო გზაზე მიგუგუნებდა მძიმედ დატვირთული მანქანა. მერე გაჩახჩახებულ ქალაქს რომ მიუახლოვდნენ, ისიდორემ მოხედა გელას — საით გაგიწევია ლევანაა ბიჭო? — ჰკითხა. გელამ არ უპასუხა. მთელი იმ ხნის განმავლობაში, რაც მანქანაში ჩაჯდა. იგი გამუდმებით დუმდა. როცა ჰკითხავენ, „საით გაგიწევიაო“, რა ეპასუხა! „ქალაქშიო“ — ეტყვის, მაგრამ ასეთი პასუხი არ დააკმაყოფილებდა შაქაროსა და ისიდორეს. სულ წვრილ-წვრილად გამოჰკითხავენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაქცევის მიზეზს... ეტყვიან — მოვე-კადა შე კაცო, ხვალ თუ ზეგ სკოლას დაამთავრებდი, ატესტატს აიღებდი და გზაც ხსნილი გექნებოდაო, მაგრამ გა-ძლება და იქამდე სულის მიტანება თუ შეგიძლია, ამას ვინ გკითხავს, როცა ააფრენ ჩიტივით ხელის აქნევასღა ელოდები... აჰა, აუქნიეს კიდეც ხელი და უკან მიუხედავად გარბის!

„ვაი, თუ დროულად ვერ ჩავაბაროთ მარცვალი და ხვალაც იქ მოგვიწიოს ყო-ფნაო" — წუხს ისიდორე, შაქარო-შო-ფერს ეს დარდი არ აწუხებს, ხან სტვენს, ხანაც ღიღინებს...

მერე ქალაქს რომ მიაღწიეს, სწორედ მაშინ — „ვისთან მიდიხარო. ღამეს სად ათევო?! — ხელახლა ჩაეძია ისი-დორე. კვლავაკ ენა არ დაუძრავს ბიჭს, „ჩვენთან წამოდიო" — მიიპატი-ჟა ბოლოს.

კოლმეურნეთა სასტუმროში მისთვი-საც გამონახეს ბინა. იმ ღამეს იქ ეძინა. დილა ადრიან შაქარომ წამოაგდო ფეხ-ზე — წამო, ხაში ვჭამოთო. ეამა ცხელი, ქაფქაფა კერძი, გაუთბა გულ-მუცელი. „ხაშს არაყი უხდებაო". და ნა-ხევარი სალვინე ჭიქა არაყიც გადაახუხა შაქარომ.

სასმელმა გაათამამა ბიჭი, ხელის ერ-თი აქნევით ჩამოიცილა ორთავე თანა-მგზავრი და გაუყვა ქალაქის ხმაურიან ქუჩებს.

* * *

მოეწონა გელას ქალაქი: მოასფალტე-ბული ქუჩები, მრავალსართულიანი სა-ხლები, ფერად-ფერადი ვიტრინები, თვალპაჭუნა დედოფლები, მხიარული, ერთმანეთთან შეთამამებული, ზომაზე მეტად აკისკისებული გოგო-ბიჭები. ერთის — ჭრელ ხალათზე დაოჩა თვა-ლი, მეორის — ვიწრო შარვალსა და ბა-ლთიან სარტყელზე. ფუმფულა ტორ-ტებისა, შაქარლამებისა და ნამცხვრების ტევა აღარ იყო...

ძველ ფეხსაცმელს საცოდავად მიაფ-რატუნებდა. „ფეხსაცმელის მაღაზიას მოვძებნი, ახლებს ვიყიდი". — გადაწ-ყვიტა. წალმა-უკულმა აკეცა თვალები. ცხვირწვეტიანმა ტუფლებმა მზერა მო-სტაცეს. სალაროსთან მისვლა ვერ გაბე-და. გზა გააგრძელა.

შორიახლო მანქანა შეჩერდა. ჯაზუ-რი მუსიკა უკრავდა. შედგა გელა და დაუწყო ცქერა: ჭყეტელა სურათებით აჭრელებული მანქანის საჭესთან, წი-თელხალათიანი, წვრილნიკაპა ბიჭი იჯ-და. საღეჭი რეზინა ჩაედო პირში და ზლაზვნით, უსიცოცხლოდ იქნევდა ყბას.

მანქანისკენ მეტი აღარ გაუხედავს. შემობრუნდა და ქუჩას გაჰყვა.

...არა, ეს ქალაქი უცხო არ იყო მის-თვის. რამდენჯერმე ახლდა მამას. ერთ-ხელ საზამთრო ტანსაცმელი იყიდეს. მეორედ — სასწავლო ნივთები. მაშინ უფროსის ნაბიჯებს ადევნებული, ოო-ლად იგნებდა გზას. ახლა კი, ულლიდან გამოშვებულ მოზვერივით, ხან ერთ კუთხეს მიადგება, ხანაკ მეორეს. უფ-რო და უფრო მოსწონდა ქალაქი. ოღონდ ეს იყო, ერთ უცნაურობას ხხე-ვდა, არავინ ყურადღებას არ აქცევდა, თითქოს არც არსებობდა. აი ამ წუთ-ში რომ გაქრეს, როგორც წყლის წვე-თი, აორთქლდეს, ვერავინ შეამჩნევს. სოფელი სხვაა. თავისი მადლი და სი-კეთე აცხია. ნეტავ მისი წამოსვლა თუ გაიგეს?! რა თქმა უნდა, სკოლაში სი-ას ამოიკითხავდნენ... „არა — არას" ჩა-ამწკრივებდნენ. (გული დაწყდა). გოგია მასწავლებელმა რომ არ გააცხადოს, გა-ჩუმდეს და საიდუმლო შეუნახოს, ნუ-შია იყვირებს, მოიკითხავს, გადააქო-თებს იქაურობას. ნუშია ბობოხიძე გვე-რდზე უჯდა, ალგებრას გელასგან იწერ-და. ფართო, დაფეთებულ თვალებიან გოგოს ინჩი-ბინჩი არ გაეგება მათემა-ტიკურ საგნებში. დღეს საკონტროლო წერა უნდა ყოფილიყო. საკლასო რვეუ-ლებს დაარიგებდა გოგია მასწავლებე-ლი. ნეტავ რა დაუწერა წინა ნაშრომ-ში?! მოიწყინა.

წამით მოეჩვენა, თითქოს უზარმაზა-რმა მდინარემ გაიტაცა და მღვრიე ტა-ლღები ხის ნაფოტივით, ხან ერთ ნაპი-რზე გაისროდა, ხან მეორეზე, ხანაც

ლეილა მასხ
ეროვნული ბიბლიოთეკა

ქაფიან ქეროზე მოიგდებდა — და მიატივტივებდა...

დაილალა ალმა-დალმა სიარულით, მოშივდა, მოწყურდა.

ჯიბე მოიჩხრიკა და რესტორნის კარი გაუბედავად შეაღო. მუსიკის ხმებით ალულუნებულ ვრცელ დარბაზში თავისუფალი ადგილი მოიებნა. კერძი და ცივი ლიმონათი მიართვეს. სამი მანეთი და ორმოცდაჩვიდმეტი კაპიკი უანგარიშა ოფიციანტმა.

ბიჭმა დაჭმუჭნული ხუთმანეთიანი ამოიღო და ფული გულმოდგინედ დაუწყო სწორება. ოფიციანტი ხურდის დაბრუნებას აჭიანურებდა და თან, უცნაურად შესჩერებოდა უხერხულად ატუზულ ყმაწვილს.

ქუჩაში რომ გამოვიდა, უკვე ბნელოდა. ტროტუარზე, ჭადრის ძირას, ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ ბიჭები. ხორხოცობდნენ, თამბაქოს აბოლებდნენ. მხრებში ოდნავ მოხრილმა, ქალივით თმაგაჩეჩილმა ბიჭმა გელას მოხედა:

— ეი! იმაკაც! — დაუძახა.

შედგა გელა.

— სიგარეტი გექნება!

— არ ვეწევი!

— რატომ, შენი... — შეაგინა.

გელას სიწითლემ გადაუარა პირისახეზე, ხელები მომუშტა, რომ ამ დროს, ვიღაც ქალმა, ხელი-ხელ ჩაკიდებული ათითორმეტი წლის ბიჭი რომ მოყავდა—ამ ქუჩის ბიჭებს ნუ აყვები. შვილოო — უთხრა და თან გაიყოლა. ეს მოხდა ერთ წამში, როცა განათებულ ქუჩაში გავიდნენ, ქალმა კიდევ უფრო მაგრად ჩასჭიდა შვილს ხელი, ერთი-ორჯერ მოხედა გელას და უხმოდ გააგრძელა თავისი გზა.

— არავის ენდო!... — გაახსენდა გოგია მასწავლებლის ნათქვამი. მერე მის მიერვე, გაკრული ხელით ნაწერი ფურცელი ამოიღო და ნათურის შუქზე მისამართი ამოიკითხა.

დაიწყო ალმართზე ფუტკრის მინაყარივით ერთმანეთზე მიხორხლილი, აკოლიკებული სახლები: როცა ნაცნობი მისამართი იპოვა, კარგა ხანს იდგა, ჯერ ცალფა ქიშკართან, მერე [illegible] იქნა და დაკაკუნება ვერ გაბედა.

როდის-როდის იყო ოდნავ, ფრთხილად მიუკაკუნა კარს, რომ ოთახის სიღრმიდან მოესმა: — მობრძანდით, რომელი ხარ? შემოდი! გელა კარს მიაწვა, გაუბედავად შედგა ფეხი უცხო სახლში.

მაგიდასთან, ოჯახის უფროსი — ბესო ლამბაშიძე იჯდა, ცოტა იქით, ოჯახის დანარჩენ წევრებს: ოდნავ ჭაღარაშეპარულ საზდომიან ქალსა და გოგრაბიჭს მოეყარათ თავი.

გელამ გულისჯიბიდან წერილი ამოიღო და ბესოს გაუწოდა. სანამ ჩამოართმევდა, „დაბრძანდიო" — სკამიც მიაწოდა მასპინძელმა.

— როდის ჩამოხვედი?

— წუხელ...

— გოგია იყო ამ დილით...

— გოგია?

— ჰო... დილაუთენია დამადგა თავზე, — რატომღაც მზერა მოარიდა ბესომ. არ გაამხილა თუ რა უნდოდა გოგია მასწავლებელს, რისთვის ჩამოვიდა.

— ხომ მშვიდობაა?! — შიშმა დაზაფრა ბიჭი (ალბათ მე მეძებდა).

ამ დროს იყო სარკეში საკუთარი თავი დალანდა — გამხდარ, თმაგაჩეჩილ ბიჭს, მიტკლისფერი დასდებოდა სახეზე. მღელვარებისაგან ნესტოები უთრთოდა.

დიასახლისმა მაგიდას ქათქათა სუფრა გადააფარა. მოშივებული იქნებით. — უთხრა გელას და ცხელი კერძი მოართვა. ქალი ხან პურს აწოდებდა, ხანაც ყველის ნაჭერს... უხმოდ, ჩუმი მორჩილებით შეექცეოდა ბიჭი.

მოგვიანებით, ფანჯარასთან ახლოს, საწოლი გაუშალეს, აი, აქ დაიძინე. — უთხრა ბესომ. ხმაში ისეთი ფოლადი გაერია კაცს, უფრო ბრძანებას გავდა, ვიდრე უბრალოდ ნათქვამს. მიასი ჩოფურა პირისახე, ლომური მოირაობა ეუკხოვა გელას.

ცხვირპაჭუა, ციაფერთვალა გოგობიჭი უფრო შვილიშვილებად შეეფერე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოდათ ცოლ-ქმარს, ვიდრე შვილე-ბად.

მასპინძელი — სახენაყვავილარი, გოროზი კაცი, ბესო ლამბაშიძე, ავტოქარხნის ძველი მუშა, მოწინავე ზეინკალი და ქალაქის საბჭოს დეპუტატი იყო (ეს ყველაფერი გოგიამ უთხრა, წამოსვლის წინ).

იქვე კედელზე სურათი ეკიდა. ძველი, ალაგ-ალაგ შეცრეცილი, ფერგადასული. მკლავ-მკლავ გადაჭდობილი ოთხი მებრძოლი მოჩანდა. ჯარისკაცების თვალებში გაუმხელელი დარდი, თუ შიში იკითხებოდა. სურათი ბრძოლის წინ გადაეღოთ. ისიც იცოდა გელამ, ვინ იყო ეს ოთხეული. ასეთივე სურათი სახლშიაც ეგულებოდა, მაგრამ ახლა სურათს სხვა სინათლე შეეძინა და სხვა სატკივარს უმხელდა.

მეტი აღარ გაუხედავს იქეთ. არადა მოეჩვენა, ერთი მეორის მიყოლებით ჩამოვიდნენ კედლიდან მებრძოლები. ლევანა და ბესო, გოგია მასწავლებელი და ბორია კლიმჩუკი. შიშმა აილანა, მხარი იცვალა. კიდევ წუთი და, ახლა ღელეში ჩაცვენილ სარებს ხედავდა. ის სარები — მამის მრისხანე გამოხედვამ შეცვალა. მერე დედის ცრემლიანი თვალები და... მეტი არ მეეძლო, საცა იყო აღრიალდებოდა, რომ მეორე ოთახიდან, სადაც ბავშვების საწოლი იდგა, „იავნანას“ ტკბილი ხმა მოეფინა ბინას.

გელაც გააბრუა და დაათრო სიმღერის ბანგმა და სიზმრების ჭრელა-ჭრულა მინდვრებზე გაიყვანა მთელი ღლის ალმა-დალმა ხეტიალით დაღლილი ბიჭი.

VI

ქალაქის პირველ საავადმყოფოში გრძნობადაკარგული ქალი მიიყვანეს. სასწრაფო დახმარების მანქანა, ამდენხანს განგაშით რომ იკლებდა იქაურობას, როგორც კი კარი გაიღო და თეთრხალათიანი ექთანები გამოჩნდნენ, უმალ მიჩუმდა. გულშეღონებული ქალი საკაცით გამოიყვანეს, გადმოიტანეს ბარგიც. უხმოდ, რაღაცნაირი შიშით თუ დაფეთებით მოძრაობდნენ თეთრხალათიანები. უგონო ავადმყოფს თავს დასტრიალებდნენ, ნემსები, ჟანგბადის ბალიშები, წნევის აპარატი! — იამოდა მორიგე ექიმის მკვეთრი, პომთხოვნი ხმა... ვერ იქნა და გონზე ვერ მოიყვანეს ავადმყოფი.

მოგვიანებით, ყველანი რომ წავიდაწამოვიდნენ, მძიმე ავადმყოფსაც თავისი პალატა შეურჩიეს, მისაღებ განყოფილებას სანიტარი ქალიღა შერჩა — ტანდაბალი, ხშირი ჯდომისაგან ერთიანად ჩასუქებული დედაკაცი. იგი კუთხეში, ახლადმოყვანილი ავადმყოფის უმათვალყუროდ მიგდებულ ხელჩანთას მიშტერებოდა და გულზე გამოუთქმელი სევდა-ნაღველის შემოწოლას გრძნობდა. ერთხანს ვერ ჩახვდა, რა ემართებოდა, ასე წამისად რამ შეუცვალა გუნება. განა პირველი შემთხვევა იყო, რომ მძიმე ავადმყოფი მოიყვანეს?! მერე უცნობი ქალის ფერმკრთალ, უსიცოცხლო სახეს იხსენებდა, სადღაც ენახა იგი... დიდი ხნის წინათ, როდის?! ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, როცა ტანთ გახადეს ავადმყოფს და საავადმყოფოს საცვლებით შემოსეს, უბიდან ბარათები დაუცვივდა... უბით ნატარები, ჯერ კიდევ თბილი, ნოტიო ბარათები ახლა ხელში უჭირავს ქალს და თითქოს თითებს წვავს...

წამოდგა. ავადმყოფთა მიღება-გაშვების წიგნი გაშალა. უგვარო და უსახელო ავადმყოფი დაუწყო ძებნა. მესამე სართულზე, ორმოცდამეთორმეტე პალატაში მოეთავსებინათ.

შუადღისას, როგორც კი შემცვლელი მოუვიდა, იმ პალატისაკენ გასწია.

ავადმყოფი მძიმედ სუნთქავდა. საბნის თუმალთან კაფანდარა ექთანი უჯდა. შუბლსა და ყვრიმალებზე ოფლს წმენდდა.

— როგორ არის? — უჩურჩულა სანიტარმა ქალმა.

— ცუდად.

გამობრუნდა. პალატის ექიმი მონახა. მოუბოდიშა, ჩემი ახლობელიაო. — უთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხრა, მდგომარეობა მაინტერესებსო. დაამშვიდა ექიმმა, ყველა ზომა მიღებულია, ახლა სიმშვიდე და წოლითი რეჟიმია აუცილებელიო. ის იყო წასვლა დააპირა, რომ ექიმმა შეაჩერა: — ძალიან კარგი, აუცილებლად პატრონს უნდა შევატყობინოთო...

შეცბა ქალი: „კი, ბატონო" — დაბნეულად მიუგო და სწრაფად გაშორდა ექიმს.

ავადმყოფის საწოლს ფეხაკრეფით მიუახლოვდა, დაჟინებით დააცქერდა, თვალებჩაცვენილი, ჭაღარათმიანი ქალი თითქოს არც სუნთქავდა. მისი აგიზგიზებული ლაწვები, გამომშრალი ბაგეები, თითქოს ეცნო და არც ეცნო... მერე ბაგესთან თითი მიიტანა და „ხომ არ მეჩვენებაო" — ჩაიჩურჩულა.

სანიტარი ქალი, ამბერკი მენაბდის უფროსი ქალიშვილი — ანგელინა იყო.

...მეორე დღეს, დილაადრიან გამოცხადდა ანგელინა საავადმყოფოში. შემცვლელს ხალათი გამოართვა. გაოცდა დამხვდური — „ასე ადრიან რამ მოგიყვანაო", „ნათესავი უნდა ვნახოო", აწრიალებული ჩანდა ანგელინა. მთელი ღამე ფიქრებსა და მოჩვენებებში გაატარა, რა არ გაიხსენა, რა არ მოიგონა. ძველიც და ახალიც, ცუდიც და კარგიც. მერე ახალი ავადმყოფის უაზრო გამოხედვამ რატომღაც ჯავრი ჩაუსახლა გულში. სწორედ ამის გამო იყო, დილაუთენია რომ მოადგა საავადმყოფოს კარებს. ახლაც, შუბლშეკრული და სახედაიმარებული კიბეზე რომ ადის, ერთი საფიქრალი აფორიაქებს — რით დაეხმაროს?...

კარი შეაღო. ლამის გაშეშდა. თვალდაუხამხამებლად, ჯიუტი მზერით შესცქეროდა ავადმყოფი.

— გამარჯობა! — უთხრა წყნარად.

— გაგიმარჯოს.

— როგორა ხარ?

— თავი მტკივა.

— ნუ გეშინია, მალე გაივლის, — ანუგეშა.

ვერ იცნო ქალმა, ამას პირველივე წუთებში მიხვდა ანგელინა, უფრო სხვამ შეაწუხა იგი — ავადმყოფს სამქვეყნო პირი აღარ უჩანდა.

— ჩემი ბიჭი, — ჩაიჩურჩულა ავადმყოფმა.

— რაა? — ჩაეკითხა ანგელინა.

— ჰო... კარებთან იდგა წეღან.

— სად? — კარისკენ გაიხედა ანგელინამ. წამით, ავადმყოფის გვერდით, მეორე საწოლზე, სათვალიან ქალს წაატანა მზერა, იგი მუნჯურად ანიშნებდა რაღაცას, მერე აჩურჩულდა:

— ეჩვენება. მთელი ღამე ბოდვაში გაატარა, შვილს ეძახის, „არ დაარტყა", „არ დაარტყაო!" — ყვირის. მომკლა მისმა საცოდაობამ, — მიჩუმდა ქალი.

შეწუხდა ანგელინა, რა ექნა აღარ იცოდა.

— მე ანგელინა ვარ... — დაიხარა საწოლთან.

— ანგელინა?! — გაიოცა ავადმყოფმა.

— „მგონია, მიცნო".

ერთხანს გაყუჩდა, გაისუსა ავადმყოფი, თითქოს მიიძინა კიდეც. მერე ოდნავ შეხსნა თვალი.

— ნახე?! — ჰკითხა ხელახლა.

— ვინ?

— ჩემი ბიჭი.

— არა! არ მინახავს.

— წერილები?!.. სადაა?! — აწრიალდა ავადმყოფი. შეშფოთება აღბეჭდოდა სახეზე.

— მთელი ღამე წერილებს ეძებს. წამოდგება. საწოლქვეშ იქექება, ვერა და ვერ დავაწყნარეთ. საშინელებაა პირდაპირ, — შიშჩამდგარი თვალები ჰქონდა სათვალიანს.

— მე მაქვს. — დამაჯერებელი ხმით უთხრა ანგელინამ.

— შენ?! — გაიხარა ავადმყოფმა.

— ჰო...

— შეინახე?!

— აბა რას ვიზამდი?!

დაწყნარდა ავადმყოფი. თვალები მილულა. მისი უძალო, ფერმკრთალი თითები დაუძლურებული სხეულის გვერდით ისე ეწყო, როგორც გამხმარი ხის ფესვები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მომისმინე! — მოუხმო ავადმყოფს ანგელინამ, — რა ქვია შენს ბიჭს?

— გელა.

ამ სახელმა არაფერი უთხრა ანგელინას...

— მის ქმარს მგონი ლევანი ჰქვია, — ალაპარაკდა სათვალიანი, — მთელი ღამე ეძახის „ლევანა, ლევანაო!“ მომკლა მაგის საცოდაობამ.

— ლევანა?! — შეცბა ანგელინა, გაძნელებით ჩაყლაპა ნერწყვი.

* * *

თბილოდა პალატაში. იშვიათად :ღებდნენ ფანჯრებს, ორად-ორი ქალი შერჩენოდა საწოლს. ერთი მათგანი ელო გახლდათ, მეორე — ძველი პედაგოგი, მარტოხელა ქალი სოფიო.

ქალბატონი სოფიო რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი იყო.

უგონო ელო რომ მოიყვანეს იმ ღამით, არ დაუძინია სოფიოს. წამდაუწუმ გასძახოდა ექთანს, თხოვდა, ემუდარებოდა, მიხედეთ, უპატრონეთო. მობეზრდათ მისი ხვეწნა-მუდარა. ჯერ თავად სოფიო ამოუვიდათ ყელში. სამი თვის განმავლობაში თავისი უთავბოლო ამბებით, სახელოვანი ნაცნობებით, გატანჯა ხალხი.

ღამით სოფიო, წიგნებით ხელში, დერეფანში რომ გამოფარფატდებოდა, ერთმანეთს აწრებდნენ ექთანები — არიქა, მოდისო.

მერე ელო რომ მოათავსეს პალატაში, დერეფანში აღარ გამოსულა. რაც უნდა ღრმა ძილში ყოფილიყო, საწოლის ერთი შენძრევა, ელოს ერთი ამოკვნესა და წამოხტებოდა. სასთუმალთან დაუჯდებოდა, ხან მაჯას უსინჯავდა, ხან წამალს აწოდებდა, წყალს ასმევდა. ექიმის ძებნა და ექთანებთან სირბილი ხომ მისი მონაგონი იყო. მერე თანდათან რომ დამშვიდდა ელო და ბოდვაც შეწყვიტა, სოფიო ცოტა დაწყნარდა.

თვალი რომ გაახილა, პირველად ვერაფერი გაარჩია ელომ, ყოველივე ბუნდოვანი და ძნელად გასარჩევი ჩანდა. ოთახი ხომ ეუცხოვა, ფარდები, შემოსავლელი კარი, კარადა, საკმის[illegible] სურა, საწოლები; მერე თმაჭაღარა, სათვალიანი ქალი შეინიშნა სულ ახლოს და ახლა მისკენ გაექცა მზერა. მის თვალწინ წელში უცნაურად მოკუნტული ქალი იყო, თავის კანტურითა და ტუჩების ცმაცუნით რომ კითხულობდა სქელყდიან წიგნს. ერთხანს ყურადღებით უთვალთვალა ელომ, თვალი არ მოაცილა, ეგებ ვიცნოო, მაგრამ — ეს ქალი არსად არ ენახა. კარგა ხანს უცქირა. დაიღალა ელო. თვალები დახუჭა, შეისვენა. ახლა გონებაში მიჩხრიკ-მოჩხრიკა ძველი და ახალი... აქ საიდან მოვიდა?! ვინ მოიყვანა?! როდის?! ვერაფერი გაიხსენა. აზრის გამოტანა უჭირდა. ისევ ძველიდან დაიწყო... სულ იქედან, ყმაწვილქალობის სანეტარო სამყოფელოდან. მერე ნელ-ნელა, მიჯრით ამოტივტივდა გონებაში ნანახი და განცდილი, გასაოცარი ის იყო, მხოლოდ ყველაზე მტკივნეული, ძნელად მოსაგონებელი შემორჩენოდა გონებას, სხვა ყველა გამქრალიყო. უმცირესის გახსენებას, ყოველთვის უმთავრესის შეცნობა მოსდევს და რაკი ასეა, ისიც მოჰყვა ნელნელა ჩავლილ წუთებს, ზოგი გაიხსენა, ზოგსაც გუმანით მიაკვლია და ასე ამრიგად, კინოკადრივით გაეფინა თვალწინ ნახული და განცდილი. ჯერ საკუთარი თავი დაინახა, აძაგძაგებული, ზეგე ჩალურჯებული, მარტოდმარტო... მერე, მძიმე, ნაცრისფერი ავტობუსი ჩამოდგა, კარი შეუღეს. ფანჯარასთან დასვეს და თავისი ბარგიც ფეხებთან დაუწყვეს.

როგორც იქნა ჩამოაღწია ქალაქში. დიდხანს მოუხდა ქუჩაში ხეტიალი, ალმა-დალმა ლოლვა. ვერ იპოვა შვილი!

ახლა უკვე აღარ ახსოვს, რატომ იარა ამდენი, სად მიდიოდა და ვინ უნდა ენახა. ახსოვდა მხოლოდ, წითელ-ყვითელი მანქანები, აზიმზიმებული ქუჩები და აჭყარცალებული გოგო-ბიჭები, ძველი ნაცნობივით რომ ხვდებოდნენ გზაში. მეტი არაფერი. მერე თეთრხალათიანი ქალი წამოადგა თავზე, ახლოს მიუტანა ორმაგი ლაბაბი და ღიმილით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰკითხა: მიცანი?! როგორ ვერ იცნო, ეს ხომ ის იყო!... რამდენი ხანია არ უნახავს, გასუქებულა, შეცვლილა, დაბერებულა. მერე რა მოხდა, ახელი თუ არ ახსოვს, სამაგიეროდ, ხასხასა კოინდარს და ოდა-სახლს ხედავს. ფანჯრებსაც, ფარდა რომ ირხევა, ჭიშკარსაც, ლორი რომ მიდგომია ღრუტუნით. ბოსტნის ბოლოს ლელვის ხე ხარობს. როგორ ხარ? — ეკითხება იგი. რა უთხრას?! მოგონებებმა გამტანჯესო? ვერაფერს უშველის. თავი მტკივაო. — შეაცოდა თავი. დაამშვიდა — გაგივლისო... მერე ხელახლა მოუტანა სახე ახლოს და ჩაკითხა — მართლა ვერ მიცანი?! როგორ არა... აგერ, ალაგეზე სხედან გოგონები. დედის ნასწავლებ რუსულ სიმღერებს მღერიან. მათ გარდა არავინ იცის სოფელში მხიარული „ჩასტუშკები“. უფროსი ტკარცალა და მუდამჟამს აჭიხჭიხებულია, უმცროსი — ჩუმი და ხათრიანი. ვერ იქნა და იმ მეორის სახე ვერ დაინახა.

— მე ანგელინა ვარ! — ახსენებს თავს. იცის, განა არ იცის; ამბრეკი მენაბდის ქალიშვილია. ამბერკი მენაბდე, მელოტი, კოტიტა კაცი. ერთ წელიწადს ფეხშიშველა ირბინა. შვილს ეძებდა, უმცროს ქალიშვილს. როდის იყო ეს... საუკუნეა მას შემდეგ. იმ საშინელი დღის შემდეგ ჰკუაზე აღარ იყო საბრალო, ალმა-დალმა დატანტალებდა. მერე ცეცხლი გაუჩინა სახლს, გადაწვა იქაურობა და აიკრეს გუდა-ნაბადი, მიატოვეს სოფელი.. .როდის იყო ეს, აღარ ახსოვს.

შეწრიალდა ქალი.

— ქმარი რა ჰქვია, შენს ქმარს? — ხელახლა ჩააცახის ანგელინა. არ ეშვება. მიხვდა ელო, ეს ერთადერთი პასუხი უშველიდა ახლა, მოაცილებდა ამ ქალს, კედელივით რომ აღმართულა მასა და უკან დარჩენილ დღეებს შორის.

პასუხი სხვამ გასცა. იმ მეორემ — გვერდითა საწოლზე ჩამომჯდარმა უკნაურმა ქალმა. ხეირიანად არც გაუგონია. რა უთხრა, მხოლოდ ხედავს, როგორ შეკრთა და აწრიალდა ანგელინა. ლევანის სახელი მეხივით დაეძგერა, მართალია, გაჩუმდა, არც მღელვარება დაეტყო, არც ბრაზით ანთებული თვალები შეუნათებია ავადმყოფისათვის, უდარდელი სახე მიიღო, მაგრამ ელოზე კარგად ვინ მიხვდებოდა ანგელინას გასაჭირს, მისი სულის შფოთვას.

მერე ანგელინას მოგერიებაც შეძლო და ახლა, უკვე ესმის როგორ ჭრიალებს კარი, ბიჭი შემოდის — გელა! თეთრი ხალათი აცვია და ბრძენ კაცივით დინჯად მოაბიჯებს. მისი ბიჭი!

თავი წამოწია. მიიხედ-მოიხედა.

ბიჭი აღარსად ჩანდა.

ხელახლა მოათვალიერა ოთახი, საწოლები, ფანჯარა... მიხვდა ყოველივე მოეჩვენა, რაც ამ კედლებს იქით დარჩა— სოფელი, ოჯახი, ქმარი, შვილი. არაებობდნენ და არც არსებობდნენ. მოლანდება იყო თვით ქალაქიც, ფანჯრის იქეთ აქოთქოთებული და ამოძრავებული. შვილიც მოლანდება იყო, თეთრ ხალათში გამოჭიმული, ბრძენსახიანი გელა. ამას ახლა ნამდვილად ჩახვდა ელო.

VII

ელო რომ წავიდა, იმ ღამიდან დაწყებული, უძილობა დასჩემდა ანიკოს. როცა სოფელი მიწყნარდებოდა, ყველა სულიერი თავის ბუდეს, მშვიდ სამყოფელს რომ მიაშურებდა, ძილისა და მოსვენების ნაცვლად, ფაცო დაიწყებდა წრიალს. ყოველ წამს ფანჯარას მივარდებოდა, ფარდას გასწევდა, თითქოს ვიღაცას, ელოდა. პირველ ხანებში ტახტზე გაშოტილი ანიკო მალი-მალ წამოსწევდა თავს. ჰკითხავდა: რა მოხდა, ფაცო? არაფერიო — მიიღებდა პასუხს, არადა გრძნობდა რაღაცას უმალავდა იგი, მაგრამ რას, ვერა და ვერ მიმხვდარიყო.

დღისით, თითქოს ყველაფერი ჩვეულებრივად იყო. ფაცო ოჯახში საქმიანობდა, წვრილფეხს უვლიდა, სადილ-ვახშამს ამზადებდა. თვითონ ანიკოს — სკოლა, გაკვეთილები, ზოგჯერ მამის მონახულება და ასე შეუმჩნევლად გადიოდა დღეები.

გვიან კი, როცა ძილი ჩააჩუმებდა სო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფელს, სადღაც დასაკარგავიდან მოტოციკლეტის ხმა მოიწევდა გუგუნით, ხმაურით. დიდხანს მოდიოდა, ჭიშკარს რომ მოუახლოვდებოდა, სწორედ მაშინ შეწყდებოდა გუგუნი. ერთხანს ვერ გაერკვია ანიკოს საიდან მოდიოდა ეს გუგუნი, ან მაინცდამაინც მათ ჭიშკართან რად წყდებოდა?!... ანდა ეს ჩურჩული რაღა იყო, რომელ ქარს მოჰქონდა, ვერ მიმხვდარიყო.

წუხდა და წრიალებდა ანიკო. მერე გონების თვალით სამჯერ შემოიარა მთელი სოფელი, მაინც ვინ უნდა ყოფილიყო ის უცნობი მოტოციკლისტი, ღამღამობით, დაბარებულივით რომ მოადგებოდა მათ ჭიშკარს... რუბენა? მაღაზიის გამგე, მელოტი, თვალებდაჭაჩული კაცი?! ორი კვირის წინ იყიდა, ხეირიანად წაყვანა არ იკის, აკოლაში ბიჭები იცინოდნენ. დაღმართში ჩავლა ეშინია, ძირს ჩამოდის და ხელით ჩააგორებსო. მაშ ვინ? ვერაფრით ვერ გაიხსენა, ბინდი გადაკრა გონებას. მთელ სოფელში კაცი არ მოიძებნება, მოტოციკლეტი რომ ჰყავდეს. უცებ ცეცხლი შემოენთო. გედევანა ჩინჩალაძის უფროსი შვილი — ბონდო. მილიციაში მსახურობს. ლონიერი, მხარბეჭიანი ვაჟკაცია. ნუთუ ბონდო?! რატომღაც გაწიწმატდა. მერე ერთმანეთში აერია ბონდოს ჯილა თვალები, რუბენას ლაშიანი ცხვირ-პირი, ლამის გული გაეპარა გოგოს, საცოდავად ატირდა. ფაცო წივარდა, დამშვიდება დაუწყო, ანიკომ ახლოს არ გაიკარა. მომცილდი, ნუ მეკარები, მძულხარ! — შედგა ფაცო. უყურა ერთხანს, მერე პირი იბრუნა და კაეცალა. მიჩუმდა ანიკო.

იმ ღამეს წვიმის გაუთავებელმა შხაპუნმა სახლი რომ აახმაურა, შორეული გუგუნი ჩაესმა. წამოიწია, მიაყურა. თანდათან ახლოვდებოდა გუგუნი.

სახლში ბნელოდა. წინა ოთახში ფაცო იწვა. ერთხანს მისი ხვნეშა ესმოდა, მერე საწოლმა რომ გაიჭრიალა და ფოსტლების ფლატუნი ჩაესმა, სული განაბა. ჟუნთქვა შეუწყდა ანიკოს. შიშისა და მღელვარებისაგან დაიძაბა. წვიმის წვეთები აკდებოდნენ ფანჯრების მინებს.

მომეჩვენაო, დაიიმედა თავი ანიკომ. მხარი იცვალა და საბანში გაეხვია. ფიქრის გაგრძელება ვერ შეძლო. თითქოს ჭინჭრის ფოთლები შეეფინაო საწოლში.

უცებ ნაბიჯები ჩაესმა. ვიღაც კიბეზე ამოდიოდა, თითოეული ნაბიჯი მეხის გავარდნას ჰგავდა. მერე კარებს მოაწვნენ. ეს ქარი იყო. არა, კაკუნი ისმოდა. ნაბიჯების ხმაც მიწყდა. კარის გაღების ჭრიალიც.

ლამის დააკვდა ანიკო აწრიალს. ხმას ვერ იღებდა... რატომ არ ეკითხება ფაცო, ვინ ხარო, რატომ აღებს კარებს? ან ძაღლი რატომ ყეფს აგე გამეტებით სახლს ირგვლივ უვლის. ეგებ გელა მოვიდა... ან დედა!

წამოვარდა ანიკო. უცებ გადაიცვა კაბა. დედა... თითქოს ახლა იგრძნო, რამდენ სანატრელი გამხდარიყო მშობელი. როგორ გაგრძელდა და გაიწელა ეს დღეები.

ფანჯარას ეცა. უკუნმა ბაუსხავი თვალით შემოხედა. კოკისპირული წვიმა ზათქით ასკდებოდა მიწას. შედგა, იკადა ერთი წუთი, მეორე. მესამე... არადა არ შემოვიდა დედა. არ გათბა სახლი. არ აინთო სინათლე. წვიმის წკარუნი ავსებდა ყოველ კუნჭულს. არც ფაცოს ფლოსტების ფრატუნი ისმოდა. უცხო ნაბიჯები და კარის ჭრიალი ხომ საერთოდ გაქრა.

მოეჩვენა?! თავად შეთხზა?! რაღაც ამბავია მის თავს!

მერე იხსენებდა და ვერაფრით ვერ გაიხსენა, საიდან გაუჩნდა ეჭვი. რამ ჩაუსახა, რომელმა წუთმა გულში?! ყოველივე ამის ამოცნობა ისევე ძნელი ეჩვენა, როგორც ახლა, ამ წუთში, კარის გამოღება და გარეთ გახედვა.

ამ ბოლო დროს ფაცო გარეთ აღარ გამოდის. სოფლის მაღაზიისკენ ვეღარ გაუვლია. მიზეზი არასოდეს ელევა — ხან ეს, ხან ის. ანიკოს გზავნის. გუშინწინ პური და შაქარი მოიტანეო. დაავალა. კვირა დღე იყო. მაღაზიაში ქალები

ეროვნული ბიბლიოთეკა

იოეოდნენ: „ერთი კილო შაქარი და ორი კილო პური!“ — მიაყარა გამყიდველს; ქალებს თავი თავზე მიედვათ, ჩურჩულებდნენ. ყველაზე მეტს გოგუცა ქოთქოთებდა.

შევარდა გოგო მაღაზიაში, აქოშინებული. შევარდა და... გლახად ჩაიკმიდეს ქალებმა ენა. გოგუცამ შაქარზე უარი უთხრა, ტომარას ვერ გავხსნიო. საღამოსთვის დაიბარა. ანიკომ ამოიღლიავა პურის გოგორა და გამოვარდა გარეთ. ცოტაზე გაცდა და პურს დახედა, დამწვარ-დახრუკული იყო პური. თვალები არ გქონდაო, შავ დღეს დააყრიდა ფაცო. ხელახლა ეცა კარს. შეალო და...

— ვინ უნდათ დააბრმავონ...

— საცოდავი ელო!

კარის ჭრიალზე მოიხედეს. როცა თვალებადქცეული, გაფითრებული გოგო დაინახეს, შეჩქვიფდნენ.

— დამწვარია. — ამოილუღლუღა ანიკომ.

უსიტყვოდ გამოართვა გოგუცამ, ახლა წითლადშებრაწული პური შეაჩეჩა ხელში, გამობრუნდა.

— ვითომ გაიგონებდა?! — იკითხა ერთმა.

— თუ გაიგონებს და... საქვეყნოდ თავი რომ აქვთ მოჭრილი, არ იციან? — შეწყრა მეორე.

წამოვიდა ანიკო, მაგრამ სად მიდიოდა არ იცოდა, ყურები უზუოდა, თავი უსკდებოდა, ისეთი უსიამო გემო ჰქონდა პირში, თითქოს ძირმწარე ეჭამა. ხეირიანად ვერ ჩახვდა, რისი თქმა უნდოდათ ქალებს.

ახლა კი, ამ ცივსა და ბნელ ღამეა, ერთ ჭეშმარიტებაა ჩახვდა: ოჯახში, მის თვალიწინ დანაშაული ხდებოდა.

ამიტომ იყო, ერთბაშად წამოვარდა კარს ეცა. უნდა მიუსწროს, დაიჭიროს. ჩქარა, თორემ ვააასწრებენ. შიიმალებიან.

— ფაცო!

— ფაცო! — იყვირა ან

არავინ უპასუხა. ხელის ფათურით გაჰყვა საწოლს, მიაგნო კარს, გამოაღო. როცა დაძახება დააპირა, რატომღაც შეშინდა. სისინით, ძრწოლვით დატრიალდა ქარი ოთახში. წვიმის წვეთებით შეუსველდა სახე, სხეული, მერე უბეში ჩაუძვრა და გულ-მუცელი გაუთოშა. უცებ, მოეჩვენა, თუ... კიბის საფეხურებმა ჭრიალი იწყეს. მის გამახვილებულ ყურთასმენას მცირე ჭრიალი მეხის გრიალად ჩაესმა. შებრუნდა. სწრაფად აანთო შუქი. როცა კარი ხელახლა გამოაღო, ოთახიდან გაჭრილ სინათლის მკრთალ შუქზე ფაცო დაინახა. შუქი პირდაპირ სახეში სცემდა.

— სად იყავი? — ეცა გოგო.

— სად ვიქნებოდი?

— სად იყავი? — აუწია ხმაა, ლამის იკივლა.

— არსად.

— მოვიდეს დედა. მოვიდეს და შენ გიჩვენებ სეირს!

— რა გინდა გოგო! ხომ არ გაგიჟდი. გამიშვი!

ამ წუთში ანიკოს სძულდა ფაცო. სურდა მივარდნოდა, დაეკაწრა იგი, მაგრამ ვერ კი გაებედა, ერთი რამის გამო: რაც ფაცო კიბეს ამოყვა და ოთახში შემოვიდა, გამუდმებით გრძნობდა ანიკო, ვიღაც შორიახლოს იდგა და უთვალთვალებდა. იგი თვალს არ აცილებდა სახლს .ვინ იყო ის, ან რა უნდოდა, ძნელი გასარკვევი იყო, მაგრამ გოგონა გრძნობდა, თანდათან როგორ უნელდებოდა დის სიძულვილი და სამაგიეროდ შიში იპყრობდა.

წუთის წინ გეგმებს რომ აწყობდა. კარს გამოვაღებ, კიბეს ჩავყვები და ეზოს დავზვერავო: დავათვალიერებ და ვნახავ მოტოციკლეტი დგას თუ წავიდაო, ახლა შიშისაგან გონებაარეული, ცდილობდა სწრაფად დაეკეტა კარი, ურდული გაეყარა, საბნის ქვეშ შემძვრალიყო. ასეც მოიქცა, საბნის ქვეშ გასუდრული გოგო ჯერ ჩუმად ტიროდა, მერე თანდათან რომ ჩათბა, შეეცადა სინამდვილე გაერკვია. თავი წამოსწია, უკვე გათენებულიყო. მზის პირველი სხივები მშველელივით მიელამუნა სახეზე. არც არავის ეშინო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და და აღარც არავის იმედი ჰქონდა. თავად უნდა გაძლოლოდა საკუთარ თავს, ოჯახს. ლოგინიდან წამოფრინდა, ჯერ ცეცხლი დაანთო, მერე პირუტყვს მიხედა, ფაცო კი იწვა. ამასობაში სერზე გოგოებმა ასტეხეს გნიასი: „ანიკო, წამოდი“. სკოლისკენ ეძახდნენ. აწრიალდა, საით წასულიყო ვერ გაერკვია. ხელახლა შევარდა ოთახში, საწოლში გასუდრულ დას მივარდა. „ფაცო! ფაცო, ადექი, მაგვიანდება“. გვერდი იცვალა უფროსმა... ახლა დაინახა მისი ჩათეთქვილი ლაწვები. შუბლსა და ლოყებზე ტალები მოსდებოდა. გაოცებული შეაჩერდა ანიკო.

— ანიკო! — აჩურჩულდა ფაცო, — თუ და ხარ, ბუჯერში ტყლაპია, მომიხიე ცოტა.

გაოცებულმა გოგომ უარის თქმა ვერ გაბედა, ისე საწყლად შესცქეროდა უფროსი და, ისეთი ნატანჯი, ნაწვალები სახე ჰქონდა, გული ეტკინა.

კიდევ დიდხანს ეძახდნენ სერზე შემდგარი გოგონები: „ანიკო, ანიკო!“. სკოლაში წასვლა არ უფიქრია. ერთი ხელი ისიც ინატრა: ნეტავ ცოტა კიდევ დაიგვიანებდეს დედა, ცოტა ხანს კიდევ მიეფარებოდეს თვალს. მანამდე გარკვევით მაინც გაირკვევაო სინამდვილე.

მოგვიანებით, ჩავლილსა და მომხდარს მეტი გონი რომ დაატანა, გაახსენდა: იქ, წვიმის გაუთავებელ თქეშს იქით, სამზადის წინ, ნათურის აცა-ბაცა შუქზე მაღალი, შავულვაშა კაცის ლანდი ირხეოდაო. ვინ იყო ის?! საიდან გაჩნდა?! მოჩვენება იყო თუ სინამდვილე, ხეირიანად ვერ გაერკვია.

ისიც მოაგონდა, კარგა ხნის წინათ, ქვევით, ჩაის პლანტაციების ახლოს, პატიმრების ჯგუფი დაეყენებინათ, თავზე თოფიანი ჯარისკაცები ადგათ. ზოგიერთ პატიმარს უფლებას აძლევდნენ ჩაისმკრეფავ ქალებს გამოლარაპაკებოდნენ, შემოთავაზებული ხილიც ჩამოერთმიათ. მათში ერთი, მუდამ სახეჩამომტირალი, მაღალი, შავულვაშა კაცი ერია — პატიმრები „კახელოს“ ეძახდნენ. სასჯელი სინდისიერად მოიხადა და დღე-დღეზე განთავისუფლებას ელოდა. მას პატივს სცემდნენ, ნდობით ეკიდებოდნენ. სოფელში ამბობდნენ, თავის რაიონში ავარია მოუხდა, ახლობელი ადამიანი უცაბედად იმსხვერპლაო. ახლა უკან დაბრუნებას აღარ აპირებსო. უთქვამს, თქვენი სოფელიც მომწონს და ხალხიცო. თუ მიმიღებთ, დავრჩებიო. ახლა კი, ამ წვიმიან ამინდში, მისი უცნაური გამოცხადება უემურ სიზმარს მიაწერა ანიკომ.

VIII

თვალებზე რული არ ეკარებოდა გელას, იწვა და ფიქრობდა.

ერთი კვირის წინ პროფსასწავლებელში ჩარიცხეს, თუმცა რაღა ჩარიცხვა ერქვა: სასწავლებლის დირექტორმა, მხრებში მოხრილმა ქერა კაცმა, მედლებისა და ორდენების აცმა რომ უმშვენებდა მკერდს, ბესოს ხათრითა და შუამდგომლობით დამატებით სიაში შეიტანა.

საერთო საცხოვრებელში გელას გვერდით, გიზო შუბლაძე იწვა, მხრებში ჩამძვრალი, მარქენალ ყოჩივით სულ საჩხუბრად შემართული ბიჭი. პირველივე დღიდან აითვალწუნა გელა, ოთახში მეოთხე კაცად შეუსახლეს. მანამდე სამნი იყვნენ. ერთ ჰკუისა და ერთი გაგებისა. გელას გამოჩენამ რატომღაც გაალიზიანა და გაანაწყენა ისინი. ყველაზე მეტად გიზოს არ ეჭაშნიკა, თვალში არ მოუვიდა. დასცინოდა, ქირდავდა. ხშირად სიბრაზისაგან ერთიანად აკანკალებული გელა საპირფარეშოში იმალებოდა და თითებს იკვნეტდა, ნამტირალევი თვალებით ბრუნდებოდა ჯგუფში. ეჩვენებოდა, რომ ყველამ მის წინააღმდეგ შეკრა პირი, მშობლებთან თავად გაწყვიტა კავშირი. თანატოლებთან საერთო ენის გამონახვა გაუძნელდა.

მერე ამას სხვა უბედურებაც დაემატა.

გიზოს გარდა, ოთახში თერჯოლელი ბიჭები — კობა ზარნაძე და ვაჟა იაშ-

ვილი ცხოვრობდნენ. ორთავე უსიტყვო და დამყოლი ბუნებისანი, იყვნენ — ერთს ეტყოდა გიზო და მორჩა. იმათთვის კანონის ძალა ჰქონდა.

გიზოს დედინაცვალი მოაკითხავდა ხოლმე, წითური, მკერდსავსე ქალი, სულ ეჩვენებოდა, რომ მის გერს ჩაგრავდნენ — უპატრონო არ გეგონოთ! — გაჰყვიროდა ხმამაღლა: — მე გიჩვენებთ სეირს! — ემუქრებოდა დირექტორს და მასწავლებლებს.

იმ დღეს იყო და... გიზო შუბლაძე დირექტორის კაბინეტში შევარდა — მამის ნაჩუქარი საათი მომპარესო. ატყდა ძებნა-ძიება, განგაში. საწოლები აშალეს, კარადები გადააქოთეს. არა და არა, პოვნას საშველი არ დაადგა. მოიხმო გიზო დირექტორმა, გამოკითხა, სად ჰქონდა და როდის დაკარგა. ეჭვი თუ ჰქონდა ვინმეს მიმართ.

სდუმდა გიზო. ეშმაკურად ჭუტავდა თვალებს, მხრებს იჩეჩავდა, როგორც იქნა ამოღერღა, ბალიშის ქვეშ დავტოვეო.. .ზარნაძემ და იაშვილმა ხმის კანკალით თქვეს, ფიზიკის კაბინეტიდან რომ დავბრუნდით, ოთახში გელა დაგვიხვდაო. გელაო?! და მაშინ გაახსენდა დირექტორს, ზოგი საბუთი აკლდა, არც მშობლების განცხადება ჩანდა.

საკითხი ჯერ კომკავშირის კრებაზე გასატანად მოამზადეს...

შემცბარი დადიოდა გელა, რა გზას დადგომოდა. ვერ გაერკვია, ყბადაღებული და თითით საჩვენებელი რომ გახდა, ამას კარგად გრძნობდა.

ღამღამობით ძილი არ ეკარებოდა. თვალგაშტერებული იწვა და ფიქრობდა. ვისთვის მიემართა?! ვინ იყო მისი დამცველი? ბესოსთვის? ვაი, სირცხვილო! მასთან მისვლას სიკვდილი ერჩია. მაშ სად? ვისთან? დირექტორთან რომ შევიდეს და ყოველივე წვრილ-წვრილად მოუყვეს, მოუსმენს კი?! ისეთი კაცია, კინწისკვრით გამოაგდებს, შენივე ამხანაგები გაგასამართლებენო, ეტყვის: სასამართლო მოგისჯისო; შენი ბოლო ციხეაო. ოთხ თითს გადააჭრედინებს და დაანახვებს [illegible] ბოლოო.

წუხდა და წრიალებდა გელა. კარგად იცოდა ძველი ბიჭი იყო გიზო შუბლაძე, ქალაქელი ძმაკაცები ხშირ-ხშირად მოაკითხავდნენ ხოლმე. ღამ-ღამობით საერთო საცხოვრებლიდან იპარებოდა კიდეც, მაგრამ ამის გამხელას ვინ გაბედავდა. შუბლაძის წინააღმდეგ გალაშქრება ძნელი საქმე იყო. ბოლო დროს გიზო შუბლაძე საერთო საცხოვრებელში ღამეს სრულებით აღარ ათევდა: „ამ ქურდებში რა გამაჩერებს, წავალ, ისევ დეიდაჩემის სახლში დავწვებიო". არავინ იცოდა, მართლა ჰყავდა თუ არა ამ ქალაქში დეიდა. სჯობს განვერიდო, აქედან უნდა წავიდეო, ამას ფიქრობდა გელა; ამ ფიქრში რომ იყო, თავს „ბომბორა" წამოადგა — დიდი და ზოზინა ბიჭი. იგი უფროს ჯგუფში სწავლობდა.

„ბომბორას" სპორტული მაისურა მოეღელა და ნავარჯიშებ სხეულზე წითლად ალანძოდა კანი.

— მოდი აქ... — მოიხმო გელა.

— გამარჯობა!

— გაგიმარჯოს... „ყვავიას" თუ იცნობ?

— არა!

— „ყვავიასთან" წაუგია საათი...

— ვის?

— გიზოს... — მეტი არაფერი უთქვამს. უხმოდ გაეცალა.

აწრიალდა გელა. ჯერ „ბომბორას" გამოდევნება გადაწყვიტა. მაგრამ უმალ დაეწია ფიქრს — რაც გამიმხილა, ისიც საკმარისიაო. ახლა კი ნამდვილად უნდა შევხვდე პირისპირ გიზო შუბლაძეს, ამოიჭრა გუნებაში.

როგორ მოეხერხებია ეს, კარგად არ იცოდა. მაგრამ ამ ჩანაფიქრმა ნამდვილად შვება მოჰგვარა. ბრძოლის წინ ყოველთვის ძალების მოკრებაა საჭირო. საკუთარ თავში უნდა გამონახო გაძლების უნარი. ჰოდა, მაშინ იყო წერილი რომ აფრინა სოფელში, ჯერ გოგია მასწავლებელს მისწერა. ისე, სხვათა შორის, ჯერ აქაური ამბები შეაკოწიწა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერე იქაური მოიკითხა, არც ბესოს ოჯახი დაივიწყნია, პროფსასწავლებელი და ზეინკლის ხელობა სულ ცაში აიყვანა. გული რომ ეთანაღრებოდა და დღე-დღეზე გაქცევას აპირებდა, ამაზე კრინტი არ დაუძრავს.

ერთი ბარათი რომ გაგზავნა, მეორეც ზედ მიაყოლა... მესამეც. ჩქარობდა, რაც სათქმელი და გასამხელი ჰქონდა, დროზე უნდა ეცნობებინა კეთილისმყოფელისათვის. იმასაც გრძნობდა, რაღაც ავი ხდებოდა მათ ოჯახში, თორემ ამდენი ხნით უნახაობას ვერ აიტანდა დედა.

ყოველი ბარათი ძალას მატებდა გელას. იცოდა, ამ ბარათებით თავისკენ რომ იწვევდა მშობელს, და სადაც იყო გაჩნდებოდა იგი!

მეორე სართულზე, ფიზკულტურის ვრცელ დარბაზში, მოცეკვავეები მეცადინეობდნენ. ოლიმპიადა ახლოვდებოდა და დღედალამ დოლის ბაგა-ბუგი ისმოდა. სოლისტად პიონერთა სასახლის აღზრდილი, ტანწერწეტა, ლამაზი გოგო, მაია თურმანიძე მოიწვიეს. პროფსასწავლებლის მოცეკვავე გოგონებში მაია მარგალიტის თვალივით ციმციმებდა.

ბოლო დღეებში გიზო შუბლაძე დღედალამ მოცეკვავეებთან ათენებ-აღამებდა, მედოლეობას ჩემობდა.

იმ ღამით, რკინის კიბეს ბაკა-ბუკით რომ ჩამოყვნენ გოგო-ბიჭები და სიბნელეს შეერივნენ, კიბის ქვეშ იდგა გელა. გიზო შუბლაძეს უთვალთვალებდა. პირისპირ შეყრა სურდა. ბოლოსდაბოლოს, ჰკითხავდა, რა დაუშავა, რისთვის აითვალისწუნა, ან ქურდობა რატომ დააბრალა.

მთელი ეს დღეები, რაც „ბომბორამ“ საიდუმლო გაუმხილა, „ყვავის“ ასავალ-დასავლისა და ვინაობის გაგებას მოანდომა.

იდგა ახლა გელა მარტოდმარტო, ჩრდილსა და სიბნელეს შეფარებული, გაურკვეველი მოლოდინით დაძაბული, მძიმე-მძიმედ სუნთქავდა, მოცეკვავეებმა ჩაიარეს. შუბლაძე არ ჩანდა.

ერთი-ორმა ყმაწვილმა ავტობუსის გაჩერებას მიაშურა და აი, მაშინ გიზო შუბლაძის ჭრელ პიჯაკს წაჰკრა თვალი. ხომ არ მოვტყუვდიო და ადგილი მოინაცვლა. გიზო ვიღაც ტანწერწეტა გოგოს არ ეშვებოდა. გოგო წუხდა, წრიალებდა, ვაჟის მოცილებას ცდილობდა. შუბლაძე ხელებს შლიდა, ელობებოდა, ავტობუსში ასვლას არ ანებებდა.

ამდენხანს, თუ ჩრდილ-ჩრდილ მოიწევდა გელა, ახლა სააშკარაოზე გამოვიდა. გიზო ემუქრებოდა, აშინებდა გოგოს.

— გამიშვი, შე მხეცო!.. — ჩაესმა ქალიშვილის სასოწარკვეთილი ხმა და უპირველესად, რასაკ თვალი წაატანა გელამ, ყვითელი ტროლეიბუსი იყო. ის-ის იყო ჩამოდგა. გასაქცევად გამზადებული ქალიშვილი გაუსხლტა მოძალადეს. საფეხურზე ააბიჯა, რომ შუბლაძემ მკლავში ჩაავლო ხელი და ასვლა არ დაანება.

სწორედ ამ დროს, მათ შუა გელა ჩადგა. თვალებში ცეცხლი უგიზგიზებდა. ერთი ამოიქშინა და გიზო შუბლაძე მკლავებში მოიქცია, შესალტა და გულზე მიიკრა. ეს სულ ერთ წამში მოხდა. ამასობაში ტროლეიბუსი აიძრა, ქალიშვილი თან გაიყოლა.

ფანჯრის მინაზე სახეაკრული, აცახცახებული გოგო ხედავდა, როგორი გამწარებით პასუხობდა აწოწილი ბიჭი, მოწინააღმდეგის უშელავათო დარტყმებს. მერე და მერე, როცა საკმაო მანძილზე ჩასცილდა ტროლეიბუსი, ძნელად თვალმისატანებელნი გახდნენ ერთმანეთში ჩახლართულ-ჩაჭიდებული მოძიძგილავე ბიჭები. ქალიშვილმა დაინახა, როგორ მოწყვეტით ჩაიკეცა ერთ-ერთი, რომელი იყო, ვერ გაარჩია.

...უმოწყალოდ ნაცემი, ნაგვემი გელა, კი არ შევიდა, შელასლასდა ოთახში. უხმაუროდ გაიძრო სამოსი, და როცა ოთხად მოკეცილი, საწოლში ძლივ-ძლიობით შეწვა, ზარნაძე და იაშვილი უკვე თავზე ადგნენ.

ოთახში ბნელოდა. დერეფნიდან შემოსულ შუქზე გარკვევით მოჩანდა მი-

სი წაწვეტებული ნიკაპი, ტკივილისაგან გატანჯული თვალები.

— გელა! — უჩურჩულა ერთმა.

— ჰმ! — ამოახველა.

— ცუდად ხარ?

გელას კრინტი არ დაუძრავს.

მიჩუმდნენ ბიჭები. არცერთი მათგანი ხმას არ იღებდა, სინდისის ქეჯნასთან ერთად, სირცხვილის უსიამო გრძნობას დაედუმებინა ისინი.

* * *

იმ ღამით გიზო შუბლაძე მილიციამ დააკავა. ძლივს შეაგდეს მანქანაშიო, ჰყვებოდნენ ბიჭები სასწავლებელში.

ძველსა და ახალ ცოდვებს ერთად გაუხსენებენ და უეჭველად სასჯელს მისცემენო. ზოგიერთმა ეჭვით გააქნია თავი, მაგას ისეთი დედინაცვალი ჰყავს, თავდაყირა დააყენებს ყველაფერს და მაინც გამოაშვებინებსო.

დირექტორის კაბინეტში, გიზოს დედინაცვალის გარდა, მასწავლებლები — სოლომონ კიკნაძე და მარი ხვედელიძე დახვდნენ გელას. სოლომონი მათემატიკას ასწავლიდა, მარი — ქართულ ენასა და ლიტერატურას.

სდუმდა ორივე. არც გელა დაუცავთ, არც დედინაცვალი გაუწბილებიათ. მხოლოდ მარის ფუნჩულა თითები აშჩელდნენ ქალის უსიტყვო მღელვარებას. სოლომონ კიკნაძე, მაღალი, ხმელ-ხმელი კაცი მალიმალ მოხედავდა გელას, მისი ყოველი შემოხედვა ძალასა და გამძლეობას მატებდა ბიჭს.

კარგა ხანს იზლუქუნა გიზოს დედინაცვალმა, ჯერ თავისი გაჩენის დღე დაიწყევლა, მერე გათხოვების დღე და საათიც მიაყოლა ზედ, არც ქმარი დაინდო, გერსაც მიწვდა... მოხსნა გუდას თავი.

— გელა, წადი, თავისუფალი ხარ. შენს გაკვეთილებს მიხედე, — წყნარად გამოისტუმრა ოთახიდან ცხვირ-პირდაქეჩილი ბიჭი დირექტორმა, ბოლომდე აღარ მოასმენინა ლაგამმიშვებული ქალის სიტყვები.

იმ დღის შემდეგ გათბა და გალღვა ბიჭების გული. მასწავლებლებმაც სხვა თვალით დაუწყეს ყურება. ერთ დღეს სოლომონ კიკნაძემ დაფასთან გამოიძახა გელა და შეაქო კიდეც: ეს რა ბიჭი ყოფილხარო!

ვერა და ვერ მიმხვდარიყო გელა რით მოინადირა მასწავლებლების და ამხანაგების გული. წინ რომ აღუდგა ძალადობას? პირველმა რომ გაბედა წინააღმდეგობის გაწევა? არ იცის. მხოლოდ მის შემდეგ არის, რომ შეიხსნა ყველა კარი. არა მარტო ზარნაძე და იაშვილი, მთელი სასწავლებელი მის მხარეზე დადგა.

რატომღაც ახლა, ყველაზე მეტად ეს მხარდაჭერა აწუხებდა.

□ დასასრული იქნება □

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდრე ბეგაშვილი

## ახალ სილნალში დგას ამირანი

ველარ ბობოქრობს მტერი ტირანი,
ქართველს ჭრილობა მოუშანია...
ახალ სილნალში დგას ამირანი,
ახალი ცეცხლი მოუტანია!

ზეცას მიელტვის ბორკილახსნილი,
თითქოს ღრუბლებში უნდა შევარდეს...
ხან ქართლის მთების არწივს
მახსენებს,
ხან შევადარებ ფრთალალ შევარდენს.

ყინავს... ჩამოსვლა არ მინანია,
ვარ ამირანის კეცხლით გამთბარი...
ეს ხომ ნამდვილი ამირანია,
განა ლეგენდა, განა ზღაპარი!

ეს არის ჩვენი ბედი წალმართი,
ჰყვავის მამული, ვარდი მოიახა...
სილნალმა მთაზე იეგლად აღმართა
ეს ამირანი ჩვენი დროისა.

გულით სალკლდეობს, თვალით
ნათელობს,
მზის ახივით გვათბობს, ცის ნამს
გვაპკურებს,
ცივგომბორიდან მთელ საქართველოს
საბედნიეროთ თვალით გაჰყურებს...

დგას ვით დაცემულ გმირთა დიდება,
როგორც ამხდარი მათი ოცნება,
როგორც სიმბოლო, თუ ვით
ბრწყინდება
საქართველოში პატიოსნება.

დგას, ჩირაღდანი ხელში უპყრია,
და ჩვენ, გმირული ქვეყნის
ბინადრებს
სამშობლო ნისლით არ მოგვქუფრია,
გზას ამირანის ცეცხლი გვინათებს.

ველარ მოუწვდეს ჩვენს გასათელად
ხელი ფაშას თუ ხელი ამირას...
ცეცხლს ვინ წაართმევს ჩემს
საქართველოს,
ცეცხლი უჭირავს ხელში ამირანს!

ველარ ბობოქრობს მტერი ტირანი,
ქართველ კაცს სისხლი მოუშანია,
ახალ სილნალში დგას ამირანი,
ახალი ცეცხლი მოუტანია!

## მართლაც სავარდო და სამაისო

გეპატიჟებათ, მობრძანდით, ნახეთ
რაც ქართულია და რაც კარგია...
განათებია მზის სხივით სახე,
მკერდზე ვარდები გადაჰქარგვია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიონი შოლტად გაუტყორცნია,
ელავს, ნაირფერ ფარჩად
ბრწყინდება...
გუმბათით ცაში აუტყორცნია
ჩვენი გელათი — ჩვენი დიდება!

მინდა ზამბახებს გულზე მაფენდეს,
ვნახე — გამიტკბა, ველარ დავტოვე...
თითქოს უბიდან მტრედებს
აფრენდეს, —
ჰფენს მთელ ქვეყანას ქართულ
ავტოებს.

ერთ დიდ ფერხულში არის ჩართული,
ყველა მოიმე ხალხს შესტრფის
ალერსით,
მაგრამ ქართული, ტკბილი ქართული
სულს ურჩევნია, — უნეტარესი!

აქ დილის ცვარი ბრწყინავს ბალახში,
მეტ ტრფობის ცრემლი თვალს
მოვიწმინდე..
გულს მიხალისებს ამ დიდ ქალაქში
რაღაც სოფლური სულის სიწმინდე.

მოჩქეფს რიონი, მთებში ნაქუნი,
ახალ, დიდებულ დღეთა მაყარი...
ზრდილი ქართული სიტყვა-პასუხი
თუკი სადმეა, სწორედ აქ არი!

ო, მომენატრა ტალღა რიონის
და რაღაც სულ სხვა მოვიმიზეზე...
აქ ნაფეხურებს გალაკტიონის,
დავდივარ, ვეძებ ბალის კიდეზე.

ოცნებია კართან შემომათენდა,
გეტრფი ქალაქო, ბრძენთა აკვანო,
აქ დიდ აკაკის — მამას ქართველთა
ბაღში ვეახელ, რომ ვეთაყვანო.

აქ, დიდ ჭადრებში, აქ დიდ ნაძვებში
უხვად იფრქვევა სხივთა ჩანჩქერი...
ფალიაშვილი ზის სავარძელში,
ჩანგის მთრთოლვარე სიმებს
დაასცქერის.

ხარობს ქალაქი, სავსე ბარაქით,
მტრის და ავსულის თვალი დაივსო...
განახლებული ბრწყინავს ქალაქი —
მართლაც სავარდო და სამოთხე!

## საქადრობელი

ილო მოსაშვილს

შენი მშვენიერი ლექსი აწკრიალდა,
თვალს აჟუჟუნებდა საყვარლად
პატარა...
გულში სიხარულის კეცხლი
აბრიალდა,
ჩემი სიჭაბუკის გზები მომატარა.

და მუდამ არწივულ თვალებია
კაშკაშით
მამულის მადლიან ლექსებით მმოსავი,
მე თვალწინ დამიდექ ლამაზი ვაჟკაცი,
ლამაზი ვაჟკაცი, რაინდი მგოსანი!

მიწით აულდგმულობდი, როგორც
ანთეოსი,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გული უკახეთოდ არც დღეს გიჩერდება,
დგეხარ ქვადქცეული ბრძენთა
                    პანთეონში,
ისევ ალაზნისკენ თვალი გიშტერდება...

იყავ სტრიქონებში რითმის მეთაური,
შენი „ბაზალეთი" ჰანგად მეჩვენება...
ისევ ლაგამსა ხრავს შენი ბედაური,
უნდა პოეზიის დოლში შეჭენება!

წარსულს გადავფრინდი, მახსოვს ის
                    წარსული,
ქართულ სიტყვის ცეცხლით მეც
                    გულს მიხურებდი...
შენ მაშინ მწვერვალზე იყავი ასული,
მაგრამ მწვერვალიდან როდი
                    მიყურებდი!

ახლა იმ წლებისთვის თვალის
                    გაყოლება
გულში იმ ტკბილ-მწარე ბევრ გზას
                    მასვრინებს...
ჩემთვის — ჭაბუკისთვის თავის
                    გატოლება
დღეს შენს სამადლობელ ლექსებს
                    მაწერინებს.

ლამაზ ნაძვისხესთან ლექსი
                    აწკრიალდა,
თვალს აცუცუნებდა საყვარლად
                    პატარა...
გულში სიხარულის ცეცხლი აბრიალდა,
ჩემი სიჭაბუკის გზები მომატარა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ელიზბარ მაისურაძე

# გარიჟრაჟი

რომანი

— რაზე მუშაობ აქ, მღებავად?

— დიახ, მღებავად!

— დროშები, რომელიც ახლა მე უნდა გამატანო, შენ თვითონ დახატე?

— მე დავხატე! პოლიციამ რომ გაიგოს, კარგ დღეს არ დამაყრის. მაშინათვე ციმბირში ამომაყოფინებს თავს.

— ესე იგი მხატვარიც ყოფილხარ, მსახიობიც, მუშაც...

ნიკოს გაეცინა.

— არც მხატვარი ვარ, არც მსახიობი. მუშა კი ნამდვილად ვარ.

— როგორ არა ხარ მსახიობი, შენმა წაკითხულმა ლექსმა მთელი ხალხი შეძრა. ისე მომეწონე, ტაშის დაკვრით ლამის ხელები დამაწყდა.

ნიკომ გულიანად გადიხარხარა!

— სად იყო ეს, რომელ წარმოდგენას დაესწარით?

— ამას წინათ ლოტკინის გორაზე, რომ გამართეთ ღარიბ მცხოვრებთათვის.

— აა, ძია დათიკოს ეზოში?

— დიახ, ძია დათიკოს ეზოში. ხალხი აღფრთოვანებული იყო თქვენი თამაშით. ბრწყინვალედ ასრულებდით არკადიას როლს.

ნიკოს კვლავ გულიანად გაეცინა მიხოს სიტყვებზე.

— მსახიობობის რა მოგახსენოთ, ჯერ ახალბედა ვარ ამ საქმეში, მაგრამ მხატვრობისაკენ კი ნამდვილად მიმიწევდა გული.

— მერე რატომ ბოლომდე არ მიჰყევით ამ საქმეს?

— როგორ არ მივყევი, ერთხანს შეგირდად მივებარე ფერმწერალს, აბრების მხატვარს დავიწყე აბრების ხატვა. მაშინ ჩვენს სახელოსნოში დასათვალიერებლად ერთი მხატვარი, მოვიდა, თქვა, გორის ტაძრისა და ზემო და ქვემო ნიქოზის ეკლესიების კედლების მოხატვა დამავალესო. ჩემს ნამუშევარს რომ შეხედა, არ ვიცი მოეწონა, თუ რა, მითხრა, წამომყე გორში სამუშაოდ, გასამრჯელოც კარგი იქნება და მხატვრობასაც შეგასწავლიო. სიამოვნებით დავთანხმდი. იმ დღესვე მოველაპარაკე ჩემს მშობლებს და უფროს ძმას — სანდროს. მშობლებმა დასტური მომცეს. მამამ თვითონ წამიყვანა გორში და დამაბინავა. გულმოდგინეთ შევუდექი გორის საკრებულოს კედლების ხატვას. რამდენიმე ხნის შემდეგ ეკლესიაში გვეწვია გორის მაზრის თავად-აზნაურთა მარშალი, ეტყობა კმაყოფილი დარჩა ჩვენი ნამუშევრით. მადლობა გადაგვიხადა. მე კი მითხრა: ვეცდები მოსკოვის სამხატვრო სასწავლებელში გაგგზავნოო. მთელ ღამეს არ მეძინა. ჩემს ძმას წერილობით ვაცნობე ეს ამბავი, რომელიც იმ ხანად ბაქოს გუბერნიაში ფილოქსერის საწინააღმდეგო ექსპედიციაში იმყოფებოდა და გულისფანცქალით ველოდებოდი პასუხს. მოვიდა პასუხიც. სანდრო მწერდა: ძალიან კარგია, რომ გაემგზავრო რუსეთში და მხატვრობა შეისწავლო, მაგრამ ხომ იცი, ჩვენ იმდენი საშუალება არა გვაქვს. ვაი თუ თავადაზნაურობა დაგპირდეს და არაფერი კი არ გამოგიგზავნოს, მაშინ რაღას იზამო. ვერც მხატვრობას შეისწავლი და ოჯახსაც უნუგე-

დასასრული. იხ. „მნათობი", № 3.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შოდ დატოვებო. ჩემი იმედი კი ოჯახს არ უნდა ჰქონდეს, ავადმყოფობა არ მეშვება და ვგონებ მალე ბოლოს მომიღებსო. ჩემი მოსკოვში გამგზავრება არ მოხერხდა. ავიკარ გუდა-ნაბადი და თბილისში ჩამოვედი. ოჯახში დამხვდა ბაქოდან დაბრუნებული ავადმყოფი ძმა. ისედაც ჯანგატეხილ სანდროს ჭლექის ნიშნები ალმოაჩნდა. ისე რომ, ამ საქმეში ხელი მომეცარა. როგორც ხედავთ, მოსკოვის სამხატვრო სასწავლებელში ნახვლაზე ვოცნებობდი, ეკლესიის კედლებზე წმინდანებს ვხატავდი. ზიჩის სურათების პირებს ვიღებდი და ჩემი მხატვრობა იმით დავამთავრე, რომ ახლა აქ, მთავარი სახელოსნოების სამლებრო საამქროში ვაგონების მღებავად ვმუშაობ. ანუ, როგორც აქ მეძახიან, „მალიარი" გავხდი.

— მდაა.. ღრმად ამოიოხრა მიხომ, — დღეს ვერ ნახავ კაცს თავისი ბედის კმაყოფილი რომ იყოს. რითი გავუყვეთ ახლა გზას ფეხით თუ კონკით?

— როგორც გინდათ, თუ გინდ ფეხით, თუ გინდ კონკით. არც ისე შორია ანჩისხატის უბანი. სულ რომ ნელა ვიაროთ, ერთ საათში მივალთ.

— რახან ასეა. მე ფეხით მირჩევნიან. გზაში ბევრ რამეს ვნახავთ! თქვა მიხომ.

— მაშინ ფეხით წავიდეთ!

— წავიდეთ!

ქარხნის ტერიტორიას გასცდნენ, რკინიგზის ლიანდაგს გაჰყვნენ და სადგურზე გავიდნენ.

ბაქანზე უამრავი ხალხი ირეოდა. გარდა მგზავრებისა, ყოველ ნაბიჯზე იდგნენ ძღიური ლუკმის საშოვნელად გამოსული ხელმოკლე ადამიანები, მანანწალები, მათხოვრები და გამვლელ-გამომვლელთ თვალებში შესციცინებდნენ, იქნებ რაიმეს გამოერჩეთო.

სადგურის წინ გავიდნენ. პატარა მოედანი დუქნებს, სასადილოებს, საქმიკიტნოებს და სანვრილმანო დარაბებს მოეხრჩო და ერთმანეთში აჩხირულ ეტლებს, დროშკებს, ლინეიკებს, ფორნებს შორის კაცი ძლივს გაივლიდა.

ირგვლივ ცხენებისა და ფუნის სუნი იდგა.

ერთ ადგილას გაჩხირულ ეტლებს შორის ხალხი ჩოჩქოლობდა. ისმოდა მამაკაცთა ხორხოცი და ქალების წივილ-კივილი. ვილაც მოხუცებული კაცი ხმამაღლა გაჰყვიროდა.

— ხალხი არა ხართ, უშველეთ, თორემ მოკლავს ეგ ოჯახდაქცეული!

მიხო და ნიკო შეგროვილ ხალხთან მიიჭრნენ. ერთ დაბალ-დაბალ ბურთივით მრგვალ, ჩასუქებულ მეეტლეს თავისზე ბევრად მაღალი, ახმახი კაცი მოეგდო ქვეშ, ზემოდან დასჯდომოდა, ურტყამდა და ურტყამდა მუშტებს.

ახმახი წინააღმდეგობას არ უწევდა. შეშინებული, დაბნეული და ნირწამხდარი მორჩილად ლებულობდა მის სილაქებს.

— გააშველეთ, დააკავეთ ეს კაცი. ხალხნი არა ხართ? — კვლავ გაისმა ქალის სასოწარკვეთილი წამოძახილი, მაგრამ ვერავინ გაბედა ახლოს მისვლა.

მიხომ არც აცია, არც აცხელა. ხალხი გაარღვია, მოჩხუბრებთან მიიჭრა, ბურთივით მრგვალ მამაკაცს, ზემოდან რომ აჯდა მეორეს, ხალათის საყელოში ხელი ჩაავლო, ზეზე წამოაყენა და უთხრა:

— სინდისი არა გაქვს. კაცი ხელს არ გიბრუნებს. შენ კი მოსჯდომიხარ ზემოდან და ურტყამ და ურტყამ მუშტებს!

მიხომ სილა მოუქნია და ისეთი გააწნა სახეში, რომ თვალებიდან ნაპერწკლები გადმოსცვივდა. მეეტლემ იგრძნო ვაჟკაცის რკინისებური ძალა, აღარ გამოეკიდა. კიდევ არ გამარტყასო, გახეთქილ ტუჩზე ხელი აიფარა და ბურდღუნით შევარდა შეჯგუფებულ ხალხში.

მიხომ ახლა ნაქცეულს ჩაჰკიდა საყელოში ხელი და წამოაყენა.

— შენ რაღა დაგემართა, ამხელა მუტრუკს, ორი იმისთანა გამოიჭრები. ვაჟკაცი არა ხარ? ასე როგორ უნდა დაძაბუნდე. ერთხელ ხელი არ შეუბრუნო, შენც მოგიხდება! — ამ სიტყვებთან ერთად მიხომ ახლა ახმახს გააწნა სახეში სილა და, როცა ეს უკანასკნელიც შურდულივით შევარდა ხალხში, მიხო გოცირიძეს მიუბრუნდა.

— წავიდეთ, ნიკო!

ეს ამბავი ისე უცბად და მოულოდნელად მოხდა, ხალხი გაოცებული დარჩა.

— შენ გაეზარდე დედაშენს, შვილო! — ლოცავდნენ მანდილოსნები.

— მამაშენმაც უნდა დაიტრაბახოს შვილი მყავსო, — გაიძახოდნენ მამაკაცები და მიხოს თვალს ვერ აშორებდნენ.

ნიკოს მოეწონა მიხოს საქციელი. ნამდვილი ვაჟკაცი ყოფილაო, ამბობდა გულში და ის შთაბეჭდილება, რომელიც წელან, პირველი ნახვისას დარჩა, ახლა ერთი ათად გაეზარდა. გაოცებული შეჰყურებდა ახლად გაცნობილ მიხო მეტეხელს და აღარ იცოდა თავის სიმპატიები როგორ გამოეხატა.

შეჯგუფულ ხალხს რომ დასცილდნენ, ნიკომ იმ ლამაზ ეტლთან მიიყვანა მიხო, რომელშიაც კოხტად დარახტული ცხენები იყო შებმული.

— ახლა პირდაპირ მამაჩემთან უნდა წაგიყვანო დუქანში, — ალტაცებით უთხრა მან და ეტლზე მიუთითა, — დაბრძანდითო!

— ვითომ ეს რას ნიშნავს? — ამ სიტყვებთან ერთად ტუჩებში ჩაეღიმა მიხოს.

— მამაჩემი ძველი მოკრივეა, შენ ამბავს

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ მოვუყვები, გაეხარდება, უყვარს თავისი ხელობის ხალხი.

— მე მოკრივე არა ვარ, ნიკო!

— შეიძლება ხელობით მოკრივე არ იყო, მაგრამ ის, რაც ახლა გააკეთე, არ ვიცი რას მივაწერო. არც მამაჩემი ყოფილა მაგ საქმეს გადაყოლილი, მაგრამ თბილისის ყოჩებს არა. ვის ჩამოუვარდებოდა.

— არა ვარ მოკრივე. უბრალოდ, არ ჰომეწონა იმ უსინდისო მეეტლის საქციელი. ის ვირგლაც კარგი საბერტყი იყო, მაგრამ, შემეცოდა.

ნიკომ ძალისძალით ჩასვა მიხო ეტლში და მეეტლეს უთხრა, ქარვასლასთან გაგვიყვანეო

* * *

ხმელ-სიმონას სამკერვალო დუქანი თამამშევის ქარვასლის ქვედა სართულზე იყო მოთავსებული. ქარვასლას წინ მშვენიერი მოედანი ერტყა, მოედნის პირდაპირ ქალაქის თვითმმართველობის ორსართულიანი სახლი იდგა.

შესასვლელთან ქარვასლას თუჯის ორი ვეება, ფანტასტიკური ლომის ქანდაკება ამშვენებდა. ერთი მარჯვნივ იდგა, მეორე მარცხნივ. ამ ქანდაკებებს თავზე ფარნები ჰქონდა გაკეთებული, რომლებიც ღამით ანათებდა.

მარჯვენა ყაფანის (ასე ეძახდა ხალხი ამ ლომის ქანდაკებებს) ქვეშ ვინმე ტოროშელიძის თევზეულის სავაჭრო იყო მოთავსებული. სავაჭრო აბრაზე დახატული იყო დოში, თართი და ტარალანა, მეორე ყაფანის ქვეშ, კილასონიძის სადალაქოს აბრაზე კი — მამაკაცი, რომელიც წვერს იპარსავდა.

ქარვასლაში ათასნაირ სავაჭროებთან ერთად მოთავსებული იყო ერთი პატარა, უმშვენიერესი თეატრი, რომელიც თავისი სილამაზით და ორიგინალობით ხიბლავდა არა მარტო შინაურთ, არამედ ევროპიდან ჩამოსულ ბევრის მნახველ მოგზაურებსაც კი.

სწორედ ამ თეატრის შესახებ წერდა ალექსანდრე დიუმა: ბევრი ქვეყანა მომივლია და ისეთი ლამაზი თეატრი, როგორიც თბილისშია, არსად მინახავსო.

რა დროსაც არ უნდა გაგევლოთ აქ, ქარვასლის მოედანზე, შადრევანის მარჯვენა მხარეს, განოვის ქუჩის გასწვრივ, ყოველთვის იდგა მწკრივად ეტლები მუშტრის მოლოდინში.

ყველა მათგანი ცდილობდა სხვას არ დაესწრო და მუშტართან პირველი მისულიყო, იყო შეცილება, ჩხუბი, გინება.

— მუშტარს რათ მართმევ, შენი ჯაგლაგა ცხენები როგორ ეკადრება ასეთ პიროვნებასო, — ზოგჯერ ლანძღვით, ზოგჯერ კი ააეთი დარბაისლური სიტყვებით ეპაექრებოდნენ ერთმანეთს.

გათენებიდან გვიან ღამემდე ხალხი არ ილეოდა მოედანზე, სანამ შტაბის საათი თორმეტს არ ჩამოჰკრავდა. ზოგიერთ გულუბრყვილო ადამიანს ეკლესიის ზარის ხმა ეგონა და პირჯვრის წერას მოჰყვებოდა.

რა თქმა უნდა, შტაბის ერთადერთი ზარის ხმა მთელ ქალაქს ვერ მისწვდებოდა. ამიტომაც ალექსანდრეს ბაღის ზემოთა მხარეს, გოლოვინის პროსპექტთან, ქალაქის მმართველობის ნებართვით, ზარბაზანი იყო დადგმული. თორმეტ საათზე ზარბაზნის ბათქით ამცნობდნენ მთელს მოსახლეობას: გაიგეთ ხალხნო და ჯამაათნო, შუადღეაო!

ერთი სიტყვით, ქარვასლის მოედანი ერთგვარ გასართობ და თავშესაყარ ადგილსაც წარმოადგენდა თბილისელთათვის.

ბევრი თუ საქმეზე, ან სავაჭროდ მიდიოდა ქარვასლის მაღაზიებში, ბევრი უსაქმური ლაქლაქით აქ ჰკლავდა დროს. კაცს კაცთან შეხვედრა რომ უნდოდა, აქ უნიშნავდა პაემანს, ზოგს მარტოკა პურის ჭამა რომ ეზარებოდა, თანამესუფრეს აქ დაეძებდა, ბევრი ამფსონს უცდიდა. სოფლიდან ჩამოსული ლამაზ ჩოხებში გამოწყობილი თავადიშვილები აქ იყრიდნენ თავს. აქ ქირაობდნენ კოხტად დარახტულ ცხენებიან ეტლს, რომ ამ ეტლით გაექროლათ ორთაჭალის ბაღებისაკენ საქეიფოდ და ბანკიდან მიღებული მამულის გირაოს ფულით ერთხელ კიდევ გაეხარებინათ თავიანთი ჭია.

ის იყო ნიკო გოცირიძე და მიხო მეტეხელი ქარვასლის წინ ჩამოხდნენ ეტლიდან, რომ მოედანი უჩვეულო სანახაობამ მოიცვა. გოლოვინის პროსპექტზე გამოიჭრა თაიგულებით მორთული ეტლების კოლონა, მიჰყავდათ პატარძალი სიონში ჯვრის დასაწერად. ეტლი ეტლს მოსდევდა. ჭენებით, ისმოდა დუდუკისა და ზურნის სამხიარულო მელოდია. იქაურობას აყრუებდა ცხენების ფეხთა თქარუნი და ზანზალაკ-ეღარუნა ზარების ხმა.

მთელი მილეთის ხალხი შეჩერდა მოედანზე. ქარვასლის დარაბებში და სავაჭროებში ნოქრებმა და მუშტრებმა ყიდვა-გაყიდვას თავი მიანებეს და კარში გამოიშალნენ საყურებლად.

მაყრიონმა ზარ-ზეიმით ჩაიქროლა მოედანი და სიონისაკენ მიმავალი ვიწრო ქუჩის შესახვევში გაუჩინარდა.

ახლა სხვა ეტლები გამოიჭრნენ გოლოვინის პროსპექტიდან, ყარაჩოხელები მიჰქროდნენ ორთაჭალაში ცოცხალი თევზის საჭმელად და მუშა კიტრების წაფცქვენებით შუბლის გასაგრილებლად. ისმოდა არღნის ჭყვიტინი და მეარღნის ჩახლეჩილი სიმღერა.

აგერ გამოჩნდა ორთაჭალის თავზე ხელაღებული მოქეიფე „კურკა გოგია“. თავის გამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩენის მიზნით მას სამი ეტლი დაუქირავებია — პირველში ქუდი უდევს, მეორეში ფეხსაცმელი, მესამეში თვითონ გამოჭიმულა მეგარმონე „მუნდლა შამილასთან “ ერთად „მუნდლა შამილა“ მთელ გაშლაზე სწევს გარმონს და მისი ხმა იქაურობას ფარავს.

— წავიდეთ თორემ ასეთი სანახაობა აქ არ გამოილევა! — უთხრა ნიკო გოცირიძემ მიხოს და მკლავში ხელი მოჰკიდა.

გაოგნებული მიხო უხმოდ დაემორჩილა. მცირე ხნის შემდეგ ქარვასლის ქვედა სართულზე ხმელ-სიმონას დუქანს მიადგნენ.

ხმელ-სიმონას სამკერვალო დუქანი ყველასათვის ცნობილი იყო თბილისში. სიმონას მამაკაცის ტანსაცმლის საუკეთესო მკერავის სახელი ჰქონდა გავარდნილი და მუშტარიც ბლომად ეხვეოდა.

სიმონას აკერინებდა ტანსაცმელს ანჩისხატის უბანში მის მეზობლად მცხოვრები ცნობილი ლიტერატორი პეტრე უმიკაშვილი და თვით მეფისნაცვალი. პოეტი და გენერალი გრიგოლ ორბელიანი (მოხუცებულობის ჟამს).

გარდა ხელმარჯვენა? — ხელმადლიანი თერძობისა, სიმონა სხვა მხრივაც იყო პოპულარული თბილისში. მოკრივეთა შორის მას ბადალი არა ჰყავდა. ვინც ხმელ-სიმონას მწარე მუშტის ამბავი იცოდა, ის მასთან კრივში გასვლას ვერ ბედავდა.

გრიგოლ ორბელიანი სიმონას თავის ფალავნად თვლიდა და როცა კი შეჯიბრი გაიმართებოდა, ყოველთვის მას ეძახდა.

სიმონსაც ძალიან უყვარდა გრიგოლ ორბელიანი და ხათრით უარს ვერ ეუბნებოდა, მის წყენას ერიდებოდა. ჩაიცვამდა ახალთ-ახალ ფარჩის ახალუხს, ყურთმაჯებიან კაბას და, უნდოდა თუ არ უნდოდა, წავიდოდა. წავიდოდა და საღამოს შემოფლეთილი ბრუნდებოდა უკან.

ზოგჯერ კი, როცა გუნებაზე არ იყო, ლოგინის წალოში დაიმალებოდა, რომ გრიგოლ ორბელიანის მოურავს ძალით არ წაეყვანა.

ახლა, როცა კრივის ყავლი გაუვიდა, ხმელ-სიმონა საკერავ დაზგას არ შორდებოდა. ათენებდა და აღამებდა, რომ ფული გაეკეთებინა და ოჯახი ერჩინა. ილებდა შეკვეთებს და კერავდა. მაგრამ სადაც არ უნდა გამართულიყო კრივი, არ დააკლდებოდა.

ქართულ ჭიდაობასაც სიამოვნებით ესწრებოდა. უყვარდა იქ წასვლა იმიტომ, რომ ყოველთვის ნახულობდა ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს, ანტონ ფურცელაძეს და სხვა მოწინავე საზოგადო მოღვაწეებს. რომლებიც ხშირად ესწრებოდნენ შეჯიბრებას.

ახლა საკერავ დაზგას უჯდა სიმონა, რომ მოულოდნელად დუქანში ნიკო შემოვიდა და მიხოც თან შემოიყვანა.

გაუხარდა სიმონას შვილის დანახვა. ცამეტიდან ეს ერთიღა დარჩენოდა. მშობლები ისინი, სანდროსა და ნიკოს გარდა, პატარები დაეხოცნენ, მაგრამ სანდროს უდროო სიკვდილმა გულში რაღაც ჩასწყვიტა სამუდამოდ. ახლა ნიკო იყო მისთვის ყველაფერი ამ ქვეყანაზე.

— აი ვინ მოვიყვანე, მამა, — უთხრა და მიხოზე მიუთითა. — გაიცანი!

— სიმონამ საკერავი გვერდზე გადადო და ზეზე წამოდგა.

მიხომ მძიმედ ჩამოართვა თავისი დაძარღვული ხელი.

ნიკო მოკლედ მოუყვა მამას მიხოს ამბავს. სიმონას სახე გაებადრა, ცნობისმოყვარეობით შეათვალიერა შვილის ახლად გაცნობილი ამხანაგი და ჰკითხა:

— სადაური ხარ, ბიჭო?

— მეტეხელი გახლავარ!

— დიდი ხანია თბილისში მუშაობ?

— მეორე წელია!

— გიყვარს კრივი?

მიხოს გაეცინა.

— მართლა მოკრივე კი არ გეგონოთ, ძია სიმონ, არც ვიცი რა არის კრივი. უბრალოთ ასეთ შემთხვევას შევესწარი და სხვანაირად არ შემეძლო მოვქცეულიყავ.

— ვაჟკაცი ყოფილხარ. სხვა ამას არ გააკეთებდა. აბა მკლავები გაშალე!

მიხომ ოდნავ გასწია ნიჩაბივით ტლანქი ხელები.

— ჩამომართვი! — უთხრა სიმონამ და მიხოს ხელი გაუწოდა.

— მიხომ ჩამოართვა. სიმონამ მაგრად მოუჭირა თავის ხმელი ხელი, როგორც სჩვეოდა მას, კაცის ძლიერება რომ უნდა გაეგო და სახეზე გაკვირვების იერი აღებეჭდა.

ჯერ არ ახსოვს ასეთ დროს ადგილზე არ შეეწრიალებინოს, ვინც არ უნდა ყოფილიყო. მიხოს კი წარბი ვერ შეარხევინა. მხოლოდ თვალები გაუფართოვდა და ტუჩებში ჩაეღიმა.

— ან მე დავბერდი, ან შენა ხარ საოცარი ძალის კაცი. მართლა არასოდეს გასულხარ კრივში?

— არასოდეს, ძია სიმონ! ჭიდაობის კი რა მოგახსენო. მიყვარს და კიდევაც მივდევ!

— ჭიდაობ?

— დიახ, ვჭიდაობ!

— ცირკში გამოდიხარ?

— არა, სოფელში. იქ ყოველ დღესასწაულზე იმართება ქართული ჭიდაობა;

— აქ რატომ არ ღებულობ შეჯიბრებებში მონაწილეობას?

— სადა მაქვს მაგისი დრო!

სიმონა ჩაფიქრდა, თან თვალს არ აშორებდა მიხოს, რომელიც გულმოდგინედ ათვალიერებდა ვიტრინაზე გამოკიდებულ ჩოხა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალუხებს, ყურთმაჯიან კაბებს, პიჯაკებს.

ერთ ჟოლოსფერ ჩოხაზე შეაჩერა თვალი. უყურა, უყურა და გულში ინატრა: ასეთი ჩოხით რომ გამატარა მეტეხში, ჩემზე ბედნიერი ქვეყანაზე კაცი არ იქნებაო.

ჩოხის ყიდვა მიხოს ოცნებად ჰქონდა გადაქცეული, მაგრამ მისი შეძენა არც ისეთი იოლი იყო იმ დროში. მით უმეტეს, მიხო კაპიკ-კაპიკ აგროვებდა ფულს, რომ როგორმე თავშესაფარი ქოხი აეშენებინა, თანაც მრავალრიცხოვან ოჯახს დახმარებოდა.

ასეთი ჩოხა ორს თუ ჰქონდა მეტეხში და მთელი სოფლის ახალგაზრდობა იმ ჩოხებში ინერდა ჯვარს.

— რატომ არ დადიხარ შეჯიბრებებზე, შენი ღონის პატრონს არ გაინტერესებს? — არ ეშვებოდა სიმონა.

— რატომ არ მაინტერესებს, მაგრამ დრო არა მყოფნის. შაბაშის შემდეგ სახლის საქმეებს ვუნდები, კვირაობით კი სოფელში დავიარები, ოჯახსაც ხომ უნდა მიხედვა.

— ნუ ნახვალ სოფელში. ამ კვირას დიდი ჭიდაობა იმართება დიდუბეში. ვილაც ყიზილბაში ჩამოსულა სპარსეთიდან. ბაქოში და ერევანში შეხვედრია ფალავნებს, ყველა დაუმარცხებია და ახლა აქ უნდა მოსინჯოს ძალა. თურმე ამბობს: ყველაზე მეტად გურჯებთან მწყურიანო ჭიდაობა. არ გაინტერესებს ნახო?

— როგორ არ მაინტერესებს, მაგრამ რა ვიცი! — მხრები აიწურა მიხომ.

— რახან შენ არ იცი, მე წაგიყვან და გაჭიდავებ, თუ მასახელებ, აი ასეთ ჩოხას შეგიკერავ, ხედავ? — სიმონამ იმ ჟოლოსფერზე მიუთითა, რომელიც ვიტრინაში ეკიდა და გამვლელგამომვლელის ყურადღებას იზიდავდა.

მიხოს ულვაშებში ჩაეცინა.

— რატომ გეცინება? — ღიმილით ჰკითხა სიმონამ.

— ამისთანა ჩოხას რომ შემიკერავდეთ, ძია სიმონ, იმ ყიზილბაშს კი არა, ამირანს დავეჭიდები!

— შეგიკერავ, ნამდვილად შეგიკერავ! — მტკიცე ხმით წარმოსთქვა სიმონამ და მიხოსთან ერთად თვითონაც მხიარულად გაეცინა.

— არა, ძია სიმონ, გეხუმრები, — თქვა ბოლოს მიხომ, — ანგარების მიზნით მე არასოდეს საქმე არ გამიკეთებია. არც მამაჩემი ყოფილა ასეთი, თორემ შეიძლება უფრო უკეთეს პირობებში გვეცხოვრა, ვინემ დღესა ვცხოვრობთ. მე თანახმა ვარ, ვისაც გინდათ. იმას დამაჭიდეთ, გაძლევ პირობას, თუ ვერ დავამარცხე, არც დავმარცხდები, სირცხვილს არ გაჭმევთ.

სიმონამ ერთხელ კიდევ დაკვირვებით შეათვალიერა მიხო და ღრმად დარწმუნდა, რომ არ აჭარბებდა. პირიქით, იგი ძუნწად და თავშეკავებით გამოსთქვამდა იმას, რის შემძლეც იყო, რის გაკეთებაც მას შეეძლო.

თავის თავს მიამსგავსა სიმონამ მიხო. ისიც მიხოსავით ტლუ ბიჭი იყო მაშინ, პირველად რომ გავიდა კრივში, მოწინაალმდეგე გამოცდილი პროფესიონალი იყო და მრავალ შეჯიბრში ჰქონდა მონაწილეობა მიღებული. სიმონამ ისეთი დღე აყარა იმ მოკრივეს, საკუთარ თავს ველარ სცნობდა. ერთ წუთს ვერ გაუძლო რინგზე. პირველ დარტყმაზე თავბრუ დაახვია და წონასწორობა დააკარგვინა. მეორეზე ბურთივით გააგორა და აღარც ამდგარა. საკაცით წაიღეს რინგიდან.

იმ დღიდან დაიწყო სიმონას აღზევება, იმ დღიდან დაიახლოვა გრიგოლ ორბელიანმა და სიკვდილამდე არც გაუწყვეტია მასთან ურთიერთობა.

— ვინ იცის, ამ ბიჭშიც არის რაღაც ღვთიური ძალა, ცოდოა დაფარული რომ დააქვსო, — ამბობდა გულში, — ნიჭს გამომზეურება უნდა, რომ განგებისაგან მინიჭებული ეს მადლი თავზე გვირგვინად დაადგეს და ყველამ დაინახოს ვინ რა არისო.

— იმ თათარს კი არ დაგაჭიდებთ, მაგრამ... პირობა პირობაა, ხომ? — ხელი გაუწოდა სიმონამ მიხოს.

— გაძლევთ სიტყვას! — მიხომ ხელი დაურტყა ხელზე.

— მაშ კვირას აქ მოდით შენ და ნიკო და აქედან ერთად წავალთ. მე ყველას ვიცნობ იქ.

— აუცილებლად მოვალთ! — თითქმის ორივემ ერთხმად წამოიძახა.

— ახლა კი, — მიუბრუნდა სიმონა შვილს და ჯიბიდან ფული ამოიღო — წადი და მიხოს გაცნობის ნიშნად სამი ბოთლი ღვინო, სამი მწვადი და თონის პური მოიტანე, ზუთხი ტოროშელიძეს გამოართვი. უთხარი სიმონას ბიჭი ვართქო, კარგ ნაჭერს მოგიჭრის. პატარა პური შევჭამოთ. ისე რომ, არც თქვენი საქმე გააფუჭოთ და დავალება პირნათლად შეასრულოთ. სამუშაოდან მოსულები ხართ, გშიებათ.

— ამ წუთას, — წამოიძახა ნიკომ და შურდულივით გავარდა კარში.

* * *

კვირადღეს მიხომ ადრიანად დატოვა აუზის ქუჩის სარდაფი და გეზი ანჩისხატის უბნისაკენ აიღო. ამხანაგები გუშინვე გააფრთხილა.

— ვისაც გსურთ ჩემი ჭიდაობა ნახოთ, ხვალ საღამოს, ხუთ საათზე, დიდუბის საჭიდაო არენაზე გამოდითო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აუზის სარდაფის მუშებს პირველად გაუკვირდათ მისი ნათქვამი, რადგან მიხო თუ ჭიდაობდა, ამის შესახებ მათ არაფერი იცოდნენ, გარდა ვანო იაშვილისა.

არც მიხოს დასცდენია ამის შესახებ სიტყვა. მიხო არ იყო ზოგიერთივით მკვეხარა, რომ ნინასწარ ტრაბახით გაებრუებინა მეგობრები.

ვიწრო ხიდით სადგურის მოედანზე რომ გავიდა, ისევ ისე იყო ერთმანეთში გაჩხირული ეტლები, ფორნები, როგორც ყოველთვის.

ისევ ისე იდგა აქოთებული ფუნის სუნი.

მეეტლეებს შორის მიხომ ის ბურთივით მრგვალი კურკა მეეტლეც შენიშნა, ამ რამდენიმე დღის წინ ახმახს ზემოდან რომ მოსჯდომოდა და ურტყამდა. გახეთქილი ტუჩი დამუწუკებოდა და შავად მოუჩანდა.

კურკა მეეტლემაც დაინახა მიხო, ერთხანს დააცქერდა, ის არის თუ არაო, რომ დარწმუნდა ის იყო, შეტრიალდა და ზურგი შეაქცია.

ეტყობა ჯერ არ განელებოდა მისი რკინისებური მუშტის სიმწარე.

მიხო ფეხით გაუდგა გზას ანჩისხატის უბნისაკენ. მართალია ცოტა ადრე მოუვიდა შინიდან გამოსვლა, მაგრამ ქალაქს დავათვალიერებო, გაიფიქრა და ნელი ნაბიჯით გაუყვა სადგურის ქუჩას.

მუდამ ხმაურიანი და ხალხით გადატვირთული მიხეილის ქუჩა ახლაც ყაყანით შეეგება მიხოს. ყოველ ნაბიჯზე დუქნები, სავაჭროები, სანვრილმანოები, მალაზიები, სასადილოები, სამწვადეები, საქვაბეები, სახაშეები, სახინკლეები ჩარიგებულიყო. ხალხი ბუზივით ესეოდა და იყო გახურებული ვაჭრობა, განსაკუთრებით კი კვირა დღეს.

პროსპექტზე უწესრიგოდ დახრიგინებდნენ ფორნები, ეტლები, ცხენის კონკა, ღია თუ ჩარდახიანი ურმები. ქუჩებში იყიდებოდა ახლად შემოსული მწვანილეულობა, ხილი. ყოველ ნაბიჯზე შეხვდებოდით თავზე თაბახდადგმულ კინტოებს.

— აბა, კარგი მწვანილი...

— დიდუბის ბალი...

— ორთაჭალის ადრეული კიტრი, ბოლოკი მარწყვი... — გაჰკიოდნენ მყივანა ხმით და ხალხს ფეხებში ებლანდებოდნენ, აძალებდნენ იყიდეთო.

შიგადაშიგ მენავთეები გაიხრიგინებდნენ ფორნით და ახლა იმათი ყურისწამღები ყვირილი გააყრუებდა ისედაც აღრიანცელებულ ქუჩას.

მიხომ მიხეილის საავადმყოფოს გვერდით ჩაუარა და ხიდის ყურთან ვორონცოვის მოედანზე გავიდა.

მოედნის შუა მედიდურად აღმართული იყო ამიერკავკასიის მთავარმართებლის უზარმაზარი ძეგლი და შეჭმუხვნილი სახით მტკვრის დინების მიმართულებით გაიყურებოდა, რომლის მარცხენა მხარეს, დაწყებული ხიდის ყურიდან მუხრანის ხიდამდე, ჩამწკრივებულიყო თამამშევის წყლის წისქვილები, ის წისქვილები, რომლებმაც ულარიბესი ტლუ ბიჭი მილიონერად აქცია.

ძეგლის სიახლოვეს თავი მოეყარათ საეჭვო ყოფაქცევის ქალებს და მუშტრის მოლოდინში უსაქმოდ ტკეპნიდნენ მოედანს.

მიხომ მდუმარედ ჩაუარა გვერდით ვორონცოვის ძეგლს, პირველი ხიდი გადაიარა და მადათოვის კუნძულს გაუსწორდა.

დაბლა, სამხერხაოებიდან განუწყვეტლივ ისმოდა სახერხი დაზგების ღრჭიალი, ხალხის ხმაური და აყალ-მაყალი. კუნძულს რამდენიმე წყებად შემორტყმოდა გარშემო ბორჯომიდან ჩამოსული ტივები და მისადგომი ადგილი რომ აღარ იყო, ტივების ქარავნის ბოლო ვერის ხიდამდე აღწევდა.

მათმა დანახვამ მიხოს თავისი მეტივეობა გაახსენა. გულმა ჩხვლეტა დაუწყო. სწრაფად გადაიარა მეორე ხიდიც, მალე ალექსანდრეს ბაღი და გრიგოლ ორბელიანის სასახლე უკან მოიტოვა, შუა ბაზარს გასცდა და ვიწრო, მიხვეულ-მოხვეული ქუჩებით ანჩისხატის უბნისაკენ აილო გეზი.

წმინდა გიორგის პატარა ეკლესიას რომ დაუახლოვდა, ქაშუეთის მხრიდან ზარბაზნის ბათქი გაისმა.

თორმეტი საათი გამხდარიყო...

ნიკო შინ დახვდა. სტუმრის მოლოდინში ფარჩის ახალუხში და ყურთმაჯიან კაბაში გამოწყობილიყო და ისედაც მოხდენილი ვაჟკაცი ამ ტანსაცმელს ერთიორად დაემშვენებინა.

მასპინძელი მხიარულად შეხვდა სტუმარს, შინ შეიპატიჟა.

მიხომ აღარ დაიმორცხვა, დღეს მეორედ მოხვდა გოცირიძეების ოჯახში და ამიტომაც თამამად გადააბიჯა კარის ზღურბლს.

— მარტო ხარ? — ჰკითხა შესვლისთანავე.

— მარტო ვარ. დედა ბაზარში წავიდა სურსათის საყიდლად.

— გაიგე „ირანის ლომზე" რას ამბობენ? — ველარ მოითმინა ნიკომ.

— ვინ არის „ირანის ლომი?" — ვერ გაიგო მიხომ მისი ნათქვამი.

— ის ყიზილბაში, საჭიდაოდ რომ ჩამოსულა. მისი ნამდვილი სახელი ასლან-ბასანი ყოფილა. ასლან-ბასანი თათრულად თურმე ლომის გამსრესს, ლომის მომრევს ნიშნავს. თავისი ძლიერების გამო ხალხს მისთვის „ირანის ლომი" შეურქმევია. ზოგი მგუდავ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კობრასაც უძახის. ამბობენ: მაგის ნამქცევი საქართველოში არავინ არისო.

— აშენებულა ჩვენი ქვეყანა! მაგის ნამქცევი მართლა თუ ვერ მოიძებნა საქართველოში. მაშინ რილას მაქნისები ვართ. დავიხუროთ ქუდები და წავიდეთ აქედან. მაგრამ არა მგონია ეს მართალი იყოს კულა გლდანელზე, ნესტორ ესებუაზე, კოსტა მაისურაძეზე ძლიერი მაინც ვერ იქნება.

— დღეს გამოჩნდება! გავიდეთ ქალაქში?

— გავიდეთ!

— პური არა გშია?

— არა მშია!

— მაშ მერე ვისადილოთ.

ნიკომ კარები დაკეტა, გასაღები დათქმულ ადგილას შეინახა, ის იყო ქუჩაში მოფუსფუსე ხალხს შეუერთდნენ, რომ სიონის მხრიდან ზარების რეკვა მოისმა.

ნიკო შეჩერდა. მიხოსაკენ შებრუნდა.

ხომ არ სჯობია პირველად სიონში შევიაროთ?

— როგორც შენ იტყვი!

— ყოფილხარ სიონში?

მიხომ უარის ნიშნად თავი გააქნია.

— წავიდეთ, საინტერესოა!

— წავიდეთ!

მარცხნივ გაუხვიეს და ვიწრო ქუჩას გაყვნენ.

სიონის შემდეგ ქალაქი დაათვალიერეს. ბოლოს მთაწმინდაზე ავიდნენ.

ოთხის ნახევარი იქნებოდა მთაწმინდიდან რომ დაეშვნენ. ნახევარ საათში სიმონას დუქანს მიადგნენ.

სიმონა უკვე მორჩენილიყო სამუშაოს, ტანსამელი გამოეცვალა და ახლა სწორედ მათ ელოდებოდა.

მიხო რომ დაინახა, თითქოს სანდრო ენახოს, ისე გაუხარდა. ხელი მაგრად ჩამოართვა და მოიკითხა, როგორ ხარო.

— გმადლობთ, ძია სიმონ. დღეს იმდენი რამ ვნახე და გავიგე, ძალზე ბედნიერად ვგრძნობ თავს. დიდი მადლობელი ვარ ნიკოსი.

— მადლობა იქით იყოს. შენ ეს მითხარი, პირობაზე როგორა ხარო.

— ძალიან კარგად!

— ბიჯოს, შენ აღარა ხუმრობ, იქნებ ასლან-ბასანსაც დაეჭიდო?

— რატომაც არ დავეჭიდები! — უკან არ დაიხია მიხომ.

— არა მართლა! — ხმამაღლა გადიხარხარა სიმონამ. თან გამომცდელად დააცქერდა, — მართლა დაეჭიდები?

— დავეჭიდები. აბა არ დავეჭიდები?

— ასე ამბობენ. მისი მომრევი ჩვენთან არავინაათ. მარილის ვეება ქვებს [illegible]ლიშივით ათამაშებსო.

— გავიგე, ნიკომ მითხრა, მაგრამ მე მაინც უკან არ დავიხევ!

— არა. შენ ასლან-ბასანს არ დაეჭიდები... ახლა კი სერიოზულად უთხრა სიმონამ, — მაგრამ ვისაც მე გამოგიყვან, თუ ის დაამარცხე, ეს იმას ნიშნავს, ძლიერი მოჭიდავე ყოფილხარ.

— ნება შენი იყოს, ძია სიმონ. ვისაც გინდა, იმას დამაჭიდე. ყაბულს ვარ.

— მაშ წავიდეთ, ნულარ ვაყოვნებთ, ხომ იცით, მთელი თბილისი იქ იქნება მიმნყდარი და ადგილების შოვნა გაჭირდება! — ამ სიტყვებზე სიმონამ დუქანი დაკეტა. ბიჭებს წინ გაუძღვა და როდესაც ქარვასლის წინ, მოედანზე გავიდნენ, მეეტლეო, ხმამაღლა დაიძახა.

განოვის ქუჩის კუთხიდან ათამდე ეტლი გამოხრიგინდა სიმონასაკენ. რომელი ეტლიც მოეწონა, იმ ეტლში ჩაჯდა, ბიჭებს უთხრა ნულა აყოვნებთ, დროზე დასხედითო და მეეტლეს მიმართა:

— დიდუბეში, საჭიდაოზე. აბა შენებურად ვარეკე!

მეეტლემ სადავე მოსწია, შოლტი ჰაერში გააბზუილა და ცხენებიც მოსწყდნენ ადგილს.

ეტლმა გოლოვინის პროსპექტზე გაიქროლა და ვერის დაღმართზე გავლით დიდებისაკენ აიღო გეზი.

* * *

„ირანის ლომის“ ჩამოსვლის ამბავი ელვის სისწრაფით გავრცელებულიყო ხალხში. ქუჩებში გამოკრულმა აფიშებმა ჯერ კიდევ სამი დღით ადრე ამცნო თბილისელებს, რომ დღეს, კვირას, დიდუბეში, დიდუბის ქუჩაზე უნდა გამართულიყო საინტერესო კავკასიური ჭიდაობა, სადაც ასლან-ბასანის გამოსვლის შემდეგ, ერთმანეთს უნდა შეხვედროდნენ საქვეყნოდ ცნობილი ფალავნები: კულა გლდანელი და ნესტორ ესებუა, დათა ბეზარიაშვილი და ლუკა მელაშვილი, გიორგი ჯიბგირი და ლოჭო კუპატაძე, ბებერუა როსტიაშვილი და ქოჩორა მუხრანელი, ზურაბ ფანოზაშვილი და გიორგი ქიზიყელი, ნიკა კაკაშვილი და იუსუფ ისმაილოვი, გიგუცა შავსოფლელი და სანდრო დალაქიშვილი, პატარა ჯიბგირი და ალექსი ლამისყანელი, ალფეზა გოგიბედაშვილი და სანდრო კავთისხეველი, ილა სამხარაძე და საშო ვერელი.

მოედანზე ტევა არაა. ხალხს ზიმზიმი გააქვს. ყველა დაინტერესებულია „ირანის ლომის“ ჭიდაობით. ერთი სული აქვთ შეიტყონ ვის გადაუყვანენ მას. ნიკო გოცირიძემ და მიხო მეტეხელმა გაჭირვებით მოძებნეს ხლვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯალხში ფეხზე დასადგომი ადგილები. ხმელ-სიმონამ კი ჭიდაობის მესვეურებს მიაშურა.

უცებ ხალხში ჩოჩქოლი და ალიაქოთი ატყდა. მოედანს ეტლი მიუახლოვდა. ეტლში აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი და ჭიდაობის ტრფიალს რომ ეძახდნენ — ანტონ ფურცელაძე ისხდნენ.

როგორც კი იცნო ხალხმა სახელოვანი მამულიშვილები, ერთბაშად იქუხა ტაშმა და ტაშთან ერთად გულიდან მომსკდარმა სიხარულის გამომხატველმა ჟრიამულმა იქაურობა შესძრა. აკაკი წერეთელმა მადლობის ნიშნად თავი დაუკრა და ხელის მაღლა აწევით მიესალმა ყველა იქ დამსწრეთ.

ხალხი კვლავ ბობოქრობდა, ღელავდა, ვერ ისვენებდა. თან გზისკენ ეჭირა თვალი, როდის გამოჩნდებოდა ასლან-ბასანი. ხუთი ხდებოდა და „ირანის ლომი“ კი არა ჩანდა.

ჭიდაობის მომწყობ მესვეურთ ციებ-ცხელება შესდგომოდათ. ვისი იმედიც ჰქონდათ — არც კულა გრდანელი ჩანდა, არც ნესტორ ესებუა. ორიოდე წუთის წინ კულასაგან მოამბე მოვიდა: სულით და გულით მინდოდა „ირანის ლომს“ შევხვედროდი, მაგრამ გუშინ ტყეში წავედი შეშის ჩამოსატანად, ნაჯახით ფეხი დავიზიანე და ვერ ჩამოვალო.

ნესტორ ესებუა ოდიშში იყო წასული და ამ დილით უნდა ჩამოყოლოდა მატარებელს, მაგრამ არც ის ჩანდა.

კოსტა მაისურაძე კი საქართველოში არ იმყოფებოდა. ქაჯური სპორტული სარბიელი ევიწროვა თურმე და პეტერბურგს მიაშურა.

ერთი სიტყვით, ცუდ დღეში ჩაცვივდნენ ჭიდაობის მოწყობის მესვეურები; განსაკუთრებით კი მათი მოთავე თავადი კოლა ორბელიანი, ის კოლა, ნიკო ბურს რომ გაჰყვა აფრიკაში ვეფხვებზე სანადიროდ. აღარ იცოდნენ ვინ გაეყვანათ — ხან დიდ ჯიბგირზე შეაჩერებდნენ არჩევანს, ხან საშო ვერელზე, მაგრამ შიშობდნენ საქართველოსთვის სირცხვილი არ ეჭმიათ და ფეხს ითრევდნენ. აქ ხომ მარტო ჭიდაობის ინტერესები არ იყო!

ამ თავსატეხ მდგომარეობაში იყვნენ ისინი, რომ მოულოდნელად ხმელ-სიმონა მივიდა მათთან და მისალმების შემდეგ უთხრა

— გავიგე, ძმებო, მძიმე მდგომარეობაში ხართ ჩავარდნილნი, არც კოლა ჩანს დღეს, არც ნესტორი. ერთი ფალავანი მყავს დათა ხიზამბარელის მეზობელი სოფლიდან. ნახეთ და თუ მოგეწონებათ, უარს არ იტყვის. მე მგონი, ახლა აქ ვინც კარგი მოჭიდავეები არიან, ყველას აჯობებს.

ხმელ-სიმონას ყველა კარგად იცნობდა, როგორც თავისი თაობის უბადლო მოკრივეს. ისიც იცოდნენ, რომ სიმონა უტყულად არ შეაქებდა უცნობ ფალავანს, რომ არ სცოდნოდა მისი ამბავი. გარდა ამისა, დათა ხიზამბარელის ხსენებამ სულ სხვა ფიქრები გაუღვიძა იმედდაკარგულ მესვეურებს. ხიზამბარელს ხომ ბადალი არ ჰყოლია ქართული ჭიდაობის არენაზე დღემდე. ცალი ნიბო მაინც ექნება იმისიო, თქვეს და სიმონს უთხრეს გვაჩვენეო.

სიმონა გარეთ გავარდა და მცირე ხნის შემდეგ მიხო წარუდგინა მესვეურთ.

კოლა ორბელიანმა მიხო თავით-ფეხამდე შეათვალიერა, ყველანაირად აწონ-დაწონა, ტანადობითაც მოეწონა, თვალადობითაც და ბოლოს ჰკითხა:

— სადაური ხარ, ბიჭო?

— მეტეხელი გახლავართ, ბატონო!

— ჭიდაობ?

— ვჭიდაობ!

— ასეთ არენებზე თუ გამოსულხარ, — თბილისში?

მიხომ თავი გააქნია უარის ნიშნად.

— აბა სად ჭიდაობ, სოფელში?

— სოფელში, დღეობებში.

— თუ წაუქცევიხარ ვინმეს?

მიხოს ოდნავ გაეღიმა.

— თქვი ვაჟკაცურად, არავის წაუქცევიხარ?

— არავის, ბატონო!...

— მერე, რატომ გაბედულად არ იტყვი რის გეშინიან?

— ხომ არ ვიყვირებ. ნათქვამს დანახული არა სჯობია?

კოლას მოეწონა მიხოს სიტყვები, ცალი თვალით ამხანაგებს გადახედა და ბოლოს ისევ მიხოზე შეაჩერა მზერა.

— დაეჭიდები „ირანის ლომს?“

— დავეჭიდები!

— მერე იცი ვინ არის ასლან-ბასანი, გინახავს თვალით? ორი შენხელა გამოიჭრება!

— ადამიანი ხომ არის?

— ადამიანია აბა დათვი? — თავის სიტყვებზე თვითონვე გაეცინა კოლას. — ისე, კაცმა რომ თქვს, დათვს კი ჰგავს ის მუდრეგი. მურა დათვს, მუხრანის ტყეებში რომ შემხვედრია ნადირობისას.

ყველას სიცილი აუტყდა.

— ჰოდა, — მიმართა კოლამ მიხოს, — აი, იმ დათვს უნდა გაჭიდაოთ. თუ იმედი არა გაქვს, ნუ გახვალ, საქართველოს თავს ნუ მოჭრი. გესმის, რა პასუხისმგებლობა გაკისრია?

— მესმის. მაგრამ წინასწარ როგორ გითხრათ. - წავაქცევ-მეთქი, ერთი კია, მოვკვდები და ჩემი შემჭმელიც რომ იყოს, თავს მაინც არ დავამარცხებინებ!

ეს სიტყვები ისეთი რწმენით წარმოსთქვა

ეროვნული

მიხომ, კოლას თუ სადმე პატარა იჭვის ნატამალი ჰქონდა, სულ გაუქარწყლდა.

— აბა შენ იცი, — მხარზე ხელი დაჰკრა კოლამ. მერე ამხანაგებს მიუბრუნდა; — ვეთანხმები ხმელ-სიმონას, ყოჩალი ბიჭი ჩანს თუმცა წინასწარ მაინც ძნელია ამოიცნო კაცის შესაძლებლობა. სწორედ თქვა თვითონ მეტეხელმა, ლაპარაკს დანახული სჯობიაო. მოდი და ჩვენც ვნახოთ, რა მოხდება. ჭიდაობა რომ გადავდოთ, არ შეიძლება, ყიზილბაშს მეტი კი არ უნდა, საცინლად აგვიგდებს. მთელ ქვეყანაზე თავს მოგვჭრის. გურჯისტანში კაცი ვერა ნახეს, ჩემთვის დაეჭიდებინათო. ფულს კი მაინც წაიღებს, ისეთი წუნკალია. გუშინ მოლაპარაკების დროს სულ ფულზე ჰქონდა საუბარი, შემოსავალი მთლიანად გამარჯვებულს უნდა დარჩესო.

ჯერ სიტყვა არ დაემთავრებინა კოლას, რომ ხალხის ღრიანცელმა იქაურობა შესძრა.

— მგონი მოვიდა! — წამოიძახა კოლამ და სხვებთან ერთად თვითონაც დატოვა ფარდული.

საჭიდაო არენას მძიმედ უახლოვდებოდა „ირანის ლომის" ეტლი. ეტლში ზვინივით მოჩანდა ჩალმიანი სპარსი-გოლიათი, იგი მოჭუტული თვალით გაჰყურებდა არენის გარშემო მჭიდროდ ჩათაკრულ ზღვა ხალხს და ცდილობდა მათს სახეზე ამოეკითხა ის საიდუმლო, რომელიც შეუვალ ფარად ხვდებოდა მის წინაპრებს გურჯისტანზე გამოლაშქრების დროს.

თვითონაც ხომ ამ მიზნით იყო ჩამოსული ახლა გურჯისტანში, რათა ძირს დაეფინა ამ ბედკრული ქვეყნის მამაცი ვაჟკაცები და მეოცე საუკუნის გარიჟრაჟზე კვლავ დაემტკიცებინა თავისი მზეჩასვენებული ქვეყნის დიდება და ძლიერება.

„ირანის ლომს" თან წამოეყვანა თარჯიმანი თალლარა, ხარფუხში დაბადებული და გაზრდილი, მისი სისხლი და ხორცი, რომელმაც კარგად იცოდა არა მარტო ქართული, კავკასიური ენებიც.

თალლარა თუმცა ტანად პატარა კაცი არ იყო, მაგრამ „ირანის ლომთან" ქონდრის კაცივით მოჩანდა.

ეტლი ნელი სვლით მიუახლოვდა ფარდულს და „ირანის ლომთან" შესახვედრად გამოსულ კოლა ორბელიანის ამალის წინ გაჩერდა. ჩალმიანი გოლიათი აუჩქარებელი სიდინჯით წამოიმართა ზეზე, ორბელიანს და მის თანმხლებთ მუსლიმანური წესით სალამი მისცა და მძიმედ ჩამოუშვა მიწაზე მუხის ჯერ ერთი, მერე მეორე ბოძი.

ზამბარებმა ჭრიალი მორთეს. სიმძიმისაგან დაზნექილ-დაპრესილმა ეტლმა შვება იგრძნო და უმალ აიწია მაღლა.

— მოვედი გურჯებო, მზად ხართ? — თალლარას პირით მიმართა „ირანის ლომმა" კოლას და მოჭუტული თვალით კვლავ ხალხს გახედა. გულში სიამაყე იგრძნო, როცა შენიშნა ყველას მისკენ ჰქონდა მოღრეცილი კისერი და გადიდებული თვალებით მისჩერებოდნენ.

ტუჩებში ჩაეცინა ყიზილბაშს. იმიტომაც ნოვიდა დაგვიანებით, რომ უეცარი გამოჩენით როგორც ხალხზე, ისე მოწინააღმდეგეზე ერთგვარი ზემოქმედება მოეხდინა თავისი გოლიათური აღნაგობით და შიში, პანიკა და დაბნეულობა ჩაეთესა მათს გულში.

ეს იყო აღმოსავლური დიპლომატიის ერთი პატარა ნიუანსი, რომელსაც ოსტატურად იყენებდა „ირანის ლომი", რომელ ქვეყანაშიც არ უნდა გამგზავრებულიყო საჭიდაოდ ანუ, როგორც თვითონ უწოდებდა — დასალაშქრავად.

— მზად ვართ, შეგვიძლიან დავიწყოთ! — თქვა კოლამ ცოტა არ იყოს შეფიქრიანებულმა, რადგან ჩალმიანი გოლიათი ახლა უფრო აულებელ ციხესიმაგრედ მოეჩვენა, ვიდრე გუშინ, როცა მასთან მოლაპარაკებას ინყებდა.

— მხოლოდ ერთი პირობით, შემოსავალი მთლიანად გამარჯვებულისა უნდა იყოს!

— ჩვენ ხომ შევთანხმდით ამ საკითხზე?— კოლა უხერხულად შეიშმუშნა მხრებში.

— მართალია შევთანხმდით, მაგრამ გაგახსენეთ, მერე შარი არ მომიდოთ, არ შევთანხმებულვართო.

— ჩვენ ხალხს არ სჩვევია შარის მოდება, ყიზილბაშო! პირიქით, ყველა ჩვენ გვდებდა შარს წინათაც და ახლაც! — უთხრა კოლამ მრავალმნიშვნელოვნად და თანმხლებთ უბრძანა მიხო მეტეხელისათვის ჩოხა ჩაეცმიათ.

„ირანის ლომი" ფარდულში შევიდა ტანსაცმლის გასახდელად და მოედანზე შეკრებილი ზღვა ხალხის ჟინიანი მზერა შეჰყვა თან: უკან რომ გამოვიდა, საჭიდაო ჩოხაში გამოწყობილი, ხალხს ერთბაშად მოსწყდა გულიდან გაოცების გამომხატველი გმინვა.

ახლა უფრო ნამდვილი გოლიათის იერი მიელო „ირანის ლომს". ვეება ტანზე მჭიდროდ მორგებული ბრეზენტის ჩოხა გასკდომაზე ადგა, მზეზე დამწვარი ლაპლაპა მკერდი, რუმბივით ფაშვი და დევის შიშველი მკლავები მზის სხივებზე ბრინჯაოსფრად უბზინავდა და ერთგვარი უიმედობის განწყობილება შეჰქონდა ხალხში.

ამას ისიც აძლიერებდა, რომ „ირანის ლომს" ჩალმა არ მოუხდია თავიდან, ცბიერმა ყიზილბაშმა კარგად იცოდა იმისი ფასიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იცოდა, რომ ის ჩალმა, რომელიც თილისმასავით ადგა თავზე, უფრო მეტ ძლევამოსილებას ანიჭებდა მის გოლიათურ აღნაგობას და მოწინააღმდეგეს დამბლასა სცემდა.

იგი დევის ნაბიჯით მიუახლოვდა საჭიდაო არენას. ხალხი გაარღვია, წრეში გავიდა და ცალ მხარეს ჯებირივით აღიმართა. ერთი სული ჰქონდა მალე ენახა ვინ იქნებოდა მისი მოწინააღმდეგე.

— რამხელაა ეს მუდრეგი!... — ხმამაღლა წამოიძახა ვიღაცამ.

— კაცი კი არა, თივის ზვინია!...

— უყურეთ ერთი, კანი როგორ ულაპლაპებს, ნამდვილად ქონი აქვს წასმული. — ისმოდა აქეთ-იქიდან წამოძახილები.

„ირანის ლომმა" არ იცოდა ქართული და არც ამ წამოძახილებს აქცევდა ყურადღებას. მშვიდად ტკეპნიდა ადგილს და მალმალე იმ მიმართულებით გააპარებდა მოჭუტულ თვალს, საიდანაც მისი მეტოქე უნდა გამოჩენილიყო.

და აი ისიც!

მჭიდროდ ჩაწყობილი მაყურებლის კედელი აირღვა და წრეში ქურციკივით გადმოხტა მაღალ-მაღალი, ხმელ-ხმელი აგებულების მოხდენილი სახის ვაჟკაცი. მან კოხტა ნაბიჯებით ნახევარი წრე გადაკვეთა. მეტოქის მოპირდაპირე მხარეს გაჩერდა და ცნობისმოყვარე მზერა ცხელი შამფურივით გაუყარა ყიზილბაშს თვალებში.

„ირანის ლომმა" ირიბად გახედა მეტოქეს თავიდან კოჭებამდე დაკვირვებით შეათვალიერა და მოგრძო თვალებში ოდნავ დამცინავი ღიმილი აუკიაფდა.

ეს არ გამოჰპარვია მიხო მეტეხელს და ბუნებით ამაყი ბიჭი სახეზე წამოენთო.

მიხოს გამოჩენას ხალხის ერთგვარი ხმაური და უსიამოვნო აყალმაყალი მოჰყვა. ყველა დარწმუნებული იყო, რომ ასლან-ბასანის მეტოქე ნესტორ ესებუა ან კულა გლდანელი იქნებოდა. მიხო კი თვალით არავის ენახა და არც რაიმე გაეგონათ მასზე.

საჭირო გახდა წრეში კოლა ორბელიანი გადასულიყო და პატარა განმარტება გაეკეთებინა.

— ხალხნო და ჯამაათნო, — მიმართა კოლამ მაყურებელს, — კულა გლდანელი შეუძლოდ გამხდარა და ვერ ჩამოვიდა საჭიდაოდ. ნესტორ ესებუას ალბათ ჩვენი ხმა ვერ მისწვდა ოდიშში, ამ დილით ველოდებოდით და არც ის გამოჩნდა. არჩევანი ამ ახალგაზრდაზე შევაჩერეთ. ვიმედოვნებთ, რომ სირცხვილს არ აჭმევს ჩვენს პატარა საქართველოს. მხოლოდ თქვენი მხარდაჭერაა საჭირო მაშ ასე, — ხმას აუწია კოლამ, — ჭიდაობს „ირანის ლომი "— ასლან-ბასანი და მიხო მეტეხელი. შენ დაუკარ!

ამ სიტყვებზე კოლამ სწრაფად [illegible] ედანი და აკაკის. იაკობისა და ანტონის გვერდით სკამზე მოთავსდა.

ზურნამ საჭიდაო დასცხო და მიხ... [illegible] ძარღვებში ერთბაშად იფეთქა სისხლმა. დაინახა, „მგუდავი კობრა" ნელ-ნელა როგორ აფუთფუთდა ადგილზე. შემდეგ კი „მსხვერპლისაკენ" ბაჯბაჯით წამოვიდა.

არც მიხომ დააყოვნა. სწრაფად მოსწყდა ადგილს და მოწინააღმდეგეს ხელის ჩამოსართმევად ზედ შუა წრეში შეეგება.

— ილოცე გურჯო! — წარმოსთქვა სპარსმა თავის ენაზე და დათვის ბანჯგვლიანი ტორი მძიმედ გაუწოდა მიხოს.

მიხომ ხელი დაურტყა და... „ირანის ლომმა" მარწუხივით მოუჭირა, აღარ გაუშვა. თან სახეზე დააცქერდა. როგორ იმოქმედებდა მასზე ირანული მუხტი. მაგრამ მიხოს წარბი არ შეუხრია. მიხვდა. ღონეს უსინჯავდა „ირანელი ლომი".

არც თვითონ დარჩა ვალში. ახლა თვითონ მოუჭირა რკინის მარწუხი და, რომ არ მოელოდა, ყიზილბაში უნებურად შეტოკდა ადგილზე.

არ მოეწონა ჩალმიან გოლიათს ეს ამბავი. სცადა ხელიდან გამოეგლიჯა თავისი ბანჯგვლიანი ტორი. მაგრამ მიხომ აღარ დაანება. პირდაპირ გადავიდა იერიშზე: მოსასინჯად ჯერ მარცხენა ფეხში გამოჰკრა სარმა და მარცხენა მხარეს ააყირავა ურიმიერით, მერე მარჯვენა ფეხი მოუსინჯა და ახლა მარჯვენა მხარეს გადაზნიქა. ვერ გადაიტანა. ბოლოს ელვისებური სისწრაფით ბარძაყებშუა გაუძვრინა მარჯვენა სარმა, რკინის ქუსლი მუხლის სახსარში მთელი ძალით გამოჰკრა და თან უკან მიანვა . მიანვა და მოხდა ის, რასაც არავინ არ მოელოდა, არც ხალხი, არც თვითონ „ირანის ლომი". ნელნელა უკან-უკან გადაყირავდა და მორღვეულ კედელივით მიწაზე ზღართანი მოადინა.

ელვისებურმა ტაშის ქუხილმა ლამის ზეცა ჩამოილო დაბლა. გაცოფებული ლომი უმალ ზეზე წამოიჭრა და ადლიანი ბეჭებით თან აიტანა რაც დაბლა ნახერხი ეყარა.

მოედანი ზანზარებდა. მაყურებელთა ხმაური და ჟრიამული იქაურობას აყრუებდა.

— არის, არის! — ისმოდა ყოველი მხრიდან წამოძახილები. ამ წამოძახილებს ხალხის გუგუნ-ზუზუნი უერთდებოდა და დიდუბიდან ნაძალადევისა და ვერის უბნებს სწვდებოდა.

არც საპატიო სტუმრები დარჩენილან მშვიდად. აკაკი წერეთელი ზეზე წამომდგარიყო და შუბლნათელი ღიმილით მისჩერებოდა ზღვასავით აბობოქრებულ ხალხს. ანტონ ფურცელაძე სიხარულით ერთ ადგილას ვერ ისვენებდა, მიხო მეტეხელის ვაჟკაცობით მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხიბლული მალ-მალე რაღაცას გადაულაპარაკებდა ხან აკაკის, ხან იაკობს, რომელიც ოლიმპიური სიმშვიდით უყურებდა, რაც ახლა მის თვალწინ ხდებოდა.

„მგუდავი კობრა“ მაინც არ ცხრებოდა. ორბელიანს და მსაჯებს პირში ვარდებოდა, ხელახლა მოითხოვდა დაჭიდებას და წარამარა გაიძახოდა:

— აი ქოფაიოლლი, აი ქოფაიოლლი, ალდათი მანი, ალდათი მანი... — უყურებთ როგორ მომატყუა?

კამათი კარგა ხანს გაგრძელდა. ყიზილბაში ვირზე შეჯდა და აღარც გადმოსულა. მუსლიმანურმა სიჯიუტემ თავისი გაიტანა. მსაჯები იძულებული გახდნენ ჭიდაობა ხელახლა დაენიშნათ.

ხალხი სასტიკი უკმაყოფილო შეხვდა ამ ამბავს. მაგრამ კოლა ორბელიანმა ყურადღება აღარ მიაქცია და გაბრაზებულმა მეზურნეებს ხელით ანიშნა დაუკარითო. თვითონ კი, როგორც წელან. სწრაფად დატოვა მოედანი და თავის ადგილზე მოკალათდა.

ხელახლა დაიჭყვიტინა ზურნამ, დოლმა საჭიდაო დასცხო და... „მგუდავი კობრა“ ხელახლა აფუთფუთდა ადგილზე. აფუთფუთდა, მაგრამ ისე კი არა, როგორც წელან. ახლა უფრო მეტი დაძაბულობა ეტყობოდა. ზედმიწევნით ფრთხილი, ზომიერი ნაბიჯებით გამოემართა მიხოსაკენ. ხელები განზე გაეფარჩხა. თითქოს მსხვერპლს დასაჭერად ეპარებაო. მაგრამ აშკარად ეტყობოდა — წირწამხდარი იყო.

ისიც ეტყობოდა „მგუდავ კობრას“ ბრძოლის ტაქტიკა შეეცვალა. უნდოდა თავის მძლავრ. ლონიერ მკლავებში მოექცია მოწინაალმდეგე, რომ მოეგუდა და მოეხრჩო მაგრამ მიხო მიუხვდა და შორს დაიჭირა საქმე.

ფრთხილად ჩამოუქროლა წინიდან, საყელოში სწვდა, რომ კისრულით წამოელო, მაგრამ ხელი აუსხლტა ჩოხაზე, თავი ველარ შეიკავა და ნახერხში ქოჩრით წაერია.

სწრაფად წამოხტა ზეზე, სახიდან ნახერხი ჩამოიწმინდა და ხელახლა ჩამოუქროლა ქორივით. მაგრამ „კობრამ“ მოასწრო საყელოში ხელის ჩავლება. მაგნიტივით მიიტაცა ახლოს, მიიტაცა და ისე ჩაკეტ-ჩარაზა თავისი მძლავრი მარწუხებით, რომ მიხო მახეში გაბმული ჩიტივით აფართხალდა.

და სწორედ იმ დროს, როცა ერთი შეხედვით თითქოსდა გადაწყვეტილი იყო ირანის ლომის გარდუვალი გამარჯვება, მიხო ხვლიკივით გაუსხლტა ხელიდან, მოულოდნელად ქვემოდან შეუვარდა, მოგვერდი მისცა და ამხელა გოლიათი ყირაზე გადმოატარა, მაგრამ ირანელს ბეჭები მიწისათვის არ დაურტყამს.

გაცეცხლებული „კობრა“ ხელახლა წამოვარდა ზეზე, პირიდან დორბლი ჩამოსდიოდა, თან იფურთხებოდა. ეტყობა დაცემისას ნახერხი აელოკა.

მიხომ სულის მოთქმა არ აცალა. ჯერ კიდევ გონზე რომ არ იყო მოსული, „ირანის ლომს“ საყელოში სტაცა ხელი და ტომარასავით ზურგზე მოიკიდა. მოიკიდა და...

— ახლა ხარკამეჩებიც რომ გამოუბან, მაინც გადმოვიტანო — წამოიძახა ხმამაღლა. ტეირთიანად საპატიო სტუმრებისაკენ შებრუნდა. მოიქნია და მიწაზე რუმბივით დასცა. დასცა და ერთხანს აღარც განძრეულა „ირანის ლომი“.

ასეთი მარცხი არასოდეს ეგემა ყიზილბაშს, პირველად სიზმარში ეგონა თავი. ფეხზე რომ მოეგო და წელათრეული ზეზე წამოდგა, „ირანის ლომს“ ლომობისა აღარაფერი შერჩენოდა. მხრები ჩამოვარდნოდა, წელი ნაბდენოდა, უაზროდ თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა და დარცხვენილს თავი საით წაეღო აღარ იცოდა.

— რა მხრები ჩამოგიყრია, ალავ, — მიმართა მიხომ თანაგრძნობით. — იქნებ ის უფრო გენყინა. შემოსავალი რომ დაკარგე. შენი იყოს ის ფული. გროშებზე არასოდეს მიჭიდავია და არც ვიჭიდავებ.

ზანზარებდა მოედანი. ზღვასავით ირწეოდა მჭიდროდ ჩაწყობილი ხალხი. აკაკისთან და ანტონთან ერთად ახლა იაკობიც წამომდგარიყო ზეზე და გაცისკროვნებული სახით მიესალმებოდა „ირანელი ლომის“ დამარცხებას. ხალხის წამოძახილებს კი დასასრული არ უჩანდა.

— არც ახლა არის?

— შენ გენაცვალე ვაჟკაცობაში, მეტეხელო!

— დედაშენმა უნდა თქვას, შვილი გავზარდეო!

ერთმა დარბაისელმა ბერიკაცმა ალტაცებისაგან თავი ველარ შეიკავა, წრე გაარღვია და მიხოსაკენ გაექანა, რომ გადახვეოდა. მაგრამ ამ დარბაისელს ხმელმა სიმონამ მოასწრო. მიხოსთან პირველი მიიჭრა, მამაშვილურად გულში ჩაიკრა. გადაკოცნა და მისი ვაჟკაცობით აღფრთოვანებულმა მაყურებელს ხმამაღლა მიმართა:

— ხალხნო და ჯამაათნო. ეს ფალავანი მე აღმოვაჩინე და მალარიჩიც მე უნდა ვიკისრო, ვისაც სურვილი გაქვთ. ორთაჭალის ბაღში წამოდით!

ხალხი კვლავ ბობოქრობდა, ღელავდა, იქაურობას სტვენითა და ჟრიამულით აზანზარებდა.

თალლარამ ეტლს გამოუძახა და პირდაპირ ფარდულის კართან მიაყენებინა მეეტლეს.

ყიზილბაში ჩუმად ჩაჯდა ეტლში, გვერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დით თაღლარა მოისვა და დარცხვენილმა „ირანის ლომმა", რომელსაც სიჩქარის გამო თილისმიანი ჩალმა უკულმა მოერგო ნესვივით წაგრძელებულ მუსლიმანურ თავის ქალაზე, კუდამოძუებულმა დატოვა დიდუბის საჭიდაო მოედანი.

* * *

ხმელ-სიმონამ სწორედ ის ზანზალაკ-ჟღარუნა ეტლები დაიქირავა, რომლებითაც ამას წინათ ორთაჭალისაკენ საქეიფოდ მიმავალმა ყარაჩოხელების უსტაბაშმა კურკა გოგიამ გოლოვინის პროსპექტით ქარვასლის წინ ჩაიქროლა მეგარმონე შამილასთან ერთად.

წინა ეტლში თვითონ გამოიჭიმა მიხოსთან, ნიკოსთან და კოლა ორბელიანთან ერთად, მეორეში — ჭიდაობის სხვა მოთავეები, მესამეში კი სახელგანთქმული მოჭიდავეები საშო ვერელი, პატარა ჯიბგირი და სხვები.

ხმელ-სიმონამ ეტლები ქარვასლის წინ გააჩერებინა და ერთი წუთით ყველანი თავის დუქანში მიიწვია.

— შვილო მიხო, — მიმართა მან მეტეხელს, — დღეს შენ სირცხვილისაგან იხსენი ჩვენი პატარა საქართველო, ამ გამარჯვების ნიშნად რომელი ჩოხა-ახალუხიც მოგწონს ჩამოხსენი და ჩაიცვი, ფეშქაშად მომირთმევია!

ამ მოულოდნელმა საჩუქარმა ყველანი აღტაცებაში მოიყვანა. გაოცებულმა მიხომ უკან დაიწია.

— ძია სიმონ, მე ამას ვერ ვიზამ!

— ჩამოხსენი-მეთქი, რომელიც მოგწონს. ხომ იცი, სიტყვის კაცი ვარ, არ მოგეშვები!

— ძია სიმონ, ვერ გავაკეთებ, რა ვქნა, მომკალი და ვერ გავაკეთებ. დიდი მადლობელი ვარ!

— ჩამოხსენი-მეთქი შენი ხელით! — ახლა უფრო მტკიცედ, თითქმის ბრძანების ტონით უთხრა ხმელსიმონამ და თან ორბელიანს გადახედა.

— მე ამოვურჩევ! — წარმოსთქვა კოლამ და იმ ჟოლოსფერ ჩოხას დაადგა თვალი, ამას წინათ მიხომ რომ ინატრა: ეს ჩოხა რომ მომცა და მეტეხში გამატარა, ჩემზე ბედნიერი კაცი არ იქნებაო.

— ნამდვილად ეს მოუხდება, — თქვა კოლამ და ვიტრინიდან ჩამოხსნა — აბა გაიხადე ეგ სამოსი! — მიმართა მიხოს.

გაოგნებულმა მიხომ წელან თუ ერთი ნაბიჯით უკან დაიხია. ახლა ხუთი ნაბიჯი გადადგა განზე, მაგრამ ბიჭები აქეთ-იქიდან შემოეხვივნენ, თითქმის ძალის-ძალით გახადეს საწყალი კაცის ტანსაცმელი და ასევე ძალის-ძალით ჩააცვეს ჩოხა-ახალუხი. რომელმაც სულ სხვა ეშხი და იერი მისცა და, რომ იტყვიან, პირდაპირ დახატა [illegible] წელში გამოყვანილი, მოხდენილი ვაჟკაცი.

— ახლა ერთი კარგი ქამარ-ხანჯალიღა აკლია! — წამოიძახა ვილაცამ.

— ესეც იქნება! — ამაყად თქვა კოლამ და თავისი ვერცხლის ქამარ-ხანჯალი შეიხსნა.

— ალალი იყოს! — უთხრა მიხოს და თავის ხელით შემოარტყა წელზე.

— ახლა კი ნუღარ დავაგვიანებთ, ბიჭებო! — დაიძახა სიმონამ.

— წავედით! — დასტური დაურტყა ორბელიანმა.

სიმონამ დუქანი დაკეტა და ეტლებში ჩასხდნენ. ეტლებმა ზანზალაკებისა და ზარების ჟღარუნით გადასჭრეს ქარვასლის მოედანი შადრევანს ნახევარი წრე დაარტყეს და შაითან ბაზრისაკენ მიმავალი ვიწრო ქუჩით ორთაჭალისაკენ დაეშვნენ.

* * *

ხმელსიმონამ ორთაჭალის ბაღში გაშალა სუფრა. სტუმრები გახურებული ქეიფის ეშხში იყვნენ შესული და დღევანდელი ჭიდაობით აღფრთოვანებულნი, მაღალფარდოვან სიტყვებს წარმოთქვამდნენ ირანელი ფალავნის დამარცხებისა და მიხო მეტეხელის გამარჯვების გამო სწორედ იმ წუთებში, როცა აუზის ქუჩის სარდაფში, მთავარი სახელოსნოების მუშებს, შაქრო ჯაჯანაშვილის თავკაცობით, მეგობრის პატივსაცემად პატარა პურმარილი მოეწყოთ და ,გულისფანცქალით ელოდებოდნენ როდის გამოჩნდებოდა იგი. თან საქმე გაეჩინათ და გულმოდგინედ ამაგრებდნენ უკვე გამზადებულ დროშებს ხის ტარებზე.

ჯაჯანაშვილი აღფრთოვანებით ჰყვებოდა იმ ვაჟკაცობაზე, რომელიც გამოიჩინა მიხომ; მთავარი სახელოსნოების დღემდე უცნობი ეს ტლუ მუშა-ბიჭი ერთბაშად მოექცა თბილისელების ყურადღების ცენტრში.

მუშებს ერთი სული ჰქონდათ მალე მოსულიყო მიხო და მიელოცათ მისთვის ეს დიდი გამარჯვება.

მაგრამ თორმეტი საათი გახდა და მიხო არსად ჩანდა.

მუშებმა მოამთავრეს ტარებზე დროშების მიმაგრება. შაქრო ჯაჯანაშვილმა საწოლების ქვეშ, კედლის მხარეს გადააწყობინა გამზადებული დროშები და უთხრა, რომ ამ დროშებს დღეს თუ ხვალ წაიღებდნენ მთავარი სახელოსნოების სხვადასხვა საამქროების მოწინავე მუშები და მომავალ კვირას ამ დროშებით გავიდოდნენ მლაშე ტბების მახლობლად საპირველმაისო მიტინგზე. თან ყველა გააფრთხილა, რომ წაღების დროს მეტი სიფრთხილე გამოეჩინათ და პოლიციის აგენტებს ხელში არ ჩავარდნოდნენ.

შაქროს ჯერ უკანასკნელი სიტყვა არ და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ემთავრებინა, რომ სარდაფის ჩამოსასვლელში მიხო მეტეხელის ხმა გაისმა.

— მოვდივარ, ძმებო, გლეიძავთ?

ამ სიტყვების გაგონებაზე მუშები ერთბაშად წამოიშალნენ და დღევანდელი დღის გმირს კიბის საფეხურებთან შეეგებნენ.

უცებ ყველა სახტად დარჩა. მათ წინ ახალ ჩოხა-ახალუხში კოხტად გამოწყობილი მიხო იდგა, ღიმილით მისჩერებოდა ამხანაგებს.

— ვინ მოგცა, ბიჭო, ეს ქამარ-ხანჯალი და ჩოხა-ახალუხი? — გაკვირვება ვერ დამალა შაქრომ. მიხო თავით-ფეხამდე შეათვალიერა.

— ჯოლდოა, ძია შაქრო, ჯილდო! — მხიარულად შესძახა მიხომ.

— ვინ დაგაჯილდოვა, ბიჭო?! — თითქმის ერთხმად წამოიძახეს მუშებმა, თან გარშემო შემოეხვივნენ.

— ჩოხა ხმელსიმონამ მაჩუქა, ეს ქამარ-ხანჯალი კი კოლა ორბელიანმა.

— უყურეთ ერთი, როგორ უხდება ამ ღმერთძაღლს! კი მაგრამ თუ ასეთი ღონის პატრონი იყავი, ერთხელ მაინც რატომ არა ცქვი? — უთხრა თედო ბალამწარაშვილმა.

— ხომ არ ვიყვირებდი, კაცო!

— კი არ უნდა გეყვირა, მაგრამ...

— ეხ, ძმებო, — გულიდან ალმოხდა მიხოს,—ნეტავ იმდენი შემეძლოს, რომ ხმელსიმონას სათანადოდ შევაკერინო თქვენთვის ასეთი ჩოხები. ახლა ნამდვილად მითხარით. მართლა მიხდება?

— გიხდება კი არა, დაგხატა ბიჭო. მე მგონი, ყაფლან ორბელიანს შენ უფრო გავხარ, ვიდრე ის შენი კოლა! — უთხრა ჯაჯანაშვილმა.

— შაქრო მართალს ამბობს, — წამოიძახა ბალამწარაშვილმა, — რომ გიყურებთ, არა გვჯერა თუ შენა ხარ.

— ეგ არაფერია, — სიტყვა ნაართვა ამხანაგებს ვანო იაშვილმა, — მეტეხში რომ ნავა. თქვენ მაშინ ნახეთ, ი ჩვენებური გოგო სულ გადაირევა.

— რაო. ვინ გოგო, კაცო? — ახლა ვანოს მიაჩერდნენ მუშები.

მიხომ ირიბად შეხედა ვანოს. ვანოს გაეცინა.

— მომილოცავს მიხო, მომილოცავს ეს დიდი გამარჯვება! — უთხრა ბოლოს იაშვილმა და ძმასავით გადაეხვია თავის თანასოფლელს.

სხვებმაც მიბაძეს ვანოს, სიყვარულით დაკოცნეს ამხანაგი, რომელიც თავის ვაჟკაცობის გამო ერთი ათად ამაღლებულიყო მათ თვალში. სუფრაზე მიიწვიეს.

— ჩემი პატივისცემისათვის გამართეთ ეს პურმარილი? — იკითხა მიხომ.

— შენი, აბა იმ ყიზილბაშის?

— არც ისაა ურიგო ვაჟკაცი, რა ვუყოთ თუ დამარცხდა, — ჩრდილი არ მიაყენა მიხომ მოწინააღმდეგეს.

შაქრო ჯაჯანაშვილმა პირველად მიხოს სადღეგრძელო შესვა, მეორედ იმ მუშებისა, რომლებიც მომავალ კვირას მლაშე ტბის რაიონში მოწყობილ მაისობაში მონაწილეობას მიიღებდნენ და ამით დაამტკიცებდნენ თავიანთ მზადყოფნას მომავალი ბრძოლებისათვის.

— ასეთი დღესასწაული შარშან პირველად ჩატარდა ღრმაღელეში, — თქვა შაქრომ, — იმ დღესასწაულს ჩვენგან მხოლოდ მე და თედო ვესწრებოდით.

— ჰოი, ძმებო, რა სიტყვა თქვა მაშინ ლადო კეცხოველმა! ძარღვებში სისხლმა სულ თახთახი დაიწყო. „კავკასიის მუშებო, შეერთდით! გაუმარჯოს თავისუფლებას, ძირს მეფის დამპალი ტახტიო“.

— ნამდვილად ასე იყო! — კვერი დაურტყა შაქროს თედო ბალამწარაშვილმა.

— ახლანდელი მაისობა, მომავალ კვირას რომ გაიმართება, — განაგრძო შაქრომ, — უფრო გაბედული იქნება; მეტი ხალხი მიიღებს მონაწილეობას. მუშები დღესასწაულზე მოვლენ მარქსისა და ენგელსის სურათებით. ხოლო მომავალი წლის მაისობას თბილისის ქუჩებში ჩავატარებთ, ასეთია თბილისის სოციალ-დემოკრატიული ჯგუფის გადაწყვეტილება.

— კარგია, ძალიან კარგია! — აყვირდნენ აქეთ-იქიდან მუშები.

— შენ რატომ ხარ გაჩუმებული ურწმუნო თომავ, რატომ ხმას არ ამოიღებ! — მიუბრუნდა შაქრო ივანე გზირიშვილს, რომელიც ჩვეულებრივ ჩუმად იჯდა და საუბარში არ ერეოდა.

— რა უნდა ვთქვა... — არ შეუხედავს, ისე უპასუხა ივანემ.

— არ გიხარიან ეს ამბავი?

— როგორ არ მიხარია, — სახე გახსნა გზირიშვილმა, — მაგრამ გამოვა რამე, რომ არ ვიცით?

— რას ჰქვია „არ ვიცით“! თავისუფლება უნდა მოვიპოვოთ!

— საიდან იცი, რომ ის თავისუფლება უკეთესი იქნება?

— ვიცი, — მტკიცედ წარმოსთქვა შაქრომ.

— მე კი, სანამ საკუთარი თვალით არ ვნახავ, ვერ დავიჯერებ!

— შენ არც ისა გჯერა, რომ გზირიშვილი ხარ და ივანე გქვიან!

— რა ვქნა. ასეთი გავუჩენივარ ღმერთს...

— უნდა გამოიჩიჩქნო ეგ ყურები. უკვე დროა! ქვეყანა ზანზარებს და შენ კი ჩაკეტილხარ საკუთარ ნაჭუჭში და არ გინდა გაი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გო, რომ უნდა დაინგრეს ძველი და აშენდეს ახალი.

— თუ ძმა ხართ, მითხარით. გამაგებინეთ ჩემისთანა და თქვენისთანა ლატაკმა. ბეჩავმა და სანყალმა ხალხმა რა უნდა მოიმოქმედოს ისეთი, რომ მთელ ქვეყანას შვება მოუტანოს?

— სწორედ ჩვენისთანა ლატაკმა ხალხმა უნდა შექმნას უკეთესი მომავალი... ბიჭო, ჩვენზე უკეთ ვინ იცის ამ ცხოვრების უკუღმართობის მუღამი.

— ღმერთმა ხელი მოგიმართოთ, მაგრამ მე არა მჯერა. ჩვენისთანებისათვის არც არასოდეს გათენებულა და არც გათენდება.

— ნამდვილად ურწმუნო თომა ხარ! — პრაზიანად მიაძახა შაქრო ჯაჯანაშვილმა.

— ურწმუნო თომას ჰქონდა საფუძველი ურწმუნო ყოფილიყო. ქრისტემ რომ უჩვენა სასწაული, თომამ ინამა და სიკვდილამდე დარჩა იმ რწმენის ერთგული. როცა თქვენც მაჩვენებთ იმ ახალი ცხოვრების სიკეთეს, ურწმუნო თომასავით მეც თქვენი ერთგული გავხდები; ჯერ ბავშვი არ დაბადებულიყო და აბრამს არქმევდნენო, თქვენი საქმე ისეა!

ჯაჯანაშვილი აღარ გამოეკიდა თომას, რადგან დაღლილები იყვნენ და თანაც დილაზე ადრიანად უნდა ამდგარიყვნენ. ბიჭებს უთხრა დავიძინოთო და პირველი გაიშოტა ტახტზე მას სხვებმაც მიბაძეს.

* * *

მეტეხის ტაძრის გალავანში სოფლის ახალგაზრდობას გახურებული ცეკვა-თამაში გაეჩაღებინა, დოლ-გარმონის შეწყობილი ხმა მთელ სოფელს სწვდებოდა და ხალხიც ბლომად მისწყდომოდა ლხინს.

ვიღაც ახალგაზრდა ქოჩორა ბიჭს საცეკვაოდ ნინო გაეწვია და ხელების ვაჟკაცური მოძრაობით მოხდენილად მიჰყვებოდა გვერდით. ქალი კი ტანის ნარნარი რხევით ისეთნაირად უვლიდა წრეს გარშემო, თითქოს მიწაზე ფეხს არ აკარებსო.

გალავნის კედლის ძირას დათა ბიჭებს შუა ჩამდგარიყო, ნერვიულად ექაჩებოდა თამბაქოს და გულაძგერებული გაჰყურებდა ნინოს, რომელმაც ის-ის იყო დაამთავრა შემოვლა, შუა წრეში ნამით შეჩერდა, თავი ნახევრად გვერდით შეაბრუნა, ხელები ლამაზად გაშალა და დოლგარმონის დაწეულ ხმაზე რაღაც საოცარი მომხიბვლელობით დაიწყო ადგილზე ბრუნი.

და როცა დოლ-გარმონმა ისევ აუწია ხმას, ნინო კვლავ მოსწყდა ადგილს. ფარშევანგის ფრთებივით შეარხია მკლავები და გედივით დაიწყო წრეში სრიალი.

დათა სუნთქვა შეკრული მიჰყუდებოდა გალავნის ბებერ კედელს და გულაძგერებული მისჩერებოდა ქალის მოხდენილ ცეკვას.

უცბად მჭიდროდ შეკრული რკ[illegible] და მოულოდნელად ვიღაც ლამაზ ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი ვაჟკაცი წრეში გადმოეშვა. ქოჩორა ბიჭს წინ ჩაუხტა და აგოგმანებულ ქალს ნავარდით მიჰყვა უკან.

ხალხმა ჯერ ვერ იცნო უცხო ჭაბუკი, რომელსაც მეტისმეტად შვენოდა ქოლოსფერი ჩოხა და წელზე შემორტყმული ვერცხლით მოსევადებული ქამარ-ხანჯალი. მერე რომ მიხვდნენ ვინც იყო, ერთბაშად იქუხა ტაშმა და ქარიშხალივით ამოვარდნილმა ჟრიამულმა მთელი სოფელი შესძრა.

გაფიცხდა დოლი. გადაირია გარმონი. ახალგაზრდებმა უფრო ვამეტებით შემოჰკრეს ტაში მიხოს დანახვით ზეაფრენილმა ნინომ უფრო თამამად შეარხია ფარშევანგის ფრთები და ახლა უფრო გაბედულად მოხაზა ფართო წრე.

მიხოც მარჯვედ მიჰყვა უკან. ქალს თითქმის ზედ აეტმასნა, ნახევრად თავის მკლავებქვეშ მოიქცია. ხალხის შეუმჩნევლად ნამით ტუჩები ყურთან მიუტანა და ჩუმად ნასჩურჩულა:

— ლხინის შემდეგ, წყაროს უკან რომ დიდი კაკლის ხეა, იქ გამოდი, ნინო. გელოდები...

— მოვალ... მეც დიდი საქმე მაქვს შენთან...

ეს რომ უთხრა ქალმა, მიხო ისევ გასწორდა წელში, ნინოს წინ გაუსწრო. შევარდენივით შემოუქროლა წრეს და კვლავ შუა ადგილას შეევება.

ქალი შეჩერდა და ადგილზე დაიწყო ტრიალი. მიხოც მოხდენილად აჰყვა მას. შემდეგ ორივემ ერთად, ერთხელ კიდევ შეკრეს კამარა, უკანასკნელი ბრუნი გააკეთეს და გაჩერდნენ.

ხალხმა ჟრიამულითა და ტაშის ქუხილით გააცილა ნინო შუაგული წრიდან. მაგრამ ეს ალტაცება მარტო ნინოს არ ეკუთვნოდა. ირანელ ფალავანთან გამარჯვების ამბავი ელვის სისწრაფით გავარდნილიყო მეტეხში და ერთი სული ჰქონდათ, როდის იხილავდნენ მიხოს სოფელში.

და აი ახლა, ლამაზ ჩოხაში გამოწყობილი მიხოს მოულოდნელმა გამოჩენამ, ნინოსა და მისმა მომხიბვლელმა ცეკვა-თამაშმა სულ გადარია მეტეხელები. ერთხელ კიდევ დარწმუნდა ყველა, რომ ისინი ერთმანეთისათვის იყვნენ დაბადებულნი და უფლება არავის ჰქონდა ილი შეეშალათ მათი სიყვარულისათვის.

მაგრამ ასე არ ფიქრობდა დათა. ქალი ახლოს არ ეკარებოდა მას, სათოფეზე გაურბოდა, იცოდა მისი გული ვისაც ეკუთვნოდა, კიდევაც აგრძნობინა რამდენჯერმე. თუ გინდა მაშინ, როცა მიხო საჭიდაოდ გაიწვია და საჯაროდ მისი სახელის ლაფში ამოსვრას ლა-

ეროვნული

მობდა, რამდენი საყვედური და ზიზლი გამოკრთოდა ქალის თვალებიდან. და მაინც არაფრად აგდებდა ამ ამბავს. დათა, ცდილობდა რამენაირად მისი გული მოეგო და როგორმე ხელში ჩაეგდო. სულ ერთი იყო, რა გზითაც არ უნდა მომხდარიყო ეს.

მიხოს დანახვა კი საერთოდ აღარ უნდოდა დათას. დანახვა კი არა, მის ხსენებაზე გული ეკუმშებოდა, სახეზე ფერფური მისდიოდა და ცუდ ხასიათზე აყენებდა.

ახლაც მიხოს მოულოდნელი გამოჩენა ლხინში ტყვიასავით მოხვდა გულზე. რაღაც უსიამო გრძნობამ თავიდან დაჰკრა და ფეხის თითებამდე დაუარა.

იმ ამბავმა უფრო გააგიჟა და გაახელა, როცა დაინახა, როგორი ჟრიამულითა და აღტაცებით ეგებებოდა ხალხი მას. როგორი სიყვარულით ულოცავდნენ ირანელ ფალავანზე გამარჯვებას.

ველარ გაუძლო მათ ყურებას. კედელს მოსცილდა, ჯიბრით მიხოს წინ გაუარა, ისე, რომ ხედ არ შეუხედავს მისთვის, გალავნიდან გავიდა და სოფლის ორღობეში გაუჩინარდა.

* * *

დამთავრდა ლხინი.

ხალხი წავიდ-წამოვიდა.

სოფელს სიწყნარე დაეუფლა.

მიხო ბებერი კაკლის ხის ქვეშ, ეშვივით ამოშვერილ დაკოჟრილ ფესვზე ჩამომჯდარიყო და გულაძგერებული ელოდებოდა, როდის გამოჩნდებოდა ნინო.

მშვენიერი წყნარი ღამე იდგა. პირსავსე მთვარე შუა ცაზე ამაღლებულიყო და იქიდან დაჰკაშკაშებდა დედამიწას.

ვერცხლისფერ ნათელში ჩაძირულიყო სოფელიც და მისი შემოგარენიც. ახლა უფრო ლამაზად მოჩანდა ცაში ატყორცნილი ღვთის შობლის ვეება ტაძარი და ტაძრის ჩრდილოეთით გადაშლილი ხეობა. ატეხილ ჭალებში მტკვარი მდორედ მიიკლაკნებოდა და მეტეხის მინდვრების დასასრულს გორაკებისა და ბორცვების ხვეულებში უჩინარდებოდა.

მტკვრის იქით, რკინიგზის გადაღმა, აშურიანის მთაგრეხილები განოლილიყვნენ.

მიხო ღელავდა, ვერ ისვენებდა. ირანელ მეტოქესთან შერკინების დროსაც კი არ უგრძვნია ისეთი მომეტებული გულისძგერა, როგორც ახლა, ნინოს მოლოდინში. ამ სუსტ ქალს რამხელა ძალა ჰქონიაო, ამბობდა გუნებაში და თვითონვე უკვირდა თავის თავისა.

ზეზე წამოდგა, ორღობეს გახედა. არსაიდან ადამიანის ბაიბური არ ისმოდა, მარტო წყაროს ლიკლიკი არღვევდა ჩამოწოლილი ღამის იდუმალებას. შიგადაშიგ ძაღლების ყეფა და ზოგჯერ მეზობლების გადაძახილიც აიხმიანებდა.

მიხო ისევ დაკოჟრილ ფესვზე ჩამოჯდა. უნებურად გაახსენდა ბავშვობა, [illegible] ფე-სვის ქვეშ ძვრებოდნენ ხოლმე სოფლის მოზარდები, ყივანახველა რომ არ შეხვედროდათ. ვინ იცის რამდენჯერ გამძვრალა თვითონაც.

წამით წარსულის მოგონებებმა გაიტაცეს, მაგრამ ნინოზე ფიქრმა საშუალება არ მისცა სრულად გაეხსენებინა თავისი ბავშვობა.

უნებურად მთვარეს ახედა. ბლუჯა-ბლუჯა სხივები უხვად ილვრებოდა ხეთა ტოტებში.

უცბად ლაპარაკის ხმა შემოესმა. ზეზე წამოდგა და მთვარით გაქათქათებულ ორღობეს გახედა. ორღობის ბოლოში მართლაც დალანდა ნინო. მარტო რომ ვერ წამოსულიყო, მეზობელი გოგო მელანო წამოეყვანა თან.

მიხოს გული შეუთრთოლდა და რამდენიმე ნაბიჯით მოსცილდა კაკლის ხეს. ახლა უფრო გარკვევით გაარჩია ისინი. ორივეს კოკები ეჭირათ ხელში. როგორც კი წყაროსთან მოვიდნენ, კოკები დაბლა დადგეს და კაკლის მხარეს დაიწყეს ცქერა.

უცბად თვალი მოჰკრეს მიხოს. ნინო უჩვეულო სიხარულის ჟრუანტელმა აიტაცა. მელანოსაკენ შებრუნდა: მალე მოვალ, უჩემოდ არ წახვიდეო, უთხრა და გულაძგერებული გაემართა მიხოსაკენ.

როგორც კი დაუახლოვდნენ ერთმანეთს, წამით უნებურად შედგნენ. თვალი თვალში გაუყარეს, მერე სიყვარულით ხელი შემოხვიეს და რამდენიმე წუთს აღარც განძრეულან. ბურანიდან რომ გამოფხიზლდნენ, მიხომ მკლავებში მომწყვდეულ ქალს მოფერებით თმაზე ხელი გადაუსვა და ჰკითხა:

— როგორა ხარ, ნინო...

— მე კარგად ვარ, მიხო. შენ როგორა ხარ?

— მეც კარგად ვარ!

— გავიგე ირანელ ფალავანს დასჭიდებიხარ და დაგიმარცხებია. ცას ვეწიე სიხარულით, ეს ლამაზი ჩოხა-ახალუხი და ვერცხლის ქამარხანჯალი როდისღა იყიდე?

— არ მიყიდია, ნინო, მაჩუქეს!

— ასეთი ძვირფასი საჩუქარი ვინ გამოიმეტა შენთვის, მიხო. ვინ იყო ის ღვთისნიერი ადამიანი? — ნინომ ხელით მოსინჯა ქამარხანჯალი.

— არიან ასეთი კეთილი ადამიანებიც, ნინო. უფრო სწორად, ჯილდოდ მომცეს ყიზილბაშის დამარცხებისათვის და ჩვენი პატარა ქვეყანა რომ ვასახელე, იმისათვის.

— როგორ გიხდება, მიხო. მე კი მეგონა, შენ შეიძინე. გამიკვირდა, ამდენი ფული საიდან იშოვა-მეთქი.

— რატომ გაგიკვირდა, ნინო, ღარიბი ოჯახის შვილი რომ ვარ? მოიცა, ჩემთვისაც გათენდება... ცოტა ხანს დამაცადე ნინო, სულ ცოტა ხანს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დამიცდია, ბიჭო და ეგ 'არის! შენ ხომ იცი, არავისზე არ გაგცვლი, ვინც არ უნდა იყოს.

— მჯერა, ნინო, მჯერა... — მიხომ ხელახლა გადაუსვა თმაზე ხელი, — ახლა მე თბილისში სახლის აშენებას ვაპირებ. მასალა თითქმის მზად მაქვს: ქვა. კოჭები, ნივნივები, კარ-ფანჯრები.. მაკლია ცოტაოდენი წვრილმანი. იმასაც მოვიმარაგებ. შემოდგომით შევყრი ჩვენს ბიჭებს, და ერთ ღამეში სახლიც მზად იქნება... მერე ჩაგკიდებ ხელს, წაგიყვან თბილისში და... ო.. რა ბედნიერი ვიქნებით. ნინო, მაშინ...

— ეხ, ჩემო მიხო. — ამ სიტყვებზე ღრმად ამოიოხრა ნინომ, — კარგი საქმე წამოგიწყვია, მაგრამ... — აღარ დაამთავრა სათქმელი.

— რა მაგრამ? — თვალებში ჩახედა მიხომ.

— არ ეკითხები ჩემს მშობლებს?

— არ ვეკითხები! ვიცი, შენს თავს, ორი ხელით რომ არ დამითმობენ და ამიტომაც არ დავეკითხები. მე სხვა გზას გამოვძებნი ნინო, სხვა გზას... — ამოიოხრა მიხომაც.

— რომელ გზას? — თვალებში ჩააცქერდა ქალი.

— თუ შენი ნებაც იქნება, მოგიტაცებ და წაგიყვან თბილისში. ერთი რამ იცოდე. ნინო, ამის გარდა სხვა არავითარი გზა არ არსებობს ჩვენთვის. თანახმა ხარ?

— თანახმა ვარ. დღესაც რომ წამიყვანდე. უარს არ ვიტყოდი, მიხო. — ქალმა თავი დახარა დაბლა.

— დათა ხომ არ გავიწროვებს. გოგო. ის ისეთი უსინდისოა. არც ამას მოერიდება.

— მოსვენებას არ აძლევს მშობლებს. კაცს კაცზე გვიგზავნის და ჩემს თავსა სთხოვს.

— მერე რას ეუბნებიან ისინი?

— თანახმანი არიან!

— რა თქმა უნდა, იქნებიან თანახმანი. დათას მამას ათ დღიურზე მეტი მამული აქვს. მამაჩემს კი ფეხის დასადგმელიც არ აბადია, იმათ ცხვარი ჰყავთ და საქონელი. მამას კი ყევარი ხარის გარდა. არაფერი გააჩნია. დღეს კაცს კაცობით კი არ აფასებენ, სიმდიდრით სჯიან. ვისაც მეტი მამული აქვს. კაციც ის არის და ოჯახის შვილიც. უმინანყლო კაცი არც სიძედ უნდათ, არც მეგობრად. არც მოკეთედ. ეს ამბავი კარგად ვიცი, ჩემო ნინო და არც არასოდეს მქონია იმედი შენი მშობლებისა. ალბათ ძალას გატანენ, წაჰყევიო. არა?

— მერე და როგორ... — განაგრძო ნინომ გაბზარული ხმით, — ხვალ რომ დავეთანხმო ხვალვე დამნიშნავდნენ. მამას ჩემი ბედნიერება უნდა, მაგრამ ის არ ესმის, რომ მე დათას წავყვე, ჩემზე უბედური არავინ იქნება ამ ქვეყანაზე. დიახ. ეს არ ესმით ჩემს მშობლებს და ყოველნაირად ცდილობენ დამითანხმონ.

მიხო საგონებელში ჩააგდო ამ ამბავმა.

— მაშ როგორ მოვიქცეთ ახლა?

— როგორ მოვიქცეთ და. შემოდგომამდე უნდა მოვახერხოთ ის. რაც ახლა შენა თქვი. მანამდე როგორმე გავუძლებ მშობლების საყვედურს, — თქვა ნინომ.

— ძალით რომ შიგათხოვონ. გოგო, მერე მე რას მეუბნები? — უეცარი შიში ჩაუდგა მიხოს თვალებში.

— ძალით ვერ გამათხოვებენ, თავს მოვიკლამ და ვერ გამათხოვებენ! — მტკიცედ წარმოსთქვა ნინომ.

— შენზე ძაან მე მეჩქარება ჩვენი შეუღლება, ნინო, მაგრამ თუ კი შემოდგომამდე ჩვენს საქმეს არაფერი დაუშავდება, მანამდე სახლსაც მოვამთავრებ და მერე ველარაფერი შეგვიშლის ხელს. ოხ. ღმერთო ჩემო, ნეტავ როდის იქნება ეს დღე!

მიხომ ჯიბიდან თამბაქო ამოიღო და შეახვია.

— ისე, კაცმა რომ თქვას. დიდი ვერაგი ყოფილა დათა. ყველაფერს ვიფიქრებდი, მაგრამ თუ ასე ნაძლევობდა, იმას კი არა!

— ვერაგი რომ არ იყოს, ასეთ უსინდისობას არ იკადრებდა. იცის. რომ შეზიზღება და მაინც არ მეშვება. არც შენ გინდებს ხათრს. ამას წინათ მეწვრილმანე დანიელა მოვიდა სოფელში. მე და მელანო ხელის საპონს და თმის სამაგრებს ვყიდულობდით. თითქოს მიწიდან ამოძვრაო, იქ გაჩნდა. ორი ფლაკონი სუნამო გამოართვა დანიელას და ჩვენ გამოგვიწოდა: აიღეთ. გოგოებო. საჩუქრად მომირთმევიაო. მელანომ ხელი აუკრა ნაჩუქარზე და ერთი სუნამო გააგდებინა. ბოთლი ქვას დაეცა და დაიმსხვრა.

— ეგ მეორე სუნამო, შენ რომ ქალს დანიშნავ. იმას შეუნახეო! — მიაძახა მელანომ. მკლავში ხელი მომკიდა და სწრაფად მოვცილდით იქაურობას.

— მერე დათამ რა თქვა?

— რა უნდა ეთქვა, სახტად დარჩა, ხმა არ ამოუღია. მაგრამ იმისთანა თვალები გამოგვაყოლა, რომ გავიხსენებ. ახლაც მეშინიან.

— ყოჩაღ. მელანო, კარგად მოქცეულა, — თქვა მიხომ და განაგრძო — მაინც ერიდე. ნუ ეჩვენები ხშირ-ხშირად. ახლა ვნანობ, რატომ გავუფრთხილდი მის სახელს რომ მცოდნოდა ასეთი სულმოკლე იქნებოდა, ლორის ბუშტივით მოვთელავდი და მთელი ხალხის მასხარად გავხდიდი. მაგრამ რომ ვერ გავიმეტე!

— ასე სჯობდა. ეგ რომ გაგეკეთებინა. შარს აგიტეხავდა და ხიფათში ჩაგაგდებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ამიტეხავდა და, იქაც ვაჩვენებდი ძალას!

ამ სიტყვებზე მიხომ წელზე ხელი შემოხვია, გულში ჩაიკრა და უთხრა:

— ეს ქვეყანა მუდამ ასე არ იქნება ნინო, ჩემისთანა ხალხისთვისაც გათენდება ალბათ. დღეს მთელი ქვეყნის მუშები აღსდგნენ და ბობოქრობენ, ბრძოლა გამოუცხადეს თვითმპყრობელობას. ეჭვი არ მეპარება, მალე დაიმსხვრება და ბოლო მოეღება ყოველგვარ უსამართლობას, ძალმომრეობას.

— შენ პირს შაქარი, მიხო, შენ პირს შაქარი! — მერცხალივით შესჭიკჭიკა ქალმა — მე პირველი მივესალმები მაგ ამბავს. გიყვარდეს ადამიანი და არ გაგაყოლონ, გეზიზღებოდეს და იმას მიგათხოვონ, ამაზე დიდი უბედურება განა შეიძლება იყოს კიდევ ამ ქვეყნად?

— რა თქმა უნდა, არ შეიძლება. ჩვენ გვიყვარს ერთმანეთი და არავის უფლება არა აქვს ხელი შეგვიშალონ. დე, იცოდეს ყველამ, და თა იქნება თუ სხვა. შენს თავს არავის არ დავუთმობ, ჩემო ნინო, თვით სიკვდილიც რომ დამიდგეს წინ.

ამ სიტყვებზე მიხომ ერთხელ კიდევ ჩაიკრა გულში და სახე მის ხვეულ თმებში ჩარგო.

ერთხანს ასე იდგნენ. მერე ნინომ თავი გაითავისუფლა მისი მკლავებისაგან, აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედა და უთხრა:

— შენთან ყოფნა არასოდეს მომწყინდება მიხო, მაგრამ მეშინიან არავინ წამოგვადგეს. წავალ ახლა, მერე კიდევ შევხვდებით ერთმანეთს.

— წადი, ნინო, წადი. ჯერ ისედაც ლაპარაკობს ხალხი და ვინმემ რომ დაგვინახოს მთელს სოფელს მოსდებს.

— კარგად იყავი, მიხო!

— კარგად იყავი, ნინო!

კაკლის ხეს ზურგით მიყრდნობილ მიხოს კარგა ხანს ესმოდა ორღობეში მიმავალი ნინოსა და მელანოს მხიარული სიცილ-ჟღურტული. როცა ეს ხმა მიწყდა, თვითონაც მოსცილდა იქაურობას და ნინოს შეხვედრით ზეაფრენილმა ხალისიანათ გასწია შინისაკენ.

* * *

ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი სახელოსნოების მოწინავე მუშები კარგა ხანია ემზადებოდნენ საპირველმაისო ზეიმის შესახვედრად.

და აი, ეს დღე დადგა.

მლაშე ტბების გვერდით გაწოლილ ორ პატარა გორაკს შუა ადრიანად მოეყარათ თავი თბილისის სოციალ-დემოკრატიული ჯგუფის წევრებს. აქ იყვნენ ლადო კეცხოველი, სოსო ჯუღაშვილი, ალექსანდრე ჯაფარიძე, ვანო სტურუა, გიორგი ლელაშვილი, ნიკოლოზ ვიბორგინი, ზაქარია ჩოდრიშვილი, მიხო ბოჭორიძე, ალილუევი, ბაჟანოვი, გუცა პარკაძე...

ჯუღაშვილი ცენტრში იდგა, კმაყოფილი სახით გაჰყურებდა მინდორზე გამოშლილ მუშათა პატარ-პატარა კოლონებს, რომლებსაც სულ სხვადასხვა გზებით და ბილიკებით გადმოელახათ ლოტკინის ამწვანებული გორაკები, გაშლილ მინდორზე უერთდებოდნენ ერთმანეთს და დაწყობილი სვლით მოაფრიალებდნენ აუზის ქუჩის სარდაფში დამზადებულ ნიკო გოცირიძის მიერ დახატულ დროშებსა და კოხტა ასოებით დაწერილ რევოლუციურ ლოზუნგებს, მოწოდებებს.

კეცხოველს სახე გაცისკროვნებოდა. თვალმოუშორებლად გაჰყურებდა მათკენ ამაყად მომავალ მუშებს.

მას კარგად ახსოვდა წინა წელს, ღრმაღელეში მოწყობილი ასეთი საპირველმაისო დღესასწაული, რომელიც თავისი მასშტაბურობით ბევრად ჩამორჩებოდა დღევანდელს. მაშინ არც დროშები გამოუტანიათ, არც ლოზუნგები დღეს კი თვალებს არ უჯერებდა კეცხოველი მარქსისა და ენგელსის სურათებს რომ უყურებდა.

ალტაცება ველარ შეიკავა და ჯუღაშვილს მიმართა:

— ხედავ სოსო რა ხდება?!

ჯუღაშვილს ძუნწად ჩაეღიმა ულვაშებში, თავის სემინარიის მეგობარს გუცა პარკაძეს მიუბრუნდა და უთხრა:

— ზეიმის დამთავრების შემდეგ ყველა არალეგარული ჯგუფის ხელმძღვანელებს და ორგანიზატორებს თბილისის სოციალ-დემოკრატიული ჯგუფის სახელით მადლობა გამოუცხადე ასეთი ორგანიზებულობისათვის.

პარკაძემ თავი დაუქნია.

მუშათა კოლონები თანდათან უფრო მოზღვავდნენ. ორგორაკშუა მომწყვდეული ფართო მოედანი ხალხმა დაფარა, ესენი ძირითადად მთავარი სახელოსნოების მუშები იყვნენ. მაგრამ თბილისის თითქმის ყველა საწარმოსა და ფაბრიკა-ქარხნების მუშა-მოსამსახურეებიც ღებულობდნენ მონაწილეობას. აქ მოსულიყვნენ აგრეთვე ინტელიგენციის წარმომადგენლებიც.

ხალხის ასეთი მოზღვავება არ იყო შემთხვევითი ამბავი. თბილისის სოციალ-დემოკრატიული ჯგუფის წევრები გაცხოველებულ რევოლუციურ პროპაგანდას ეწეოდნენ და სადაც კი ხელი მიუწვდებოდათ, ქმნიდნენ მარქსისტულ წრეებს.

მარტო სოსო ჯუღაშვილს მთავარ სახელოსნოებში მუშათა ხუთი წრე ჰყავდა, რომელშიაც ასობით მოწინავე მუშა შედიოდა. იმ მუშებს კი, ცალ-ცალკე, თავიანთი დამოუკი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებელი წრეები ჰქონდათ ჩამოყალიბებული.

ასეთივე წრეები ჰქონდა სოსო ჯუღაშვილს მოზარჯიანცის და ენფინჯიანცის თამბაქოს ფაბრიკებში, კარაპეტიანცის ხიდთა სამშენებლო მასალის ქარხანაში, ადელხანოვის ფეხსაცმლის ფაბრიკაში, მირზოევის საფეიქრო ფაბრიკაში, ტოლეს ზეთის ქარხანაში, სტამბებში...

სწორედ ეს ხალხი მოზღვავებულიყო დღეს აქ.

ხალხის დენა რომ შეწყდა, ჯუღაშვილი პატარა ბორცვზე შედგა და მუშებს მიმართა:

— ამხანაგებო, დღეს ჩვენ აქ შევიკრიბეწით, რათა აღვნიშნოთ გაზაფხულის ეს ლამაზი დღესასწაული. დღევანდელი დღე, პირველი მაისი, მთელი საერთაშორისო პროლეტარიატის დღესასწაულია, პირველ მაისს მუშათა კლასი, და მასთან მთელი მშრომელი ხალხი, ცხადყოფს თავის დარაზმულობას და მზადყოფნას მომავალი ბრძოლებისათვის, რომელიც ჩვენ მოგველის. მართალია, ამ დღესასწაულს ქალაქგარეთ ვატარებთ ფარულად, მაგრამ მომავალში იგი უნდა გადავიტანოთ ქალაქში. წითელი დროშა უნდა ავაფრიალოთ ქუჩებში და მოედნებზე, რათა თვითმპყრობელობამ კარგად იგრძნოს ჩვენი ძალა...

ტაშის ქუხილმა შეაწყვეტინა ჯუღაშვილს ლაპარაკი. ერთ წამს გაჩუმდა, თვალი მოავლო აბობოქრებულ ტალღას, ხმაური რომ ჩაწყნარდა, ისევ განაგრძო.

— ქუჩის დემონსტრაცია საინტერესოა იმით, რომ ერთბაშად ითრევს მოძრაობაში მასებს, ერთბაშად აცნობს მათ ჩვენს მოთხოვნილებებს; ქმნის იმ ნაყოფიერ ნიადაგს, რომელზედაც თამამად შეგვიძლია ვთესოთ თესლი სოციალისტური იდეებისა და პოლიტიკური თავისუფლებისა. დემონსტრაციის დროს საკმარისია კაცი გამოვიდეს ქუჩაში, რომ დაინახოს მამაცი მებრძოლნი, გაიგოს რისთვის იბრძვიან; გაიგონოს თავისუფალი სიტყვა, რომლითაც ყველას იწვევს საბრძოლველად: მოისმინოს საბრძოლო სიმღერა, რომელიც ააშკარავებს ჩვენს საზოგადოებრივ წყლულებს...

ჯუღაშვილი ერთ წამს გაჩუმდა, მარცხენა ხელი მაღლა აღმართა და თავისი გამოსვლა ამ სიტყვებით დაამთავრა:

— მაშ ასე, ამხანაგებო, დღევანდელი ჩვენი შეკრებით ერთხელ კიდევ ვცხადყავით, რომ ჩვენ მზად ვართ მომავალი ბრძოლებისათვის. გაუმარჯოს ამ სამართლიან ბრძოლას!

ჯუღაშვილის უკანასკნელი სიტყვები ტაშის ქუხილმა დაფარა. გაისმა აქეთ-იქიდან წამოძახილები.

— ძირს მეფე!

— ძირს თვითმპყრობელობა!

— გაუმარჯოს ჩვენს სამართლიან ბრძოლას უკეთესი მომავლისათვის!

წამოძახილებს ხალხის გნიასი შეუერთდა და მლაშე ტბების მიდამოებს მოეფინა.

ჯუღაშვილის შემდეგ ზაქარია ჩოდრიშვილმა აიღო სიტყვა. გამოცდილმა პროპაგანდისტმა მკაცრად გაილაშქრა ოპორტუნისტთა წინააღმდეგ, რომელიც გაფიცვების ნაცვლად ლეგალური წრეებისა და საკვირაო სკოლებისაკენ მოუწოდებდა მუშებს. ზაქარიამ ამხილა აგრეთვე ამ ჯგუფის გავლენის ქვეშ მოქცეული მუშები და შეკრებილთ მოუწოდა რევოლუციურ მიმართულებისათვის დაეჭირა მხარი, არ აჰყოლოდნენ ოპორტუნისტთა მცდარ შეხედულებებს.

მიტინგმა კარგა ხანს გასტანა. მეფის თვითმპყრობელობის სიძულვილით გამსჭვალული მუშები ყოველი ორატორის გამოსვლას ტაშის გრიალით და შეძახილებით მიესალმებოდნენ.

დამთავრდა ზეიმი. ხალხი დაიშალა. აუზის ქუჩის სარდაფის მუშები ისევ თავიანთ თავშესაფარს დაუბრუნდნენ. მხოლოდ შაქრო ჯაჯანაშვილი არ იყო მათთან. გუცა პარკაძემ რომ იხმო თავისთან, მერე აღარც გამოჩენილა.

მიხო ძალზე გახარებული იყო. ირანელი ფალავნის დამარცხებას ისე არ აუთრთოლებია მისი გული, როგორც ამ საპირველმაისო ზეიმში მონაწილეობას. უხაროდა კიდევ იმიტომაც, რომ აღარ იყო ის მიხო, ირემაშვილების ბნელ, ნესტიან ჯურღმულში რომ ცხოვრობდა, საკუთარ ნაჭუჭში ჩაკეტილი; რომ ახლა სხვა კაცი იყო, სხვა ადამიანი, სხვანაირად სჭვრეტდა მომავალს და იმ მომავლისათვის ბრძოლაში, მრავალ მუშასთან ერთად, თვითონაც მონაწილეობდა.

ერთ ადგილზე ვერ ისვენებდა მიხო. ხან ვანო იაშვილს გამოელაპარაკებოდა, ხან თედო ბალამწარაშვილს, ხან ვის და ხან ვის.

ბოლოს ველარ მოითმინა და ურწმუნო თომას მიუბრუნდა. ის იყო რალაც უნდა ეკითხა მისთვის, რომ სარდაფში ჯაჯანაშვილი ჩამოვიდა.

— აი, შაქროც მოვიდა! — წამოიძახა მიხომ.

მუშები კიბესთან შეეგებნენ ჯაჯანაშვილს.

— რაო, ძია შაქრო, რატომ დაგტოვეს თავისთან სოციალ-დემოკრატიული ჯგუფის ხელმძღვანელებმა? ახალი გითხრეს რამე? — შემოსვლა არ აცალა მიხომ.

შაქროს გაეცინა.

— ბიჭო მიხო, როდის აქეთ დადექი ბრძოლის ხასიათზე? — ღიმილით უთხრა მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მას აქეთ. ძია შაქრო, პირობა რომ მოგეცით!

— ყოჩაღ, მიხო. ისე მაგრად ჩაგებღუჯა ნელან დროშა, მეგონა. ტყვია რომ ესროლონ ვერ გააგდებინებენ-მეთქი.

— ასეც არის. ძია შაქრო, რახან ხელში ავიღე, ტყვია კი არა. ზარბაზანითაც ველარ დამაგდებინებენ! — ამაყად თქვა მიხომ.

— მჯერა შენი ვაჟკაცობისა.. .ახლა ის გაინტერესებთ. რა მითხრეს ცენტრის ხელმძღვანელებმა? — შაქრო გაჩუმდა და თვალის ერთი მოვლებით გადახედა ყველას. — ნამოდით, გეტყვით!

ტახტზე ჩამოსხდნენ.

— რა მითხრეს და, — დაინყო შაქრომ, — თბილისის სოციალ-დემოკრატიული ჯგუფი მოუწოდებს ამიერკავკასიის მთავარი სახელოსნოების ყველა მუშას, ყველა რკინიგზელს სერიოზულად შეუდგნენ ახალი დიდი პოლიტიკური გაფიცვის ყოველმხრივ მომზადებას როგორც ადრე გითხარით, საამისოდ უკვე შექმნილია საგაფიცვო კომიტეტი. რომელმაც გაარალა მუშებს შორის პოლიტიკური აგიტაცია საგაფიცვო კომიტეტმა, მუშათა სახსრების შეგროვების გზით. შექმნა საგაფიცვო ფონდი და შეიმუშავა ახალი მოთხოვნები ადმინისტრაციისადმი წარსადგენად. ისე როგორც არასოდეს. ჩვენ ახლა უფრო მტკიცედ უნდა დავირაზმოთ საბრძოლველად. ვისაც კი ვიცნობთ და სიტყვა გვეთქმის, უნდა ავუხსნათ, ველაპარაკოთ, შევაგნებინოთ, რომ განზე დგომა არ შეიძლება. რომ ყველამ უნდა მიიღოს მონაწილეობა მომავალ. გრანდიოზულ გაფიცვაში. გასაგებია?

— გასაგებია, ძია შაქრო!

* * *

სწრაფად გაიფრინა მაისმა. დადგა ივლისი. ზაფხულის სიცხემ ჭიაკოკონა დაანთო თბილისის ტაფობში. ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი სახელოსნოების მუშების ყოფა უფრო აუტანელი გახდა. მტვერსა და ჭუჭყში, ბუღში და თვრამეტსაათიან, არაადამიანურ შრომაში ქანცგანყვეტილებს უფრო და უფრო ევსებოდათ გული ბოღმით, უფრო და უფრო იმსჭვალებოდნენ არსებული წყობილების წინააღმდეგ შურისძიების გრძნობით. მზად იყვნენ პატარა ნიშანზე ერთ მუშტად შეკრულიყვნენ, ერთ ძალად ქცეულიყვნენ და ყელში სწვდომოდნენ იმათ, ვინც ამ უსამართლო ქვეყანას მართავდა.

მიხოს სამუშაო დაემთავრებინა. მჭვარტლში და მაზუთში ამოთხვრილს ტანსაცმელი გამოეცვალა, სახე და ხელებიც საპნით კარგად დაებანა და შაქრო ჯაჯანაშვილის დავალებით ახლა გუცა პარკაძესთან მიდიოდა ბინაზე. რომელიც ვერის უბანში ცხოვრობდა.

მიხო არ იცნობდა პარკაძეს, ერთხელ ნახა შორიდან. მლაშე ტბებთან გამართულ საპირველმაისო ზეიმზე, ეს იყო და ეს. მაგრამ შაქრო ჯაჯანაშვილის მეშვეობით კარგად იცოდა ვინ იყვნენ გუცა პარკაძე, სოსო ჯუღაშვილი. ვანო სტურუა, ლადო კეცხოველი ალექსანდრე ჯაფარიძე, მიხო ბოჭორიძე, ზაქარია ჩოდრიშვილი და ყველა ისინი. რომლებიც შედიოდნენ თბილისის სოციალ-დემოკრატიულ ჯგუფში და მუშებს რაზმავდნენ არსებული წყობილების დასამხობად.

დიახ, მიხომ კარგად იცოდა მათი სახელები, მაგრამ პირადად არ იცნობდა. ახლა პირველად უნდა შეხვედროდა პარკაძეს და პროკლამაციები ნამოეღო მისგან მუშებში გასავრცელებლად.

დაღლილი იყო მიხო, მაგრამ არ იმჩნევდა. დღეს იმდენი რკინა ზიდა ვაგონიდან საამქროში, ლამის ნელი ჩასწყვიტა, ზედმეტი საათები აღარ უმუშავია. თუმცა მაინც აძალებდნენ უფროსები. მიანება იქაურობას თავი და რკინიგზის ხაზს სადგურის მიმართულებით გაჰყვა.

ბაქანზე კვლავინდებურად უამრავი ხალხი ზიმზიმებდა. ყოველ ნაბიჯზე შეხვდებოდით ჯღიური ლუკმის საშოვნელად გამოსულ, გაჭირვებულ ადამიანებს. ისინი დიდის მოთმენით ელოდებოდნენ ბაქოდან თუ ბათუმის მხრიდან დაგვიანებით მომავალ მატარებლებს რომ მგზავრებს ბარგის ნაღებაში მოხმარებოდნენ და ცოტაოდენი პურის ფული ეშოვნათ.

ისინი იმდენნი იყვნენ. კაცი ფეხს ვერ აუქცევდა. ერთმანეთს ეცილებოდნენ. ილაჯგან ყვეტილნი დაძრწოდნენ ბაქანზე და, როგორც კი მგზავრს დაინახავდნენ. პატარა ფუთაც რომ სჭეროდა ხელში, მაშინათვე მიეხვეოდნენ: — მუშა ხომ არ გინდათო.

მიხო სწორედ იმ დროს გავიდა სადგურზე. როცა ის-ის იყო ბაქანზე ფოთის მატარებელი შემოქოთქოდა. მატარებელი ჯერ არ გაჩერებულიყო. რომ დღიური ლუკმის საშოვნელად გამოსული მუშებიც აფუსფუსდნენ და ვაგონების გასწვრივ დაინყეს ნრიალი. კისერნაგრძელებულნი ფანჯრებზე გადმოყუდებულ მგზავრებს თვალებში შესციცინებდნენ, იქნებ ვინმემ ხელი დაგვიქნიოსო.

იმ მუშებს შორის მიხომ ფედიაც შენიშნა. ის ფედია, ამას ნინათ. ნიკო გოცირიძემ რომ გააცნო. ნახევრად ტანსაცმელჩამოხეულს და ჩამოფლეთილს პირში პაპიროსი გაერჭო და ხშირ-ხშირად აბოლებდა. თან მოკრძალებით შესცქეროდა ფანჯრებზე გადმოყუდებულ მგზავრებს. რომლებსაც ალბათ დამხვდურები ეგულებოდათ.

რბილი ვაგონის ერთ-ერთი კუპის ფანჯრიდან ვილაც ჩინოსანმა სამხედრომ ხელი დაუქნია ფედიას. მან პაპიროსის ნამწვი გადააგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დო, მინაზე ფეხით მოსრისა და სწრაფი ნაბიჯით ვაგონის შესასვლელისაკენ გაექანა.

მიხომ თვალი გააყოლა ფედიას და შენიშნა კოჭლობდა. უნებურად ფეხებზე დააცქერდა. ქუსლებმოცვეთილი, პენგადასული ფეხსაცმელი ეცვა. აშკარად ეტყობოდა სამადლოდ ვიღაცას მიეცა. პატარა მოსვლოდა, უჭერდა და ალბათ ამიტომაც უძნელდებოდა თავისუფლად ნაბიჯის გადადგმა.

მცირე ხნის შემდეგ ფედიამ ორი დიდი, მძიმე ჩემოდანი გადმოათრია ვაგონიდან. ჩემოდნები ერთიმეორის გვერდით მინაზე დადგა, ქამარი შემოიხსნა, გადააბა, ხურჯინივით მხარზე გადაიკიდა და კოჭლობით გაჰყვა პატრონს უკან.

მიხოს შეეცოდა ჩამოხეულ-ჩამოძონძილი ფედია. ერთხანს თვალი გაყოლა, უყურებდა სიმძიმისაგან დაზნექილი, როგორი გაჭირვებით ადგამდა მტკივან ფეხს. მერე, თვალი რომ მიეფარა, თვითონაც დასტოვა ბაქანი და სადგურის უკან მოედანზე გავიდა.

შეხუთულ, დაბინძურებულ მოედანზე ისევ ისე იყო ჩახერგილი ეტლები, როგორც ყოველთვის. ისევ ისე ირეოდა მილეთის ხალხი, ახლა უფრო მეტად იგრძნობოდა ფუნის აქოთებული სუნი. აქეთ-იქიდან გაისმოდა მეეტლეების „მობრძანდით ბატონოს“ ძახილი და მოედნის ჩასწვრივ ერთმანეთზე კადაბმული დუქნებისა და სახაშეების გაყოლებით თავზე თაბახდადგმული კინტოების გამყივანი ხმა:

— აბა კარგი ლულა ქაბაბი!

— ცხელი ლვეზელი!

— შემწვარი ცხვრის თავები...

მიხომ მოედანი გადასჭრა და ის იყო გვერდი უნდა აექცია „კონკის“ ხაზის მხარეს ერთმანეთში ჩახერგილი ეტლებისათვის, რომ უკანასკნელად ერთხელ კიდევ მოჰკრა თვალი ფედიას. ჩინოსანი სამხედრო ეტლში დაებინავებინა თავის ჩემოდნებიანად. ფული აელო და გაბრწყინებული, გაცისკროვნებული თვალებით ახლა ისევ უკან ბრუნდებოდა, რომ იქნებ კიდევ ვინმე ენახა.

მიხოს სამუდამოდ დაამახსოვრდა მისი დიდრონი, კელაპტრებივით ანთებული ცისფერი თვალები.

მტკვრის მხარეს დაჰყვა სადგურის ქუჩას, შემდეგ მარცხნივ დაუხვია და ბორანს მიადგა. გაღმა, მდინარე ვერეს მარჯვენა ნაპირზე, ერთმანეთში აჩხირულ ქოხმახების ფონზე შთამბეჭდავად მოჩანდა წითელი აგურით მკვიდრად ნაგები ბოზარჯიანცის თამბაქოს ფაბრიკა, სადაც, გარეგნობით ამ ლამაზი შენობის ჯურღმულებში, თამბაქოს მტვერსა და მჭვარტლში, არაადამიანური ექსპლოატაციის გამო ათასობით მუშა [illegible]

ქარხნის დაბლა, ვერეს პირზე ალმართული საკვამლე მილი მაღლა აჭრილიყო და მის გაშავებულ ტუჩიდან ბოლქვებად ამოსროლილი კვამლი სეტყვის ღრუბელივით იშლებოდა გამჭვირვალე ცის სიღრმეში.

მიხო ბორანზე შედგა. მებორნე კიდევ დაელოდა ხალხს. საკმარისად რომ შეგროვდნენ მგზავრები, ბაგირი ჩახსნა, რომლითაც მიბმული იყო ნაპირზე, ორთაყვირს მოუსვა და ხალხი იქით ნაპირზე გადაიყვანა.

უსწორმასწორო, წნელივით დაგრეხილ ბილიკს აჰყვა მიხო, ბოზარჯიანცის თამბაქოს ფაბრიკას გვერდით გაუარა, მარცხნივ შეეკიდა პატარა ალმართს და ვერის უბანში, ფასანაურის ქუჩას მიადგა. მოძებნა ჩვიდმეტი ნომერი სახლი და, როგორც მაქრომ უთხრა ეზოს კარის გვერდით საიდუმლოდ დატანებულ ელექტროზარის ღილაკს თითი დააჭირა.

ციხესავით შეკრული ერთსართულიანი ქვითკირის სახლიდან, რომელსაც საკუთარი ეზო ჰქონდა და ნარგავებით იყო დაბურული, ახალგაზრდა სემინარიელმა გამოიხედა. იგი საშუალოზე ცოტა უფრო მაღალი იყო; ეზოს კარი ფრთხილად გააღო და ახალგაზრდა კაცი რომ დაინახა, მორიდებით ჰკითხა:

— ვინ გნებავთ?

— თქვენთან ვარ, ბატონო მოსული!

— ჩემთან?! — გულზე ხელი დაიდო სემინარიელმა.

— დიახ, თქვენთან. მაქრო ჯაჯანაშვილმა გამომაგზავნა.

— აა! მობრძანდით! — სახე გახსნა გუცამ და მიხო თავით-ფეხამდე შეათვალიერა.

მიხო ეზოში შევიდა.

— მერე და, თქვენ საიდან იცით მე გუცა პარკაძე ვარ, თუ სხვა ვინმე?

— ვიცი. ამას წინათ მაქრომ შორიდან დამანახვა თქვენი თავი, მლაშე ტბებთან გამართულ საპირველმაისო ზეიმზე.

— მაშ, კეთილი იყოს ჩვენი გაცნობა! — კმაყოფილების ღიმილმა გადაურბინა გუცას სახეზე, — მეც მაქრო მელაპარაკა თქვენს შესახებ. ვიცი, რომ მიხო მეტეხელი ხართ, კარგი, სანდო ვაჟკაცი. მობრძანდით შინ!

გუცამ მკლავში ხელი გამოსდო მიხოს, თავის სამუშაო ოთახში შეიყვანა და მაგიდის გვერდით სკამი შესთავაზა.

მიხო დაჯდა. ოთახი მიათვალ-მოათვალიერა. ამდენი წიგნები არასოდეს ენახა მას. ნასწავლი კაცი ჩანსო, გაიფიქრა და თაროებზე დალაგებულ ლიტერატურას ცნობისმოყვარეობით დაუწყო თვალიერება.

გუცა ქვემოჭალელი იყო. მამა მისი ბენედიქტე სამთავისის ტაძრის მღვდელი იყო პირველდაწყებითი განათლება გუცას თბი-

ლისის სასულიერო სასწავლებელში მიელო შემდეგშიაც სასულიერო სემინარიაში გაეგრძელებინა სწავლა, მაგრამ რელიგიური არტახებისათვის მალე დაეღწია თავი და თავისუფლებას მოწყურებული, რევოლუციურ საქმიანობაში ჩაბმულიყო.

მალე იგი თბილისის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წევრად მიიღეს.

პარტიის დავალებით სააგიტაციო-პროპაგანდისტულ მუშაობას ეწეოდა თბილისის მუშათა უბნებში და კერძოდ ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარ სახელოსნოში.

პარკაძე ფრიად განათლებული კაცი იყო. მისი ბინა გადაქცეული იყო რევოლუციური მუშაობის კერად. ამ ბინაში არალეგალურად იკრიბებოდნენ სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ხელმძღვანელები და სწყვეტდნენ საჭირბოროტო საკითხებს.

გუცამ დაწვრილებით გამოკითხა მიხოს თავისი საამქროს მუშების მდგომარეობა; მათი სულისკვეთების შესახებ მიხოსაგან ბევრი რამ ახალი შეიტყო და ბოლოს ჰკითხა:

— ერთი ეს მითხარი, მეტეხში ოჯახი გაქვს?

— მაქვს!

— ცოლშვილიანი ხარ?

მიხომ უარის ნიშნად თავი გააქნია.

— დიდი ხანია მთავარ სახელოსნოებში მუშაობ?

— ნელინადნახევარი იქნება!

— მეტეხში ყველას იცნობ?

— აბა როგორ გითხრათ. ჩვენი სოფელი საკმაოდ დიდია და ყველა შეიძლება არ ვიცოდე.

— გიგო მალალაშვილს თუ იცნობ?

— გიგოს ვიცნობ! — თავი დაუქნია მიხომ.

— მასთან თუ გაქვთ რაიმე ურთიერთობა?

მიხომ უარის ნიშნად კვლავ თავი გააქნია.

— ბავშვობიდანვე გამოვექეცი სოფელს — უთხრა მიხომ, — ერთხანს მეტივეობას მივდევდი. ხეები ჩამომქონდა ბორჯომიდან თბილისში. მერე ზეგანის სამხერხაოებზეც ვიმუშავე ატენში. ბოლოს მთავარ სახელოსნოებში ამოვყავი თავი. ისე რომ გიგოსთან არაეითარი ურთიერთობა არა მაქვს.

—კარგი კაცია და სოფლად დიდ საქმესაც აკეთებს. მასთან კავშირი უნდა იქონიო. ეს ცერტო საჭირო კი არა, აუცილებელიცაა. საქმე მოითხოვს. შაბათს ხომ არ აპირებ წასვლას სოფელში.

— თუ არაფერმა შემიშალა ხელი. წავალ!

— წერილს გაგატან გიგოსთან, გადაეცი!

— სიამოვნებით!

— თუ რაიმე დაგაბაროს, შემატყობინე, ამიერიდან ჩემი სახლის კარი ყოველთვის ღია იქნება შენთვის. არ დაგავიწყდეს [illegible] შენი კუთხიდან ვარ და ას[illegible] და დაუფარავად იმიტომ გელაპარაკები.

— ვიცი, ქვემოჭალიდან ბრძანდებით. მაქრომ დაწვრილებით გამაცნო თქვენი თავი.

— ძალიან კარგი, მე ახლა პროკლამაციებს გაგატან და აბა თქვენ იცით, როგორ გაავრცელებთ მუშებში.

ამ სიტყვებზე გუცამ მაგიდის ქვედა უჯრიდან ცელმანში შეხვეული ქაღალდების დასტა გამოიღო, მერე წერილი დაწერა გიგოსთან გასატანებლად და პროკლამაციებთან ერთად მიხოს მისცა.

— ფრთხილად ნადი, გზაში არავინ გადაგეყაროს!

— ჯავრი ნუ გექნებათ. კარგად ბრძანდებოდეთ! — მიხომ ხელი გაუწოდა გუცას.

— გაგაცილებ!

გუცა ზეზე წამოდგა და მიხოს ეზოს კარამდე მიჰყვა.

* * *

ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი სახელოსნოების მუშათა მომავალი გაფიცვისათვის მზადება მეფის მთავრობას ყურადღებიდან არ გამორჩენია. ივლისში თბილისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველო თავის მოხსენებაში პოლიციის დეპარტამენტისადმი წერდა: „როგორც აგენტურისაგან მიღებული ცნობები მოწმობენ, ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარ სახელოსნოებში შემჩნეულია მნიშვნელოვანი მღელვარება და უახლოეს მომავალში განზრახულია გაფიცვა, რომლის მიზანია ხელფასის გადიდება, ანდა სამუშაო დღის შემცირება რვა საათამდე". რამდენიმე დღის შემდეგ კი იგივე სამმართველო პეტერბურგს ატყობინებდა: „ყველა გარემოებამ, სახარატო საამქროს მუშების საერთო მღელვარებასთან დაკავშირებით, დაგვარწმუნა, რომ აუცილებლად წარმოიშობა გაფიცვა. რომ ყოველგვარი გამაფრთხილებელი შინაური ზომები ახლა უკვე უშედეგოა. რომ გაფიცვის თავიდან აცილების ერთადერთი საშუალებაა სასწრაფო დაპატიმრება ყველა შენიშნული ნამქეზებლისა და თორმეტი კაცის რაოდენობით, რადგან ყოვლად შეუძლებელია ხვალინდელი დღის იმედი ვიქონიოთ".

მთავრობას ახსოვდა წინანდელი გაფიცვების ძალა და ამიტომ შეშფოთებული იყო მუშათა ამ ახალი მღელვარებით. ფეხზე დადგა პოლიცია, ჟანდარმერია და ხელისუფლების ყველა ადგილობრივი ორგანო. პოლიციამ თბილისის მთავარ სახელოსნოებსა და დეპოში სასწრაფოდ გაამრავლა აგენტები, აამოქმედა საიდუმლო მზვერავები. ყველა საშუალებას მიმართა წინ აღდგომოდა მუშათა ახალ გამოსვლას და ჩაეხშო იგი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ მიზნით ოცდათერთმეტ ივლისს, გაფიცვის წინა ღამეს. ჟანდარმებმა დააპატიმრეს მონინავე, მუშები — სამოცდარვა კაცი, მათ შორის იყვნენ ჩოდრიშვილი, ტატარინოვი, ბაჟანოვი, ვიგორბინი, ალილუევი... ბოლოს, პირველ აგვისტოს, დილით სახელოსნოებში გამოაკრეს შემდეგი განცხადება: „ივლისის განმავლობაში თბილისის სახელოსნოების მუშები ხშირად არღვევდნენ მუშაობის ძირითად წესებს, სახელდობრ:

ჯგუფ-ჯგუფად იკრიბებოდნენ სახელოსნოების შენობაში;

მიუხედავად იმისა. კანონით აკრძალულია ჯგუფურად მოქმედება, სახელოსნოების უფროსებს ჯგუფურად უდგენდნენ სხვადასხვა მოთხოვნებსა და სურვილებს (ხშირად სრულიად უსაფუძვლოსა და შეუსრულებელს).

ზოგიერთები უარს აცხადებდნენ უფროსების განკარგულებათა შესრულებაზე, სტოვებდნენ მინდობილ საქმეს, დადიოდნენ სახელოსნოებში. ლაპარაკობდნენ და აცდენდნენ სხვა მუშებსაც.

მოისურვეს მიეთვისებინათ სახელოსნოებში მომუშავე ამა თუ იმ პირის დათხოვნის უფლება, რომელიც მათ არა აქვთ და არც შეიძლება მიენიჭოთ.

სახელოსნოებში წესრიგის ასეთი დარღვევა ამიერიდან დაშვებული აღარ იქნება. ცხადდება, რომ ყველა მუშა. რომელიც შემჩნეული იქნება სხვების ამხედრებაში, ან პირადად ჩაიდენს უწესობას, სასტიკად დაისჯება. შეუმცირდება დღიური ხელფასი და სამუშაოდან დათხოვნილ იქნება.

ვურჩევთ სახელოსნოების მუშებს. და ამას თვით მათივე ინტერესები მოითხოვს. შეწყვიტონ წესრიგის დარღვევა".

ადმინისტრაციამ და პოლიციამ ასეთი მუქარით არამც თუ ვერ შესძლო გაფიცვის თავიდან აცილება, არამედ კიდევ უფრო ხელსაყრელი პირობები შეუქმნა მას. ამ განცხადების წაკითხვისთანავე მუშებმა გაიგეს ამხანაგების დაპატიმრებაც და პროტესტის ნიშნად შეწყვიტეს მუშაობა.

პირველ აგვისტოს დაიწყო რკინიგზის მთავარი სახელოსნოებისა და დეპოს მუშების დიდი გაფიცვა. იგი დაიწყო სახარატო საამქროდან და მოედო რკინიგზის მთავარი სახელოსნოების ყველა საამქროსა და თბილისის დეპოს. მუშებმა ერთბაშად შეწყვიტეს მუშაობა და თავიანთი მოთხოვნები წაუყენეს მთავრობას.

ჰრგვინავდა თბილისის რკინიგზის მთავარი სახელოსნოები. ბობოქრობდნენ დეპოს მუშები. სახელოსნოების ადმინისტრაციის შენობის წინ ხალხის ტევა არ იყო. გაფიცულები სკანაყარ ფუტკარივით შემოხვეოდნენ ყაზარმული წესით ნაგებ რუხ შენობას და ელოდებოდნენ, რა პასუხს მისცემ[illegible]ბა.

მიხო მეტეხელი და ნიკო გოცირიძე ხალხს შერეოდნენ. გუცა პარკაძის ბინიდან ამ დილას მოტანილი ცინცხალი პროკლამაციები ელვისებურად გაევრცელებინათ მუშებში. ახლა თვითონაც მუშებს შორის ჩამდგარიყვნენ და ერთი სული ჰქონდათ შეეტყოთ, წავიდოდა თუ არა ადმინისტრაცია დათმობაზე.

მიხო ერთ ადგილზე ვერ ისვენებდა. თვალები მუგუზალივით უბრწყინავდა და წამდაუწუმ ნიკოს ეკითხებოდა.

— ჰა, რას იტყვი, რა პასუხს გაგვცემენ, დააკმაყოფილებენ თუ არა ჩვენს მოთხოვნებს?

— მე მგონი დააკმაყოფილებენ! — ეტყოდა ნიკო და მიხოსთან ერთად თვალს არ აშორებდა რუხი შენობის იმ საპარადო შესასვლელს. საიდანაც თავგზა დაბნეული მთავრობის წარმომადგენლები უნდა გამოსულიყვნენ და პასუხი გაეცათ მუშებისათვის.

უცბად ხალხში ალიაქოთი ატყდა. შენობის რკინის ღია აივანზე, რომლის წინაც, ფართო მოედანზე, ზღვასავით ღელავდა გაფიცული ხალხი, რკინიგზის ფორმაში გამოწყობილი ადმინისტრაციის წარმომადგენლები და მთავრობის რამდენიმე მოხელე გამოვიდნენ მათ წინ მოუძღოდა მთავარი სახელოსნოების შეფი. უკან მოჰყვებოდნენ სამოქალაქო ტანსაცმელგადაცმული პოლიციელები.

როცა აბობოქრებული მუშები დაწყნარდნენ. შეფი ორი ნაბიჯით წინ წარსდგა და საკმაოდ მკვახე ხმით მიმართა მათ:

— რკინიგზის უფროსის განკარგულებით დეპოსა და მთავარი სახელოსნოების საამქროები, შეკეთების მიზნით, ორი დღით იხურება. ოთხ აგვისტოს ვინც არ გამოცხადდება სამუშაოზე, დაუყოვნებლივ დათხოვნილი იქნება...

ვერაგულად მოფიქრებული ეს განცხადება მუშებისათვის გაუგებარი არ დარჩენილა. ერთბაშად იქუხეს გაფიცულებმა და შეფს ლაპარაკი შეაწყვეტინეს.

მეფის მოხელე ადგილზე შეწრიალდა, მაგრამ არ დაიბნა. ხელი მაღლა აღმართა და აბობოქრებულ მუშებს ანიშნა: სათქმელი ბოლომდე მათქმევინეთო.

ხალხი ძალაუნებურად დაშოშმინდა.

— მაშ ასე. — განაგრძო შეფმა და ხმაში უფრო მეტი სიმკაცრე გამოურია — მთავარ სახელოსნოებში და დეპოში მუშაობა განახლდება პარასკევს, ოთხ აგვისტოს, 5 საათსა და 30 წუთზე. ჩვეულებრივ საყვირის ხმაზე. ყველა ხელოსანი და მუშა, რომლებიც ამ დღეს სამუშაოზე არ გამოვლენ, როგორც გითხარით, დაუყოვნებლივ დათხოვნილი იქნებიან. ანგარიში და პასპორტები მათ

მიეცემათ ექვს აგვისტოს, ახალი ლაზარეთის შენობაში, დილის რვა საათიდან თორმეტ საათამდე. ამით ვაფრთხილებთ მუშებსა და ხელოსნებს, რომ წესრიგის ყოველგვარი დარღვევა დაუყოვნებლივ აღიკვეთოს, ხოლო წამქეზებლები და უწესობათა წამომწყებნი დაპატიმრებულ და გადასახლებულ იქნებიან.

ამ განცხადებას მუშების ღრიანცელი მოჰყვა. გაისმა სტვენა და ყვირილი. ვიღაც ახალგაზრდა მუშამ, მხრებით გაარღვია მჭიდროდ ჩაწყობილი ხალხი, წინ გაიჭრა, დაკუმშული მუშტი მაღლა აღმართა და ხმამაღლა, თითქმის ყვირილით, მიმართა აივანზე გადმომდგარ მთავრობის მოხელეებს:

— დაჭერითა და გადასახლებით გვემუქრებით, არა? ეს ჩვენ არ გვაშინებს. უკეთესია გვკითხოთ, რა გვინდა ჩვენ, და ჩვენ გიპასუხებთ:

— აუცილებლად მოისპოს ცემა!

გადიდდეს ხელფასი, ვისაც სამოცი კაპიკი აქვს — ორმოცდაათი პროცენტით, ხოლო ვისაც ერთ მანეთზე მეტი აქვს — ოცდაათი პროცენტით!

მოისპოს ჯარიმები!

ზრდილობიანად მოგვეპყრონ მუშებს უფროსი ოსტატები!

მოისპოს ზედმეტი სამუშაოები!

განთავისუფლებულ იქნან დაპატიმრებული ამხანაგები!

მხოლოდ ამ მოთხოვნათა დაკმაყოფილებას შეუძლია გვაიძულოს ჩვენ განვაგრძოთ მუშაობა. უამისოდ არც ერთი კაცი არ გამოცხადდება სახელოსნოებში, თუნდაც სიმშილით დავიხოცოთ. ეს არის ოთხიათასი კაცის ერთსულოვანი გადაწყვეტილება.

გაფიცულთა ტაშის ქუხილმა შეძრა იქაურობა. ორატორს ჯერ ბოლო სიტყვა არ დაემთავრებინა, რომ ახლა მეორე რკინიგზელმა აღმართა შეკუმშული ხელი, კედლის მხარეს, მაზუთიან რკინის კასრზე შეხტა და აზმაურებულ მუშებს მაღალი ხმით მიმართა:

— ძმებო და ამხანაგებო, როგორც დღეს შევიტყეთ, წუხელ კიდევ სამოცდაოთხი ჩვენი ამხანაგი დაუპატიმრებია პოლიციას. ხვალ და ზეგ ალბათ უფრო მეტს დააპატიმრებენ. ჩვენ გვაპატიმრებენ იმისათვის, რომ კანონის შესრულებას მოვითხოვთ — მაშასადამე, მთავრობა კანონებს სცემს, რათა მოგვატყუოს, თვალი აგვიხვიოს; ჩვენ გვაპატიმრებენ იმისათვის, რომ მოვითხოვთ მათხოვრულ ხელფასის გადიდებას — მაშასადამე, მთავრობას სურს ნახევრად მშიერ, პირუტყვის მდგომარეობაში გვამყოფოს; ჩვენ გვაპატიმრებენ იმისათვის რომ მოვითხოვთ მოგვეპყრონ როგორც ადამიანებს — მაშასადამე, მთავრობა გვიყურებს ჩვენ, როგორც საქონელს, რომელსაც არაფრის ნება არა აქვთ. დაიხსომეთ ეს, ძმებო, როცა დადგება მთავრობასთან ანგარიშის გასწორების დღე — ეს დღე კი ახლოს არის. ჩვენ პასუხს მოვთხოვთ ამისათვის. ახლა, ძმებო, ერთსულოვნად ვიდგეთ ჩვენს მოთხოვნებზე და ვუჩვენოთ სისხლისმსმელებსა და მთავრობის მაჩანჩალებს, რომ მათ საქმე აქვთ არა უბადრუკ მონებთან და პირუტყვებთან, არამედ ადამიანებთან, რომელთაც შესწევთ უნარი მოითხოვონ, იბრძოლონ, და თუ საჭირო იქნება წმიდა საქმისათვის, ეწამონ კიდეც.

რკინიგზელის უკანასკნელი სიტყვები ერთგულებისა და მხარდაჭერის შეძახილებმა დაფარა.

მაზუთიან კასრზე ახალგაზრდა სემინარიელი შეხტა.

— ამხანაგებო, ძმებო, მამებო, — დაიწყო მან. — დღეს თქვენ ასიათასობით თვალი შემოგყურებთ, გაფაციცებით ადევნებენ თვალს თქვენს განმათავისუფლებელ მოძრაობას. თქვენი ვაჟკაცობა და ერთსულოვნება აღაფრთოვანებს თქვენს მეგობრებს და უკეთესი მომავლის იმედებს ულვიძებს მათ. ტაქტიკა და დისციპლინა, თქვენს ბრძოლაში რომ ჩანს, თავზარს სცემს ძალმომრეობის თაყვანისმცემლებს, რომელნიც იძულებულნი არიან თქვენს წინააღმდეგ ამონვდილი ხმალი ქარქაშში ჩააგონ.. არ დაივიწყოთ, რომ თქვენ მარტონი არა ხართ. თქვენს ზურგს უკან იფარება მილიონები, რომელნიც მზად არიან გამოგიწოდონ თავიანთი რკინის ხელები! მაშ შეჰფიცეთ ერთმანეთს არაფერი არ დაუთმოთ მთავრობას, ვიდრე უკანასკნელ მუხლამდე არ დააკმაყოფილებენ თქვენს მოთხოვნებს.

— არ დავუთმობთ! — იგრგვინა ხალხმა და ათასობით მრისხანედ შეკრული მუშტი კვლავ აღიმართა ჰაერში.

სემინარიელი კასრიდან ჩამოხტა და იმ მიმართულებით წავიდა, სადაც მიხო და ნიკო გოცირიძე იდგნენ. ის იყო გვერდით უნდა ჩაევლო მათთვის, რომ აქეთ-იქიდან გადაცმული პოლიციელები ამოუდგნენ.

— ბიჭო, შეხედე, აპატიმრებენ! — გაკვირვებით წამოიძახა ნიკომ და მეტეხელს მუჯლუგუნი წაჰკრა.

— ხალხო, სემინარიელს აპატიმრებენ, უშველეთ — გაისმა ყვირილი და ყველამ იქით იბრუნა პირი.

მიხო პოლიციელებთან პირველი მიიჭრა. სემინარიელი ხელიდან გამოგლიჯა, ორივე პოლიციელს კისერში ჩაავლო ხელები, ჯერ განზე გასწია, მერე ისე მძლავრად შეაჯახა ერთმანეთს, რომ ამ უკანასკნელებმა გონი დაკარგეს და ცხვრებივით დაეყარნენ დაბლა.

მიხომ აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედა, ნიკო გოცირიძეს მკლავში ხელი მოკიდა და გაფიცულებს შეერივნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნასვლისას მიხომ დაიჭირა განზე გამდგარი სემინარიელის მადლიერების გრძნობით გამთბარი თვალები.

ხალხი გრგვინავდა, გმინავდა, ბობოქრობდ. მრისხანედ შეკრულ მუშტებს ჰაერში ატრიალებდნენ და თავპირდალეწილ პოლიციელებისაკენ მიიწევდნენ.

* * *

წთავარი სახელოსნოების მუშათა გაფიცვის ამბავი იმავე წუთს ელვის სისწრაფით გავრცელდა მთელს თბილისში. სოლიდარობის ნიშნად. მეორე დღესვე გაფიცვები გამოაცხადეს იარალოვის თუჯსასხმელი ქარხნისა და ბოზარჯიანცის თამბაქოს ფაბრიკებში, აგრეთვე ტოლეს ზეთისა და საპნის ქარხნებში, შემდეგ კი ეს ტალღა მთელი თბილისის საწარმოებს მოედო.

ყველგან შეწყდა მუშაობა და ჩაკვდა შრომის რიტმი. გაფიცვამ საყოველთაო ხასიათი მიიღო. საგაფიცვო მოძრაობა მოედო ამიერკავკასიის რკინიგზის კვანძებსაც. გაიფიცნენ ხაშურის, ელიზავეტოპოლისა და სხვათა დეპოების მუშები. ხელიდან ხელში გადადიოდა თბილისის ცენტრალური სოციალ-დემოკრატიული ჯგუფის მიერ გამოშვებული პროკლამაციები. რომლებიც მოუწოდებდნენ გაფიცულებს: არ დაეხიათ არცერთი ნაბიჯით უკან; ბოლომდე მიეყვანათ საქმე, სანამ მთავრობა ყველა წაყენებულ მუხლს არ დააკმაყოფილებდა.

მუშათა ერთსულოვანი გამოსვლით შეშინებული მთავრობა, პოლიცია და ჟანდარმერია გაცოფდა. უფრო გააძლიერა რეპრესიები, მეორე დღეს კიდევ დააპატიმრეს ოცდათოთხი კაცი. ექვს აგვისტოს კი გამოაცხადეს სამხედრო წესები და ქალაქს ჯარი შემოარტყეს. დაპატიმრებულთა რიცხვმა ათას ხუთას კაცს მიაღწია. სახელოსნოებსა და ფაბრიკებს პროვოკატორები მიუჩინეს და ეგონათ უკვე ჩააქრეს მუშათა მღელვარება. მაგრამ მალე დარწმუნდნენ, რომ არამც თუ ჩააქრეს, პირიქით, მთელი სიგრძე-სიგანით ძლიერდებოდა.

მთავრობა კიდევ უფრო გაცოფდა, როცა დაიბეჭდა მუშათა ხელმძღვანელმა კომიტეტმა პროკლამაციები პროკლამაციებზე გამოუშვა. ეს სრულიად ახალი ხილი იყო მისთვის და მეტად ძნელი მოსანელებელიც.

ახლა უკვე ღრმად დარწმუნდა მთავრობა რომ ამ გაფიცვებში მთავარ როლს თბილისის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია ასრულებდა, მთელი თავისი ძალები მიმართა იქით, რომ აღმოეჩინა და მოესპო გაფიცვის ხელმძღვანელი ცენტრი, გაენადგურებინა რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები, დაეპატიმრებინა და გადაესახლებინა აგიტატორები და პროკლამაციების გამავრცელებელნი.

მიხო მეტეხელი და ნიკო გოცირიძე დილიდან საღამომდე გაფიცულთა შუაგულში ტრიალებდნენ. საგაფიცვო კომიტეტს, რომელიც წარმართავდა გაფიცულთა მოქმედების თანმიმდევრობას, მიხოსა და ნიკოს მეშვეობით მუდმივი კავშირი ჰქონდა თბილისის სოციალ-დემოკრატიული წრის ხელმძღვანელებთან. რომლებიც ამ დაძაბულ და რთულ ვითარებაში, მეფის ოხრანკის გაათრებული დევნის პირობებში კონსპირაციულად იკრიბებოდნენ საიმედოდ მოწყობილ გუცა პარკაძის ბინაში და იქიდან უწევდნენ ხელმძღვანელობას გაფიცულებს.

ახლაც პარკაძის ბინაზე მიდიოდა მიხო. ნიკო გოცირიძე აღარ ახლდა გვერდით. იგი არტისტული საზოგადოების თეატრში გაეგზავნათ პროკლამაციების გასავრცელებლად.

ბორანს რომ მიადგა, ახალი შელამებული იყო. აღარც ბორანი მუშაობდა, არც მებორნე ჩანდა. უკან გამობრუნდა, მიხაილოვის ქუჩით კირკის სააფთიაქო მაღაზიამდე იარა. მერე მარჯვნივ შეუხვია და ვერის ხიდისაკენ გაუყვა გზას.

მკრთალად ბჟუტავდნენ ქუჩის ფარნები. ეტლები ხმაურით დახრიგინებდნენ უსწორმასწოროდ დაგებულ ქვაფენილზე. ხიდის გაღმა „კონკა" შეკიდებოდა ვერის აღმართს გადაღლილ ცხენებს ძლივს აჰქონდათ ხალხით გადატვირთული ჯაბახანა ვაგონი. შორ მანძილზე ისმოდა ცხენთა ფლოქვის ხმა, შოლტის შხუილი და მეეტლის უნმანური გინება.

დაბლა, მტკვრის მოლაპლაპე ზედაპირზე მსუბუქად ქანაობდნენ ბორჯომიდან მომავალი ტივები და მადათოვის კუნძულთან გროვდებოდნენ.

მიხოს ჯერ ხიდი არ ჩაეთავებინა, რომ იქვე, მოპირდაპირე მხარეს. ხიდის ყურთან სროლა გაისმა. პირველს მეორე მიჰყვა, მეორეს მესამე, ვილაც შუახნის წარმოსადეგი მამაკაცი. მუნდირს ბრჭყვიალა სამხრეები რომ უმშვენებდა და დადინჯებული მიდიოდა; უცბათ შეტორტმანდა, ჯერ წინ წაიფორხილა, მერე უკან გადაიზნიქა და ქვაფენილზე მოსხეპილივით დაეცა.

ხიდზე მიმავალმა ქალებმა წივილ-კივილი მორთეს და შეშინებულებმა უკან დაიხიეს მიხო კი წინ გაიჭრა და სწრაფად მოკლულთან გაჩნდა.

მუშის უბრალო ტანსაცმელში გამოწყობილი ახალგაზრდა კაცი იქვე იდგა ხელში რევოლვერშემართული და დაბნეული აცეცებდა თვალებს. თითქოს ფიქრობდა. საით გავიქცეო, გონს რომ მოეგო, აქეთ-იქით მიიხედ-მოიხე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და, ხიდის ყურთან გადაუხვია და მტკვრის სანაპიროსაკენ დაეშვა.

მიხომ თვალი გააყოლა იმ ბიჭს და იცნო რკინიგზის მთავარი სახელოსნოების მუშა, იცნო მოკლულიც — ამ სახელოსნოების შეფი. შეფის ერთგული მსახური და მუშების დაუძინებელი მტერი.

მიხო სახტად დარჩა. ეს იმდენად მოულოდნელი იყო მისთვის, რომ გაოგნებულმა ვერც კი შენიშნა, როგორ წამოადგნენ თავს პოლიციელები. მათ ეჭვიანად შეხედეს მას და ის იყო უნდა გაეჩხრიკათ, რომ შეშინებული ქალებიც მოცვივდნენ.

— აგერ, იქით გაიქცა მკვლელი, ბატონო, აგერ, იქით გაიქცა!.. — მოჰყვნენ გაუგებრად ყვირილს.

— იქით კი არა, აი, აქეთ გაიქცა! — საპირისპიროდ მიუთითა მიხომ და ახლა ქალებს მიუბრუნდა, — თქვენ ვერ დაინახეთ კარგად, ნამდვილად აქეთ გაიქცა.

პოლიციელებმა მიხოს თავი დაანებეს. იარაღმიმარჯვებულნი იმ მიმართულებით გავარდნენ, საითკენაც მიხომ აჩვენა.

მიხომ ერთხელ კიდევ გადახედა გულაღმა გაშხლართულ შეფს და იქაურობას სწრაფად გასცილდა.

სულმოუთქმელად აიარა აღმართი, ზემელის საფთიაქო მალაზიასთან მარჯვნივ შეუხვია და ვერის პატარა სასაფლაოსაკენ მიმავალ ვიწრო ქუჩას სწრაფი ნაბიჯით გაჰყვა

განცვიფრებული იყო იმ ბიჭის მამაცობით. შორიდან იცნობდა მას, არაფრით განსხვავდებოდა სხვებისაგან. პირიქით, ჩუმი, მორიდებული, მოკრძალებული ბიჭი ჩანდა, ორ სიტყვას ერთად ძლივს იტყოდა, არავის ეჩხირებოდა თვალებში. რამხელა გული ჰქონიაო, ამბობდა გუნებაში და თვალთაგან არ შორდებოდა მისი ოდნავ შემკრთალი, დაბნეული გამოხედვა.

გვერდით გაუარა ვერის სასაფლაოს და ბოზარჯიანცის თამბაქოს ფაბრიკის წინ უნებურად შეჩერდა, დაისვენა. შემდეგ ქუჩა გადასჭრა და გუცა პარკაძის ციხესავით შეკრული სახლის ეზოს ჭიშკარს მიადგა.

ზარის ხმაზე გუცამ გამოიხედა გარეთ. ჭიშკართან აყუდებული მიხო რომ დაინახა, კარი გაუღო და შიგნით შეიპატიჟა.

გუცა ჩვეულებრივად წინ გაუძღვა მიხოს, კაბინეტის ნაცვლად სარდაფში ჩაიყვანა, ბნელი დერეფანი გაატარა და საკმაოდ დიდ, ნათელ ოთახში შეიყვანა, რომელსაც მეორე კარი იქითა კედელზე ჰქონდა დატანებული და გვერდითა ქუჩაში გადიოდა.

მის გაოცებას საზღვარი არა ჰქონდა, როცა რამდენიმე კაცთან ერთად ის ახალგაზრდა სემინარიელი დაინახა, ამ ერთი კვირის წინ პოლიციელებს რომ გამოგლიჯა ხელიდან.

ეს გახლდათ ალიოშა ჯაფარიძე. მასთან ერთად იყვნენ სოსო ჯუღაშვილი, ლადო კეცხოველი, ვანო სტურუა, გიორგი ელისაბედაშვილი...

ჯაფარიძემ როგორც კი დაინახა მიხო მეტეხელი, სკამიდან ზეზე წამოვარდა.

— შენ აქ საიდან მოხვედი? — შესძახა და იქ მყოფთ გადახედა, — ეს ჭაბუკი რომ არა, ახლა მეტეხის ციხეში ვიჯდებოდი... ისეთი ძალით შეახეთქა პოლიციელები ერთმანეთს, მე მგონი დღესაც არ იქნებიან გონზე მოსულები.

ყველას გაეცინა. ჯაფარიძე მიხოს გადაეხვია და ძმასავით გადაკოცნა.

— თქვენ ჯერ კიდევ არ იცით, ვინ არის მიხო მეტეხელი, — სიამაყით თქვა გუცამ,— ეს ის ვაჟკაცი გახლავთ, ირანელ ფალავანს დაბადების დღე რომ აწყევლინა.

— ყველას თვალები გაუბრწყინდა. მიხოს დაკვირვებით დაუწყეს ცქერა.

— სადაური ხარ, ბიჭო! — ველარ მოითმინა ჯუღაშვილმა.

— მეტეხელი გახლავთ! — მიხოს მაგივრად თქვა გუცამ.

— ყოჩაღ, კარგი ვაჟკაცი ყოფილხარ. — შეაქო სოსომ.

ჯუღაშვილი ერთ წამს გაჩუმდა. მერე ისევ მიხოს მიაპყრო მზერა:

— ახლა ეს მითხარი, მეტეხელო, როგორ მიდის თქვენი გაფიცვის საქმე, ვერ მოუდრიკეთ კისერი ადმინისტრაციას?

— ჯერჯერობით ვერა! — უპასუხა მიხომ.

— ბოზარჯიანცის, ჩითახოვის და ადელხანოვის ფაბრიკების მუშებმა უკვე მიაღწიეს სანადელს...

— იმათ ბოზარჯიანცთან, ჩითახოვთან და ადელხანოვთან ჰქონდათ საქმე. ჩვენ კი მთავრობასთან, რომელსაც იცავს ჯარი, ოხრანკა, პოლიცია. ალბათ მთავრობასთან ბრძოლა უფრო ძნელია, ვიდრე იმათთან. მაგრამ იმედია ჩვენც მოვადრეკინებთ კისერს.

ჯუღაშვილს გაეცინა.

— თქვენს გაფიცვებში დეპოს მემანქანეები და მემანქანეების თანაშემწეები მონაწილეობას არ ღებულობენო, მართალია? — ჯუღაშვილი თვალებში ჩააცქერდა მიხოს.

— როგორც ვიცი, მართალია!

— მერე რა ზომებს ღებულობთ მათ მიმართ?

მიხომ მხრები აიჩეჩა.

— გადაეცი შაქრო ჯაჯანაშვილს და სხვა ამხანაგებს, რომ თბილისის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიისა და პირადად ჩემი სახელით შეარჩიონ კაი ტალიკ-ტალიკი მუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შები და დილაადრიანად იერიში მიიტანონ დეპოზე, რომ არც ერთი შემადგენლობა არ გაუშვან ხაზზე. გადასცემ?

— გადავცემ აუცილებლად!

—გადაეცი კიდევ ამხანაგ ჯაჯანაშვილს რომ ვაჟკაცურად იდგნენ თავიანთ პოზიციებზე და არ დაუთმონ მთავრობას არაფერი, სანამ მათ მოთხოვნას მთლიანად არ დააკმაყოფილებს!

— ამასაც გადავცემ, ამხანაგო სოსო!

— გადაეცი კიდევ ამხანაგ ჯაჯანაშვილს და სხვა ამხანაგებს, მთავარი სახელოსნოების ყველა მუშას, ყველა ხელოსანს, რომ ამ საქმეში უკან დახევა არ შეიძლება, რახან წამოვიწყეთ, ბოლომდე უნდა მივიტანოთ. რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, უნდა ვაიძულოთ მთავრობა და ადმინისტრაცია დათმობაზე წავიდნენ და წაყენებული მუშათა მოთხოვნები დააკმაყოფილონ.

— ყველაფერს გადავცემ ამხანაგო სოსო!

— ძალიან კარგი! — კმაყოფილებით წარმოსთქვა ჯულაშვილმა და ალიოშა ჯაფარიძეზე გადაიტანა მზერა. მერე ისევ მიხოს მიაპყრო თვალები და ღიმილით დასძინა:

— ისე, კაცმა რომ თქვას, არც თქვენი შეფი იქნება კარგ ხასიათზე, ალბათ კაკალს ამტვრევს კუდით.

— ჩვენი შეფი ველარც კაკალს დაამტვრევს, ველარც თხილს, ამ ნახევარი საათის წინ გაამგზავრეს საიქიოში!

— რაო? — გაკვირვებით წამოიძახეს აქეთ-იქიდან.

— მოკლეს!

— მოკლეს? — თითქმის ერთხმად ამოთქვეს ცენტრის წევრებმა.

— დიახ, ახლა რომ მოვდიოდი, ვერის ხიდის ყურთან, ჩემს თვალწინ დაახალეს სამი ტყვია.

— რას გვეუბნები! — შუბლშეჭმუხვნით თქვა ჯულაშვილმა — მკვლელი ხომ არ შეუპყრიათ?

— პოლიციელები მაშინ მოცვივდნენ, როცა მკვლელმა თავს უშველა.

— ვინ იყო, რა კაცი იყო, თუ იცი?

— მთავარი სახელოსნოების მუშა!

— იცნობ?

მიხო შეყოყმანდა.

— ვიცნობ!

— ჯერჯერობით არ გინდათ ასეთი რამ. ახლა მთავარია რვასაათიან სამუშაო დღეზე მოვდრიკოთ მთავრობა. დანარჩენი მერე ვიფიქროთ.

— ის ისეთი ჟანდარმი იყო, დღეს თუ არა, ხვალ მაინც მოჰკლავდნენ მუშები. როგორც საქონელს, ისე გვიყურებდა.

ჯულაშვილს აღარ გაუგრძელებია ამ საკითხზე საუბარი. გუცა პარკაძემ რაღაც ქაღალდები გადასცა მიხოს და უთხრა, ახლავე მიეტანა ჯაჯანაშვილისათვის.

* * *

რკინიგზის მთავარი სახელოსნოების შეფის მკვლელობის ამბავი იმავე საღამოს ელვის სისწრაფით გავრცელდა თბილისში. თერთმეტი საათი ხდებოდა და მთელი ნაძალადევი ფეხზე იდგა. ხალხი ქუჩებში გამოშლილიყო და ჯგუფ-ჯგუფად შეკრებილიყვნენ გზაჯვარედინებზე, პატარ-პატარა მოედნებზე, გამოსაჩენ ადგილებში. ხმამაღლა ლაპარაკობდნენ ქალაქში მომხდარი დღევანდელი დღის ახალ მოვლენებზე: ორი საათის წინ როგორ დაახალეს რკინიგზელთა შეფს, ვერის ხიდის ყურთან, სამი ტყვია; როგორ დაედევნენ მკვლელს — მთავარი სახელოსნოს მუშას პოლიციელები; როგორ ჩამოყარეს მთავრობის საწინაალმდეგო პროკლამაციები არტისტული საზოგადოების თეატრში, გრენადერთა პოლკის კლუბში, საჩაიე „იალტაში", ნიკიტინების ცირკში; როგორ მიაღწიეს მუშებმა რვასაათიან სამუშაო დღეს ადელხანოვის, ჩითახოვის და ბოზარჯიანცის ფაბრიკებში; რა უნდა გაეკეთებინათ მუშებს იმისათვის, რომ აეძულებინათ მთავრობა და ადმინისტრაცია დათმობაზე წასულიყვნენ.

ერთი სიტყვით, მსჯელობდნენ იმ მოვლენებზე, იმ ტკივილებზე, რომელიც ყველა მუშას, ყველა მშრომელს, დიდსა თუ პატარას, ქალსა თუ კაცს, ერთნაირად აწუხებდა და ადარდებდა.

ცხენზე ამხედრებული მათრახშემართული კაზაკები კი ყოველ ნაბიჯზე დაჰქროდნენ ნახევრად ალყაშემორტყმულ ქალაქში, მთავარი იერიში მათ ამბოხებულ ნაძალადევზე მიჰქონდათ. როგორც კი დაინახავდნენ ერთად შეკრებილ ხალხს, მაშინათვე თავს ესხმოდნენ და მათრახების დაშენით ცდილობდნენ მათ დაშლას, გაფანტვას და დათრგუნვას.

მუშები მაინც არ ეპუებოდნენ პოლიციას ჯერ გაიფანტებოდნენ, თვალს მიეფარებოდნენ, როგორც კი წავიდოდნენ ისინი, ისევ ერთად შეგროვდებოდნენ და განაგრძობდნენ დაწყებულ საუბარს.

ახლაც, არტემ ზახარიანის დუქნის წინ იმდენ ხალხს მოეყარა თავი, რომ იტყვიან ნემსი არ ჩავარდებოდა. შაქრო ჯაჯანაშვილი შუაში ჩამდგარიყო, მუშებს მოუწოდებდა დილით ადრე აქ შეგროვილიყნენ და მერე იერიში მიეტანათ დეპოზე, არც ერთი შემადგენლობა არ გაეშვათ ხაზზე.

ნიკო გოცირიძისა და მიხო მეტეხელის მოშორებით იდგა ის ახალგაზრდა მუშა, ამ ორიოდე სათის წინ მთავარი სახელოსნოების შეფს სამი ტყვია რომ დაახალა კეფაში. რა იცოდნენ მუშებმა, პირსისხლიანი ჯალათის

მკვლელი, რომლის ბედიც ძლიერ აწუხებდათ, ახლა მათ გვერდით იქნებოდა.

არტემ ზახარიანი დუქნის რაფას იდაყვებით დაყრდნობოდა, მათ შემყურეს თვალებში შიში ჩასდგომოდა და შეფიქრიანებული სახით მუშებს მზერას არ აცილებდა.

არტემას ყველაზე უფრო მეტად ერთი რამ აფიქრებდა: ვაითუ მუშებმა ამ არეულობით ისარგებლონ და ნისიებზე უარი თქვანო. ვერ გადაეწყვიტა, როგორ მოქცეულიყო. გაეცა საქონელი ნისიად, თუ არ გაეცა. რომ არ გაეცა, ვაჭრობა ისეთი აღარ ექნებოდა და ვერც ფულს მოიგებდა. რომ გაეცა და დაკარგვოდა? ლავსატეხი საქმე გასჩენოდა მედუქნეს.

— არტემჯან, რა შეშინებული შემოგვყურებ, არ მოგწონს ეს ამბავი? — უთხრა ერთ-ერთმა დაბალ-დაბალი ტანის მუშამ, რომელიც ის-ის იყო მიუახლოვდა დუქანს.

— არ იცი, რომ არ მომწონს?

— რატომ არტემჯან!

— ვახ, როგორთ თუ რატომ, სროლა რომ აგიტეხონ, ცოდონი არა ხართ?

— კაი კაცი ყოფილხარ, არტემ, მართლა ამას თუ ფიქრობ!

— რატომაც არა ვფიქრობ, მე თქვენი ძმა არა ვარ?

— აგაშენა ღმერთმა, არტემ. ძმა ხარ, აბა ვინა ხარ. მომეცი ორი ტარანი, ორი ბოთლი ღვინო და ერთი კილო პური, სტუმარი მეწვია და ცხვირზე მურს ხომ არ წავისვამ...

— არ გეწყინოს, ძმაოჯან, მაგრამ ნისიად აღარ ვაძლევ, ნაღდი თუ გაქვს, ჩემი თავი შენ გენაცვალოს — სწრაფად მოუჭრა არტემამ.

— აბა როგორი ძმა ხარ, თუ ამისთანა დროს ანგარიშს არ გამიწევ?

— რა ვქნა, ძმაოჯან, აღარ ვაძლევ ნისიად!

— შე კაი კაცო, მანთაშევი ხომ არ გგონივარ, რომელ ჯიბეშიაც ხელი ჩავიყო, ფული ამოვიღო. ხომ ხედავ მთავრობა ჯამაგირს არ გვაძლევს, ნაღდი საიდან მექნება!

— ჩემი რა გადასახადია, ძმაოჯან. ისიც მეყოფა, ამდენი ნისია რომ მაქვს გაცემული

— მომეცი, მომეცი, არ დაგეკარგება! — დაუყვავა მუშამ.

— ვახ, მოგცე რა, აღარ უშლიან? — წარბები შეყარა არტემამ, — იქნებ თქვენი გაფიცვა ერთ წელიწადს გაგრძელდეს, ან ბუნტის თავი გამოდგე და დაგიჭირონ, ციმბირიდან გამამიგზავნი ვალს? ვის მოვთხოვო ის ფული? არა, ვერ მოგცემ!

— ორმაგს გავახდევინებ, კიდევ უარს გვეუბნები? — სახეზე წამოენთო დაბალ-დაბალი მუშა, — მოიცა, მოვა შენი ჯერიც.

ეს რომ თქვა, შეტრიალდა და ნელი ნაბიჯით მოსცილდა იქაურობას.

ბიბლიოთეკა

ახლა სხვა მუშა მიადგა არტემას დუქანს სამოც წელს გადაცილებული იქნებოდა, ფერმკრთალი იყო, ავადმყოფური შესახედაობისა. მისი შარვალ-ხალათი სხვადასხვა სალებავებით იყო დალაქავებული. ეტყობოდა სამღებრო-საამქროში მუშაობდა.

— არტემ, კაი გამარჯობა, შენი! — უთხრა და დახლს ნიდაყვებით დაეყრდნო.

— ნისიად აღარ ვაძლევ-მეთქი, გაიგეთ ერთხელ და სამუდამოდ, რაღა!

— შე დალოცვილო, ჯერ სალამზე პასუხი გამეცი, მერე შენი მითხარი. მაშ აღარ იძლევი ნისიად?

— არა!

— რატომ, გეშინიან ფული არ დაგეკარგოს?

— კიდევაც რომ მეშინიან!

— ახლა ნურაფრის შეგეშინდება, არტემჯან, ჯერ შენთვის არა გვცალიან, მთავრობასთან გვაქვს საქმე, როცა მას გავუსწორებთ ანგარიშს, მერე შენი ჯერიც დადგება.

— მე რას გიშავებთ, ძმაოჯან? — ადგილზე შეწრიალდა არტემა, — ხელს არ გიმართავთ? არ გეხმარებით? ანგარიშს არ გიწევთ?

— ესაა ანგარიშის გაწევა? როცა გვიჭირს, ამისთანა მძიმე დღეებში, როცა მთავრობა ჯამაგირს არ გვაძლევს, შენ ფეხს გვაჭერ!

— ყველას რომ ნისიად მოგცეთ, მაშინ მე რაღა ვქნა, ძმაოჯან?

— ნისიად რომ გვაძლევ, ზარალობ? შე კაი კაცო, ორმაგს გვახდევინებ, არ უნდა გიხაროდეს?

— ორმაგს კი არა, სამმაგს! — თავისთვის ჩაბურდღუნა არტემამ.

— ეგრე ხომ?

— ეგრე ძმაოჯან, არ გეწყინოს!

— კარგი!..

— ძმაოჯან, რას მემუქრები, შენი ვალი ხომ არა მმართებს? პირიქით, თქვენ გმართებთ ჩემი ვალი! — ახლა კი ხმას აუწია მედუქნემ.

— კარგი, კარგი, ნუ მოგვცემ! — თქვა მწყრალად ფერმკრთალმა მუშამ და წავიდა.

ასევე ცივი უარი სტყორცნა მედუქნემ გაფიცვების მონაწილე სომეხ მუშებს — არამაის გრიგორიანსა და ბეგლარ ხაჩიკიანს.

— უყურე ერთი,— ახლა კი გული მიეცა არტემას, — მოდი და, ამისთანა ხალხს სიკეთე უყავი. ვერაფერს ხედავენ. რომ ხედავდნენ, ხელის გულზე ერბოკვერცხი უნდა შემიწვან, მაგრამ ხედავენ? არა, ძმაო, — თავი გააქნია არტემამ, — ეს მუშები მუშებს აღარა გვანან. ყველა გალეტილმა ამ მთავარ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელოსნოებში მაიყარა თავი, არც არაფრის სცხვენიანთ, არც არაფრის ერიდებათ, არც არავის ეშინიანთ. წინანდელი მუშა როგორ მეტყოდა ორმაგს გვახდევინებო. ახლა ბუნტსაც რომ ახდენენ? მეფე აღარ მოსწონთ მთავრობა არ მოსწონთ, უფროსი არ მოსწონთ. უნდა დაუშინო მათრახი და საიდანაც მოსულან, ისევ იქ გარეკო. ვინ გკითხავთ თქვენ ხელმწიფის ჩამოგდებას და ბუნტის მოწყობას? არა ძმაო, — თავი გააქნია არტემამ, თან აქეთ-იქით დაიწყო თვალების ცეცება, არავინ გამიგონოსო, — წინანდელი მუშები ასეთები არა ყოფილან, ისინი უფრო დარბაისელნი იყვნენ. როგორ გაკადრებდნენ იმას, რასაც ახლა ესენი კადრულობენ, მაგისთანა ხალხი ყველა უნდა გააციმბირო!

არტემას კიდევ რაღაც უნდოდა ეთქვა, რომ მისი ყურადღება ამ დროს ცხენზე ამხედრებულმა პოლიციელებმა მიიპყრო. ისინი თხუთმეტამდე იქნებოდნენ. რკინიგზის ხაზი სწრაფად გადმოჭრეს, შეგროვილ მუშებს ზედ მიაგდეს ოფლში გახვითქული ცხენები და მათრახები დაუშინეს.

ეს ისე უეცრად მოხდა, მუშები სულ არ მოელოდნენ. ეტყობა შეფის მკვლელობას გამოეწვია ეს განრისხება.

გაფიცულები არ დაბნეულან. იმ ავადმყოფური სახის, ფერმკრთალმა მუშამ, წეღან არტემას ნისიად რომ სთხოვდა სურსათს და არ მისცა, მათრახი გამოგლიჯა პოლიციელს ხელიდან, მოუქნია და ისეთი ძალით გააწნა სახეში, რომ ამ უკანასკნელს თვალთ დაუბნელდა და ცხენიდან გადმოვარდა.

პოლიციელები ამხანაგს მიეშველნენ. ფერმკრთალ მუშას ერთდროულად დაესხნენ თავს და თოფის კონდახებით დაუწყეს ცემა. მუშამ ველარ გაუძლო და მუხლებში ჩაიკეცა.

ამ სურათის დანახვამ რკინიგზელები, აქამდე თავს რომ იკავებდნენ და ცდილობდნენ ყოველგვარი შეტაკების გარეშე დამთავრებულიყო ეს თავდასხმა, ველარ მოითმინეს, ერთბაშად იხუვლეს და პოლიციელებს დაერივნენ, ცხენებიდან ჩამოყარეს და ფეხით გათელეს.

თავპირდასისხლიანებული პოლიციელები გონზე რომ მოვიდნენ, უწესრიგოდ ატეხეს სროლა, მაგრამ აღარც ერთი მუშა აღარ იყო იქ: ყველა მიმალულიყო და ის ფერმკრთალი, ავადმყოფური შესახედაობის ცოცხალმკვდარი მუშაც თან წაეყვანათ იმის იმედით, იქნებ რაიმე ეშველათ, მაგრამ მას სიცოცხლის ნიშანწყალი მაშინვე აღარ ეტყობოდა.

მარტო არტემა მოჩანდა თავის დუქანში, ნირწამხდარს, შეშინებულს ნახევრად ღია კარებში გამოეყო მორგვივით მსხვილი, მელოტი თავი და დაჭყეტილი თვალებით მისჩერებოდა მტვერში ამოგანგულ პოლიციელებს.

პოლიციელები სულ მალე ცხენებზე შესხდნენ და ბურდღუნ-გინებით გაქუსლეს საგუბერნიო სამმართველოსაკენ.

აღარც არტემა გაჩერებულა დიდხანს, ჭუჭყიანი ნინსაფარი გამოიცვალა, ფული ჯიბეში შეინახა და დუქნის დაკეტვას შეუდგა.

— ბუნტის თავები, ყაჩაღები.. — კეტავდა დუქანს არტემა, თან ხმადაბლა, რომ არავინ გამიგონოსო, გაიძახოდა, — ეგენი სუყველა დასაჭერები, გასაციმბირებლები, ჩამოსახრჩობები არიან... არც ხელმწიფე მოსწონთ, არც უფროსი მოსწონთ, არც არტემა მოსწონთ. ორმაგს გვახდევინებო... მეტისმეტად გათავხედნენ და გათამამდნენ. არც მთავრობას ეპუებიან, არც პოლიციას, არც უფროსებს. დღეს მთავარი სახელოსნოების შეფი მოკლეს, ხვალ მინისტრს მოკლავენ, ზეგ ხელმწიფეს ესვრიან, მერე მეც მომიბრუნდებიან და მეტყვიან: არტემჯან, შენი ჯერიც მოვიდაო. ხომ მითხრა წეღან იმ ჭლექიანმა მუშამ, ახლა რომ ჩააძაღლეს: ჯერ შენთვის არა გვცალიაო, მთავრობას ანგარიშს რომ გავუსწორებთ, მერე შენი ჯერიც დადგებაო.

როგორც იყო, დაკეტა არტემამ დუქანი, პაპიროსს მოუკიდა და ამ ამბებით აფორიაქებული სწრაფი ნაბიჯით გაემართა შინისაკენ.

* * *

დილით მთავარი სახელოსნოების საყვირი. მძლავრმა გუგუნმა შესძრა ნაძალადევი. გუგუნი რამდენიმე წუთს გაგრძელდა, მერე ხმა ჩაეხრინწა და დადუმრა.

დღეს მეთორმეტე დღე იყო, რაც გაფიცვები დაიწყო, რაც მუშებმა უარი თქვეს ყოველგვარი სამუშაოს შესრულებაზე, მაგრამ საყვირის ხმა არ შემწყდარა ამ დროის მანძილზე, გარდა იმ ორი დღისა, მუშების მოსატყუებლად, საამქროებში რემონტის ჩატარების საბაბით, უფრო სწორად, გაფიცვის ჩაქრობის მიზნით ადმინისტრაციამ არასამუშაო დღე რომ გამოაცხადა.

მუშებიც ჩვეულებრივად მიდიოდნენ ქარხანაში, მაგრამ მუშაობის ნაცვლად ადმინისტრაციის შენობის წინ იყრიდნენ თავს და მოითხოვდნენ გადამწყვეტი პასუხი გაეცათ მათ მოთხოვნებზე. ადმინისტრაცია კი ასეთ პასუხს არ იძლეოდა, რაც უფრო მეტ მღელვარებას იწვევდა მუშებში.

ახლაც საყვირის გუგუნზე მთელი ნაძალადევი ფეხზე წამოიშალა, არტემას დუქნის წინ ადრიანად გამოსულიყო შაქრო ჯაჯანაშვილი და მუშებს იკრებდა გარშემო დეპოზე იერიშის მისატანად. მასთან ერთად იყვნენ აუზის სარდაფის მუშები, რომელთაც თან წამოჰყო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოდა ივანე გზირიშვილი — „ურწმუნო თომა“, მხოლოდ არავინ იცოდა მხარში ამოსადგომად, თუ უბრალოდ, სეირის საყურებლად.

შაქრო ჯაჯანაშვილის გარშემო უფრო და უფრო მოჯარდა ხალხი. ისედაც პატარა მოედანზე ტევა არ იყო. გაფიცულთა კოლონა მთავარი სახელოსნოების შესასვლელისაკენ უნდა დაძრულიყო, რომ მოულოდნელად ხმა გავრცელდა იმ საწყალი მუშის სიკვდილის შესახებ, წუხელ პოლიციელებმა თოფის კონდახებით რომ სცემეს.

ხალხს აღშფოთების გმინვა აღმოხდა გულიდან. ყოველი მათგანი შესძრა ამ სამწუხარო ამბავმა .ისედაც დაბოღმილი მუშები ახლა უფრო დაიბოღმნენ, მუშტები შემართეს და მთავარი სახელოსნოების მთავარი კარისაკენ აიღეს გეზი, საიდანაც იერიში უნდა მიეტანათ დეპოზე.

ადმინისტრაციის შენობას რომ დაუახლოვდნენ, შემდეგი სურათი დაუდგათ თვალწინ: შენობას თოფ-იარაღში გამოწყობილი პოლიციისა და ჟანდარმერიის აგენტები იცავდნენ. მათ საიმედოდ ჩაეკეტათ არა მარტო საპარადო შესასვლელი, ყოველი კარი, ყოველი ხვრელი და უნებართვოდ შიგნით არავის უშვებდნენ.

ეტყობა შეფის ნუხანდელმა მკვლელობამ თავზარი დასცა ადმინისტრაციას. ეშინოდათ კიდევ არ განმეორებულიყო მსგავსი ამბავი. გაფიცულებზე ზემოქმედების მოსახდენად და მოსალაპარაკებლად ამ დილაუთენია რკინიგზისა და მთავრობის მაღალი რანგის წარმომადგენლები მოსულიყვნენ.

მუშები არ დაბნეულან პოლიციელებისა და ჟანდარმების დანახვაზე. ისინი მიუახლოვდნენ ადმინისტრაციის შენობას და რკინის ღია აივნის წინ მოედანზე შეჩერდნენ.

აივანზე ადმინისტრაციის დაბალი ჩინის მსახური გადმოდგა და მუშებს მოუწოდა დაწყნარებულიყვნენ — ახლა თქვენს წინაშე წარმოსდგება ამიერკავკასიის მთავრობის დიდი მოხელეო, — განუცხადა ხალხს.

გაფიცულები დაწყნარდნენ, დამშვიდდნენ, სმენად გადაიქცნენ. მცირე ხნის შემდეგ აივანზე მართლაც გადმოდგა შუახანს გადაცილებული მაღალ-მაღალი, წარმოსადეგი აღნაგობის, მაგრამ პირქუში გამომეტყველების კაცი, რომელსაც მდიდრულ იერს აძლევდა ახალთახალ მუნდირზე ოქროსფრად მოვარაყებული ჯინჯილებიანი სამხრეები და გენერლის ნიშნები. იგი რამდენიმე ნაბიჯით წინ წარსდგა, რკინის მოაჯირს ორივე ხელით დაეყრდნო, ერთბაშად ჩაჩუმებულ მუშებს გადახედა, რომელთაც მთელი მოედანი დაეფარათ, და დინჯად, მაგრამ მეტად ცივი, გაბზარული ხმით მიმართა:

— წუხელ მეტად აღმაშფოთებელი ამბავი მოხდა. ბოროტმა ადამიანმა ვერაგულად გამოასალმა სიცოცხლეს ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი სახელოსნოების უფროსი და ხელმწიფის ერთგული მსახური, რკინიგზელი მუშის შემწყალე და კეთილისმდომი კაცი. მკვლელი გაიქცა. პოლიცია დაეძებს მას იმედია იპოვნის, აუცილებლად იპოვნის. ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, რომ იგი მთავარი სახელოსნოების მუშაა. შეიძლება ის ახლა თქვენს შორისაც დგას და ისმენს ჩემს ლაპარაკს, მაგრამ მერწმუნეთ, მალე წარსდგება სამსჯავროზე და მას მიესჯება სიკვდილის უმაღლესი ზომა — ჩამოხრჩობა.

მოხელე გაჩუმდა, უფრო დაკვირვებით შეათვალიერა მუშები, მაგრამ გაფიცულთა ანთებულ, მრისხანედ მოქუფრულ თვალებს რომ ჩაანყდა, უხერხულად ჩაახველა და იმავე ცივი, გაბზარული ხმით განაგრძო სათქმელი:

— ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი სახელოსნოების ადმინისტრაცია, მთავრობა და პირადად მე მოვუწოდებთ ყველა მუშას, ყველა რკინიგზელს, გამოიჩინონ გონიერება. შეწყვიტონ გაფიცვა და ხვალიდანვე შეუდგნენ მუშაობას. გაფრთხილებთ, წინააღმდეგ შემთხვევაში მიღებული იქნება უკიდურესი ზომები. ამავე დროს, გაცნობებთ, რომ ჩვენ, მთავრობასთან შეთანხმებით, ვსწავლობთ გაფიცვის ყველა გამომწვევ მიზეზს და გაძლევთ პირობას, საქმე თქვენს სასარგებლოდ გადაწყდება, მხოლოდ ამას უნდა დრო, ეს დიდი საკითხია, ბევრ სიძნელეებთან არის დაკავშირებული და ასე სახელდახელოდ მისი გადაწყვეტა არ ხერხდება. ამიტომ ერთხელ კიდევ მოგიწოდებთ იქონიოთ მოთმინება, შეწყვიტოთ გაფიცვა და ხვალიდან შეუდგეთ მუშაობას!

მოხელის ამ სიტყვებს ხალხის უსიამოვნო გნიასი მოჰყვა. ვიღაცამ წამოიძახა:

— თქვენ ყოველ დღე გვპირდებით, მაგრამ ამ დაპირებას არც ბოლო უჩანს, არც თავი.

მოხელე გაცხარდა, მაგრამ წამოძახილს პასუხი ვერ მოუძებნა და გაჩუმება არჩია.

— თქვენ დაპირებებით გინდათ სამუშაოზე მიგვიტყუოთ, მაგრამ არ გამოვა, — კვლავ დაიძახა ვიღაცამ, — ჩვენ ჩანგალზე აღარ წამოვეგებით. საამისო გამოცდილება შარშან შევიძინეთ. მაშინაც მოგვატყუეთ და დაპირებები დაპირებებად დარჩა, ჩვენ კი არაფერი გვეშველა!

მინისტრს რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ მიხო მეტეხელის ხმამ შეაწყვეტინა სათქმელი. მან მხრებით გაარღვია მუშებისაგან ჩახერგილი კედელი და რკინის აივნის შორიახლო დადგა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ბატონო მინისტრო, — მიმართა მან საკმაო დინჯი, ტაქტიანი ხმით, — მოდით, ცოდვას ნუ დაიდებთ და ნუ გადმოგვაბრალებთ ჩვენ მთავარი სახელოსნოების მუშებს, ჩვენი უფროსის მკვლელობას. ჩვენ მუშებს სულ არ გვაინტერესებს კაცის კვლა და სისხლის დაღვრა. ჩვენ ჩვენი სატკივარი გვაქვს და ამ სატკივარმა აგვამხედრა. თქვენ ახლა ბრძანეთ, რომ მთავარი სახელოსნოების უფროსის მკვლელი, მთავარი სახელოსნოების მუშა არისო, მას პოლიცია მოძებნის და ჩამოახრჩობსო. ახლა ერთი შეკითხვა მინდა მოგცეთ: წუხელ, არტემ ზახარიანის დუქნის წინ შეკრებილ მუშებს პოლიცია დასხმია თავს და ერთი ჩვენი საცოდავი მუშა მოუკლავთ ცემით. ახლა გვიპასუხეთ: რა სასჯელს გამოუტანთ იმ უდანაშაულო საწყალი მუშის მკვლელებს?

მოხელე ადგილზე შეწრიალდა. ამ კითხვაზე პასუხის გაცემა რომ ვერ შეძლო, რაღაც ქაღალდების ქექვა დაიწყო.

მიხო ხალხისაკენ შებრუნდა და ყურადღების ნიშნად ხელი ასწია მაღლა, დაწყნარდითო. მერე ისევ უკან შეტრიალდა და განაგრძო:

— ხო, გვიპასუხეთ, რა სასჯელს გამოუტანთ იმ საცოდავი მუშის მკვლელებს?

მოხელე კვლავ დუმდა.

— რახან თქვენ არ ამბობთ, მე გეტყვით ბატონო, — განაგრძო მიხომ, — სასჯელს კი არა მადლობას გამოუცხადებდით. ჩვენ თუ რამეს ჩავიდენთ, სახრჩობელა მზადა გაქვთ, თქვენ თუ რამეს დააშავებთ ჩვენს მიმართ მადლობას იმსახურებთ, — აი, როგორია თქვენი კანონიერება. მაგრამ უნდა იცოდეთ ის, რომ ჩვენ არც ჩამოხრჩობის, არც დაპატიმრების, არც გადასახლების არ გვეშინიან!

ახლა მთავრობის წარმომადგენლებმა სცადეს მუშების დაშოშმინება, სხვადასხვა დაპირებები წამოიწყეს, მაგრამ გაფიცულებმა ვერაფერი საიმედო რომ ვერ დაინახეს, სტვენითა და ღრიანცელით გააქციეს ისინი ტრიბუნიდან.

გაფიცულებმა ახლა პირდაპირ დეპოსაკენ აიღეს გეზი. მთავარი სახელოსნოების დადუმებული საამქროები გაიარეს და რკინიგზის ხაზზე გავიდნენ.

* * *

გრგვინავდა ნაძალადევი, ბობოქრობდა მუშათა დასახლება. ვერავითარმა რეპრესიებმა, თოფის კონდახმა, შოლტმა თუ მათრახმა ვერ დათრგუნა იმათი ამაყი სული. გაფიცულები ვაჟკაცურად იდგნენ თავიანთ პოზიციებზე და მტკიცედ მოითხოვდნენ ადმინისტრაციისადმი წაყენებულ მოთხოვნილებათა [illegible] და კმაყოფილებას.

სკანაყარ ფუტკარს დამსგავსებოდა ნაძალადევი. დღეს კუკიაზე უნდა დაეკრძალათ ის ჭლექიანი მუშა, ამ სამი დღის წინ პოლიციელებმა რომ მოკლეს არტემას დუქნის წინ. იგი აღმოჩნდა სამღებრო საამქროს მღებავი, ხუთი შვილის მამა ამბაკო დაუშვილი.

ხალხი ქუჩებში იყო გამოშლილი. მუშები დადუმებული მიემართებოდნენ ნაძალადევის გარე უბნებისაკენ, ღრმაღელის მიმართულებით, სადაც ხევის პირას წამომდგარ პატარა ღარიბულ ქოხში ესვენა ცხედარი. იმ ალალი მუშისა, რომელმაც ხმა აიმაღლა უსამართლობის წინააღმდეგ.

ყველას უნდოდა მის დაკრძალვაში მონაწილეობა მიეღო და ერთხელ კიდევ ეცათ პატივი მისი ხსოვნისათვის.

ეს ამბავი არ გამორჩენია მხედველობიდან პოლიციის თბილისის საგუბერნიო სამმართველოს. ნაძალადევის ქუჩებში ყოველ ნაბიჯზე დაწრწოდნენ ცხენზე ამხედრებული ჯარისკაცები, პოლიციელები, ჟანდარმერიის აგენტები. სადაც კი ერთად შეგროვილ ხალხს დაინახავდნენ, მაშინვე შლიდნენ. ოთხი-ხუთი კაციც რომ დაენახათ ერთად მიმავალი, აჩერებდნენ და მოუწოდებდნენ ცალ-ცალკე ევლოთ.

იმ ხალხში აუზის ქუჩის სარდაფის მუშებიც ერივნენ; მათ არც „ურწმუნო თომა“ ჩამორჩებოდა, ან რატომ ჩამორჩებოდა, როცა სხვაზე უკეთ იცნობდა ამბაკო დაუშვილს.

ივანე და ამბაკო მეგობრები იყვნენ, დღიდან მთავარი სახელოსნოების შექმნისა, ჩვიდმეტი წელიწადი ერთად ეწეოდნენ ჭაპანს. ამბაკო რაჭიდან გამოქცეოდა სიღარიბეს, ივანე — გარე კახეთიდან. პატივისცემით ეპყრობოდნენ ერთმანეთს და არ ახსოვთ როდისმე ერთიმეორისათვის ეწყენინებინოთ.

მაგრამ ერთ რამეში მაინც ვერ რიგდებოდნენ. ივანეს თავისი შეხედულებები ჰქონდა ცხოვრებაზე, ამბაკოს — თავისი. ამბაკო ყველაფერში უთანაგრძნობდა მუშებს და სწამდა, რომ თავისუფლების მოპოვება მხოლოდ და მხოოლდ ბრძოლის გზით შეიძლებოდა; ივანეს კი ხელი ჰქონდა ჩაქნეული ცხოვრებაზე და აღარაფერი აღარ სჯეროდა ამ ქვეყნისა.

— შენ რაჭველს არა გავხარო, — ხშირად ეტყოდა ხოლმე ივანე ამბაკოს, — რაჭველები დინჯი ხალხია, შენ კი ფიცხი ხარ, ყველაფერს ადვილად იჯერებო. რა შენი საქმეა, ამ ხალხის ფეხის ხმას რომ აჰყოლილხარო. ავადმყოფი კაცი ხარ, შენ ჯანმრთელობას მოუარე და ცოლ-შვილს მიხედეო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელმწიფეს შენ ვერ ჩამოაგდებ და ცხოვრებას ვერ შეცვლიო.

ამბაკოს ეცინებოდა ივანეს სიტყვებზე და ამ საკითხზე აღარ ეკამათებოდა, რადგან იცოდა ივანეს ვერასოდეს ვერ შეაცვლევინებდა თავის აზრს.

ამბაკო ბუნებით მართლაც ფიცხი იყო. გულთან ყველაფერი ადვილად მიჰქონდა. არ უნდოდა ამხანაგებს რაიმეში ჩამორჩენოდა სადაც ძნელი საქმე იყო, იქ ამოყოფდა თავს.

აგერ უკვე მეთერთმეტე დღე იყო, რაც გაფიცვები მიმდინარეობდა და ერთი წუთითაც არ მოცილებია მუშებს გვერდიდან. ყოველთვის მოწინავეთა რიგებში იდგა. შეტაკების დროს, მიუხედავად ფიზიკური სისუსტისა ერთ-ერთი პირველი მიეჭრა პოლიციელს. ხელიდან მათრახი გამოგლიჯა და სახეში გაანწა.

ივანე ჩანჩალით მისდევდა მუშებს უკან მწარედ დაფიქრებულიყო ამხანაგის ტრაგიკული სიკვდილით, მძიმედ განიცდიდა მის დაკარგვას.

„ვეუბნებოდი და არ დამიჯერა, — ამბობდა თავისთვის, — ჩემთვის რომ ყური ეგდო, ეს უბედურება არ დაემართებოდა. რა ეშველება ახლა მის საცოდავ ცოლშვილს, ამდენი ბავშვები მაინც არა ჰყოლოდა“.

უცბად ქვას ფეხი წამოჰკრა ფიქრებში ჩაძირულმა ივანემ და მიხოს რომ არ მისწყდომოდა, იმას რომ არ შეეკავებინა, პირქვე დაეცემოდა. მის წაფორხილებაზე მუშებმა უკან მოიხედეს და „ურწმუნო თომას“ გადახედეს. ივანეს ცრემლი დაკიდებოდა ლაწვზე.

მიხომ ამხანაგებს თვალით ანიშნა ივანეზე და დაბალი ხმით თქვა:

— თავისებურია ივანე, მაგრამ მაინც კარგი კაცია. ხედავთ, როგორ განიცდის ამხანაგის დაკარგვას? ჩვენ პატივი უნდა ვცეთ მას.

შაქრომ ნაბიჯი შეანელა და ივანეს მხარში ამოუდგა.

— ვინ დარჩა ამბაკოს, ძია ივანე? — ჰკითხა თანაგრძნობით.

ივანემ ცრემლი მოიწმინდა ხელის ზურგით.

— თავისავით ავადმყოფი მეუღლე და ხუთი შვილი!

— ბავშვები დიდები არიან?

— უფროსი თხუთმეტისა იქნება!

— ბიჭებია, თუ გოგოები?

— სამი ბიჭია, ორი გოგო!

— ყოფილხარ მის ოჯახში?

— როგორ არა! კაი კაცი იყო საწყალი, სულსა და გულს არ დაგიჭერდა.

— ეს ამბავი რომ არ ყოფილიყო, ოჯახს მოწყალების ფულს შევუგროვებდით, მაგრამ ახლა ყველა ქესატადაა, გამარჯვებას რომ მოვიპოვებთ და ჯამაგირს ავიღებთ, არც მაშინ იქნება გვიან.

— მადლი მოუვა.. — თქვა ივანემ.

ლაპარაკით გაიარეს შუა ნაძალადევი და გარეუბანში გავიდნენ. გამოჩნდა ამბაკოს ღარიბული ქოხიც ხევის პირზე, ხალხი ზღვასავით მისწყდომოდა და შესვლაზე ერთი ხორხოცი იდგა.

იმ ზღვა ხალხში ყველას ყურადღებას იპყრობდა ერთი მაღალ-მაღალი, ოდნავ მხრებში მოხრილი წარმოსადეგი რუსი, რომელსაც ხელში გაზეთში ფაქიზად შეხვეული წითელი მიხაკი ეჭირა. გრძელი, თეთრი ხალათი ეცვა, წელზე აბრეშუმის წვრილი, გრეხილი სარტყელი ერტყა, თავისი სიმაღლითა და ჩაცმულობით სულ განსხვავდებოდა იქ მყოფთაგან.

იგი განმარტოებით იდგა ამბაკოს ქოხის შესასვლელთან და ცნობისმოყვარეობით შესცქეროდა სამძიმარზე მისულ ხალხს. ალბათ ეუხერხულებოდა მარტოს შესვლა და უნდოდა ვინმე ნაცნობი ენახა.

დაკვირვებული თვალი ადვილად მიხვდებოდა, რომ იგი მარტოოდენ ვალის მოსახდელად არ იყო მოსული უსამართლობის წინააღმდეგ დაღუპული მუშის დაკრძალვაზე. შეხედვისთანავე შეატყობდით, რომ ამბაკო დაუშვილი მისთვის უცხო არ უნდა ყოფილიყო მის სიკვდილს ისევე ემოქმედა მასზე, როგორც ყველა შინაური განიცდის ხოლმე მახლობელი ადამიანის დაკარგვას. ამაზე მეტყველებდა ის სევდიანი იერი ,რომელიც ალბეჭდვოდა სახეზე.

ახალგაზრდა რუსმა, როგორც კი დაინახა მუშებს შორის ივანე გზირიშვილი, თვალები გაუბრწყინდა და ხელი დაუქნია, აქეთ მოდიო.

ამბაკოს ბედით ჩაფიქრებულმა ივანემ ყურადღება არ მიაქცია უცხო კაცს, ეგონა სხვას უძახისო. მერე, როცა დაკვირვებით შეათვალიერა იგი, იმ რუსივით მასაც სახე გაუბრწყინდა და გახარებული გაემართა შესახვედრად

ახლოს მისვლისას ივანე და ის ახალგაზრდა უცხო კაცი ისე გადაეხვივნენ ერთმანეთს მთელმა ხალხმა მათ დაუწყო ცქერა.

ეს იყო ალექსი პეშკოვი.

ამ რვა წლის წინათ პეშკოვი ათ თვეს მათთან მუშაობდა სამღებრო საამქროში. თავისი კეთილი გულით და ხასიათით ისე შეეთვისა და შეესისხლხორცა მუშებს, თვალში რომ ჩავარდნოდათ, ხელს არ მოისვამდნენ. უიმისოდ პურს არ გატეხდნენ და წყალს არ დალევდნენ.

რვა წელი იყო გასული, რაც ერთმანეთი აღარ ენახათ და მათ სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა.

პეშკოვმა ერთხელ კიდევ შემოხვია ხელი

ივანეს, სიყვარულით შეანჯღრია და ჰკითხა:

— როგორ ხარ, ძია ივანე, რამდენი ხანია აღარ გვინახავს ერთმანეთი.

— კარგად, გმადლობ, ამბაკო მოგვიკლეს, თორემ ჩვენ რა გვიშავს. შენ როგორ ხარ, რაც ჩვენგან წახვედი, ერთხელ აღარ გაგხსენებივართ!

— ვერა და ვერ მოვიცალე, ძია ივანე, — თქვა ბოდიშის მოხდით პეშკოვმა — აქ არ ვიყავი... ვერ წარმოიდგენთ, როგორ მომენატრებით ხოლმე სამღებრო საამქროს მუშები. რა დამავიწყებს თქვენთან გატარებულ დღეებს, იმ თბილ გულსა და კეთილ დამოკიდებულებას, ჩემს მიმართ რომ იჩენდით.

— დაგვივიწყე და ეგ არის! — ნახევრად საყვედური გამოურია „ურწმუნო თომამ" ხმაში, — მერე შეიძლება სულაც არ გვიკადრო.

პეშკოვს გაეცინა ამ სიტყვებზე. სიყვარულის ნიშნად კვლავ ხელი შემოხვია ივანეს მხარზე.

— ეს არ მოხდება, ძია ივანე, არ მოხდება. ჩემში თუ რაიმე კარგი და კეთილია, თქვენგან, მთავარი სახელოსნოების მუშებისაგან მაქვს ნასწავლი და შეთვისებული. გაძლევთ პირობას, რომ ეს არ მოხდება!

პეშკოვი გაჩუმდა, ჩაახველა და მცირე პაუზის შემდეგ ისევ განაგრძო:

— ძალიან მეწყინა ძია ამბაკოს ვერაგული სიკვდილი. რა დამავიწყებს იმ სითბოს და სიკეთეს, რომელსაც იჩენდა ჩემს მიმართ. გუშინ ჩამოვედი პეტერბურგიდან და დღეს ეს ამბავი შევიტყვე. აი, როგორც მხედავთ, მოვედი.

— ასე უნდა იყოს. ჩვენ სამღებრო საამქროს მუშები ვამაყობთ შენით, ვამაყობთ იმიტომ, რომ ჩვენი წრიდან ხარ გამოსული და აღიარებული მწერალი ბრძანდები არა მარტო საქართველოში, მთელ რუსეთში.

— ვეცდები თქვენი იმედები გავამართლო, — ურწმუნო თომას ალერსის ნიშნად ერთხელ კიდევ მოუთათუნა მხარზე ხელი.

— იყავი სამძიმარზე? — ჰკითხა ბოლოს პეშკოვმა.

— არა, ახლა მოვედი, შენ თუ იყავი?

— არც მე ვყოფილვარ, თქვენ გელოდებოდით, თქვენი ნახვაც მწყუროდა.

— შევიდეთ!

ივანე წინ გაუძღვა პეშკოვს და როგორც იყო, შევიდნენ შიგნით.

ფიცრის უბრალო შეულებავ კუბოში იწვა ამბაკო. გამხდარი, სანთელივით გაყვითლებული, ხელები გულზე დაეკრიბა და შეჭმუხნილი, სახით თითქოს პროტესტს უცხადებდა იმათ, ვინც მისი უდანაშაულო სიცოცხლე შეიწირა.

მის დამნახავ „ურწმუნო თომას" თვალებიდან ცრემლები წასკდა და უნებურად აქვითინდა, მაგრამ ხალხის შერცხვა და ისევ მალე შეიკავა თავი.

პეშკოვსაც აუწყლიანდა თვალები. მდუმარედ ჩაუარეს მეგობრის ცხედარს გვერდით და კარში გამოვიდნენ.

— რამდენს ვუშლიდი, შენი საქმე არ არის-მეთქი, რევოლუცია, — მიუბრუნდა ივანე პეშკოვს, — ქვეყანას ვერ შეცვლი და ხელმწიფეს ვერ ჩამოაგდებ-მეთქი, ავადმყოფი კაცი ხარ, მოუარე თავს და ცოლ-შვილს მიხედე-მეთქი. არ დამიჯერა. არ დამიჯერა და აი, რა დაემართა!

პეშკოვს ოდნავ გაეღიმა. არც გაჰკვირვებია მისი სიტყვები. კარგად ახსოვდა „ურწმუნო თომას" შეხედულება საერთოდ ცხოვრებაზე. ისევ ისეთი დარჩენილა, როგორიც დავტოვეო, გაიფიქრა და აღარაფერი უთქვამს

ხალხი თანდათან უფრო მოჯარდა, ამბაკოს შემოულობავმა კარმიდამომ ველარ დაიტია და ქუჩაში შეგუბდა. შეგუბდა და, იქაც რომ აღარ ეყო ადგილი, მეზობელ ქუჩებსაც მოედო.

ასეთი ხალხმრავლობა არასოდეს ახსოვდა არამც თუ გარე უბანს, თვით ნაძალადევსაც კი. ჯერ არავის ენახა კაცის დაკრძალვაზე, რანაირი მდგომარეობისაც არ უნდა ყოფილიყო ის, ამდენ ხალხს მოეყარა თავი.

უცბად ხალხში ჩოჩქოლი შეიქნა და ერთბაშად ყველამ ქუდები მოიხადა თავიდან. მუშებმა ამბაკოს ცხედარი გამოასვენეს ქოხიდან და წესისამებრ შუა ეზოში დაასვენეს.

სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა ირგვლივ. მთავარი სახელოსნოების რომელიღაც მუშა კუბოსთან მივიდა, თავი მდაბლად დახარა და მიცვალებულს გულის ამაჩუყებელი სიტყვით მიმართა:

— ძვირფასო ამბაკო, ჩვენო ჭირის მოზიარევ და თანამოსაგრევ, შეხედე რამდენი ხალხი მოსულა შენს გასაცილებლად. ესენი ყველა მთავარი სახელოსნოს მუშები არიან შენი ძმები, შენი მეგობრები, შენი ამხანაგები. შენ სიცოცხლე წაგართვეს იმისათვის, რომ მართალი სიტყვა უთხარი თვითმპყრობელობას, შენ წუთისოფელს გამოგასალმეს იმისათვის, რომ ხმა აღიმაღლე ადამიანური უფლებების მოსაპოვებლად. შენ სიცოცხლე დაგიხშეს იმისათვის, რომ მონობის უღლის გადაგდება სცადე კისრიდან. ეს არ გაპატიეს მტარვალებმა და სისხლიანი ხელი აღმართეს შენზე. მათრახი, რომელიც სახეში გააწანი პოლიციელს, ეს არ იყო მარტოოდენ პოლიციისაკენ მიმართული. ამით შენ სახეში გააწანი სილა თვითმპყრობელობას, ხელისუფლებას, მეფეს, ჩვენს მტრებს. შენ ამით დაუმტკიცე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავრობას, როგორი რეპრესიებიც არ უნდა მიიღოს ჩვენს მიმართ, გინდ გადაგვასახლოს, გინდ კატორღაში დაგვალპოს, თუ გინდაც სათითაოდ შენს გზას გამოგვაყოლოს, მაინც ვერ ჩაკლავს ჩვენს სულში თავისუფლებისათვის ბრძოლის წყურვილს. ჩვენ, მთავარი სახელოსნოების მუშები, შენი ძმები, შენი ამხანაგები ფიცს ვდებთ შენი ცხედრის წინაშე, რომ არც ერთი ჩვენთაგანი არ უღალატებს იმ რწმენას, იმ მიზანს, იმ იდეას, რომელსაც შენ შეეწირე.

ხალხი, დადუმებული რომ იდგა, უცბათ შეირხა, ზღვის ტალღებივით შეტორტმანდა, მუშებმა ამბაკოს კუბო ასწიეს და კუკიისაკენ გაუყენეს გზას.

პროცესია ერთ კილომეტრზე გაიჭიმა.

ამბაკო დაუშვილის დაკრძალვა მთავრობის საწინააღმდეგო დემონსტრაციად გადაიქცა.

* * *

კიდევ სამ დღეს ბობოქრობდა ნაძალადევი, კიდევ სამ დღეს არ ისვენებდნენ დეპოსა და მთავარი სახელოსნოების მუშები, ისინი ჯიუტად მოითხოვდნენ წაყენებულ მოთხოვნათა უკლებლივ დაკმაყოფილებას, მაგრამ მთავრობა ყურს არ იბერტყავდა, ერთი ნაბიჯითაც არ იხევდა უკან.

დაიწყო რეპრესიები, ჯარი, პოლიცია და ჟანდარმერია თავს ესხმოდნენ ამბოხებულებს თოფის კონდახებით და მათრახებით უმასპინძლდებოდნენ, იჭერდნენ, აპატიმრებდნენ მოწინავე მუშებს, ვისზედაც კი ოდნავ ეჭვს მიიტანდნენ. ციხეები გაივსო პატიმრებით, ადგილი რომ არ ყოფნიდათ, შორეულ რუსეთში აგზავნიდნენ.

მეფის ჯარების ბარბაროსულმა ჩარევამ მხეცურმა დარბევებმა, შიმშილმა და მასობრივმა დაპატიმრებებმა, აიძულეს მუშები სამუშაოს დაბრუნებოდნენ.

გაფიცვა შეწყდა, მაგრამ უშედეგოდ მაინც არ ჩაუვლია. ხელისუფლება იძულებული გახდა სერიოზული დასკვნები გაეკეთებინა და რამდენიმე დღის შემდეგ მუშათა მოთხოვნები ნაწილობრივ დაეკმაყოფილებინა.

ასე დამთავრდა რკინიგზის სახელოსნოებისა და დეპოს მუშების ეს გრანდიოზული გაფიცვა, რომელიც ორი კვირის განმავლობაში მთელს თბილისში და ამიერკავკასიის რკინიგზებზე მძვინვარებდა.

მთავარი სახელოსნოს მუშებიც ძალაუნებურად შეურიგდნენ თავიანთ ბედს. მართალია, როგორც შარშან, ახლაც ამ გაფიცვაში დამარცხდნენ და სრულად ვერ მიაღწიეს იმ სანადელს, რასაც მოითხოვდნენ, მაგრამ იმედს მაინც არ კარგავდნენ, რომ მომავალში აუცილებლად მოუგრეხდნენ მთავრობას კისერს.

* * *

მიხო მეტეხელი ხმელსიმონას [illegible] ახალ ჩოხა-ახალუხში გამოწყობილიყო, წელზე კოლა ორბელიანის ნაჩუქარი ქამარ-ხანჯალი შემოერტყა, თმები ლამაზად შეეკრიჭა, პირი გაეპარსა და ბორჯომის მატარებლის კუპეში, თავადიშვილურად გაჭიმული, სოფლისაკენ გულაძგერებული მიჰქროდა.

დღეს მარიამობა იყო მეტეხში, დიდი დღეობა. ღვთისმშობლის ტაძრის ფართო გალავანი ახლა უკვე ხალხით იქნებოდა სავსე. მიხოს ერთი სული ჰქონდა როდის ჩავიდოდა სოფელში.

უკვე თვე ხდებოდა, რაც მშობლიური კერაზე ფეხი აღარ დაუდგამს. თუმცა ნინოზე ფიქრი მოსვენებას არ აძლევდა, მაგრამ საგაფიცვო მოძრაობამ ისე გაიტაცა, ვერა და ვერ გამონახა დრო ერთ სალამოს მაინც ჩასულიყო და ენახა ის, ვინც საკუთარ სიცოცხლეს ერჩია.

ახლაც, ფიქრებში ჩაძირულს, ის წუთები უდგა თვალწინ, უკანასკნელად რომ შეხვდა ნინოს, წყაროს უკან, დიდი კაკლის ხის ქვეშ. თითქოს ყურში ჩაესმოდა მისი ჩურჩული: დათა მოსვენებას არ გვაძლევსო, კაცს კაცზე გვიგზავნის და მშობლებს ჩემს თავსა სთხოვსო, თანხმობა რომ მივცე, დღესვე დამნიშნავენ დათაზეო.

უსიამოვნოდ შეაჟრჟოლა მიხოს, ღრმად ამოისუნთქა. უნებურად ლოტკინის გორა გაახსენდა, თავის საკარმიდამო ნაკვეთი, სადაც პატარა ქოხი უნდა ჩაედგა და იმ ქოხს უნდა გადაეწყვიტა ნინოსთან მისი შეუღლების ამბავი.

აგერ, სექტემბერმა კარზე მოუკაკუნა და სახლის აშენებას არც თავი უჩანდა, არც ბოლო. ეს თვე ისე გაეპარა თვალსა და ხელს შუა, ერთხელაც არ გახსენებია. ანდა როგორ გაახსენდებოდა, როცა სულ სხვა ამბებით იყო გატაცებული და ამბოხებული მუშების გვერდით ვაჟკაცურად იბრძოდა უსამართლობის დასათრგუნავად.

ახლა კი, აუცილებლად უნდა მივხედო ჩემს საქმეს, — თქვა მიხომ გუნებაში, — უკან რომ დავბრუნდები, იმ საჭირო წვრილმანსაც მოვიმარაგებ, რომელიც მაკლია მშენებლობისთვის, მერე შევყრი ბიჭებს და როგორმე ავაშენებ. მეორე დღეს კი წავალ სოფელში, გამოვიტაცებ ნინოს და... მდიონ მერე უკან დათამაც და ნინოს მშობლებმაც.

ისე მიუახლოვდა მატარებელი მეტეხის სადგურს, არც გაუგია. ვაგონიდან რომ გადმოვიდა და მშობლიურ ველ-მინდვრებს მოავლო თვალი, შვება იგრძნო. არემარე სიმწვანეში იყო ჩამჯდარი, ასე ეგონა მთელი წელი არ ენახა იქაურობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნებურად მაღლობზე წამომდგარმა ღვთისმშობლის ეკლესიამ მოსტაცა თვალი. ეს ვეება ტაძარი ამაყდ გადმოსცქეროდა გაუვალი ჭალებით დაფარულ მტკვრის ხეობას და მის გუმბათიდან ასხლეტილი მზის სხივები მიხოს პირდაპირ თვალებს სჭრიდა.

გალავანში ხალხი უკვე დამდგარიყო და მრავალ ადგილას ცეკვა-თამაში გაეჩაღებინათ. ზურნისა და დოლგარმონის საცეკვაო მელოდიები ერთმანეთში ირეოდა და შორიდან სკანაყარ ფუტკრის ზუზუნივით მოისმოდა.

ყოველივე ამის დანახვაზე და გაგონებაზე მიხოს სიხარულით გული შეუქანდა. ისეთი განწყობილება დაეუფლა, თითქოს ახლა მოევლინა ამ ქვეყანასო, ნაბიჯს მოუჩქარა და მოკლეზე გადასჭრა გზა. ერთი სული ჰქონდა, როდის შეუერთდებოდა თანასოფლელებს.

სულმოუთქმელად აიარა მეტეხის გრძელი ალმართი და გულაძგერებული ღვთისმშობლის ეკლესიის გალავნის მთავარ შესასვლელს მიადგა. გალავნის ერთ მხარეს, კედლის გარეთ, უწესრიგოდ ჩახერგილიყო შორი სოფლებიდან მოსულ მლოცველთა ჩარდახიანი ურმები, მეორე მხარეს, გზის გაყოლებით, გორიდან და ცხინვალიდან ჩამოსულ ებრაელებს ფიცრებისაგან სახელდახელო დახლები გაეწყოთ მთელს სიგრძეზე, ზედ ათასნაირი საწვრილმანო გაეფარჩავებინათ და ვაჭრობა გაეჩაღებინათ.

გალავანში ხალხის ტევა არ იყო, ყოველ ნაბიჯზე ცეკვა-თამაში გამართულიყო და კაცს შესვლა უჭირდა. საკმაოდ დიდი, ფართო გალავანი ველარ იტევდა ახლო-მახლო სოფლებიდან მოზღვავებულ ხალხს.

ის იყო მიხო შიგნით უნდა შესულიყო, რომ გალავანს მაყრიონი მოადგა, მათ წინ მოუძღოდათ საქორწილო ტანსაცმელში გამოწყობილი ნეფე-დედოფალი, ქალს საგანგებოდ ნაყიდი აბრეშუმის თეთრი კაბა ეცვა, ძველებურ ყაიდაზე შეკერილი და გულამოქარგული. თავზე გამჭვირვალე თეთრი ლეჩაქი ეხურა. ბიჭს კი უბრალოდ შეკერილი გლეხური ჩოხა-ახალუხი ეცვა. ეტყობა, ჯვრის დასაწერად მიდიოდნენ ეკლესიაში. მათ თან წამოყოლოდათ მექორწილეები და დაკვრით, სიმღერის გუგუნითა და მხიარული წამოძახილებით მთელი სოფელი მოჰქონდათ თან.

მიხო განზე გადგა და უნებურად მაყრიონი შეათვალიერა. სახტად დარჩა. აბრეშუმის თეთრ კაბაში გამოწყობილ დედოფალში ნინო შეიცნო, გლეხურ ჩოხა-ახალუხში კი — დათა.

თვალთ დაუბნელდა, რაღაცა ძალამ თავში ჩაქუჩივით დაჰკრა და ფეხის თითებამდე გაჟონა წაბარბაცდა და გალავნის კედელს რომ არ მიჰყუდებოდა, წაიქცეოდა.

გონზე რომ მოვიდა, მაყრიონი უნებურად ხელახლა შეათვალიერა. ნინო ლოგინიდან ახლად ამდგარ ავადმყოფს დამსგავსებოდა. სახე გაფითრებოდა, თვალები გაშტერებოდა, არც აქეთ იყურებოდა, არც იქით, გაოგნებული ძლივს ადგამდა ნაბიჯებს, თითქოს ვერ გაეგო რა ხდებოდა მის თავზე. დათას კი მაგრად ჩაეკიდა ხელი, თითქოს იმის შიშით, არ წაიქცესო და თითქმის ძალის-ძალით მიჰყავდა ეკლესიაში ჯვრის დასაწერად.

ისევ ჩაუარეს მიხოს გვერდით, არც გამოუხედავთ მისკენ, გალავანში შევიდნენ და პირდაპირ ეკლესიისაკენ გასწიეს. ხალხი გზას უთმობდა ახლად შეუღლებულებს.

ერთხანს ადგილზე გაშეშდა მიხო. მოეჩვენა, თითქოს ზეცა ჩამოინგრა და რაც მაღლა ვარსკვლავები იყო, თავზე ჩამოექცა.

ძალა მოიკრიბა, გამაგრდა, გაქვავდა. უნებურად აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედა, მაგრამ ვერაფერი დაინახა, ვერაფერი გაარჩია. მის წინ ყველაფერი ჯარასავით ტრიალბედა და ყველაფერს ფორმა ჰქონდა დაკარგული.

როგორც იყო, გონება მოიკრიბა და ნელნელა დაუბრუნდა ცნობიერება. მიწასთან გასწორებულად იგრძნო თავი. ისე მოეჩვენა თითქოს რაც გალავანში ხალხი იყო შეკრებილი, ყველა მას მისჩერებოდა და დასცინოდა.

სწრაფად მოსწყდა ადგილს, გვერდით ჩაუარა გალავნის კედლის ძირას უწესრიგოდ ჩახერგილ ჩარდახიან ურმებს, თავქვე დაეშვა ისე, რომ ერთხელ არ გახსენებია საკუთარი ოჯახში, მშობლები, და-ძმა, დაბურულ ჭალებს შეერია და ვერც კი გაიგო, როგორ მიადგა მტკვარს.

მდორედ მიიკლაკნებოდა ანკარა მდინარე თავქვე. მისი ტალღები დგაფუნით აწყდებოდნენ კალაპოტს და ხავსმოკიდებულ ნაპირებს ლოკავდნენ.

მიხო ტირიფის ქვეშ, ფლატეზე ჩამოჯდა. იდაყვები მუხლის თავებზე დააყრდნო, თავი ხელებშუა ჩარგო, მთელი სიცხადით წარმოუდგა ის მძიმე, გამოუვალი მდგომარეობა. რომელშიაც უსამართლო ცხოვრებამ მოაქცია და ატირდა. ატირდა თავის სიცოცხლეში პირველად.

კარგა ხანს იჯდა მიხო ფლატის პირზე კარგა ხანს იოხებდა გულს. ებრძოდა მოძალებულ ფიქრებს, ბოლოს, როგორც იყო, ცოტაოდნავ დაწყნარდა, დამშვიდდა, ზეზე წამოდგა და მზეს ახედა. მზე არა ჩანდა. ატეხილ ჭალებს დაეფარა მზეც და მეტეხის ხედიც. აღარც ცაში ატყორცნილი ღვთისმშობლის ტაძარი მოჩანდა, მხოლოდ დოლგარმონის ერთმანეთში არეული საცეკვაო მელო-

დიების ფუტკრისებური ზუზუნი მოჰქონდა ნიავს და მიხოს სასიამოვნო ყრუოლას ჰგვრიდა.

ზურგი შეაქცია სამხრეთს და ჩრდილოეთით განოლილ მთაგრეხილებს გახედა. მის გადმოლმა, აშურიანის ველზე, გველეშაპივით მიიკლაკნებოდა რკინიგზა.

მიხო ერთხანს დუმილით გაჰყურებდა ლიანდაგს, ოქროსფრად მოლივლივე აშურიანის ველს, რუხ მთაგრეხილებს, მერე ალმა აჰყვა მტკვარს, იმ ადგილას შეჩერდა, სადაც ქალა იყო გამეჩხერებული და ცას ახედა.

მზე შუადღის სასწორს შუბის ტარზე გადასცილებოდა. სწორედ ის დრო იყო, ბორჯომიდან დილით გამოსული ტივები მეტეხზე რომ ჩამოივლიდნენ ხოლმე. რალა სადგურზე გავიდე და მატარებელს საღამომდე ველოდო, ბარემ აქ დავიცდი და ტივს გავყვებიო, გაიფიქრა და მდინარის ნაპირზე ჩაიმუხლა. წყალი შეისხა სახეზე, გახურებული შუბლი გაიგრილა და გული გასკდომაზე რომ ჰქონდა, ოდნავ დაუამდა.

არ გაუვლია ნახევარ საათს, რომ ტივები მართლაც გამოჩნდნენ მტკვარზე. ისინი შორიახლო მოჰყვებოდნენ ერთიმეორეს. მეტივეები დინჯად უსვამდნენ ორთაყვირს და წყლის დინებას თავისუფლად მოჰყვებოდნენ.

მეწინავე ტივზე მიხომ ზემოხანდაკელი ილა სამხარაძე იცნო. ბრგე, ახოვანი, ქერა სახის ლამაზი ვაჟკაცი გემის კაპიტანივით იდგა წინა ორთაყვირთან, სახე ფართოფარფლებიანი ქილის ქუდით დაეჩრდილა და შუბლშეჭმუხნილი გასცქეროდა მტკვარს. ბოლო ორთაყვირთან კი ახალბედა ბიჭი იდგა და ნება-ნება უსვამდა ნიჩაბს.

ილას დანახვამ მიხოს ერთგვარი სიხარული მოჰგვარა. ილა უაღრესად კეთილი, პატიოსანი, ამხანაგების მოყვარული ბიჭი იყო და მეტივეებში პატივისცემით სარგებლობდა. ჭიდაობაც უყვარდა და შიგადაშიგ როცა მოიცლიდა, ცირკშიც გამოდიოდა საჭიდაო არენაზე.

რაც მიხომ მეტივეობას თავი დაანება, ილა ალარსად შეხვედრია. ამიტომაც იყო, მის დანახვაზე, გულში სითბო რომ იგრძნო. შორიდანვე ანიშნა ხელით — ნაპირზე მოაყენეო. ილამაც არ დაახანა, მარჯვნივ მოუსვა ორთაყვირი. ტივმა მიმართულება შეიცვალა და სადაც მიხო იყო გაჩერებული, ნაპირს მიადგა.

— მიხო შენა ხარ, ბიჭო? — გაკვირვებით, თანაც ალტაცებით წამოიძახა ილამ და ხელი ჩაუწოდა, — ამოხტი სწრაფად, წყალში არ ჩავარდე.

მიხომ ხელი ჩაკიდა ილას და ტივზე ახტა.

ახტა და დიდი ხნის უნახავმა მეგობრებმა ერთმანეთი ძმებივით გადაკოცნეს.

— ვის ელოდები აქ? — ილამ თავით-ფეხამდე შეათვალიერა მიხო.

— მოკლეზე მინდოდა გადმოჭრა, ბილიკი ამერია და ამ დაბურულ ჭალაში გამოვედი. თბილისში მოვდივარ. ახლა მატარებელი არაა და ვიფიქრე, მეტივეებს წავყვები მეთქი, — იცრუა მიხომ.

— თბილისში რა გინდა, ბიჭო, ამ გახურებულ მარიამობა დღეს, მეტეხელი კაცი ახლა მამაპაპურ ქეიფს დატოვებს?

— ეხ, ჩემო ილა... — ამოიოხრა მიხომ,— ქეიფში რომ დარჩე, უნდა გიხაროდეს...

— მერე რა გაქვს სადარდებელი, ცოლი შენ არ გიტირის და შვილი...

— ამ დასანგრევ ქვეყანაში განა არის კაცი, რომ არაფერი აწუხებდეს?

— დასანგრევი რომ არის, შენზე ადრე ვიცი, ჩემო მიხო. გეტყობა კაი ადგილას მუშაობ, ასეთ ჩოხა-ახალუხში რომ გამოწყობილხარ. მარტო ეგ ქამარ-ხანჯალი ღირს ერთ რამედ. მითხარი რას საქმიანობ, იქნებ მეც დავანებო მეტივეობას თავი და შენთან წამოვიდე, თორემ მომკლა ამ მტკვარზე წონიალმა, ფეხებში რევმატიზმი გამიჩნდა და მაწუხებს.

— მთავარ სახელოსნოებში ვმუშაობ, იქ მუშაობა შენ არ გამოგადგება. ფულის გაკეთების მხრივ განა არ იცი, რომ მეტივეები სხვასა სჯობნიან?

— ვიცი, ჩემო მიხო და იმიტომაც დავეთრევი ძაღლივით. რა ქენით, რით გათავდა თქვენი გაფიცვები?

— ისე არ გათავდა, როგორც ჩვენ გვინდოდა. მაგრამ მოიცა, სად წაგვივლენ ეგ სისხლის მსმელები! — ჯავრიანად ამოთქვა მიხომ ბოლო სიტყვები.

ილამ ტივი ისევ შუაგულ მტკვარში შეაცურა და საუბარი განაგრძეს:

— როგორ უნდათ ჩვენ ბიჭებს შენი ნახვა, სულ იმას გაიძახიან ერთხელ ვერსად შევხვდითო. ახლა რომ ჩავალთ თბილისში, ნახე იმათი სიხარული.

ილა შეტრიალდა და ასიოდე ნაბიჯით რომ მოსდევდა უკან ტივი, მეტივეს მაღალი ხმით შესძახა:

— ეი, ვანოო... გასძახე ბიჭებს, მიხო მეტეხელი მოდისთქო ჩვენთან ერთად, მიხო მეტეხელი...

— რაო, მიხო მეტეხელიო?! — ექოსავით მოესმა ილას ვანოს ხმა.

— ხო, მიხო მეტეხელი მოდის ჩვენთან, გააგებინე ბიჭებს...

ვანომ მომდევნო ტივის მეტივეებს გასძახა, იმათ კიდევ თავის მომდევნოებს, იმ მომდევნოებმა სხვას და მალე ერთ კილომეტრ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზე ჩარიგებულ ტივებზე ყვირილი და შეძახილები ატყდა. მეტივეები ქუდების ქნევით ესალმებოდნენ შორიდან მიხოს. მიხო ხელს უქნევდა მათ.

მზე ჩასვლას იყო, მცხეთაში რომ ჩავიდნენ. დაბინდებისას მადათოვის კუნძულს მიადგნენ. კუნძულზე რამდენიმე ადგილას ცეცხლი ენთო და დღესავით იყო გაჩახჩახებული იქაურობა.

ილამ ტივი კუნძულის ყურეს მიაყენა, ბაგირი ჩაუგდო და მიხოს უთხრა: გადავიდეთ, ბიჭებს დაველოდოთ და მერე პატარა პური შევჭამოთ, თორემ შიმშილით თავი მტკივაო.

მიხოს ახლა გაახსენდა, რომ დილას აქეთ ლუკმა არ ჩაედო პირში.

მადათოვის კუნძულზე გახურებული მუშაობა იყო გაჩაღებული ყოველ ნაბიჯზე სამხერხაოები იყო მოწყობილი. სამხერხაოების გვერდით ერთმანეთში აჩხირული მორების გროვები მოჩანდა. სახერხი დაზგების ღრჭიალი და ხალხის საქმიანი ფუსფუსი არ წყდებოდა დღედალამ.

ილა და მიხო ტივიდან გადმოვიდნენ. ორიოდე ნაბიჯი გაიარეს და იქვე ხეების გროვასთან შეჩერდნენ. უფრო სწორად, ილამ შეაჩერა მიხო.

— ცოტახანს ჩამოვსხდეთ, ჩვენი ბიჭებიც მოაყენებენ ტივებს და მერე ერთად წავალთ პურის საჭმელად, — უთხრა მან და მთელ დღეს ზეზე დგომით დაღლილ-დაქანცული მძიმედ დაეშვა მორზე.

მიხოს ხმა არ ამოუღია, თუმცა ახლა განმარტოებით ყოფნა ყველაფერს ერჩია, მაგრამ ილას ხათრი ვერ გაუტეხა. მას შემდეგ, რაც მეტივეობას თავი მიანება და მთავარ სახელოსნოებში დაიწყო მუშაობა, მადათოვის კუნძულზე ფეხი არ დაუდგამს და ალარც თავის ძმაკაცებს შეხვედრია. უნებურად თვალწინ წარმოუდგა მეტივეობაში გატარებული წლები, ის წუთები, როცა ტივების ჩამოტანის შემდეგ ერთად შეიყრებოდნენ ხოლმე ბიჭები და არაადამიანური შრომით ქანცგაწყვეტილნი ხან ტილიპუჭურას, ხან ქოსების დუქნებში, ხანაც აქ, მადათოვის კუნძულზე, მყუდრო ადგილას, მორების გროვების გვერდით, ცეცხლის პირას გაშლიდნენ სახელდახელო პურმარილს და სუფთა კახურით იქარვებდნენ ცხოვრებისაგან მიყენებულ ტკივილებს.

ფიქრებში ჩაძირულმა მიხომ ვერც კი გაიგო როგორ მოადგა კუნძულს ტივების ქარავანი.

* * *

მეტივეები მიხოს სიხარულით შემოეხვივნენ გარშემო, სათითაოდ ესალმებოდნენ, ჰკოცნიდნენ, ათას რამეს ეკითხებოდნენ, ბოლოს საპატივსაცემოდ რესტორანში ქეიფი შესთავაზეს, მაგრამ მიხომ უარი უთხრა: — რესტორანში ან რომელიმე დუქანში ქეიფს აი, აქ, ამ მორების გვერდით, თათარიახნად პურმარილის გაშლა სჯობიაო.

მაშინვე გავარდნენ ბიჭები და მცირე ხნის შემდეგ მახლობელ დუქნიდან ღვინო, თევზეული, სამწვადე ხორცი და სხვა საჭმელები მოარბენინეს.

ილა სამხარაძემ ცეცხლი დაანთო, ბიჭებმა ხის შამფურები გამოთალეს, ზოგმა ხორცი დასჭრა და შამფურებზე აასხა, ზოგმა პური, ზოგიც ფიცრებისაგან დასაჯდომს მართავდა. ერთი სიტყვით, ყველამ გაინაწილა საქმე, როგორც სჩვეოდათ ამისთანა დროს, და სახელდახელო პურმარილიც მალე მზად იყო.

ბიჭები სუფრას შემოუსხდნენ და მიხო შუაში ჩაისვეს. ცეცხლზე აშიშხინებულმა მწვადმა ჭამის სალერღელი აუშალა ისედაც მთელი დღის უსმელ-უჭმელ მეტივეებს, თამადად ილა სამხარაძე დაყენეს და მადიანად მოიქნიეს ყბა.

ილამ პირველად მიხოს სადღეგრძელო ასწია. მეტივეებმაც ასწიეს თავიანთი საყვარელი ძმაკაცის სადღეგრძელო. ყველამ ერთად მიულოცა ის დიდი გამარჯვება, რომელიც მოიპოვა მან ქართული ჭიდაობის სარბიელზე, მაგრამ რა იცოდნენ მეგობრებმა, რომ სიყვარულში ისეთივე დიდი დამარცხება მიხოს ახლა ცეცხლს უკიდებდა გულზე და მისი გამოსწორება არლარა ძალას შეეძლო.

შუაღამეს გადაცილებული იქნებოდა რომ დაიშალნენ. მიხომ მადლობა გადაუხადა მეტივეებს, აღუთქვა, რომ არ დაივიწყებდა მათ, კიდევ ინახულებდა მადათოვის კუნძულზე, მერე სათითაოდ გამოემშვიდობა, გადაკოცნა და ნაძალადევისაკენ გასწია.

კმაყოფილი იყო მეტივეებთან შეხვედრით. მათთან გატარებულმა ღამემ ერთგვარი შვება მოჰგვარა სიყვარულით გაწბილებულ, სულიერად აფორიაქებულ ჭაბუკს. ესენი რომ არ შემხვედროდნენ, არ ვიცი რა დამემართებოდა, ალბათ გასკდებოდა ეს გულიო, ამბობდა გუნებაში და ცოტაოდნად დაწყნარებული წელი ნაბიჯით მიუყვებოდა მოლოკნებით დასახლებულ უბანზე მიმავალ ქუჩას.

აუზის ქუჩის სარდაფს რომ დაუახლოვდა, ორივე კარი ღია დახვდა. სარდაფიდან ლამპის მკრთალი სინათლე გამოდიოდა. ბიჭებს არა სძინავთო, გაიფიქრა და ფილაქნის საფეხურებს ფრთხილად ჩაჰყვა.

მუშები მართლაც ზეზე დახვდნენ მიხოს, მაგრამ მათ გაფითრებულ, დამწუხრებულ სახეებს რომ შეავლო თვალი, გული უცებ შეუკრთა და მისალმების ნაცვლად აღელვებულმა მიმართა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა თავპირი ჩამოგტირით, რა მოხდა?!

მუშები დუმილით შეხვდნენ.

— გამაგებინეთ-მეთქი, რაშია საქმე, არ გესმით? — ხმას აუწია მიხომ.

— რაღა რა მოხდა, — მძიმედ ამოიკვნესა ურწმუნო თომამ, — ამ ერთი სათის წინ ოხრანკა დაგვესხა თავს და ჩვენი ბიჭები დააპატიმრეს.

— ვინ ბიჭები, კაცო, რას მეუბნები! — თითქმის ყვირილით წამოიძახა მიხომ.

— ჯაჯანაშვილი, ბალამწარაშვილი, მამალაძე...

— რას მეუბნები!... — ბოლო სიტყვა ტუჩზე შეეყინა მიხოს, სახტად დარჩა, მხრები დაბლა ჩამოუცვივდა და დადუმებულ მუშებს გადახედა.

— კიდევ კარგი, აქ არ იყავი, თორემ შენც დაგიჭერდნენ, — აღმოხდა ვიღაცას.

— ბეწვზე გადარჩი...

— ცოტა ადრე რომ მოსულიყავი, დაპატიმრება არ აგცდებოდა... — ახლა თითქმის ერთხმად ალაპარაკდნენ მუშები.

— თავს უნდა უშველო, — მიმართა ისევ ურწმუნო თომამ, — პოლიცია გამწარებით დაგეძებს და თბილისში შენი გაჩერება არ შეიძლება, უნდა გადაიკარგო სოფელში.

— დამეძებს? — თვალები გაუფართოვდა მიხოს, — პოლიციამ რა იცის მე ვინა ვარ?

— იცის, პოლიციამ ყველაფერი იცის. ბარე ათჯერ გვკითხეს მიხო მეტეხელი რომელი ხართო. რომ ვუთხარით, აქ არ არისო, არ გვიჯერებდა: გვატყუებთო, გვიმალავთო... შენს მაგივრად კინაღამ გიგა წაიყვანეს...

— ჰო მაგრამ, გაფიცვის დღეებში ხელი არ უხლიათ ჩვენთვის, ახლა გავახსენდით?

— ყველას ხომ ვერ დააპატიმრებდნენ. ეს უფრო დიდ არეულობას გამოიწვევდა. პოლიციამ იცის ვინ როდის დააპატიმროს. ახლა ყველაფერი რომ დაწყნარდა, ჩუმ-ჩუმად კენკავს ვისზედაც კი ეჭვი აქვს მიტანილი.

მიხო ჩაფიქრდა. მუშებიც გაჩუმდნენ. წამით სამარისებურმა დუმილმა მოიცვა სარდაფი. ეს დუმილი ბოლოს ისევ ურწმუნო თომამ დაარღვია.

— აი ამას ვამბობდი თავიდანვე, — დაიწყო მან, — რომ ეს არეულობა კარგ არაფერს მოგვიტანდა; რომ ისევ ჩვენს თავზე გადატყდებოდა კეტი და, აი კიდევაც გადატყდა.

მიხომ ღრმად ამოიოხრა. აღარაფერი უთქვამს. სათითაოდ გადაკოცნა მუშები, დაემშვიდობა და სწრაფად დატოვა აუზის ქუჩის სარდაფი.

მიდიოდა მიხო ქუჩაში, მიდიოდა გამშრალი, გაფითრებული, აფორიაქებული, მიდიოდა ცალკე უიმედო სიყვარულით განბილებული, გულმოკლული, ცხოვრებაზე ხელჩაქნეული, ცალკე ამხანაგების დაპატიმრებით გაოგნებული, აფორიაქებული, რომ იტყვიან, ნახევრად მკვდარი...

მიდიოდა და თვითონაც არ იცოდა, სად უნდა წასულიყო, ვის უნდა მისდგომოდა, რა გაეკეთებინა...

ცალკე ნიკო გოცირიძის ბედი აფიქრებდა მიხოს. — ჩემი ამბავი თუ შეიტყო პოლიციამ და დასაჭერად დამდევს, ნიკოს ამბავიც ხომ ეცოდინება, ისიც ხომ არ დააპატიმრესო, ამბობდა გუნებაში. ერთი სული ჰქონდა შეეტყო რა დღეში იყო ნიკო.

მთავარ სახელოსნოებში ველარ მივიდოდა ამბის გასაგებად. ერთხანს განიზრახა არტემას დუქანთან გაჩერებულიყო, იქნებ ვინმე იქ ენახა სამღებრო საამქროდან, რომელიც გააგებინებდა ნიკოს ამბავს, მაგრამ ეს აზრი მაშინვე უარყო. მან კარგად იცოდა, რომ აგენტებით იყო სავსე მთელი რკინიგზა — ე მანდ არავის გადავეყარო და მეც არ დამიჭირონო, გაიფიქრა, აღარ იცოდა როგორ მოქცეულიყო.

ძია სიმონასთან გავალ და ის ყველაფერს მეტყვისო, — დაასკვნა ბოლოს, მაგრამ ეს აზრიც უმალ უარყო, — უმჯობესია ჯერ ბინაზე მივაკითხო, ნიკო თუ არა, დედა ხომ იქნება შინ. მას ეცოდინება შვილის ამბავი, თუ ისიც არ დამხვდა, მაშინ პირდაპირ ძია სიმონას მივაკითხავო.

სადგურის მოედანზე რომ გავიდა, მთავარი სახელოსნოებიდან მაშინ იგრგვინა საყვირმა. ექვსის ნახევარი გამხდარიყო. „კონკაზე“ დაჯდა, ვორონცოვის მოედანზე ჩამოვიდა და გეზი ანჩისხატის უბნისაკენ აიღო.

სახლი დაკეტილი დახვდა მიხოს. ცუდად ენიშნა ეს ამბავი. უკან გამობრუნდა, წმინდა გიორგის პატარა ეკლესიას გვერდით გაუარა, თამამშევის ქარვასლას მიადგა და ხმელსიმონას სამკერვალო დუქნის კარი სულმოუთქმელად შეაღო.

დუქანში სიმონასთან ერთად, ნიკო დახვდა. გაუხარდა, შეკუმშული გული გაეხსნა. ნიკომ როგორც კი დაინახა მეტეხელი, სიხარლით სკამიდან წამოვარდა და ისეთი სიყვარულით გადაეხვია, თითქოს დიდიხნის უნახავი ძმა ყოფილიყოს.

— როგორ ხარ, ბიჭო, რამ მოგიყვანა ასე დილა ადრიანად? — გაკვირვებით ჰკითხა ნიკომ და მეგობარს თვალებში ჩააცქერდა.

— შენ როგორა ხარ, სამუშაოზე რატომ არ წასულხარ?

— შეუძლოთ ვიყავი და ვერ წავედი, ცუდი ამბავი ხომ არაფერია?

— წუხელ, გათენებისას ჩვენს სარდაფს პოლიცია დასცემია და მუშები დაუპატიმრებიათ

— ვინ მუშები, კაცო?! — თითქმის ყვირილით წამოიძახა ნიკომ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჯაჯანიშვილი, ბალამწარაშვილი, მამალაძე.. ოთხი კიდევ სხვა. სულ შვიდი კაცი წაუყვანიათ ჩვენი სარდაფიდან.

— რას მეუბნები!... — მძიმედ აღმოხდა ნიკოს, — მერე, შენ იქ არ იყავი?

— იქ რომ ვყოფილიყავ, მეც გამაბამდნენ თურმე პოლიცია გამწარებით დამეძებს.

— გადარჩენილხარ, ბიჭო! სად იყავი?

— სოფელში ვიყავი. მარიამობა დღე იყო გუშინ, მაგრამ დიდხანს არ გავჩერებულვარ გუშინვე გამოვყევ ტივს. მეტივეებმა აღარ გამომიშვეს და წუხელს, მთელ ღამეს, მადათოვის კუნძულზე ვქეიფობდი. დილით, რიჟრაჟზე სარდაფში რომ მივედი, ეს ამბავი დამხვდა. ახლა იმიტომ მოგაკითხე ასე დილაადრიანად, შენი ჯავრი მაწუხებდა.

— არა მგონია პოლიციამ ჩვენი ამბავი იცოდეს, — დაბეჯითებით თქვა ნიკომ, — ის რომ იცოდნენ, დროშებზე მარქსისა და ენგელსის პორტრეტებს ვხატავ, პირველ რიგში ჩემზე მოიტანენ იერიშს. აქამდე ცხრაჯერ დამეცემოდნენ ღამით სახლში და დედაბუდიანად აგვაქოთებდნენ, მაგრამ პოლიციამ არ იცის ეს. გაფიცულთა თავყრილობაზე სიტყვით რომ გამოხვედი, მთავრობის მოხელეებს რომ შეეკამათე, მე მგონი ეს იმის შედეგია.

— შეიძლება... — დაეთანხმა მიხო, — ამხანაგებმა გამაფრთხილეს, შენი აქ გაჩერება არ შეიძლებაო, სოფელს უნდა შეაფარო თავიო

— რა თქმა უნდა, მთავარ სახელოსნოებში ველარ იმუშავებ! — დანანებით თქვა ნიკომ

— მეტეხში კი მე ველარ ჩავალ... — ამოიგმინა მიხომ, — ალბათ ისევ ძველ ხელობას დავუბრუნდები.

— რატომ, ბიჭო?

მიხო მოკლედ მოუყვა თავის ამბავს.

ხმელსიმონა, რომელსაც საკერავი მიეგდო გვერდით და ხარბად უსმენდა მათ საუბარს, ძლიერ ჩააფიქრა მიხოს მდგომარეობამ. გული ეტკინა.

— რას იზამ, უნდა აიტანო, — უთხრა ბოლოს მიხოს, — უნდა გაუძლო, თორემ, თუ ერთი დაგიმორჩილა ბედმა, ისე მოგთელავს კაცის სახეს დაგაკარგვინებს, ვაჟკაცს ლაჩრად გაგხდის, მიწასთან გაგასწორებს .

სიმონა მცირე ხანს გაჩუმდა, მერე ისევ განაგრძო:

— ფრთხილად იყავით, მეტისმეტად ნუ გათამამდებით, ჯიქურ ნუ შეუშვერთ მკერდს ჟანდარმის ტყვიას. თორემ სანამ მეფე არსებობს, იმ ტყვიას ბევრი თქვენისთანა ვაჟკაცი დაუღუპებია და ალბათ ბევრს კიდევ დაადუმებს. ფრთხილად იმოქმედეთ.

მცირე ხანს კიდევ ისაუბრეს. სიმონა მამაშვილურად არიგებდა ბიჭებს როგორ მოქცეულიყვნენ, რა გაეკეთებინათ, რანაირად ემოქმედათ. ლაპარაკს რომ მორჩა, ნიკო ზეზე წამოდგა და მეტეხელს მიმართა:

— წუხანდელი ღამენათევი ხარ, გატყობ უძილობა გაწუხებს. წავიდეთ ჩვენთან, დაისვენე, გამოიძინე და საღამოს ერთ ადგილას წაგიყვან!

— კარგი აზრია, ჩემმა მზემ, — მხარი დაუჭირა ხმელსიმონამ შვილს და მიხოს მიმართა: — წაყევი, ნურაფრისა მოგერიდება. როგორც საკუთარ სახლში, ისე იგრძენი თავი, გამოიძინე და როგორც ნიკო გეუბნება, ისე მოიქეცი.

— გმადლობთ, ძია სიმონ, თქვენ რატომ შეგაწუხოთ, მადათოვის კუნძულზე ჩავალ მეტივეებთან და იქ გამოვიძინებ. ჩემი ძმაკაცები არიან.

— არა გრცხვენიან, ბიჭო, მაგას რომ ამბობ? მე შენი ძმაკაცი არა ვარ? — საყვედურით მიმართა ნიკომ.

— თქვენზე კეთილი ხალხი სხვა მე ვინ გამაჩნია; მაგრამ ხომ გითხარით, თქვენი შეწუხება არ მინდა. სიმართლე გითხრათ, ისე გადავიღალე ამ დღეებში, ისე მეძინება ლამის ახლა სკამიდან გადავარდე...

— ხოდა, მით უმეტეს, წამო! — ნიკომ მკლავში ხელი მოკიდა მიხოს.

სახლში რომ შევიდნენ, ნიკომ ტახტზე მიუთითა და უთხრა: — შეგიძლია მოისვენო!

მიხოს ხმა არ ამოუღია. ჯერ ვერცხლის ქამარ-ხანჯალი შემოიხსნა და ნიკოს გადასცა მერე სიმონას ნაბოძები ჩოხა-ახალუხი. ტახტზე გაიშოტა თუ არა, მაშინვე ჩაეძინა.

— საწყალი მიხო, — თანაგრძნობით წაიდუდუნა გოცირიძემ, — ამისთანა ვაჟკაცს კაცი დაიწუნებს? ჭკუა არ ჰქონია იმ ქალის მშობლებს!

საღამოს ხუთი საათი იქნებოდა, მიხოს რომ გაეღვიძა, ნიკო მხიარულად დახვდა. სანამ სტუმარს ეძინა, ნიკოს ბაზარი მოევლო, სურსათ-სანოვაგე მოეტანა, სადილი გაეკეთებინა და ელოდებოდა როდის გაიღვიძებდა.

და აი, მიხომ თვალები გაახილა თუ არა, ნიკომ შესძახა: — ადექი ბიჭო, უკვე დროა, ამაღამ როგორღა უნდა დაიძინო!

მიხო წამოჯდა, თვალები მოიფშვნიტა და მხოლოდ ახლა იკითხა:

— სად არის დედაშენი, რომ არ ჩანს?

— დედა გუშინ ძმის სანახვად წავიდა ორთაჭალაში და ჯერ არ დაბრუნებულა.

— დილას რა მითხარი, სად უნდა წაგიყვანოო? — იკითხა მიხომ.

— დღეს ნიკიტინების ცირკის შენობაში საქველმოქმედო მიზნით დიდი კონცერტი იმართება. ამ კონცერტში მონაწილეობას იღებს ოპერის გუნდი, გაძლიერებული სიმებიანი ორკესტრი, ცხენოსანთა ათასეულისა და ეგზარქოსის გუნდები. კონცერტს ხელმძღვანელო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბენ ცნობილი დირიჟორები — ტრუფი და ბარბანი. არ გაინტერესებს? ასეთი რამ ჯერ ხომ შენ არ გინახავს?

— არ მინახავს, მაგრამ ახლა მე საკონცერტოდ მაქვს საქმე?

ნიკოს გაეცინა. ეს სიცილი თვითონ მიხოსაც გადაედო.

— ნუ გეშინიან, ბიჭო, პოლიცია ასე ადვილად კი არ იჭერს ხალხს. თუ დაპატიმრება იყო, აუზის სარდაფში უნდა დაეპატიმრებინე, შენს ამხანაგებთან ერთად. ახლა ნურაფრისა გერიდება.

— მე დაჭერის კი არ მეშინიან, უბრალოდ ხასიათზე არა ვარ.

— მესმის ჩემო მიხო, რა ცეცხლიც გიკიდია, იმიტომაც მინდა გავიაროთ, იქნებ ცოტაოდნავ მაინც გადაიყარო ჯავრი.

— არა მგონია ჩემმა გულმა კიდევ როდისმე გამოიდაროს.

— მაგას ნუ იტყვი, ბევრ შენისთანა ვაჟკაცს ნაჰკიდებია სიყვარულის ცეცხლი, მაგრამ მალე ისევ განელებია. რა დაგიმალო და, მეც მიყვარდა ერთი გოგო. ჩვენს უბანში, ანჩისხატის უბანში ცხოვრობდა, პატარა ეკლესიის გადაღმა. იმასაც მოვწონდი, მაგრამ მშობლებმა არ გამომაყოლეს. ჭლექის მოდგმა აქვთ მაგათ, ქალს ვერ მივცემთო, უთქვამთ მის მშობლებს. ჩემი ძმა სანდრო ჭლექით რომ გარდაიცვალა, იმათ ისე ჰგონებიათ, თითქოს სისხლში გვქონდა გამჯდარი ეს ავადმყოფობა.

ნიკო გაჩუმდა, ღრმად ამოისუნთქა და განაგრძო:

— ის გოგო აქვე, სოლოლაკის უბანში გათხოვდა. ახლაც ხშირად ვხვდები ხოლმე ქუჩაში. ისე მეწყინა მისი გათხოვება, მთელი ღამეები არ მეძინა. ახლა კი სასაცილოდ არ მყოფნის ის ამბავი.

— ეხ, ნეტავი კი მეც შენსავით ადვილად გამინელდებოდეს ნინოს სიყვარული, მაგრამ არა მგონია, — მწარედ ამოიგმინა მიხომ.

— განელდება, ჩემო მიხო, განელდება. ამისათვის დროა საჭირო. დრო ყველაფრის მკურნალია. ახლა კი ადექი, პირი დაიბანე, გამოფხიზლდი, ვისადილოთ და მერე ნელ-ნელა გავუყვეთ გზას.

მიხოს ალარაფერი უთქვამს. წამოდგა, პირი დაიბანა და ჩოხა-ახალუხში გამოეწყო.

ნიკომ სუფრა გააწყო, ისადილეს, სახლი დაკეტეს, კარში გამოვიდნენ და მცირე ხნის შემდეგ გოლოვინის პროსპექტით ნიკიტინების ცირკის შენობისაკენ გასწიეს.

ცირკის წინ უამრავ ხალხს მოეყარა თავი. ბილეთები უკვე გაეყიდათ და შესვლაზე ერთი ჩოჩქოლი და აყალ-მაყალი იდგა. მაყურებელი მაინც არ იშლებოდა, ყველა ცდილობდა რამენაირად შეეღწიათ შიგნით და დასწრებოდნენ კონცერტს.

ნიკო აქეთ ეცა, იქით ეცა, მაგრამ ბილეთის შოვნა მაინც გაუჭირდა; რაკი ცირკის თანამშრომლებს ყველას კარგად იცნობდა, ისლა მოახერხა, მეგობარი უბილეთოდ შეეყვანა და ფეხზე დგომით, ბოლომდე თუ არა, გახსნისათვის მაინც ეყურებინათ.

დარბაზში ხალხის ტევა არ იყო. ფეხზე დასადგომი ადგილებიც კი დაეკავებინათ.

ნიკომ წინ გაიყვანა მიხო და, როგორც იყო, მოძებნეს შესაფერისი ადგილი.

გაიხსნა ფარდა და დარბაზში ერთბაშად დაიღვარა მუსიკის ხმა. მიხოს წამით ყველაფერი გადაავიწყდა. თვალმოუშორებლივ შესცქეროდა სცენის სიღრმეში ერთიმეორის გვერდით ჩარიგებულ გუნდის წევრებს, რომლებიც ხმაშეწყობილად ასრულებდნენ მისთვის უცნობ სიმღერას.

მათ შორის მიხომ უცბად თვალი მოჰკრა ფედიას, იგი გუნდის შუა იდგა და მისი ძლიერი ხმა მთელ ანსამბლს ფარავდა.

მიხოს გაკვირვებისაგან წარბები მაღლა გაექცა. პირველად თვალებს არ დაუჯერა, ხომ არ მატყუებსო, რომ დარწმუნდა ნამდვილად ფედია იყო, ნიკოს მიუბრუნდა და ხმამაღლა წამოიძახა.

— ნიკო, შეხედე ერთი ფედიას, რა ამბავშია!

ფედიას დანახვით არანაკლებ განცვიფრებული იყო გოცირიძე.

ყველაფერს იფიქრებდა, მაგრამ იმას კი არა, რასაც ახლა ხედავდა და ისმენდა. ისე დამთავრდა კონცერტი, ფედიას ხმით მოხიბლულებს ოდნავი დაღლილობაც არ უგრძვნიათ.

* * *

თერთმეტი საათი იქნებოდა ნიკო გოცირიძე და მიხო მეტეხელი ერთმანეთს რომ დაემშვიდობნენ.

— აბა, შენ იცი მიხო, — უთხრა ნიკომ ძე და მიხო მეტეხელი ერთმანეთს რომ დაეხოლმე, მინახულე, არ დამივიწყო!

— გინახულებ, აუცილებლად გინახულებ! მართალია, ახლა ისევ ძველ ხელობას — მეტივეობას ვუბრუნდები, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, თქვენთან, მთავარი სახელოსნოების მუშებთან კავშირი გავწყვიტო. მე ჩემი მხრივ ყველაფერს გავაკეთებ იქ, სადაც ვიქნები, რასაც მუშათა საერთო საქმე მოითხოვს.

ამ სიტყვებზე ისინი ერთმანეთს გადაეხვივნენ და დაშორდნენ. ნიკომ ანჩისხატის უბნისაკენ აიღო გეზი, მიხომ — მადათოვის კუნძულისაკენ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სერგეი ბარუზდინი

## ადამიანისა და მისი სიტყვის შესახებ

მრავალნაირი არსებობს სიტყვა:
სიტყვა მტკიცე და
სიტყვა ნათელი,
ზოგჯერ ხმალივით
მჭრელია სიტყვა,
ზოგჯერ რბილია
როგორც სანთელი;
სიტყვა ჯიუტი
და გაბედული,
სიტყვა, რომელიც
რუტინას ანგრევს,
სიტყვა ბრძნული და
წინდახედული...
და... ყოველ სიტყვას
თან ახლავს საქმე.
მრავალნაირი არსებობს სიტყვა
და საქმეებსაც არ უჩანს ბოლო;
სიტყვა, რომელიც უსაქმოდ ითქვა,
ასეთი სიტყვა ქარია მხოლოდ;
მრავალთა სიტყვა ქარივით გაჰქრა
და ყველასათვის არის ნათელი, —
იმ კაცს, რომელსაც არა აქვს საქმე, —
სიტყვაც არა აქვს
    ქვეყნად სათქმელი!

## წვიმა

წვიმს,
წვიმს,
წვიმს...
ეს მეათე დღეა
ცა ჩამოდის ძირს,
ხე ფეხზე ძლივს დგას,
მიწა მიაქვს წყალს,
ვილაც ტრაქტორს რთავს, —
დროა ახლა ხვნის:
და მშრომელი კაცი
კვლავ საჭესთან ზის.
წვიმს,
წვიმს,
წვიმს...
ისე წვიმს,
რომ კაცი გარეთ
არ გააგდებს ძაღლს.
წვიმა კია,
მაგრამ საქმე
ითხოვს თავისას...
წვიმა კია,
მაგრამ წვიმას
არვინ მოუკლავს...
პოეტი კი
როცა ლექსში
გამოურევს წყალს, —
აი, ეს არ შეიძლება
ეს კაცს მართლა ჰკლავს!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ლაპარაკობდნენ

ლაპარაკობდნენ,
ლაპარაკობდნენ,
ლაპარაკობდნენ,
ლაპარკობდნენ,
ზოგს ლანძლავდნენ და
ზოგსაც აქებდნენ, —
დაუსრულებლად ლაპარაკობდნენ.
ლაპარაკობდნენ შესახებ წვიმის,
ლაპარკობდნენ შესახებ იმის, —
ვინ რამდენს დალევს,
ვინ რამდენს შეჭამს,
ვინ ცხოვრობს ცუდად,
ვინ რამდენს ხვეჭავს.
ლაპარაკობდნენ შესახებ ჭინჭრის,
ლაპარაკობდნენ შესახებ ჭინჭის,
რომელი ქალი ფრჩხილს როგორ
იჭრის,
რომელი სჯობსო:
ჭკუა თუ ნიჭი.
ოქროდ ჩათვალეს
ჩალა და ჩირი,
გადააბრუნეს ათასჯერ ჩხირი;
ჯერ კიდევ ცოცხალს
უხდიდნენ ალაპს.
და ბოლოს, როცა ეწვიათ ძილი
მაშინღა მორჩნენ
ქაქანს და ლაყაფს,
შევიკრიბოთო,
თქვეს —
ხვალე, დილით.
კიდევ კარგი რომ,
კიდევ კარგი რომ,
კიდევ კარგი რომ
არსებობს ძილი!

თარგმნა **ელდარ კერძევაძემ**

ეროვნული
ბიბლიოთეკა




სიმონ არველაძე

# განხორციელებული ოცნების ქვეყანა

საზოგადოების ძირეული გარდაქმნის მაუწყებელი გახდა ძლევამოსილი ოქტომბრის განთიადი, რომლის უქრობი შუქი სწრაფად გავრცელდა და მოეფინა დედამიწის ერთ მეექვსედს. ამ განთიადზე ოცნებობდა მშრომელი ხალხი და უთუოდ ასეთ განთიადს გულისხმობდა მწერალი პარიზის კომუნის შემდეგ, როდესაც წერდა: „არსებობს უდიდესი ძალა — განთიადი... ამ ძალას ვერ დაამარცხებთ. განთიადი მოვა, ის უკვე მოსულია. განთიადს მოაქვს უძლეველი წყარო სინათლისა. ვინ დაუშლის განთიადს, რომ მან ციდან მზის ნათელი მოჰფინოს კაცობრიობას“ (ვიქტორ ჰიუგო). სწორედ ამ განთიადმა მძლავრად გაანათა ხალხთა ბრძოლის გზა თავისუფლებისაკენ. დადგა განახლების ეპოქა. ქვეყნად დამკვიდრდა სინათლე და თავისუფლება. საბჭოთა რუსეთი განხორციელებული ოცნების სიმბოლოდ იქცა. მტერი თავიდანვე ცდილობდა აღეგავა პირისაგან მიწისა ახალი ქვეყანა — ეს სიმღერისა და იმედის სიმბოლო, ჩაექრო მისი სინათლე, მაგრამ ამაოდ.

ყველა პროგრესულად მოაზროვნე მწერალი ახალგაზრდა საბჭოთა ქვეყნის მხარეზე დადგა. ისინი თამამად გამოთქვამდნენ თავიანთ აზრს საბჭოთა კავშირის დასაცავად.

„ჩვენ ბრალად ვდებთ; — წერდა ფრანგი რევოლუციონერი მწერალი ანრი ბარბიუსი, — საერთაშორისო რეაქციას, რომელიც თავის უპირატესობათა გულისათვის ებრძვის დიადი რუსეთის რესპუბლიკას, რომელმაც მხოლოდ ის დააშავა, რომ განახორციელა თავისი ოცნება განთავისუფლების შესახებ“.

ანრი ბარბიუსს მტკიცედ სწამდა ახლის, მომავლის გამარჯვება და გულდაჯერებით ამბობდა: „არის ერთი ადამიანი, არის ერთი სახე, რომელიც ომზე მაღლა დგას, და რომელიც თავისი გამბედაობის სილამაზითა და მნიშვნელობით ბრწყინავს... ეს არის ლენინი!“.

ანრი ბარბიუსის ნაწარმოებთა გმირები მსხვერპლად ეწირებიან სოციალიზმის კეთილშობილურ იდეებს. მათი რწმენით, რევოლუციის საქმე ცოცხლობს და მუდამ იცოცხლებს, ლენინური მოძღვრება გაიმარჯვებს.

ფრანგმა მწერალმა რომენ როლანმა, როგორც კი გაიგო, რომ რუსეთში რევოლუციამ გაიმარჯვა, გულწრფელად მიესალმა ამ დიდ გარდატეხას და გადაჭრით ჩადგა რევოლუციის მეგობართა რიგებში. იგი ასე მიმართავდა საბჭოთა ხალხს: „მიგულვეთ მუდამ თქვენთვის მახლობელ მეგობრად, და ვიაროთ ერთად ნათელი მომავლისაკენ“.

რომენ როლანი ხშირად იმყოფებოდა საბჭოთა კავშირში და იცნობდა ხალხს, მის სულიერ კულტურას. განსაკუთრებით აფასებდა მაქსიმ გორკის, რომელსაც თავის მასწავლებლად თვლიდა.

მორის ტორეზი წიგნში „ხალხის შვილი“ რომენ როლანზე წერდა, რომ იგი მშვიდობისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში იყო, რომ მან ერთ-ერთმა პირველმა გამოუცხადა მხურვალე თანაგრძნობა რუსეთის რევოლუციას, მიემხრო დამონებულ ხალხებს კოლონიური ჩაგვრის სისტემის წინააღმდეგ ბრძოლაში, მოუწოდებდა ყველა პატიოსან ადამიანს გაერთიანებისაკენ. რაც მთავარია, ხაზგასმულად არის ნათქვამი, რომ რომენ როლანი საბჭოთა ქვეყანას თავის ინტერნაციონალურ სამშობ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოდ თვლიდა. ბუნებრივია, რომ იგი ამ ქვეყნის ბედთან აკავშირებდა ერთადერთ მსოფლიო პროგრესსაც. ხედავდა რა საბჭოთა კავშირის უსაზღვრო ძალას და დიდ შინაგან პოტენციას, აგრეთვე აზრის განვითარების ვრცელ სარბიელს, რომენ როლანი წერდა: „მე მივესალმები საბჭოთა კავშირის სახით კაცობრიობის გაზაფხულს“.

სამყაროს რევოლუციური გარდაქმნისათვის ბრძოლაში ახალი, პროგრესული ლიტერატურის გზას გაჰყვა კომუნისტი პოეტი ვაიან კუტიურიე. „საჭიროა, რომ ყველაფერი შეიცვალოს“, — ამბობს მისი პოემის („მშიერი ყანი“) ახალგაზრდა გმირი, რომელიც იმპერიალისტური ომის წლებში შემთხვევით აღმოჩნდა მებრძოლი არმიის პოზიციებზე. ფრონტის წინა ხაზზე გამოდის რუსი ჯარისკაცი და იძახის ერთ სიტყვას — „ლენინი“! გერმანელი ჯარისკაცის საპასუხო სიტყვაა „ლიბკნეხტი“. ყველა ერთსულოვნად მღერის ინტერნაციონალს და სანგრების გასწვრივ გაისმის შეძახილები: „ძირს ომი“!, „გაუმარჯოს რევოლუციას!“

30-იან წლებში კუტიურიე გამოეხმაურა გორკის მოწოდებას: „ვისთან ხართ თქვენ, კულტურის მუშაკნო?!“ და გორკისებურად დააყენა საკითხი არჩევანის აუცილებლობის შესახებ“. „ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, — წერდა იგი, — საჭიროა თანამედროვე შეიარაღება. ამ შეიარაღებას გვაძლევს ლენინიზმი და მხოლოდ ის ერთია ყოვლისშემძლე.

ლენინიზმი კითხულობს: რომელ კლასთან ხართ თქვენ? ის მოითხოვს გააკეთოთ თქვენი არჩევანი ისე, როგორც ეს გააკეთა 1871 წელს ისეთმა პოეტმა, როგორიც რემბო იყო, ისეთმა მეცნიერმა, როგორიც ფლურანსი იყო, რომლებიც დადგნენ პარიზის კომუნის მხარეზე“.

კუტიურიემ უმღერა ოქტომბრის რევოლუციას, რომელმაც არნახული პერსპექტივები გადაშალა მსოფლიოს მშრომელთა წინაშე. თავის ლექსებში (წიგნიდან „წითელი მატარებლები“) იგი ადიდებს ოქტომბრის მძლავრ ქარიშხალს და მოუწოდებს თანამემამულეებს, იარონ საბჭოთა ადამიანების გზით. ამ ციკლის ლექსებში მან აღბეჭდა ლენინის გარეგნული პორტრეტი, სახე იმ რევოლუციონერისა, რომელსაც მოაქვს, „თავის მხრებზე მთელი სამყარო“. ლენინის შესახებ იგი წერდა: „ადამიანი, რომელმაც შესძრა მსოფლიო, რომელმაც გადატება თავის ცნობიერებაში ყველაფერი, რაც თავს გადახდა კაცობრიობას, ნამდვილად განახახიერებდა ახალი ადამიანის ტიპს, ჩვენთვის იგი იყო მომავლის პირველსახე“.

1925 წელს გამოდის ვაიან კუტიურიეს ლექსების წიგნი „ერთი თვე წითელ მოსკოვში“; იგი აქებს დიდი მომავლის სახელმწიფოს — საბჭოთა კავშირს და მისი ცხოვრების ყველა დარგში წარმატებათა გასაღებს ხედავს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობაში. პარტიისა, რომელიც ერთიანი და მონოლითურია, მაგარი და წმინდაა, როგორც ალმასი“. კუტიურიეს ეკუთვნის შესანიშნავი ლექსი „სიჭაბუკე“, რომელშიც იგი სიამაყით ლაპარაკობს კაცობრიობის სიჭაბუკის — კომუნიზმის შესახებ. ლექსის ფრთიანი ფრაზა — „კომუნიზმი — ეს არის ქვეყნიერების სიჭაბუკე“ — გაისმის, როგორც დევიზი, მოწოდება. ამავე ლექსში პოეტი დაბეჯითებით, მტკიცე ხმით ამბობს: „კომუნიზმი ამზადებს ამღერებულ დღეს“ და მე თავს გავწირავ იმისათვის, რომ მოვამზადო „ეს ამღერებული ხვალინდელი დღე“. ეს სიტყვები შთააგონებდა ფრანგი ხალხის გმირს გაბრიელ პერის, რომელიც ავტობიოგრაფიაში წერდა: „მე ვიცოცხლებდი უკანასკნელ ამოსუნთქვამდე იმისათვის, რომ ხვალინდელი დღე გახდეს სიმღერის დღედ“.

ვაიან კუტიურიე იყო საბჭოთა კავშირის გულწრფელი მეგობარი. იგი თავგამოდებით იცავდა ახალ წყობილებას, რომელიც სულ უფრო მკვიდრი და მტკიცე ხდება. ფრანგი მწერლის ვიურმსერის მარჯვე თქმით, კუტიურიეს გატაცებით უყვარდა ყოველივე, რაც ახალგაზრდა იყო ნორჩი თაობიდან დაწყებული საბჭოთა კავშირამდე.

საბჭოთა ქვეყნის მეგობართა შორისაა ლუი არაგონიც. მისი შემოქმედების ერთ-ერთი მთავარი იდეა მშვიდობაა, საბჭოთა კავშირი კი მშვიდობის ბურჯი და მედროშეა. პოემების წიგნში „კომუნისტები მართალი არიან“ ლუი არაგონი გვიხატავს კომუნისტებს, როგორც მშვიდობისა და სიმართლისათვის თავდადებულ მებრძოლებს.

30-იან წლებში საბჭოთა კავშირში მოგზაურობის შედეგად ლუი არაგონმა შექმნა ლექსების ციკლი „წითელი ფრონტი“. ამავე წლებს განეკუთვნება ლექსების მეორე კრებული „ვაშა, ურალო“, რომელშიც იგი განადიდებს ქვეყნის სოციალისტურად გარდაქმნას, ურალის ინდუსტრიულ ზრდას და განვითარებას. მეორე მსოფლიო ომის წლებში ლუი არაგონის შემოქმედება კიდევ უფრო აქტიური და შემტევი ხდება ახლის, პროგრესულის გამარჯვებისათვის ბრძოლაში. ლექსში „რადიო-მოსკოვი“ არაგონი მოუწოდებს მშობელ მხარეს, ხალხს გამოიღვიძოს, ყურადღებით მოუსმინოს, მიენდოს მოსკოვის რადიოგადაცემებს, რადგან იგი სიმართლეს ლაღადებს და მშრომელთა მასების ერთადერთი მხსნელიც მოსკოვია. „გამოიღვიძე, საფრანგეთო-მშობელო მხარევ, დაე, რუსული გამხნევებდეს გმირობა, გარჯა“.

დასავლეთის პროგრესულად მოაზროვნე მწერლები გაბედულად იმაღლებენ ხმას საერთაშო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რისო იმპერიალიზმის წინააღმდეგ და სოციალიზმის პირველი ქვეყნისადმი თავიანთ დამოკიდებულებას გამოხატავდნენ მოწოდებით: "ხელები შორს საბჭოთა რუსეთისაგან". და ამას იმიტომ სჩადიოდნენ, რომ მთელი სამყაროს მორალური გადახალისების მუდმივ წყაროდ, მის საფუძვლად საბჭოთა კავშირი მიაჩნდათ.

მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის უდიდესი ისტორიული მიღწევა იყო საბჭოების რესპუბლიკის შექმნა. ეს მოვლენა, როგორც 1960 წელს აღნიშნავდა ირლანდიელი მწერალი შონ ო' კეისი, იყო ხალხთა მრავალწლიანი რევოლუციური ბრძოლის ლოგიკური დაგვირგვინება. ადამიანმა აღისრულა თავისი საუკუნეობრივი ოცნება, რევოლუცია ისტორიის მამოძრავებელი ძალა გახდა და შთააგონებდა არა მარტო საბჭოთა ხალხს, არამედ მთელ მშრომელ კაცობრიობას. წითელმა ვარსკვლავმა მიაღწია უმაღლეს მწვერვალს და მთელმა მსოფლიომ დაინახა მისი ბრწყინვალება. ო' კეისი იგონებდა იმ მომენტსაც, როცა იგი დუბლინის ქუჩებზე მიესალმა ოქტომბრის რევოლუციის დაწყებას, პირველად გაიგონა დიდი ლენინის სახელი და და ახლაც წინანდებურად მიესალმება დღევანდელ უდიდეს რევოლუციას, რომელმაც შესცვალა რუსეთი და მთელი ჩვენი პლანეტა. მწერლის თქმით, ახლა ცოტაღა დარჩა ცოცხალი იმათგან, ვინც უშუალოდ განიცადა ათი დღე, რომელმაც შესძრა მსოფლიო, მაგრამ რევოლუცია არ ჰქრება ამ ადამიანებთან ერთად. იგი ვითარდება და წინ მიდის; საბჭოთა ქვეყანამ გაგზავნა დედამიწის პირველი თანამგზავრი ,რომელიც შექმნილია ადამიანის ხელით. ეს არის გრანდიოზული დროშა ცაში, რაც მოწმობს საბჭოთა მეცნიერების ზეიმს, ეს არის მომავლის ნაწილი, რომელიც გამომდინარეობს რევოლუციური წარსულიდან, ლენინური ტრადიციებიდან.

ინგლისელ ჯეკ ლინდსეის ეკუთვნის ლექსი „ლენინი ლონდონში". როცა ჩემს ქვეყანაში აღსდგება ხალხი და მეგობართა არმია დაირაზმება მის გარშემო, ვ. ი. ლენინის დროშით ჩვენც მივაღწევთ თავისუფლებას — ასეთია ამ ლექსის იდეური ჩანაფიქრი. „და აი, დგება სასურველი წუთი და მასებს წინ უძღვის იგი გამარჯვების დიად სიმღერად. თენდება თითქოს... დრო დადგება, ლონდონის ცაზეც ნისლი მზის შუქით გადაიყრება".

სუინგლერის ლექსის სტრიქონების მიხედვით — „დრო მოვა, როცა მთელი მსოფლიო შენს სიმართლეზე ილაპარაკებსო". თვითონ ლენინს უყვარდა თქმა: „სიმართლე ჰკურნავს სულსო". სიმართლის ამ მძლავრ იარაღს ილიჩი იყენებდა უცხოელებთან საუბრისა და პოლემიკის დროსაც. იგი ჰკურნავდა მათს სულს უმართებლო წარმოდგენებისა და ილუზიებისაგან ახალი რუსეთისა და რევოლუციის შესახებ.

ჩვენი საუკუნის ოციან წლებში, [illegible] საცდელის დროს, საბჭოთა რუსეთში ჩამოვიდნენ ამერიკელი და ინგლისელი მწერლები — ბესი ბიტი და ჰერბერტ უელსი. პირველმა იმოგზაურა ვოლგისპირეთში, შემდეგ შეხვდა და ესაუბრა ლენინს. მის თვალწინ აღიმართა ლენინი, როგორც უმამაცესი გმირი, მომავლის ურყევი რწმენითა და ოპტიმიზმით. საუბრის დროს ამერიკელმა მწერალმა ჰკითხა ლენინს: რა გადავსცე ამერიკას? პასუხად ლენინმა წინასწარმეტყველურად მიუგო. „ჩვენ არ გვშურს ამერიკის, ვიმყოფებით რა ასეთ მდგომარეობაში: ის მდიდარია, ჩვენ ღარიბნი, ის მძლავრია, ჩვენ კი ისევ სუსტი ვართ. ის შესაძლოა, მაძღარია, ჩვენი კი... მაგრამ ჩვენ გვაქვს ის, რაც არა აქვს მას, — რწმენა და ეს ჩვენ მოგვცემს ყველაფერს: ძალასაც და პურსაც" ...ისტორიამ ცხადჰყო ლენინის ეს ბრძნული პროგნოზი

როგორც ბერნარდ შოუ, ასევე მოწინავე ინგლისელი მწერლები, თავიდანვე გამარჯვების რწმენით, ოპტიმისტურად უყურებდნენ საბჭოთა კავშირს, მისი გარდაქმნისა და აყვავების პერსპექტიულ ლენინურ გეგმებს მაგრამ ზოგიერთი უცხოელი მწერალი სკეპტიკურად იყო განწყობილი იმისადმი, რაც შეადგენდა ახალგაზრდა საბჭოთა რუსეთის დიდ სამეურნეო და კულტურულ პოტენციალს. ასეთი იყო ინგლისელი მწერალი ჰერბერტ უელსი, რომელმაც სამშობლოში დაბრუნებისას დაწერა წიგნი „რუსეთი ბურუსში". ვ. ი. ლენინს საუბარი ჰქონდა უელსთან ჩვენი ქვეყნის ელექტროფიკაციის შესახებ. თავის წიგნში უელსი ამ საუბარს ცინიკურად იგონებდა; არ სჯეროდა, თუ რუსეთში განხორციელდებოდა ელექტროფიკაციის ეს დიადი გეგმა. უელსი ამას მდიდარი ფანტაზიის საგნად, „ბოლშევიკურ ექსპერიმენტად" თვლიდა. ლენინი ეუბნებოდა მას: ჩამოდით კიდევ ათი წლის შემდეგ და თქვენ ნახავთ, რა გავაკეთეთ ამ ხნის განმავლობაშიო, უელსი მეორედ 1934 წელს ჩამოვიდა საბჭოთა კავშირში. მან საკუთარი თვალით ნახა ის, რაც „ფანტაზიად" მიაჩნდა. ნამდვილად ეს ფანტაზია როდი აღმოჩნდა. ეს იყო ლენინის წინასწარხედვა, რაც ხალხის გმირულმა ძალამ ხელშესახებ სინამდვილედ აქცია. უელსის შემდეგ ჩვენს ქვეყანას ესტუმრა ბერნარდ შოუ, რომელზეც კეთილისმყოფელი გავლენა მოახდინა საბჭოთა კავშირმა. იგი ჩვენი ქვეყნის გულწრფელი მეგობარი გახდა. გაქარწყლდა ბურჟუაზიული პრესის წინასწარი ლაყბობა იმის შესახებ, თითქოს საბჭოთა კავშირი ბერნარდ შოუზე ვერავითარ გავლენას ვერ მოახდენდა. ბ. შოუმ ბევრი საგულისხმო და მნიშვნელოვანი მოსაზრება გამოთქვა ჩვენი ქვეყნის გიგანტურ ნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიჭებზე, მის შესანიშნავ ადამიანებზე; დაათვალიერა რა საბჭოთა კავშირი, ბერნარდ შოუმ თქვა „მე ვნახე მომავალი და იგი გარდუვალია“.

ამ მომავალს თავისებურად უყურებდა კომუნისტი პოეტი ნაზიმ ჰიქმეთი. 1920 წელს ასრულდა ჭაბუკი პოეტის ოცნება — იგი მოსკოვში ჩამოვიდა. აქ ყოფნამ კიდევ უფრო განუმტკიცა მას რევოლუციური მისწრაფება და რევოლუციისა და თავისუფლების მეხოტბედ ჩამოაყალიბა. ნაზიმ ჰიქმეთიმ მრავალი ლექსი უძღვნა საბჭოთა კავშირს, ვ. ი ლენინს, რომელსაც მიმართავდა: „მიეც სინათლე ჩემს თვალებს.. რ მოჰკლავს მას, ვინც ისტორიის ბორბლის საქეს რევოლუციის შმაგ, ბობოქარ ზღვაში მართავდა“.

ინგლისელი მწერლის რალფ პარკერის აზრით, საბჭოთა სინამდვილე თავისთავად აღმაფრთოვანებელია. დიადია. ოპტიმისტურია იმისათვის, რომ გაიტაცოს ყოველი ახალგაზრდის გული და გონება. საბჭოთა ხალხმა შექმნა ისეთი ცხოვრება, რომელიც აღსავსეა სიხარულითა და ენთუზიაზმით, განათებულია მოწინავე იდეებითა და პოეზიით. ქართველი ხალხი, საბჭოთა კავშირის სხვა მოძმე ხალხების მხარდამხარ, წარმატებით აშენებს ახალ ქვეყანას თავისი ბედნიერი თაობისათვის და ღრმად სჯერა ხვალინდელი დღის გარდაუვალი გამარჯვება...

* * *

საბჭოთა კავშირის სახით მსოფლიოს მშრომელები ხედავენ მშვიდობისა და თავისუფლების, წიგნისა და სიმღერის ქვეყანას, თავიანთი მომავლის იმედს. ეს მომავალი მათთვის დღითიდღე ნათელი და კონკრეტული ხდება.

გამოჩენილი გერმანელი მწერალი ჰაინრიხ მანი თავიდანვე წინასწარმეტყველებდა საბჭოთა კავშირის გამარჯვებას, სწამდა, რომ იგი გახდებოდა „განხორციელებული თავისუფლების სამეფო“. 30-იან წლებში იგი დაბეჯითებით წერდა: „დიდია სსრ კავშირი, როგორც ნიმუში. დაე, იცოდეს საბჭოთა კავშირმა, თუ რა ჰუმანისტური მაგალითი უჩვენა მან მსოფლიოს. სადაც უნდა იბრძოდნენ ადამიანები თავისუფლებისათვის, ყველგან მათ წინაშე დგას საბჭოთა კავშირის დიდი მაგალითი“.

ჯერ კიდევ 1917 წლის ოქტომბრის დღეებში მოწინავე გერმანელმა მწერლებმა იგრძნეს იმ დიადი განთიადის ცხოველმყოფელი ძალა, რომლის მოახლოება „ავრორამ“ ამცნო მთელ კაცობრიობას. იოჰანეს ბეხერი ერთ-ერთი პირველთაგანი იყო იმათ შორის, ვინც გულწრფელად მიესალმა „აღმოსავლეთიდან მომავალ მზარდ ნათლის შუქს“ — ოქტომბრის მზეს. ერიჰ მიუჰზამიც მჭექარედ გაიძახოდა: „ძველი რუსეთის ნანგრევებზე იქმნება ხალი ქვეყანა. ნორჩი საბჭოთა რესპუბლიკის მაგალითი ცოხლობს“. და რამდენი პროგრესული მოაზროვნე, ანტიფაშისტი მწერალი ჩამოვიდა აქ, საბჭოების რესპუბლიკაში, რომელსაც იოჰანეს ბეხერმა „განხორციელებული ოცნება“ უწოდა. ლექსში „ჰიმნი საბჭოეთზე“ პოეტი წერდა:

ბარბაროსებთან ბრძოლაში
დგახარ გულდაუღრუბლელი,
აუღებელი სიმაგრე,
სამშობლო თავისუფლების.
შორს სწვდება შენი საზღვრები,
ხალხთა ოცნებავ დიადო,
თვალგაუწვდენელ სივრცეზე
შენი ვარსკვლავი კიაფობს.
ჩვენი სიცოცხლის აზრი ხარ.
ნათელო, თვალცისკრიანო,
მომავლის დიდო სიმღერავ,
ჩვენც გვსურს შენი გზით ვიაროთ.
(თარგმანი ვ. ბეწუკელისა)

საბჭოთა კავშირისადმი მიძღვნილ ლექსებში ბეხერი, პირველ ყოვლისა, მოუწოდებს თავის ხალხს, რომ არ დაივიწყოს „ჩვენთვის დაღვრილი საბჭოთა ქვეყნის დევგმირთა სისხლი“, არ დაივიწყოს საბჭოთა ჯარისკაცი, ვინც გვიხსნა მიხაკისფერი ჭირისაგან“, ვინც ჩვენს გულში ნერგავს ახალ იმედს“.

ცის ვარსკვლავო,
ჩვენს იმედად დასახულმა,
შენმა შუქმა
ჩვენი მხარე იხსნა,
მთელ ქვეყანას
მოუტანა გაზაფხული
საბჭოეთის სისხლმა.
(თარგმანი ვ .ბეწუკელისა)

ერიჰ ვაინერტის ლექსებსა და ბალადებში ლენინი წარმოსახულია რევოლუციის რაინდად, ისტორიის დაუმარცხებელ გმირად, ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკა კი მშვიდობისა და თავისუფალი ცხოვრების განსახიერებად. დრამატულ მინიატურაში „მატარებელი დგას ხუთი წუთით“ ლაპარაკია საბჭოთა რუსეთზე; აქ ლენინი უშუალოდ არ მონაწილეობს, როგორც მოქმედი პირი, მაგრამ მისი სახე, პერსონაჟების დახასიათებით, ამ ნაწარმოების ცენტრში დგას.

ლექსში „მშვიდობის სიმაგრე“ ვაინერტი აცხადებდა. კაცობრიობას მხნელად და მფარველად მოევლინა საბჭოთა კავშირიო“.

საბჭოთა კავშირის თავისუფალ ერთა ძმური და ურღვევი ოჯახია, სადაც „ისმის თხუთმეტი მძლე რესპუბლიკის სვებედნიერი ხალხის სიმღერა“ დემოკრატიული გერმანიის თავისუფალი ცხოვრებისა და დიდი საბჭოეთისადმი მადლობის ჰიმნად ჟღერს კუბას (კურტ ბარტელი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასიმღეროდ ხალხში გასული ლექსი „შორს ეფინება სხივი აისის“.

ა, კომპასის ისარი ტოკავს,
იცის, რომ წყვდიადს ბოლო ელება,
სადაც ბუდობდა ღამე უკუნი,
აისის შუქმა წითლად შეღება,
და გერმანული ისმის სიმღერა —
ზღვა ნეტარების განცდათა ჰანგი,
ვუთხრათ მადლობა დიად საბჭოეთს,
ვინც აგვიმღერა ხმატკბილი ჩანგი.
(თარგმანი შ. ამირანაშვილისა)

კუბას აზრით, საბჭოთა კავშირი კაცობრიობის მომავალია, მშვიდობის ბურჯი და ჩაგრულთა ქომაგი, ხალხთა ნუგეში და იმედია.

აღმოსავლეთში დგას ნათლის სვეტი —
სიცოცხლის წყარო, ხალხთა იმედი.
ეს — ნუგეშია ყველა ჩაგრულთა,
ეს — მზეა, ჩვენ რომ გზა გაგვინათა,
ეს — მტარვალების არის დაღუპვა
და გამარჯვება ადამიანთა.
(თარგმანი ა. გელოვანისა).

საბჭოთა ხალხის მეგობარმა პოეტებმა კუბამ და ფიურნბერგმა ერთად შექმნეს „მსოფლიო ჰიმნი“ — პოემა დიდ ოქტომბერზე, საბჭოთა ქვეყნის ძლევამოსილებაზე. ამ ეპიკური ქმნილებიდან განსაკუთრებით საინტერესოა ერთი თავი „ლენინის სიცილი“, სადაც ხელშესახებად იგრძნობა იმ დიდი ბრძოლების სიმკაცრე და საშინელება, რაც თავს გადახდა ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკას. „ძირს მეფე, ძალაუფლება საბჭოებს!“ — ლენინის ეს მოწოდება იქცა მძლავრ მატერიალურ ძალად და დაეუფლა მასებს, ამ დროს გაისმა სიტყვა მშვიდობა, როგორც ყუმბარის ხმა. ვ. ი. ლენინმა დაამარცხა მრავალი ჯურის მტერი. ანტანტა გზავნიდა ჯარებს, მაგრამ მათ ვერ გაუძლეს ბოლშევიკურ დარტყმებს. პოეტი კუბა იგონებს, რომ დასავლეთელი მტრები წინასწარმეტყველებდნენ საბჭოების რესპუბლიკის დაღუპვას, მაგრამ ახალგაზრდა რუსეთი იდგა მაგარ ფეხებზე. ამგვარად, ლენინმა სძლია მრავალრიცხოვან მტერს და მისმა თანამებრძოლებმა ქვეყანა წაიყვანეს გამარჯვების გზით. და, როცა უკანასკნელად ფაშისტური გერმანია თავს დაესხა აღმოსავლეთს, ხალხს წინ გაუძღვა ლენინი, როგორც საბრძოლო დროშა.

ომის შემდგომ წლებში, გერმანელ მწერლებთან ერთად, საბჭოთა კავშირში იმოგზაურა შტეფან ჰერმლინმა, დაწერა წიგნი „რუსული შთაბეჭდილებანი“, რომელშიც აისახა ახალი სოციალისტური ცხოვრების ბევრი სიახლე და თავისებურება. ამავე წლებში მან შექმნა ლექსების ციკლი ომგადახდილ ხალხზე, ქვეყნის აღმშენებლობასა და აღორძინებაზე. უპირველესი მადლიერების გრძნობა მან გამოხატა ლექსში: „წინ, ერთიან სამშობლოსთვის“, რომლითაც აუწყა მთელ მსოფლიოს, რომ „ტანჯვისა და სირცხვილისგან წამებული მისი მხარე იხსნა დიდმა საბჭოეთმა, მეგობარმა და დამხმარემ“.

50-იან წლებში შექმნილ ლექსების ციკლში შტეფან ჰერმლინი ლაპარაკობს საბჭოთა კავშირზე, რომელიც, მისივე თქმით, ისეთი ქვეყანაა, მზის მსგავსად ყველას რომ ეკუთვნის და სჭირდება. ესაა ოქტომბრის ქარიშხალში ნაწრთობი ცისკარი — დიდებული მაისი.

კომუნისტი პოეტის მძლავრი სიამაყის გრძნობით წერდა ერთ-ერთ ლექსში გრაიფი საბჭოთა კავშირის შესახებ.

საბჭოთა მხარევ!
მომავალი მსოფლიოს სახევ!
შენ, შენ გვანიჭებ რწმენას,
სიბრძნეს, იმედს და ხალისს.
ამიტომ გაქებს
ჩემი ლირა სიმმოცახცახე,
შენი დღეისი —
ჩემი ქვეყნის დღე არის ხვალის!
(თარგმანი ვ. ბეწუკელისა)

* * *

ლათინური ამერიკის მწერლები თავიდანვე აქტიურად ჩაებნენ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში და სოციალიზმის პირველი ქვეყნის მომღერლები გახდნენ.

შორეული ჩილის უდიდესი პოეტი პაბლო ნერუდა თავის ლექსებსა და პოემებში აღტაცებულ ჰიმნს უგალობს ახალი ქვეყნის აყვავებას და აღორძინებას. ლირიკულ პოემაში „ვრცელია სამყარო ახალი“ იგი დამაჯერებლად მოგვითხრობს იმ დიდ სოციალურ გარდაქმნებზე, რაც რუსეთის ვრცელ მიწაზე მოხდა. წინათ ამ მიწაზე მეფობდა წყვდიადი, ტანჯვა და შიმშილი, მაგრამ ისტორიაში შემოვიდა ლენინი და ყველაფერი გარდაიქმნა. შემდეგ დამყარდა მშვიდობა. შრომაში იყო ძალა და სიყვარული, ქვეყნის დიდება გაისმოდა კიდით-კიდემდე. დიდმა ლენინმა ზღვიდან ზღვამდე დაამყარა გაზაფხული. ამ გაზაფხულისაკენ მივდივართ ჩვენც. კაცობრიობის გაზაფხული, რომელიც საბჭოთა კავშირით იწყება, დინჯად მიაბიჯებს ევროპის მიწაზე.

ბრაზილიელი მწერალი ჟორჟი ამადუ სოციალიზმის ქვეყანას სიუხვის და თავისუფლების, სიხარულისა და ბედნიერების სამშობლოს უწოდებს. წიგნში „ლუის კარლოს პრესტესი“ იგი წერდა: „საბჭოთა კავშირი — ეს მსოფლიოს მშრომელების სიმბოლოა. ესაა პოეტების ოცნება, რომელიც მუშებმა და გლეხებმა ლამაზ სინამდვილედ აქციეს. იქ დიდიხანია გათავდა ღამე-უკუნეთი და ქვეყანაზე უქრობი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზე ამობრწყინდა. ამ მზიური ცხოვრების შემოქმედის სახელია ვ. ულიანოვი. მისი საბრძოლო სახელი — ვ. ი. ლენინი. ეს სახელი დაქროდა მთელ რუსეთში, როგორც გამაცოცხლებელი იმედის ქარიშხალი".

ადრეულ წლებში ესპანელი რევოლუციონერი პოეტი არკონადა წერდა: სად არ იყვნენ ჭეშმარიტების ოქროს საძებნელად, მაგრამ არავის ხვდომია წილად ბედნიერება, მოეპოვებინა იმდენი წმინდა ოქრო ჭეშმარიტებისა და თავისუფლების სახით, როგორც ეს ლენინმა შესძლო. ე. ი. ლენინმა უბრალო, გასაგები ენით ჩამოაყალიბა საყოველთაო ჭეშმარიტება. უჩვენა მშრომელებს მისკენ მიმავალი გზა. მისი ხელმძღვანელობით მოიპოვეს კიდეც თავისუფლება. არკონადა მოუწოდებს ესპანელ ხალხს, გაჰყვეს ლენინის მიერ ნაჩვენებ გზას და მაგალითად უსახავს საბჭოთა კავშირს, სადაც ლაღად ფრიალებს გამარჯვების ძლევამოსილი დროშა; თავისუფლების შუქი მძლავრად ანათებს ხალხთა ცხოვრებას. პოეტი შენატრის იმ დროს, როდესაც მის სამშობლოში „დაემხობა ჯალათთა ხროვა, საბოლოოდ გაიკაფება გზა გაუვალი" და სწამს, „მრავალტანჯული ესპანეთი" მხოლოდ ამ გზით მიაღწევს თავისუფლებას, მივა კრემლის მოელვარე ვარსკვლავთან.

დიდი სამამულო ომის წლებში მოწინავე ესპანელი პოეტები იმედის თვალით შეჰყურებდნენ საბჭოთა კავშირს, სჯეროდათ მისი გარდუვალი გამარჯვება. ლექსში „სიმღერა მოსკოვზე", რომელიც დაწერილია 1942 წელს, პოეტი არეოლა კორტესი მგზნებარე სტრიქონებით ამკობს ძლევამოსილ ქალაქს, რომელმაც დასძლია მტრის მოძალება. შენ პირველი ქალაქი ხარ მომავალი მსოფლიოსი, — წერდა პოეტი ამ ლექსში, — შენი ცეცხლით სამუდამოდ დააბნელე ნაპოლეონის ვარსკვლავი... მაშინ შენი კედელი ქვის იყო, ახლა კი ფოლადისგანაა ნაშენი. შენ, ფოლადის ქალაქო, თავზე დაგფრიალებს უკვდავი ლენინის დროშა და შენს სახელოვან შვილთა შორის მტერმა ვერ ჰპოვა კვისლინგი ან ფრანკო. შენ არ მიეცი გასაქანი შმაგი ტროადის ცხენს, რომ ვერაგობით დაერღვია სიმტკიცე შენი, ჩვენ გვესმის შენი ხმა, ამაყი დიდების ქალაქო, უძლეველო! მთელ დედამიწაზე გრძელდება შენი გმირობის ამბავი... გამოვთქვამ რწმენას, რომ მოსკოვი გაიმარჯვებს მტერზე და ზეიმის დღეებში, კრემლის შესასვლელთან ჩვენ დავაწყობთ ცეცხლოვან ვარდებს, რომ მუდამ ჰყვაოდნენ ისინი...

რომ სიყვარულის გვირგვინი [illegible]
სამუდამო და რტოუჭკნობელი
(თარგმანი გ. სამხარაძისა).

რაფაელ ალბერტის ლექსებიდან სიმბოლური შინაარსისაა „ესტრამადურის ბავშვები". მასში კონტრასტულად ნაჩვენებია ორი სამყაროს ბავშვთა ბედი და ცხოვრება. ალბერტი აცნობს ესტრამადურის ბავშვებს, თუ რაოდენ ბრწყინვალეა ახალგაზრდობის აწმყო და მომავალი სოციალიზმის პირველ ქვეყანაში

საბჭოთა კავშირის ბავშვები თავისუფალი მინდვრებისა და ქარხნების ბავშვებია, კაცობრიობის პირველი გაზაფხულის ცოცხალი ყვავილები. ეს ოქტომბრის ბავშვები — ლენინის დიდებაა. ისინი მომავლის სიმღერებში უკვდავყოფენ დიდი ლენინის სახელს და საკუთარი თვალით ნახავენ, ყველა ხალხი რომ გაერთიანდება და დედამიწა გადაიქცევა ერთ მსოფლიო ვარსკვლავად

პოეტმა ლუის ლანდინესმა 1952 წელს თბილისში დაწერა ლექსი „პრომეთე" და იგი მიუძღვნა საბჭოთა მეცნიერებს, რომლებმაც გაუშვეს რაკეტა მთვარის გარშემო. ეს გრანდიოზული მიღწევა დევგმირი პრომეთეს სამშობლოს უძლეველობის ჰიმნად გაისმის, ამავე დროს ხალხის თავისუფალი შრომის ტრიუმფიცაა.

ყველა თანამედროვე პროგრესულად მოაზროვნე საზღვარგარეთელი მწერალი მშვიდობის გულმხურვალე დამცველი და საბჭოთა კავშირის მეგობარია. ისინი გულწრფელად ამაყობენ ჩვენი ქვეყნის ძლიერებითა და საერთაშორისო ავტორიტეტით. იგი დღეს მტკიცედ და იმედიანად დგას სოციალიზმის მსოფლიო სისტემის სათავეში და მრავალმხრივად ავლენს თავის უპირატესობას სოციალურ-ეკონომიკური, იდეურ-პოლიტიკური და სულიერი განვითარების თვალსაზრისით. ეორ-ეი ამადუს თქმით, როგორც წარსულში, ისე ახლაც საბჭოთა კავშირი დიდსულოვანი დედაა და ჩვენ ვხედავთ, რომ მასში იქმნება ბედნიერება, რისთვისაც ვიბრძვით მთელ რიგ ქვეყნებში; სწორედ ამიტომ ყველა შეუერთდება თურქი კომუნისტი პოეტის ნაზიმ ჰიქმეთის მოსაზრებას: „ჩემს თავს სსრ კავშირის შვილად ვთვლი". საბჭოთა კავშირი ეხმარება საზღვარგარეთელ მწერლებს, დაინახონ სიმართლის, მშვიდობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლის გზა, დაინახონ და ასახონ ცხოვრება მის რევოლუციურ განვითარებაში, დღევანდელობიდან ხვალინდელისკენ მოძრაობაში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ვალერიან გაბაშვილი

# ჩრდილოეთის გზა

## საქართველოს საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა ისტორიიდან

იოვანესა და ეფთვიმესი ცხოვრებაში (XI ს.) ვკითხულობთ: „რამეთუ ჩუენ, ვითარცა ხედავთ, ზღჳსა რაჲთურთ გამოცდილება არა გაქუს, და ჩუენი ყოველი გასარომელი ზღჳით შემოვალს“, ამიტომო დაასენს ავტორი, იძულებული გავხდით ქართველთა მონასტერში ბერძენი ბერებიც დაგვეშვა, როგორც „მენავენი“ და „ნავის მოქმედნი“.

ამ ცნობამ არ შეიძლება გაოცება არ გამოიწვიოს. ათონის ივერთა მონასტრის ბერები (ყოველშემთხვევაში, მათი დიდი უმრავლესობა) სამხრეთ-დასავლეთ საქართველოდან ე. ი. ზღვისპირეთიდან იყვნენ (ამიტომაა ათონელ მოღვაწეთა ცხოვრებაში ასე ხშირად დასახელებული სამცხე, კლარჯეთი, ჯავახეთი, თრიალეთი..). უეჭველად ამ კუთხის თავისებურებათა ნიადაგზეა ნაწარმოები შავი ზღვის ქართული სახელწოდება „სპერის ზღვა“. X ს-ის სპარსული გეოგრაფიული თხზულების „ჰოდუდ ალ-ალემის“ (ქვეყნიერების საზღვრების) ანონიმური ავტორი შავ ზღვას „ქართველთა ზღვას“ უწოდებს. დიდით ლაზი იყო ათონის მთის სამონასტრო ცხოვრების ფაქტიური ფუძემდებელი ათანასე. ლაზები კი იმთავითვე განთქმული მეზღვაურები იყვნენ.

ამავე დროს, ათონის ივერთა მონასტრის ბერებისათვის ზღვაზე ნაოსნობა-მოგზაურობა სრულიადაც არ იყო უცხო. გიორგი მთაწმინდელი სამსონიდან („ქალაქსა ზღვისკიდისასა“) ხომალდით გამოემართა ფოთისაკენ („და ესრეთ ნავითა წარვემართენით კერძოთა აფხაზეთისათა... მოვიწიენით ფოთს და მიერ სახედრით ქუთაისს ჟამსა სთულისასა“). საქართველოდან უკან დაბრუნებული გიორგი ათონელი ზღვით გაემართა მთაწმინდისაკენ („წარმოვემართენით ზღჳით მთაწმინდას“).

მაშ რით უნდა ავხსნათ ის, რომ ქართველებს, იმავე გიორგი ათონელის სიტყვით, ზღვაზე ნაოსნობის გამოცდილება აკლდათ?

ჩვენი აზრით, მას მხედველობაში უნდა ჰქონდეს ზღვაოსნობის მკვეთრი შემცირება შავ ზღვაზე VIII—XI საუკუნეებში, რასაც გავლენა უნდა მოეხდინა ქართველების ზღვასთან დამოკიდებულებაზე და მთელი მათი ყურადღება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხმელეთის სავაჭრო გზებზე გადაეტანა.

საქმე ისაა, რომ VIII-XI საუკუნეებში შავი ზღვის როლი საერთაშორისო ვაჭრობაში დიდად შეზღუდული იყო და „ყოველმხრივ შეკრული“, გარესამყაროსგან იზოლირებული აღმოჩნდა.

საზოგადოდ შავი ზღვა ისტორიულად მეტად თავისებურ მდგომარეობაში იმყოფებოდა. გარკვეულ პოლიტიკურ სიტუაციაში სულ ადვილად ხერხდებოდა „ზღვის შეკვრა“, ზღვის ტბად გადაქცევა. ასე მოხდა VIII—XI საუკუნეებშიც, როდესაც არაბები ხმელთაშუაზღვის დასავლეთ ნაწილში გაბატონდნენ და შავი ზღვის გარესამყაროსთან დამაკავშირებელი გზები გადაკეტეს.

შავი ზღვა, როგორც ცნობილია, ვიწრო სრუტით უკავშირდება ხმელთაშუაზღვას. სწორედ ამ სრუტის დაუფლებისათვის წარმოებდა მრავალწლოვანი ომები დიდსა და ძლიერ სახელმწიფოებს შორის ადრეც და გვიანაც. უხსოვარ დროს დაწყებული შეჯახებანი და წინააღმდეგობანი სრუტეთა გამო XX საუკუნემდე გაგრძელდა.

ბელგიელი ისტორიკოსის ჟაკ პირენის სიტყვით, ტროას ომი იმ სრუტის დაუფლებისათვის დაიწყო, რომელიც ერთმანეთს შავ და ხმელთაშუა ზღვებს უკავშირებდა.

არაბთა გაბატონებამ ხმელთაშუა ზღვის დასავლეთ ნაწილში ერთხელ კიდევ გადაკეტა შავი ზღვა. საზოგადოდ კი საშიშარი გახდა ზღვებზე ნაოსნობა იმ დროს ვითარებაში, როდესაც ყველგან მუსლიმანი მეკობრენი დათარეშობდნენ. ეს გარემოება აღნიშნულია „გიორგი მთაწმიდელის ცხოვრებაშიც“ (ცმელით წარმოვედით სიშორისათჳს გზისა და შიშისათჳს სარკინოზთაჲსა“).

ამ მოვლენების უშუალო შედეგი იყო ანტიკურ პერიოდში აყვავებული ქალაქების დაკნინება როგორც შავი ზღვის აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ ნაპირებზე. შავი ზღვის პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა საგრძნობლად დაეცა. სამაგიეროდ გაძლიერდა იმ სახმელეთო გზების მნიშვნელობა, რომლითაც ინტენსიურად სარგებლობდნენ მუსლიმანი ვაჭრები, მსოფლიო ვაჭრობის იმდროინდელი მეთაურები.

VIII—X საუკუნეებში განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა ჩრდილოეთის გზას, რომელიც აზერბაიჯანზე და დარუბანდზე გავლით კასპიისპირეთს ვოლგას უკავშირებდა, ხოლო ვოლგას — ბალტიისპირეთს.

ამ სავაჭრო მაგისტრალს უკავშირდებოდა ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთიც (აქ კონსტანტინე მანასეს ცნობის მიხედვით „სკვითები“ არაბულადაც ლაპარაკობდნენ).

ჩრდილოეთის გზა დაწვრილებით აქვთ აღწერილი არაბ გეოგრაფებს (იბნ ხორდადბეჰს, იბნ ფადლანს, იბნ რუსტეს, მასუდის და სხვ.).

ბალტიისპირეთის მეშვეობით ჩრდილოეთის გზა უკავშირდებოდა სკანდინავიის, აღმოსავლეთ ევროპის და, ნაწილობრივ, აგრეთვე დასავლეთ ევროპის (უმთავრესად ინგლისის, ირლანდიის..) ქალაქებს და ნავსადგურებს.

მეტად მნიშვნელოვანი სავაჭრო მაგისტრალის ინტენსიური მოქმედება დიდ სარგებლობას ანიჭებდა ჯერ ხაზართა სახელმწიფოს, ხოლო შემდეგ კიევის რუსეთს.

მკვლევართა სიტყვით, ხაზართა სახელმწიფო ფაქტიურად წარმოადგენდა „კომერციულ სახელმწიფოს“, რომლის შუამავლობით მუსლიმანური აღმოსავლეთი სავაჭრო ურთიერთობას ამყარებდა ქრისტიანულ დასავლეთთან.

ასევე ინტენსიურ კომერციულ საქმიანობას ეწეოდა კიევის რუსეთი და მისი განვითარებული ქალაქები.

რუსეთის ძველ ქალაქებში, ბალტიისპირეთსა და აღმოსავლეთ ევროპაში დიდი რაოდენობითაა მოპოვებული არაბული მონეტები. მარტო კუნძულ ოლანდში აღმოჩენილია 1122 მონეტა, გო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტლანდში 2400.[1] სამარყანდის, ბუხარის, შაშის (ტაშკენტის), ბალხის, ენდერაბის, ნიშაპურის და სხვა აღმოსავლური ქალაქების სახელები გვხვდება რუსეთსა და შვეციაში ნაპოვნ არაბული მონეტების ლეგენდებზე. ინგლისსა და ირლანდიაში პოულობენ არა მარტო მუსლიმანურ მონეტებს, არამედ ისლამურ ყაიდაზე სტილიზებულ სამკაულებსაც. კიდევ მეტი: VIII—IX სს. ინგლისში (მერსიის სამეფოში) იჭრებოდა მონეტები არაბული ზედწერილებით. ეს ზედწერილები ჩანს ინგლისს საშუალებას აძლევდა დაკავშირებოდა მსოფლიო ვაჭრობის იმდროინდელ ცენტრს — აღმოსავლეთს. ყოველივე ეს გვიდასტურებს ,თუ რამდენად ინტენსიური იყო საერთაშორისო ვაჭრობა ჩრდილოეთის გზაზე. საექსპორტო და საიმპორტო საქონლის დინება აღმოსავლეთიდან დასავლეთში და დასავლეთიდან აღმოსავლეთში. ოღონდ აღმოსავლეთიდან უფრო მეტი რამ გაჰქონდათ, ვიდრე შემოჰქონდათ.

პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული თვალსაზრისით ბიზანტია და მუსლიმანური აღმოსავლეთი გაცილებით უფრო დაწინაურებული იყო, ვიდრე იმდროინდელი ევროპა.

შემთხვევით არაა, რომ რუსეთი უფრო სამხრეთისაკენ და აღმოსავლეთისაკენ იყურებოდა, ვიდრე დასავლეთისაკენ.

სამხრეთში რუსეთს კულტურულად განვითარებული ბიზანტია ეგულებოდა, ხოლო აღმოსავლეთში ეკონომიკურად ძლიერი მუსლიმანური სამყარო.

ბალტიისპირეთსა და აღმოსავლეთ ევროპაში პოულობენ ქართულ მონეტებსაც. ტაო-კლარჯეთში X ს-ში მოჭრილი ქართული ფული ნაპოვნია რუსეთის ჩრდილოეთ რაიონებში და ბალტიკის ზღვის ნაპირებზე.[2] აღნიშნული გარემოება მკაფიოდ მიუთითებს, თუ როგორ მჭიდროდ იყო დაკავშირებული ჩრდილოეთის სავაჭრო მაგისტრალთან საქართველო. ამ ცხოველი სავაჭრო ურთიერთობის მაჩვენებელია ქარვაც, რომელიც საქართველოში ფართოდ იყო გავრცელებული და ბალტიისპირეთის ქვეყნების მთავარ საექსპორტო საგანს წარმოადგენდა.

ჩრდილოეთის გზასთან საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა და ამ ურთიერთობის მნიშვნელობა საქართველოს ეკონომიკური განვითარებისათვის ჯერ კიდევ არაა ჯეროვნად შესწავლილი.

ჩრდილოეთის გზის მნიშვნელობა ჩვენს ყურადღებას იქცევს არა მარტო ეკონომიკური, არამედ პოლიტიკურ-კულტურული თვალსაზრისითაც.

ჩრდილოეთის გზამ ერთმანეთს გააცნო რუსები და ქართველები. აქ გაიდგა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიული ფესვები.

ეს ურთიერთობა, ჩანს, ყალიბდება რუსეთის სახელმწიფოს წარმოქმნის პირველსავე საუკუნეებში (IX-X სს.).

არსებული მასალების მიხედვით, საკმაოდ ინტენსიური ჩანს საქართველოს რუსეთთან პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობანი (ქორწინებანი რუს მთავრებსა და ქართველ უფლისწულ ქალებს შორის, ქართველი ხუროთმოძღვრების და მხატვრების მონაწილეობა კიევის ტაძრების შემკობასა და მოხატვაში).

---

[1] მოტანილია 1967 წლამდე ცნობები. რუსეთის ძველ ქალაქებში ახლაც პოულობენ არაბულ მონეტებს. ამას წინათ ნოვგოროდ-სევერსკში აღმოაჩინეს 951-952 წ. მოჭრილი დირჰემი, რომელიც სამკაულად ყოფილა გამოყენებული (გაზ. „პრავდა", 16. 11. 82. წ.). არაბული მონეტის სამკაულად გამოყენება მიუთითებს, თუ როგორ იყო გავრცელებული არაბული მონეტები იმდროინდელ რუსეთში და რამდენად ინტენსიური იყო საერთაშორისო ვაჭრობა ჩრდილოეთის გზაზე.

[2] ქალ. შვანში (მაკლებურგი) 1853 წელს აღმოჩენილი განძის შემადგენლობაში მოიპოება ქართული მონეტაც. მონეტა დავით კურაპალატის ჩანს და 1001 წელზე გვიანი ხანით ვერ დათარიღდება. X-XI სს. ქართული მონეტების გავრცელების არეალი მეტად ფართო ჩანს. ეს ხაზგასმით აქვთ აღნიშნული ქართული ნუმიზმატიკის მკვლევარებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამიტომაა, რომ XI ს-ის ქართულ საისტორიო წყაროებში ასე ხელშესახები ცნობები გვხვდება ვარანგების ანუ ვარიაგების შესახებ.

თავის მხრივ რუსული წყაროები ასახელებენ ქართველებს — „ობეზებს". XI ს-ის ქართველებისათვის ცნობილი იყო „სლავიც" (ასე იხსენიებიან ბულგარელები „გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებაში". აშკარად ჩანს დარიალის გზის მნიშვნელობაც რუსეთ-საქართველოს ეკონომიკურ ურთიერთობაში. ამის მაჩვენებელია კეთილმოწყობილი გზა, რომელიც თბილისელმა დიდვაჭარმა ზანქან ზორაბაბელმა სწრაფად განვლო, რათა თამარის საქმროდ გიორგი რუსი ჩამოეყვანა.

კიევის რუსეთი სულ უფრო და უფრო მკაფიოდ ავლენდა თავის სავაჭრო-ეკონომიკურ ინტერესებს, აძლიერებდა პოლიტიკურ გავლენას მეზობელ ხალხებსა და ქვეყნებზე, აფართოებდა ტერიტორიას, მოიწევდა სამხრეთის მიმართულებით, ხელს სდებდა ყირიმს, შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროებს. მისი ხომალდები X ს-ში თვით კონსტანტინოპოლის კარიბჭესთან აღმოჩნდნენ. ასეთ ვითარებაში გაჩნდა შავი ზღვის ერთ-ერთი სახელწოდება „რუსთა ზღვა".

უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა რუსთა ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მოქცევას. ამან გააძლიერა ბიზანტიის კულტურულ-იდეოლოგიური გავლენა რუსეთში.[3] რუსეთის ქრისტიანულ სახელმწიფოდ გადაქცევამ, რუსთა ფართო მასების გაქრისტიანებამ კიდევ უფრო მყარი საფუძველი შეუქმნა რუსებისა და ქართველების დაახლოებას. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ყოველმხრივ განვით[illegible] მხრივ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორთაგანი აღმოჩნდა ერთმორწმუნეობა: მართლმადიდებლობა.

XII და, განსაკუთრებით კი, XIII საუკუნე აღინიშნა მთელი რიგი არსებითი ხასიათის ცვლილებებით რუსეთის, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის საერთაშორისო ურთიერთობაში.

XII ს-ში შავი ზღვა კვლავ დაუკავშირდა ხმელთაშუა ზღვას. ეს განაპირობა მუსლიმანთა ბატონობის შესუსტებამ ხმელთაშუაზღვის დასავლეთ ნაწილში, ჯვაროსანთა ექსპანსიამ სირია-პალესტინაში (ხმელთაშუაზღვაზე ახლა ფრანკები ბატონობდნენ პოლიტიკურადაც და ეკონომიკურადაც). ვენეციის რესპუბლიკამ და გენუამ გზა გაიკაფეს შავი ზღვისაკენ. ყირიმში დაარსდა გენუელთა ახალშენი. კაფა იქცა ვაჭრობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კენტრად. ყოველივე ამას არ შეიძლებოდა გავლენა არ მოეხდინა ჩრდილოეთის გზის ოდინდელ მნიშვნელობაზე. მაგრამ არსებითი ხასიათის ცვლილებები გამოიწვია არა ამან, არამედ მონღოლთა დამარბეველი შემოსევებისა და ბატონობის შედეგებმა. მონღოლთა თარეში და ბატონობა რუსეთში დიდხანს გაგრძელდა. ეკონომიკურმა დაქვეითებამ, ქალაქების დაკნინება-გაპარტახებამ დაასუსტა ჩრდილოეთის გზა, დაუკარგა მას ძველი მნიშვნელობა (ამ გზის აღდგენა-დაუფლებას ცდილობდა თემურ-ლენგი თავისი დაუსრულებელი ომებით ჩრდილოეთისა და სამხრეთის ქვეყნებში).

არა ნაკლებ უარყოფითი იყო მონღოლთა შემოსევებისა და ბატონობის შედეგები სამხრეთში. გზების გადანაცვლებას (ჩრდილოეთიდან სამხრეთის მიმართულებით) თან სდევდა პოლიტიკური ხასიათის ცვლილებები. XIII-XIV საუკუნეებში შუა აზიიდან ეგვიპტემდე ვრცელდება და ბატონდება თურქული ელემენტი. კიდევ უფრო ინტენსიურად გაგრძელდა თურქ-სელჩუკების დროს დაწყებული შავი ზღვის თურქი-

[3] ძლიერი იდეოლოგიურ-კულტურული ზეგავლენის მიუხედავად, სუსტი იყო ბიზანტიის პოლიტიკური და ეკონომიკური წონა რუსეთთან ურთიერთობაში. აღსანიშნავია რომ ჩრდილოეთში მუსლიმანურ მონეტებთან შედარებით მცირე რაოდენობითაა ნაპოვნი ბიზანტიური მონეტები. აქედან ჩანს, რომ ბიზანტიის ვაჭრობა ჩრდილოეთთან ნაკლებ მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე მუსლიმანთა ვაჭრობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაციის პროცესი (თურქულ ნიადაგზეა ნაწარმოები ამ ზღვის აღმნიშვნელი და ამჟამად საყოველთაოდ გავრცელებული სახელწოდება — „შავი ზღვა“, თურქ. „ყარა დენიზ“). მონღოლთა შემოსევების შედეგებს უშუალოდ უკავშირდება ოსმალთა სახელმწიფოს წარმოქმნა XIII—XIV საუკუნეთა მიჯნაზე. XV—XVI სს. ოსმალეთი იმდენად გაძლიერდა, რომ თავისი ბატონობა გაავრცელა აზიის, ევროპის და აფრიკის კონტინენტების ქვეყნებზე.

XVI ს-ის მეორე ნახევარში ოსმალეთმა კვლავ გადაკეტა შავი ზღვა, გადააქცია ოსმალეთის ტბად.

1453 წელს ოსმალებმა აიღეს კონსტანტინოპოლი, 1461 წელს გააუქმეს ტრაპიზონის საკეისრო, 1475 წელს თავიანთ უზენაესობას დაუქვემდებარეს ყირიმის სახანო. ასე შეიკრა ოსმალეთის ბატონობის რკალი შავ ზღვაზე. აქ ისინი განუყოფლად ბატონობდნენ XIX საუკუნემდე.

ამ მოვლენის შეფასებისას ივ. ჯავახიშვილი შენიშნავდა, რომ XV ს-ის მეორე ნახევარში ზღვა შეიკრა და საქართველო დიდიხნით მოწყდა ალორძინების გზაზე შემდგარ დასავლეთ ევროპას.

ოსმალეთი მტკიცედ გაბატონდა ხმელეთზეც და ზღვებზეც.

ამან ევროპული სახელმწიფოები (გარდა საფრანგეთისა და ვენეციისა, რომელნიც კაპიტულაციების საფუძველზე პრივილიგირებული მდგომარეობით სარგებლობდნენ ლევანტის ვაჭრობაში) აიძულა ეძებნათ ახალი სახმელეთო და საზღვაო გზები აღმოსავლეთთან დასაკავშირებლად.

ოსმალეთის ექსპანსიამ ობიექტურად განაპირობა არა მარტო დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები, არამედ ჩრდილოეთის ძველი გზის მნიშვნელობის განახლებაც.

XII ს-ის მეორე ნახევარში რუსეთის თაოსნობით კვლავ აღსდგა ჩრდილოეთის გზის ცნობილი მაგისტრალი — კასპიისპირეთი — ვოლგა — ბალტიისპირეთი.

საამისო პირობები შექმნა ყაზანის და ასტრახანის სახანოების რუსეთთან შეერთებამ. ვოლგა-ასტრახანის მაგისტრალის საშუალებით კვლავ დამყარდა სავაჭრო ურთიერთობა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. ამ განახლებული მაგისტრალით, ისევე როგორც ადრე IX—X საუკუნეებში, კასპიისპირეთი, ირანი და შუა აზია უკავშირდებოდა ბალტიისპირეთს, ხოლო ბალტიისპირეთის მეშვეობით დას. ევროპის ქალაქებსა და ნავსადგურებს.

ვოლგა-ასტრახანის გზის გახსნას მტრულად შეხვდა ოსმალეთი (ამით ის დიდძალ საბაჟო შემოსავალს ჰკარგავდა) და შეუდგა მთელი რიგი პოლიტიკური და სამხედრო ღონისძიებების განხორციელებას, რათა აღმოსავლური საქონლის დინება კვლავ სამხრეთის გზებზე გადაეტანა.

ამგვარ მიზანს ისახავდა ვოლგა-დონის შეერთების უშედეგო ცდა და მარცხით დამთავრებული 1569 წ. ლაშქრობა ასტრახანის წინააღმდეგ.

აღმოსავლეთისა და დასავლეთის სავაჭრო ურთიერთობაში ვოლგა-ასტრახანის განსაკუთრებული მნიშვნელობა სულ უფრო და უფრო ცხადი ხდებოდა.

ამის მაჩვენებელია ამ გზაზე ზედიზედ ახალი ქალაქების წარმოქმნა (ცარიცინი, სარატოვი, სამარა...). გზის სადარაჯოები თანდათან მსხვილ ქალაქებად იქცნენ.

ყველაზე ადრე განახლებულ მაგისტრალზე ინგლისელები გამოჩნდნენ.

მათ 1555 წელს დააარსეს ინგლისური „მოსკოვური კომპანია“, რომელმაც ინტენსიური მოღვაწეობა გააჩაღა სავაჭრო ურთიერთობათა სარბიელზე.

ვოლგა-ასტრახანის მაგისტრალს რუსეთისათვის ჰქონდა არა მარტო ეკონომიკური, არამედ დიდი პოლიტიკური მნიშვნელობაც.

ფაქტიურად ვოლგა-ასტრახანის გზა-

ზე გაიმართა რუსეთის აღმოსავლური პოლიტიკა.

რუსეთი სულ უფრო და უფრო მოიწევდა სამხრეთისაკენ, უახლოვდებოდა ამიერკავკასიას, კასპიისპირეთს, დღის წესრიგში დგებოდა ამიერკავკასიის ქვეყნებთან ურთიერთობის საკითხი.

ამას მოითხოვდა რუსეთის პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესები. ამიტომ ეს ურთიერთობანი არ შეიძლებოდა ორმხრივი არ ყოფილიყო.

ვოლგა-ასტრახანის გზის ინტენსიურმა მოქმედებამ, სხვა რიგის ფაქტორებთან ერთად, ნიადაგი შეუმზადა ერთიანი შინაგანი ბაზრის წარმოქმნას. ერთიანი შინაგანი ბაზარი რუსეთში შეიქმნა XVII ს-ის მეორე ნახევარში. ამ დროიდან თარიღდება რუსეთის ისტორიის ახალი პერიოდის დასაწყისი (ლენინი).

კავკასიის და აზიის კულტურული ხალხები რუსეთის წინსვლას, მასთან პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობის განმტკიცებას უკავშირებდნენ მომთაბარე შემოსევებისა და ბატონობის შედეგად შეფერხებული ინტენსიური მეურნეობის აღორძინებას, კულტურული განვითარების ახალ, ევროპულ გზაზე გამოსვლას. ვოლგა-ასტრახანის გზის გახსნას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსათვის.

რუსეთის გასვლას ვოლგა-ასტრახანის მაგისტრალზე და იმიერკავკასიაში გამოჩენას დაუყოვნებლივ მოჰყვა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის განახლება.

ასტრახანი იქცა იმ ქალაქად, სადაც დიდხანს რჩებოდნენ ანდა ცხოვრობდნენ რუსეთ-საქართველოს დაახლოების მესვეური ქართველი მოღვაწენი.

XVI ს-ის 50-60-იან წლებში ინტენსიური ურთიერთობა დაამყარა რუსეთთან კახეთის სამეფომ.

ლევან კახთა მეფეს (და მის მემკვიდრეებს) კარგად ესმოდათ რუსეთის პოლიტიკური როლის ზრდისა და ეკონომიკური ზეგავლენის მნიშვნელობა მუსლიმანური ქვეყნებით გარემოცვის პირობებში.

რუსეთის მეშვეობით კვლავ გახდა შესაძლებელი დას. ევროპის ქვეყნებთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის დამყარება.

XVI ს-ის 60-იანი წლების დამდეგს „მოსკოვური კომპანიის" წარმომადგენლის ჯენკინსონის ერთ-ერთი მხლებელი კლარკი გამოჩნდა კახეთის საზღვრებში (ქალაქ არეშთან). კლარკი ლევან კახთა მეფის მოციქულებთან მოლაპარაკებას აწარმოებდა კახური აბრეშუმის შესყიდვის თაობაზე. ასეთსავე მოლაპარკებას (ეს ინგლისური წყაროებით დასტურდება) ადგილი ჰქონდა ქალაქ ჯულფაში — ამიერკავკასიის აბრეშუმით ვაჭრობის ცენტრში. შემახაში და ჯულფაშიც ამ დროს ბლომად იყვნენ ინგლისელი ვაჭრები. აქ საქმობდნენ და ხანგრძლივად ცხოვრობდნენ კახელი ვაჭრებიც.

ცოტა გვიან ალექსანდრე კახთა მეფე რუს ელჩებს ატყობინებდა, რომ მისი დიპლომატიური აგენტები ვითომ ვაჭრები დადიოდნენ დას. ევროპის ქვეყნებში და რომ იგი იქაური ამბების საქმის კურსში იყო. ამის ერთ-ერთ მაგალითად ასახელებდა ესპანეთის არმადის დაღუპვას ინგლისის ნაპირებთან 1589 წელს.

დოკუმენტურად დასტურდება კახელ ვაჭართა ახალშენის არსებობა მოსკოვში XVI ს-ის დამლევს.

საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობათა შესახებ საყურადღებო ცნობებს ვპოულობთ XVII—VXIII სს. „მზითვის წიგნებში", სადაც დიდი რაოდენობით არის ჩამოთვლილი აღმოსავლური და დასავლური წარმოშობის სხვადასხვა საქონელი, უმთავრესად ძვირფასი ქსოვილები და სამკაულები.

XVI—XVIII ს. საქართველოში სულ უფრო და უფრო დიდ იმნიშვნელობა ენიჭებოდა ევროპასთან ურთიერთობას.

„ევროპია" ქართველების თვალში იყო რუსეთიც (რუსეთში წასვლა ნიშნავდა ევროპაში გამგზავრებას) და დას. ევროპაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასევე უცხოელებს, როგორც აღმოსავლეთიდან და. ევროპისაკენ მიემგზავრებოდნენ. მოსკოვი მიაჩნდათ ევროპულ ქალაქად.

ევროპული კულტურა მ ეწევეში რუსეთში ვრცელდებოდა კიევის აკადემიის და მოსკოვის საგანმანათლებლო კერების საშუალებით.

ქართველი მოღვაწენი, განსაკუთრებით XVII ს-ის მეორე ნახევრიდან, ინტენსიურად ეცნობოდნენ ევროპული კულტურის მიღწევებს.

„ევროპისა" მოწინავის, დაწინაურებულის მნიშვნელობას იძენდა, ჩამორჩენილი „აზიელობაში — ოსმალობის" საპირისპირო ცნებად წარმოდგებოდა.

ქართველ მოღვაწეთა მთავარი პოლიტიკური მიზანი მტრული სახელმწიფოებით გარემოცვის გარღვევა იყო. მაგრამ ამ პოლიტიკური მიზნის განხორციელებას უშუალოდ უკავშირდებოდა ქვეყნის ეკონომიკური და კულტურული აღორძინების წადილი.

ამ მიზნების განხორციელებისათვის მყარი საფუძველი უნდა შეექმნა „ევროპეიზაციას". განვითარების ევროპულ გზაზე გამოსვლას. XVI საუკუნიდან მოყოლებული ევროპეიზაციის მოტივები სულ უფრო და უფრო მძლავრად იკაფავს გზას ცხოვრებაშიც და მწერლობაშიც.

XVI—XVIII სს. საქართველო დას; ევროპას ეცნობოდა როგორც აღმოსავლეთის, ისე რუსეთის მეშვეობით.

XVI—XVIII სს. განმავლობაში სულ უფრო და უფრო ხორცს ისხამდა საქართველოს რუსეთთან პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობანი. ამ მხრივ განსაკუთრებულ როლს ასრულებდა ჩრდილოეთის გზა ამ გზაზე ყალიბდება და ვითარდება მჭიდრო კავშირი რუსეთსა და საქართველოს შორის.

XVIII ს-ის უკანასკნელ მეოთხედში, მახლობელ აღმოსავლეთის საერთაშორისო ძალთა განწყობილებაში მომხდარი ცვლილებების შედეგად, ხელსაყრელი პირობები შეექმნა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა [illegible] თარება.

მეტოქეობაში ვგულებ [illegible] პოლიტიკური (ირანისა) და ოსმალეთის [illegible] გამწვავება ევროპის დიდ სახელმწიფოთა ურთიერთობა-მეტოქეობაში [illegible]), [illegible] ეკონომიკური [illegible] (დარიალის გზის გახსნა).

ორივე მხარის განსაკუთრებული [illegible] მოჩნდა ვოლგა-ასტრახანზე [illegible] გზა ერთმანეთთან დაკავშირებულ [illegible] დარიალი.

დარიალის გზის გახსნას XVIII ს-ის 70-იან წლებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით.

1783 წელს დაიდო გეორგიევსკის ხელშეკრულება, 1801 წელს კი საქართველო რუსეთს შეუერთდა.

საქართველომ რუსეთთან შეერთებით თავი დააღწია არა მარტო ჩამორჩენილი აგრესიულად განწყობილი სახელმწიფოებით გარემოცვას, არამედ. შუასაუკუნეობრივი ცხ ოვრების წესებსაც.

ამის შედეგი იყო ახალი სოციალური და ეკონომიკური ურთიერთობის ფორმები, რომელთაც გამოკვეთილი სახე XIX ს-ის მეორე ნახევარში მიიღეს.

ეკონომიკური თვალსაზრისით უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა XIX ს-ში რუსეთის თაოსნობით შავი ზღვის გარე სამყაროსთან დაკავშირებას.

ჩრდილოეთისა და სამხრეთის გზების გაერთიანებამ დააჩქარა რუსეთის ეკონომიკური განვითარება.

XIX ს-ის 70-იან წლებში ამიერკავკასიის რკინიგზის გაყვანამ ეკონომიკურად დააწინაურა არა მარტო ამიერკავკასიის ქვეყნები (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი). არამედ ჩრდილოეთ ირანიც.

ცარისტული რეჟიმის შემაფერხებელი პირობების მიუხედავად, საქართველო საზოგადოებრივი აღმავლობისა და ეკონომიკური განვითარების გზას დაადგა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გურამ გვერდწითელი

# დიდი გზის ერთი მონაკვეთი

სულ ცოტაც და „მნათობს“ დაარსებიდან სამოცი წელი შეუსრულდება. რამდენი რამის მომსწრეა იგი ამ ხნის მანძილზე — მოქუფრული ზეცის და მზიანი დარის, ხელჩართული ბრძოლისა და ხელიხელჩაკიდებული შრომის, ნგრევის და შენების.. შორიდან მზირალი მოწმე როდია. ეს ყველაფერი მის თავზეცაა დატრიალებული, მის მიერაცაა გადატანილი და განცდილი. იგი საქართველოს საბჭოური ეპოქის შვილიცაა და ტოლ-მეგობარიც.

ქართველი ხალხის ყოფა და ცხოვრება ამ სამოცი წლის მანძილზე „მნათობის“ ფურცლებზეც შეგვიძლია შეუმცდარად ამოვიკითხოთ, რაკი ჟურნალი მწერლობის სარკეა, ხოლო მწერლობა კი — ცხოვრებისა. თავის ამ მოწოდებას „მნათობი“ მუდამ გრძნობდა, დღიდან მისი დაარსებისა და არც არასოდეს ულალატნია მისთვის. ეს მოწოდება სხვასაც გულისხმობდა, იქნებ უფრო მთავარსაც. იგი ქართული მწერლობის, მასთან ერთად კი ცხოვრების წინსვლის. განვითარების, განწმენდის, ამაღლების შემწე უნდა ყოფილიყო. იყო კიდეც. არის კიდეც.

დროის მდინარებაში „მნათობი“ ხან მარტო მიიკვლევდა გზას, ხანაც სხვებთან ერთად (ახლა კიდევ ხომ, საბედნიეროდ, მრავლადა ჰყავს თანამგზავრები, ათი ლიტერატურული ჟურნალი და ალმანახი თუნდაც ათი წლის წინ აუხდენელ ოცნებად ჩანდა), მაგრამ გეზი ყოველთვის წინ ეჭირა, მუდამ თავში იყო, როგორც ეს „ფლაგმანს“ ეკისრება და ეკადრება. მაშინაც კი, როცა ორმოცდაათიანის დამლევს „მნათობს“ ისეთი მშფოთვარე და ძალოვანი თანამებრძოლი შეეძინა, როგორიც „ცისკარია“, არავის უფიქრია მისი ფლაგმანობის ხელყოფის ცდა. „მნათობი“ მნათობი იყო და მნათობად დარჩა.

ამგვარი შესავალი ვინმეს „მნათობზე“ ვრცელი და საფუძვლიანი საუბრის დასაწყისი არ ეგონოს. არადა, ამის მოთხოვნილება, აუცილებლობაც უკვე მომწიფდა. შორს აღარაა ჟურნალის იუბილის დღე და ამ თარიღისთვის მაინც უნდა შეიქმნას მისი ბიოგრაფიის, გამოცდილების, დამსახურების ამსახველი მონოგრაფია. „მნათობის“ ისტორიის შესწავლას და დაწერას კი ერთი და ორი თვე არ ეყოფა, ამას ერთი ან ორი წელი მაინც უნდა და თადარიგიც აქედანვე უნდა იქნას დაჭერილი.

ეს მან უნდა მოიმოქმედოს, ვისაც მოეთხოვება და ხელეწიფება კიდეც. მე კი მხოლოდ იმისათვის გავიხსენე, რომ ჟურნალის ამ საერთო მიზანდასახულების, დანიშნულების, გამოცდილების პროექციაში დამენახა მისი ერთი

* წაკითხული იყო მოხსენების სახით საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის სხდომაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წლის ცხოვრება, მოსავალი — აბიბინებულიყანაც თუ მოუწეველი ნაყოფიც, სავსე თავთავიც თუ შეპარული სარეველაც.

საკმაოდ ხშირად მიწევს ამგვარი მიმოხილვითი წერილების წერა. სხვაა თუ არა, მე მაინც მახსოვს, ყოველთვის ვწუწუნებ ხოლმე ამ ხასიათის საუბრის წამოწყებისას წინ კრიტიკოსის მძიმე ხვედრზე და საჩოთირო მდგომარეობაზე. უსაფუძვლოდ არ მომდის ეს. ბევრი იქნებ არც სხვა დროს დამრჩენია კმაყოფილი და მადლიერი, მაგრამ მიმოხილვების გამო რომ მეცა და ალბათ სხვა ავტორებიც უფრო უკმაყოფილებას და უმადურებას გადავყრივართ, ეს აშკარაა. არც არავის ვამტყუნებ. ჯერ ერთი, მიმოხილვის დროს აულაც არ არის გამორიცხული, რომ კაცს რაიმე თუნდაც საინტერესო და საყურადღებო გამორჩეს, ან სათანადოდ დაუფასებელი დაურჩეს. მეორეც, ყველას უნდა მისი ახალი ნაწარმოები მიმომხილველის ყურადღების ცენტრში მოექცეს და ეს ბუნებრივი სურვილია. მაგრამ თუნდაც ერთი წლის მანძილზე და თუნდაც ერთი ჟურნალის ფურცლებზე იმდენი რამ იბეჭდება, მათი უბრალო ჩამოთვლაც კი გაჭირდება. ამიტომ ახლაც იძულებული ვიქნები ზოგ რამეს გვერდი ავუარო და უფრო მნიშვნელოვანი სათქმელის (ცხადია, ჩემი აზრით), ან რაიმე დამახასიათებელი ნიშნებით გამორჩეულ მხატვრულ ნაწარმოებებს თუ წერილებს შევეხო. ასეთ რთულ ვითარებაში იმედად მეცა და ავტორებსაც ის უნდა გვრჩებოდეს, რომ სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაკარგავს. კეთილი ნაყოფი, მე კიდეც რომ გამომრჩეს, სხვას მაინც არ დარჩება შეუმჩნეველი და, ცოტა ადრე თუ ცოტა გვიან, ყველას დაუფასდება დასაფასებელი ამაგი და ნაღვაწი.

„მნათობი" თავისი არსებობის მანძილზე მუდამ ინარჩუნებდა, ასე ვთქვათ „აკადემიური" ჟურნალის სახელს. მაშინაც კი, როცა დიდი ლიტერატურული შეხლა-შემოხლები იყო და განსხვავებული პოზიციებიც შეიმჩნეოდა. ის მუდამ ცდილობდა მთელი ქართული მწერლობის ტრიბუნად დარჩენილიყო. მისი საუკეთესო ნაწარმოებების პოპულარიზატორი და პროპაგანდისტი ყოფილიყო, ნაკლებად აჰყოლოდა ვნებათაღელვის ცდუნებებს და საკუთარი სოლიდური ბუნებით დაპირისპირებოდა ამჩატებულ განწყობილებებს. „აკადემიურობის" მიუხედავად, ჟურნალი არასოდეს უფრთხოდა სიახლეს, ახალგაზრდულ სითამამეს, ექსპერიმენტს. ჟურნალის ამგვარი ბუნება და პოზიცია გასული წლის ნომრებითაც აშკარად იკვეთება.

არც ნამდვილ და მითუფრო არც ცრუ ვნებათაღელვებს არ აუმღვრევიათ გასულ წელს არც საერთოდ ლიტერატურული ცხოვრება და არც კერძოდ „მნათობის" ყოფა. ერთისთვისაც და მეორისთვისაც გასული წელი მშვიდი, თუმცა შემოქმედებითად ხვავრიელი, საინტერესო, დაძაბული ხანა იყო, რამაც ბევრი სიახლე მოიტანა ჩვენს ცხოვრებაში. „მნათობის" ფურცლებზე შარშან არაერთი პოეტური თუ პროზაული ნაწარმოები დაიბეჭდა, რომელთა მნიშვნელობა სადღეისოდ უეჭველია და კიდევ დიდხანაც გაჰყვება ქართულ მწერლობას. ზოგი რამ უფრო მოკრძალებული დანიშნულებისა, ასე შორს ვერ დაუმიზნებს, მაგრამ თავის კეთილ საქმეს ახლა მაინც მოიმოქმედებს, მკითხველს საყურადღებო სათქმელს მიაწვდის, მის გონსა და სულს რითიმე არგებს. როგორც საერთოდ ხდება, და ეს ბუნებრივიცაა, „მნათობის" ფურცლებზე ვის რა მოეწონება მეტად და ვის კიდევ რა. არც ნაწარმოებთა დაწუნებაში შეიძლება ვიყოთ ყველანი ერთი აზრისა, მაგრამ ერთში მე ვფიქრობ, ყველანი ერთსულოვანნი ვიქნებით — „მნათობის" რედაქციამ ყველა ღონე იხმარა (რაც კი მის ძალას არ აღემატება), რათა ჟურნალი დროის მოწოდების სიმაღლეზე ყოფილიყო. ეს აშკარაა, თვალნათლივად ჩანს. მიაღწია კიდეც საწადელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკის დღევანდელი საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების მნიშვნელოვანი მოვლენები, მიღწევები და მიზანსწრაფვა, სული და რიტმი მკაფიოდ აისახა ჟურნალის ფურცლებზე, რაც რედაქციის მაორგანიზებელი როლის გამოხატულებაა. ეს განსაკუთრებით ჩანს იმგვარ მასალებში, როგორიცაა ნარკვევები, პუბლიცისტური პათოსის მხატვრული ნაწარმოებები (ლექსი იქნება, მოთხრობა ,თუ სხვა რამ), წერილები, გამოკვლევები. გასული წლის „მნათობი“ ამ თვალსაზრისით მრავალფეროვანიც იყო, მრავალპრობლემურიც. რაც შეხება მხატვრულ ხარისხს, ეს უკვე იმდენად ჟურნალს არ მოეკითხება, რამდენადაც თავად მწერლობას: ცხადია, რედაქცია ვერც ამ საქმეში დაიბანს მთლიანად ხელს, მაგრამ მას მხოლოდ ერთი რამ შეუძლია მოიმოქმედოს — არ დაბეჭდოს სუსტი ნაწარმოები, და კიდევ, კეთილი და მომთხოვნი მრჩევლის პირით ურჩიოს ზოგი რამ ავტორს. ამას კი „მნათობი“ არასოდეს არ ამადლის.

სრული პასუხისმგებლობით შემიძლია განვაცხადო: გასულ წელს „მნათობის“ ფურცლებზე არაფერი გამოქვეყნებულა იმისთანა, ან იდეურ-მსოფლმხედველობრივი და მოქალაქეობრივი პოზიციებიდან დასაწუნი, ან კიდევ მხატვრულად უსუსური, რომ კაცმა გაიოცოს, ეს რამ დაიბეჭდინათო. საკამათოს, საჭოჭმანოს, მეტ-ნაკლებად მოსაწონ-დასაწუნს კი რა გამოლევს საერთოდ მწერლობაში, ნებისმიერ ჟურნალში, თუ კერძოდ „მნათობში“.

ჟურნალმა „ცისკარმა“ რომ იწყო გამოსვლა, თავდაპირველად მასა და „მნათობს“ შორის დანიშნულება უფრო მკვეთრად იყო გამიჯნული: ერთი უპირატესად ახალგაზრდობის ნაწარმოებებს ბეჭდავდა, მეორე — უფროსებისას. ამ თვალსაზრისით მკაცრი სადემარკაციო ხაზი არც მაშინ იყო გავლებული, მაგრამ მერე და მერე ეს საზღვარი სულ უფრო წაიშალა. დღეს თუ „ცისკარი“ თავის პირველ ავტორებს, უკვე უფროსი ასაკის მწერლებად ქცეულებს [illegible] გულუხვად სთავაზობს საკუთარ ფურცლებს, სამაგიეროდ „მნათობის“ ყურადღებაც ახალგაზრდობისადმი ბევრად უფრო გულისხმიერია. ამ ერთი წლის მანძილზეც აქ ერთმანეთის გვერდით არიან წარმოდგენილნი ჩვენი მხცოვანი პოეტებიც (პაპები) — ირაკლი აბაშიძე, კარლო კალაძე, ბონდო კეშელავა, კოლაუ ნადირაძე, ალექსანდრე ქუთათელი, შუა ხნისანებიც (მამები) — ხუტა ბერულავა, ემზარ კვიტაიშვილი, მურმან ლებანიძე, მიხეილ ქვლივიძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, ოთარ ჭელიძე და სხვები, ახალგაზრდებიც (შვილები) — დალილა ბედიანიძე, ჯარჯი ფხოველი, ვანო ჩხიკვაძე და მათი ტოლებიც, და კიდევ ისინიც, ვინც ახლა, სულ ამ ბოლო ხანს მოვიდა მწერლობაში — მრავალთაგან დავასახელებ ნანა თარგამაძეს, ნაილი ნეკერიშვილს, ვახტანგ ხარჩილავას. ასეა პროზაშიც, კრიტიკაშიც.

თაობათა ამ კეთილმეზობლობაში უფრო ღრმა აზრი და მნიშვნელობა ძევს, ვიდრე ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს. ეს „მშვიდობიანი თანაარსებობის“ მიმანიშნებელი კი არ არის, არამედ იმის გამოხატულებაა, რომ თანამედროვე ქართული საბჭოთა მწერლობის ყველა თაობა ერთი მიზნითა და სულისკვეთებით არის გამსჭვალული, ერთმანეთთან ორგანული, მემკვიდრეობითი, გენეტიკური კავშირითა შედუღაბებული, საერთო საქმის მოწადინეა. ამგვარი ერთიანობა სულაც არ უშლის ხელს არამცთუ თაობებს, თითოეულ მწერალსაც კი თავისი „კერძო“ ინტერესები და დაკვირვებების საგანი, საკუთარი სტილი და გამოხატვის ორიგინალური საშუალებები ჰქონდეს.

ერთიანი პოზიცია ერთნაირ მწერლობას არა ბადებს. ამიტომაა ასე მრავალფეროვანიც დღევანდელი ქართული მწერლობა. „მნათობის“ ღირსება კი ის გახლავთ, რომ იგი არ არის მიკერძოებული რომელიმე მათგანის მიმართ, თანაბრად სწყალობს ყველასა და ყველა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფერს. ნიჭიერსა და საინტერესოს. მაგრამ წყალობა განუკითხაობას სულაც არა ნიშნავს. ამიტომაცაა ჟურნალი მრავალფეროვანი და არა ჭრელი. ამიტომაცაა იგი უტყუარი სარკე, სადაც ქართული მწერლობის სახე ჩანს და არა კალკეული ნაწარმოებების უსისტემო გროვა.

ვფიქრობ, ზედმეტია იმაზე სიტყვის გაგრძელება, რომ ეს არ გულისხმობს სახის მხოლოდ მშვენიერებას, მისი ნაკვთების უნაკლობას. ამგვარი იდეალური მწერლობა ჯერ არცერთ ეპოქაში არა ყოფილა და პრაქტიკულად წარმოუდგენელიცაა, რადგან ყოველი კონკრეტული დროის ლიტერატურა ცოცხალ, მშფოთვარე დინებასა ჰგავს, რომლის ტალღებსაც მეტ-ნაკლებად, მაგრამ მაინც ერთად მოაქვს ანკარა წყაროების შენაკადებიც და ამღვრეული ქაფიც, მაცოცხლებელი წყალიც და შლამი თუ ლექიც. ჟურნალი ის ჯებირი შეიძლება და უნდა იყოს, რომელიც ბევრწილად შეაკავებს ამ მოზღვავებულ მდინარეს, თავის კალაპოტში მხოლოდ ჭუჭყისაგან დაცლილ დინებას მოაქცევს. მაგრამ მეტს ის ვერ იკისრებს. მეტი, ანუ დაწმენდა უკვე იმ მკაცრი და უტყუარი ფილტრის საქმეა, რასაც დრო ჰქვია.

ჰოდა, ვისაც რა პრეტენზიები არ უნდა ჰქონდეს „მნათობის“ მიმართ, ერთი რამ უნდა ახსოვდეს, რაც მას უმადურობის ქვენა გრძნობას აარიდებს: ჟურნალი ერთგულად მსახურებს თავის მოწოდებას, თავდაუზოგავად იღწვის და იბრძვის იმისათვის, რომ ქართული მწერლობის შემწე იყოს. თუ ამ ამაგს არ დავუკარგავთ, მაშინ უფრო მართალნიც ვიქნებით და მეტი მორალური უფლებაც გვექნება გულახდილად, დაურიდებლად გამოვთქვათ საკუთარი თვალსაზრისი და დამოკიდებულება იმ მასალისადმი, რაც მის ფურცლებზეა დაბეჭდილი.

ახლა, როცა ჩემი საერთო პოზიცია მოგახსენეთ და ისიც ხმამაღლა განვაცხადე, რომ ჩასაფრებული კაცის კი არა, დამფასებლისა და მადლიერი მეგობრის თვალით შევცქერი და ვაკვირდები მეთქი „მნათობს“, თავს უფლებას მივცემ უფრო კონკრეტულად შევეხო ჟურნალის ფურცლებზე გასული წლის მანძილზე გამოქვეყნებული მასალების ავ-კარგს.

## პ ო ე ზ ი ა

თაობათა ერთიანობა და კეთილმეზობლობა „მნათობის“ ფურცლებზე, რასაც ზემოთ საგანგებოდ გავუსვი ხაზი, მარტო კეთილი გულის გამოხატულება როდია, იგი კეთილი ნაყოფის მომცემიცაა ერთთა ცხოვრებისეული და პოეტური გამოცდილება, ხოლო მეორეთა ახალგაზრდული შემართება და ჟინი ურთიერთგადამდებია. თითქოს იშლება კიდეც საზღვრები მათ შორის და ქვეყნის, ხალხის, დროის მსახურთა ერთიან მწყობრში აყენებს ყველას.

პოეზია რატომღაც ახალგაზრდობის უპირატესობად არის მიჩნეული, თუმცა დროდადრო გაგვახსენდება ხოლმე ამისი საპირისპირო საგულისხმო მაგალითებიც ისტორიული გამოცდილებიდან, რაც არცთუ ისე იშვიათი აღმოჩნდება, თუ დავფიქრდებით. დიდი გოეთე! — წამოვიძახებთ მაშინვე, თითქოს შორეულ და უცხო ნიმუშს მეტი დამაჯერებლობა ჰქონდეს. ჩვენი სულმნათი აკაკი განა ნაკლებ შთამბეჭდავად გვარწმუნებს ამაში?

ახლა სულ უფრო ხშირად გაისმის ის მოსაზრება, რომ პოეზია ახალგაზრდობის კი არა, ახალგაზრდული სულის კუთვნილებაა. ეს ბევრად ახლოა ჭეშმა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიტებასთან, თუმცა მასაც სჭირდება დაზუსტება. ცხოვრების ხალისი, ძალუმი წყურვილი დღეს უფრო ახასიათებს დროსაც და მასთან ერთად მხცოვანთა სულსაც. იქნებ ამიტომაც გვყავანან, ჩვენდა გასახარად, ასე მრავლად ახალგაზრდული სულის ხნიერი პოეტები, რომელთა შემოქმედებით წყაროსაც არამცთუ დაშრეტა, კლებაც არ ეტყობა.

ალბათ, ასეცაა. მაგრამ არცთუ იშვიათად მათ ლექსებში ცხოვრებით მართლაც დაღლილი სულის, წლების სიმძიმით დაძაბუნების წუხილიც ისმის (პოზის გამო კი არ, როგორც ეს ჯანმაგარ, უსაფუძვლოდ მოწუწუნე ახალგაზრდებს სჩვევიათ ზოგჯერ) და ესეც არანაკლებ ამაღელვებელი, თანაგრძნობის აღმძვრელი განცდაა, რომელიც მკითხველის გულს მტკივნეულად ხვდება. ასე რომ, პოეტური განცდა მთლიანად თუ არა, უფრო სულის თვისება ყოფილა, ვიდრე ასაკის და ამაში კიდევ ერთხელ გვარწმუნებენ „მნათობის“ ავტორებიც.

„ტყვია მესროლო მირჩევნია ვინემ მირჩიო: ლექსი არ სწერო, ლექსის წერას გადაეჩვიო“, — გვეტყვის, შეგვთხოვს ამ სიბერის ჟამს ბონდო კეშელავა. მაგრამ ეს რიტორიკული თხოვნა უფროა, რადგან არამცთუ არც არავინ ურჩევს ამას, არავის არც კი გაუელვებს ამგვარი მკრეხელური ფიქრი. უბრალოდ, ეს მისი ცხოვრების აზრის და არსის კიდევ ერთი პოეტური გამჟღავნებაა („ბედნიერი ვარ, ბედნიერი ვარ, რახან პოეტის შემრჩა სახელი“). ჩვენ სწორედაც ის გვსიამოვნებს, რომ ბონდო კეშელავას ახალი ლექსები უხვად შემოგვთავაზა „მნათობმა“ (№ 4, 6, 12).

„დიდი ხანია ლხინის სუფრას ვუთხარ უარი“, — გამოგვიტყდება პოეტი. მას უწინდებურად აღარ ახარებს უცხო სტუმარი, ხშირად მარტოობის სევდითაცაა სავსე, მაგრამ ამ მწუხარე განწყობილებასაც აქვს საფუძველთან ერთად, თავისი წამალიც. ადრეულ ხანის გახსენებაზე, პოეტი წერს: „გულს გახურებულს ის მიგრილებდა, ლექსით ვსულდგმულობდი, ლექსით ვცხოვრობდი“. ახლა კი ვრწმუნდებით, რომ წლების მიერ ულმობლად, მაგრამ ბუნებრივად მოტანილ სიძაბუნეს და სიცივეს იგივ მისი ლექსები უკუაგდებენ თავისი სიმხურვალით. ამ სიბერის ჟამს პოეტს ძალას მატებს, უნუგეშობას აძლევინებს ძველი მოწოდების ერთგულების ახლებური გამოხატულება: „მუხლს გამიმაგრებს ულღის გაწევა, მაცოცხლებელ ხმას ვემორჩილები“.

უფრო კონკრეტულიცაა მისი წადილი — „ჩემი და მათი შეხმატკბილდეს აწმყო, წარსული“. ასე უნდა მას გაამთლიანობის თავისი ხანდაზმული ცხოვრება ახალი დროის ადამიანებთან, უფრო დიდი მასშტაბებითაც სურს თაობათა შეკავშირება და ამიტომაც პირდაპირ ეხმიანება დიდი წინაპრის გულისთქმას, როცა ამბობს: „ჩემი ხატია ჩემი სამშობლო, ჩემი ორთავე თვალის სინათლე“. ამგვარი შეკავშირება, ქართული პოეტური და მამულიშვილური სულის გამთლიანება ყველა ჩვენთაგანის საერთო საწადელი უნდა იყოს და, არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ არის კიდეც. ამიტომაც ჩაგვესმის ასე საამოდ მხცოვანი პოეტის ამავ აზრით მთრთოლვარე, გულის სიღრმიდან ამომხდარი სტრიქონები.

დიახ, ახალგაზრდული სული ასაკოვან პოეტთა ლექსში სულიერ გაუტეხლობას, სიმხნევეს გულისხმობს და არა ახალგაზრდულ ჩიტყინებას, უნისლო ზეცას, თავდავიწყებულ ხალისიანობას, სევდისა და წუხილისაგან დაცლას, როგორც ეს ზოგიერთსა სჩვევია. ამ უკანასკნელთა ამგვარი ხმამაღალი, მყვირალა ლექსები არაერთხელ წაგვიკითხავს ჩვენ ყველას და ხშირად მიფიქრია, რომ ეს ავტორის ან ნაძალადევი სტრიქონებია, ან ინფანტილურობის შედეგი.

და საერთოდაც, მოდი შევეშვათ ამ უადგილო ახალგაზრდობას თუ ახალგაზრდულ სულს, ყველას და ყველაფერს თავისი სახელი აქვს, თავისი სირთულეც და თავისი ღირსებაც. კოლაუ ნადირა-

ძის ლექსი ქართველ მკითხველს შვიდი ათეული წელია არ მოჰკლებია, მისი სულიერი ცხოვრების თანამგზავრად ჰყოლია ამ ხნის მანძილზე და დღესაც, ჩვენდა საბედნიეროდ, ყველას გვხიბლავს გრძნობათა სიღრმით, უშუალობით, სინატიფით, პოეტური აზრის გამოხატვის სისადავით, მშვენიერებით. კოლაუ ნადირაძემ გასულ წელსაც არაერთხელ განგვაცდევინა მისი ახალი ლექსებით მონიჭებული სიხარული.

„მნათობის" ფურცლებზეც სამჯერ შევხვდით პოეტს (№ 1, 4, 8). ამ ლექსებით ჩვენს წინ წარმოდგება მხცოვანი პოეტი. იგი არ მალავს ამას, სულაც არ ცდილობს ახალგაზრდული ნილაბის მორგებას, საკუთარი თავისა თუ ჩვენს მოტყუებას, ხაზგასმითაც აღნიშნავს მის ასაკს და წლებით მოტანილ გასაჭირსაც. „წერილი მეგობარს", ბონდო კეშელავასადმი მიძღვნილ ამ საოცრად თბილ, სევდიან, სიყვარულიან ლექსში პოეტი ბოლომდე გულახდილია პირდაპირი ადრესატისა და მკითხველის წინაშეც. ამიტომაც ყველაფერი გვჯერა მისი, სიმძიმილიც და სიხარულიც, ხანდაზმულობის შეგრძნებაც და სულიერი გაუტეხლობაც. ალარც ის გვიკვირს, ოთხმოცდაექვსი წლის პოეტი რომ გვეტყვის, „ისევ მწვავს ცეცხლიო", რომ „სიტყვასთან ბრძოლას" სხვა რამ ვერ შემიცვლისო. მაგრამ ახლა წლებით დამძიმებულს სხვა ფიქრი აქვს, სხვა რამ სწამს:

**მაგრამ, მწამს, მაინც,**
**რომ კვამლი,**
**ჩემგან**
**შეწირულ მსხვერპლის,**
**მიუღებელი**
**არ იქნება**
**ჩემი ღმერთისგან,**
**როგორც კაენის**
**შეწირულ მსხვერპლის!**

კოლაუ ნადირაძის ახალი ლექსები სასიამოვნოდ გვარწმუნებს და ამით გვამხნევებს კიდეც, რომ ხანდაზმულობა გრძნობათა განძარცვას სულაც არ ნიშნავს. პოეტს კვლავაც ეროვნული ბიბლიოთეკა ფიქრი სამშობლოზე, კვლავაც აწუხებს ბედი შორეული თანამოძმის პოლ ვერლენისა, კვლავაც ღვთის წყალობად ჩაესმის წყაროს სიმღერა, კვლავაც თანა სდევს სიხარული გლეხკაცთან პურის გატეხისა, არც სიყვარულის მტანჯველი გრძნობა განელებია, მაგრამ ეს ყველაფერი უკვე სხვა შეფერილობისა, სხვა სიმაღლიდან, მიახლოებიდან არის დანახული და განცდილი — ზამთრის მწუხრი ჩამომდგარა, მზეც ძველებურად აღარ აშუქებს, გაძარცულ ხეებსაც ათოვს და ათოვს, „ნეტავ ჩემსავით, ნეტავ ჩემსავით, თუ კიდევ ცივა ვისმეს?" „პატარა სიმღერაში" კი, რომელიც დიდ ინტიმურ განცდებს იტევს, არ ივიწყებს პოეტი გადასახედის სიახლოვეს:

**ო, უკვე დღეებს აღარ ვთვლი ჩემსას**
**წლების ფერხული ჩქარობს,**
**მთიბავი ახლოს თავის ცელს ლესავს!**
**შენ რათ დამტირი, ქარო?**

ეს რეფრენი — „შენ რათ დამტირი, ქარო?" — კიდევ უფრო ამძაფრებს გაწყობილებას, ყოველი სტროფის ბოლოს ჩამორეკს მწუხრის ზარს და პოეტის სათქმელს სევდიანად განგვაცდევინებს. თუმცა ისიც კარგად გვესმის, რომ არც პოეტს და არც ჩვენ, მის მადლიერ მკითხველებს უნუგეშობა სულაც არ გვმართებს. ამისი პოეტური შეფარვით მინიშნებაა ბოლო სტროფში იმედად გამომკრთალი სტრიქონი — „ჯერ კიდევ სხვა წვიმა ალერსით მწყალობს".

უნდა გავიმეორო, რომ ნათქვამი ცუდად არავინ გამიგოს. მიმწუხრის სევდიანი განცდა, რისი აპოლოგეტობაც შეიძლება დამწამოს ვინმემ, რადგან სწორედ ამაზე გავაკეთე აქცენტი, მარტო თანაგრძნობას კი არ იწვევს ჩემში, არამედ მაჯერებს კიდეც იმ სულიერი სიმხნევის ძალაში, რასაც პოეტები ამის ფონზე, თუ ამ შეფერილობით ამჟღავნებენ, რადგან ასეთი ბუნებრივი ნაზავი გულწრფელობის გამოხატულებად ჩანს.

გულწრფელობა კი პოეზიის, და საერთოდ მწერლობის, კიდევ უფრო ფართოდაც, ადამიანობის ერთ-ერთი უპირველესი და უმშვენიერესი თვისებაა. სამწუხაროდ — იშვიათიც.

კოლაუ ნადირაძის, ბონდო კეშელავას, ალექსანდრე ქუთათელის, ირაკლი აბაშიძის, კარლო კალაძის „მნათობში“ დაბეჭდილი ლექსები მეტ-ნაკლებად გვარწმუნებენ იმაში, თუ წლებით მოტანილ ცხოვრებისეულ სიბრძნეს, გამოცდილებას, განვლილი გრძელი ცხოვრებით განმტკიცებულ აზრსა და ფიქრს რა მნიშვნელოვანი ძალი შეუძლია დაამჩნიოს ლექსს. მათ ბოლო წლების პოეზიაში ერთბაში ხილვით აღძრულ განცდას ხანგრძლივი დაკვირვებით მიგნებული დასკვნა ენაცვლება. მათი პოეზია მაჭარივით კი არა დუღს, დამდგარი ღვინოსავითაა მაგარი. ნუ დავიწყებთ ამათ დაპირისპირებას, თავის დროზე ყველაფერი კარგია. ოღონდ ერთმა ლექსმა ცოტა გამაკვირვა და უნდა ვთქვა.

ჟურნალის მეათე ნომერში დაბეჭდილია ირაკლი აბაშიძის ლექსი „ცხოვრების სიბრძნე“. აი ისიც:

**გამოცდილებას, ცხოვრების სიბრძნეს**
**გაჩენის დღიდან ხარბად ვეძებდი;**
**ხარბად ვაგნებდი**
**სიღრმეს და სიგრძეს**
**თვალს ვაელვებდი, გულს ვაქეზებდი.**
**და ლერწმის ღერზე**
**და ჩანგის სიმზე**
**მე ზღვა სიმღერა**
**დამრჩა უმღერი...**
**გამოცდილება, ცხოვრების სიბრძნე**
**ქედს მიდგას, როგორც რკინის უღელი.**

მე მესმის, რომ ლექსში ყოველი სიტყვა და ფრაზა თავისი პირდაპირი და ერთადერთი მნიშვნელობით არა ჟღერს. ასე რომ, მთლიანად გასაგებია პოეტის გულისწუხილიც, მისი სათქმელიც და განცდის სიწრფელეც. ოღონდ, მაინც მგონია, რომ ამ ლექსს და განსაკუთრებით მის ბოლო სტრიქონებს ირონიული შეფერილობა უფრო მოუხდებოდა აქ რომ „გამოცდილება, ცხოვრების სიბრძნე“ ოდნავ მაინც ირონი[illegible] ნათქვამი, ეს რომ უფრო აშკარად იგრძნობოდეს პოეტის ინტონაციაში, მაშინ იგი მეტად დაგვარწმუნებდა, რომ ვადატანითი მნიშვნელობითაა ნახმარი და პოეტის შინაგანი თავისუფლების შებოჭვას, მთლიანად გახსნის სურვილის ნებსით თუ უნებლიე დათრგუნვას გულისხმობს. აქ კი ამგვარი რამ ძნელად შესაგრძნებია. ამის გამო, ლექსის ბოლო აკორდი იმ ძველისძველ შეგონებად გაისმის, რომ სიბრძნე პოეტური შთაგონების ბორკილია.

იქნებ ამაშიც არის ჭეშმარიტების მარცვალი. პოეტებს უკეთ მოეხსენებათ ეს და სწორედ მათგან გვსმენია ამგვარი რამ. თუმცა იმასაც ვერსად წაუვალთ, რომ ამისი საპირისპირო ნიმუშიც უამრავი გააჩნია ნებისმიერი ეპოქის და ერის პოეტურ საგანძურს. სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, თავად ირაკლი აბაშიძის შემოქმედებითი პრაქტიკა აუმხედრდება ამგვარი მოსაზრების კატეგორიულად გაცხადებას. მე მგონი, სულაც არ ვიქნები ორიგინალური, თუ ვიტყვი, რომ ირაკლი აბაშიძის პოეზიაში უფრო ფასეული, მნიშვნელოვანი,ხალხის მიერ გულმხურვალედ მიღებული და ატაცებული სწორედ ის ციკლები და ლექსებია, რომლებიც უკანასკნელი ოცი-ოცდახუთი წლის მანძილზე დაიწერა და რომელთაც აშკარად ატყვია სწორედ ცხოვრებისეული გამოცდილებით შეძენილი სიმართლის სიღრმის, სიბრძნის კვალი. და თანაც, ამას სულაც არ „დაუმძიმებია“ მისი ლექსი, რომლის სილაღე საერთოდაც ცნობილია და „მნათობში“ დაბეჭდილ ამ ორ ლექსშიც — „მე ელადაში...“, „ცხოვრების სიბრძნე“ — მთელი მომხიბვლელობით ჩანს.

გასულ წელს „მნათობმა“ გულღიად უმასპინძლა პოეზიას. აქ იმდენად ავტორების სიმრავლეს არ ვგულისხმობ, რამდენადაც მათთვის გულუხვად შეთავაზებულ ფურცლებს ჟურნალისას. ჩვენში ერთი ცუდი პრაქტიკა დამკვიდრდა, პოეტებს მეტწილად თითო-ოროლა ლე-

ქსით წარმოადგენენ ჟურნალები. ნუ დავიწყებთ ამის მიზეზების ძიებას, ეს არაფერ კარგ პასუხამდე არ მიგვიყვანს. „მნათობი" სხვა და სწორ თვალსაზრისს ადგას. მის ფურცლებზე პოეტები ახალი ლექსების მთელი ციკლებით, ანუ ისეთნაირად არიან წარმოდგენილნი, რომ მკითხველს მათი საფუძვლიანი გაცნობის შესაძლებლობა მიეცეს. კიდევ უფრო მოსაწონი ისაა, რომ „მნათობი" ამგვარ საშუალებას მარტო აღიარებულ, ცნობილ პოეტებს კი არ აძლევს, არამედ ახალგაზრდებსაც, იმათაც კი, ვისი სახელიც ჯერ ძალზე ცოტას თუ ეუბნება მკითხველს. კაცმა რომ თქვას, სწორედ ამ ნაკლებად ცნობილ და ნიჭიერ ავტორებს უფრო სჭირდებათ ფართოდ წარდგენა, რომ მკითხველს დაამახსოვრდეს ისინი. მაგრამ ყველა რედაქცია როდი ფიქრობს ასე.

გასულ წელს „მნათობში" ასამდე პოეტის ლექსები დაიბეჭდა. ეს საჭიროზე ბევრად თუ არა, ცოტა მეტი მაინც უნდა იყოს. მარტო არითმეტიკული თვალსაზრისი არ მათქმევინებს ამას, ზოგიერთი ახალგაზრდის წარდგენა ამ სოლიდური ჟურნალის ფურცლებიდან ნაადრევი ჩანს, ხოლო უფრო ცნობილი პოეტების სუსტი ლექსების ბეჭდვა მოვალეობის მოხდას ჰგავს. ორთავე შემთხვევაში ეს მაინც გაუმართლებელია. ამგვარ ნიმუშებზე მე ქვემოთ გზადაგზა მექნება საუბარი, თუმცა ყველას და ყველაფერს ვერ გავწვდები, რადგან ამდენი პოეტის ლექსების მიმოხილვა უბრალოდ შეუძლებელია. საწყენი უფრო ისაა, რომ ყველა ნიჭიერ ავტორს და საინტერესო ლექსს ვერ მოვიხსენიებ.

არაფერი დასამალია, რომ პერიოდული ორგანოები ძლიერ არიან დაინტერესებული ეგრეთწოდებული მოქალაქეობრივი ლირიკით, სადღეისო პრობლემებით გამსჭვალული ლექსებით. ამ ხასიათის და დანიშნულების პოეზია თითქოს საკმაოდ ძლიერი გვაქვს. მაგრამ ეს მოჩვენებითი სიძლიერეა. იგი უფრო მეტად ხმამაღალი და მყვირალაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამით იქცევს ყურადღებას, [illegible] მის ღრმა და ორიგინალური მხატვრული გადაწყვეტით.

კარლო კალაძის პოეზიის საერთო დახასიათება და მისი ღვაწლის წარმოჩინება აქ უადგილოდ მეჩვენება. მან ვრცელი და საინტერესო გზა გაიარა. რაც შეეხება გასულ წელს „მნათობში" გამოქვეყნებულ მის ლექსებს (№ 1, 5), რომლებიც ჩვენი ქვეყნის ღირსსახსოვარ მოვლენებს ეძღვნება, სამწუხაროდ ვერ არის იმ რიგისა და ძალის, ავტორს რომ შეუძლია და შეეფერება. მათი უპირველესი ნაკლი, მე მგონი, მაინც მრავალსიტყვაობაა, ლამაზი ფრაზების დახვავებაა, რომლებიც უფრო ხელოვნურად შეკოწიწებულსა ჰგვანან და არა ფეთქავენ, არა ცოცხლობენ.

შალვა ფორჩხიძის პარიზული შთაბეჭდილებებით დაწერილი ლექსებიც (№ 6) მოქალაქეობრივ ლირიკას განეკუთვნება, მაგრამ, სამწუხაროდ, აქ ცოტა რამაა ცოცხლად დანახული, უშუალო განცდით აღძრული და შთაგონებული. ლექსი „პარიზი" ბავშვობისას ჰიუგოს რომანების კითხვით ჩარჩენილი შთაბეჭდილებების გამოძახილს უფრო ჰგავს, ვიდრე თანამედროვე პარიზის ცხოვრების უშუალო ხილვით მოძალებულ ფიქრებს და განცდებს. ამ ლექსში ორიგინალური, მაგალითად ის გახლავთ, რომ პოეტს ეიფელის კოშკმა მთაწმინდა გაახსენა, მაგრამ რა ნახა მან მათში საერთო, ეს ჩემთვის ძნელი ამოსაცნობია (ნუთუ მთაწმინდა და თბილისის სატელევიზიო ანძა იდენტური სახეებია?). „კომუნარების წმინდა კედელთან", ასე ჰქვია მეორე ლექსს და, მე მგონი, მასაც მეტი მონდომება მართებდა ავტორისაგან.

მართალია, პარიზელებთან აბა რას მოვა ციმბირის ჩრდილოეთში ველურ ტაიგას შესეული მშენებლების ცხოვრება, მაგრამ სწორედ იმის გამო, რომ ამ უკანასკნელის გმირულ ყოფას მართლაც ნაზიარევია პოეტი, ვანო ჩხიკვაძის ლექსი „მივლინება — 1974" (№ 10) საინტერესო გამოვიდა. აი, თურმე რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორი შეიძლება აქტუალობისა და პოეტურობის ორგანული შერწყმა.

დღეს ქართულ პოეზიას მოქალაქეობრივი პათოსის არაერთი ლექსი გააჩნია კლასიკური სიძლიერისა, რომელთა ზემოქმედებაც სწორედ მართალი გულის და სათქმელის ორიგინალურად გამოხატვის ნიჭის ძალით არის გაპირობებული. ნიმუშად უმალ გაგვახსენდება შოთა ნიშნიანიძის „კომუნისტი". ამ საყოველთაოდ აღიარებულ ლექსში ერთი ხმამაღალი სიტყვაც არ აქვს პოეტს ნახმარი, მაგრამ მართლაც რა ხმამაღლად და ამაყად ისმის მისი გრძნობა და აზრი. აი, ამგვარი ლექსია დღევანდელი მოქალაქეობრივი ლირიკის ორიენტირი. სხვა გზა, უკვე გათელილი და გაცვეთილი, რისი ნიმუშებიც მრავლად შეიძლება დავასახელოთ, მხოლოდ შემოქმედებითი მარცხისკენ მიდის.

სათაკარია, მაგრამ ფაქტია, რომ ასეთი მდიდარი, მრავალფეროვანი, მართლაც სულის შემძვრელი პატრიოტული ლირიკა გააჩნია ქართულ პოეზიას, კლასიკურიც და თანამედროვეც, და მაინც ასე მრავლად იწერება დღეს არაფრისმთქმელი, ბანალური ლექსები სამშობლოზე. იქნებ ამგვარი ლექსის ბარცხი უფრო მტკივნეულად ხვდება გულს და ამიტომაც გვებევრება ცუდი. ალბათ, არც ეს არის სიმართლეს მოკლებული. ინტიმური, ან კამერული ხასიათის ლექსებშიც არანაკლებ, იქნებ მეტადაც კი არის ხელოვნურად, ნაძალადევად შექმნილი, შეკოწიწებული, პოეზიას მიმსგავსებული ნიმუშები. მაგრამ ეს არაფერი ნუგეშია.

დიდი და ჭეშმარიტი გრძნობის გამოხატვას დიდი და ჭეშმარიტი განცდაც სჭირდება უბრალოდ და შთამბეჭდავად აღმოსათქმელად. აქ მჭუხარე ხმა საქმეს ყოველთვის ვერ შველის და როგორც ქართული მწერლობის გამოცდილება გვიჩვენებს, ხშირად ჩურჩულით, სადად, უბრალოდ გამხელილი სიყვარული უფრო ძლიერ ხვდება გულს, ვიდრე ხმის ჩახლეჩამდე ყვირილი.

მურთაზ არაბულის ლექსი „...ლატო" (№ 2) თითქოს სავსებით ჩვეულებრივი გამოხატულებაა პატრიოტული გრძნობისა, მაგრამ აქ ძალზე ნაკლებია (თუ საერთოდ არის) პოეტური გააზრება და განცდა. ავტორი პირდაპირ აცხადებს:

ვით არ ამოვთქვა,
ვით გავჩუმდე,
ვით არ ვიყვირო,
განა გათავდა, განა გაწყდა ჩვენში
ლილილო!
მე დამეწიოს ხალხის წყევლა, ხალხის
გინება,
თუ გიღალატო, დაგიპირო მე შეგინება,
შენც მე დამწყევლე,
შენც ჩამქოლე, დედავ გამზრდელო,
ყველგან თუ არ ვთქვა, „იმზეგრძელე,
მამულო ჩემო!"

„ვით არ ვიყვიროო" და გაყვირის კიდეც პოეტი თავის სიყვარულზე, იფიცება, იწყევლება, მაგრამ ამას რა ეფექტი უნდა ჰქონდეს, როცა ლექსი ხმამაღალი სიტყვების დახვავებაა და სხვა არაფერი. ამგვარი ხმაურიანი, ყვირილიანი ლექსების მოჭარბება თურმე მარტო მე არ მეჩვენება. აბა, მაშ რამ დააწერინა ჯანსულ ჩარკვიანს ეს ლექსი, „სამშობლოს სიყვარული", რომელიც „მნათობის" მეთერთმეტე ნომერშია დაბეჭდილი:

ჩემთვის გუდანიდან მოვყიალებ,
თან ერთი პოეტის გულდაგულ მწყინს,
— სამშობლო მიყვარსო, რომ ღრიალებ—
მითხარი სამშობლო არ უყვარს ვის?!

მართლაც, ძნელად რომ კაცს სამშობლო არ უყვარდეს, მით უფრო პოეტს, მაგრამ ამის სიტყვით გამოხატვა, გამჟღავნება, გაზიარება ყველას როდი შეუძლია. იმგვარ თქმას კი, როგორც ამას ზოგი პოეტი სჩადის, სულ უთქმელობა უნდა ჯობდეს:

მიხეილ ჩაჩუა, „ერთადერთი" (№ 2):

ერთი არის ყველას ბოლო...
სამშობლოა, კარგო, მხოლოდ
ერთადერთი რაც არ კვდება,
რასაც ჰქვია უკვდავება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასეთივეა. ამათზე ცოტა უარესი, ან ცოტა უკეთესია ლევან ბაბუხადიას „სიცოცხლე მიტომ მიყვარს"... (№ 8), გიორგი პაიაშვილის „დედაო ენავ" (№ 9) და სხვა არაერთი ლექსი.

როგორც ჩანს, ის კლასიკური უბრალოება და სისადავე, რაც ასე დამახასიათებელია პატრიოტული ლირიკის საუკეთესო ნაწილისთვის, მეტად მაცდური რამაა და მისი მიბაძვა ხშირად პრიმიტიულობის იერს იღებს. ზღვარი მათ შორის ერთი შეხედვით სულ მცირე ჩანს, მაგრამ სინამდვილეში კოლოსალურია და მხოლოდ დიდ ნიჭის წყალობით გადაილახება.

გასულ წელს „მნათობის" ფურცლებზე ამგვარი დანიშნულების, თუ პათოსის საინტერესო ლექსებიც გამოქვეყნდა. მხედველობაში მაქვს მედეა კახიძის ჭეშმარიტი სულიერი თრთოლვით. გულწრფელად აღმომხდარი ჩუმი და გადამდები გრძნობა ლექსში „მამულო ჩემო" (№ 6). მინდა გავახსენოთ ეს ლექსი. მითუფრო რომ, ზემოთმოტანილი ნიმუშების გვერდით იგი თვალსაჩინოდ გვიჩვენებს რითი განსხვავდება პოეზია ანტიპოეზიისაგან:

შორიდან შევციცინებდი
ატენს. ქციას და არდოტს.
განა ეს მიწა მცირედი
სამარედ მინდა მარტო.
მე რასაც სიყრმით ვეძებდი.
სამოთხის ჩიტს თუ ციცარს.
ხხვის კარს მიადგა ეგების.
არ უძებნია ვისაც.
და რასაც ოდით ვნატრობდი.
ჩვენში ყოფილა თვითონ.
ჩვენშია ლურჯი ტატნობის
დაულეველი ხვითო.
ბევრჯერ გავმწყდარვარ სიმივით.
არ მიძებნია სხვა გზა.
შენი ფოთლების ნივნივი
მყოფნის სიცოცხლის საგზლად.

აი. მართლაც ჭეშმარიტი პოეტური განცდა სამშობლოსი და ჭეშმარიტად პოეტური გამოხატვა მისი. მედეა კახიძის მიერ დიდი სიყვარულით და გზნებით, მაგრამ სადად და უბრალოდ. ჩუმად და გრძნობით გამჟღავნებული. უპრეტენზიო და ამდენად [illegible] მოსასმენია მარი აბრამიშვილის მიერ განდობილი სიყვარული მშობელი ქვეყნისადმი ლექსში „მარად და ყველგან" (№ 3).

შალვა ფორჩხიძის ლექსების ციკლი, რომელიც მეთორმეტე ნომერშია დაბეჭდილი და მშობლიური კუთხის სიყვარულითაა ჩაგონებული, დიდად განსხვავდება მისი იმ ლექსებისაგან, რომლებზეც ზემოთ საკმაოდ მკაცრად ვილაპარაკე. განსხვავდება კი სწორედ იმიტომ,რომ აქ ორგანულადაა პოეტის მიერ განცდილი ყველაფერი ის, რასაც გვიმხელს. გრძნობა მისი წრფელია, გული კი თბილი და მოალერსე. მათ შორის ლექსიც „ო, საქართველოვ"... კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს.

თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს სწორად მიგნებულ ინტონაციას, ამას ნათლად გვაგრძნობინებს ოთარ ჭელიძის ლექსი „საქართველო" (№ 5). მას მიწერილი აქვს კანტანტა, რაც თავისთავად განსაზღვრავს ამაღლებულ განწყობილებას და ეს ასეცაა ლექსში. მაგრამ ზომიერების გრძნობის წყალობით ავტორს არ უცურდება ფეხი ჭარბი პათეტიკისაკენ, საიდანაც სიყალბემდე ერთი თითქმის შეუმჩნეველი ნაბიჯილაა.. მისი უეჭველი წარმატების მიზეზიც სწორედ ეს გახლავთ.

ოთარ ჭელიძის ლექსის მოწონებით, მე მგონი, ისიც გავამჟღავნე, რომ სულაც არა ვარ სამშობლოსადმი თუნდაც ომახიანი, ვაჟკაცური, გნებავთ ხმამაღალი სიყვარულის გამჟღავნების წინააღმდეგი, მაგრამ ის კი ღრმადა მწამს, რომ ყველა შემთხვევაში უნდა იქნას მიგნებული ორიგინალური პრიზმა, რომელშიც გადატყდება ავტორისეული გრძნობა, რომ მხოლოდ შიშველი დეკლარაციებით და გულზე მჯიღის ცემით მკითხველს თანაზიარად ვერ გავიხდით.

პატრიოტული ლირიკა მარტო ამგვარი, მამულისადმი მიძღვნითი ლექსებით როდი ამოიწურება. ქართული პოე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზიისათვის ეს ცნება ყოველთვის ბევრად უფრო ფართო, ტევადი იყო. იგი გულისხმობს და აერთიანებს ყველა იმ ლექსს, რომელიც დაწერილია სამშობლოს ტკივილსა და სიხარულზე, საჭირბოროტო პრობლემებზე, სადღეისო თუ უფრო დიდი მასშტაბების საფიქრალზე. ჩვენც თუ ასე მივუდგებით თანამედროვე პოეზიას, კერძოდ „მნათობის“ ფურცლებზე გასულ წელს გამოქვეყნებულ ლექსებს, ცხადი გახდება, რომ ეს თემა ახლაც უმთავრესია და ქართველი პოეტების ყურადღების ცენტრშია.

უკანასკნელი წლების მანძილზე ქართული პოეზია კიდევ უფრო მეტად და მჭიდროდ არის დაკავშირებული მისი ხალხის ცხოვრებასთან, კიდევ უფრო გულმხურვალედ და ბეჯითად მონაწილეობს ყველა იმ ამოცანათა გადაწყვეტაში, რისთვისაც ასე თავგამოდებით იღწვიან რესპუბლიკის მშრომელები. ამ უკანასკნელთა წარმატებები საყოველთაოდ ცნობილია, ასეთი დიდი გამარჯვებები საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა უბანზე — საწარმოო იქნება იგი, საკოლმეურნეო, მეცნიერების, კულტურის თუ სხვა — აქამდე არა გვქონია და ეს შეუძლებელი იყო მწერლობის შთაგონების წყაროდ არა ქცეულიყო. აკი კიდეც იქცა. ქართული პოეზია მხარში უდგას ხალხს დასახული მიზნების განხორციელებისათვის თავდადებულ შრომაში და მისი მშვენიერი ნაყოფი ჩანს კიდეც. „მნათობის“ ერთი წლის მოსავალიც მკაფიოდ წარმოაჩენს ქართველი პოეტების მაღალ მოქალაქეობრივ და მამულიშვილურ სულს.

მე მინდა მკითხველის ყურადღება მივაქციო ერთ პრობლემას, რომელიც კარგა ხანია აფიქრებს და აწუხებს ქართულ მწერლობას იმდენად, რამდენადაც იგი თავად ცხოვრების მიერ არის მტკივნეულად დასმული. მხედველობაში მაქვს ქართული სოფლის საკითხი.

კარგად მოგეხსენებათ, რომ მთელი ათწლეულების მანძილზე ქართული სოფელი თუ არ გაპარტახდა, ყოველ შემთხვევაში, ამას არც არაფ[illegible] ხალხი მასობრივად მოედინებოდა ქალაქისაკენ. იგი ბუნებრივ და აუცილებელ დინებას კი არ მოჰყავდა მხოლოდ, რასაც წინ ვერაფერი აღუდგება და არც უნდა აღუდგეს; სოფელი მეტწილად ხნიერი ადამიანების ამარაღა რჩებოდა. განსაკუთრებით მთის ხალხს ერეკებოდა გაუსაძლისი ყოფა. ეს კი ნაკლებად ადარდებდა იმათ, ვისაც მოეკითხებოდა. ამიტომაც იყო, რომ ძველს და ისტორიული უკულმართობით ისედაც უამრავ ნასახლარებს, ახალიც მრავლად მიემატა.

ეს შეუძლებელი იყო ერის და მასთან ერთად მწერლობის დიდი სატკივარი არ ყოფილიყო. ქართველმა პოეტებმა გამოთქვეს კიდეც მძაფრად, მთელი ხმითა და ძალით თავიანთი გულისტკივილი და გულისწყრომა, განგაშის ზარს ჩამოჰკრეს. ეს ყველას კარგად ახსოვს, რადგან, შეიძლება ითქვას, სულ გუშინ იყო, რაღაც ათიოდე წლის წინ.

ამ მაღალი მოქალაქეობრივი და პატრიოტული გრძნობით არაერთი გულშიჩამწვდომი პოეტური სიტყვა ითქვა. მხოლოდ ერთს, ჩემის აზრით ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ და მშვენიერ ნიმუშს გავახსენებთ ამისას, რომელიც მუდამ უნდა ახსოვდეს ქართველ კაცს, როგორც სიფხიზლისაკენ მოწოდებად, საბედისწერო საფრთხის ასარიდებლად ნათქვამი პოეტური სიტყვა. ეს გახლავთ ჯანსუღ ჩარკვიანის ლირიკული პოემა „რწმენის კედელი“ და მისი ის ადგილი, სადაც ქართული სოფლის განსაცდელის სურათი და მოსალოდნელი სავალალო შედეგი პირდაპირ აპოკალიფსური ძალის უბედურებად ქღერს.

უკანასკნელ წლებში მდგომარეობა, უფრო სწორად კი ამ გასაჭირისადმი დამოკიდებულება მკვეთრად შეიცვალა. ახლა ქართული სოფელი საერთოდ, განსაკუთრებით კი მთიანი რაიონები მზრუნველობითაა მოცული და საქმესაც კარგი პირი უჩანს. თვით ისეთი, თითქოს უიმედოდ მიუვალი და მოწყვეტი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი მხარეც კი. როგორიც მთიანი თუშეთი იყო, ახლა მჭიდროდ არის დაკავშირებული მთლიან საქართველოსთან, საავტომობილო გზა მასაც მისწვდა. საარსებო პირობების შექმნამ მთიელი მთას მიუბრუნა და ამაზე დიდი სიხარული რა შეიძლება იყოს.

ყველა ის გრანდიოზული გეგმა, რომელიც ქართულ სოფელთანაა დაკავშირებული და თანდათანობით კიდევ ხორციელდება, დღეს საყოველთაოდ ცნობილია და სიტყვას არ გავაგრძელებ. მხოლოდ იმას დავძენ, რომ ამ ახალმა ვითარებამ და განწყობილებამ თავისი გამოხატულება, ცოცხალი და მშვენიერი გამოხატულება ჰპოვა ჯერ კიდევ ქართულ პოეზიაში, ცხადია, იმ ლექსებშიც, რომლებიც „მნათობის" ფურცლებზეა დაბეჭდილი.

ამასთანავე, უნდა ითქვას ერთ ტენდენციაზე, რაც ქართული სოფლის, გლეხკაცის თანადგომობის კეთილშობილური სურვილით კი არის ნაკარნახევი, მაგრამ ჩემი აზრით, ცალმხრივობით და საკმაოდ საშიში ცალმხრივობითაც უნდა ვცოდავდეს. კი, მართალია, სოფლის დაცემა და განადგურება ერის დაცემასა და განადგურებას მოასწავებს; მაგრამ არც ფორმალური ლოგიკით და მითუფრო არც დიალექტიკურით, ანუ ცხოვრებისეული კანონზომიერებით ეს იმას არ ნიშნავს, რომ გლეხიკაცია ეროვნული ყოფის და სულის ერთადერთი შემნახავი. რაც სოფლის არაა, ის აუცილებლად უშმაკისეულია როდია. არადა, ზოგჯერ სწორედ ასე ესახებათ, ან ყოველ შემთხვევაში ასე გამოუდით ხოლმე ჩვენს მწერლებს.

ქალაქსა და სოფელს შორის ერთგვარი წინააღმდეგობა, რაც დღესაც არსებობს და ბუნებრივი პროცესია (ამდენად უსაშველო აქ არაფერია), ზოგის თვალსაზრისით ისეთ ანტაგონიზმად არის დახატული, რომ თითქოს ბარიკადის ორი მხარე იყოს და ერთ-ერთზე დგომა მოგვეთხოვებოდეს. თუ პირობითად ასე დავაჯგუფებთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ურბანისტულ თვალსაზე მყოფნი არასოდეს ებრძვიან სოფლის იდილიის მეხოტბეებს, პირუკუ კი ხშირად ხდება. ამ უკანასკნელთა ნაწარმოებებში ქალაქი რაღაც ურჩხულის მსგავსად წარმოგვიდგება. რომელიც ჩაყლაპვას უქადის მზეთუნახავ სოფელს და, ცხადია, მათი სიმპათიებიც, თანაგრძნობაც, თანადგომაც ამ სიკეთით სავსე სამყაროს მხარეზეა.

ამგვარი განწყობილების გამოძახილი გასული წლის „მნათობშიც" შეიმჩნევა. ბაღათერ არაბულის ერთი უსათაურო ლექსი (№ 12) სწორედ იმაზეა დაწერილი, თუ როგორ გაურბის ლირიკული გმირი სხვებთან ერთად „ლამპიონების გრძელი დერეფნით" ქალაქს „და მონატრული ცა გათენების იქ მიგველოდა სხვა ძილამაზით". ესენი კი გაექცნენ ქალაქს, ამათ კი უშველეს თავს, მაგრამ რა? ქალაქი, „ნებიერი, როგორც მორევი", „რომ ჩაეთრია, ახლა გარედან სხვებს მოუხმობდა" და ამისათვის „რეკლამების სამკაულები უელვარებდა მაცდურად ტანზე". ხედავთ, რა მაცდური და ვერაგია ქალაქი? მაგრამ, თურმე ხსნა მაინც არის და რაულ ჩილაჩავა კიდეც მიგვანიშნებს მას (№ 7): „თუ რამ გვიშველის, ისევ სოფელი".

არც ვერიკო წერეთელი სწყალობს ქალაქს (№ 6), ისიც შემომწყრალია მასზე და იცით რატომ? იმიტომ, რომ ციცინათელა, „შუამავალი ზეცის და მიწის" (მე მგონი ეს სახე კარგად არ უნდა იყო მიგნებული, რადგან ციცინათელები დაბლა ფრენენ და ამგვარ შუამავლობას ვერ გასწევენ), ქალაქში ვერ ძლებს, რაკი აქ ასფალტმა გადათელა ბუჩქი, პოეტ ქალს კი უციცინათელოდ უჭირს. რა ვქნათ ახლა? ავყაროთ ასფალტები, დავანგრიოთ ქალაქები, მათ ადგილზე მოვაშენოთ ბუჩქები იმისათვის, რომ პოეტს ციცინათელები მოვაახლოთ? ეგებ უფრო ცოტა იოლი და ბევრად გონივრული გამოსავალი ის არის, რომ თავად პოეტი მიეახლოს ციცინათელებს?

არც ისე დახშული მაქვს გულისყური, რომ ვერ გავუგო მშობლიურ კუთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხეს მონატრებულ ადამიანს. მართალია ქალაქელი კაცი ვარ, ჩემდა სამწუხაროდ, სოფელში აკუთარი ძირი და ფესვი არა მაქვს ჩარჩენილი, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, მეც მიყვარს სოფელი, მეც სულ უფრო მომინდება ხოლმე ხმაურიან ქალაქს გარიდება და სოფლის სიმყუდროვეს დროებით მაინც თავის შეფარება. წარმომიდგენია, ეს ყველაფერი რა ბევრად მეტად აქვთ მოძალებული იმათ, ვისთვისაც სოფელი მშობლიური გარემოა და ახლა მოწყვეტილნი არიან მას, ვისთვისაც ქალაქი ჯერ კიდევ მეტ-ნაკლებად უცხო, ბოლომდე გაუთავისებელი სამყაროა.

კი ბატონო, ეს ყველაფერი გასაგებია, ამგვარი ნოსტალგიით დაწერილი ლექსიც კარგია და ყველას გულსაც ხვდება, მაგრამ მეტისმეტი არაფერი ვარგა. როცა ეს მონატრების და სიყვარულის ფარგლებს სცილდება, როცა პოეტი ტრაგიკულად გვიხსნის ამ დაშორებით აღძრულ მტანჯველ გრძნობებს. იმდენად, რომ სული ეხუთება მას ქალაქში, რომ ჯოჯოხეთად ქცეულა აქ მისთვის ცხოვრება და სხვა და სხვა, ეს ჩემში უკვე თანაგრძნობის ნაცვლად ირონიას იწვევს და მინდა ვკითხო ავტორს, რატომ იკლავს თავს, რატომ აობლებს მის ერს, რატომ არ გაერიდება ამ ურჩხულ-ქალაქს და არ მიუბრუნდება მისთვის ერთადერთ მაცოცხლებელ ადგილს — სოფლურ გარემოს, მშობლიურ კერას.

მაგრამ ეს კიდევ არაფერი. ამგვარი გაზვიადება მაინც არ არის საშიში. საშიში ვფიქრობ სხვაა, საშიში ისაა, როცა ეროვნული ენისა და სულის ერთადერთ [illegible]ატარებლად, შემნახველად, მხსნელად სოფელი და მხოლოდ სოფელია მიჩნეული. ეს მოსაზრებაც საკმაოდ გავრცელებულია, ამ მოსაზრებასაც არაერთხელ უპოვნია გამოხატულება ქართულ პოეზიაში და აი, გასულ წელსაც „მნათობის“ ფურცლებზე დაიბეჭდა მურმან ლებანიძის უსათაურო ლექსი (№ 12), სადაც პოეტი ცდილობს დაბეჯითებით ჩაგვინერგოს ეს აზრი.

როცა პოეტი გვეტყვის „მე მაინც მიყვარს საქართველო — ქვეყანა მწვანე“ — ეს გასაგებიცაა და სოლიდარობის გრძნობის აღმძვრელიც. ცოტა ქვემოთ რომ გაგვიმხელს — „მეიმედება საქართველო — ქვეყანად სოფლის“ — ეს უკვე ცოტა დამაფიქრებელია და საეჭვო, რადგან სოფლის ქვეყნობა დღეს მაინცდამაინც კარგ პერსპექტივად არ ჩანს. სულ სხვა პროცესებით და იმედებით ცხოვრობს კაცობრიობა. ხოლო როცა ბოლოს იმის დარწმუნებას დაგვიწყებს, რომ „ის (ანუ სოფელი მწვანე ქვეყანა) შეინახავს ენას ჩემსას, მეობას ქართულსო“ და ამითაც დაუპირისპირებს მას „ოკინა-ბეტონის ვეშაპებს“ ანუ ქალაქებს, მაშინ, მე მგონი, დგება მომენტი, როცა პროტესტი უნდა გამოვთქვათ ამ მართლაც „მაკდური“ მოსაზრების, თუ რწმენის საწინააღმდეგოდ.

რაც უფრო დიდია პოეტი, რაც უფრო გავლენიანია მისი სიტყვა და აზრი, იმდენად მეტი სიფრთხილე მართებს მას, რომ მცდარი ორიენტაცია არ მისცეს თავის მკითხველს, ანუ თავის ხალხს. ის კი, რომ მხოლოდ სოფელი „შეინახავს ენას ჩემსას, მეობას ქართულს“, ღრმადა ვარ დარწმუნებული, აშკარად მცდარი ორიენტაციაა, რისი აყოლაც კარგს არაფერს გადაგვყრის.

სოფელში რომ მყარადაა გამჯდარი და გამოხატული ისტორიულად ჩამოყალიბებული ეროვნული სული, იგი რომ უფრო ინახავს ენის ძველ ლექსიკურ მარაგს და ფორმებს, საეჭვო არ უნდა იყოს, რადგან ეს სამყარო შედარებით (მე ხაზს ვუსვამ, მხოლოდ და მხოლოდ შედარებით) უფრო კონსერვატიულია. მაგრამ ეს მის აბსოლუტურ უპირატესობას არა ნიშნავს. ვერავინ დამარწმუნებს იმაში, რომ ინტელიგენცია, რომელიც, სხვას რომ თავი დავანებოთ, თავად მწერლებსაც და მეცნიერებსაც გულისხმობს, ან თუნდაც ქალაქის მშრომელი მოსახლეობა, ნაკლებ იყოს გამსჭვალული ეროვნული სუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლით, ან ნაკლებად ინახავდეს მშობლიურ ენას.

თუ მაინცდამაინც გნებავთ, მეტსაც ვიტყვი და არა მგონი ამაში ვცდებოდე: სწორედ ინტელიგენცია, ვისი როლიც სხვადასხვა გარემოებათა გამო საბჭოური პერიოდის გარკვეულ წლებში დაუმსახურებლად იყო დაკნინებული, დიახ, სწორედ ინტელიგენციაა ყველაზე შემძლე შემწე ეროვნული ენისა და გნებავთ ეროვნული სულისაც.

ერთიცა და მეორეც, ეროვნული ენაც და ეროვნული სულიც გაყინული კატეგორიები როდია, ისინიც მუდმივ ცვლილებასა და განვითარებაშია, მუდმივად ჩამოყალიბებისა და სრულყოფის პროცესშია და ამის გააზრებაში, დადგენაში, დანერგვაში, განმტკიცებაში ინტელიგენციას სწორედაც განსაკუთრებული როლი ეკისრება. მე სულაც არ მინდა მეორე უკიდურესობაში გადავვარდე და ინტელიგენციის აპოლოგეტად ვიქცე, მას ზედმეტი რამ მივაწერო, მითუმეტეს, განსაკუთრებულობის მისიით ერთმანეთს დავუპირისპირო ინტელიგენცია, მუშები და გლეხები. მესმის, რომ ყოველგვარი განვითარება ძველის საფუძველზე ხდება და ამდენად იმასაც და იმათაც დიდი მნიშვნელობა აქვთ, რაც და ვინც ამ ძველს ინახავს. ისიც მესმის, რომ, ვთქვათ, ენის განვითარებაში, სრულყოფაში თვად ცხოვრებას ენიჭება უპირველესი როლი და ამდენად ამ საქმეში მთელი მოსახლეობა მონაწილეობს, თუნდაც სრულიად უნებურად და ბუნებრივად. მაგრამ ამისი შეკრება, დადგენა, განზოგადება, გნებავთ დაკანონება და მერე კვლავ ფართო მასებში დანერგვა სწორედ ინტელიგენციის ევალება. ასე რომ, ამ ქვეყნად ყველას თავისი მოვალეობა აკისრია და არავისი უგულვებელყოფა არ ივარგებს, უბრალოდ არც შეიძლება.

ცოტა მეტი თუ ცოტა ნაკლები როლი თუ ვისმეს მივაწერეთ, ეს კიდევ არაფერი. მაგრამ ეროვნული სულის, ენის, ხასიათის თვალსაზრისით მხოლოდ ერთი ფენის გამორჩევა და ამ მოვალეობის მხოლოდ მისთვის დაკისრება უბრალოდ არც თეორიულად და არც პრაქტიკულად არ არის გამართლებული.

ამ საკითხს, სხვა ასპექტიც აქვს. მოგეხსენებათ, ურბანიზაცია ახლა უკვე ისეთ ფაზაში შევიდა ,რომ ამ პროცესის ეჭვის ქვეშ დაყენება, მისი შეფერხების და დამუხრუჭების ცდა თუ აურვილი არამცთუ უნაყოფო, არამედ უბრალოდ, არცთუ გონივრული საქციელი იქნება. ცივილიზებულ ქვეყნებში ქალაქის მოსახლეობამ საერთო რაოდენობის 70-80, ხოლო ზოგგან 90 პროცენტსაც გადააჭარბა. მე არა მგონია, რომ იმგვარი პროცენტული შეფარდება, როგორიც ვთქვათ ამერიკის შეერთებულ შტატებშია, სადაც სოფლის მოსახლეობა, თუ არ ვცდები სულ რაღაც ხუთ პროცენტს შეადგენს ყველასათვის აუცილებელი იყოს. მითუფრო ჩვენთვის, ასეთი მთაგორიანი ქვეყნისათვის. მაგრამ ურბანიზაციის საერთო და მკვეთრ პროცესს რომ ვერ გამოვეთიშებით, ეს ცხადია. და რაკი ასეა თუ იმ აზრს ვირწმუნებთ, რომ „ენას ჩემსას, მეობას ქართულს“ მხოლოდ სოფელი ინახავს, გამოდის, რომ განწირულები ვყოფილვართ, საშველი მართლაც არა ყოფილა. მაგრამ ღვთის მადლით, არცთუ ისე უსაშველოადაა ჩვენი საქმე, რაკილა, როგორც ვთქვი და დარწმუნებულიც ვარ, ერთიცა და მეორეც, ეროვნული ენაც და სულიც მთლიანი ერის კუთვნილება და საზრუნავია და არა ერთი რომელიმე ფენისა.

ეს „ლამაზი სიცრუე“ ნაკლებ დამაფიქრებელი იქნებოდა, ერთი გარემოება რომ არა. ქალაქი, თანამედროვე ყოფა, (ამ პროცესში სოფელიც არის ჩართული), მართლაც ბადებს ნიველირების, ათქვეფის, კოსმოპოლიტიზმის მოძალების საშიშროებას. ამას კი გაძლება, წინადგომა, თუნდაც ბრძოლა სჭირდება. ამ ბრძოლაში თუ ქალაქი გამოვთიშეთ, უეჭველად წავაგებთ. ეროვნული სული, ენა, ხასიათი თუ მარტო სოფელს მივანდეთ მოსავლელად და შესანახად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერც მოუვლის და ვერც შეინახავს, და კიდეც რომ მოახერხოს ეს, მას სამუზეუმო ექსპონატის როლიღა დარჩება, რადგან მთლიანი ერის ცოცხალი კუთვნილება არ იქნება.

ამიტომაც მგონია, რომ ქართულმა მწერლობამ ამგვარი აქცენტი ახლა სწორედაც ქალაქის მოსახლეობაზე უნდა გადაიტანოს, მას უნდა შეახსენოს, მას უნდა მოუწოდოს, მას უნდა შთააგონოს, რომ ერის და ყველაფერი ეროვნულის გადარჩენაში, მომძლავრებასა და განვითარებაში მან არამცთუ მონაწილეობა უნდა მიიღოს, არამედ უნდა იტვირთოს კიდეც ეს საქმე.

ეს ისეთი პრობლემებია, რომლებიც ყველა ჩვენთაგანს გვაღელვებს, გვაფიქრებს, ზოგჯერ თავსატეხადაც კი გაგვხდომია. მათ ჩვენთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს და ამიტომაც აქ მცდარი ორიენტაცია ყველაზე ნაკლებ მისატევებელია. ამას ვერაფერი ვერ გაამართლებს, ვერც პოეტური გაზვიადების საყოველთაოდ მიღებული წესის მოშველიება არგუმენტად და ვერც სხვა რამ.

სხვაზე მეტად თუ არა, არანაკლებ მაინც სწორედ ამ საკითხში გვჭირდება სწორი ორიენტაცია, გადამრჩენი გზის მიგნება და მასზე მტკიცედ დადგომა. ეს ერთადერთი გზა კი, რომელიც სხვა ათასსაც იერთებს და იყენებს ისაა, რომ ეროვნული სახის და სულის შენარჩუნება, მოწოლილი საფრთხისაგან გადარჩენა, სრულყოფა და განვითარება მთლიანად მთელ ერს ეკისრება და უნდა დაეკისროს. არც არავის გამორჩევა არ შეიძლება და არც არავისათვის ამის პასუხისმგებლობის არიდება. აქ ერთიანობა, სიმტკიცე, რწმენა, იმედი, გარჯა და თავგადადება უკლებლივ ყველას მოგვეთხოვება.

არავის ეგონოს, რომ ამ მოსაზრებას რაღაც აღმოჩენად ვთვლიდე, მითუმეტეს ვიჩემებდე. ჩვენი ცხოვრება სწორედ ასე მიედინება და ამიტომაცაა, რომ სწორედ ამ თვალსაზრისითაც ბევრი რამ გვიხარებს დღეს გულს, სახვალიოდაც დიდად გვაიმედებს. არც მურმან ლებანიძის თუ სხვათა იმ ლექსებით არაფერი იქცევა, რასთან დაკავშირებითაც მოიტანა სიტყვამ ეს სათქმელი. მაგრამ ისიც მოგეხსენებათ, შეძახილმა ხე გაახმოო. ჰოდა, მოდით ჩვენც ვეცადოთ მუდამ სწორად შევუძახოთ ჩვენ ხალხს, საკუთარ ლირიკულ განწყობილებას და ლამაზ ფრაზას ნუ ვანაცვლებთ მართალ თვალსაზრისს.

ზემოთ ვთქვი, „მნათობმა" გასულ წელსაც გულღიად უმასპინძლა მეთქი პოეზიას, ქართული მწერლობის ამ მართლაც უჭკნობ გვირგვინს. ეს თვალის ერთი გადავლებითაც აშკარაა. არაერთი მშვენიერი ლექსების ციკლი, პოემა თუ ცალკეული პოეტური ნიმუში დაიბეჭდა მის ფურცლებზე. ამ ზღვა მასალის მიმოხილვას, სხვა უამრავ სიძნელესთან ერთად, კიდევ ერთიც ახლავს — მისი ორგანიზება, დალაგება ჭირს. საიდან, რითი და ვისით დაიწყოს კაცმა სათქმელი, ძნელი გადასაწყვეტია. შედარებით იოლ გამოსავალს ვნახავ, რაც იქნებ სულაც არ იყოს ურიგო და თარიღების მიხედვით მოვყვები. რაკიღა ჩვენი მხცოვანი პოეტების ლექსებზე ასე თუ ისე უკვე გითხარით ჩემი სათქმელი, ახლა მომდევნო თაობას მივმართავ და მურმან ლებანიძით დავიწყებ.

მურმან ლებანიძე ერთ-ერთი უსაყვარლესი პოეტია დღეს, მისი ყოველი ახალი ლექსი ქართველი მკითხველისათვის ჭეშმარიტი სიხარულის მიმნიჭებელია და პოეტიც არ აკლებს ამ წყალობას თავის სათაყვანებელ ერს, ვისთვისაც იღვწის, ვისითაც არის შთაგონებული. მურმან ლებანიძის ერთ ლექსთან დაკავშირებით ზემოთ გაბმულმა მსჯელობამ არავის აფიქრებინოს, რომ ან მისი ნიჭის, ან მისი ამაგის ერთი დამფასებელთაგანი მეც არ ვიყო. ეგებ ვინმეს ისეც ეჩვენოს, რომ ტყუილ-უბრალოდ ავუხირდი პოეტს. არა მგონია. ჯერ ზოგადად ვიტყვი, ანუ გავიმეორებ ცნობილ ჭეშმარიტებას (რასაც ხშირად ძალით ვივიწყებთ), რომ არავითარი ავტორი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტეტულობა არ უნდა ექცეს დაბრკოლებად გულწრფელ სათქმელს. კერძოდ კი სწორედ მურმან ლებანიძის ლექსთან დაკავშირებით გამოთქმული აზრი, მართებულიც და მცდარიც, უფრო დამაფიქრებელია და ამიტომაც ღირს მასთან თუნდაც ერთი შეხედვით აზირებული პაექრობა, მითუფრო შენთვის მნიშვნელოვანი სათქმელის გამჟღავნება.

თორემ თავისთავად მშვენიერია ეს უსათაურო ლექსიც „აზმეტა! სვირი!..“ (№ 12). სადაც ლებანიძისათვის ჩვეული სასაუბრო ინტონაციით ისმის დიდი და ძველი გულისტკივილი პოეტისა, მამულის ჭეშმარიტი ჭირისუფლის მიერ კიდევ ერთხელ მძაფრად ნათქვამი სიტყვა. მიტოვებული, სიცოცხლის ნიშანწყალდაკარგული სოფლის ხილვა ყველას სატკივარი უნდა იყოს და რა გასაკვირია, რომ პოეტს, და თანაც ისეთი გულის პოეტს, როგორიც მურმან ლებანიძეა, ეს სხვაზე მეტად აწუხებდეს და სტკიოდეს.

შენ ერთხელ მითხარ: — მივჭრიალებთ
ურმით ჯერხანად...
— თუ მოკვდა გლეხი, —
ეს მე გითხარ, —
მოკვდა
ქვეყანა!

ასე შინაურულად, მაგრამ უკომპრომისოდ ამბობს პოეტი და მისი უკიდურესობამდე გაზვიადებული დაპირისპირებები, რაზეცაა აგებული ეს გრძელი ლექსი, ჩვენთვის გასაგებია. თუნდაც ამ ერთ მოტანილ პოეტურ ფრაზაში მთავარი ცოტა ძველყაიდური დეტალის მოხმობა კი არ არის (ურმის ჭრიალი), რისი საყვედურიც მართლაც რომ გაუგებარი ახირება იქნებოდა, არამედ მისი სულისკვეთება, რაც შეუძლებელია მკითხველის გულში თანაგრძნობას არა ბადებდეს.

„ქართველმა მწერლებმა მანამდე უნდა შემოკრან განგაშია ზარი, სანამ მის გუგუნს ჩვენ მიტოვებულ მთა-ველებში გამოკვლეებული ბალღების ყრიამული არ დაფარავს“. ეს სიტყვები [illegible]ტაიშვილმა სწორედ მურმან ლებანიძესთან დაკავშირებით და მის გასამხნევებლადაც თქვა და პოეტის ახალი ლექსიც „აზმეტა! სვირი!...“ ზარის კიდევ ერთ მძლავრ შემოკვრად ისმის.

„მნათობის“ ამავე ნომერში (12) მურმან ლებანიძის კიდევ რამდენიმე ახალი ლექსია დაბეჭდილი და იმის ხაზგასმა, რომ ყოველ მათგანში ჭეშმარიტი ოსტატი ჩანს, ვფიქრობ ზედმეტიცაა. კიდევ ერთ უსათაურო ლექსში „კაცს, პიროვნებას...“ ავტორი პოეზიის საწადლად იდუმალის წვდომას აცხადებს და აქაც კვლავ უკიდურესობამდე ამძაფრებს სათქმელს:

ვიყავ! ვიცოცხლე!
ვიქროლე! ვბრძოდი!

დაამე გული
თუ გინდა ხანჯალს,
ჩანს ჭეშმარიტის
ტოტს იქით ტოტი,
ხე ჭეშმარიტის —
არა და არ ჩანს!

ამავ განწყობილებას აქ დაბეჭდილ კიდევ ერთ უსათაურო ლექსშიც „ლანგარი ნიგვზით...“ შევხვდებით („და რაკი მყობადს ნისლები ფარავს, აწმყოწარსულის გზებზე ვეთრევი...“), მაგრამ ეს უიმედობის გამოძახილი კი არ გახლავთ, არამედ მკითხველის სიფხიზლის მობილიზების მიზნით ნათქვამი სიტყვებია. ცხადია, მურმან ლებანიძეს არამცთუ ახსოვს ძველი შეგონება, ასე უბრალოდ და ბრწყინვალედ გამოთქმული მისი დიდ წინაპრის მიერ, შესახებ იმისა, რომ აწმყო შობილი წარსულისაგან არის მშობელი მომავალისა, არამედ ღრმადაცა სწამს. ნურავის მოეჩვენება, თითქოს იგი ახალ ლექსებში უპირისპირდებოდეს მას. პირიქით, სწორედ ამ რწმენის გასამძაფრებლადაა მოხმობილი ერთის შეხედვით თითქოს ნიჰილიზმით შეფერილი განწყობილება დიახ, კიდეც უნდა დაამო გული ხანჯალს და მეტიც უნდა ქნა პოეტმა ჭეშ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარიტების ხის დასანახად, მის ალმოსაჩენად შენთვისაც და სხვისთვისაც. უფრო მეტად იმიტომაც „ეთრევა" აწმყო-წარსულის გზებზე იგი, რომ სწორედაც ნისლი გაარღვიოს და უცდომლად მიაწვდეს მყობადს.

მურმან ლებანიძის მრავალმხრივი პოეტური ნიჭი საყოველთაოდაა ცნობილი და ამ სულ რამდენიმე ახალ ლექსშიც მთელი მომხიბლაობით გამჟღავნდა. უსათაურო ლექსში „ანაზდეული და უეცარი..." იგი ჟანრული ჩანახატის ოსტატად ჩანს. თბილი იუმორით შეფერილ ლექსში თბილისური ოქტომბრის ერთი კვირადღეა დანახული პოეტის ეზოში მისი ხორხოცით, „კაცების ჯოგით", სილაღითა და უდარდელობით. ამ ყოფით ჩანახატს ფინალში უეცრად ამავ ჟანრის, მაგრამ სულ სხვა განწყობილების მქონე დეტალი ენაცვლება, რომელშიც მეუღლისადმი, მეოჯახე ქალისადმი დიდი თანაგრძნობა, გულწრფელი მოწიწება, ჩუმი და ნათელი სიყვარული სჭვივის:

> **ეზოში ზიხარ, ჩხრიალებს ნარდი,**
> **მზეა, დილაა,**
> **ხარ კმაყოფილი...**
> **სარკმელში მოჩანს დაღლილი ლანდი**
> **ოჯახის ჭუჭყში**
> **მკლავჩაყოფილი.**

ერთი რამ მინდა მეგობრულად შევნიშნო მურმან ლებანიძეს. ქართველი მკითხველისაგან მას არ აკლია არც ყურადღება, არც დაფასება, არც სიყვარული. ამის გამო მითუფრო მეტი სიფრთხილე მართებს პოეტს. მე მეჩვენება (ვგონებ, სხვასაც), რომ იგი, იქნებ სრულიად უნებლიედაც, იქნებ თავისი უშუალობის, გულღიობის, გულწრფელობის გამოც ზოგჯერ ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, თითქოს ლექსებში მეტ ყურადღებას უთმობდეს საკუთარი პიროვნების წარმოჩინებას. ამისი კვალი აქაც ჩანს, ახალ უსათაურო ლექსებში „ლანგარი ნიგვზით" და „არის სკულპტურა..."

„მნათობის" მერვე ნომერში დაბეჭდილია მიხეილ ქვლივიძის ლექსების ციკლი „ხსოვნის ყულაბა". თორმეტივე ლექსი ლილი ქვლივიძის, პოეტის მეუღლის ხსოვნას ეძღვნება და ამდენად სევდიანია, მაგრამ ამ საერთო მინორული ტონალობით მრავალი მძიმე საფიქრალი და განცდაა გადმოცემული. იმით მინდა დავიწყო, ომ მიხეილ ქვლივიძის ყოველი ახალი ლექსი ჩემთვის და ალბათ სხვისთვისაც განსაკუთრებით სასიხარულოა. როცა პოეტი ათეული წლობით წყდება მის ეროვნულ გარემოს (ხანმოკლე ვიზიტები და შორიდან დაკმაყოფილებული ცნობისწადილი ვერ შეცვლის ცოცხალ, ყოველწამიერ კავშირს მშობლიურ ნიადაგთან), ყოველთვის დიდი საფრთხის წინაშე დგება იგი, როგორც შემოქმედი. მიხეილ ქვლივიძე ერთ-ერთი შესანიშნავი ოსტატია თანმედროვე ქართული პოეზიისა და მისი პოეტური ღირსების დაკარგვა ,თუნდაც დაქვეითება (ერთი პირობა ამის ნიშნებმა თითქოს კიდეც იჩინა თავი) დიდად გულსატკენი იქნებოდა.

ამ ბოლო ხანს მისი ახალი ლექსები, რომლებსაც საკმაოდ უხვად გვთავაზობს პოეტი, კვლავ გვაგრძნობინებს მიხეილ ქვლივიძის მხატვრული აზრის და სიტყვის ძალას, და რაც მთავარია, გვაგრძნობინებს მისი სულის განუყოფლობას მშობლიური ერისა და ქვეყნისაგან. ამიტომაც განსაკუთრებით მომხვდა
ამიტომაც განსაკუთრებით მომხვდა
გულს ლექსი „ბოლოთქმა", სადაც პოეტი სხვა სანატრელთან ერთად, ამასაც გაგვიმხელს: „მე ველოდები... დედათბილისში ჩემ დაბრუნებას..." ჩვენც ველოდებით ამას, სანამ კი შორიდან გამოგზავნილი ლექსით ვკმაყოფილდებით.

„ხსოვნის ყულაბაში" ყველაფერი თანაბარი დონის არ არის, ერთიორგან იქნებ უხეიროდაც გვეჩვენოს ფრაზა ან სახე. მაგალითად, ერთ უსათაურო ლექსში, „მე არ ვწყვეტ...", სიკვდილზე „აბეზარის" თქმა („საიდან გაჩნდა ის აბეზარი, — ასე უდროოდ რატომ გეწ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟია?“). თანაც ამგვარი განწყობილების ლექსში. ასეთ კონტექსტში, მე ვფიქრობ, დიდად მოსაწონი არ უნდა იყოს. არცთუ მარჯვედ გათამაშებული ჩანს „ცხედარი“ და „თანამეცხედრე“ („შენ საწყალ ცხედარს ვპატრონობ ახლა და მქვია შენი „თანამეცხედრე“). მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ ერთიანი განწყობილებით დაწერილი ეს ციკლი, ლექსების მეტი ნაწილი მკითხველში თანაგრძნობას ბადებს თავისი გულწრფელობითაც და მხატვრული შთამბეჭდაობის ძალითაც. ერთ პატარა უსათაურო ლექსს მოვიტან ამ ციკლიდან, რომ მკითხველმა გაიხსენოს იგი: ან წარმოდგენა შეიქმნას მასზე:

მხოლოდ ერთხელ
დამესიზმრე
და იმის მერე
ყოველ ღამით
სიზმარში გეძებ
და ამ ძებნის დროს
ისე შორს მივდივარ.
შესაძლოა
უკან
ველარც დავბრუნდე...

კარგი ლექსია — თბილი, ინტიური, ადამიანური სიყვარულის და სევდის გამომხატველი (მაინც მინდა შევნიშნო, რომ იქნებ „და ამ ძებნის დროს“ ნაცვლად აჯობებდა „და ამ ძებნაში“, უფრო ხალხურ და უშუალო ფრაზადაც ჩანს. თანაც „ძებნაში“ აშკარად მოუხდება მომდევნო სტრიქონებში ნახმარ „შორსს“ და „შესაძლოას“).

ჯანსულ ჩარკვიანს გასული წლის ნოემბერში დაბადებიდან ორმოცდაათი წელი შეუსრულდა და „მნათობის“ ნოემბრის ნომერში ეს პოეტის ახალი ლექსებით აღინიშნა. მისი მაღალი მამულიშვილური და მოქალაქეობრივი მოტივებით გაჟღენთილი პოეზია მართლაც რომ სულის მეგზურად ჰყავს ქართველ მკითხველს და ამგვარი პათოსითაა გამსჭვალული ეს ახალი ლექსებიც.

ხშირად გაიგონებთ, ჯანსულ ჩარკვიანის პოეზია მაჟორულიაო. ეს ალბათ იმიტომ, რომ იგი მართლაც მუდამ ვაჟკაცური და იმედიანია. ამიტომ აშკარა თუ ფარული ნიშნები მის თითქმის ყოველ ლექსს ატყვია. აი, ახლაც, ამ ციკლშიც შევხვდებით ერთ შთამბეჭდავ ლექსს, რომელსაც ასევე ჰქვია — „იმედი“. პოეტის ღრმა რწმენით, უპურობასაც აიტანს კაცი, ულვინობასაც იმედის ძალით, თვით სატრფოსაც კი შეუცვლის იგი,

მაგრამ თუ არა გაქვს იმედი,
გუდა და ნაბადი აიკარი,
იხმე ნებისყოფა მცირედი,
ტყვია საფეთქელში დაიკარი.

დიახ, ეტყობა პოეტის ამგვარი მუდამ იმედიანი დამოკიდებულება გვაფიქრებინებს ერთბაშად, რომ მისი ლექსი სიხარულიანია, ფერადოვანია. სინამდვილეში კი, და ეს ძნელი მისახვედრი არაა, ჯანსულ ჩარკვიანის პოეზია უფრო ტკივილიანია, რადგან მამულიშვილი პოეტს სწორედ მისი ქვეყნისა და ხალხის ჰირისუფლად, შემწედ, თუნდაც მკაცრ მრჩევლად ესახება. ამ მიზანდასახულებით და განწყობილებით არის დაწერილი ეს ახალი ლექსებიც: „ვადიდებდეთ“, „ალსარება“, „გალაკტიონის გამო“ და სხვები. ერთ მათგანს კი — „ილიას გამო და სხვათა...“ — აქ მთლიანად მოვიტან ნათქვამის მშვენიერ დასტურად:

კაცები სიყვარულის შემდგომ
მძულვარებას სწავლობენ,
შენი ეშინიათ ღმერთო,
კლავენ, მაგრამ ნანობენ,
სიზმრად მკვდრები ჩამოსდიან
სიკვდილის ჟამს წვალობენ,
კვლავ მოდიან ახლები და
იმ ძველ ცოდვებს სწყალობენ.

მედეა კახიძის პოეტური სამყარო და ხმა კარგად არის ცნობილი ქართველი მკითხველისათვის. მას ერთდროულად ქალური სინაზის, კდემის იერიც აქვს და ვაჟკაცური შემართებისაც. ეს იშვიათი და მშვენიერი ნაჯვარი ხელოვნურად როდია გამთლიანებული, თავად პოე-

ტის ბუნებიდან, მისი ხასიათიდან გადმოედინება ძალდაუტანებლად.

პოეტის ახალი ლექსებიდან (№ 6) ერთერთზე — „მამულო ჩემო" — ზემოთ უკვე გავამჟღავნე ჩემი დამოკიდებულება, როცა იგი პატრიოტული ლირიკის ჭეშმარიტი გამოხატულების ნიმუშად მოვიტანე. მშვენიერია აქ დაბეჭდილი სხვა ლექსებიც. პოეტის მიერ ადრე არაერთხელ გამხელილი ტკივილი მამის გამო, ვინც ბედისწერამ დააკარგვინა, მშობლიური სოფლისა და სახლ-კარის მოტივებით აღძრული, რაც გარემოებათა წყალობით და თავად მისი ნებითაც მოხდა, ამ ახალ ლექსებშიც ძლიერად და გადამდებად ისმის („აუხდენელი ნატვრა", „ნეტა სახლში...", „დედის წერილი"). პოეტის გულგანდობილი სიტყვა უშუალოდ, გულწრფელად, შეუმჩნეველი (ანუ ნამდვილი და მაღალი) ოსტატობით, ზოგჯერ ხალხურ კილოზე ილვრება ლექსიდან და თავისი გავლენის ქვეშ იქცევს მკითხველს.

პოეტი ქალი სოფლის და ქალაქის იმ მტკივნეულ პრობლემასაც ეხება, რაზეც ზემოთ საკმაოდ გრძელი დისკუსია გავუბი ზოგიერთს, მაგრამ მედეა კახიძესთან სადაო არაფერი მაქვს. პირიქით, აქაც, მისი პოზიცია იქნება მთლიანად, თუ სატირული მახვილიც კერძოდ, ყველაფერი მისაღებია ჩემთვის. უსათაურო ლექსში, რომელიც ასე იწყება — „ნეტავ სახლში მეტრიალა, რად ვიქეცი ხეტიალად" — და სადაც სოფლისადმი სიყვარული მართლაც გულმხურვალედაა გამჟღავნებული, სხვაზე მეტადაც და ძლიერადაც ისმის მიტოვებული მშობლიური კერისადმი გაუნელებელი გრძნობა, სხვაზე მეტად და ძლიერადაც არის გადმოცემული ბუნებისშვილობის მთელი მომხიბლაობა. მაგრამ ეს ქალაქის უარყოფად, მის წინააღმდეგ ამხედრებად არ აღიქმება. მეტიც, ერთი ლექსი „მეტროში" („გამომეცვალა ლაღი ბუნება, დავალ მეტროში, როგორც თხუნელა...") ბასრი სატირაა ქალაქზე და ქალაქელებზე, სადაც მათი ბევრი საჩოთირო ყოფითი დეტალი თუ დამახასიათებელი თვისებაა მონიშნებული, მაგრამ ესეც არ იწვევს რაიმე პროტესტის გრძნობას, რადგან მოძულე კი არა, მოყვარული გულითაა ნამხელი.

ლირიკული ლექსების ფრიად სასიამოვნო ციკლი შემოგვთავაზა დოდო ჭუმბურიძემ (№ 4). ძველი ზღაპრების მხარეში ქალიშვილობის დღეების ჩუმი სასიძოს — სევდის გახსენება, სხვა ლექსში შორეთის გზაზე ნუგეშისმცემელთან ერთად დადგომის სიამე, ან სხვაში უსიტყვოდაც ნაგრძნობი ერთგულების სილამაზე თუ კიდევ სხვა ლექსი და სხვა გრძნობა დიდი და წრფელი ინტიმითაა სავსე. პოეტი ქალის ლექსი, ძველიც და ეს ახალიც გარეგნული ეფექტური იერით კი არა, შინაგანი სითბოთია მომხიბვლელი.

მძიმე განწყობილების თანაზიარისა გვხდის ემზარ კვიტაიშვილი ახალი ლექსების ციკლში (№ 11). პოეტის ხედვისა და დაკვირვების სფეროში ადრეც ხშირად მოქცეულა იმგვარი გარემოებები და სულის თუ ხასიათის თვისებები, რომლებიც მასში და მასთან ერთად მკითხველშიც წუხილიან განცდებს იწვევს. მითუმეტეს ახლა, ამ ციკლში სიკვდილ-სიცოცხლის, წუთისოფლისა და წარმავლობის მოტივი თავისთავად განაპირობებს დამძიმებულ განწყობილებას. „წუთისოფელი ქვესკნელში ჩაკიდებული კიბეა" — ასე გვეტყვის პოეტი და ამით მარტო ორიგინალურ პოეტურ შედარებას, ან უფრო მეტსაც, საოცრად მიგნებულ მხატვრულ სახეს კი არ გვთავაზობს იგი, არამედ ამ მთელი ციკლის, საერთოდაც მისი პოეზიის ერთ-ერთი უმთავრესი მოტივის გასაღებსაც.

„რთველი გურჯაანში" იოსებ ნონეშვილის ხსოვნას ეძღვნება. აქ მარტო პოეტის სახე როდია გაცოცხლებული, მისი განუმეორებელი პოეტური ხედვის განზრახ იმიტირებასაც ვგრძნობთ. კახეთი, რთველობა ჯერ თითქოს სწორედ იოსებ ნონეშვილის თვალითაა დანახული (ცახური ლხინი, თამადია ჯამი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბადაგი და აკიდოები, თათარას თუხთუხი, თავთუხში ჩაწნული ჟიმინდის ფოჩი), მერე კი ამ სანახობას სულ სხვა სურათით ესმის წერტილი: „ყელგამოჭრილი და ჩატყაული, კოპიტზე შავი ეკიდა ყოჩი". ნონეშვილის არა მარტო თვალითაა დანახული მშობლიური კუთხე, მისივე გრძნობითაცაა განცდილი — აქ კვლავ გვესმის პოეტის მიერ არაერთხელ უბრალოდ ნათქვამი, მაგრამ ყოველთვის გულისგულიდან ამოხეთქილი „ჩემი კახეთი". მშვენიერი ლექსია, ამ მართლაც დაუვიწყარი პოეტისადმი დიდი სიყვარულით დაწერილი.

აქ თუ მწუხარებას ჩვენგან წასული პოეტის ნათელი სახე და მისი წარუვალი ლექსის სხივი ანათებს, სხვაგან ბევრად უფრო მუქი ფერი და მძიმე განწყობილება ჭარბობს („ვედრება", „დილა წყნეთში", „სასაფლაო ზამთარში" „ორშაბათი", „მიწურული", „ამძიმარი"). „მიაქვს ბოგანოს ბარი, წერაქვი, — საბოლოოა ეს განაჩენი" — გვახსენებს ემზარ კვიტაიშვილი, პირადად ჩემზე ზოგიერთი ფრაზა თუ სახე თავისი უკიდურესობითა და ნატურალიზმით მაინც ერთგვარად უსიამო შთაბეჭდილებას ტოვებს (სასაფლაოზე „ნარწყავით და ნალამით, ჭრელი ძროხა სუქდება...").

მართალია, „მიწაზე ვერვის ნახავ დარჩენილს", მაგრამ ამ მწარე ფიქრთან მკითხველს ისიც უნდა ახსოვდეს, რომ მიწაზე კაცის ბოროტების თუ სიკეთის კვალი რჩება და ეს, ან ეს უნდა იყოს მისი ადამიანური ვალის, კეთილშობილების მასტიმულირებელი. მე მგონი, ასეც შეიძლება ამოვიკითხოთ უსათაურო ლექსი, სადაც ლირიკულ გმირს ჟამი კი მიეწურა და მისი გადასხეპილი ვენახიც აღარ ამოიყრის, მაგრამ მას სხვა, გაცილებით მძიმე ნაღველი კლავს: ნაღველი იმისა, რომ „ბეცურად" იარა ცხოვრების გზაზე.

ემზარ კვიტაიშვილი მარტო ღრმა და ორიგინალური პოეტური სამყაროს პატრონი როდია, იგი შესანიშნავად ფლობს ლექსის ტექნიკას. [illegible]ვრული ნაწარმოები თითქმის ყოველთვის უზადოდ არის აგებული და შეკრული, მთლიანი და დასრულებულია. პოეტური სახე, მეტაფორა, რიტმი თუ რითმა მისთვის ის მორგებული იარაღებია, რომელთაც ოსტატურად იყენებს ლექსის აგების დროს. მაგრამ მე ისიც მეჩვენება, რომ ზოგჯერ ამ ოსტატობას თავისი „სიცივეც" შემოაქვს ლექსში. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის, რომ პოეტი რითმის შესანიშნავი ოსტატია (აქ შეიძლება გავიხსენოთ მისი საფუძვლიანი გამოკვლევებიც რითმაზე კლასიკურ თუ თანამედროვე ქართულ პოეზიაში). ეს ამ ახალ ციკლშიც თვალშისაცემია. ამ რამდენიმე ლექსშიც კი იგრძნობა რითმის საოცარი სიმდიდრე, მრავალფეროვნება, მახვილხმოვანება. ამ თვალსაზრისით თუნდაც მარტო ერთი „რთველი გურჯაანში" რად ღირს. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ზოგჯერ „პოეტური სამკაულებით" მეტისმეტ გატაცებას თვითმიზნური იერიც დაჰყვება:

**რომელთ ერთს გვეამება,**
**გვამის გვემა, გაკვეთა...**
**უგვანოდ იგვიანებს**
**ზარის ხმა მენაგვეთა.**

ერთი შეხედვით ეს რითმისა და ალიტერაციის კარგ ნიმუშად ჩანს. მაგრამ, მე მგონი, მაინც ხელოვნურია. ეს ბოლო ორი სტრიქონი ლექსში, რომელსაც ჰქვია „დილა წყნეთში (ვიხსენებ დღეს პროზექტურის კარებთან...") სულ უცხო არ უნდა იყოს, მაგრამ მაინც უფრო ალიტერაციისათვის ძალად მოხმობილად ჟღერს.

ემზარ კვიტაიშვილისეულისაგან განსხვავებით, გასულ წელს „მნათობში" დაბეჭდილი ხუტა გაგუას ლექსების გრძელი რიგი (№ 11) არც ერთთემიანია და არც ერთგანწყობილებიანი. ამდენად იგი ერთ მთლიან ციკლად არ იკითხება. აქ პოეტის აღქმისა და განცდის სფეროში მოქცეულა სამშობლოს გზებიც და უცხო სორენტოს თუ ნეაპო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის ხედებიც, მშობლიურისადმი სიყვარულიც და მოღალატისადმი ზიზღიც, ზღვის პირად მოძალებული ფიქრიც და რიყრაყზე თეთრად ანთებული, გადარჩენილი დედამიწის იმედიც...

ხუტა გაგუას ლექსს ყოველთვის მნიშვნელოვანი, ღრმააზრიანი სათქმელი და მძაფრი განცდა მოაქვს მკითხველამდე. შთამბეჭდავია მისი „სალექსო ენა". გაცოცხლებული ქართული სულის სიტყვისა და ტკივილის, მთისა და ყაყანის. ყოველივე მშობლიურის სიყვარულითა და ერთგულებით.

რაც მოიტანა —
    ოქრო, ვერცხლი, ფირუზი, ქარვა —
სუყველაფერი
    ისევ უკან წაიღო ქარმა.
სალექსო ენა
    ერთადერთი შემრჩა — ქართული,
მე სხვა სიმდიდრის,
    სხვა ქონების მფლობელი არ ვარ.

ამ სიყვარულისა და ერთგულების ძალით არის, რომ კვლავ ხმიანებს ქართული სიტყვა, ქართული ლექსი და პოეტიც გამჩენს მხოლოდ იმიტომ შეასთხოვა ამისი ნიჭი და უნარის მომადლება, რომ „წყვილ ენიელად" უბოდოს მის ხალხს და მიწას. პოეტი თავის, ანუ ეროვნულ არც სიხარულს და არც ტკივილს არ აყენებს სხვისაზე მაღლა, „უბრალოდ იგი სხვა ენაზე ასე ადვილად არ ითარგმნება, უიროა — ქართული გახლავთ". არადა ერთიც და მეორეც თანაბრად მოსიალებია მას, რადგან ორთავე ამქვეყნიურია, ადამიანურია, ჩვეულია. მაგრამ ყველა შემთხვევაში

თანაგრძნობაა
    და არა ზიზღი,
რაც სულში ასე აკივლებს ზარებს:
შენი ტკივილი — მწველი და მწარე —
    ქრისტეს ტანიდან
    დაღვრილი სისხლი.

მამუკა წიკლაური ქართული ვერლიბრის თავგამოდებული ქომაგია. და თუმცა პოეტის პოლემიკური წერილებიც ფრიად დამარწმუნებელი იყო, მაინც მისი ყველაზე მტკიცე და მშვენიერი არგუმენტები ვერლიბრის[illegible]ლოდ, მისივ საკუთარი ლექსებია. ამაში კიდევ ერთხელ ღრმად რწმუნდება მკითხველი გასული წლის „მნათობის" (№ 4) კითხვის დროს, სადაც მამუკა წიკლაურის ჭეშმარიტი შთაგონებით, დიდი განცდით, ღრმა ტკივილებით სავსე ლექსები დაიბეჭდა.

თავისუფალი ლექსი, რომელიც კლასიკური პოეტური „არტახებისაგან" თავის დაღწევას გულისხმობს, სხვაზე ნაკლებ როდია იმავე კლასიკური პოეზიის სულის მატარებელი. მას სწორედაც სხვაზე კიდევ უფრო ნაკლებ აქვს უფლება იყოს თავისუფალი ღრმა აზრისა და გრძნობისაგან. ისეთი მძლავრი პოეტური კომპონენტის საკომპენსაციოდ როგორიც რითმა და მეტრია, მას მეტად მოეთხოვება მხატვრული სახეობრიობა, განწყობილების სიმძაფრე, სათქმელის ორიგინალური, შთამბეჭდავი გააზრება და გამჟღავნება. მამუკა წიკლაურის ლექსისათვის ეს ყველაფერი განსაკუთრებული ძალით არის ნიშნეული. ისიც ცხადი უნდა იყოს, რომ ქართული ვერლიბრი საერთოდ უფრო დრამატული ხასიათისაა. ყოველ შემთხვევაში მამუკა წიკლაურის პოეზია, კერძოდ ეს ახალი ლექსებიც გვაფიქრებინებს ამას.

„...როგორც ციკლონზე, ხეობას რომ გადაუარა" სულისშემძვრელია არა მარტო თავისი ამბით, საზარელი მკვლელობით, მკვლელის ბიოგრაფიით, ვინც მიწის ერთ კვალს წეროქვით ამსხვერპლა საკუთარი ძმა, არამედ იმ საოცარი მხატვრული სახითაც, რასაც პოეტი გვაზიარებს:

ის ჩემს თვალში მოარულ, ორტოტიან ხეს
    ჰგავდა:
ერთ — გამხმარ ტოტზე მოკლული ძმა
    ეკიდა,
მეორე, ნედლ ტოტზე კი — სისხლიანი
    წეროქვი.

მაგრამ არც მეორე ნედლ ტოტა უწერია დიდი ხნის სიცოცხლე. ციმბირიდან მობრუნებულმა, სასჯელმოხდილმა მკვლელმა მარტიამ, ვისაც ერთდროუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლად შიშით. ზიზღით და სიბრალულით ხვდებიან სოფლელები, მეორე დილითვე ძმის საფლავზე მოიკლა თავი და ამით ის ნედლი ტოტიც გაიხმო, რომელზეც ავბედითი სისხლიანი წერაქვი სხვათა თავზარდამცემლად ჯერაც ეკიდა.

> პაპამ ჩუმად თქვა — უყურე ერთი,
> გულს რა სდებია, ათ წელს ციხეში
> ემაგ განზრახვამ, ემაგ ფიქრმა შეინახაო.

ამ ცოდვის შემსწრეებს თუ ხეობაზე ციკლონის გადავლასავით ჩარჩათ ის აბედისწერო მკვლელობის დღე, ახლა მათ და მათთან ერთად ჩვენც არანაკლები ძალით დაგვამახსოვრდება გონსმოგებული და ნამუსმოძალებული კაცის ეს ბოლო და ერთადერთი ვაჟკაცური საქციელი, ვინც ყველაფერი მხოლოდ იმისათვის აიტანა, რომ თვითგანაჩენი აღესრულებინა და ასე მოებანა კაენის ცოდვა.

მშობლიური კუთხის, საკუთარი ფუძის სიყვარულითაა შთაგონებული მამუკა წიკლაურის რამდენიმე ახალი ლექსი. ერთის სათაური თავისთავად უკვე მშვენიერია როგორც პოეტური სახე და შემზარავია თავისი მინიშნებით — „გადაუვლია შენს სახლ-კარზე ჰინჭრის ნიაღვარს“.

ლექსი „უმზერს, ტოროლა როგორ ადის ცაში სხივივით“ შთაგონებულია ადამიანური თანაგრძნობით იმათ მიმართ, ვინც თავისი ცხოვრება ყოფით ფუსფუსში ისე გალია, რომ ერთხელაც არ შეუნიშნავს და არ უგრძვნია მის ირგვლივ უბრალო, თუმცა ნამდვილი დიდი სილამაზე. ვინ იცის, ეგებ საფლავის ქვის ქვეშ სწორედ ასეთ კაცს სძინავს.

> და აი, ახლა, წევს მიწასთან დაბრუნებული
> და აყვავებულ იასამანს ხედავს პირველად...
> უმზერს, ტოროლა როგორ ადის ცაში
> სხივივით.

ოღონდ, ამ უშუალო, წრფელ, ლამაზ ლექსს, ლამაზს მისი ბუნებრიობით, უბრალოებით, მშვენივრად მიგნებული სიმართლით, ჩემის აზრით, უ[illegible]ლავს, ჰარმონიულობა ურღვევს ერთი, ერთადერთი ამოვარდნილი, ხელოვნური სტრიქონი — „ისიც ესწრება მთვარიანი ღამის სპექტაკლებს“.

ვანო ჩხიკვაძის ლექსი თავიდანვე გამოირჩეოდა უშუალობით, უბრალოებით, გამჭვირვალე პოეტური სახეებით. მან ეს თვისებები შეინარჩუნა და თანდათან სულ უფრო მეტი სიღრმეებიც შეიძინა, ისეთ ფსიქოლოგიურ ნიუანსებს, განწყობილებებს მისწვდა, რომლებშიც აშკარად მოწმობენ მათი ავტორის პოეტური სიმწიფის ხანის დადგომას. ამ ახალ ლექსებში (№ 2), ცხადია, ყველა თანაბარი სიძლიერის არ არის და არც შეიძლება იყოს, მე კი გამოვარჩიე „მუზეუმში“, უსათაურო („ხელს გადაუსვამ დაორთქლილ სარკმელს“...), „ზოოპარკში“.

აშკარად ვატყობ, სიტყვა გამიგრძელდა, იმ პოეტთა რიგს კი, ვისმა ლექსებმაც მიიქცია ჩემი ყურადღება და სათქმელიც გამიჩინა, თითქოს არ აკლდება. კიდევ არაერთზე მინდოდა მეთქვა, თუნდაც მოკლედ, მაგრამ ვგრძნობ, მკითხველსაც ევსება მოთმინების ფიალა. ამიტომ ზოგიერთ მათგანს მხოლოდ დაგასახელებ, ან სულ ორიოდ სიტყვას ვიტყვი. მურმან ჯგუბურიას და გრიგოლ ჯულუხიძის პოეზიას იცნობს (ყოველ შემთხვევაში, უნდა იცნობდეს) მკითხველი და ვინც მათ მრავალმხრივ საინტერესო შემოქმედებით სამყაროს უკვე არის ნაზიარევი, მათს ახალ ლექსში აშკარად იგრძნობს ახალ და ძლიერ პოეტურ სუნთქვას. ოღონდ ისიც მინდა გულწრფელად ვუთხრა ამ ავტორებს, რომ მათ პოეტური აზრის და სახის სხარტად, დაწურულად, მკაფიოდ გამოხატვის შესაშური უნარი აქვთ (ეს ახალ ლექსებშიც გამჟღავნდა) და გაუფრთხილდნენ მას, ნუ დაჰყვებიან სიტყვათა გაჭიანურებულ დინებას (ამისი საშიშროება ჩანს ზოგიერთ მათ ლექსში).

აკაკი ვასაძე ძალზე იშვიათად ბეჭდავს, დიდი ინტერვალებით აწვდის მკითხველს საკუთარ ლექსებს და ის, რაც მან „მნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თობის“ მეშვიდე ნომერში შემოგვთავაზა, აშკარად გვარწმუნებს, რომ ამას ტყუილად სჩადის. ნოდარ ჯალაღონიამ ცოტა ადრე „ძველ კოლხურ ჰანგებზე“ გამოაქვეყნა ლექსების ციკლი, ახლა კი — მესხეთზე (№ 6) და მისი უპრეტენზიო, სადა, გულით ნათქვამი პოეტური სიტყვა ხშირად არა მარტო გრძნობითაა ლამაზი, არამედ ხატოვანებითაც. სასიამოვნო შთაბეჭდილებას სტოვებს რევაზ დანელიას ახალი ლექსები (№ 7), რომელთა მრავალფეროვნებაც მარტო განსხვავებული, ზოგჯერ სულაც საწინააღმდეგო განწყობილებებით კი არ მიიღწევა, არამედ მეტრულ-ინტონაციურითაც. კარგია, რომ „მნათობმა“ არც სოხუმში მცხოვრებ პოეტებს არ დააკლო ყურადღება და „შორიდან“ გამოგზავნილ ლექსებს ფართოდ გაუღო კარი. ჯანო ჯანელიძის და მირიან მირნელის ახალი ლექსები (№ 5, 6) კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ მათი ავტორებიც და სხვებიც, ვინც საქართველოს სხვადასხვა მხარეში ცხოვრობენ და მოღვაწეობენ, მთლიანად ქართველი მკითხველისაგან მეტ ინტერესს იმსახურებენ.

ჯარჯი ფხოველის წარდგენა მკითხველს, ვგონებ, არა სჭირდება. ეს ახალი ლექსებიც (№ 9) ორგანულად ერთვის მის შემოქმედებით სამყაროს თავისი სათქმელითაც და გამოხატვის ფორმითაც. ასე რომ, აქ რაიმე მოულოდნელობასთან, „აღმოჩენასთან“ არა გვაქვს საქმე და კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით პოეტის ოსტატობაშიც და მისი ინტერესების მრავალმხრივობაშიც. ოღონდ, ურიგო არ იქნება მასაც არ დაავიწყდეს, თუნდაც ერთი წამით, რომ ვერლიბრში განსაკუთრებით „ყვირის“ ამოვარდნილი სიტყვა, მოითუმეტეს ფრაზა, და კიდევ უფრო — შეუსაბამო სახე. ასეთი ამოვარდნები კი მის ლექსებში აქ-იქ შეიმჩნევა. ასე, მაგალითად, მე მგონი გათიშული სიყვარულის მისანიშნებლად არ ივარგებს ამგვარი თქმა — „ჩვენს შორის დროის ხერხემალი ამოიზარდა“. მართალია, ეს ორიგინალური ნათქვამია, მაგრამ ხშირ[illegible] მაინც შეკავშირების, გამთლიანების, სიმკვრივის სახე-სიმბოლოა და 'განცალკევების, დაშორიშორების გამოხატვის მიზნით ვერ გამოგვადგება. ჯარჯი ფხოველის ამ ახალი ლექსებიდან განსაკუთრებით მომეწონა „სიზმარი. გარდაცვლილი მეგობარი“, რომელიც იმას ეძღვნება, ვისმა ლექსმაც ავტორის სიკვდილის მერე უფრო და უფრო ყველასათვის ნათელი გახადა, რა ძვირფასი პოეტი და მამულიშვილიც დაგვიკარგავს. ეს პატარა, მაგრამ დიდი გრძნობით დაწერილი ლექსი მინდა გავახსენო მკითხველს:

> შოთა ჩანტლაძე შემოვიდა გრძელ
> სიზმარში,
> დაღლილმა და გულგასენილმა
> გადაუარა პირქუშ ჩრდილებს,
> ნასახლარებს,
> სასაფლაოებს
> და ბურუსიან ველზე გავიდა,
> გალია ველიც,
> მიწისპირი გადაიარა
> და
> სიზმრის
> გაღმა
> გაბიჯა
> და ბინდბუნდში გაუჩინარდა...

ამ ლექსთან ერთად სხვასაც მინდა კიდევ ერთხელ ვაზიარო მკითხველი — ვახტანგ ხარჩილავას უსათაურო ლექსს (№ 8):

> ვერ წამოიღებ ამ
> მინდორს და ბინის კედელზე
> ვერ ჩამოჰკიდებ როგორც პორტრეტს
> გაზაფხულისა.
> ...საგარეუბნო მატარებლის
> მტვრიან კუპეში
> ზის მოწყენილი შუახნის კაცი
> და ქალაქისკენ ხამად სამი
> მოაქვს ყვავილი.

თითქოს არაფერი აქვს ამ ორ ლექსს საერთო, მაგრამ მე მაინც სხვასა ვფიქრობ. ცხადია, მარტო იმის თქმა, რომ ორთავე ჩემთვის მშვენიერი ლექსია, ცოტა იქნება. არც ის იკმარებს, რომ ერთიცა და მეორეც „ახალი“ და მსგა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვსი ფორმისაა. მათ, მე მგონი, უფრო ღრმა და მნიშვნელოვანი რამ ანათესავებს. ორთავეში ჩუმი და დიდი კავდითაა გამხელილი სულის მოუშუშებელი ჭრილობა, დანაკარგის აუნაზღაურებლობა. და კიდევ, ამ პირადი უხილავი განწყობილების, გრძნობის, ტკივილის გამოსახატად ავტორებმა განცდათა გადმოლვრის ნაცვლად, თითქოს ნეიტრალური და ხილული ჩანახატი ირჩიეს, ან იქნებ უფრო ზუსტი იქნება თუ ვიტყვით, — მოკლე კინოფირი დაგვიტრიალეს. ახლა კი საერთოდაც უნდა ვთქვა, რომ ვახტანგ ხაჩილავას ახალმა ლექსებმა (№ 8) ჩემზე კარგი შთაბეჭდილება დამიტოვა და იმის რწმენა განმიმტკიცა, რომ ამ ახალგაზრდა ნიჭიერი პოეტის დასტატების, შემოქმედებითი მომწიფების პროცესი შეამჩნევად სწრაფად მიდის და მისგან ბევრს უნდა ველოდეთ, ბევრსაც უნდა მოვითხოვდეთ.

გასული წლის „მნათობის" ფურცლებიდან კიდევ ახვებმაც მიიქციეს ყურადღება ახალი ლექსებით. ეს, პირველ რიგში, ითქმის ბადათერ არაბულზე (№ 12), ვის ლექსებიც აშკარად საინტერესოცაა და ოსტატურადაცაა დაწერილი. მათ შორის ისიც, „ლამპიონების გრძელი დერეფნით...", რომელიც ზემოთ ქალაქისა და სოფლის დაპირისპირებაზე მსჯელობის დროს ერთგვარად პოლემიკის საგნად ვაქციე. ერთი რამ მინდა ვურჩიო პოეტს. თავისთავად კარგია მისი ლექსები „ცირკის კხენები" და „იაგუარი", მაგრამ აქ დამუშავებული დატყვევებული და დამორჩილებული ბუნების შვილის თემა უკვე ისეთ სტერეოტიპად იქცა, რომ მას ახალი ასპექტი თუ არ მოეძებნა, რაგინდ ოსტატურიც არ უნდა იყოს ლექსი, შთაბეჭდილებას ისეროგად ველარ ახდენს. მეტი თავისთავადობა მეტ წარმატებას მოუტანს ამ უეჭველად ნიჭიერ პოეტს.

შაბურა არაბული, ვაჟა დოლბაია, ხვთისო წიკლაური, იოსებ აფციაური, ედემ კვირტია, იმედი ჯახუა, მთვარისა ყეროსელიძე და სხვა ახალგაზრდა პოეტების სახელები ჯერ თუ ფართო მკითხველს ისეროგად არ ახსოვს და გამოკვეთილად არაფერს ეუბნება, გასულ წელს „მნათობის" ფურცლებზე გამოქვეყნებული მათი ლექსები გვაიმედებს, რომ მათ ყველაფერი წინა აქვთ და საკუთარი წარმატების კადავეებიც თვითონვე უპყრიათ. ვნახოთ, რას მოუტანს მათ მომავალი.

ნანა თარგამაძეც სულ ახალი სახელია ქართული პოეზიისათვის. მისი ლექსები მხოლოდ ამ ბოლო ორი წლის მანძილზე გამოჩნდა ლიტერატურული ჟურნალების ფურცლებზე და ერთბაშად მიიქცია ყურადღება. მისი „აღმოჩენა" მაინც „მნათობის" პრიორიტეტია. გასულ წელსაც დაიბეჭდა „მნათობში" ნანა თარგამაძის რამდენიმე ლექსი (№ 1) და ის აზრი განვგვიმტკიცა, რომ ამ ნიჭიერი, ღრმად ორიგინალური პოეტური აზროვნების მქონე ქალის მომავალი აშკარად იმედიანია. მან პოეტი ქალისათვის შედარებით იშვიათი უნარი გაამჟღავნა და საოცრად საინტერესო ირონიულ-პაროდიული ლექსი შემოგვთავაზა — „ერთი სურათის გასართობი ანატომია". ამ ერთი შეხედვით მართლაც ლაღი და გაართობი ლექსით პოეტმა ბევრი მწარე სიმართლე და შეგონებაც „შემოგვაპარა". ნანა თარგამაძის უკვე გამოქვეყნებული ლექსებით, „ძველითაც" და ამ ახალითაც შეგვიძლია დავაასკვნათ, რომ მას თანაბრად ემარჯვება თბილი, ნაზი ინტიმური, ლირიკული ლექსიც და ენერგიული, მძლავრი, ღონიერი, საჭიროების შემთხვევაში კი უხეში პოეტური სიტყვაც. მისთვის არ დგას კატეგორიულად არჩევანის აუცილებლობა — ან ვერლიბრი ან კლასიკური ლექსი. ერთსაც და მეორესაც იგი თავისუფლად ფლობს. ამასთან, მისი თავისუფალი ლექსიც შიგადაშიგ არ არის მოკლებული ნაირგვარ რითმებს („ტაბახმელას კვდებოდი თამარ...") და ეს მას მეტადაც უხდება. რას და როგორ ლექსს აირჩევს საბოლოოდ ნანა თარგამაძე საკუთარი შემოქმედების განმსაზღვრელად. ამას

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავად პოეტი გადაწყვეტს და მომავალი გვიჩვენებს, იქნებ სულაც შეინარჩუნოს ამგვარი მრავალმხრიობა და სწორედ ეს იყოს ყველაზე სწორი არჩევანი.

ამდენი ვილაპარაკე და ჯერ „მნათობის“ მესამე ნომერი არ მიხსენებია. განგებ გამოვაცალკევე. თუმცა, მე კი არა, თავად რედაქციამ გამოაცალკევა — ტრადიციისამებრ, ძირითადად მწერალქალებს მიუძღვნა (უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, დაუთმო). ციდან ჩამოფრენილები არავინა ვართ და კარგად ვიცით, რომ ამგვარ სარვამარტო საჩუქარს ყველა ჟურნალი და გაზეთი უმზადებს ქალებს. ყველგან და აქაც, ადრე და ახლაც ეს იმდენად საჩუქარს არა ჰგავს, რამდენადაც ხარკის გადებას. ამას კი ბესიკ ხარანაულის წინა „ორიოდ სიტყვაც“ ვერ შველის, მიუხედავად იმისა, რომ ისეა დაწერილი დიპლომატიური ოფისის გამოცდილ თანამშრომლებსაც შეშურდებათ. კიდევ ვიმეორებ, კარგად მესმის ბესიკ ხარანაულისაც, საერთოდ, „მნათობის“ რედაქციისაც, ახვებისაც, მაგრამ ეგებ ფუჭ და უსარგებლო, მითუფრო არასახარბიელო ტრადიციაზე ხელის აღება უფრო ღირდეს, ვიდრე მისი ინერციით გაგრძელება. ამ ნომრის კითხვის დროს თავი იმ საერთო საცხოვრებელში გგონია, სადაც ერთიათად მეტი ხალხი ჩაუსახლებიათ და ვერავისთან განმარტოებულხარ, ხორხოცითა და აურზაურით თავგზა ისე აგბნევია, თვალიც ისე აგჭრელებია, რომ ახალი ნაცნობების შეძენას ვიღა დაეძებს, ძველიც ველარ გამოგირჩევია. ერთ ნომერში ოცდაათი მარტო პოეტი ქალია! ღმერთმანი, მეტისმეტია.

იქნებ, რაკი სარვამარტო საჩუქარია, მეც უნდა ყველა ქალ პოეტს მივულოცო მესამე ნომერში დაბეჭდილი მათი ლექსები. კეთილი ბატონო, ვულოცავ! ამის მერე, მაინც მინდა შევიძლო და სადღესასწაულოდ კი არა, საქმიანად გამოვარჩიო ზოგი მათგანი, ვისი ლექსიც უფრო მომხვდა გულს.

თამარ ერისთავის, მარი აბრამიშვილის და ნელი თარბას (ბესიკ ხარანაულის თარგმანი) ლექსები მიყოლებითაა დაბეჭდილი და ახვებისაგან გამოცალკევებულია. იქნებ შემთხვევით, ეგებ განზრახაც. ყოველ შემთხვევაში, ამას, როგორც უცხო სიტყვათა მოყვარულნი იტყვიან, აქვს თავის რეზონი. სამთავე პოეტი კარგადაა ცნობილი მკითხველისათვის და ეს მათი ახალი ლექსებიც კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ, თუ სარვამარტო ცნებებით ვიმსჯელებთ, ქალთა ემანსიპაცია არა მარტო ჰუმანური, არამედ დიდად ნაყოფიერი რამაც ყოფილა. თამარ ერისთავი რომ ქართული ლექსის ჭეშმარიტი ოსტატია, ეს თავდაპირველად და ერთბაშად მისეული თარგმანებით შევიტყვეთ (გახსოვთ, ალბათ, მისი ბერნსი ქართულად), მერე კი ორიგინალური პოეზიით. ეს აზრი არასოდეს და არაფრით შეურყევია მკითხველისათვის პოეტ ქალს. ლირიზმი მისი პოეზიის უმშვენიერესი თვისებაა და ამ ახალი ლექსების მომხიბლაობაც ჯერ აქედან მოედინება, მერე კი სიწრფელიდან და სისადავიდან.

შარლოტა კვანტალიანის ორი ლექსია აქ დაბეჭდილი, ორთავე კარგი. ერთი მათგანი განსაკუთრებით მოსწონებია ბესიკ ხარანაულს, თავის „ორიოდ სიტყვაში“ ერთადერთი ამ ლექსიდან მოიტანა რამდენიმე ტაეპი. ბესიკ ხარანაულს ვინ არ ენდობა ლექსის ცნობასა და შეფასებაში. ლექსს ჰქვია „შვილს, რომელიც ოდესმე მეყოლება“. მართლაც მშვენიერი ლექსია, უფრო სწორად, ჩემი აზრით, იქნება, თუ საგრძნობლად შემოკლდება.

მაპატიოს ავტორმა და მე ასეთი შემცირებით მოვიტან აქ ამ ლექსს:

**რადგან ოდესმე უნდა მოხვიდე,**
**აუცილებლად სადმე იქნები,**
**გეალერსება გაუკვალავ ზეცის გადაღმა**
**გაუმხელი ჩემი ფიქრები.**
**შენ ახლა ალბათ ზეცაში ცხოვრობ**
**და ზოგჯერ მაინც დაგესიზმრება.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორ მეხვევა უსაშველოდ თავბრუ
                                    უოველდღე
მტვრით, ხმაურით, ლექსით,
                                    „იზმებით“...

შენ ალბათ ისე ხარ გამჭვირვალე,
როგორც სიკეთე ანდა... ტეხური,
წელს არ აუვავდა ნეკისხელა ჩვენი
                                    ტირიფი —
ახლა წელშია გადატეხილი.

. . . . . . .

ალბათ მთელი დღე დარბიხარ ცაზე.
არ ჩამოგიცდეს ღრუბელზე ფეხი,
არ მოგამსხვრიოს ანგელოსის პაწია
                                    ფრთები
ბრაზიანმა ბებერმა მეხმა.

. . . . . . .

მიმიხარია სიზმრის ბუდეში,
რომ დაგიკოცნო თოთო თითები...
ჩემს სასთუმალთან წევს ზღაპარი,
                                    როგორც ნუგეში...
მოლოდინით თვლემენ მითები...

მე მგონი, სხვა სტროფები, რომლებიც აქ არ მოვიტანე, საგრძნობლად აღუნებენ ლექსს, ზოგ შემთხვევაში კი უბრალოდ აფუჭებენ. „ამოვხედავ შენ საუფლოს ჩუმი ნაღველით — ვარსკვლავებით სავსე ვიტრინაა...“ რა უნდა „ვიტრინაა“ ამ ღვთაებრივ სამყაროში, ჯერ არშობილი შვილისადმი ამ აიზმრიაეულ სიყვარულში. მითუფრო, როგორ შეიძლება ვიტრინად, ანუ ჩარჩოდ გეჩვენოს ვარსკვლავებით გადაჭედილი უკიდეგანო ზეცა. არც ულვთოდ ჩაძირული „ღრუბლების გემები“ და დედამიწაზე ჩამოვარდნილი ამ „დამხრჩვალი გემების გვამები“ არაფრად არ ვარგა. ყურს ჭრის „ექსცესები“ — „ახლა შენს გამო მეშინია გამოუცნობი ბედისწერის და ექსცესების“. ერთი სიტყვით, ეს ლექსი რომ გაუფთავდებოდეს, იგი მართლაც ერთ-ერთი საუკეთესო გახდება შარლოტა კვანტალიანის შემოქმედებაში და თანამედროვე ქართული პოეზიისათვისაც შენაძენი იქნება.

კარგი შთაბეჭდილება დატოვა ზოგიერთმა ჩემთვის აქამდე ნაკლებად ცნობილმა, ან სულაც უცნობმა ახალგაზრდა პოეტმა ქალმა. მომეწონა იზა ცარკიის „ჩიტი“, ვაჟასადმი მიძღვნილი ლექსი, რომელიც გოგი ოჩიაურის მონუმენტურ სკულპტურას შთაუგონებია. ნაილი ნეკერიშვილი ამ ახალი ლექსებითაც იქცევს ყურადღებას, რომელთაგან მე გამოვარჩევდი დედისადმი მიძღვნილ უსათაურო ლექსს „დედა, მე მცირე ტკივილიც მტკივა...“ ზუმრუდ გოდერძიშვილი ჩემთვის ახალი სახელია (იქნებ აქამდეც უნდა მცოდნოდა, მეპატიოს) და მით უფრო გამახარა მისმა ლექსებმა, განსაკუთრებით იმან, ჩუმ და განმარტოებულ გულზე რომ არის, აბედივით უხმაუროდ რომ იწვის. თავისთავად კარგია მაყვალა გონაშვილის „ვედრება“, ოღონდ ცოტა ადრე ხომ არაა ამ სულ ახალგაზრდა პოეტისათვის ღმერთისათვის იმის შეთხოვნა, რომ „ბავშვობის გზაწვრილებზე სიზმრად მაინც“ ახეტიალოს. პირველად გავეცანი ჯულიეტა მილდიანის ლექსებს და კვლავაც ვისურვებდი მათთან შეხვედრას. „ზარს ხომ ვერ დავირქმევ, არ ღირს ვარ დედაო, ზანზალაკს ვჩემულობ და არა ვსცოდავო?!“ ამ აშკარად ნიჭიერ პოეტ ქალს თუ ამგვარი თავმდაბლობაც შერჩება და პოეტთა ინფექციური სენი — ამპარტავნობა არ მოეძალება, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ იგი ზარსაც ჩამოჰკრავს მომავალში, ორიგინალური და საინტერესო ნაზი ქედია „მუხა“.

ნუ გამინაწყენდებიან სხვა ავტორები (განსაკუთრებით ახალგაზრდებია გამო თავადაც ვარ გულნატკენი), რომ ყველას ვერ გავწვდი თუნდაც ორიოდ სიტყვით. გულახდილად რომ ვთქვა, ზოგთან უფრო მეტი სასაყვედუროდ თუ არა, სარჩევად მაინც მქონდა სათქმელი, თუმცა გულწრფელად განდიდების აზრს, ყოველნაირს აქვს თავისი მნიშვნელობა. მაგრამ ამჯერად თავს შევიკავებ, ახალგაზრდებს არაფერს ვუსაყვედურებ, ამას იქნებ სხვა შესაფერი დრო და ადგილი გამოუჩნდეს, რომ უფრო უმტკივნეულო და სარგებლიანი გამოგვივიდეს საუბარი. სხვების, უფროსების დარიდება კი გამართლება ნაკლებად მოეძებნება და ამიტომ უნდა გა-

ეროვნული

მოვთქვა ჩემი გაკვირვება ჯემალ ინჯიას ლექსების გამო (№ 1).

ასე სუსტი, დაუდევრად დაწერილი ლექსები არ ეპატიება ჯემალ ინჯიას (№ 1). „სიტყვების თანმიმდევრობა ანუ გენიოსობის საიდუმლო" საკმაოდ პრიმიტიულადაც გვიხსნის რუსთველის, ბარათაშვილის, გალაკტიონ ტაბიძის ლექსის სიდიადეს და თან უხეიროდაც. „იყო მესამეც, თავს დაუსვა იაე წერტილი. გულისტკივილით რომ ვიგონებ ახლაც იმ წერტილს". ასე ლექსი არ იწერება, მითუფრო საწყენია, რომ ეს სტროფები გალაკტიონის მისამართითაა ნათქვამი. „ერთი პრომეთეს ცეცხლს ანთებდა ფიჩხის სინათლით", — ეს კი, ალბათ, უკვე ვაჟა უნდა იყოს, მაგრამ ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ელემენტარული გამართვა ხომ მაინც სჭირდება ფრაზას? სინათლით ცეცხლის ანთება როგორია? ტყუილად ფიქრობს ავტორი, თითქოს „ბერისა" თუ „გლეხის" ნაცნობი სიტყვების მარტო ცოდნა და თანმიმდევრობით დალაგება ეყოფა ლექსს. აქ მარტივად არამცთუ გენიოსი და უკვდავი, მოკვდავი პოეტის საიდუმლოებაც კი არ ამოიხსნება. არც მეორე ლექსი „გზაზე" — ჩამორჩება პირველს უხეირობით. „თუმცა უარი ვერ დამიზუსტე, ბალახზე ეგდო შენი სიასუსტე". საინტერესოა, როგორ უნდა დაუზუსტოს საერთოდ უარი ქალმა კაცს ამგვარ „პიკანტურ" მომენტში, მითუმეტეს როცა სულაც არ აპირებს უარის თქმას და პირიქით, თავად სურს დანებდეს. ამას ისა სჯობს, პოეტმა თვითონ იფიქროს მისი ლექსის და სათქმელის სიზუსტეზე.

გასულ წელს „მნათობის" ფურცლებზე პოეტური ეპოსის ნიმუშებიც დაიბეჭდა, მაგრამ მათ ჩემზე ნაკლები შთაბეჭდილება მოახდინეს. კარგია ვახტანგ გორგანელის „ბალადა შალვა ბელთაურზე" (№ 2), ყიზლარში გმირულად დაღუპულ ახალგაზრდა მწყემსზე. კეთილი განზრახვით არის დაწერილი ლადო სულაბერიძის „უდაბნო და აჩრდილი ბერისა" (№ 5) და დილარ ივარდავას „სადაც ზღვაა და ლურჯ[illegible]" (№ 10). ერთი — პოემაა უდაბნოს დღევანდელ ალორძინებაზე და კონტრასტისათვის ისტორიული ექსკურსებიც ხშირია, მეორე — ხობელ შრომის გმირებს ეძღვნება. ორთავე უფრო ლირიკული პოემისაკენ იხრება, ყოველ შემთხვევაში, მკაფიოდ გამოხატული სიუჟეტი არცერთს არ გააჩნია. ერთიცა და მეორეც გვაფიქრებინებს, რომ აჯობებდა მეტი გულმოდგინებით ყოფილიყო დამუშავებული მასალა, განსაკუთრებით დილარ ივარდავას პოემაში იგრძნობა მხატვრულად ჩავარდნილი ადგილები, მდორე დინება ლექსის, გაურანდავი სტროფები.

კობა არაბულის „ჯოყოლას სიკვდილი" (№ 2) და დალილა ბედიანიძის „ფოტოსურათები" (№ 3) თავისუფალი ლექსითაა დაწერილი და ორთავე აშკარად ლირიკული პოემის ჟანრს განეკუთვნება. ამასთანავე, ჩემი აზრით, ორთავე ეს პოემა ასევე აშკარად საინტერესოა თავისი სათქმელის მნიშვნელოვანებითა და სიმძაფრითაც და პოეტური ღირსებებითაც.

კობა არაბულის პოემაში ჯოყოლა ჩირდილელის დატირება საერთოდ ხევსურეთის დატირებად ისმის, რადგან გარდაცვლილი კაცი ამ მხარის ერთ-ერთ უკანასკნელ მოჰიკანად ჩანს. თავისთავად ისიც მძიმედ აწვება გულს, რომ აქ ძველებურად აღარ ისმის აღარც ლექსი და სიმღერა, აღარც ცხენების ჭიხვინი და დოლის თქარა-თქური, აღარც ჩვეული სახელები და კილო-კავი. აღარც ძველებურად აცვიათ და აღარც ძველებურად ცხოვრობენ ხევსურები. „მთების ბნელი ილლიებიდან ყვავები მოფრინავდნენ" — შესანიშნავი მხატვრული სახეა, თუმცა შემაძრწუნებელი, თითქოს იმედგადაწყვეტილი კაცის განწყობილების გამომხატველი. ასე უკიდურესადაა აქ გამძაფრებული პოეტის სათქმელი და განცდა, ასე სახეობრივადაა იგი გამოხატული. ამგვარი სახეები და მეტაფორები პოემაში სხვაც [illegible]. ჯოყოლას სულის მშვენიე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოებაც ვინც ქერის ყანას ვერცხლის აბჯარში მეიდა. ოჯულშიკი მწყემსის უბრალო. ლექა ტანსაცმლით მიდიოდა. რომ მხოლოდ აიტყვით გამორჩეულიყო, იმ ყოფის სილამაზეც. რაღაც ასე ხატოვნად და მომხიბლავად გვიცოცხლებს პოეტი. თითქოს განწირულია. რადგან ახლა ირგვლივ „მარადიული სიბერე და ქარმავლობა" დაადგურებულა. „აულის ცხენიც" ილიალა შეუკაზმავი გარდაცვლილის, თორემ დოლს ვილა დაეძებს. „ამ ცხენზე მეტი არ მოგროვდა მთელს ხევსურეთში". „ჩვენს დროში ცხენით ვინღა იმაშვრება, იქაც... მანქანებით დადიან" ჯინსიანი, თმაგრძელი, „სხვათა ტანსაცმელში ამაყად გამოწყობილი" ვაჟები, ხაკისკაბიანი ქალიშვილები და მარტო ყოფითი ამილამაზე კი არა, მაღლიანი ადათ-წესებიც გახუნებულა. მაგრამ ამის წინააღმდეგ ამხედრებული ავტორი თვითონაც ჯინსიან ხევსურს ემსგავსება, როცა უსაიოდ მოქირთინე ქალებზე იტყვის. „მათი რეკვიემი არარაობიდან არარაობაში მიემონავდა". განა გლოვის ზარის გამოსახატავად ქართულს. გნებავთ კეროდ ხევსურულ დიალექტს თავისი სიტყვები დაელია. რომ საამისოდ მაინცდამაინც უცხო მოვიშველიოთ? ამგვარი მიზნის და განწყობილების პოემაში ეს „რექვიემი" უნებურად რაღაც დაცინვადაც კი ისმის ყველაფერი იმისა, რისადმი თანაგრძნობის გაღვივებასაც ავტორი ასე ბეჯითად და მეტწილად წარმატებითაც ცდილობს.

დალილა ბედიანიძე ახალგაზრდა პოეტთა შორის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეულია თავისი ნიჭითაც, მხატვრული აზროვნების სიღრმითაც, გამოკვეთილი ინტერესებითაც და თავისებურებებითაც. მისი ახალი პოემა „ფოტოსურათები" (№ 3). სადაც ორიგინალური ხერხითაა გაცოცხლებული ლირიკული გმირის წარსულის ფრაგმენტები („ხსოვნა დედაა აიცოცხლისა"), კვლავ მიგვაქცევინებს ყურადღებას ადამიანურ. მეტწილად ზნეობრივი ხასიათის ტკივილებზე და მძაფრად განგვაცდევინებს ყველაფერ იმას. ...იუთ, სიყვარულით და სიკეთით ავსე გულს ახვათა თანაგრძნობის გამო დიდ თუ მცირე ჭრილობად დამჩნევია. „შეგიძლია, ეს ფოტო დაწვა, მაგრამ რას უზამ ორიგინალებს?" პოეტი ქალიც თამამად უსწორებს თვალს ფოტოებს უკან მზორგავ აინამდვილეს და მისი გმირის დაკვირვებები თუ ალსარებები ავსეა იმის გულწრფელი წადილით, რომ დიდსა და მცირეში, თავისიანებთან თუ სხვებთან ურთიერთობაში ადამიანს მხოლოდ ჭეშმარიტი სიყვარული და კეთილშობილება ამოძრავებდეს. პოემაში ზოგგან სათქმელი სადა და გამჭვირვალეა („შინ რომ მივიდა, იმან და ცოლმა მოიჩხრია გულები, სულ კაპიკაპიკ შეაგროვეს სიყვარული. გაუკვირდათ — ეს რამდენი შეგვიგროვდაო, რაც ბაზარზე ქრიზანთემები იყო იმ დილით, იყიდეს და შინ გაზიდეს..., აური თაიგულით ხელში ცოლთან ერთად — ნაწყვეტი „სიყვარულიდან".), ზოგგან მკაფიოდ და მომჭირნედაა გამოხატული (თავი „მოსაცდელი ოთახი"). ზოგგან კი რთული ასოციაციებითაა შეერთული (თავი „კოსმეტიკის კაბინეტი"). მაგრამ ყველგან მნიშვნელოვანია და არსებითი, დამაფიქრებელი და ტკივილიანი. დალილა ბედიანიძეს თავისი პოეტური სტილის სრულყოფამდე ჯერ კიდევ ბევრი უვლია და მინდა აიც გულახდილად ვუთხრა, რაც მისმა ამ ახალმა პოემამაც მაფიქრებინა. მე მგონი, ზოგჯერ მას სათქმელის სადავე ხელიდან უსხლტება და ლექსს სიტყვამრავლობით უფუჭებს, მითუფრო მაშინ, როცა პოეტი განზრახ და პრინციპულად მიაალოებად მიმართავს პროზაიზმებს.

დაბოლოს, ორიოდ სიტყვა პოეტურ თარგმანებზე, რომელთა საერთო დონე გასული წლის „მნათობში" მაღალია, მაგრამ ახლა მხოლოდ ორს გამოვარჩევ. მახოვა, გურამ ასათიანმა ერთ თავის ჩვეულებრივისამებრ მშვენიერ და ღრმა წერილში თანამედროვე საუკეთესო პოეტთა შორის ერთ-ერთი პირველი დავით წერედიანი დაასახელა. ერთბა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძალ შევცბი, რადგან წერედიანის მხოლოდ თარგმანები წამეკითხა. ორიგინალური ლექსი კი მას არ დაებეჭდა, თუმცა მაჩაბლის თარგმანების პატრონებისათვის ეს რა გასაკვირია. ჩვენდა საბედნიეროდ, დღეს რამდენიმე ისეთი მთარგმნელი გვყავს, რომელთა შემოქმედებია ნაყოფი აწორედ ქართული პოეზიის კუთვნილებაა, მისი მაღალი ნიმუშია. ერთ-ერთი ასეთი გახლავთ გიორგი ნიშნიანიძეც. მისი თარგმანები საერთოდ, განსაკუთრებით ინგლისური პოეზიიდან, კლასიკურიდანაც და თანამედროვიდანაც, გარდა ყველა სხვა სიკეთისა, ამითაც არის გამორჩეული. ეს კიდევ ერთხელ ხდება მკითხველისათვის ცხადი, როცა თანამედროვე ინგლისელი პოეტების მიკულ ახალ თარგმანებს კითხულობ „მნათობის" ფურცლებზე (№ 1). ასევე ცნობილია გივი ალხაზიშვილის მთარგმნელობითი ოსტატობაც და მის მიერ დღემდე გაწეული ღვაწლიც. იგი შედარებით „რთულ" მდგომარეობაშია იმის გამო, რომ მეტწილად ჩვენთვის უფრო ნაკნობ და ორიგინალში ხელმისაწვდომ რუს პოეტებს თარგმნის. მან გასულ წელს „მნათობში" ალ. ბლოკის რამდენიმე ლექსის თარგმანი შემოგვთავაზა (№ 8). და თუმცა ამ მართლაც გენიალური პოეტის ხმა მის მშობლიურ ენაზე მუდამ გვესმის და გვხიბლავს, ამჯერადაც გივი ალხაზიშვილმა შესანიშნავად შეძლო ამას არ შეეშალა ჩვენთვის ხელი და სიამოვნებით ვზიარებოდით მას ქართულად.

□ დასასრული იქნება □

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ივანე ლოლაშვილი

# მე-11 საუკუნის უცნობი პოეტური თხზულებანი

## ათონის ივერიის მონასტრის ხელნაწერთა კოლექციიდან

ყოველი ახალი თხზულება ან ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული ცნობა, რომელშიც გაშუქებულია ძველი ქართული მწერლობის უცნობი მხარე, ფრიად მნიშვნელოვანია მეცნიერებისათვის; იგი მკვლევართა ინტერესს მით უფრო იპყრობს და ზრდის, რაც უფრო ვრცელია, შინაარსიანია, ეხება გამოჩენილ მწერალს და მომდინარეობს სანდო წყაროდან. მაგრამ დღეს, როდესაც ჩვენს სიძველეთსაცავებში დაცული ძველქართული ხელნაწერები თითქმის სრულადაა აღწერილი, ამგვარი თხზულებებითა და ცნობებით არა ვართ განებივრებული და ზოგიერთი მათგანი იშვიათად თუ გამოჩნდება ხოლმე, ისიც დიდი რუდუნებითა და გამოწვლილვითი კვლევა-ძიების შედეგად.

ამჯერად მკითხველ საზოგადოებას გავაცნობ ეფრემ მცირის მიერ დიდი ქართველი მწერლის გიორგი მთაწმიდელის (1009-1065) შეახებ დაწერილ სახოტბო ლექსს და მისი მონაფის თეოფილე თარგმანის (იგივე ხუცესმონაზონის) პოეტურ თხზულებებსა და რამდენიმე გამოკრებით დაბეჭდილი ანდერძის ტექსტს, რომლებიც გამოვავლინე ათონის ლიტერატურული სკოლის ხელნაწერების მიკროფილმებზე მუშაობის პროცესში. ისინი დაცულია გიორგი მთაწმიდელისა და თეოფილე თარგმანის ავტოგრაფიულ ხელნაწერებში.

* * *

არიან მწერლები, რომელნიც თავიანთი მრავალმხრივი მოღვაწეობით და დიდი ლიტერატურული მემკვიდრეობით წარუშლელ კვალს სტოვებენ კაცობრიობის სულიერ ცხოვრებაში და ერის კულტურის საყრდენ ბურჯებად გვევლინებიან. ამ მწერალთა ხომლში ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უპყრია XI საუკუნის გამოჩენილ ქართველ გამომეტყველს, მეცნიერს, საეკლესიო მოღვარსა და ქართული სიტყვის დიდოსტატს გიორგი მთაწმიდელს. მან დიდი ამაგი დასდო ჩვენი მწერლობის თითქმის ყველა დარგს: სამი ათეული წელი სათავეში ედგა შავი-მთისა და ათონის ივერიის მონასტერთა ლიტერატურულ სკოლებს, ხუთი წელი საგანმანათლებლო საქმიანობას ეწეოდა საქართველოში მეფე ბაგრატ IV-ის მზრუნველობით; აღზარდა მწერლები — ეფრემ მცირე, გიორგი მცირე და თეოფილე თარგმანი; სხვადასხვა დროს გადმოთარგმნა ბერძნულიდან ქართულად მაშინდელ ქრისტიანულ სამყაროში ცნობილი პირველხარისხოვანი სასულიერო (ბიბლიური, აგიოგრაფიული, ჰომილეტიკური, ეგზეგეტიკური და ლიტურგიკული) თხზულებები — მართლმადიდებელი ქართული ეკლესიის საფუძველნი და სამკაულნი, რომლებიც განაშვენა უმნიშვნელოვანესი ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული ცნობებით, წინაბჭეებითა და ანდერძებით; დაგვიტოვა უნიკალური მასალები ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობის შესასწავლად; დიდად იღვაწა ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობისათვის, საეკლესიო მმართველობაში დემოკრატიული პრინციპების დანერგვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაცვისათვის, საქართველოში სწავლა-განათლების საქმის აღმავლობისათვის, ქრისტიანული სარწმუნოების განმტკიცებისა და ქართული წიგნისა და მეცნიერული ცოდნის გავრცელებისათვის. ერთი სიტყვით, თავისი საქმიანობით გიორგი მთაწმიდელი მოგვევლინა XI საუკუნის ილია ჭავჭავაძედ, იმ მრავალმხრივ, ენერგიულ და ავტორიტეტულ მოღვაწედ, რომელმაც ღრმა კვალი დაატყო ქართული კულტურის ყველა სფეროს. ამიტომაც ეწოდა მას „მუშაკი სიბრძნისაჲ“ და „ქვეყნისა ანგელოზი და ზეცისა კაცი“. აი, როგორ ახასიათებს მას გიორგი მცირე:

გიორგი მთაწმიდელისავით „ეგევითარი თარგმანი, თვინიერ წმიდისა მამისა ჩვენისა ეფთვიმისა, სხვა არა გამოჩინებულა ენასა ჩვენსა და ვგონებ, თუ არცა გამოჩინებად არს“. მან საღმრთო წიგნებით „დაატკბო ენაჲ ჩვენი და წმიდანი ეკლესიანი განაშვენა და წერილთა თვისთა ოქროჲთა განამდიდრნა უხვად და გარდარეულად“; მიემსგავსა „ოქროჲსა გამომღებელსა მას ხელოვანსა“. ვითარცა ოქროს მომპოვნელნი „მრავალ-ღონეობითა სიბრძნისაჲთა სიღრმეთაგან ქვეყნისათა ოქროსა გამოიღებენ და ბრძმედისა მიერ და ცეცხლისა ბრწყინვალებასა მისსა წარმოაჩენენ, ეგრეთვე წმიდისა ამის მამისა ჩვენისა გონება სიტყვიერისა ამის ოქროჲსა ბრძმედ იქმნა, მადნობელ ცეცხლითა სულისა წმიდისაჲთა, განმახურვებელ და განმარჩეველ ოქროჲსა ბრპენისაგან და თიხისა“.

გიორგი მთაწმიდელმა დაგვიტოვა მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობა: გიორგი მცირის სიტყვითვე, მან „რომელნიმე წიგნნი, სრულიად არა ყოფილნი და ენისა ჩვენისაგან უცხონი, სიღმრეთაგან უმეცრებისა ნათლად გამოაბრწყინვა; ხოლო სხვანი, ოდესმე თარგმნილნი და წუთ ვერ-კეთილად გამოღებულნი, გინა თუ ჟამთა სიგრძითა უცებთა და უგუნურთა მხმარებელთაგან დაგესლებულნი, ვითარცა ვთქვით, ბრძმედსა მას შინა წმიდისა მის გონებისა თვისისასა გამოადვნა და გამოახურვნა; ხოლო კვალად სხვანი წიგნნი, წმიდისა მამისა ჩვენისა ეფთვიმეს მიერ თარგმნილნი და წუთ უცალოებისაგან ვერ სრულ-ქმნილნი, არამედ სულ მცირედ აღწერილნი, განასრულნა და განავრცნა; კვალად სხვანი რომელნიმე ბერძულსა შეაწამნა და ყოვლისა ნაკლულევანებისაგან განასრულნა, და სიტყვა-დუხჭიროჲსა და ვერაგობისაგან განაშვენა და განაბრწყინვა“... მათ შორის შეიძლება დავასახელოთ ბიბლიური წიგნების (ფსალმუნთა, სახარებისა და სამოციქულოს) ახალი რეცენზიები, დიდი სვინაქსარი, რომელიც შეიცავს წმინდანთა მოსახსენებლებსა და განგებას, თვენი (თორმეტივე თვის საგალობლები), სხვადასხვა ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიული კრებულები — „პარაკლიტონი“, „მარხვანი“ და „ზატიკნი“, ბასილი დიდის ეგზეგეტიკური თხზულება „ექვსთა დღეთათვის“, აგიოგრაფიული ძეგლები, ორიგინალური ნაწარმოები „ცხოვრება და მოქალაქობა იოანესი და ეფთვიმესი“, რომელშიც აღწერილია ათონის ივერიის მონასტრის დაარსების ისტორია და ეფთვიმე მთაწმიდელის ცხოვრება და მოღვაწეობა, და სხვა.

გიორგი მთაწმიდელმა სიცოცხლეშივე მოიპოვა დიდი სახელი. ჯერ კიდევ ანტიოქიის პატრიარქმა თეოდოსიმ, „კაცმან მაღალმან და ფილოსოფოსმან და ორთავე ცხორებათა გამოცდილმან“, უთხრა მას: „შენ, ჰოჲ ნეტარო მამაო, დაღაცათუ ნათესავით ქართველი ხარ, ხოლო სწავლულებითა და მეცნიერებით ჩვენივე სწორი ხარ“; ბიზანტიის კეისარი კონსტანტინე მონომახს, მანგანის აკადემიის დამაარსებელს, „დიდი სარწმუნოება აქვნდა მისა მიმართ და ესვიდა წმიდათა ლოცვათა მისთა“, ხოლო ქართველი მეფე ბაგრატ IV ამბობდა: „უკვეთუ მეახლოს წმიდაჲ ესე, არა მეშინის არცა გრძნებისაგან და არცა წამალთა სასიკვდინეთა“.

გიორგის მოულოდნელი გარდაცვალება ზარის მომგვრელი იყო ყველასთვის, განსაკუთრებით კი — იმ ოთხმოცი ყმაწვილისთვის, რომელნიც ამ დიდმა მოძღვარმა 1065 წელს ბიზანტიაში წაიყვანა სწავლა-განათლების მისაღებად. „მონაფენი მისნი, შეწუხებულნი მწუხარებითა, ხმასა მათ ნინეველთასა აღუტევებდნენ და უფროჲსღა უმეტეს მათსა მტკივნეულ იყვნენ და საწყალობელ, რამეთუ გოდებამან მათმან შიში იგი დაქცევისა დაჰხსნა, ხოლო ამათ ბოროტთა დახსნისა არცა ერთი აქვს სასოება თვისთა ამათ გოდებათა მიერ“. ხოლო აი როგორ ჰგლოვობდნენ სხვა ჭირისუფალნი:

„ვაჲმე, ვაჲმე, ძმანო ჩემნო პატიოსანნო!

ან დაგვეხშა პირი იგი, რომელი გვწვრთიდა შჯულსა უფლისასა დღე და ღამე; წარვიდა გონებისა განზრახვა, ჭეშმარიტად ღმრთისა მიერ აღძრული; დაწუხნა თვალი იგი მართლიად მხედველი და განმარჩეველი კეთილისა ბოროტისაგან და უმჯობესსა უდარესისაგან; დადუმნეს ბაგენნი იგი მცველნი შჯულსა უფლისასა; შეიკრა ენა იგი ოქრო-სიტყვა და საღმრთოთა ბრძანებათა ხმამაღლად მღაღადებელი და ბრწყინვალედ მთარგმნელი ღმრთივ-სულიერთა წიგნთა; დაყუდნა ხელი იგი შვენიერად მწერალი, რომლითა განანათლნა ეკლესიანი ჩვენნი; დადგეს ფერხნიცა იგი მშვენიერნი, განკაფულნი ღამის-თევათა შინა ზედგომითა; დაყუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჲნა გონება იგი მხილველი და სიღრმეთა სულისათა განშორებული; დაფარა მიწასა შინა გვამი წმიდა, მოღვაწებისა შრომითა განლეული".

გიორგი მთაწმიდელის სახელი უფრო განდიდდა მისი სიკვდილის შემდეგ: ბიბლიურ წიგნთა მისმიერი ქართული თარგმანები, აგრეთვე „დიდი სვინაქსარი", „პარაკლიტონი" და „თვენი" აღიარებულ იქნა კანონიკურად და საფუძვლად დაედო ქართული ეკლესიის საქმიანობას; გიორგი მცირემ დაწერა „ცხორება და მოქალაქობა გიორგი მთაწმიდელისა", ხოლო ამ მოძღვრის ხსენების დღე დაწესდა 30 ივნისს. ამასთან დაკავშირებით დაიწერა საგალობლები, რომლებიც სრულდებოდა ეკლესიებში მისი ხსენების დღეს. მგალობელნი გიორგი მთაწმიდელს მიმართავდნენ როგორც „ეკლესიის ბობოლანს, ბრწყინვალე თარგმანს, სოფლის ანათობს, მუშაკობისა საღმრთოჲსა სეხნა[illegible] და გონება-ვრცელს" და მსმენელებს მოუწოდებდნენ, რომ „დავჰბეროთ ნესტვსა ქებისასა" და შევამკოთ ახალი ესე მნათობი „გიორგი ყოვლად ქებული" და ა. შ.

აი, ახლა ათონურ ხელნაწერებში აღმოჩნდა თექვსმეტმარცვლოვანი სახოტბო ლექსი „შესხმა გიორგი მთაწმიდელისა" (დასათაურება მე მეკუთვნის). ეს ლექსი ერთვის „პარაკლიტონის" № 45 ნუსხას, გადანერილს გიორგი მთაწმიდელისა და ეფრემ მცირის მიერ 1057-1060 წლებში შავ-მთაზე, სვიმეონ საკვირველმოქმედის მონასტერში. მისი ტექსტი საინტერესოა შინაარსითა და ფორმით და, რაკი ის ქართველი მკითხველისათვის უცნობია, აქვე ვაქვეყნებ სრულად (ორთოგრაფია ახალია. ტექსტი ზოგან დაზიანებულია და აღდგენილია ჩემს მიერ კვადრატულ ფრჩხილებში):

I

ნეტარებით იქნები შენ ნათესავთა ყოველთაგან:
ენაჲ შენი ბრწყინვალე არს, ვითარცა რაჲ მზე ელვარე.
ტაძარ ღმრთისა დამტევნელად იქმენ მართალ და ჭეშმარიტ.
აღმხედარდი შენ ეტლითა ელიასებრ სიწმიდითა.
რომელმანცა გიწოდა შენ, მის თანავე დიდებულ ხარ.
ერთა თანა ნათელისათა გიგალობენ ყოველნივე.
ბუნებითა მიწისაჲთა ახვალ ზეცად და გვიწოდებ.
იძიებდი გონებითა კაცი ეგრე განღმრთობადი.
თავთა თანა მოწაფეთა მომრწყველი ხარ თარგმანებით.
ინიშე შენ პირველითგან თვით მნათობი სახილველი.
ქვეყანისა ზრუნვათაგან შორს იქმენი და ტვირთ-სუბუქ.
ეგვიპტისა ბილწსა ბნელსა განაქარვებ პირველებრვე.
ბრწყინვალებაჲ განიცადე უხილავი და იხარებ.
იქმენ ქვათა მეძიებელ, წინამძღვარი და მხედარი.
შენ მრავალთა მტერისათა კარ იქმენი და და-ლა-ხარშ.
ექმენ, ღირსო, ღვინო ურწყულ, მახარებელ და მოწყალე.
ნებსით თვისით მოგეგებნეს ჭირვეულნი გამოსხმათაგან.
ნუგეშინის-ცემა მიეც გამოხსნილთა ბადეთაგან.
აღესწორე სიმაღლითა ფინიკსა ენგადისასა.
თვალთა შენთა მდინარენი ზღუდენია მოსწავებით.
ებანი ხარ სულიერი, ქრისტეს შვილი და მეუფე.
სიმრავლემან ტალანტთამან შაბათობად არა ძალ-გვცეს.
აწცა შრომაჲ შენი სრულ ქმენ, ნუ დაჰფარავ რწმუნებულსა,
ვითარცა რაჲ ედემი ხარ, ულირსთათვის არ სახილავ.
თვითმფლობელად ჩინებულო, მხიარულ ყავ ღმერთი ჩვენით!
აღმსთობილი სიმრგვლისაჲთა ქებრონს მყავ მე შვილი ღმრთისა.
ყოველითურთ მოქენესა სიბრძნით ძალი გარე შემარტყ.
ორთქლი იგი დანაწრედი სათრობელად მე მინდიო.
ვისწრაფი აწ ხილვად შენდა, უალრესსა ვერვის ვხედავ.
ერთგულებით განძლიერდი, რათა ჩჩვილნი ყრმანი მოსრნე,
ლერწმოანი მწყურნებითურთ განახმე და ყავ წყარო ტებილ.
თქუ, ნეტარო, ნუ გეშინინ მოსლვა შენი მთით სიონით.
აღმაფრინვე, აღმამაღლე ფრთეებითა განცდისაჲთა.
გვაკურთხენ ჩვენ სიხარულით, გვყვენ შვილ ნათლის და თანა ნერგ.
ამას მივსწერ სურვიელი შენ წინაშე ღმრთისა მნისა:
ნეტარებით იქები შენ ყოველთავე ენათაგან,

ეროვნული ბიბლიოთეკა

II

იონთა და ქართველთაგან გონიერთაგან, გ ე ო რ გი!
ოხრის გული შენი ზღვაებრ, შენ ახალო ოქროპირო,
ნათლად კაცთაგან გაჩინა. იწროებით — ცხორებამან;
თანამკვიდრად ქრისტეს იქმენ განსაცდელთა მოთმინებით.
აღხვედ ზეცად გონებითა, ფრთოვან იქმენ შენ გებითა.
დაწყება ხარ ცხორებისა, მიახლება — ხედვად ღმრთისად.
ან განსრული ხორცთა მათგან მოიხილავ უხილავსა.
ქება ეგე ნათესავთა იწოდები ღმრთისა ქალაქ.
აღსავსე არს პირი შენი ცეცხლისაგან და მადლისა.
რომელიცა მთათა ზედა მწვერვალებით წყარო ქმნილ ხარ.
თხრობილ ველად მშვენივრად, სასწაულად — განჩინებით,
ვითარცა რაჲ ეტლთა მიმართ ფარაოსთა ხარ სახილავ,
ექმენ ერსა ღრუბელ ნათლის და მდინარე იორდანე.
ლოდებსაცა მტვირთველ იქმენ, აღმყვანებელ და საფუძველ,
თანადგომით დაამხვენი ზღუდენი იგ, ბრძენო, სიტყვით;
აღვლე ღელე საგლოველი მახვილწვდილმან მოძღვრებითა,
განკარგულად აღამაღლენ, რაჟამს ძლიერებით აღსდეგ;
არაოდეს არ მიხედენ შენ გზათა თემანელთასა,
ნათლიერად შენ ბმობილო ადამისსა სურნელთაგან.*
გული შენი განუცდელ არს, სისრულესა რა შეუდეგ;
ო, თრთის სული, შეიწყალებნ, რათა მყუდროებით იყო;
ნელსაცხებლად შეგიმოსა ლიბანისა დიდებამან.
იქმენ ახლად ოქროპირად, ეკლესიან შეამკვენი.
ექმენ ნისლად დამფარველად სულსა ჩემსა მაღალთადმდე!
რჩული ღმრთისაჲ გულსა ჩემსა მოეც და მექმენ სახიერ.
თხრობით მქმენი ბესელიელ შესაქმესა მოსწავებით.
აღთქმა შენი წინა უყავ მთავრობითა აღაგებსა,
გვიჩვენე ჩვენ. ჰოჲ იაკობ, კიბე, რომელი ცად აღგვიდგ.
აჰა, ძალი დამასკისაჲ შენ წინაშე მომიათნა.
ნაცვლად დადევ სული შენი ცოდვილისა სულისაგან,
გოდოლსა მას უმცველოსა მადლი შენი გარე მოადგ.
ესრეთ მექმენ ანგელოზად და სეგორად მი[მაწიე],
ოვცხოთაცა წარმართთაგან ლოდ** ეფრემის წოდებითო.
რომელმანცა განგვათოვლენ სიმეწამულით სვიმონებრ,
გლახაკისა შვილისაგან მიითვალე და დამადეგ
იონთა და ქართველთაგან გონიერთაგან. გ ე ო რ გი!

„შესხმა“ დაწერილია ფურცლის ერთ გვერდზე ორ სვეტად, წვრილი ნუსხა-ხუცურით (კიდურწერილობა მრგლოვანია), სულ 72 ტაეპია (თითო სვეტი შეიცავს 36 ტაეპს) და ორივეს აქვს საკუთარი კიდურწერილობა; ფურცელი დაზიანებულია, თითქმის არ იკითხება მის მარჯვენა და მარცხენა კიდეებზე მოთავსებული ასოები, ზოგჯერ სიტყვებიც. ტექსტი მიკროფილმზე მოჩანს მკრთალად და მისი გაშიფრვა ძლიერ ჭირს. არა აქვს ზედწარწერილი. მხოლოდ შინაარსისა და კიდურწერილობის მიხედვით შეიძლება გავარკვიოთ, რომ თხზულებაში შექებულია გიორგი მთაწმიდელი, მთარგმნელი „პარაკლიტონისა“.

„შესხმის“ ავტორი ერთგან ამ გიორგის მიმართავს: „აღმსთობილი სიმრგვლისაჲთა ქებრონნს მყავ მე შვილი ღმრთისა. ყოველთურთ მოქენესა სიბრძნით ძალი გარე შემარტყ“. აქედან ირკვევა, რომ იგი ხოტბის ობიექტის მოწაფეა, მისი „შვილი“ და მის მიერ განსწავლული. მეორეგან ის თავის ვინაობასაც ამხელს: „ესრეთ მექმენ ანგელოზად და სეგორად მიმაწიე უცხოთაცა წარმართთაგან ლოდ ე ფ რ ე მ ი ს წოდებითო“. მაშასადამე, თხზულების ავტორია გი-

* ეს ტაეპი დედანში ძლიერ დაზიანებულია და აღდგენილია პირობითად.
** ხელნაწერშია: ლომ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორგი მთაწმიდელის მოწაფე ეფრემ მცირე, რომელიც მოღვაწეობდა შავ-მთაზე სვიმეონ საკვირველმოქმედის მონასტერში, სადაც ეს „პარაკლიტონი" არის გადაწერილი. ნაწერის პალეოგრაფიული ანალიზიდან ირკვევა, რომ „შესხმა" ჩვენამდე მოღწეულია ავტოგრაფით (შდრ.: ე. მეტრეველი, ეფრემ მცირის ავტოგრაფი, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, I, 1959, გვ. 115-125).

თხზულება დაწერილია გიორგი მთაწმიდელის გარდაცვალების შემდეგ. ეს ირკვევა შემდეგი გამოთქმებიდან: „ალმხედარდი შენ ეტლითა ელიასებრ სიწმიდითა". აქ იგულისხმება ელია წინასწარმეტყველის ზეცად ალსლვა (IV მეფეთა 2, 8-15), რასთანაც შედარებულია გიორგის გარდაცვალება (ელიასებრ ზეცაში ამხედრება). მეორეგან ეფრემი ამბობს: „ბუნებითა მიწისაჲთა ახვალ ზეცად და გვიწოდებ", ე. ი. შენ, ბუნებით მიწა, ზეცაში ადიხარ და ჩვენც იქ გვიხმობ. საგულისხმოა ასეთი გამოთქმებიც: „ან განსრული ხორცთა მათგან (ე. ი. გარდაცვლილი) მოიხილავ უხილავსა", ან „ალხვედ ზეცად გონებითა" და სხვა. ასე რომ, „შესხმის" დაწერის არაუადრესი თარიღია 1065 წელი, როდესაც გარდაიცვალა გიორგი მთაწმიდელი. ყურადღებას იქცევს ერთი ტაეპიც — „ვისწრაფი ან ხილვად შენდა, უაღრესსა ვერვის ვხედავ". ამ სიტყვების წერისას, ჩანს, ეფრემი ფიზიკურად დაუძლურებული (თუ ხანდაზმული) ყოფილა და სიკვდილს მოელოდა: ისწრაფვის იგი საიქიოსკენ თავისი მოძღვრის სანახავად. მაშასადამე, „შესხმა" დაუწერია მას მოხუცებულობის ასაკში, როდესაც „განმაძლიერებლად და მზრდელად" ემსახურებოდნენ შავ-მთაზე არსენ იყალთოელი, იოანე მთავარაისძე და იოანე ხუცესი, ხოლო ტექსტი თავისი ხელით ჩაუწერია „პარაკლიტონის" იმ ავტოგრაფულ ნუსხაში, რომელიც ინახებოდა იმხანად სვიმეონ საკვირველმოქმედის მონასტერში.

ეფრემ მცირე „შესხმაში" უხვად იყენებს ბიბლიურ შედარებებს, თავის მოძღვარს ასე მიმართავს ქებით: „ალესწორე სიმაღლითა ფინიკსა ენგადისასა". „ებანი ხარ სულიერი", „ტაძარი ღმრთისა", ახალი ოქროპირი, რომელიც „ექმენ ერსა ღრუბელ ნათლის და მდინარე იორდანე", თარგმანებით მორწყე ქვეყანა, „ეკლესიან შეამკვენი" „ენაჲ შენი ბრწყინვალე არს ვითარცა რაჲ მზე ელვარე", „დაამხვენი ხლუდენი იგი, ბრძენო, სიტყვით" და გვიჩვენე კიბე „ცად ამყვანელი"-ო.

ამ შემთხვევაში ეფრემი იხსენებს ზირაქ წინასწარმეტყველის თქმას „ვითარცა ფინიკი ავმაღლდი კიდესა ზედა ენგადისასა" (24, 14), აგრეთვე „გამოსლვათა" წიგნიდან იმ ადგილს, სადაც მოთხრობილია, რომ ეგვიპტიდან მოსეს მეთაურობით გამოსულ ისრაელთ „ღმერთი უძღოდა დღისი უკვე სვეტითა ღრუბლისაჲთა ჩვენებად მათდა გზასა, ხოლო ღამე — სვეტითა ცეცხლისაჲთა" (13, 21), და მდინარე იორდანეს, რომელშიც ქრისტე მოინათლა. ამით იგი გიორგი მთაწმიდელსა თვლის ქართველი ხალხის გზის მაჩვენებლად, ნათლის ემბაზად, ზირაქივით ამაღლებულ წინასწარმეტყველად და მართალი სარწმუნოების მქადაგებლად. ასევე აგონდება ეფრემს იობის წიგნიდან ფრაზა „იხილეთ გზანი თემანელთანი" (6, 19). თემანელნი შერცხვენილ იქმნენ „მონაგებთათვის მსასოებელთა", რაკი „წარხდა სიბრძნე მათი". თემანი ბიბლიური ქალაქია, სადაც მკვიდრობდნენ ესავის ჩამომავალნი. მათ არა უსმინეს ღმერთსა და ამის გამო ღმერთიც მათ არა სწყალობდა. საგულისხმოა ასეთი მიმართვაც: „აღვლე ღელე საგლოველი მახვილწვდილმან მოძღვრებითა". „ღელე გლოვისა" ბიბლიური გეოგრაფიული სახელია. ამ ღელეში დავით წინასწარმეტყველმა, „მახვილწვდილმა", ამოჟლიტა ფილისტიმელთა ლაშქარი ისე, რომ ამბის წამღებიც კი აღარავინ დარჩა (II მეფეთა თ. 5). ეფრემს, ერთი მხრივ, მხედველობაში აქვს ეს ბრძოლა და, მეორე მხრივ, „ფსალმუნნი", სადაც ვკითხულობთ: „აღსლვა გულსა თვისსა დაიდვა ღელესა მას გლოვისასა" (83, 6-7). იგი არ ივიწყებს იმ სასწაულსაც, რომლის მიხედვითაც ქრისტეს მდევნელი სავლე დაბრმავდა, ქ. დამასკოში ანანიას წყალობით თვალხილულ იქნა. შემდეგ გაქრისტიანდა და გახდა ქრისტეს ერთ-ერთი მოწაფეთაგანი (საქმე თ. 9). „შესხმაში" ვკითხულობთ: „აჰა, ძალი დამასკისაჲ შენს წინაშე მომიათნა"-ო. საყურადღებოა ისიც, რომ ეფრემი დიდად აფასებს თავისი მოძღვრის ამაგს, როდესაც წერს: „რჩული ღმრთისაჲ გულსა ჩემსა მოეც და მექმენ სახიერ, თხრობით მქმნი ბესელიელ შესაქმესა მოსწავებით". აი, რას იუწყება მოსე წინასწარმეტყველი ბესელიელის შესახებ: „აჰა ესერა. უწოდა ღმერთმან სახელით ბესელიელს ურისსა, ძისწულსა ურისსა, ტომისაგან იუდასსა. და აღავსო სულითა საღმრთოჲთა სიბრძნითა და გულისხმისყოფითა და მეცნიერებითა ყოვლითა ყოველსავე ზედა ხუროთმოძღვრებად საქმედ ოქროჲსა და ვეცხლისა, და რვალისა და ანთრაკისა, ხუროვნებად საქმედ ძელსა მას და ყოველსა საქმესა სიბრძნისასა" (გამოსლვათა 35, 30-33). იმავე წიგნის მიხედვით ამ კაცმა ააგო კარავი საწამებელი და გააკეთა მოოქრული „კიდობანი იგი სჯულისაჲ ძელთაგან ულპოლველთა" (37,7). ეფრემს თავისი თავი ესახება ბესელიელად, ხოლო ღმე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რთად — გიორგი მთაწმიდელი, რომელმაც თავისი მონაფე ალავსო სიბრძნით, გულისხმიერებითა და ცოდნით. დასასრულს, იგი გიორგის ევედრება, რათა იხსნას ამქვეყნიური შფოთისაგან და ექმნეს იმ ანგელოზად, რომელმაც აბრაამის ძმისწული ლოთი სოდომ-გომორის დანთქმის წინ გაამგზავრა სეგორში: „ისწრაფე უკვე მიწევნად მუნ". — უთხრა ლოთს უფალმა, — და, როდესაც „ლოთ შევიდა სეგორს", მაშინ „უფალმან აწვიმა სოდომს ზედა და გომორსა წუნწუბა და ცეცხლი უფლისა მიერ ზეცით და დააქცივნა ყოველნი ესე ქალაქნი" (შესაქმე 19, 22-25). აი, ამ ბიბლიურ ლეგენდას გულისხმობს ეფრემი, როდესაც გიორგის მიმართვს: „ესრეთ მექმენ ანგელოზად და სეგორად მიმაწიე".

ამრიგად, ეფრემ მცირის „შესხმაში" მხატვრულად და ამაღლებული განცდითაა განხორციელებული გიორგი მთაწმიდელის ქება და მისადმი ვედრება.

ეს ნაწარმოები, როგორც პოეტური თხზულება, ყურადღებას იპყრობს ფორმითაც: იგი შედგება ორი ნაწილისაგან, რომელთა „თავნი და ბოლონი" იტყვიან: „ნეტარებით იქები შენ ნათესავთა ყოველთაგან — იონთა და ქართველთაგან გონიერთაგან, გეორგი". ეს აკროსტიქული ტექსტი გამეორებულია ორივე ნაწილის თავსა და ბოლო ტაეპებშიც, თანაც ტაეპთა თავ-ბოლო ასოები ერთნაირია, რის გამოც მარჯვენა და მარცხენა კიდურწერილობა ერთნაირია. ამრიგად, „შესხმის" ორივე ნაწილი ოთხივე მხრიდან შემოსაზღვრულია მსგავსი გამოთქმებით. ამასთან ყურადღებას იპყრობს ერთი თავისებურება: ლექსი ისეა დაწერილი, რომ პირველი ნაწილის ტაეპებს შინაარსობრივად ავსებენ მეორე ნაწილის რიგით შესატყვისი ტაეპები. ასე, მაგ.:

ნეტარებით იქები შენ ნათესავთა ყოველ-
თაგან —
იონთა და ქართველთაგან გონიერთაგან,
გეორგი!
ენაჲ შენი ბრწყინვალე არს, ვითარცა რაჲ
მზე ელვარე.
ოხრის გული შენი ზღვაებრ, შენ ახალო
ოქროპირო...
და ა. შ.

როგორც აღვნიშნე, „შესხმა" დაწერილია 16-მარცვლოვანი საზომით; ასეთად აქამდე ცნობილი იყო ფილიპე ბეთლემის საგალობელი, რომელიც აღმოაჩინა და გამოაქვეყნა ნ. მარმა (TP, XII, 1910, გვ. LVI), ამ პუბლიკაციას უძღვის პატარა განმარტება, სადაც ნ. მარი წერს, რომ: „ქართული ტექსტის ავტორი (ფილიპე, ი. ლ.) ჩვენს წინ წარმოსდგება შოთა რუსთაველის წინამორბერად ლიტერატურაში ქართული ხალხური საზომის გამოყენების მხრივ. ყოველ შემთხვევაში ამ ნაწარმოებში მითითებული მიმართულებით ჩვენა გვაქვს საეკლესიო პოეზიის ერთ-ერთი პირველი ცდა" (გვ. LV). ამ საზომით ცნობილია აგრეთვე ორი ტაეპიც, როგორც ეს აღნიშნულია ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში, მაგრამ ეფრემ მცირის „შესხმა" საყურადღებოა იმ მხრივ, რომ აქ მოცემულია მაღალი შაირით შეთხზული 72-ტაეპიანი ლექსი, რომელიც ბევრის მთქმელია ქართული ვერსიფიკაციის ისტორიის შესასწავლად.

როგორც ჩანს, 16-მარცვლიანი საზომი სასულიერო პოეზიის ურითმო ლექსებში XI საუკუნეში უკვე ყოფილა დამკვიდრებული. ამას ადასტურებს არა მარტო დღემდე ცნობილი ნიმუშები, არამედ ეფრემ მცირის ეს „შესხმაც", რომელიც დაწერილია სწორედ ურითმოდ, ოღონდ რუსთველური ლექსის საზომით. როგორც ქვევით დავინახავთ, ამავე საზომითაა შეთხზული მეორე ურითმო ლექსი თეოფილე თარგმანისა „შესხმა მოსე წინასწარმეტყველისა და იოანე ოქროპირისა".

ამრიგად, „შესხმა გიორგი მთაწმიდელისა" ერთ-ერთი საუცხოო დოკუმენტია არა მარტო იმის გამოსარკვევად, თუ როგორი ურთიერთობა ჰქონდათ გიორგი მთაწმიდელსა და ეფრემ მცირეს, ან რა გამოძახილი ჰპოვა ჩვენს ძველ მწერლობაში გიორგის გარდაცვალებამ, არამედ იმის გასათვალისწინებლადაც, თუ ქართულმა სასულიერო პოეზიამ რუსთაველამდე რა გზა განვლო და როგორ მოამზადა საფუძველი „ვეფხისტყაოსნის" შესაქმნელად.

☐ დასასრული იქნება ☐

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დიმიტრი ბაქრაძე

# სურათები საქართველოს ცხოვრებიდან

თავიდან ძალიან სიწყნარე იყო: ლაპარაკობდნენ ცოტას და ჭამდნენ ბევრს; მერე, როცა ბახუსმა გაამხიარულა ხალხი, ლაპარაკი გამოცოცხლდა, საჭმელები კი უკვე ნელა ნადგურდებოდა. სურათი მალე შეიცვალა. დგებოდა ეგრეთწოდებული კამპანიები, თამადისა და მისი მოადგილის წინამძღოლობით. პირველი ისეთი ნაცადი მსმელი უნდა იყოს, რომ იქ დამსწრეთაგან ვერავინ ვერ შეძლოს მასთან გატოლება; ის ჩვეულებრივად ადღეგრძელებს სუფრის ყველა წევრს, ოჯახის წევრებს და იმათ ვინც მათ სუფრას არ ესწრება. ბოლოს თამადა სვამს მიცვალებულთა სულის სახსენებელს. ამ შემთხვევაში ღვინოს სუფრაზე აწვეთებენ. როცა ღრეობა ძალაში შედის, შეზარხოშებული მსმელები პატარა ჭიქებიდან თის[illegible] თასებზე გადადიან. ზოგი ორსა და სამს ცლი[illegible] ზედიზედ ეს ჯარიმაა, მოპარვისათვის. რაც არ გამორჩება ულმობელ თამადას. მისი მოადგილე ვალდებულია თვალყური ადევნოს, რათა ბრძანებები მთელი სიზუსტით სრულდებოდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში თვითონ დაჯარიმდება სხვის მაგივრად. სადღეგრძელოებისას ჩვეულებრივ ამბობენ ალავერდი და პასუხად — იახშიოლ. დაცლიან სასმისს და ესვრიან მას ვინმეს. თან სთხოვენ აუცილებლად მიბაძონ მის მაგალითს. თვით მას კი ეგზავნება ხორცის ან მწვადის საჭერი წამოცმული დანის, ხანჯლის ან მამლის წვერზე. მომწოლდებელი ეუბნება — გაამოს, ხოლო ვისაც მიაწოდეს, ის თავაზიანად ეხება მიმწოდებლის ხელს თითებით დაართმევს მიწოდებულს. ქალები სრულიად არ მონაწილეობენ მათს ღრეობაში. ისინი ძალიან ცოტას სვამენ. ქალები თვალებითა და ენით საყვედურობენ მამაკაცებს ასეთი უზომო სმისათვის. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ვერასდროს შეხვდები მთვრალ ქალს. ქართველი ქალი ღვინისაგან არასოდეს გონებას არ კარგავს. ზომიერად სმა მათ ღირსებას ანიჭებს: ვერასოდეს ვერაფერში შეატყობ ქართველ ქალს, რომ ის ნასვამია.

მაშინ, როცა ერთგან მსმელები ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, სხვაგან სულ სხვაგვარად ილხენდნენ. ცეცხლოვანი ცეკვის დროს ქუდებს ისე ოსტატურად ისროდნენ მაღლა, რომ დაშვებისას ზედ თავზე ეხურებოდათ. აცეკვებდნენ პატარა ბავშვებს: ფეხშიშველა დაქროდნენ ისინი წრეში და სუფრაზე. ხან სწრაფ ილეთებს აკეთებდნენ და ხან ჩაბუქნავდნენ. ირგვლივ მსხდომნი კი მათ ტაშს უკრავდნენ. უფრო და უფრო ხშირდებოდა თოფის სროლა და წამით მოქეიფეები ბოლსა და თოფის წამლის სუნში ეხვეოდნენ. ლაღად ჟღერდა სუფრული სიმღერები. საზანდრები ერთი სუფრიდან მეორეზე გადადიოდნენ და ხალხს თავიანთი ნაამბობითართობდნენ. ქართველი მენესტრელი უმეტესად ხეიბარი, შრომის უნარდაკარგული ხალხია. მათი მუსიკალური ინსტრუმენტი, ხელიდან რომ არ უშვებენ, ესაა გათლილი, ფართო რქა კამეჩისა, რომელსაც პატარა ნახვრეტები დაუყვება და ბოლოზე სხვადასხვა ჟღარუნა სამკაული ჰკიდია. მასზეა მიმაგრებული გაბერილი ტიკი. ჰაერიხელით გამოდევნილი ამ ტიკიდან, გამოდის რქაში და გამოსცემს ერთფეროვან ხმას, რომელიც ნახვრეტებზე თითების თამაშით სხვადასხვაფერდება. საზანდრები ისე არი-

დასასრული. იხ. „მნათობი", № 2

ეროვნული ბიბლიოთეკა

ან გაწაფულნი, რომ შეუძლიათ სახელდახელოდ შეთხზან ლექსი მოცემულ თემაზე. ისინი თავისი ხელოვნებით ცხოვრობენ და ართობენ შემხვედრსა და შემომხვედრს. ქართველებს უყვართ მათი მოსმენა. მათი სიმღერები ერთფეროვანი და ნაღვლიანია. თქვენთან მოახლოებისას ისინი ჩვეულებისამებრ დაგიწყებენ ქებას გულუხვობისა და სიკეთისათვის. ამასთან სრულიად არ ფიქრობენ, როგორ მიიღებთ მას. მაგრამ თუ ცუდად შეხვდით, ის მოგმართდებათ, იცვლის ტონს და გძრახავთ. ისინი ჰყვებიან თავისსავე შეთხზულ გრძელ თავგადასავლებს რომელიმე ეროვნული გმირის საარაკო საქმეებსა და სიკვდილზე.

— ვაი, ვაი, ვაი! ნაძლევს ვდებ, წლეულს ჩვენი ოჯახი ერთ წევრს დაკარგავს, — რომელიმე მეცხვარე, გაქონილი ტყაპუჭითა და ნამეტნავად ბანჯგვლიანი თეთრი ქუდით, ჩასცქეროდა ცხვრის ბეჭს და ამბობდა: — აი, ეს მუქი წერტილი წინასწარმეტყველებს სწორედ ერთი იმათთაგანის სიკვდილს, ვისაც დაკლული ცხვარი ეკუთვნოდა. ეს ლაქა რომ აგე აქ იყოს, მაშინ სხვა აზრი ექნებოდა.

— ჩმახავ რაღა! შენ მგონი თავში კახური აგივარდა.

— არაფერსაც არა ვჩმახავ. ეს როგორც ღმერთია წმინდა, ისევე მართალია: თვითონ ნახავ, არა ვტყუი. ყოველთვის ამით ვგებულობ, როდის ემუქრება მგელი ან სხვა უბედურება ჩემს ფარას და ეგვე მეხმარება დაკარგული ცხვრის პოვნაში.

— ასეა კი?

რასაკვირველია.. და თავისი სიტყვების სიმართლის დასამტკიცებლად უყვება ზღაპარს, რომელსაც საქართველოს ყველა კუთხეში იმეორებენ. ეს იყო დიდი ხნის წინათ. რამდენიმე მეცხვარე დაბანაკდა უღრან ტყეში ღამის სათევად კახეთში, ლეკეთის მახლობლად. დაკლეს ცხვარი და იწყეს მწვადების შეწვა, ვახშმობისას ერთმა მათგანმა შეხედა ძვლებს და უცებ შეიცვალა სახეზე. ..ძმებო, — თქვა მან აჩქარებულად,— ჩვენ ახლა დაგვესხმიან ლეკები, ჩქარა წავიდეთ··. ამხანაგებს სჯეროდათ უსულო საგნის წინასწარმეტყველის. ძვალი ცეცხლში ჩააგდეს და წუთში მეცხვარეები ტყეში გაუჩინარდნენ. ლეკები მართლაც მალე გაჩნდნენ ცეცხლთან. ნახევრადდამწვარი ბეჭით ისინი მიხვდნენ, რომ აქ ახლახან იყვნენ ქართველი მეცხვარეები, რომ ზოგი მათგანი ახლოსაა დამალული ხეებზე, ზოგი კი გაიქცა. ახლო-მახლო დაჩხრიკეს და უბედურები ჩამოსხეს ხეებიდან.

დიდი ხნის შემდეგ კოცონებთან ხალხმა თანდათან შეთხელება იწყო: ნაკლებად შემძლე მსმენელები იშლებოდნენ, მაშინ როცა მაგარი მსმენელები სრულიადაც არ ფიქრობდნენ ღვინოსთან განშორებას, ამდენ ხალხში არავინ ჩანდა ისეთი მთვრალი, რომელსაც მალიან არეოდა ენა ან ფეხი.

ყურძნის ღვინო აღმოსავლეთ საქართველოში ჩვეულებრივი სასმელია, რასაც აქაური ეჩვევა ადრე ბავშვობიდან და ურომლისოდაც უკანასკნელ ღარიბსაც კი არა აქვს სადილი, ვახშამი, საზაუმე. თუ იშვიათად შეგხვდება კახეთში კაცი, რომელსაც ვენახი არ გააჩნია, მაშინ ის ტუავს იძრობს, რათა მუდმივად ჰქონდეს ღვინო. კახელი ყიდის რა ღვინოს გადამყიდველთან, იტოვებს თავისთვის იმდენს, რამდენიც მთელ წელიწადს ეყოფა. ღვინოს დიდი რაოდენობით სვამენ. დიდ ქეიფში ჩოხის სახელოებს მხარზე გადიგდებენ, ქამარს იხსნიან და იწყებენ შეჯიბრებას კახურის განადგურებაში, სითხე კი ორთქლად იქცევა და მთელი სხეულიდან სცემს. ყურძნის ღვინო სხვა შენარევების გარეშე უვნებელია, მაგრამ მისდამი უზომო მიდრეკილება უარყოფით მოვლენებს იწვევს: ყრუ ხველება შიგნეულის არაწესიერ მდგომარეობაზე ლაპარაკობს, ეს ხველება კი ჩვეულებრივი ამბავია კახეთში. თუ დააკვირდებით თავზე ხელაღებულ მსმელს, ადვილად შეამჩნევთ მისი აწყვეტილი ვნების შედეგს: რა მაგარი ჯანის პატრონიც არ უნდა იყოს, ადრე თუ გვიან მას ძალა ეცლება და ბოლოს ის სრულიად მოიშლება, თუ თავს არ დაანებებს ღვინის სმას. სახეზე ძნელია შინაგანი ლონემიხდილობის შემჩნევა, მაგრამ შეხედეთ მას, როცა იწყებს სმას: ორი-სამი ჭიქის შემდეგ ერევა ენა და თვალი, მთელი სხეული უცახცახებს, როგორც ავი ციებ-ცხელებისას. ცხადია, ასეთ მდგომარეობაში ადამიანის სიცოცხლე ძალზედ მოკლდება.

საკმაოდ ციოდა. ეკლესიის მოედანზე დიდი კოცონი გააჩაღეს და ხალხი ჯგუფ-ჯგუფად შემოერტყა ცეცხლს ყოველი მხრიდან. გამხიარებულნი ოხუნჯობდნენ, ხუმრობდნენ და ხმამაღლა იცინოდნენ. ზოგი მკლავის ძალის გამოსაჩენად საჯილდაო ქვის აწევას ცდილობდა. მალე ნაირ-ნაირი თამაში გაჩაღდა. გამოდიოდა ერთი, იხრებოდა წელში, გვერდულად დგებოდა და მოთამაშეებს ზურგს უშვერდა. სხვები დაჰკრავდნენ ფეხს დათქმულ ნიშანზე გარკვეულ ადგილას და ზურგზე ახტებოდნენ პირველს. როცა ყველა შეასრულებდა ამას, ის ერთი მთელი ნაბიჯით გადაიწევდა და ისევ მეორდებოდა იგივე. ხტომები იმავე ნიშნიდან იწყებოდა და გრძელდებოდა მანამ, სანამ ვინმე არ გადააბიჯებდა ნიშანს, მაშინ სწორედ ის დადგებოდა ადგილზე. ამ საქმეში ზოგი სხეულის განსაკუთრებულ მოქნილობასა და მოხერხებულობას ამჟღავნებდა. გამოქცევით ისინი ხტებოდნენ დაახლოებით ორ საჟენზე, სრულიად არც ხელით და არც ფეხით, არ ეხებოდნენ მას, ვისაც ახტებოდნენ, ანდა ტრიალდებოდნენ ჰაერში, მსუბუქად ეცემოდნენ ზურგით ზურგზე და პირდაპირ ფეხებზე დგებოდნენ. სხვა ადგილას სხვა თამაში მიმდინარეობდა.

დაიწყო ცეკვები. ჯგუფებმა ორი ცალკეული

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიგი შეადგინეს. თითოეულის თავში იდგა დახელოვნებული მომღერალი. აქვე იყო ორკესტრიც. ჩვეულებრივი მთელს ამიერკავკასიის მხარეში: ერთი უხეში დოლი და ზურნა, ან ლერწამის ფლეიტა (დუდუკი). მედოლე სცემს მთელი ძალით და მეზურნე უბერავს რაც ძალა აქვს, ისე რომ თვალები ევსება სისხლით. ლოყები, კუნთები და მთელი სხეული ებერება და თითონ თითქოს გასკდომას აპირებსო. ამიერკავკასიელ მკვიდრთა გემოვნება ბევრ სიამოვნებას პოულობს მათს ზურნაში. თითქმის ყველა გართობაზე, ევროპული ორკესტრის გვერდით შეხვდები აზიურ მუსიკას, რომელიც მთელი ძალით ცდილობს მის დაფარვას. სიმღერებს რეჩიტატივით მღეროდნენ. ჯერ ერთ მხარეს მომღერალი წარმოთქვამდა ლექსს და მას ყრუდ ებანებოდნენ თავისიანები, მეორე მხარე კი ჩუმად იყო. შემდეგ იგივე ლექსს იმეორებდა მეორე მომღერალი და ახლა ამას აყვებოდნენ თავისიანები. ამასთან ყველა უკრავდა ტაშს. ორ ჯგუფს შორის გამოდიოდნენ მოცეკვავენი და იწყებდნენ ცეკვას. ისინი ჯერ ნელა მოძრაობდნენ დოინჯშემოყრილნი. აკეთებდნენ პატარა ილეთებს, თანდათან ძარღვებში რომ სისხლი აუჩქროლდებოდათ, იწყებდნენ უფრო და უფრო სწრაფად ცეკვას. ხან მოხდენილად გაუსვამდნენ ფეხებს, ხან განზე და ხან წინ იქნევდნენ. გაჩანებულ ცეკვაში ისინი უცებ ჩაბუქნავდნენ და ასე ბუქნა-ბუქნით დაჭროდნენ. ზოგი ხელებს გაშლიდა. მიწაზე დააბჯენდა და რამდენჯერმე ყირაზე გადადიოდა. ანდა დგებოდა ხელებზე ყირამალა. ფეხებს სწორად იჭერდა ჰაერში და საკმაოდ დიდხანს დადიოდა ასე, იმდენად რომ სახე და თვალები ძალიან ევსებოდა სისხლით. მოცეკვავე ამთავრებდა თავის გამოსვლას იმით, რომ ჩერდებოდა, იხდიდა ქუდს, თავს უკრავდა ვინმეს და ამით იწვევდა. ახლა მას ეცეკვა.

ყველა თამაში და ცეკვა შეცვალა ფერხულმა. წარმოიქმნა წრე, რომელიც ხალხის შემოსატებსათან ერთად სულ უფრო და უფრო დიდდებოდა. მოცეკვავეები ჯერ ნელა მოძრაობდნენ წრიულად, ახლო-ახლოს იდგნენ და ხელები ჩაჭიდებული ჰქონდათ. მერე მკლავები ერთმანეთს გადააჭდეს და სწრაფად აცეკვდნენ. თან ისე მაღლა ხტოდნენ. მიწა ზანზარებდა მათ ფეხქვეშ და მათი ფეხსაცმლის ნალების ბასრი ლურსმნები ღრმად ერჭობოდა რბილ შავმიწაში. ბიჭუნები ზოგი მოცეკვავე წრის შიგნით შეჰყურებდნენ. ზოგი გარედან. ტანსაცმელზე აკრონიალებოდნენ მოცეკვავეებს და მათთან ერთად ტრიალებდნენ. სიმღერებს ისევ ისე მღეროდნენ. ჯერ პირველი მომღერალი იწყებდა და მას ბანს აძლევდა მისი ნახევარი წრე. შემდეგ იწყებდა მეორე. ყოველი ტაეპის შემდეგ იმეორებდნენ სიტყვებს ყოველგვარი მნიშვნელობის გარეშე: ალი-ვალალე-ვალალე. რაც მეტად ხურდებოდა ფერხული, მით უფრო მეტად გუგუნებდა სიმღერა.

რაკი სიტყვამ მოიტანა, ქართულ სიმღერებზეც მოგახსენებთ. მათი მეტი ნაწილი საზანდრების ნაწარმოებია, რომელთა შესახებ უკვე ვთქვი. ამ სიმღერების ჰანგები სხვადასხვაგვარია: როცა მათ შინაარსად უდევს ხალხის შინაგანი ცხოვრება, მაშინ სიმღერა მხიარული ხასიათისაა, რომელიც თავაწყვეტილში გადადის. თუკი მოთხრობილია საქართველოს საგარეო მტრებთან ურთიერთობის სცენები, მაშინ სიმღერა ნაღვლიანი და დარდიანი ხდება. ქართველებს განსაკუთრებით უკანასკნელის ხასიათის სიმღერები უყვართ. ასეთ სიმღერებში უმეტესად ლეკები მოიხსენიებიან, რადგან არავინ იმდენ შიშს არ თესავდა ამ ბედუკუღმართ ქვეყანაში, რამდენსაც ეს მთიელები. ისინი საქართველოს, განსაკუთრებით მისი აღმოსავლეთი ნაწილის, მშვენიერი კახეთის მეზობლად ცხოვრობენ... ქართველი მეფეების დროს, განსაკუთრებით ბოლო ხანებში, როცა საქართველო დაქუცმაცდა და დიდი არეულობებისა და უწესრიგობის მომსწრე გახდა, ლეკები ყველგან დაძრწოდნენ და საშინლად აპარტახებდნენ ყოველივეს: წვავდნენ სოფლებსა და ბრბოებად მიჰყავდათ ტყვეები — მამაკაცები და დედაკაცები. ასეთი შემთხვევები ხშირი იყო, ამიტომ მათ ღრმა შთაბეჭდილება დატოვეს ადგილობრივ მკვიდრთა გონებაში და აისახენ სიმღერებში.

ერთ-ერთი ფერხულით თუში ვაჟკაცის ნინიას ისტორია იქნა გადმოცემული. თუშები — მთიელი ქართველი ტომია... ცხოვრობენ კახეთისა და ლეკეთის საზღვარზე. ლეკებთან გამუდმებულმა შეტაკებებმა მათი სული საოცრად გამოაწრთო. მიუხედავად მცირერიცხოვანობისა, თუშები მთელს კავკასიაში გმირობით განთქმული არიან. თუშები ხშირად იგერიებენ მრავალრიცხოვანი მეზობელი მტრების შემოტევებს და შიშის ზარს ჰგვრიან მტრის მახლობელ ოლქებს. ისინი მძიმედ შეჭავშნულნი არიან. მათი სპილენძის ჩაჩქანი, ფარი და სამკლავურები მზეზე ბრწყინავს. მათს ვაჟკაცურ მიხვრა-მოხვრასა და ამაყ გამოხედვაში, მათს მკაცრ ხალხურ სიმღერებში მთის შვილთა რაინდულად კეთილშობილური თვითშეგნება არის გამოსახული. მტერთან ბრძოლის წინ თუშები დებენ საშინელ ფიცს, რომლის გაგონებაზე სხეული აგიცახცახდებათ. ისინი ან იხოცებიან როგორც ერთი, ან ზეიმით ბრუნდებიან გამარჯვებულნი. მარადიული შერცხვენა დაღავს მას, ვინც სიკვდილს გაურბოდა... ნინიას განსაკუთრებით შესანიშნავი თუშური ღირსებანი ამკობდა. მისი სიმამაცე და შემართება მთელს ლეკეთში იყო ცნობილი. იქ ის ანდამზად შევიდა და დედები მისი სახელით შვილებს აშინებდნენ. იქ არა ერთხელ ყოფილა იგი ტყვედ და ყოველთვის უვნებლად დაუღწევია თავი. ამიტომაც ის ძალიან კარგად იცნობდა ლეკეთის ტყეებსა და სოფლებს. აბ-

ჯარი და ნაბადი, თოფი და ხმალი, ისევე როგორც უარაბალუღლი ცხენი, — აი საგნები, რომელთაც ნინია სიცოცხლეზე მეტად უფრთხილდებოდა. პატარა, მასავით მამაცი რაზმით, თუში უსაფრდებოდა მტერს და ბრბოებად მოუავდა ტყვეები. ხშირად ის მარტო, მარტოხელა გადადიოდა საზღვარზე, ცხენს ფარულ გამოქვაბულში მალავდა, დაძრწოდა ყველგან, უთვალთვალებდა მტერს და ღამღამობით იქიდან თუშეთში მორეკავდა მშვენიერ ცხვრის ფარებს. მთიულებს მისი ცოცხლად შეპყრობა ეწადათ, დიდხანს ვერ შეძლეს წადილის ასრულება, მაგრამ ბოლოს შემთხვევამ უშველათ: ოციოდე კაცი ჩაუსაფრდა ნინიას, მისი ცხენი პირველივე ტყვიისაგან წაიქცა, თვითონ რა ვაჟკაცურადაც არ იცავდა თავს, როგორაც არ ამცირებდა მტრის რიცხვს, სასიკვდილო ჭრილობებით დაფარული ტყვედ იგდეს. ნინია აკეპეს უმცირეს ნაჭრებად, ხოლო მისი მარჯვენა, როგორც საზეიმო ნადავლი, ძელზე გამოჭკიდეს.

უკვე დასაძინებლად ვაპირებდი წასვლას, როცა ერთმა ჯგუფმა ჩემი ყურადღება მიიპყრო. თხუთმეტიოდე ახალგაზრდა შემოხვეოდა ერთ მოხუცს. ის ქვაზე იჯდა და რაღაცას უყვებოდა. ახლოს მივედი და ყური დავუგდე მის ნაამბობს.

— რა სალაპარაკოა! — ამბობდა ის: — თუ განძი დიდხანს იდო მიწაში, სადაც არ უნდა იყოს, არც გაიფიქრო მისი ხელის ხლება. მას უკვე აუცილებლად ავი სული ფლობს, ხოლო თუ ვინმე ეშმაკს დაუკავშირდა, იმას კარგი დღე არ დაადგება. მე ტყუილს არ გეტყვით... შეხედეთ ამას, — განაგრძობდა ის და მედიდურად ისვამდა ხელს ჭაღარა წვერზე... ჩემს სიცოცხლეში მე ბევრი ნაამბობი მომისმენია საპატიო მოხუცებისაგან. თქვენ იცით, რომ სამების სახურავქვეშ არის განძი?... არის. მაგრამ იქ ასვლა — არა... არა... არა... აი, ერთხელ როგორი ამბავი მოხდა. ერთი თავქარიანი ახალგაზრდა სანთლით ხელში ავიდა და რა დაინახა, რამდენიმე ხალიჩაზე აწყვია ოქროს, ვერცხლის, ალმასის და ყოველივესი, რაც ღმერთს ძვირფასი შეუქმნია, გროვები, ახალგაზრდას თვალები აუჭრელდა. ეცა განძს ხარბად და მაშინვე ერთ კუთხეში რაღაცამ დაისტვინა, წივილით გამოქანდა მისკენ, ჩააქრო სანთელი და ვაჟი ერთი დარტყმით წააქცია. დიდხანს ეგდო ის უგონოდ, მაგრამ მაინც და რის ვაივაგლახით დაეშვა დაბლა. ბევრს ირტყამდა თავში ხელს, თავ-ბედს იწყევლიდა, რომ არ დაუჯერა ჭკვიან ხალხს, მაგრამ რაღა... იცით კი რა მოუვიდა?

— რა?

— რა? ცხადია, კარგი არაფერი. წაერთვა ენა, მარჯვენა ხელი და მარჯვენა ფეხი, დიდხანს იყო ავად და ბოლოს საშინელ ტანჯვაში ამოხდა სული. აი რა!..

— შენ თვითონ იყავი მომხდარის მოწმე?

— შენ მე დამიჯერე, შენ ჯერ ძუძუმწოვარა ხარ და მე არ მოგატყუებ. რასაც [illegible] იგი მართალია!

ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

— აბა, ბერიძემ როგორღა ამოიღო მშვიდად განძი, გამდიდრდა და ავმა სულმა მას არაფერიც არ უქნა, სიმდიდრე კი ნათესავებსაც ერგოთ მემკვიდრეობით.

— როგორ თუ არაფერი! ხომ გეუბნები, შენ ჯერ ახალგაზრდა ხარ, ჯერ ისევ ბრიყვი... ის მოკლეს, ეს კი, ეშმაკის საქმეა. მემკვიდრეების შენ რაღა იცი? ისინი ქართლში ცხოვრობენ, მათგან არაფერი ამბავია. მაგრამ... აი... არა მქონდეს მე ეს ულვაში, თუ იმათ მემკვიდრეობიდან რაიმე ხეირი ჰქონდეთ: ეშმაკს არ უყვარს ხუმრობა და ადრე თუ გვიან შურს იძიებს...

მოწინააღმდეგე გაჩუმდა. მინდოდა გამეგო რაა ეს ბერიძის ისტორია. მოხუცს მივმართე. ჩამათვალიერა თავიდან ფეხებამდე.

— თითქოს შენი სახე მეცნობა. შენ ჩვენი არა ხარ და კი არ მახსოვს სად მინახავხარ.

მე ვუთხარი, რომ ზოგჯერ გავლით ვარ მათს სოფელში და ვრჩები ხოლმე კახიშვილთან.

— ჰო, ჰოო! მაშ ბერიძის ამბავი გინდა?.. აჰა!

„ეს ამბავი დიდი ხნის წინათ მოხდა, — დაიწყო მოხუცმა, — მე ახლა სამოცამდე წლის ვარ, მაშინ კი ჯერ კიდევ ვაჟკაცი ვიყავი: ულვაშები ლამის ყურებზე მქონდა გადაგრეხილი და თვალები არწივივით. ბარე ორ ლამაზს აგიჟებდნენ ისინი... ე რა, მე ბებერმა სულელმა, ჩემი ამბავი დავიწყე... აი რაშია საქმე: ჩვენა გვყავდა ერთი, სოსია ჩხეიძე. შენ იქნებ გაგიგონია მის შესახებ?... თუმცა სულერთია ახლა მასზე იშვიათად ჰყვებიან, თავის დროზე კი მისით იყვნენ გატაცებული ხაშმელები, მერე კი დაავიწყდათ ის, როგორც ყველაფერი ეძლევა დავიწყებას ამ ქვეყნად... ჩხეიძე პატარა კაცი იყო, გამხდარი, ჩაფიქრებული, მკაცრი სახით. დაუდეგარი სულის პატრონი იყო. ის მარტო ცხოვრობდა და ნაკლებად ეტანებოდა ხალხთან ურთიერთობას. სოფელში, ხაშმელებს შორის ის იშვიათად გამოჩნდებოდა ხოლმე. ამიტომ არც ჩვენ გვიყვარდა ის მაინცდამაინც. ცოლშვილი უჩიოდა, რომ სახლში ის მხოლოდ ღამღამობით იყო, დღეებს უმეტესად ტყეებში ატარებდა; თოფით ხელში დაძრწოდა მთებსა და ხეობებში და ნადირობდა. ჩხეიძეს ლეკებთან ჰქონდა საქმე. შეხვდა მათ შემთხვევით და ორი მათგანი, რომლებიც მთელს ლეკეთში განთქმული იყვნენ, ერთი ტყვიით დააწვინა. ეს ჩვენ ძვირად დაგვიჯდა.

„ჩხეიძემ აღმოაჩინა განძი იქ, სადაც არავინ მოელოდა... არ გინდა, გაჩვენებ თვითონ იმ ადგილს? აქედან არა ჩანს... წამო“...

მოხუცი კატის სისწრაფით წამოხტა და ყველა მსმენელი მივყევით.

— აი, ის, — სთქვა მან, — და მიგვითითა ეკლესიის ერთადერთ მინაშენზე, სამხრეთიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ ვახშმობენ. მაგრამ არა უშავს... იატაკად ერთი მთლიანი ფილაა. ზედ კ მიწის თხელი ფენაა წაყრილი. თუ დაარტყამ. ფილის ქვეშ გაისმის ყრუ ხმაური ნიშანი იმისა. რომ ორმო საგანგებოდაა ამოთხრილი.

მაგრამ აქ ჩვენ „გაგვტანჯეს". კუთხეში ბავშვები იწვნენ. ვახშამი კი გახურებულიყო. თამადამ დაინახა თუ არა მოხუცი უცხო კაცთან. მიმართა მას.

— გამარჯობა ივანე! ჩვენთან სტუმრად? გთხოვთ, მობრძანდით... ჰო, შენ ხომ ლაზღანდარა ხარ, ალბათ უამბობ რაიმეს... მოიცა, მოიცა... ასე არ გაგიშვებ. აბა, ბიჭო, სამ-სამი წვეთი თითოეულს... კარგ დროს კი შემოგვესწარით, ჩანს სიდედრებს უყვარხართ.

— მე მხოლოდ ორი შვილი მყავს. სიდედრი და ცოლი აღარა მყავს. მათი ძვლები დიდიხანია დალპა. იმათ მართლაც რომ ვუყვარდი. საუკუნო ხსოვნა ჰქონდეთ, — განაგრძობდა ივანე და ღვინოს აწვეთებდა პირველი ჭიქიდან.

— აბა, აბა... შენი ცოლი და სიდედრი არაფერში მჭირდება! ღმერთი იყოს მათთან, აყვავრალა ბებრუხანა გრძნობებს... დროა შენც იმათთან წახვიდე... შენ ჩვენი პურისჭამის სადღეგრძელო დალიე...

იძულებული ვიყავით ბათქით დაგვეცალა სამი ჭიქა. მერე ჩემმა მოამბემ დაჰკრა ჯოხი ფილას და ფილამ მართლაც გამოსცა ყრუ ხმა. დავბრუნდით წინანდელ ადგილზე და ივანემ განაგრძო.

„რაზე შევჩერდი?... რაღაც მეხსიერება მიწყებს ღალატს... ასე... ასე... ჩხეიძემ გადასწია ფილა და ხედავს ორმოს. ორმო ოთხკუთხადაა ამოთხრილი. კედლები და ძირი მოფენილია ფიქალით. ორმოში ორი დიდი ზანდუკი დევს, რკინით მოჭედილი და ბოქლომით დაკეტილი. სინესტემ და ქვეწარმავლებმა ბინად გაიხადეს მიწისქვეშა ხუხულა. ჩხეიძემ ფრთხილად ახადა ყუთებს. ერთში ეწყო მღვდლებისა და ეპისკოპოსების ანაფორები, ზოგი მათგანი მოქარგული იყო ოქროთი და მარგალიტით. ისინი ოდნავი შეხებისთანავე იფერფლებოდნენ. ჩხეიძეს ეგონა, იმასვე იპოვნიდა მეორე ზანდუკშიც, მაგრამ არა: იპოვა ნაირ-ნაირი საეკლესიო ჭურჭელი წმინდა ოქროსი და ვერცხლისა, ნახევრად ჟანგმოდებული. ხაშმელი განცვიფრებული იყო. ძარღვებში სისხლი აუჩქროლდა, გულში სხვადასხვა შეგრძნება ეჭრებოდა: გაოცება, სიხარული, შიში. დიდხანს ვერ შეძლო თავს დაუფლებოდა, ბოლოს ნელ-ნელა დამშვიდდა. ჩხეიძე დიდხანს ფიქრობდა, როგორ დაპატრონებოდა ამოდენა საუნჯეს. ფიქრობდა, უაზრობა იქნებოდა ვინმესთვის ეთქვა განძის შესახებ, მას წაიღებენ და თვითონ კი ხელცარიელი დარჩება. შეიძლებოდა მისი სოფელში ღამით გადაზიდვა, ისე რომ ეჭვსაც ვერავინ აიღებდა. მაგრამ მან არ იცოდა, რა ექნა ამ ნივთებისათვის, მათი არც გაყიდვა შეიძლეობდა და არც გადადნობა. რადგან შესაფერისი ადგილი არ იყო, გორ ეშველა ამ საქმისათვის. გადაწყვიტა მოეძებნა გამოცდილი კაცი. რომელიც გამოიყვანდა ამ მდგომარეობიდან, სიმდიდრეს ორად გაიყოფენ.

ხაშმელს იმის არ ეშინოდა, რომ განძი ვინმეს მოეტაცა. როგორც იყო, ისევე ფილით დაფარა და ელოდა მარჯვე შემთხვევას გეგმის განსახორციელებლად.

„ასე ჰყვებოდა ის შემდეგში და ნამდვილად სიმართლეს ამბობდა. ეს თვით საქმემ დაადასტურა. ბედმა ის ერთ კაცს შეახვედრა, რომელზე უკეთესადაც არავის შეეძლო მისი ამ საგონებლიდან გამოყვანა. ეს იყო ბერიძე, ტომით ღარიბი ქართლელი. ის ჯერ ლუკმა-პურისათვის დაეხეტებოდა მრავალ ადგილებში, ბერიძე ბედნიერებას სპეკულაციაში ეძებდა, ბოლოს ჩვენს სოფელში დასახლდა. აქ მან იჯარით აიღო სამონასტრო ბაღი და წისქვილები და ხუთ-ექვს წელიწადში საკმაო ქონება დააგროვა. იგი ორი მეღლით დააჯილდოვეს, პირველად იმისათვის, რომ იორში ჩავარდნილი კაცი დახრჩობას გადაარჩინა, მეორედ კი იმისათვის, რომ იპოვა სახაზინო ყუთი ფულებით, რომელიც ადიდებულ მდინარეში დაეკარგათ, მასზე მთებში მიმავალი ტრანსპორტის გადასვლის დროს. ბერიძეს იცნობდნენ როგორც ეშმაკ, გამოცდილსა და მარჯვე კაცს. ტანად ის მაღალი იყო და ახალგაზრდა აღარ ეთქმოდა. ყოველთვის რაღაც მძიმე ფიქრი აწვა კუშტ შუბლზე. ის ან არასოდეს იცინოდა, ხანდახან ნაძალადევად თუ გაიღიმებდა. ბერიძე ხაშმელებისაგან ჩაცმულობითაც განირჩეოდა: მას სუფთა მაუდის ჩოხა ეცვა, ფეხზე ქოშები, ჩექმების მაგიერ და ქამარზე მოკლე, ვერცხლით მდიდრულად მოჭედილი ხანჯალი ეკიდა. ის ჩვენთან ჩაესიძა და ღმერთმა ორი ვაჟიშვილი მისცა... ასეთ კაცს შეეყარა ჩხეიძე. აი, როგორ მოხდა ეს, გაზაფხულზე ლეკეთში გასაგზავნად მილიციას აგროვებდნენ. ჩვენი სოფლიდან ორს თხოულობდნენ. ჩხეიძე და ბერიძე ჩაეწერნენ, მთებში ისინი მეგობრულად ცხოვრობდნენ, როგორც ერთი სოფლის მკვიდრნი: ღვინო და პური, გაჭირვება და ხიფათი — ყველაფერი ერთი ჰქონდათ. ერთმანეთს უზიარებდნენ გულისნადებს. ჩხეიძემ ამხანაგს თავისი საიდუმლო გაანდო. უამბო, როგორ აღმოაჩინა განძი და ჰკუას ეკითხებოდა, როგორ ჩაეგდო ხელში იგი უხიფათოდ, ბერიძეს გაუხარდა ნაპოვნი და შეპირდა, რომ ამ საქმეს ადვილად მოუგვარებდა.

ცოტა ხნის შემდეგ ქართლელმა განაცხადა ავად ვარო და დატოვა მილიცია. ეჭვი შეეპარა ჩხეიძის სულს. ჩავიდა სახლში შემოდგომაზე და უკვე ვერაფერი ველარ ნახა ქვის ქვეშ. ამკარა იყო: ბერიძის გარდა იქ განძი არავის ეგულებოდა. შურისძიების წყურვილმა შეიპყრო ხაშმელი. მან ჯერ ქართლელს მიმართა, მაგრამ იმან უკმეხად უპასუხა, რომ არაფერი არ იცის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერე უჩივლა უბნის მსაჯულთან, რომელიც იმ ხანად მუხროვანში ცხოვრობდა. მსაჯულმა კი აცნობა სადაც ჯერ არს. მათ გამოუძახეს, დაკითხეს, მაგრამ საბუთი არაფერი ჰქონდათ და ბერიძემ ადვილად იმართლა თავი.

...ამასობაში ბერიძის ცხოვრება შეიცვალა. ბაღში ქალაქურ ყაიდაზე ქვის სახლი აიშენა, შიგნით სუფთად შებათქაშებული. ბანის მაგიერად, კარების პირდაპირ გაიკეთა ღუმელი. კედლებში ფანჯრები ჰქონდა გაჭრილი და მათ შორის ოთხკუთხა ნიშები, სადაც სურები და ქილები, ფაიფურის ჭურჭელი, ისევე როგორც ვერცხლის აზარფეშები და ძვირფასად შემკული თასები ელაგა. კედლებთან, ორივე მხარეს, გრძელი ტახტები იდგა, მათზე რბილი ხალიჩები იყო გაშლილი. ბერიძემ ბაღი იყიდა საკუთრად, შეიძინა ცხენები, ცხვრის ფარაც და ღორის კოლტიც. მაგრამ ბედნიერება იმას არ შერგო: მალე ცოლი მოუკვდა და ორივე ვაჟიშვილი ერთ წელიწადს მიყვა დედამისს.

...თვითონ ბერიძეც მალე გაისტუმრეს საიქიოს: აი, ეს როგორ მოხდა. შენთვის ხომ გასაგებია, რომ ჩხეიძე მისი დაუძინებელი მტერი გახდა. ის იფიცებოდა, რომ მუხანათობა არავის შერჩებაო. ჩხეიძე ცდილობდა ბერიძესთან შეხვედრას მორიდებოდა, მაგრამ თუკი სადმე სოფლის გარეთ შეხვდებოდა, ხმას არ სცემდა, ოღონდ ბრაზიანად კი უბღვერდა. ისინი იშვიათად, შემთხვევით ხვდებოდნენ ერთმანეთს დუქნებთან და ეკლესიის გალავანში. მაშინ მათ შორის იმართებოდა სცენა: ხაშმელს ბრაზი ერეოდა, სახე უფითრდებოდა, თვალები სისხლით ევსებოდა და ავად უელავდა. ის ბერიძეს სულმდაბალსა და ფლიდ ადამიანს ეძახდა, ყველა წმინდანს იფიცებდა და ხალხის გასაგონად ამბობდა, რომ მხოლოდ ბერიძეს შეეძლო განძის ხელში ჩაგდება. ქართლელი ან ჩუმად იყო, ან ხალხს თხოვდა, მისთვის მოეცილებინათ ეს ჭკუასგადასული კაცი. რამდენჯერმე სცადეს მათი შერიგება, მაგრამ ასეთი როდი იყო ჩხეიძე: ის ჩვეულებრივ პასუხობდა, რომ მხოლოდ სიკვდილს შეუძლია მისი სიძულვილის დაცხრომა.

ბერიძე, გაზაფხულსა და ზაფხულში, დილიდან საღამომდე, ცხოვრობდა თავის ბაღში, რომელიც სოფელს იქითაა გადაშლილი. იქ მან აიშენა პატარა ქოხი სარებისა და ვენახის ხმელი ლერწებისაგან. მუშაობდა ან მარტო, ან დაქირავებულ იმერლებთან ერთად. ერთხელ, ზაფხულის ცხელ დღეს, მასთან არავინ იყო. მუშაობით დაქანცულს ვენახის ფოთლების ჩრდილში ჩაეძინა. ამ დღეს დაინახეს ჩხეიძე, თოფით ხელში იქით მიმავალი, მაგრამ მისი ავი ზრახვების შესახებ არავინ არაფერი იცოდა. მეორე დილით ხმა გავრცელდა, ბერიძე მოკლესო. მთელი სოფელი მიაწყდა ბაღს. უბედური პირქვე ეგდო დამხობილი და მთლად შედედებულ სისხლში მოთხვრილი. ეტყობოდა, არც კი განძრეულა, როცა ტყვიამ თავის ქალა გაუხვრიტა. მუხროვანიდან მსაჯული და ექიმი გამოცხადდნენ და ამოცნობის შემდეგ გვამი მიწას მიაბარეს. ქართლიდან გამოიძახეს მოკლულის ნათესავები და მთელი მისი ავლა-დიდება გადასცეს. მათ გაყიდეს უძრავი ქონება, ჯოგი და გაბრუნდნენ უკან. მას შემდეგ მათგან არაფერი ამბავი ისმის. ყველამ იცოდა, ვინც იყო ბერიძის მკვლელი. ჩხეიძე დიდხანს იმალებოდა ტყეებში. ბოლოს ხელთ იგდეს და ციმბირში გადაასახლეს".

— აი, ხედავთ, — დაუმატა მოხუცმა. თან თუთუნს ყნოსავდა, — აი, რას ნიშნავს ეშმაკთან ხუმრობა: როგორც კი კაცი მას დაუკავშირდება—იცოდე, დაღუპულია. ტყუილა კი არ ამბობს ჩვენი დიაკვანი,[1] რომ ეშმაკი ყოველთვის იყო კაცისმკვლელი და ახლაც დაძრწის წყეული ქვეყნად და ღუპავს მართლმადიდებელ ქრისტიანებს... აბა, ჰკითხე ამის შესახებ ჩვენს დიაკვანს: ის ხვალ აქ იქნება. დუნიაზე ვერ იპოვი ასეთ მეცნიერს და მიკვირს, ჭკუაზე როგორ არ იშლება?... ასე რომ, მე ვამბობ, ეშმაკი არის და იყო კაცისმკვლელი: ჩხეიძე წავიდა ციმბირში, იმიტომ, რომ განძის მოტაცება განიზრახა, ბერიძემ დაკარგა ცოლი, შვილები, თვითონაც მოკლეს, რა თქმა უნდა, არც მის მემკვიდრეებს დაადგათ კარგი დღე.

მადლობა გადავუხადე მოხუცს ნაამბობისათვის. რადგან გვიანი იყო და მეძინებოდა, ჩვენებისაკენ გავეშურე. აქ დიდიხანია ევახშმათ. კახიშვილი, თავის ქალიშვილთან ერთად, ურმის ქვეშ იწვა, — რძალი, აკვნიანი ბავშვით ოდნავ იქით, ყველას ეძინა და ჩემი მისვლა არ გაუგიათ. ბუჩქებს შორის, რომლებიც ჩემგან კახიშვილის ოჯახს ფარავდა, გავშალე ქეჩა, თავქვეშ უნაგირი ამოვიდე, ნაბადი წავიფარე და ძალზედ ქანცმიხდილი გავიშხლართე. ამ დროს შორიდან ჩვენსკენ მომავალი კაცის სილუეტი გამოისახა. მასში მიხეილი ვიცანი: გამხიარულებული იყო, გაიხადა და ქეთევანთან გვერდით დაწოლა დააპირა, მაგრამ უცაბედად წაჰკრა მას და შეშინებულ ცოლს გაეღვიძა.

— რა ვქნა, ჩემო გულო, ცოტა მთვრალი ვარ, წყეული ხაშმელები! ვისთანაც არ მიხვალ, აუცილებლად დაგალევინებს: ერთი გეპატიჟება, მეორე ძალით მიგათრევს, უარის თქმა კი სირცხვილია. მინდოდა ადრე მოვსულიყავი და ფერხული გააბეს; იცი, მე კი მიყვარს სიმღერა და ცეკვა-თამაში.

— აიღე ქეჩა და დამეკარგე აქედან, ისე ამოგდის ღვინის ოხშივარი, როგორც კასრიდან.

— ვითომ რაო, მარტო კასრებშია ხოლმე ღვინო თუ?

— ღმერთო ეს რა სასჯელია! ამისაგან არასოდეს მოსვენება არა მაქვს!

---

1 არა მარტო დიაკვნებს უძახიან საქართველოში დიაკვანს, ასე ეძახიან საერთოდ ყველა სასულიეროდ განსწავლულთ. — ავტორის შენიშვნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კარგი ჰო, ნუ უყვირიხარ... მაკოცე და დამიმტკიცე, რომ მირიგდები.

— რას შვრებით აქ, ლოთო! — შენიშნა ნინუცამ, პაწია, ნამძინარევი სახე რომ საბნიდან გამოყო. — გაჩუმდი. — აგე, მამიკოც გაალვიძე.

— ჰო, ჰო, ჰო, შენც ჩემს წინააღმდეგ ხარ, აი, ხვალ ჩემს სიძეს ვეტყვი, მაგრად მოგკიდოს ხელი (ნინუცა სწრაფად ჩაიმალა საბანში) — ...გიცნობთ მე თქვენ... თქვენ რომ გაგათამამოთ კაცმა, კისერზე დაასხდებით ქმრებს.

— რა ამბავია აქ? — იკითხა მამამ.

— რა?! ის, რომ შენ გაუგონარი ცოლი შემრთე.

— თქვენთან მე საქმე არა მაქვს: როგორც გინდათ, ისე მორიგდით, მე და ნინუცას კი გვაცალეთ ძილი. ჩვენი სტუმარი სადღაა?

— მე რა ვიცი, ის, მგონი, ბებერ ივანეს უსმენს, ძილი მოუნდება და თვითონ იპოვის გზას.

ბოლოს ცოლ-ქმარი დაშოშმინდა. მალე ყველა ღრმა ძილში ჩავიძირეთ.

## IV

მეორე დღეს, დილით სიცივემ გამაღვიძა. ჩავიცვი, ნაბადი წამოვისხი და ვიწყე ხეტიალი. მიუხედავად იმისა, რომ დილის თვლემა ძილს მგვრიდა, არ ვნებდებოდი. მინდოდა ბუნებით დავმტკბარიყავი. ბუნება კი მომაჯადოებელი იყო. ატმოსფერო გამჭვირვალე და ნათელი, ხოლო ცა ლაჟვარდოვანი ჩანდა. ხეობაში ჩრდილი იწვა, მაგრამ მაღლა, მთების თხემები მკვეთრად ისახებოდა. მსუბუქ, ნედლ ნიავს მაღამოსხებური ანაორთქლი მოქონდა და მთელი სხეული ხარბად ისრუტავდა მას. ცა სრულიად ულრუბლო იყო. უკანასკნელი ვარსკვლავნი ქრებოდნენ და მთვარე, ღამე რომ მკაფიოდ ანათებდა, ახლა ნელა ჩადიოდა. დამატკბობელ სიწყნარეს ვგრძნობდი. სისხლი ნელა მიჩქეფდა ძარღვებში, ვნებებმა ამიღელვეს სული. აზრებს ჯერ გარკვეული ხასიათი არ მიეღოთ, მაგრამ შემოქმედის დიდებული ნამოქმედარის თავდავიწყებულ ხილვაში იძირებოდნენ. ირგვლივ სიწყნარე იყო. მხოლოდ ჩიტები, გუნდგუნდად რომ შეფენოდნენ ხეების ტოტებს, ჭიკჭიკებდნენ და მხიარულად ეელურტულებოდნენ ერთმანეთს. იშვიათად მთებს ახმიანებდა ძროხების ბლავილი და პატარა, მოუქნელი, მუქი ვირების ყროყინი. ხალხს ჯერ ვერ მოესწრო გაღვიძება და ჩვეულებრივი ფაცი-ფუცის დაწყება. მხოლოდ ალაგ-ალაგ დააბოტებდნენ თავჩაქინდრული და უბეში ხელებჩაწყობილი ეულნი.

მალე ყველაფერი შეიცვალა. მეწამულმა ზოლმა აღმოსავლეთით მთების მწვერვალების მოოქროვება იწყო. მთებს გადაღმა მზე რაც უფრო მაღლა ცურდებოდა, მისი სხივები მაღალი საგნებიდან მით უფრო დაბალ საგნებზე იტყორცნებოდა. ნისლი, მთებზე რომ იწვა, თითქოს ღვის დაღვრომით დარცხვენილი, სწრაფად იფანტებოდა ჰაერში, ორთქლდებოდა და [illegible] მოელვარე ატომებად იქცეოდა. ტყეებსა და მდელოებზე ცვარ-ნამი ალმასივით ბრწყინავდა, ოდნავი შეხებისთანავე ბუჩქები წვიმის პაწია წვეთებს გაპკურებდნენ. ხშირი ბალახი ჩექმებს ასველებდა და ფეხებს სინესტეს აგრძნობინებდა.

ხალხმა იწყო აქეთ-იქით სიარული. შეხვედრისას ჩვეულებრივად მიმართავდნენ ერთმანეთს. „ქრისტე აღდგა — ჭეშმარიტად"[1] იკრიბებოდნენ ჯგუფ-ჯგუფად და საუბარს იწყებდნენ ნელა და ნაძალადევად. ყოველმხრივ სადილისათვის ცხვრების კვლა იწყეს. ზოგი ცულით ხელში ხმელი შეშის საშოვნელად მიეშურებოდა. სხვებს ეკლესიის გალავნიდან, მთელი თავისი ავლა-დიდებით გამოჰყავდათ ურმები და სუფთა მდელოზე ან ბუჩქების ჩრდილში იკალათებდნენ. მალე მთელი ხევი სიცოცხლით აივსო. ახალგაზრდა ქართველი ქალები ტყეში წყაროზე მიდიოდნენ, იბანდნენ, დასეირნობდნენ თავისთვის, ანდა ეკლესიაში შედიოდნენ სალოცავად. ეკლესიის გალავანს უკან თოფის სროლა გაისმა, იქით გავსწიე. ოციოდე ახალგაზრდა, ბიჭების ბრბოთი გარშემორტყმული, მიზანში ისროდა. მიზნად ჰქონდათ წითელი კვერცხი, ანდა შავლაქიანი ჯირკის ჩამონაჭერი. ისინი სამიზნედან ოც ნაბიჯში იდგნენ, მოპირდაპირე მხარეს, სადაც ოდესღაც შენობის ძირი იყო. მსროლელები ჩვეულებრივ წვებოდნენ და დიდხანს უმიზნებდნენ, მაგრამ მიზანს ყველა ვერ ახვედრებდა. ყოველ აცდენას ან თოფის მტყუვნებას დამსწრენი ხმამაღალი ხარხარით ხვდებოდნენ.

ცოტა ხნის შემდეგ ქალების ცეკვები დაიწყო... მაგრამ აქამდე მე ცოტა რამ ვთქვი ქართველი ქალების შესახებ: საჭიროა მათი აღწერა. მათი ტანსაცმელი თავისი ორიგინალურობითა და નაირსახეობით განსაკუთრებით შესანიშნავია. თავსამკაული დიადემას წარმოადგენს. თავსაკრავი ან სახვევი აბრეშუმით აქვთ ამოქარგული, შემოვლებული აქვთ შუბლის გასწვრივ და უკან ქინძისთავით დამაგრებული. თეთრი დოლბანდის ლეჩაქი თავსაკრავში აქვთ ჩაშვებული და თმებს უფარავთ. მისი წამწვეტილი ბოლო სარტყლის ქვევით აქვთ ჩაშვებული და თავისუფლად ფრიალებს ჰაერში. ამათ ზემოდან ახურავთ აბრეშუმის ან დოლბანდის თავსაფარი. კაბა დიდად ამოჭრილი მკერდით ზედ ტერფებამდე ეშვება. მკერდს კოხტა სამკერდე უფარავთ. წელზე უკეთიათ სარტყელი, რომელიც წინ ბოლოებით ეშვება. მიუხედავად სიცხისა, ბევრ ქალს აბრეშუმის ან ხავერდის ქათიბი ეცვა. ქათიბებს ბეწვი ჰქონდათ შემოვლებული და გადმობრუნებული სახელოები ჰაერში დაქანაობდა. ვისაც ეს არ ეცვა, მათ ჩვეულებ-

[1] ეს ქართული სიტყვები რუსული ასოებით არის დაბეჭდილი დედანში. ზ. რ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რივად ან შალის ანდა აბრეშუმის მოსასხამი წამოესხა. თეთრ ლეჩაქს ქალაქებსა და სოფლებში უმთავრესად მოხუცი ქალები ხმარობენ. ფეხზე ტყავის წინდები და ქოშები ეცვათ. იგი ნაღებითაა მოქედილი და სიარულის დროს წკაპუნობს, საერთოდ, ქალთა სქესი გემოვნებით იცვამს. ჩითის, აბრეშუმის და თვით ატლასის კაბებიც ოსტატურად აქვთ შეკერილი. კერვა განსაკუთრებით ემარჯვებათ ქართველ ქალებს. ქალებს, ისევე, როგორც კაცებს, უყვართ მკაფიო ფერები: ყვითელი, მწვანე და წითელი, რომლებიც განსაკუთრებით გეცემათ თვალში. შეძლებული ოჯახების ქალიშვილებს უბრწყინავდათ მარგალიტის თავიანი ოქროს გულსაბნევები, თხელი სამოსელი და ატლასის, გულის ფორმის სამკერდე, მარგალიტითვე მოქარგული, კოპწია თითებზე ბეჭდები ჰქონდათ წამოცმული.

ქართველი ქალები საშუალო სიმაღლისანი არიან, სწორი, მშვენივრად ჩამოყალიბებული სხეული, და წვრილი, მოქნილი წელი აქვთ, შავი თმა ან თავსაკრავის ქვეშა აქვთ მოქცეული და მხოლოდ საფეთქლებზე უჩანთ პატარა, მაგრამ ხშირი კულულები, ან კიდევ დაწნული აქვთ, ლეჩაქს შიგნით გველივით ეკლაკნებათ და სცემთ დაბლა, წელს ქვემოთ. სახე ოვალური მოყვანილობისა აქვთ, ცხვირი ანტიკური, ხოლო დიდი, ნაზშირივით შავი თვალები დაბურული აქვთ აბრეშუმისებრი ხშირი წამწამებით და წარბებით. სპილოსძვლისფერი ნაზი კანი მქრქალი, სუსტი ნათელით უელავთ. ზოგიერთი სოფლელი ქალიშვილი ფრჩხილებსა და წარბებს ზაფრანის ფერის ერთგვარი სალებავით ილებავს, რაც ამისათვის საგანგებოდ მოჰყავთ ბოსტანში. ეს ჩვეულება მთელს აღმოსავლეთშია ცნობილი და მაჰმადიანურ სამყაროში არა მარტო ქალები, კაცებიც ილებავენ წარბებსა და თმებს. მაგნიტური ძალით იზიდავენ ქართველი ქალები მამაკაცებს. მათი მკვეხავი, სიმპატიური თვალები, პაწია, მარჯნისფერი, სველი ტუჩები, აალებული ლოყები, მჟღერი, ვნებით აღსავსე ხმა — ყველაფერ ამაში იმდენი ნეტარებაა, რომ თვით ყველაზე უგრძნობელ და ცივ კაცსაც კი სისხლი ღელვასა და დუღილს უწყებს, როცა მათ უცქერის. ბუნებით ქართველი ქალები ლაღი, მხიარული და დაუდეგარნი არიან, როგორც მათი მჩქეფარე სისხლი, მაგრამ, როგორც უკვე ვთქვით, უცხო მამაკაცებთან იმორცხვებენ, ერთმანეთში ჩურჩულით ლაპარაკობენ, იღიმებიან ოდნავ შესამჩნევად და ნაძალადევად. დადიან ჯგუფ-ჯგუფად და როცა მამაკაცებს ხვდებიან, თვალებს დაბლა ხრიან. თუკი მამაკაცების კადნიერ ზრახვებს ამჩნევენ, მაშინ ერთმანეთს ეფარებიან, როგორც შეშინებული შვლები მონადირის დანახვისას. მიუხედავად ამისა, მათ უყვართ ცოტ-ცოტად ელვების ტყორცნა, რითაც მამაკაცის მთელ არსებას აელექტროებენ.

ქალები ჯგუფ-ჯგუფად შეიკრიბნენ ეკლესიის მინაშენთან და ორ მჭიდრო რიგად ჩამწკრივდნენ. მათ გარსშემოერტყნენ მამაკაცები. დაიწყო ცეკვები. ხელიდან ხელში გადადიოდა დაირა. ეს დაირა თევზის ბუშტით გადაჭიმული და ზანზალაკებით მორთული, ქალების ცეკვებთან განუყრელია. დაირაზე თითქმის მხოლოდ ახალგაზრდა ქალები უკრავენ. სწრაფად სცემენ ხელებით, ატრიალებენ მას, აისვრიან ზევით. მისი დაგუდული ხმა საულარუნოების ელრიალს ერთვოდა.... ერთი მეორის შემდეგ გამოდიოდნენ ქალიშვილები (ხნიერნი და გათხოვილი ქალები არასოდეს არ ცეკვავენ) წრეში და გედებივით დაცურავდნენ: თავაწეულნი, მაგრამ თვალებდახრილნი დაგოგმანებდნენ ისინი, ხან მაღლა სწევდნენ ხელებს, ხან დაბლა და ატრიალებდნენ, იმისდამიხედვით ნელა, თუ სწრაფად უკრავდნენ დაირას. ისინიც ხან ნელა, ხან სწრაფად ტრიალებდნენ ირგვლივ. ცეკვის დამთავრებისას თავს უკრავდნენ ჯერ ყოველ მხარეს, მერე ერთ-ერთ თავის მეგობარს და ამგვარად იწვევდნენ მას საცეკვაოდ, თვითონ კი სწრაფად იმალებოდნენ ქალებში. ნინუცა, რამდენჯერმე მიიწვიეს საცეკვაოდ. მამაკაცები დაჟინებით აცქერდებოდნენ მას და ერთმანეთში ჩურჩულებდნენ: აქებდნენ ნინუცას იშვიათ სილამაზეს და შურდათ მისი საქმროს ბედნიერება. მას ატლასის კაბა ეცვა და სპარსული შალი წამოესხა. ფარსადანის ქალიშვილი წამოწითლებული მეოთხედ საათობით დასრიალებდა და ტრიალებდა, ტოკავდა, აბრეშუმის ლეჩაქი უფრიალებდა, ლამაზი სხეული ერხეოდა.

ეკლესიის მოედანზე მოჭიდავეებმა დაიწყეს თავისი შეჯიბრი. აი, როგორ ეწყობა ჭიდაობა. ჩვეულებრივ ამოარჩევენ ორ მამაკაცს, მაგარსა და მოქნილს, რომლებიც არა ერთხელ ყოფილან ნაცადი ამ ხელოვნებაში. ყოველი მოჭიდავის ირგვლივ წარმოიქმნება პარტიები: ხდიან მათ ჩოხას, ახალუხს, შარვალს, ჩექმებს, აცმევენ საჭიდაო ჩოხას, უკაპიწებენ სახელოებს და ქვედა საცვლის ბოლოებს. ყოველ მათგანს ატყობინებენ მოწინააღმდეგის ხერხებს, რათა მან თავის დროზე გამოიყენოს ეს ცოდნა, აღაგზნებენ მას, მეტოქეს ძალასა და მოქნილობას უბიაბურებენ... მოჭიდავენი სცენაზე გამოდიან ორივე ფერწასულია, ხელები ისე უკანკალებთ, თითქოს შერკინება სამკვდრო-სასიცოცხლო ყოფილიყოს. დიდხანს უტრიალებენ ერთმანეთს ან უხმოდ და დაძაბული სახეებით, ანდა ხუმრობა-სიცილით, თავიანთი უშიშობის დასამტკიცებლად. თითოეული ცდილობს კარგად ჩასჭიდოს ხელი მეტოქეს, ამიტომ ხან ნელა უტევენ, ხან სწრაფად და თუ უხეიროდ ჰკიდებენ ხელს, კვლავ უკან გარბიან. ბოლოს საქმე იკვანძება. მოჭიდავეები მკლავებით ეჭდობიან ერთმანეთს. ორი ვაჟკაცი გამოდის ბრბოდან, გადიან შუაში და უუვირიან მრავალრიცხოვან პირალიებს, მიმორეკავენ მათ და წარმოქმნიან წრეს. ხალხი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხან ფეხმორთხმით ჯდება, ხან უცბად წამოხტება, როცა მათ უახლოვდებიან წრეში მოტრიალე მოჭიდავენი. ბრბო ყურადღებით უცქერის და მათ ყოველ მოძრაობას აკრიტიკებს. ხდება, რომ ვერცერთი მოჭიდავე ვერ ძლევს. ასეთ შემთხვევაში შეხვედრა ან ფრედ მთავრდება ან კიდევ ხელახლა იწყება უფრო მეტი გახელებით. ბოლოს უფრო მარდი იმარჯვებს: ორივე ხელით შემოეხვევა მეტოქეს, უჭერს და ცდილობს მის წაქცევას. თუ უკანასკნელი არ ნებდება, მაშინ პირველი სწრაფად ტრიალდება, ჩაიმუხლავს, ზურგიდან გადაიგდებს მეტოქეს და ის მიწაზე იშხლართება. პირქვე ან გულაღმა დამხობილი დამარცხებული კიდევ ფართხალებს მოზეიმე გამარჯვებულის ქვეშ, ცდილობს ხელახლა დაიწყოს შერკინება, მაგრამ ამაოდ. პარტნიორები ხედავენ რა, რომ საქმეს ალარაფერი ეშველება, მორბიან და აშველებენ. მოჭიდავეებს სამოსელი დაფლეთილი აქვთ, თვითონ საშინლად დაქანცული არიან, სხეული და კბილები დასისხლიანებული აქვთ. მთელი ამ სპექტაკლის ბოლოს მათ შეარიგებენ და აიძულებენ გადაკოცნონ ერთმანეთი...

სოფლის დიდი თავყრილობები და დღეობები ასეთი ჭიდაობის გარეშე არასოდეს არ ჩაივლის. თუ ორი სოფელი იკრიბება, მაშინ თითოს თითო თავისი ფალავანი გამოჰყავს. ერთის გამარჯვება მეორეზე არის ერთი სოფლის გამარჯვება მეორე სოფელზე. და ამას დიდხანს არ ივიწყებენ. გამოცდილი მოჭიდავეები დიდხანს ფალავნობენ და სანამ უძლეველნი არიან, მთელს მხარეში დიდი პატივით სარგებლობენ. უფრო სუსტები მათთან შეხვედრას ერიდებიან. ქართველი მემამულეები ფალავნებს თავიანთი გლეხებიდან არჩევენ და მუდამ თან დაატარებენ დღეობებზე. მოჭიდავე, თუ ერთხელ მაინც აფართხალდა მეტოქის ქვეშ, ხალხის თვალში ეცემა და თავს ანებებს ჭიდაობას. ზოგჯერ ფალავანი ისეა შეყვარებული თავის საქმიანობაში, რომ როცა სხვების ჭიდაობას უყურებს, მთლად ცახცახებს და თავს ველარ იჭერს. მაგრამ ასეთი რამ უკვალოდ არ ჩაივლის ხოლმე: კუნთების ხშირი დაძაბულობა მას ფიტავს, ფერი ეკარგება, ძაბუნდება და არც თუ იშვიათად, ძლიერი შერყევის გამო კიდეც კვდება.

ჩემი დემეტრე რამდენიმე შეჭიდების მოწმე იყო... დემეტრე ასე, ოცდახუთი წლის მაგარი აგებულების კაცია. ერთი კახელი თავადის გლეხია. მას შემდეგ, რაც ჩემი ამხანაგი საუკეთესო მოჭიდავედ აღიარეს, სოფლის დღეობებზე თავის ბატონს ახლავს ხოლმე. დემეტრეს სხვა მოვალეობაც აკისრია: ის თავადის მსახურია, დაყვება მას სანადიროდ ქორით ხელში, მშვენიერი მწევრების გუნდით და ქამარში გარჭობილი აზარფეშით, როცა თავადი აბრეშუმის შრიალა შარვლითა და ჩოხით ქალაქში საზეიმოდ ამხედრებული მიმოდის, მაშინ დემეტრე ქვეითად მისდევს, სირბილით ან აჩქარებული ნაბიჯით. დემეტრეს შემთხვევით შევხვდი თბილისის ერთ დუქანში, სადაც ორივე საყიდლებზე ვიყავით შესული — ის თავისი თავადისათვის, მე ჩემთვის, და რადგანაც გზა ერთი გვქონდა, გავიცანით ერთმანეთი და ერთად გავემგზავრეთ. არ შევმცდარვარ თანამგზავრში: დემეტრე თავაზიანი და კეთილი კაცია. გზაში ის სხვადასხვა ამბების მოყოლით და გულკეთილი ხუმრობით მართობდა. თავისი ბიოგრაფიის მოყოლისას მორიდებულად აღიარა, მიუხედავად იმისა, რომ ხშირად გამოდის დღეობებზე საჭიდაოდ, ჯერ არასოდეს არავის ქვეშ არ უფართხალია... ახლა ის აღეგზნო: თვალები აენთნენ. თვითონ ცახცახი იწყო. საჯაროდ გამოაცხადა, რომ უნდა ბედი სცადოს ჭიდაობაში. თუმცა — დაუმატა მან, თავის მოკატუნებით. — ჯერ ამ საქმის არაფერი გაეგება. ხალხი შემოეხვია და დაიწყეს მისი სანაქებო თავმდაბლობის განდიდება. „რად გინდა?" ვუთხარი. მაგრამ ამაოდ. დემეტრემ მალე ტანთ გაიძრო და შევიდა წრეში. კახელს ბევრი დრო არ დაჭირვებია გამარჯვებისათვის. ის ჯერ მინებდა მეტოქეს და მე ეჭვიც კი შემეპარა მის გამარჯვებაში, მაგრამ შემდეგ სწრაფად მოავლო ხაშმელს ხელი და ისე მარდად გადაიგდო თავზე, რომ ის პირქვე გაიშხლართა და როდის როდის, ძლივს მოეგონს. ყველა პატივისცემით მიდიოდა დემეტრესთან და ულოცავდა, მაგრამ არ უნდოდათ დაეჯერებინათ, რომ ასეთ ოსტატობას ყოველგვარი ვარჯიშის გარეშე მიაღწია. ისინი მე მეკითხებოდნენ, მაგრამ მე არ მინდოდა ამხანაგის საიდუმლოების გაცემა.

სოფლიდან სადაც წირვა შეასრულა, ცხრა საათისთვის ჩამოვიდა მღვდელი. მას ორი დიაკვანი ახლდა. მღვდელი ახალგაზრდა კაცი იყო, აბრეშუმის ანაფორა ემოსა. განათლება თბილისის სასულიერო სემინარიაში ჰქონდა მიღებული და ოუსურად საკმაოდ კარგად ლაპარაკობდა. ეკლესია ხალხით გაივსო. ქალები წინა სვეტებთან და სენაკის კარებში, საკურთხევლის აქეთ-იქით განლაგდნენ. კაცებმა მთელი დარჩენილი სივრცე დაიკავეს. პარაკლისის მერე ეკლესიას წმინდა წყალი ასხურეს. შემდეგ, ჯვრის სამთხვევად მიმართულმა ხალხმა შეთხელება იწყო. ბოლოს მთელი ეკლესია დაცარიელდა. მხოლოდ რამდენიმე ბიჭი დარჩა, მათი ღონემიხდილი სახეები დიდი ხნის სნეულებას ამჟღავნებდნენ. მათ თავიდან ფეხებამდე თეთრი სამოსელი ემოსათ, კისერსა და ხელებზე სპილენძის წვრილი მავთულის რგოლები ჰქონდათ წამოცმული და ამ რგოლებზე ან გახვრეტილი აბაზიანები, ანდა ცვილის მომცრო გუნდა ეკიდათ. საქართველოში არის ასეთი ჩვეულება: სნეული დებს აღთქმას, რომ განკურნებისას მახლობელ ან შორეულს ეკლესიას ეახლება (უფრო ხშირად ფეხშიშველი) და საწირავს მიართმევს ღმერთს. აღთქმას ჩვეულებრივ დებენ რამდენიმე თაფლის სანთელსა და აბაზიანზე, მერე

აგუნდავებენ სანთელს, ხვრეტენ აბაზიანს და იკიდებენ მათ კისერსა და ხელებზე შემოჭდობილ მავთულის რგოლებზე. აღთქმის მანიშნებელია თეთრი სამოსი. მას მანამ ატარებენ სნეულნი, სანამ არ შეასრულებენ აღთქმას... ისინი მიდიოდნენ მღვდელთან. მღვდელი მათ რგოლებს ხსნიდა და თანაც თმას ცოტაზე ჯვრისებურად კრეჭდა.

ჩემი განსაკუთრებული ყურადღება შვიდიოდე წლის ბიჭმა მიიპყრო: ფერმკრთალი სახე, ტუჩებზე დუჟი, მოუსვენარი თვალების უგრძნობი და უაზრო გამომეტყველება. — ყველაფერი ეს ჩვენში იწვევდა სიბრალულსა და თანაგრძნობას. მას ორივე ხელით იჭერდნენ. დედაქალი ნაღვლიანი სახით თხოვდა მღვდელს წაეკითხა ლოცვა „გულმოკლული დედის უბედური შვილისათვის"... ის უკვე ეკლესიიდან გასვლას აპირებდა, რომ მივედი და თანაგრძნობით ვკითხე პატარას შესახებ. დედამ მიამბო მისი ამბავი. აი ისიც.

ხუთი წლის წინათ მან შეიტყო ქმრის უეცარი სიკვდილის შესახებ, რომელიც ტყეში, მისსავე მოჭრილ ხეს გაეჭყლიტა. ამ დროს პატარას მშვიდი ძილით ეძინა. უბედურმა დედამ ორ ქალიშვილთან ერთად ატეხა საშინელი კივილი. ბავშვს გაეღვიძა: გაფითრებულ სახესა და არაბუნებრივ წივილზე ეტყობოდა, რომ ძალიან იყო შეშინებული. „ამ დროს, — ამბობდა ბარბალე, — ავი სული, მისი უბედურების დამაგვირგვინებლად პატარას დაეპატრონა" რამდენიმე დღის შემდეგ ყარამანს ავი ზნის — ბნედის შეტევები დაეწყო, რაც დროდადრო დღემდე ემართება ხოლმე. ოღონდ კი შვილისათვის ეშველა, დედა არაფერს ზოგავდა. ექიმბაშები, რომლებსაც ქართულ სოფლებში დიდი სახელი აქვთ გავარდნილი, ნაირ-ნაირ შელოცვებს ჩასჩურჩულებდნენ, ფესვებისაგან დამზადებულ წამლებს აძლევდნენ, მაგრამ ამაოდ... მაჰმადიანმა მოლამ გაშალა თავისი საიდუმლო წიგნი და იმით დაამტკიცა დედის აზრი, რომ ნამდვილად ავი სული დაპატრონებია პატარას. იმ სულის სახელიც კი გაიგო და შეპირდა წამალს, რომლითაც ავ სულს ყარამანისაგან განდევნის. ბარბალეს დიდხანს ჰქონდა საქმე მოლასთან. ის კითხულობდა თავის შელოცვებს, იძლეოდა სპარსულ წარწერებიან ქაღალდში გახვეულ რაღაც ფხვნილებს. მისი რჩევის მიხედვით ერთი მათგანი კისერზე ეკიდა პატარას რამდენიმე ხანს, მეორე ბალიშის ქვეშ ამოუდეს, მესამე მამამისის საფლავში ჩამარხეს. მერე ამ ფხვნილებს წყალში ან ღვინოში ურევდნენ და ავადმყოფს აძლევდნენ. თავიდან შეტევები თითქოს შეუწყდა, მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ უწინდელი ძალით განუახლდა. ბარბალეს ბავშვი თბილისში ჰყავდა ექიმებთან, მაგრამ არც მათ უშველიათ რაიმე. „ჩანს, — დაუმატა მან თვალცრემლიანად, — ზეცა ჩემი ცოდვებისათვის პატარას სჯის".

ყარამანზე ზრუნვა ბარბარეს ძვირი უჯდებოდა: ის იხდიდა ფულით, პურითა და ღვინით და ბოლოს გალატაკდა. მისი დედური გული ყოველთვის შეშფოთებულია. ხშირად, შეცქერის ბავშვს და მწარე ცრემლებს ღვრის. ძილშიაც კი ვერ ისვენებს, საჭმელს გემოს ვერ ატანს, გართობა რამ არ სიამოვნებს. ყარამანი წლიდან წლამდე სულ უფრო უცნაური ხდება. ბნედა საკმაოდ ხშირად, დრო და დრო ემართება. დორბლი არასოდეს სცილდება მის პირს. თვალები ველურად უტრიალებს. უბედურს გონება ძალიან სუსტი აქვს. მას ესმის სხვების, მაგრამ თვითონ გაუგებარი, გულშემზარავი ბგერებით პასუხობს. ამ დროს აშკარად ეტყობა გონების ხანგრძლივად დაძაბვა, რითაც ჩანს, რომ ბავშვის ხმაში ბრძოლა მიმდინარეობს და ყოველი გულსაკლავი წამოკვნესება ყოველთვის მისი მდგომარეობის განცდას ასახავს. რა თავგამოდებითაც არ უვლის დედამისი, მისი გამოსწორება შეუძლებელია: ის ჭუჭყში სვრის ტანსაცმელს, სჭამს მიწას, ახალუხის უბესა და ჯიბეებში იტენის პურსა და ქვებს და დაათრევს თან. მას უყვარს თავის ერთადერთ საყვარელ მეგობარსა და განუყრელ ამხანაგთან, — ძაღლთან განმარტოება. ყარამანი ეულად დაბორიალობს, ბავშვებთან მას არაფერი აკავშირებს, მიუხედავად იმისა, რომ ისინი არც თუ იშვიათად მისდამი კეთილ განწყობას გამოხატავენ.

სადილი, ისევე როგორც ვახშამი ხმაურიანი და მხიარული იყო: ღვინო და სიმღერები თოფის სროლასა და ბავშვების ცეკვა-თამაშში ილევრებოდა. ეკლესიის გალავანს უკან, მწვანე მდელოზე საპატიო სოფლელები მოკალათდნენ, მღვდელსა და დიაკვანთან ერთად. მღვდლის გვერდით, მის ხელმარჯვნივ ფარსადანი იჯდა. თითქმის ყოველი ოჯახი აქ თითო საუკეთესო კერძს ჰგზავნიდა. ცოტა ხნის შემდეგ მოვიდა ფარსადანის სიძეც, ორი შეიარაღებული ნათესავის თანხლებით. ის იყო მაღალი, ტანადი მამაკაცი. ასე, ოცდახუთი წლის ჭკუადამჯდარი ენერგიული კაცის თვალები, მშვენიერი, გულმოდგინედ გადაგრეხილი ულვაშები, — ყველაფერი ეს მას ალამაზებდა და უნებლიედ მისდამი კეთილად განგაწყობდათ. ალექსანდრეს ისეთი კოსტუმი ეცვა, რომელსაც განსაკუთრებით ქალაქელი კოპწია ახალგაზრდები ეტანებიან და რომელიც საკმაოდ მოსახერხებელია გზაში, სახელდობრ, — ქათიბი მოკლე სახელოებიანი, ბეწვის არშიამოვლებული იყო და მუხლებამდე წვდებოდა. ეს შემოჭერილი ჰქონდა ირმის ტყავის ქამრით, რომელსაც მთელ სიგრძეზე ვერცხლის ბალთები ამშვენებდა. ყვითელი ხილაბანდი კისერზე მოეგდო. მთელს ამიერკავკასიაში რომ ყველას უყვარს, ისეთი განიერი შარვლის ბოლოები ტყავის ფეხსახვევებში ჰქონდა ჩაშვებული. შარვალი მუქი-წითელი, წინწკლებიანი აბრეშუმისა იყო და სიარულისას შრიალებდა. თვითონ ფეხსაცმელები კოჭებთან ტყავის თასმებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰქონდა შეკრული და თასმები ტერფებამდე სცემდნენ. მის ცხენებს საპალნედ ნაირ-ნაირი რამე-რუმე ეკიდა: ცხვრები, მშვენიერი კახურის ტიკები, თეთრი პურები, სქელი ნაზუქები, მოხარშული ინდაურები და ქათმები, — ყველაფერი ეს მყისვე სუფრაზე გაჩნდა. საქმრომ საცოლეს საჩუქრები ჩამოუტანა: აბრეშუმისა და ატლასის ქსოვილები საკაბედ, რამდენიმე წყვილი მწვანე ტყავი. წითელი ფეხსაცმელები თავისი წინდებით. წინდები საკმაოდ გემოვნებით იყო ნაირფერად ნაქსოვი. ამასთანავე, იყო კიდევ ვერცხლის თასები: აზარფეშა, პატარა, ფეხიანი ჯამი და მოსევადებული მოგრეხილყელიანი კულა. დამსწრენი წამოიშალნენ. საყვარელი სტუმრის შესაგებებლად, მან ქუდი მოიხადა, ყველას თავი დაუკრა და დედამისისა და დებისაგან მოკითხვა გადასცა. ნინუცა ვერ ბედავდა საქმროსათვის შეეხედა. ის საცოლის პირდაპირ დასვეს. ცოტ-ცოტად და უნებლიედ ქალის თვალები კაცის თვალებს ხვდებოდა, მაგრამ ქალი ყოველთვის სწრაფად ხრიდა მათ. როცა ნინუცას სადღეგრძელო წარმოითქვა, ალექსანდრემ მისი მრავალჟამიერი შესვა, მაგრამ რამდენსაც არ ეცადნენ, ნინუცას არაფრის გულისათვის არ უნდოდა საქმროს სადღეგრძელოს შესმა, ასე რომ, მის მაგივრად ქეთევანს უნდა შეესრულებინა ეს წესი, ყველა იღიმებოდა, ძმა კი ხმამაღლა ხარხარებდა მისი სიმორცხვის გამო.

— რა სულელი ხარ! ხომ ვიცი, გინდა კისერზე ჩამოეკიდო მას. ასე არაა, ნინუცა?.

— გაჩუმდი ერთი, ნუ არცხვენ ხალხში, — უთხრა ცოლმა, როცა დაინახა, რომ ნინუცას ლოყები უფრო მეტად აენთო.

— ჰო, ჰო, დახე რა ჭკვიანია, ახლა წითლდება, და მერე კი ნუ გეშინია, კისერზე დაჯდომას მოიწადინებს... გიცნობთ მე თქვენ, ქალებს: ყველანი ასეთები ხართ, სიძე, მაგრად მოკიდე მაგას ხელი, სანამ ახალგაზრდაა, თორემ ანანებ, გეფიცები, ქალი ხომ ბრიყვია, ერთიც ვნახოთ... შეხე ჩემს ცოლს, როგორ ამიყვირდა: გეგონება მე ვარ მაგის ცოლი და ეგ კი ჩემი ქმარი. — არა, მხახუროო მორჩილო, ამისათვის არ მიუცია ღმერთს ულვაშები კაცისათვის, — დაუმატა მან, ულვაშების ფუნჩვა-გრეხით.

სამებიდან ხუთი ვერსის დაშორებით, მაღლობზე დგას ჯვარიცხოველის ძველი ეკლესია. კახიშვილის ოჯახი ყოველ წელს ამ დღეს, სადილის შემდეგ სალოცავად მიდის იქ. მე და მიხეილი, მისი ცოლი და და ფეხზე წამოვდექით. ალექსანდრეს ჩვენთან ყოფნა უნდოდა, მაგრამ ის ფარსადანმა არ გამოუშვა, რომელმაც მაშინვე დასტოვა საპატიო სადილი, როგორც სიძის ჩამოსვლა გაიგო. შევსხდით ცხენებზე, ქალებიც კაცებივით დასხდნენ, წამოისხეს შალები და ხელიხი ენაგირებს ჩასჭიდეს. პატარა გუნდი დაწალიკებით დაიძრა. ოდნავშესამჩნევი, ბილიკი უსწორმასწორო ნიადაგზე რომ პატარავდებოდა, ერთი მხრიდან ბუჩქებით იყო შემოსაზღვრული და მეორედან — ივრის კლდოვანი ნაპირებით. ჩვენ დინების საპირისპიროდ მივდიოდით. წყალს, რომელიც ჯერ კიდევ მღვრიე იყო, გუშინდელს აქეთ ბევრად დაეკლო. ოდნავი ხმაურით მიედინებოდა იორი და მის ყოფილ წყალდიდობას, ახლანდელი კალაპოტიდან საკმაოდ დაშორებული მხოლოდ სველი შლამი და ნაგავი მოწმობდა. მზე ისარივით სხივებს იტყორცნიდა, მაგრამ ჩვენ ეს ნაკლებად გვაწუხებდა: ივრის მხრიდან მობერილი გრილი ნიავი და ხშირი ფოთლების ჩრდილი გვიცავდა. კახურის წყალობით მხიარულად მივემგზავრებოდით. მიხეილი დას აქილიკებდა, ნინუცამ ენა ამოიდგა და ქეთევანთან ერთად ტუქსავდა ძმას. გადაკვრით შემახსენეს საყურადღებო ამბის: ლეკების მიერ სამების მიდამოებიდან ბიჭების მოტაცების შესახებ. ახალგაზრდა კახიშვილი დაპირებული იყო მის მოყოლას, მაგრამ აქამდე დრო ვერ მოეხელთა. ახლა კი სწორედ საამისო დრო იყო.

— სადაა შენი დანაპირები, მიხეილ? — ვკითხე.

— ლეკებზე? კეთილი, გიამბობ.

— პირიდან პატარა ჩიბუხი გამოიღო და დაიწყო.

— მე ძალიან კარგად მახსოვს ეს ამბავი, მან დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ჩვენს მხარეში. მაშინ ერთი უთქმელი, თორმეტი წლის ბიჭი ვიყავი და პატარა, ფეხშიშველი ყაჩაღების მთელ პოლკს ვმეთაურობდი. მოხდებოდა ხოლმე: დავტბორავთ იორს და ვიჭერთ თევზებს, შევიპარებით ვენახებში, ვძარცვავთ ბოსტნებს და მთელ სოფელს ვიმხედრებთ. სასტიკად გვქონდა აკრძალული ტყეში ღრმად შესვლა, მთიელებისაგან მოსალოდნელი საფრთხის გამო. ჩვენ კი აინუნშიც არ ვაგდებდით დარიგებას: გავიდებდით მხრებზე ჯოხებს, თოფების მაგივრად და იორს ზემოთ ავუყვებოდით ხოლმე: დავკრეფდით ნედლ თხილს, შინდს და შემოხეული ახალუხებითა და ფეხისგულებში ეკლებგარჭობილნი სოფელში ვბრუნდებოდით. ამასობაში ჩვენი დედები შიშისაგან კანკალებდნენ. საფრთხე მართლაც იყო. ადრე გაზაფხულიდან, როცა ტყე ფოთოლს ისხამდა, ვიდრე სექტემბრამდე, სამების მიდამოებში ლეკები დაძრწოდნენ. ისინი ხშირ ბუჩქნარებსა და დაბურულ ხეხევბში იმალებოდნენ, ზოგჯერ კი ხეებზე აცოცდებოდნენ და იქიდან უცდიდნენ ან უთვალთვალებდნენ თავიანთ მსხვერპლს. გამოუცდელ და უსუსურ მსხვერპლს ისინი ფლიდი ღიმილით უახლოვდებიან... მათ სისხლში აქვთ უშიშრობა და სიცოცხლისადმი ზიზღი: იმათ ხოცავდნენ, იჭერდნენ და ქალაქში აგზავნიდნენ, მაგრამ ეს მათთვის არაფერია!... საიდან ჰქონდათ ამდენი გამბედაობა, რომ ჩვენამდე მოეღწიათ! გარს უვ-

ლიდნენ კახურ სოფლებს და ფრთხილად დაეხეტებოდნენ ტყეებში... ჩვენს სოფელზე ისინი განსაკუთრებით ერთმა შემთხვევამ გაახელა. იყო ჩვენთან ვინმე ჩხეიძე, კაცი...“

— გამიგონია მის შესახებ.

„გაგიგონია? მის ამბავს ხომ არ გიყვებოდა გუშინ მოხუცი? მის ბედთანაა დაკავშირებული ისტორია განძის შესახებ... აი, რა: ერთხელ ის მარტო იყო ტყეში, აქედან კარგა შორს, აგე იქ, — შენიშნა მან და ხელი წინ, მთებისაკენ გაიშვირა, — და თავისთვის მშვიდად საქმიანობდა ძველ ტყეში, ადრე დილიდან მისი ცულის თანაბარი კაკუნი მთებს ახმიანებდა. მზე ჩადიოდა და ის უკვე სახლში წასვლას აპირებდა, რომ უცებ მიიხედა: ოცამდე ლეკი ჩუმად ეპარებოდა და მათ თოფებზე სხივები თამაშობდნენ. ჩხეიძე მიხვდა, რომ მისი სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა, მაგრამ არ უნდოდა უსახელოდ დანებებულიყო. მან ჩამოიღო თოფი ხიდან, პირჯვარი გადაიწერა, ჩახმახი შემართა და ერთ წუთში ტყვიამ განგმირა მთავარი წინამძღოლი და სასიკვდილოდ დაჭრა მეორე. მოისროლა თოფი ბუჩქებში და მთის ფერდობებზე დაეშვა. გაჭირვებამ ძალა შემატა: მწევარივით მიჰქროდა. ბუჩქებსა და ღრანტეებს ევლებოდა. რამდენიმე მთიელი ყვირილით დაედევნა: „ვერ წაგვიხვალ, ძაღლო გიაურო“... ტყვიებს ზედ თავთან გაჰქონდა ზუზუნი, მაგრამ ბედი მის მხარეზე იყო: ლეკებს შორს შემოჭრის ეშინოდათ და იძულებულნი იყვნენ დევნა შეეწყვიტათ. ჩხეიძემ სოფელში უამბო, რაც შეემთხვა. რამდენიმე კაცმა, რომლებიც მას მთებში გააყოლეს, დაადასტურა მისი ნაამბობი: თოფი ბუჩქებში იპოვეს, ხმალი კი კაპზე ეკიდა. ჰრილობიდან ნადენმა, შედედებულმა სისხლმა და ძირს დაყრილმა დაგუნდავებულმა ბალახმა, რომლებითაც ნატყვიარს აფარებდნენ, ისინი ნაყარ მიწასთან მიიყვანა, სადაც ნაუცბათევად ჩაემარხათ გვამი. მაგრამ სისხლის კვალი კიდევ უფრო შორს მიდიოდა, — აშკარა ნიშანი, რომ მეორე მთიელი ცოცხალმკვდარი წაელოთ.

„ჩვენ ვიცოდით, რომ ეს ამბავი ისე არ ჩაივლის და მთიელები მანამ არ დამშვიდდებიან, სანამ სამაგალ არ იძიებენ შურს: ისინი საშინელი შურისმაძიებლები არიან და არასოდეს ივიწყებენ წყენას. აი, რა გაიგონეს კახეთში მშვიდობიანი ლეკებისაგან. ორივე მოკლული მთელს ლეკეთში მამაცობითა და ვაჟკაცობით იყო ცნობილი. მათი სოფლელები იფიცებოდნენ, რომ სამაგალითოდ გადაუხდიდნენ ხაშმელებს სამაგიეროს. მათ განსაკუთრებით ჩხეიძის ხელში ჩაგდება უნდოდათ, რომელსაც სახეზე იცნობდნენ: ის ადვილად შეეძლოთ ამოეცნოთ პირველადვე, თავისი არწივისებური თვალებით. ამის გარდა, სოფლებში ხანდახან ჩამოდიოდნენ მშვიდობიანი ლეკები, რომლებიც თავიანთ ხანჯლებსა და მაუდს ჩვენს საქონელზე ცვლიან. მაგრამ ჩხეიძე ფრთხილად იყო. შემდეგ გაზაფხულზე ორი ბიჭი მოიტაცეს, მიძინების ეკლესიის ახლოს, რომელიც სამების გზაზეა. ერთი მათგანის საბრალო დედა ბევრს ეწვალა, რათა შვილი გამოესყიდა, სოფელ-სოფელ თხოულობდა შვილს, მაგრამ ამაოდ: ლეკები გამოტყდნენ, რომ ორივე ბიჭი მსხვერპლად შეწირეს ხაშმელის მიერ დახოცილების აჩრდილებს. ლეკებს სჯერათ, რომ დახოცილების სულები მანამდე არ დამშვიდდებიან, სანამ სისხლს არ აიღებენ. თორმეტი იმერელი შორს გაგზავნეს ტყეში სამშენებლო მასალისათვის და არცერთი არ დაბრუნებულა. დღე უთვალთვალეს მათ ლეკებმა. ღამით მძინარეებს მიეპარნენ და დახოცეს. უბედურების გვამები. ნაკუწებად ქცეული ჩამოიტანეს სოფელში, ხოლო მათი მარჯვენა ხელის მტევნები ლეკებმა წაიღეს, როგორც გამარჯვების ნადავლი.

„მაგრამ ეს ყველაფერი ცოტაა. ჩვენი გულისათვის პატარძეულელებიც დაზარალდნენ. პატარძეულიდან ყოველ წელს, აღთქმის თანახმად სამებაში რამდენიმე ოჯახი ამოდიოდა. მათ რიცხვში იყო ერთი მდიდარი მოსახლე, რომელსაც ერთადერთი, ათი წლის შვილი ჰყავდა. ერთხელ, დღეობის წინარე ფაცი-ფუცის დროს, ეს ბიჭი და მისი ორი თანასოფლელი — თანატოლი ხარ-კამეჩს აძოვებდნენ ტყეში, არც თუ შორს. ჩამოწვა ბნელი ღამე, მაგრამ ბიჭები არ ჩანდნენ. შეშფოთებულმა მშობლებმა დაუწყეს ძებნა. ხარ-კამეჩი მშვიდად იწვა ბუჩქებს შუა, ბავშვები არსად ჩანდნენ. მოჩხრიკეს იქაურობა — ყველაფერი ამაო იყო... მაშინვე მივხვდით რაშიც იყო საქმე: პატარებს არსად წაესვლებოდათ. გაუბედურებულმა ოჯახებმა წივილკივილი ატეხეს. მახსოვს, მდიდარი მამის სასოწარკვეთამ სადამდე მიაღწია: იგლეჯდა თმებს და იხევდა ტანსაცმელს, მკერდში მუშტებს იცემდა, სახეს იკაწრავდა. ხალხს შეთხოვდა, ემუდარებოდა დაებრუნებინათ მისთვის ერთადერთი შვილი. მოხუცი დიდხანს იყო მუხლებზე დამხობილი ეკლესიის წინ. მწარე ცრემლს ღვრიდა, დებდა ბევრ აღთქმას, ოღონდ მემკვიდრე არ დაეკარგა. „ჩემო საცოდავო შვილო, — მოთქვამდა ის, — ნუთუ მე ისე უბედური ვარ, რომ სამუდამოდ დაგკარგავ შენ? მე შენ მხურვალედ მიყვარდი: შენ კეთილი, წყნარი, გამგონე შვილი იყავი: შენში მე შენი მშვენიერი დედის სახეს ვხედავდი, რომელიც სოფლელს როცა ეთხოვებოდა, გულში გიკონებდა. ახლა კი უცებ გკარგავ შენ და ყოველი იმედი მიქრება. რა დღეში ხარ ახლა? რა გელის წინ?... რად მინდა ყველა ჩემი სიმდიდრე უმემკვიდრეოდ! ყველაფერს შენთვის ვინახავდი. მივატოვებ ყველაფერს, ან ჩამოვიხრჩობ თავს. ანდა ჩემს ცოდვილ ძვლებს რომელიმე ეკლესიაში დავაწყობ“.

ხალხმა გულითადი თანაგრძნობა გაუწია გაუბედურებულებს. შემოეხვივნენ მათ და რაც შეეძლოთ ანუგეშებენ. ამხნევებდნენ. ღვთის

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყალობის იმედი ჰქონდათ. უბედური მამის მოთქმის გამო გულს სისხლი აწვებოდა და თვალებს, განსაკუთრებით ქალებისას, ცრემლი სდიოდა. ყველას ეგონა, რომ ის ან ჭკუაზე შეიშლებოდა ან თავს მოიკლავდა. ორმოციოდე შეიარაღებული კაცი, სხვადასხვა მხარეს, მთიელების საძებრად დაიფანტა. საკმაოდ დიდ მანძილზე მოჩხრიკეს არემარე, მაგრამ უშედეგოდ: ცა ხშირ ღრუბლებს დაეფარა და ღამე ისეთი ბნელი იყო, თვალში თითსაც ვერ მიიტანდი, გასაკვირი არც იყო, რომ ყაჩაღები გასხლტნენ.

ამ ნაამბობით გართულმა ვერ შევამჩნიე, როგორ გაჩერდნენ ჩვენი ცხენები იმ მთის ძირში, რომელზეც უნდა ავსულიყავით. ეს იყო საკმაოდ მაღალი, კონუსისებური მწვერვალი. მისი ბუჩქნარით დაფარული კალთები ისეთი ციცაბო იყო, რომ ცხენები ზედ ვერ ავიდოდნენ. ცხენები ხეებზე მივაბით, თვითონ კი ტოტებსა და ღეროებზე პოტინ-პოტინით, როგორც იქნა, მივაღწიეთ მწვერვალს: ჩვენი თანამგზავრი ქალები ისე მსუბუქად და მკვირცხლად მიაბიჯებდნენ, რომ არც ჩამოგვრჩებოდნენ. ოდნავ შესამჩნევ მოედანზე, ორი-სამი შენობის ნანგრევებს შორის იდგა საყდარი — მომცრო შენობა, თლილი ქვით ნაგები, საყდარზე ბუჩქები ამოსულიყო და მლოცველებს მისთვის ბამბის წვრილი ნართი შემოეხვიათ. მთები მრისხანე გოლიათებივით ამართულიყვნენ. ივრის შუილი, თოფის სროლის ხმა, ხალხის სიმღერა ჩვენამდე ხმამაღალ ექოს მოჰქონდა. საყდარს კარები არ ჰქონდა, შიშველ, შეუბათქაშებელ კედლებზე ფერწერის არავითარი კვალი არ ჩანდა. ორი ვიწრო სარკმელი მქრქალად ატარებდა სინათლეს, მიწის იატაკზე მტვერი სქლად ეფინა.

— ამ ადგილას, — თქვა კახიშვილმა, — გაზაფხულსა და ზაფხულობით მხოლოდ მხედრები ამოდიან მახლობელი სოფლებიდან. იმ დროს, რომელსაც ბავშვების შესახებ ჩემი ნაამბობი ეხება და მას შემდეგაც, დიდი ხნის განმავლობაში, აქ მხოლოდ შეიარაღებული ამოვდიოდით. ეს საყდარი ხშირად მთიელთა თავშეშესაფარი იყო, თავს რომ დასხმოდნენ, აქ ყოველგვარი ზიანის გარეშე შეეძლოთ თავდაცვა. მათი ღამისთევის დამადასტურებელი ნიშნები ხშირად გვიპოვია აქ: ნაცარში ჩაღვენთილი ცეცხლი, ვაზშმის ნარჩენები, ტანსაცმლის ნახევები და გაცვეთილი ქალამნები.

ჩვენ ვილოცეთ, დავტოვეთ თითო აბაზი, კედელზე ანთებული სანთლები მივამაგრეთ და დავეშვით ქვევით. გზაში ჩემი მოყვარე თავისი ამბის მოყოლას განაგრძობდა:

„სამებაში მომხდარი უბედურებიდან ორი კვირის თავზე, მოხუცმა ამირანიძემ კახეთიდან ვინმე გარსევანოვისაგან წერილი მიიღო, ის წერდა, რომ ლეკებს ბიჭები დაატოვებინა, ხამივე მასთან ცხოვრობს, მაგრამ ისე არიან შეშინებულები, რომ მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა საშიშია და თან თხოვდა მალე წაეყვანათ ბავშვები.

„შეიძლება წარმოიდგინო, როგორი იქნებოდა პატარძლეულელთა სიხარული, რომლებიც ბავშვებს დაღუპულად თვლიდნენ. ბავშვების ჩამოსაყვანად ამირანიძე მარტო გაემგზავრა კახეთში. უსაზღვრო იყო გარსევანოვისადმი მისი მადლიერება: მან ის ფულით და რქიანი პირუტყვით დაასაჩუქრა და მთელი სიცოცხლე მისი მეგობარი იყო. ბიჭები ჩამოიყვანა. საშინლად იყვნენ დაოსებული, ეშინოდათ, ვაი თუ ვერ გადარჩნენო. მსაჯულებმა ბავშვები თავისთან, მუხროვანში დაიბარეს, აი, როგორ უამბეს მათ თავიანთი მოტაცების ისტორია. საღამოზე, შებინდებისას, ისინი უკვე მშობლებთან დაბრუნებას აპირებდნენ, რომ უცებ ბუჩქებიდან მოხუცი ამოიზიდა. მან ღიმილით მიმართა ბავშვებს:

„— ეი, ბალღებო, რას აკეთებთ აქ ასეთ დროს? ირგვლივ ყაჩაღები დაძრწიან. თუ თქვენ მათი არ გეშინიათ?

„— რად უნდა გვეშინოდეს! აგე ხალხი რა ახლოა!..

„თვალისდახამხამებაში მათ თავს დაესხა სამი ჩასკვნილი კაცი და შებოჭეს. ბავშვები მიხვდნენ მოხუცის ხუმრობას: დაინახეს სრულიადაც არა ქართული სახეები, გულისცემამ უმატათ, მაგრამ ყვირილი არ შეეძლოთ, პირები დაცმული ჰქონდათ. მთიელები ხედავდნენ, რომ პირდაპირ გზაზე დადგომა შეუძლებელი იყო, დაედევნებოდნენ და ნაღდად წამოეწეოდნენ მდევრები. ერთი ადგილი ეგულებოდათ, სადაც შეიძლებოდა თავის შეფარება. ეს იყო პატარა ქვაბური, ისეთი ხშირი ბუჩქნარით დაფარული, რომ მისი შემჩნევა დღისითაც კი ძნელი იყო. რამდენიმე ქართველმა მდევარმა გვერდით ჩაუარათ, მაგრამ ვერაფერი შეამჩნიეს. შუაღამე დიდი ხნის გადასული იყო, ტყეში სიწყნარე ჩამოწვა, და მთიელები, თავიანთი ტყვეებიანად სწორედ მაშინ გაუდგნენ გზას. უმეტეს წილად ისინი ღამ-ღამობით მიდიოდნენ, დაბურული ტყეებით, სადაც იშვიათად თუ გამოჩნდებოდა ადამიანი. დღისით რომელიმე ბნელ, ყოველი მხრიდან დაფარულ ხევში იმალებოდნენ: ბოროტმოქმედნი ადგილებს ისე საუკეთესოდ იცნობდნენ, რომ მეტი არ შეიძლება. პატარებს კარგად ეპყრობოდნენ, ბავშვები მსუბუქად გაკოჭილი და ერთმანეთზე გადაბმული ჰყავდათ, ლეკებს რიგრიგობით ეჭირათ მათ უკან გამობმული ბაწარი, დანარჩენები შორიახლო მიყვებოდნენ. როცა იძინებდნენ, გუშაგი ფხიზლობდა, ჩვეულებრივ ისე ცოტა და ისე ფხიზლად ეძინათ, რომ ტყეში რაიმეს ოდნავი გაფაჩუნებაც კი აღვიძებდათ. პატარძლეულებს ქართულ პურს აჭმევდნენ, რაც სწორედ ასეთი შემთხვევისათვის ჰქონდათ შემონახული. თვითონ მთიელები კი ერთ მუჭა ფეტვსა და ღუმის ქონს სჯერდებოდნენ, ტყავის ტომრებში რომ ჰქონდათ შენახული. ლეკები, მაჰმადიანური წე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სით. ყოველ დღე ლოცულობდნენ დილით და საღამოთი, დაიჩოქებდნენ მუხლებზე, დაიკრეფდნენ ხელებს და უძრავად და საკმაოდ დიდხანს ალასრულებდნენ თავიანთ წესს.

..ისინი ოცდაათნი იყვნენ, უფროსი, დანარჩენებს რომ მეთაურობდა, მიუხედავად სიბერისა, საოცარი სიმკვირცხლით გამოირჩეოდა, ყველა დანარჩენი ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო. ლეკების ტანსაცმელი დიდად არ განსხვავდებოდა ქართულისაგან: მთელი სხვაობა ნამეტნავად ბანჯგვლიან, თეთრ მეცხვარულ ქუდსა და მოკლე, მთის მაუდისაგან დამზადებულ ჩოხებში იყო. განსაკუთრებულ ყურადღებას მათი იარაღი იპყრობდა: ჯავარდენის თოფები გაწკრიალებული ჰქონდათ, მათი ხანჯლები გრძელი და ბასრი იყო. ისინი საკმაოდ კარგად ლაპარაკობდნენ ქართულად. მიუხედავად მათი მკაცრი ხასიათისა, მთიელები ყოველთვის ცდილობდნენ მხიარულნი ყოფილიყვნენ და მუდამ უღიმოდნენ ტყვეებს. სხვებზე ხშირად თვითონ მოხუცი მიმართავდა ბავშვებს. მიუხედავად ამგვარი დაყვავებისა, მშობლებისაგან განშორებამ და მრისხანე ლეკების საზოგადოებამ ძლიერად იმოქმედა ბავშვებზე. თავიდან ისინი ცახცახებდნენ და ენას ვერ ითქვამდნენ, ლოყები ჩაუცვივდათ, ფერი დაკარგეს, მუხლები ეკეცებოდათ, — ასეთ დროს ისინი ზურგით მიჰყავდათ... ნელ-ნელა ბავშვები შეეგუენ თავიანთ მდგომარეობას.

ასე და ამგვარად ლეკები ტყვეებიანად რამდენიმე დღეს მიდიოდნენ. კახეთისა და ლეკეთის გამყოფ ქედს რომ მიუახლოვდნენ, ბიჭები ერთ-ერთ თავის ამხანაგს დაუტოვეს მთებში ასაყვანად, თვითონ კი დაეშვნენ კახური სოფლების მახლობლად საწრიალოდ, სადაც „ეგებ უპოვონ, — ამბობდა მოხუცი, — კიდევ რამდენიმე ამხანაგი პატარძლეულელებს". ბავშვებს თან სდევდა ბედნიერი ვარსკვლავი: ისინი ერთმა კახელმა დაინახა, რომელიც შორს ნადირობიდან სახლში ბრუნდებოდა. ის კი ვერ შეამჩნიეს მთიელებმა, მაგრამ თვითონ მან დაინახა, როგორ გაიყვნენ მთიელები და გადასწყვიტა, რადაც უნდა დაჯდომოდა, ეხსნა ბიჭები. პირველად ის დიდხანს მისდევდა უჩინმაჩინივით, მერე, როცა დარწმუნდა, რომ ჩამოცილებულები უკვე შორს იქნებოდნენ, უკნიდან მიეპარა და მყისვე გრძელმა ლეკურმა ხანჯალმა მთიელის მხრებს თავი მოაცალა. პატარები განთავისუფლდნენ. გარსევანოვმა ისინი თავისთან, სახლში წაიყვანა და ერთი კვირის შემდეგ ამირანიძეს გადასცა.

კახიშვილი გაჩუმდა და ჩიბუხი დატენა.

— მოხუცი მთიელის ისტორია ხომ არ იცი? — ვკითხე.

— ვიცი. დიდი არაა, მაგრამ საინტერესოა. მას იცნობდნენ სახელით — აზისა. ის საუკეთესო ლეკური გვარების რიცხვს ეკუთ[illegible] მეტი მისი მხლებელი. ყველა მისი შვილი იყო. აზისა, როგორც მთიელი მოხუცების უმრავლესობა, საკვირველ სიმკვირცხლესა და თვალების გამჭრიახობას ინარჩუნებდა... იქნებ იმის გამო, რომ ზომიერად იკვებებიან? ის იყო უშიშარი, ცბიერი, ძალიან მოხერხებული და მამაცი, მეტი რომ არ შეიძლება. სწორედ ასეთი სახელი ჰქონდა მას, როგორც ლეკეთში, ისე კახეთში. მოხუცი ნამყოფი იყო თითქმის ყველა კახურ სოფელში, მშვიდობიანი ლეკის სახელით. როცა ყიდდა ან ცვლიდა მთის საქონელს ქართულზე ორჯერ მან ბიჭები გაიტაცა ტყვედ, თვითონვე გამოეცხადა მათს მშობლებს და უთხრა, რომ მთებში ნახა ტყვეები და თუ მშობლებს მათი გამოსყიდვა უნდათ, ის მათ დაეხმარება. პირობას პატიოსნად ასრულებდა. მაგრამ როცა ეშმაკობა გაუგეს, ის გაქრა. ეშინოდა თავის წაგების. დაიწყო შვილებთან ერთად ტყე-ტყე წანწალი ნადავლის ძიებაში. აზისამ თავის ყველა შვილზე მეტ ხანს გაძლო: ერთნი ცოცხლად დაატყვევეს, სხვები დაუხოცეს. თვითონ ის კი ერთი თექვსმეტი წლის თუშის ბიჭის ტყვიამ განგმირა, რომელსაც მოხუცი ღიმილით გასაიარაღებლად და ტყვედ ჩასაგდებად უახლოვდებოდა.

— პატარძლეულელი ბიჭები ახლაც ცოცხლებია?

— მდიდარი მემკვიდრე ახლაც ცოცხალია, დანარჩენები დაიხოცნენ სამშობლოში დაბრუნების რამდენიმე თვის შემდეგ. ისინი ძალიან სუსტები იყვნენ და ციებ-ცხელება ვერ გადაიტანეს. მოხუცი ამირანიძე მომდევნო წელს ვაჟიშვილთან ერთად ჩვენთან იყო სამებაში. მან ორი ნასუქი ხარი შეწირა, ერთი ტყეში მიტოვებული საყდარი განაახლა თავისი სოფლის ახლოს. ამის შემდეგ კიდევ ათი წელი იცოცხლა და შვილის დაქორწინება მოასწრო. როცა ჩვენ სამებაში ჩავედით, ყველა სოფელში დასაბრუნებლად ემზადებოდა. ჯგუფები უკანასკნელად შედიოდნენ ეკლესიაში, ლოცულობდნენ და მიემართებოდნენ შინისაკენ. ურმები, ჩვენ რომ მოვედით, იმ გზით ბრუნდებოდნენ, ხოლო ქვეითთა გუნდები, ომახიანი სიმღერებითა და თოფის სროლით — მთის ბილიკით. მხედრები ეკლესიის შენობების სამხრეთით, მოედანზე, დოლის გამართვას ეშურებოდნენ, აჭენებდნენ ცხენებს, უსწრებდნენ ერთმანეთს და დაწინაურებულებს შეძახილებით ჯოხებს ესროდნენ. ტორტმანებდნენ უნაგირებზე, რადგან მთვრალები იყვნენ, მაგრამ არავინ ეცემოდა. მალე ყველა თავ-თავისი გზით გაეშურა. მე და დემეტრეს თელავში მიგვეჩქარებოდა. დავემშვიდობეთ კეთილ კახიშვილსა და მის ოჯახს და გავუდექით გზას.

თარგმნა ზურაბ რატიანმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# არამხუტუს შემართება

ჯემალ ქირიას რომანი „ესხირი" ეძღვნება 1905 წლის რევოლუციის თემას. მოქმედება წარმოებს სამეგრელოს ერთ-ერთ ქალაქში, რომლისათვის პირობითად ოხაჩქუე უწოდებია ავტორს. რომანის სათაური—მეგრული სიტყვა „ესხირი" „ნასესხებს" ნიშნავს. ეს ის დროა, როცა ზამთარი ეყრება გაზაფხულს, დარი და ავდარი წამდაუწუმ ენაცვლება ერთმანეთს. ბუნების მოვლენის ეს მძაფრი ცვალებადობა, ასოცირებულია რუსეთის პირველი რევოლუციისა და შემდეგ კი რეაქციის პერიოდის საზოგადოების სხვადასხვა ფენების სულიერ მეტამორფოზებთან.

ოხაჩქუეში ცხოვრობენ რევოლუციის მტერი, გენერალი არვაშანგ ჩიჩუა, რევოლუციონერი მახუტი ჩიჩუა (არვაშანგის ძმისშვილი). მედროვე კარიერისტი პორუჩიკი კონსტანტინე კაკუჩავა, უხერხემლო ჩინოვნიკი ბადუ ჩიჩუა — მახუტის ძმა, მახუტის სატრფო ჯუხა, რომელმაც პირველი რევოლუციური ნათლობა მიაღებინა არვაშანგის ძმისშვილ მახუტის. აქვე არიან სხვადასხვა სოციალური წრის ადამიანები, რომლებიც გრძნობენ რაღაც განახლებას, რაღაც ახალს, მაგრამ ვერ გარკვეულან საქმის ნამდვილ ვითარებაში.

რომანის ძირითადი ხაზი ორი რევოლუციონერის — მახუტისა და ჯუნას ურთიერთობის, კლასობრივი მტრებისადმი მათი დამოკიდებულების მხატვრულ გადმოცემაში ვლინდება. კლასობრივი ბრძოლის ჩვენებისას მოხმობილია პარალელური მითოსური მოდელები, რომლებშიაც ასოცირებულია სიკეთისა და ბოროტების შეჭიდების მარადიული და მუდამ განმეორებადი ასპექტები. ამრიგად, წიგნში კლასობრივი ბრძოლა რამდენიმე განზომილებითაა ნაჩვენები. ახლისათვის მებრძოლი — მახუტის მეტსახელია კეტსალი (ფრინველი, რომელიც ტყვეობას ვერ უძლებს და იღუპება). ეს მეტსახელიც თავისებურად მიგვანიშნებს მახუტის ბედზე. მაგრამ მისი მხატვრული სახე, ძირითადი მრწამსი, მიზანდასახულობა ასოცირებულია მითოსის გმირის — არამხუტუს (იგივე ამირანის) სახესთან. არამხუტუ (ამირანი) კოსმოსის — სინათლის, სიკეთის განსახიერებაა, დაჩაგრულთა თანამდგომი, ხოლო ქაოსის — ბოროტების, სიბნელის, ძალადობის დამთრგუნველი.

რევოლუციის მოღალატის, გამცემის მოკვლის გამო მახუტის (ე. ი. კეტსალს) აპატიმრებენ. თუ კი გამჟღავნდა, რომ იგი გენერალ არვაშანგის ძმისშვილია, ამაზე პასუხს თვითონ არვაშანგსაც მოსთხოვენ. ამიტომ ავალებს იგი თავის პორუჩიკს — კონსტანტინე კაკუჩავას ციხიდან გააპაროს მახუტი და შემდეგ კი გაუსწორდეს მას. ჯუნა კი ფულს აძლევს კაკუჩავას — მახუტი როგორმე იხსენიო. ციხიდან გაქცეული მახუტის კითხვაზე, პორუჩიკი პასუხობს: „მე მხოლოდ თქვენი გამზრდელისა და... ჯუნას სურვილებს ვასრულებ... არვაშანგმა შტაბსკაპიტნობა უნდა მომცეს. ჯუნამ ფული. ჩემთვის ერთიც და მეორეც საჭიროა".

რომანში არვაშანგ ჩიჩუას სახით მეტად კოლორიტული, მხატვრულად დამაჯერებელი, ამ ეპოქისათვის ტიპიური და განზოგადებული სახეა მოცემული. სამშობლოში დაბრუნებულ არვაშანგს მხოლოდ ერთი მიზანი ამოძრავებს — მეფის ერთგული სამსახური. მეფისგან ნაჩუქარი სურათი მას სალოცავი ხატივით უკიდია სახლში. უმემკვიდროდ დარჩენილმა გენერალმა ძმისშვილები — მახუტი და ბადუ გაზარდა. აგრეთვე ახლო მეგობრის ობლად დარჩენილი ქალიშვილი — თეკო. მშვენიერ თეკოს, რომელსაც მახუტი უყვარს, შეაცდენს მახუტის უხერხემლო და უბადრუკი ძმა ბადუ. გაუბედურებულ გოგოს ცოლად ირთავს ბებერი გენერალი არვაშანგი. ეს ეპიზოდები რომანში კარგადაა დახატული და მწერალი არ ღალატობს მხატვრულ სიმართლეს.

საერთოდ, რომანში იმ დროის ყოფა დამაჯერებლადაა ნაჩვენები. გიმნაზიელი მეგობრები ერთმანეთს ხელიდან ჰგლეჯენ ყველაფერს, ყველგან ღალატი და უნდობლობა სუფევს, კაკუჩავას ჯაშუშები დაძრწიან ქუჩებსა და დუქნებში, ოჯახებსა და სოფლის ოდობეებში, თვით გენერალ არვაშანგის სასახლეშიც.

ქალაქ ოხაჩქუეს ჩამოუდის მდინარე ხურჩა, რომელიც სათავეს კავკასიონის მთებიდან იღებს. ამ მთაზეა მიჯაჭვული გმირი არამხუტუ (ამირანი).

ივანე ჯავახიშვილი გამოთქვამდა კარგად ამირანისა და არამხუტუს ფუნქციათა თანხვედრილობის თაობაზე. არამხუტუ მეგრულ ყო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფაში გმირის სინონიმია (ასე იყენებს მას კ. გამსახურდია თავის რომანებში), მაგრამ ამჟამად ამ საკითხს პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს. მწერალი ამირან-არამხუტუს მითს გარკვეული მხატვრული ასპექტით იყენებს — იგი მოტანილია როგორც პარალელური პასაჟი ბოროტებაზე სიკეთის გამარჯვების აუცილებლობის დასადასტურებლად. გენერალი არვაშანგი პირისპირ ხვდება ძმისშვილ მახუტის ციხეში და მათ შორის პრინციპული საუბარი იმართება. მახუტი თავისი და ამხანაგების რევოლუციურ საქმიანობას არამხუტუს (ამირანის) შემართებასა და კეთილშობილ მისიას ადარებს. იგი არამხუტუს ამბავს ასე უყვება არვაშანგს: არამხუტუმ თავისი სამფლობელო ბრძენ სულკალმახს დაუტოვა და ქვეყნის შემოვლა მოისურვა. ქვეყნად უკიდურესად გაჭირვებული ხალხი ნახა. შეწუხებული დაბრუნდა და დახმარება სთხოვა სულკალმახს. ბრძენი მასწავლებლის რჩევით, არამხუტუ აკეთებს დიდი ჰყონისაგან (მუხისაგან) ნავს, მიემართება ხურჩას სათავეებთან აღმართული მთის მწვერვალებისაკენ, სადაც თოვლიან-ყინულიან მთის ოქროს კოშკში თამარბედნიერებაა გამომწყვდეული (არქეტიპად გამოყენებულია ამირანის მიერ ყამარის მოტაცება). — „სად მიდიხარ, არამხუტუ, შე უბედურო, სად მიდიხარ? -ჩურჩულებდნენ ხურჩას ტალღები... — იქ სიკვდილია, ნუ მიდიხარ“ (გვ. 119. შდრ. ხალხური: უბედურო არამ-ხუტუ! ვაი, ვაი, სად მიდიოდი?). მართლაც, „იხუვლა ქაჯთა და ეშმაკთა ურიცხვმა ლაშქარმა ულრანებიდან“. არამხუტუმ გაანადგურა ყველა ბოროტი ძალა, აუიდა კლდეზე და შესძახა: „კლდეო, დამნებდი, დამნებდიო“, მაგრამ „აუეფდა ათასფორებიანი კლდე“, გადმოანთხია ცეცხლი და რკინა. გამოიღვიძეს ურჩხულებმა, ალქაჯები შეისვეს ზურგზე და საბრძოლველად მოემზადნენ. კაჯანდევს ლხინი ჩაუმწარდა (მეგრული მითოლოგიის მიხედვით, კაჯანდევი უძლეველი არსებაა, რომლის სული (ძალა) სხვა ადგილას იმყოფება და პირისპირ ბრძოლით მისი დამარცხება შეუძლებელია). არამხუტუმ ურჩხულები და დევები მოსრა. ბოლოს ფეხი დაადგა პიტალო კლდის თავს. კლდემ ამოიგმინა და დადუმდა, ნახა მზის სხივით გაბრწყინებული ოქროს კოშკი, რომელსაც ცხრათავიანი ვეშაპი შემოგრაგნოდა ირგვლივ. არამხუტუმ ვეშაპიც მოჰკლა, მაგრამ „კარი ვერ უპოვა ოქროს კოშკს, ჰკრა მუხლი და იქ შეაბა... შევიდა... ტახტზე იჯდა მარად ქალწული თამარ... — მოდი, არამხუტუ, — მოუხმო თამარმა... — შენი ერთი ამბორისთვის ვცოცხლობდი აქამდე... — მშვენიერო, დრო აღარ ითმენს, წამოდი ადამიანებთან“ (გვ. 120). მიწაზე დაბრუნებულებს სულკალმახი უკვე ასოთხმოცი წლისა დახვდათ. მზემ თანაბრად გაანათა და გაათბო ყველა შეცივნული. „აკისკისდა ბავშვი და ღიმილით გაიბადრა ადამიანის სახე“ სიკეთე და ბედნიერება დამყარდა ქვეყანაზე. მაგრამ ამ ბედნიერებას მალე მოეღო ბოლო: [illegible] კლდეზე მიაჯაჭვეს, ოქროს სასახლეები დაინგრა.

არამხუტუს მემკვიდრეს მახუტის სწამს, რომ რევოლუცია გაიმარჯვებს, იგი გამონახავს გამარჯვების სწორ გზას. თვითონ მახუტი იღუპება ამ გზაზე, მაგრამ მას სწამს მომავალი, სიკეთის გამარჯვება.

როგორც აღვნიშნეთ, არვაშანგი თავის პორუჩიკს ავალებს ციხიდან გაპაროს მახუტი და შემდეგ გაუსწორდეს მას. კაკუჩავა და გაქცეული მახუტი ტყეში გზას ვერ გაიგნებენ და მხეცებს შორის აღმოჩნდებიან. დაღუპვა გარდუვალი იყო, მაგრამ „გაისმა ქალის ხმა, შოლტის ტყლაშუნი და... ტყის სიშავეს გამოეყო მხრებზე თმებჩამოშვებული ქალი. თეთრი სამოსი ეცვა და ვარსკვლავთა სხივებზე ოქროსფრად მოელვარე შოლტი ეჭირა“ (გვ. 232). მხეცები გაიფანტნენ. მშვენიერმა ტყაშმაფამ ორივე გადაარჩინა დაღუპვას.

რომანი მთავრდება იმით, რომ კაკუჩავა გამოქვაბულში კლავს მახუტის. თვითონ „ვალმოხდილი“ აპირებს უკან გამოსვლას, მაგრამ გზას ჰკარგავს, გამოქვაბულის ლაბირინთებში რჩება. აქ მას კვლავ ეცხადება ტყაშმაფა. „დედოფალო, სიცოცხლე მაჩუქე!“ — შეევედრა კოსტა, დიაცვით აქვითინებული მუხლზე დაემხო თეთრსამოსიანი ასულის წინაშე... შეჩერდა მშვენიერი ასული, მკაცრად დახედა ფერხთით დამხობილს. „შენ უკვე მკვდარი ხარ!“ — თქვა თეთრსამოსიანმა ასულმა, დაიხარა, მოღალატეს სული ამოართვა და კლდეზე ჩამოკიდა. მოღალატის სული შავ ლაქად დააჩნდა მიწისქვეშეთის ბერბენც წყვდიადს“ (გვ. 257—258). ასეთ მითოსურ გარემოში ამთავრებს თავის სულიერ ცხოვრებას პორუჩიკი კაკუჩავა, თუმცა მოღალატის ხორციელი არსებობა კვლავ გრძელდება. „თვალი დახუჭა კოსტაიამ, არ უნდოდა ეხილა საკუთარი სულის სიშავე და როცა გაახილა, არც მისი სული ჩანდა, არც თეთრსამოსიანი ასული... შეჰბღავლა პორუჩიკმა; ძლივს მიბობღდა ხვრელამდე და შიგ გაძვრა“ (გვ. 258). ასე მთავრდება რომანის ფინალი.

ჩვენი აზრით, მწერალი ზოგჯერ ზედმეტ გატაცებას იჩენს მითოსური მოდელების მიმართ. შემოაქვს აგრეთვე უცხოური მოდელიც (ცეტსალი „ესხირში“ და ჯაგერნაუტი — „მარად მხედარში“). თანამედროვეობის პოზიციებიდან მითოსური მოდელების გამოყენება გულისხმობს ამ მოდელების ზომიერად შერწყმას ნაწარმოების მხატვრულ სტრუქტურასთან. ეს ფაქტი აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს მწერალმა.

საერთოდ კი, ჯემალ ქირიას „ესხირი“ ქართულ სინამდვილეში, ახალი ტიპის რომანის თავისებურ წარმატებულ ცდას წარმოადგენს. ეს სწრაფვა ახლისაკენ უფრო სახეიროდ გამოიკვეთა მწერლის მეორე რომან „მარად მხედარში“.

აპოლონ ცანავა

ფასი 80 კაპ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა
ინდექსი
76128

«М Н А Т О Б И»

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ